ელგუჯა კოპაძე

გაუხსნელი საქმე

ახალციხე 2012

უაკ (ჩ) 821.3531-32
კ-74

“გაუხსნელი საქმე” ელგუჯა კოპაძის მოთხრობების პირველი კრებულია. მასში წარმოდგენილია მისი პროზაული შემოქმედება. მოთხრობების სიუჟეტი ცხოვრებიდან აქვს აღებული, მოქმედი გმირები რეალური პიროვნებები არიან, იმდენად რომ მკითხველი ზოგიერთ მათგანში საკუთარ თავს შეიცნობს.

კრებული მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს ელგუჯა კოპაძის პიროვნებას, შემოქმედებასა და მის მიერ განვლილი ცხოვრების ვრცელ გზას.

რედაქტორი: ნატო ყრუაშვილი
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები: სერგო მელიქიძე
ფოლოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

ვახტანგ ინაური
ფოლოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

ქეთევან გრძელიშვილი
ფოლოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

ე. კოპაძე
I 978-9941-0-3889-1

ელგუჯა კოპაძე

ელგუჯა კოპაძე

“რეალიზმი და ჰუმანიზმია ჩემი ერთადერთი რწმენა და რელიგია”

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და პიროვნული თვისებებით მშობლიური კუთხის კოლორიტები ხდებიან. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ელგუჯა კოპაძე. მას ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც მრავალმხრივ ნიჭიერ და ღირსეულ მამულიშვილს, საზოგადო მოღვაწეს. ადამიანს, რომელთანაც ურთიერთობა ძალზედ სასიამოვნოც არის და მრავლის მომცემიც.

ელგუჯა კოპაძე დაიბადა 1930 წლის 20 თებერვალს ხარაგაულის რაიონის სოფელ სარგვეშში. მისი მშობლები გიორგი კოპაძე და ქეთევან ნიქაბაძე პედაგოგები იყვნენ. 1944 წლიდან ოჯახი დასახლდა სოფელ კლდეში (ცხოვრებისეული კანონზომიერებით იგი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა — მისი გვარი ძირძველი მესხური გვარია — “კოპასძენი” წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო იყო მესხეთში). მან 1949 წელს დაამთავრა ქ. ახალციხის №1 საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. იმ დროისათვის უნივერსიტეტის რექტორი იყო ნიკო კეცხოველი. მას ჰქონდა ბედნიერება იმისა, რომ მისი პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ: შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი შანიძე, პაატა გუგუშვილი, რევაზ ანთაძე და სხვანი. 1954 წლიდან, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მოღვაწეობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. თავდაპირველად მუშაობა დაიწყო ქალაქ ახალციხეში სახელმწიფო პედაგოგიურ საწავლებელში ლოგიკა-ფსიქოლოგიის მასწავლებლად. ამ პერიოდიდან მოყოლებული ელგუჯა კოპაძე მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. იყო ახალციხის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი, პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი, დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პოლიტეკონომიის მასწავლებელი, ვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ახალციხის პურ-კომბინატის დირექტორი, ამასთანავე რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე (1972-1978წწ.). შემდეგ განათლების განყოფილების გამგე, პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე. ბოლოს კი იყო გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის” საკუთარი კორესპონდენტი სამხეთ-ჯავახეთის რეგიონში. მან თავისი საინტერესო კორესპონდენციებითა და სტატიებით თავი დაამახსოვრა მკითხველ საზოგადოებას.

ელგუჯა კოპაძის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მისივე თქმით, უდიდესი როლი შესარულეს ქალბატონმა მზია ერისთავმა (ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორი და პედაგოგი) და მაქსიმე ლაზარევმა (თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის მასწავლებელმა — პოდპოლკოვნიკმა).

ბატონ ელგუჯას ძირითადი სამოღვაწეო ასპარეზი კულტურისა და განათლების სფერო იყო. თვით უაღრესად განათლებულ და კულტურულ პიროვნებას კარგად ესმოდა ამ დარგების განვითარების აუცილებლობა და მათი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომაც არის, რომ მის სახელს უკავშირდება მრავალი ინიციატივა და სიახლე: მნიშვნელოვნად გაფართოვდა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი — ახალციხის რაიონის ყველა სოფელში დამთავრდა ბიბლიოთეკების, სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების დაარსება, მისი ძალისხმევით გაიხსნა სამუსიკო სასწავლებელი — ათწლედი, მან რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა აქტივის კრებაზე კატეგორიულად მოითხოვა სასწავლებლის გახსნა ახალციხეში, რაც მალე რეალობად იქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1973 წელს მუზეუმი გადატანილ იქნა ქალაქის ძველ ნაწილში — რაბათში. უნდა აღინიშნოს, რომ ელგუჯა კოპაძის, მიხეილ მეძმარიაშვილის (მესხეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორის) და ნანა დემეტრაშვილის (ამავე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის) ძალისხმევით დასრულდა და 1975 წლის იანვარში ექსპლუატაციაში შევიდა მესხეთის დრამატული თეატრის ახალი შენობა. მათივე წინადადებით იმავე წლის 14 იანვარს თეატრის დღე ჩატარდა ახალციხეში, სადაც მოწვეულნი იყვნენ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, თეატრალები და სტუმრები რესპუბლიკის რეგიონებიდან. სწორედ ამის შემდეგ დაკანონდა თეატრის დღის მორიგეობით ჩატარება რეგიონებში.

ე. კოპაძის კულტურის გამგედ მუშაობის პერიოდში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებას წარმოადგენდა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი ფესტივალი, რომელიც 1975-1977 წლებში ჩატარდა ახალციხეში ხელოვნების შემდგომ დარგებში: მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი, საცირკო, ფოტო და კინო.

იმავე პერიოდში რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გახდა რესპუბლიკური დათვალიერების ლაურეატი, შემდგომ კი — საკავშირო დათვალიერების ლაურეატი და გაიგზავნა გასტროლებზე საზღვარგარეთ, კერძოდ, რუმინეთსა და ბულგარეთში.

ელგუჯა კოპაძეს კარგად ჰქონდა გააზრებული კულტურის განყოფილების დანიშნულება. იგი წერს: ,,მათი მეშვეობით ხდებოდა მოსახლეობაში მუსიკალური კულტურის შეტანა, წიგნიერების დონის ამაღლება და საერთოდ გამოჩენილი ადამიანებისადმი პატივისცემა, მათი ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა-გაცნობა. ამ კუთხით ახალციხე გამოირჩეოდა დიდი აქტივობით, ახალციხეში ტარდებოდა დასკვნითი ოლიმპიადები, გამოფენები, შეხვედრები”.

ბატონმა ელგუჯამ თავისი მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანა ახალციხის რაიონის კულტურულ დაწინაურებაში. ამ სფეროში განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე გასული საუკუნის 70-80-იანი წლები იყო მხარის კულტურულიაღორძინების წლები. რაშიც დიდი იყო მისი წვლილი. სწორედ ამიტომ

1974 წელს მას მიენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, მოგვიანებით კი — ღირსების ორდენი: კულტურისა და განათლების დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი და ღირსეული მუშაობისა და წვლილის შეტანისათვის. ელგუჯა კოპაძის კულტურის გამგედ მუშაობის პერიოდში ახალციხე საერთო მონაცემებით პირველ ადგილს იყოფდა ექვს რაიონთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ელგუჯას სამსახურეობრივი საქმიანობიდან და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ბევრ ღირსეულ მამულიშვილთან ჰქონდა ურთიერთობა და თანამშრომლობა. ისინი ხშირად ყოფილან და დღესაც არიან მისი ოჯახის სასურველი სტუმრები. ბევრის მომსწრე და გამგონეა. შესაბამისად აქვს საინტერესო მოგონებები.

* * *

ელგუჯა კოპაძე ათწლეულების მანძილზე აქტიურ სამსახურეობრივ საქმიანობას უთავსებდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა მისი მოთხრობები და სხვადასხვა ხასიათის პუბლიკაციები. უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოთხრობებისა და ლექსების დიდი ნაწილი ამჟამინდელი მდგომარეობით ისევ ხელნაწერის სახით არსებობს, შესაბამისად ფართო საზოგადოებისათვის უცნობია. წინამდებარე კრებულში: "გაუხსნელი საქმე" ელგუჯა კოპაძის ყველა მოთხრობა შევიდა. მისი შემოქმედება ფურცლებზე დაღვრილი მრავალი წლის გამოცდილებაა, გონებით გაანალიზებული და გულით განცდილი, სულს დამჩნეული ტკივილი და სიხარული. მისი შემოქმედების მიზანი ისევ და ისევ თავისი ხალხის სამსახურში ყოფნაა: "ფართო გაგებით ადამიანის ცხოვრება მთელი მისი საქმიანობა ერთი მთლიანი შემოქმედებაა... მაგრამ არის შემოქმედების ის სფერო, რომელსაც სხვასთან ვერაფერთან გაათანაბრებ, მის მსახურთ ვერავისთან გააიგივებთ — ეს მწერლობაა". მას კარგად აქვს გააზრებული მწერლის მოვალეობა. მისი, როგორც მწერლის სურვილი — დადებითი გმირის წარმოჩენაა. ისეთი გმირისა, რომელიც მკითხველს მისცემს სულიერ საზრდოს და მასზე კარგ გავლენას მოახდენს. ამიტომაც არის, რომ ავტორი წერს: "დღეს, როგორც არასდროს გვჭირდება კარგი, კეთილი, პატიოსანი ადამიანი, ზნეობრიობა ჩვენი ერის გადარჩენის საშუალებაა."

ბატონ ელგუჯას მოთხრობის გმირები გამოგონილნი არ არიან. მას მოთხრობების სიუჟეტი ცხოვრებიდან აქვს აღებული, მოქმედი გმირები რეალური პიროვნებები არიან, იმდენად რომ მკითხველი ზოგიერთ მათგანში საკუთარ თავს შეიცნობს. ამასთანავე, მისი შემოქმედება მრავალფეროვნებით ხასიათდება, ეხმაურება წარსულსაც და დღევანდელობასაც, სიყვარულის თემასაც და გამოძიებასაც.

ელგუჯა კოპაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც "ალაპარაკდა" გამაჰმადიანებული მესხების ცხოვრებაზე მოთხრობაში — "დიდი ლხინია ჭირთა თქმა" და რეალურად ასახა თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით. ავტორმა ვეისალ

მარიევისა და ბესიკ ივანიძის მეგობრობისა და მათი ოჯახების ურთიერთობის ფონზე აღწერა ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართველების თანაცხოვრება სამცხეში. ასევე შთამბეჭდავად გადმოსცა 1944 წლის ნოემბერში მათი შუა აზიაში გასახლების პროცესი. მკითხველი მშვიდად ვერ ჩაიკითხავს რეზა ხალილოვის ტრაგიკულ სიკვდილს: "რეზა ხალილოვი ბაღში შესულიყო და მსხლის ხეზე ხელებშემოხვეული ხარივით ბღაოდა: მომკალით, ჩამქოლეთ, აქედან არსად წავალ, აქაურობას ცოცხალს ვერავინ მომაშორებს. ჩემი მიწა ესაა, აქ უნდა დავიმარხო... რუსი ჯარისკაცის თოფის კონდახის "წყალობით" იქვე ჩაიკეცა თავისივე დარგული მსხლის ძირში და სული განუტევა."

ავტორის შეხედულება ამ ერთ დროს "ვეტოდადებულ" და ქართველი ერისათვის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხზე სცილდება ყოველდღიურობას, მაღლდება საკუთარ თავზეც, სარწმუნეობაზეც. ეს კარგად ჩანს ნაწარმოების გმირის მიხეილ ხალილოვის სიტყვებიდან: "მგონია მაჰმადიანი და ქრისტიანი ტყუილად გვქვია, სიკეთესა და ღმერთს ყველანი ვემსახურებით, მხოლოდ სხვადასხვა ენაზე ვლოცულობთ." ამ სიტყვების მიღმა თვით ავტორის სული და ჰუმანურობა იკვეთება. მოთხრობამ მკითხველს საშუალება მისცა დაფიქრებულიყო გამაჰმადიანებულ თვისტომთა ბედზე და სწორი დასკვნა გაეკეთებინა. თავის დროზე უდიდესი მისია შეასრულა ორივე მხარის: ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართველების ხელახალი თანაცხოვრებისათვის ფსიქოლოგიური შემზადების საქმეში.

ბატონ ელგუჯას მოთხრობების ერთი ნაწილი ეხება ე.წ. შერეული ქორწინებების თემას, რაც დამახასიათებელია მრავალეროვანი ქვეყნისათვის და შესაბამისად საქართვე-ლოსთვისაც. ასევე ის ჩვეულებრივი მოვლენაა სამცხე-ჯავახეთშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით მისი აზრი ასეთია: "შერეული ქორწინება სასურველი არაა, მაგრამ ამ მიზეზით სიყვარულზე უარის თქმა უაზრობაა." ავტორს მიაჩნია, რომ შერეული ქორწინების შემთხვევაში განსაკუთრებული დაფიქრება მართებთ მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენლებს.

ბატონ ელგუჯას ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია უახლოესი წარსული — გასული საუკუნის 90-იანი წლები, ჩვენი ცხოვრების უმძიმესი პერიოდი. მოთხრობაში — "ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების" მოცემული აქვს ამ პერიოდის სრული სურათი. მოთხრობის გმირების ძმების: ზუროს და ვახტანგის თავს გადახდილი ამბავი ერთ-ერთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც იმ დროს საქართველოში თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა. თუმცა ფინალი კი ყოველთვის როდის იყო ერთნაირი.

ბატონ ელგუჯას ყველა საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს. როგორც ფილოსოფოსს თავის მოთხრობებში საინტერესო მსჯელობები აქვს ამა თუ იმ თემაზე, რასაც შეუძლებელია არ დაეთანხმო და რაღაც ახალი არ აღმოაჩინო.

ელგუჯა კოპაძის მოთხრობების გმირებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ქალბატონები. შეიძლება ითქვას რომ ავტორს ქალთა შესახებ საკუთარი კონკრეტული აზრი გააჩნია. მათ რამდენიმე კატეგორიად, ხასიათის მქონედ ყოფს და შესაბამისად თითოეული მათგანის სრული დახასიათება აქვს მოცემული. საერთოდ ქალის ფუნქციაზე, მის დანიშნულებაზე, მოვალეობებზე, საზოგადოებასა და

ცხოვრებაში მათ მიერ დაკავებულ ადგილზე მისი აზრი ასეთია: **“ქალი რომელიც შვილებს არ გაზრდის, დედობას ზურგს შეაქცევს, ქვეყნის და ერის მოღალატეა, მისი გაჩენა ღმერთმა შემინდოს ღვთისავე შეცდომაა და მეტი არაფერი. ასეთი ქალები ხომ უსიხარულოდ აღამებენ ამ წუთისოფელს, მათი სიცოცხლის ბოლოს მხოლოდ სინანულია და სხვა არაფერი. თვითონ თუ ვერ შობ, ეს არაა გამოუსწორებელი უბედურება, ბევრია ისეთი შობილი, რომელსაც გაზრდა სჭირდება და სამწუხაროდ ვერ აკეთებს ამას მისი მშობელი. მადლი ქენი, გაზარდე ასეთი ერთი ორი, რამდენიც შეგიძლია, ნუ ეგოისტობ და ბედნიერი იქნები. ადამიანი ხომ იმიტომ მოდის ამ ქვეყანაზედ, რომ მან ისევ გაზარდოს ადამიანი.”**

და კიდევ, მას არ მოსწონს “გამამაკაცებული” ქალი. მიაჩნია რომ, ქალს ყოველთვის ალამაზებს თავისი ქალურობა: **“შეიძლება ჩემი ახირება და ერთგვარი სისუსტეა, რომ ვერ ვიტან გამამაკაცებულ ქალებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ “გამამაკაცება” კი არ ხდის ძლიერსა და მამაკაცისათვის სასურველს, რისთვისაც ყველა ქალი უნდა იღწვოდეს, არამედ ქალურობა და კდემოსილება, გაკაცებული ქალი მამაკაცი არაა და ვერც იქნება, იგი მას ემსგავსება მხოლოდ და რამდენადაც ემსგავსება, იმდენად იკარგება როგორც ქალი.”**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელგუჯა კოპაძის მოთხრობებში ასევე კარგად არის წარმოჩენილი ქართველი მამაკაცის ბუნება: მისი რაინდული თვისებები, ვაჟკაცური ხასიათი, სამართლიანობა, გონიერება და ა.შ. ასეთი თვისებებით არიან შემკულნი მისი გმირები. საერთოდ კარგად იკვეთება მამაკაცის ფსიქოლოგია. ამიტომაცაა, რომ მათი გაცნობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ელგუჯა კოპაძის მოთხრობების ენა თავანკარა ქართულია, ლექსიკურად მდიდარი, სულის ერთი ამოსუნთქვით იკითხება, გიჭირს თავის დანებება. მშვიდად, აუღელვებლად ვერ ჩაიკითხავ. ეს აღელვება დიდხანს მიგყვება, აღძრავს კამათის სურვილს ავტორთან და საკუთარ თავთან. მართალია, მათი რაოდენობა ბევრი არ არის, სულ ათი მოთხრობაა, მაგრამ იგი მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი და ნიჭიერების კიდევ ერთი დასტურია.

თუმცა ბატონ ელგუჯას შემოქმედება მხოლოდ მოთხრობებით არ ამოიწურება. იგი არის ბევრი კარგი ლექსის ავტორი. მისი ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. აქვს ლირიკული და ღრმად ფილოსოფიური ლექსები. თავის პოეტურ საგანძურში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისთვის ძვირფასი ადამიანებისადმი მიძღვნილ ლექსებს ანიჭებს. მისი შთაგონება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაა... ამჟამინდელი მდგომარეობით ფართო მკითხველისათვის მისი პოეზია უცნობია, რამდენადაც არ არის გამოცემული ლექსების კრებული, რაც მომავლის საქმეა.

წინამდებარე კრებულის მიზანია ფართო საზოგადოებას წარვუდგინოთ ბატონ ელგუჯა კოპაძის პროზაული შემოქმედება. მისი ავკარგიანობის შეფასება მკითხველისათვის მიგვინდვია...

ნატო ყრუაშვილი

ნეტაი შენისთანაი ბევრი
გაზარდოს დედამ

ორმოცი წელი გათხოვილი ქალისთვის არაფერია, ეს მისი გაფურჩქვნისა და უნარების აყვავების დროჟამია, მაგრამ გაუთხოვარი ქალისთვის სათქმელადაც კი ბევრია, თუმცა ასაკის დამალვა თეონას არასოდეს უცდია. უკვირდათ მისი გაუთხოვრობა, გარეგნულად მშვენიერი, კეთილგონიერებითაც გამორჩეული იყო. დღეს-ხვალეში წელი-წელს ემატებოდა, მის მარტოობას კი ბოლო არ უჩანდა. მოსწყინდა ერთი და იგივეს მოსმენა:

— კიდევ არ გათხოვილხარ?

— დაუდგათ ბიჭებს თვალები...

— აფსუს ასეთი ქალი და გაუთხოვარი?

თეონას მთხოვნელები არ აკლდა, მაგრამ რატომღაც არ ჩქარობდა, თითქოს რაღაცისა თუ ვიღაცის მოლოდინში იყო. ბავშვობიდან ოცნებობდა პედაგოგი გამხდარიყო და ეს წადილი აისრულა კიდეც, — უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტის ინგლისური ენების განყოფილება დაამთავრა და სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. ზოგჯერ ჩაფიქრდებოდა ხოლმე: — წავიდნენ, გაფრინდნენ წლები, ჩემმა ტოლებმა ოჯახები შექმნეს, შვილებს ზრდიან, მე კი ისევ მარტოსული ვარ, აწი შვილიც საეჭვოა გამიჩნდეს, დავრჩი ნაცნობებისა და მეგობრებისათვის სასურველ სტუმრად, მაგრამ ეს გაუთავებელი, გაუცნობიერებელი მოლოდინი რაღაცისა, თუ ვიღაცისა?... ყველაფერი ღვთის ნებაა, ისევ და ისევ ლოდინია ჩემი საქმე. რაა? ვიაქტიურო! როგორ გეკადრებათ! ამ ხალხისა მიკვირს, ნებისმიერი ნაცნობი შეხვედრისთანავე გათხოვებაზე მიწყებს საუბარს თითქოსდა მეტი სალაპარაკო არაფერი გვქონდეს.

თეონას "ჰობი" ტურიზმი და ზღვა იყო. ხუთი წელი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში სამეჯლისო ცეკვებზეც დადიოდა, სადაც სკოლის დამთავრების შემდეგ აღარ მისულა, მაგრამ თავის დროზე მოსწავლეთა საქალაქო ოლიმპიადის პირველი პრიზის მფლობელი იყო თავის "პარტნიორ" მიშა სავიცკისთან ერთად, რომელიც შემდგომ მის მამიდაშვილზე, — ციური ბარათაშვილზე დაქორწინდა და მათი კეთილი ურთიერთობა ახლო ნათესაობაში გადაიზარდა. თეონას ახლობელთა შორის მიშიკო ერთადერთი პიროვნება იყო, რომელიც მის უნაკლობას დიდ ნაკლად უთვლიდა. მანამ არ გათხოვდები, სანამ შენს ნაკლს, უნაკლობას არ გამოასწორებო — ეტყოდა ხოლმე ხუმრობით.

აგვისტო იდგა. თეონა გაგრიდან "გარუჯული" ჩამოვიდა. დედამ ამბავი დაახვედრა: მიშიკო და ციური იყვნენ. მიშიკომ დაგიბარა, რომ ხვალ ჩემი დაბადების დღეა და არ დაგავიწყდესო.

— ნეტა როდის იყო მიშიკოს დაბადების დღის შეხსენება რომ მჭირდებოდა!

— ხვალ შვილო მათთან დილიდანვე მიდი. ციური უკვე "დეკრეტშია". მოძრაობა უჭირს, მოგვიანებით მეც მოვალ, სტუმრები საკმაოდ ეყოლებათ, უნდა მოვეხმაროთ.

— სანამ ლუბა მამიდა და მიშიკოს დედა ცოცხლები იყვნენ, აქეთ გვეხმარებოდნენ, ახლა კი ყველაფერი ციურის გასაკეთებელია.

— მაინც რა სასწაული იყო, ერთი წლის შიგნით დედაც დაეღუპა და დედამთილიც... ვინ იცის, ვის რა გველის, ზოგჯერ ისეთი მოარული თავისტკივილი მაქვს, ცოტაც რომ გაგრძელდეს, ალბათ ვერ გავუძლებ. ნეტა შენ დაოჯახებას მომასწრო და მერე აღარ დავეძებ თუ რამე მომივა... მე შენ მყავხარ პატრონად და ჭირისუფლად, მაგრამ შენ ვინ გეყოლება, ვინ?

— დედა! მამა მართლა წყალში დაიხრჩო? მითხარი როგორ იყო.

— მამაშენი შვილო რამდენადაც დინჯი, ზრდილი და საერთოდ კარგი კაცი იყო სიფხიზლეში, იმდენად აუტანელი ხდებოდა სიმთვრალეში. ნასვამს შეეძლო ნებისმიერი სისულელე ჩაედინა, ამიტომ "დალევას" თვითონაც ერიდებოდა და მეც ვცდილობდი, რამდენადაც ამის საშუალება მეძლეოდა, მის გვერდით ვყოფილიყავი, მეტისმეტად ვფრთხილობდი. ბოლო პერიოდში თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად მუშაობდა. რკინიგზის სადგურზე მოსკოველი სტუმრები გააცილა და იქიდან მობრუნებული, საკმაოდ ნასვამი, "ვორონცოვის" ხიდიდან მტკვარში გადახტა, — აქაოდა შემხედეთ რა მაგარი ვარო!.. თავი ბეტონზე დაარტყა და დაიხრჩო... იმას ვლოცულობ და ვნატრობ, ისეთი ქმარი არ შეგხვდეს, როგორიც მამაშენი იყო. ცუდია, როცა მამაკაცი სასმელს ვერ იტანს, ზომა არ იცის და სად, ვისთან რა უნდა, რომ ეშლება.

— მაგიტომაა რომ "შინაბერა" გავხდი დედა! ჩემით ჯერ ისეთი არავინ დაინტერესებულა "კაცად" რომ ვიწამო. ლოთს, ხეპრესა და უზნეოს ვერ შევეგუები. "დიდ სიყვარულს" თუ არა, პატივისცემას ხომ მაინც უნდა იმსახურებდეს კაცი, რომელსაც ცოლად გავყვები.

— ცდებითქვა არ შემიძლია გითხრა, მაგრამ შენ თავზე თუ გიფიქრია ვინა ხარ?

— შევთანხმდეთ, რომ ასეთ საუბარს თავი დავანებოთ და ბუნებრივად მივყვეთ ცხოვრების დინებას. იცი რა დედა? დილით ციურისთან შეიძლება ვერ მივიდე... საპარიკმახეროში მინდა შევიარო, თუმცა თმები არცა მაქვს შესასწორებელი, დანარჩენს თვითონ მეც მივხედავ. ისე რომ დილიდანვე მათთან ვიქნები, ხელს არაფერი შემიშლის.

— არა შვილო! სალონში აუცილებლად შეიარე, ციურისთან თუ ნახევარი საათით გვიან მიხვალ, ამით არაფერი გაფუჭდება... წვეულებაზე მისული ქალი უნაკლოდ უნდა გამოიყურებოდეს, განსაკუთრებით ვარცხნილობის მხრივ.

— რა ვიცი, როდესაც მიშიკო დამცინის, — სანამ უნაკლობას არ გამოასწორებ ვერ გათხოვდებიო, ყველა გულიანად იცინით, იქნებ სჯობია აწეწილ-გაჩეჩილი და დაუვარცხნელი ვიყო.

— თმებაწეწილი და საერთოდ მოუვლელი ქალი საზიზღრობაა, მიშიკო იმას გსაყვედურობს, რომ რაღაც შეუცდომელი წმინდანივით ხარ. ვერავის წარმოუდგენია ვნებააშლილი თეონა ერისთავი, რომელსაც შეუძლია გულში ჩაეკრას ვაჟკაცს და მასთან ერთად დატკბეს პირველყოფილი სიშიშვლით.

— ეს ვერც მე წარმომიდგენია დედა.

— ვერ წარმოგიგენია და ამიტომაცაა რომ ხარ მშვენიერი "კუკლა" და არა ვნებიანი ქალი. როგორც დედოფალას გეფერებიან, გკოცნიან კიდეც, მაგრამ არა როგორც ქალს, მიწიერს, ამქვეყნიურს. შენც მათი ასეთი მოქცევა განებივრებს, ყველა შენიანია, ახლობელი, მათგან ვერავინ ამოგირჩევია, რომ განსაკუთრებით გაათბო, ამის უფლებას

არც შენ აძლევ თავს და არც ისინი. მიკვირს შენი გარეგნობის პატრონს უხეირო, ხულიგანი მაინც რატომ არავინ აგეკიდება? ალბათ ასეთებს შენი უშეცდომო მანერებით რაღაც დისტანციაზე აჩერებ, "ანგელოზს" კი ვინ რას გაკადრებს. იცოდე, დედამიწაზე ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ. გაცოცხლდი, თუ შეცდები გეპატიება. შეცდომა ადამიანებს მოსდით, ღმერთად კი თავი, რამდენედაც ვიცი, შენც არ მიგაჩნია, ამას ჩემს გარდა არავინ გეტყვის და ყოველდღე ვერც მე გიმეორებ.

— რა იყო ქალო! ისე მელაპარეკები თითქოს მოგბეზრდი და სახლიდან გაგდებას მიპირებ. იცოდე! სანამ შენნაირ კოპწია და "ბუზღუნა" დედამთილს არ ვნახავ, არ გავთხოვდები. ჩემი "ბუზღუნა" ლამაზი დედიკო, ჩემი კარგი, ჩემი მშვენიერი...

დედასთან საუბრით "დაპურებული" თეონა მას უჩვეულოდ მოეხვია, კოცნა და ალერსი დაუწყო. მისი მიწიერად გარდაქმნით კმაყოფილმა დარეჯანმა, შვილი კალთაში ჩაიჯინა და როგორც პატარას მოეფერა. ტელეფონმა დარეკა. ყურმილი დარეჯანმა აიღო. ჰო, მე ვარ... თეონას გამოვატან. დღეს ჩამოვიდა... გადავცემ... ხვალ მთელი დღე შენთან იქნება, ცოტა მოგვიანებით მეც მოვალ... აქ გავაკეთებ და თან წამოვიღებ... რა უჭირს საწებელი ცხელი ხომ არ უნდა მიიტანო... კარგი, როგორც ისურვებ — ისე გავაკეთოთ. ნახვამდის!

— ციური იყო?

— ჰო, მოგიკითხა. ტყუილად ნერვიულობს. ყველაფერი თავისუფლად მოესწრება... ეცადე რომ ადრე მიხვიდე.

— ისე ნურც შენ დაელოდები მზის ჩასვლას.

— დილით გამახსენე უცხო სუნელი უნდა გაგატანო, — თქვა დარეჯანმა და სამზარეულოში გავიდა. მისი გასვლისთანავე თეონამ გარდერობი გამოაღო და კაბების შერჩევას შეუდგა. რატომღაც მოუნდა, რომ წვეულებაზე, როგორც ქალი მთელი არსებით წარმოჩენილიყო. სამზარეულოდან მობრუნებულმა დარეჯანმა თეონა რომ ასეთ ყოფაში იხილა, არაფერი უთქვამს, სიამოვნებით გაიღიმა, ჩათვალა რომ მისმა საუბარმა უკვე თავისი გააკეთა.

— დედა! უცხო სუნელი ციურის საცივისთვის უნდა? — რატომ მეკითხები?

— რატომ და შენ რომ წამოხვალ, თან წამოიღე. საცივის გაკეთებას მაინც მოასწრებთ. საპარიკმახეროში თან სად ვატარო, ხომ იცი რა მძაფრი სუნი აქვს, ნიორისა არ იყოს, კერძში მიყვარს, თორემ ცალკე ალერგიას მმართებს.

— კარგი შვილო აგრე გავაკეთებ, ვეცდები, რაც შეიძლება ადრე მოვიდე. თეონას "სასიკეთო" ცვლილებამ დარეჯანი დიდად გაახარა. — ყინული გალღვაო გაიფიქრა და აივანზე "რამერუმესთვის" გასულმა თავისდაუნებურად წაიღიღინა: "დარკვეთელო ქალო, რა დიდგულა ხარო", ხოლო როდესაც თეონამ ხმა წააშველა: — "გამომყევი სახლში, დედა გავახარო", — მიხვდა რომ მარტო არ იყო, შვილმა წელზე ხელი შემოხვია და სიმღერა საოცრად ტკბილხმოვანად ბოლომდე ჩაათავეს.

* * *

სტუმრები თითქმის ყველა ერთად მოვიდნენ. “უცხო” საერთოდ არავინ იყო გარდა მიშიკოს დეიდაშვილის, ილო ვეფხვაძისა, რომელიც ერთობ მომხიბლავი პიროვნება ჩანდა. სულაც არ იგრძნობოდა, რომ პირველად იყო მათ კრებულში. რადგან ყველა “სახეზე” იყო, პირდაპირ გაწყობილ მაგიდას მიუსხდნენ. მიშიკომ, როგორც მასპინძელმა, სასმისი აიღო და თამადობა ილოს შესთავაზა:

— ერთადერთი “უცხო” კაცია ჩვენს შორის და მინდა საშუალება მივცე თავისი თავი თვითონ წარმოაჩინოს, გარდა იმისა, რომ ჩემი დეიდაშვილია, ჩინებული თამადა და შესანიშნავი პიროვნებაა, თქვენი ხმალი ჩვენი კისერი ჩემო ილო, მაგიდის თავში დაბრძანდი და გვითამადე, სულ ლხინში და ბედნიერებაში გვენახე თამადად.

ილოს თამადად არჩევის სადღეგრძელო ერთხმად შესვეს და მიშიკოს ასეთი “რეკომენდაციის” შემდეგ მისით სერიოზულად დაინტერესდნენ. ისიც, როგორც სრულუფლებიანი თამადა, მაგიდის თავში მიშიკოს მიერ შეთავაზებულ სკამზე დაჯდა. მის ერთ მხარეს მიშიკო, ხოლო მეორე მხარეს თეონა იჯდა. სასმისი აიღო და საამო მამაკაცური ბუბუნა ხმით მიმართა სტუმრებს: უღრმესი მადლობა ესოდენ დიდი ნდობისა და დაფასებისათვის, ასევე იმისათვის, რომ საშუალება მომეცით ესოდენ მომხიბლავი ქალის გვერდით ჯდომისა.

— “მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ სადღეგრძელოსი” წამოიწყო საამო ხმით. მთელი კრებული აჰყვა და თამადისა და იქ მყოფთა ურთიერთობა მომენტალურად გათბა. “აწყვეტილი” ქეიფი გამუვიდათ. მხიარულებას მთელი არსებით მიეცნენ და გაიხარეს კიდეც. თითქოს განგებ მოაწყვესო ყველა წყვილ-წყვილად იყო მოსული, “თავისუფალი” მხოლოდ თეონა და ილო აღმოჩნდნენ. ისინიც გარდა იმისა, რომ ხმები დიდებულად შეუწყვეს, მთელი საღამო ერთად ცეკვავდნენ, შენაცვლება და შეცილება აზრადაც არავის მოსვლია. ბოლოს ისე დაახლოვდნენ, რომ გულწრფელად ირწმუნეს თითქოსდა დაბადებიდან იცნობდნენ ერთმანეთს. შეზარხოშებული ილო თავის მანერებსა და მოძრაობებს არც თუ დიდი სიზუსტით აკონტროლებდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ თეონას ეს არა თუ სწყინდა, არამედ ასეთი “უხეშობა” ჟრუანტელის მოგვრამდე სიამოვნებდა. ასე ჯერ არავინ მოქცევია. ეს “ტლანქი” გეოლოგი თითქოს მაგიურ ძალას ფლობდა. თეონა ნამდვილი მამაკაცის შეხებას და სუნთქვას გრძნობდა.

— ნეტა ცოლშვილიანია? ალბათ არა, თორემ მეუღლეს აქ აუცილებლად მოიყვანდა. ვატყობ რომ მოვწონვარ. წინადადება რომ მომცეს ვითომ დავთანხმდები? მგონი კი. იქნებ ესაა ჩემი “მოლოდინი.” როგორ არ მინდა სახლში წასვლა? ან კი როგორ წავალთ, მაგიდა მე და დედამ უნდა ავალაგოთ, ისევ გავაწყოთ, აქაურობაც უნდა დავალაგოთ, სტუმრები ხვალ დილიდანვე იქნებიან. ისიც ნამდვილად ვიცი, რომ ილო მთელი კვირა მიშიკოსთან რჩება... რა მემართება? რაღაც თავს ვეღარ ვერევი... ცოლიანი რომ გამოდგეს? არა! ცოლიანი კაცი ასე არ მომექცეოდა, მან სიყვარული ხომ უსიტყვოდ უკვე ამიხსნა. არა! ასეთი ვაჟკაცი ქალის მოტყუებას არ იკადრებს, თუმცა ვინ იცის, რას გაიგებ ვინ რას ჩაიდენს, მითუმეტეს მამაკაცი.

ილომ საყოველწმინდაო შესვა და სუფრაც აიშალა. შეთანხმდნენ, რომ დილით თერთმეტ საათზე შეიკრიბებოდნენ. სტუმრების წასვლის შემდეგ დარეჯანმა ციურის სთხოვა დაესვენა. ციურიმ იუარა, მაინც არ დამეძინება, აგერ სავარძელში “მოვეწყობი”,

თქვენთან მინდა ვიყოო. მიშიკომ და ილომ სტუმრები გააცილეს, უკან მობრუნებულებმა ქალებს მოხმარება შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს და "იძულებულები" გახდნენ დასაძინებლად წასულიყვნენ.

— კარგი დრო გავატარეთ, ყოჩაღ თამადა! მოსაწონი კაცია.

— ილო მართლაც კარგი პიროვნებაა დარეჯან ბიცოლა.

— მიშიკოს ნათესავებიდან თითქმის ყველას ვიცნობ... ილო თქვენთან არასოდეს მინახავს, — ჩაერია საუბარში თეონა.

— სამაგიეროდ მაგისი შვილები გინახავს და ახლოსაც იცნობ. გელა და მზია შარშან მთელი ზაფხული ჩვენთან ხომ იყვნენ...

— თქვენთან კი არა კეჩხობში იყვნენ. მხოლოდ ერთხელ ვნახე ეგენი და ისიც მაშინ შენ და მიშიკომ ძალით რომ წამიყვანეთ მათ სანახავად წასულებმა. ვიცი რომ ორივე მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები არიან, მოსკოვში აქვთ კარგი ბინა და "პოდმოსკოვიეში" დიდებული აგარაკი, მათი მამა სახალინის გეოლოგიური პარტიის უფროსია და თანაც საკმაოდ ფულიანი კაცი, რომელსაც მეუღლე სამი წლის წინათ გარდაეცვალა და დაკრძალულია თბილისში. გელას და მზიას პატარაობიდანვე მეურვეობს ბებია, დედის — დედა, რომელიც ბორჯომში ცხოვრობს და მისი დამსახურებაა, რომ ბავშვები კარგად ფლობენ ქართულ ენას მიუხედავად იმისა, რომ რუსული საშუალო სკოლა აქვთ დამთავრებული. ეს ყველაფერი იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მთელი გზა მხოლოდ ამაზე საუბრობდით, უფრო სწორად ჩემ გასაგონად ყვებოდით. მართალია მზიას ერთი ღამე წასვლის წინ ჩემთან ეძინა და სადგურზეც ერთად გავაცილეთ, მაგრამ ამას ახლო ნაცნობობას ვერ დავარქმევ. ესაა და ეს...

— შვილო! რაც შენ მათ შესახებ მოყევი, მაგდენი რომ ვინმეზე ვიცოდე, ნამდვილად უახლოეს ნაცნობად ჩავთვლიდი.

— დარეჯან ბიცოლა! მთავარი ის კი არაა გელას და მზიას იცნობს თუ არა, სასიხარულო ისაა მათზე ამდენს და ასე სიამოვნებით რომ ლაპარაკობს... — ნეტაი ვისზე ვლაპარაკობ ზიზღით და სიძულვილით.

— გამოტყდი რა იყო! შენ ახლა გელა და მზია კი არა, მათი მამიკო უფრო გაინტერესებს.

— საინტერესო პიროვნებაა და კიდეც მაინტერესებს, რაა აქ საოცარი და საკვირველი.

— გვეშველა დარეჯან ბიცოლა! ჩვენი "მზეთუნახავი" მგონი სიყვარულის ისრითაა დაჭრილი.

— შენ პირს შაქარი შვილო, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, თეონას შესახებ ილომ ჩემგან ყველაფერი იცის. დღეს კი თვითონ მითხრა, — ღმერთივით გოგოა, ქალის ნამდვილი ჩემებრი იდეალიო.

— თეონაზე მაგრე ბევრი ლაპარაკობს და ალბათ უფრო მეტიც ასე ფიქრობს კიდეც, მაგრამ...

— თუ ხათრი გაქვს მაგ "მაგრამს" თავი დაანებე და ბოლომდე მათქმევინე. ილომ ისიც მითხრა, — ხელი რომ ვთხოვო, ხომ არ იუკადრისებს, ჩემი სამსახურეობრივი და ოჯახური ყოფა ხომ არ შეაშინებსო.

— ცუდს ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუ ასე ბრძანა ჭკვიანი და გულისხმიერი კაცი ყოფილა, მაგრამ ჯობია ეს თვითონ თეონას კითხოს.

— მეც აგრე ვურჩიე და კითხავს კიდეც...

— გგონია რომ ამით კარგი გააკეთე?.. მე აქ აღარ გავჩერდები, სანამ ილო და მიშიკო გაიღვიძებენ აქედან წავალ.

— ვითომ რატომ? რომ გაგაგებინე შენზე რას ფიქრობს კაცი, რომელიც მოგწონს, ესაა ცუდი?

— ცუდი ისაა, რომ დარწმუნებული ვარ ილოს ეტყვი: თეონა თანახმაა თუ ხელს თხოვო და გათამაშდება სპექტაკლი, — ის თავდაჯერებული თამადა ჩემთან მოვა, მეც შენგან "მომზადებული" აღფრთოვანებული შევხვდები მის წინადადებას და ფარდა დაეშვება. რა საჭიროა ეს ყველაფერი. შენ მე თავისუფალი მოქმედების საშუალება წამართვი, დამაპროგრამე. ახლა ილოსთან შეხვედრისა ნამდვილად მრცხვენია, ამიტომ გათენებისთანავე სახლში წავალ. პოზიორობას არავის წინაშე არ ვაპირებ. თუ ილოს ჩემი ნახვის სურვილი ექნება, ამას როგორმე მოახერხებს. ისე, რომ იცოდეთ ისეთი მამაკაცია, რომელიც ქალის წინაშე თავის სათქმელს ვერ იტყვის და ამისთვის "კოლექტივს" თხოვს დახმარებას, სულაც არაა ჩემი იდეალი...

— კარგი რა თეო! ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება მაპატიო, მით უმეტეს რომ, მაგის მსგავსიც კი არავისთვის არაფერი მითქვამს. გპირდები, რომ ამ თემაზე ილოს საერთოდ არაფერს ვეტყვი, თუ თვითონ შემეკითხება ვურჩევ, რომ შენ თვითონ დაგელაპარაკოს... თუ გიყვარვარ, არსად არ წახვიდე, თვითონ იფიქრე, რას ემგვანება შენი გაუჩინარება.

ბოლოს როგორც იქნა შეთანხმდნენ. საქმესაც მორჩნენ და თავს ნება მისცეს დაესვენათ. თეონა და დარეჯანი ოთახში მარტო დარჩნენ.

— ციურის უხეშად რატომ ელაპარაკე, მას ხომ შენთვის მხოლოდ კარგი უნდა და მეტი არაფერი.

— იცი რა დედა? ყველა წყნარად იყავით... პატარა აღარ ვარ.

— ამ საღამოს ვეღარ გცნობ... მაგრამ ერთგვარად ეს მახარებს კიდეც. დარწმუნებული ვარ ილოზე სერიოზულად ფიქრობ. ასე რომ არ იყოს ციურის ლაპარაკზე ჩვეულებრივ გაიღიმებდი და ეს ყველაფერი სასაცილოდაც კი არ გეყოფოდა. იფიქრე, კარგად იფიქრე, ეს შენი გადასაწყვეტია და ამაში ცუდი და სასირცხვო არაფერია, მხოლოდ ეცადე, რომ ამთავითვე გაარკვიო ყოველი წვრილმანი თქვენი ერთად ცხოვრებისა... კაცები, თუ ქალი მოწონთ და მასზე სერიოზულად ფიქრობენ, რაც არ უნდა ჯიუტი ხასიათისა იყვნენ, თავიდან შედარებით გულწრფელი და დამყოლნი არიან, რასაც სამწუხაროდ გარკვეული დროის ერთად ცხოვრების შემდეგ ბევრი მათგანი აღარ ავლენს... ახლა დავიძინოთ, თორემ ხვალ კარგად ვერ ვიქნებით. ძილი ნებისა შვილო!

— ძილი ნებისა დედა!

დარეჯანმა საუბრის შეწყვეტისთანავე დაიძინა. თეონამ კი ეს ვერ მოახერხა. მომხდარს აანალიზებდა, მისთვის უჩვეულო რამეებზე ფიქრობდა. ბოლოს თითქოს ყველაფერი გამარტივდა: — რა საჭიროა ამდენი ფიქრი და ტვინის ჭყლეტა იმაზე, რას

მეტყვის და როგორ? ან მე რას ვუპასუხებ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღმერთი ინებებს. ეს გაიფიქრა და იმწამსვე ჩაეძინა კიდეც.

დილით პირველი მიშიკო გამოეცხადათ. გაწყობილი მაგიდა მოეწონა, გაიხარა, — ხუთიანი! ცოტა მეტი შრომა გაგიწევიათ, დღეს გუშინდელზე ნაკლები ხალხი გვეყოლება. ციური სადაა?

— ძინავს. არ დაგვიჯერა, გვიან დაიძინა, სანამ საქმეს არ მოვრჩით ჩვენთან იყო. ყოჩაღ ილო! კარგად ითამადა, როგორაა?

— გვიანობამდე ჩვენც ვერ დავიძინეთ. ნეტა რა დამართე თეო ისეთი, რომ გადარეულია კაცი. შენზე უნდოდა ელაპარაკა, ვეღარ გავუძელი, ჩამეძინა.

— ცოტა ენაწყლიანი ხომ არ არის ეგ შენი ილარიონი? იკითხა თეონამ.

— არა! ამას ილოზე ვერავინ იტყვის, თუმცა საწყალი თავისთავს ნამდვილად არ გავდა. მოკლედ რომ გითხრა მარტო კი არ მოსწონხარ, ნამდვილად უყვარხარ კიდეც. თუ საერთო ენას იპოვით, დიდად გავიხარებთ, არა დარეჯან ბიცოლა?

— რა მიშიკო შორეულში გადასასხლებლად გემეტები?... ილოზე ცუდის თქმას არც ვაპირებ და არც ამის უფლება მაქვს, მაგრამ ვერაფერი ბედენაა, რომ ჯერ ქალისთვის არაფერი უთქვამს და უკვე მთელი ქვეყანა შეჰყარა: მომწონს, მიყვარს და რა ვიცი კიდევ რაო. უფრო მოიგებდა, რომ არავისთვის არაფერი ეთქვა. გუშინ მაგიდასთან მან ხომ ყველაფერი მითხრა უსიტყვოდ, რითაც მართლაც მოვიხიბლე. ახლა კი...

— თეო! ნამდვილად გამაგიჟებ! ვინ ქვეყანა? ვინ ხალხი? შენ დასა და ძმას გულწრფელად გაანდო, რასაც ფიქრობს შენზე, ესაა და ეს.

— როგორც ვხედავ, ერთმანეთს ვერ ვუგებთ. აღარ ვდაობ. მაგრამ მე მგონი სიყვარულის ახსნას და-ძმა არ ესაჭიროება და რამდენადაც ნაკლებს ხმაურობენ და ეკრძალვიან, იმდენად ძლიერი და წმინდაა.

— თუ ქალი ხარ მიწაზე დაეშვი. შენს წინაშე შენზე შეყვარებული ვაჟკაცია, თუ შენც მოგწონს, გულში ჩაეკარი. ისე რომ ჩვენო "ღვთაებავ" ცოტა ამჩატდი. ამსუბუქდი, რომ კაცმა ხელში აგიყვანოს და გულში ჩაგიკრას. — იცი რას გეტყვი ბატონო მიხეილ? იმ შენ დეიდაშვილს ურჩიე ჩემს ნაცვლად თქვენ ნუ გიხსნით სიყვარულს.

— ახლა მომწონხარ! მოდი გაკოცო! აი ასე. წავედი. სტუმრებთან ერთად მოვალ. უკვე შეგიძლიათ შესაწვავიც შეწვათ და გასაცხელებელიც გააცხელოთ. ო-ო...! შენ არა "ანგელოზო", შენ გული და გრძნობები "გაათბე", ველზე გათოშილ გეოლოგს რომ "უმკურნალო".

მიშიკო სიცილით დაეშვა კიბეზე, მოწყენილი არც დედაშვილი დარჩენილან. მალე მათ ციურიც შეუერთდათ.

— კაცის ხმა ისმოდა ვინ იყო?

— ვინ იქნებოდა, მიშიკო იყო... გადაგვჭამა თავის ილოზე ლაპარაკით.

— ეგ არაფერია, პირიქით კარგია, ყურს მიაჩვევ. თქვენ ის მითხარით რაში მოგეხმაროთ.

— ყველაფერი რიგზეა. შენ და თეონამ სტუმრები მიიღეთ. მათთან ერთად იმხიარულეთ, მაგიდას მეც ვეყოფი.

ის იყო ლაპარაკს მორჩნენ და სტუმრებიც შემოვიდნენ. მიშიკოს წინადადებით პირდაპირ მაგიდას მიუსხდნენ. ილო ცოტა გვიან შემოვიდა, მიესალამა, როგორც ახლობელმა დარეჯანს, ციურის და თეონას ლოყაზე აკოცა. თეონას ილოს მანერა არ მოეწონა, მაგარამ ცოტა არ იყოს ეხამუშა. სხვა დროს ამას ყურადღებას არ მიაქცევდა. მაგრამ ის, რაც საკუთარი და ილოს გრძნობების შესახებ იცოდა, აიძულებდა ასე ეაზროვნა. ილომ ესეც არ იკმარა და თავის გვერდით სკამი შესთავაზა. თეონამ, რა თქმა უნდა, შეიფერა, მაგრამ ტაქტიანად უთხრა:

— გმადლობთ! საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად ხომ არ აფასებთ ბატონო "გეოლოგო"?

— ნამდვილად არა. მხოლოდ იმას ვცდილობ უკეთესი ვიყო.

— მისასალმებელია! თვითაღზრდა დიდებული სვლაა უკეთესობისაკენ, თუ ის სწორადაა წარმართული.

მიშიკომ, რომელიც არ დაინტერესებულა, თუ ვინ რაზე საუბრობდა, სასმისი აიღო და ილოს თამადობის გაგრძელება შესთავაზა, როგორც ელოდა, ყველამ მხარი დაუჭირა და თამადა "საქმეს" შეუდგა. მრავალი შესანიშნავი სადღეგრძელო შესვეს. ბევრი იმღერეს, იცეკვეს, იცინეს. ერთი სიტყვით დიდებულად მოილხინეს და ის იყო "აშლას" აპირებდნენ, რომ მიშიკომ სადღეგრძელოს თქმის უფლება ითხოვა. თამადის თანხმობის შემდეგ სასმისით ხელში ფეხზე ადგა და ქალის, განსაკუთრებით კი დედის სადღეგრძელო შესვა, ალავერდი ილოსთან გადავიდა.

— ალავერდის მადლი შეგეწიოს ჩემო მიშა. გაუმარჯოს ქალს, განსაკუთრებით კი დედას. დიდება იმ ქალს, რომელსაც დედობა ბედნიერებად და თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია, როგორც მედიკები ამტკიცებენ დედის ძუძუნაწოვი კაცი სულ სხვა კაცია. ქალისა და მამაკაცის დღევანდელი "თვითმიზანი", — თანასწორობა, ცინიზმია და სხვა არაფერი, რომლის შედეგია დამნაშავე მცირეწლოვანები, უსიყვარულო და დანგრეული ოჯახები, ერთმანეთისათვის სიცოცხლეშივე მკვდარი მეუღლეები, გაკაცებული დედაკაცები, რომელთაც ქალად ვეღარ აღიქვამ, ვერ შეიყვარებ და ა.შ არ მესმის, ვერ გამიგია რისთვის უნდა ცდილობდნენ ქალები გახდნენ პოლიციელები, გამომძიებლები, პროკურორები, მოსამართლეები, ტანკისტები, მფრინავები, ტრაქტორისტები, კოსმონავტები, ფეხბურთელები, მემანქანეები, მოჭიდავეები და ა.შ. და ამას თვითონ ქალები თვლიდნენ ეპოქის მიღწევად, საჩუქრად, ხოლო შვილის გაჩენას, მისთვის ძუძუს წოვებას უსიამო, არქაულ მოვლენად. მაპატიეთ ამდენს რომ ვლაპარაკობ, მაგრამ მომკალით და ვერ ვიტან "ამორძალებს". არის პროფესიები, რომელიც ქალმა შეუძლია შეასრულოს ისე, რომ დედობა განახორციელოს, ქალურობა არ დაკარგოს. ქალურ სინაზესა და სიმორცხვეს, ქალის ქალურობას ვეთაყვანები. ქალს, დედას გაუმარჯოს!.

ინტერესით უსმენდნენ. სადღეგრძელო ერთხმად შესვეს, არავის არაფერი უთქვამს, თეონამ სასმისი აიღო, ღვინო მოსვა და ილოს ხმადაბლა უთხრა:

— არ გედავებით, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის, რაც ქალისთვის, მისი დედობისთვის არამომგებიანი და ზიანის მომტანია და ის იძულებულია ასეთი საქმე აკეთოს, ეს საზოგადოების ბრალია და არა ქალის, ქალს არ უნდა დაეკისროს ისეთი ტვირთი, რაც მის ბედნიერებასა და ქალურობას ავნებს.

— ჩვენ ერთსა და იმავეს ვამტკიცებთ. ალბათ გასაგებად ვერ ვთქვი, უპასუხა ილომ და სავსე ბოკალით ხელში ფეხზე წამოდგა. ყველანი ადგნენ, კიდევ ერთხელ სტუმრებმა მიშიკო და მისი ოჯახი დალოცეს, მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

დარეჯანმა და თეონამ იქაურობა მიალაგეს და წასვლა დააპირეს. მოულოდნელად ციურიმ თხოვა:

— რაღაც თავს კარგად ვერა ვგრძნობ, ამაღამ ერთ-ერთი ჩემთან დარჩით. რადგან უკვე 20 აგვისტო თენდებოდა და თეონა სკოლაში უნდა გამოცხადებულიყო ციურისთან დარეჯანი დარჩა. თეონამ დარეჯანს და ციურის აკოცა, ჩანთა აიღო და გასასავლელისაკენ გაემართა. მიშიკო და ილოც გამოყვნენ.

— ილო გაგაცილებს, გვიანია, მე ციურისთან დავრჩები, სამშობიაროში წაყვანა რომ დასჭირდეს, დროულად მივხედავ.

— არაა საჭირო. უცხო ქალაქში ხომ არა ვარ... მაგრამ რადგან ასე გსურთ... წავიდეთ!

თეონამ ილოს მკლავი გამოდო და ტროლეიბუსების გაჩერებისაკენ წავიდნენ. მარჯანიშვილის მოედანზე ჩამოვიდნენ და ბინისაკენ გაემართნენ. აი ბინაც, თეონამ ილო ყავაზე მიიწვია.

— დიდი სიამოვნებით, თანაც აუცილებელია დავრწმუნდე, რომ სახლში თქვენი ნებართვის გარეშე არავინ შესულა.

კარის ზღურბლს გადააბიჯეს, თეონამ ჩამრთველს ხელი დააჭირა, ნათურა აინთო და იმწამსვე ჩაქრა, გადაიწვა. გაეცინათ. ჭაღის ასანთებად თეონამ ოთახში შესვლა დააპირა, უნებურად დარეჯანის მიერ კარებთან დატოვებულ ფაჩუჩებს წამოედო და იატაკზე დაეცა. ილო იმწამსვე დაიხარა, რომ წამოეყენებინა, მაგრამ ნასვამმა თავი ვეღარ შეიმაგრა და თეონას დაეცა. არაფერი სტკენიათ და არც ერთმანეთისაგან განთავისუფლება უცდიათ. ილომ უნებურად თეონას მკერდზე ბაგემიყრდნობილმა სათუთად აკოცა, შემდგომ ისე, რომ სიჩუმე არ დაურღვევიათ, ხელში აიყვანა, ფანჯარაში შემოსულ ქუჩის ფერმკრთალ სინათლეზე ტახტი მოძებნა და ზედ დააწვინა, გვერდით დაუჯდა. მოეფერა, თვალები დაუკოცნა და ბაგეზე დაეკონა. ნათურის ანთების საჭიროებას აღარ გრძნობდნენ. თეონამ ოდნავ გასაგონი ხმით წაიჩურჩულა: არა რა ილო!, არა შენი ჭირიმე, ახლა არა! ტახტზე წამოჯდა და ილოს მარჯვენა ხელი "დააპატიმრა". ადგა "ნაჩნიკი" აანთო და ტახტზე მწოლიარე ილოს გვერდით დაუჯდა. ილომ ხელი შემოხვია, გულში ჩაიკრა და რამდენადაც შეეძლო "მშვიდად" უთხრა:

— ჩვენი სათქმელი უკვე ითქვა არა თეო?

— მგონი კი "ბატონო" გეოლოგო, თუმცა თქვენ სამომავლო გეგმებს სიტყვიერადაც მოვუსმენო.

— მხოლად და მხოლოდ შენს მოტაცებას ვაპირებ. მაგრამ ჯერ ვერ მომიფიქირებია რომელ "ციხე-ქალაქში" გამოგკეტო. რა თქმა უნდა, თქვენი არჩევანი მხედველობაში იქნება მიღებული.

— არჩევანის თავისუფლებისათვის დიდად გმადლობთ, რამდენადაც თქვენი "ციხექალაქის" გეოგრაფია ჩემთვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი, გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით ცნობებს არ ვსაჭიროებ.

— საიდან ფლობთ ასეთ ინფორმაციებს არ გეკითხებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ ჩემი კონსულტანტობის გარეშე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდებათ.

— მრავალუცნობიანი განტოლების ამოხსნას ნამდვილად არ ვაპირებ, თქვენგან მიღებული პასუხით გპირდებით დავკმაყოფილდები.

— იცი რას გეტყვი? მე გეოლოგი ვარ და არა დიპლომატი. ქარაგმებს შევეშვათ. ჩვენებს ჩვენი გადაწყვეტილება გავაგებინოთ და ვიქორწინოთ. დანარჩენი თავისთავად აეწყობა.

— ე .ი. მიგაჩნია, რომ საბოლოო "გადაწყვეტილება" უკვე მიღებული გვაქვს?

— დიახ! და აი ამის დასტური...

ილო ტახტზე ჩამოჯდა, თეონა კალთაში ჩაიჯინა და თეონასათვის უჩვეულო საამო ტკბილი კოცნა-ალერსი დაუწყო. თეონა არ აყვა, თავი შეიკავა ამ მეტად საამო "კოცნებისაგან" და ტახტზე გადაჯდა. ტელეფონმა დარეკა. ყურმილი აიღო:

— ჰო! მე ვარ, — მიშიკოა შენთან ლაპარაკი უნდა.

— ჰალლო! ცოტა შევყოვნდი, სადარბაზოში ნათურა გადაიწვა და გამოვცვალე. ახლა ყავას მივირთმევთ... კარგი... აუცილებლად.

ილომ ნათურა გამოცვალა, აანთო, ისევ ჩააქრო, "გორკაც" დაიძახა და თეონა გულში ჩაიკრა.

— თეო! როგორ არ მინდა წავიდე, ჩვენებთან დავრეკოთ და ვთხოვოთ, რომ ყველა აქ მოვიდეს.

— მინდა რომ ერთი ღამე მაინც ჩვენი სიყვარული საიდუმლოდ დარჩეს. გაიღიმა თეონამ და ილოს გასაცილებლად წამოდგა.

— გემორჩილები, წავედი, ხვალამდე!

ერთმანეთს აკოცეს. ილო ქუჩაში გავიდა. თეონამ კარები ჩაკეტა. ტახტზე წამოწვა და ფიქრებს მიეცა: უცნაური არსებაა ადამიანი... რა მინდა, რას ვნერვიულობ, რას ვეძებ ეს შუახნის ქალი?... ალბათ მარტოობიდან გაქცევა, ახლობელი, საყვარელი მამაკაცი ქალს მე მგონი ეს ყველაფერზე მეტად სჭირდება. საოცარია, ნამდვილად საოცარი. ისე ვარ "მონუსხული" კიდეც, რომ ვიცოდე, რომ ყველაფერი ისე არ იქნება როგორც მომავლისათვის ვფიქრობ, მაინც არ ვეტყვი ილოს უარს ცოლობაზე. ყოველგვარი "პირობის" გარეშე ილო ჩემთვის უკვე ის კაცია, ვისთანაც სარეცელის გაყოფა არამც თუ მეჩოთირება, არამედ "მეჩქარება" კიდეც. ოჰ! ერთი ილომ გამიმართლოს, ისეთი გამოდგეს როგორიც ჩანს და მე მინდა, დანარჩენი ყველაფერი კარგად იქნება. მაინც როგორი მინდა იყოს? როგორი და კეთილგონიერი, ერთგული, მამაცი, ავკარგიანი, მოსიყვარულე, "ბირჟაზე" ავტორიტეტიანი, ხელგაშლილი. ძუნწებსა და ხარბებს ვერ ვიტან... ღმერთო დამიფარე, ღმერთო...

ასეთ ფიქრებში თეონას ტკბილად ჩაეძინა. კარგად გათენებული იყო რომ გაიღვიძა. თავზე სახეგაბადრული დარეჯანი ედგა.

— ციურის ქალიშვილი შეეძინა. ნორმალური ბავშვია. რაც მთავარია, დედაცა და შვილიც ორივე დიდებულადაა.

— რატომ არ დამირეკეთ, მოვიდოდი... რას არქმევენ? ნათლიად ვინ უნდათ?

— ნათლიად ილო უნდათ, სახელის შერჩევაც მას მიანდეს. შენთან დარეკვა მინდოდა გამეღვიძებინე, მაგრამ არ დამანება, ჯობია დაისვენოსო.

— ჩემთვის რომ ეკითხათ ქეთინოს დავარქმევდი. მაგრამ რადგან ილოს მიანდეს კატიას ან ნასტიას დაარქმევს. მათზე უკეთ აქვს ყური მიჩვეული.

— თუ სიმართლე გინდა იცოდე, შენი სახელი მოსწონს, თეონა უნდა დავარქვაო გვითხრა დაბეჯითებით.

— ქალის სხვა სახელი თბილისში ამჯერად ყოფნისას ალბათ არც წარმოუთქვამს და ბუნებრივია არც მოაგონდებოდა. თუმცა ამის მოსმენა მაინც მსიამოვნებს.

— ილომ პატიება გთხოვა, წასვლისას რომ ვერ გნახა... თვითმფრინავის პირველი რეისით დილით მოსკოვში გაფრინდა... გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა. მიშიკო გააგებინებს და ციურის სამშობიაროდან გამოწერის დღეს მზიასთან ერთად ჩამოვა. გადავწყვიტეთ თქვენი ნიშნობა პატარა თეონას ნათლობამდე მოვაწყოთ, ილომ ყველაფერი გვითხრა და ისიც დასძინა, რომ საქმე თვითონ გვიჩვენებს სად ვიცხოვრებთო... კეთილგონიერი, განათლებული კაცია... მხოლოდ ეგაა, რომ "გამოცხადება" დააგვიანა.

— თითქოს ვეღარც ვაზროვნებ დედა! უკვე აღარაფის შეცვლა აღარ შემიძლია. ილო ჩემთვის "სხვა" ნამდვილად აღარაა. ასე მგონია მთელი სიცოცხლე მის გამოჩენას ველოდი...

— მჯერა რომ ბედნიერები იქნებით. ორივე ისეთი კარგები ხართ, არსად არაფერი არ გაგიჭირდებათ. ერთმანეთი უკვე გიყვართ და დარწმუნებული ვარ ეს გრძნობა არასოდეს დაგტოვებთ. მხოლოდ ეგაა, რომ პატარა ეგოიზმი მეც მაქვს, — ჩემი ბედნიერებაც მინდა, რისი მთავარი პირობა თქვენი ჩემს გვერდით ყოფნაა. თუ ესეც ვერ მოხერხდება, თქვენი კარგად ყოფნით მაინც ბედნიერი ვიქნები. მე არ დაგაბრკოლებთ, თვითონ განსაზღვრეთ თქვენი ცხოვრების გეოგრაფია.

— დედა! ამ ოცი წლის წინათ რომ მეთქვა ქვრივი, ჩემზე 12 წლით უფროსი შვილებიანი კაცი მიყვარს და ცოლად უნდა გავყვეთქო, რას მეტყოდი, ბედნიერად ჩათვლიდი თავს?

— ამას შვილო მაშინ ვერც ვიფიქრებდი და არც ვიფიქრებდი. დღეს კი, ამ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენ ვართ და თუ გნებავს ილოც, თქვენი შეუღლება ნამდვილად გონივრულია და გასახარებელი. მარტო სული არც ქალი და არც მამაკაცი არ შეიძლება ბედნიერი იყოს. ბედნიერება წყვილთა ხვედრია. დაწყვილება სრულყოფისა და ბედნიერების საფუძველთა საფუძველია.

— რატომღაც მეგონა ორი სიტყვით იტყოდი, დღეს უკეთესი "ვარიანტი" ჩემი გათხოვებისა და ილოს ცოლის შერთვისა რომ არ არსებობს. ამას მეტყვი თუ არა აზრი მე ხომ ვიცი, რომ დამაგვიანდა, ნამდვილად შემაგვიანდა დედა! შენი აზრი მაინტერესებს, — ილო აქ გადმოვიდეს სამუშაოდ, თუ იქ გავყვე, სადაც დღესაა დასაქმებული.

— ერთად უნდა იყოთ. სადაც ქმარია ცოლმაც იქ უნდა იცხოვროს. როგორც ილო ინებეს და სიტუაცია გიკარნახებთ, ისე გააკეთეთ. მე ერთს ნამდვილად გირჩევთ, — ილო დაითანხმე და "თაფლობის თვე" აქ თბილისში, ჩვენთან, საკუთარ სახლში გაატარეთ. სანამ ციური არ მომაგრდება და ბავშვის მოვლას არ ისწავლის, მე მასთან ვიქნები. თქვენ აქ დამოუკიდებლად იცხოვრეთ, ერთმანეთს შეეჩვიეთ და ბევრ რამეზეც ილაპარაკეთ.

— დედა! ილომ არ გითხრათ როდის დაბრუნდება თბილისში?

— არ მისმენ შვილო? ხომ გითხარი ციურის სამშობიაროდან გამოწერის დღეს, მაქსიმუმ ერთ კვირაში.

— საკმარისი დროა მოვემზადო და ჯვრისწერის შემდეგ იქ გავყვე საცხოვრებლად, სადაც თვითონ ისურვებს.

— როგორც საუბრიდან შევიტყვე გაბეზრებულია "შორეულში" ყოფნით და მგონი აქეთ აპირებს სამუშაოდ გადმოსვლას. მისი იქ ყოფნისა და მუშაობის შესახებ ხელშეკრულებას უკვე დროც გასვლია. ასე რომ, მგონი საქართველოს გარეთ არ მოგიწევთ ცხოვრება.

— ილოს მეუღლის საფლავი რომ ვიცოდე მივიდოდი, მივხედავდი, სანთლებს ავანთებდი. გულწრფელად პატიებას ვთხოვდი. ასე მგონია მას და ილოს თითქოს მე ვაცილებ ერთმანეთს... მისი მხოლოდ სახელი გავიგე — ნინელი რქმევია...

— ნინელის საფლავს შენ ნამდვილად ისე უნდა მოუარო, როგორც თქვენი ოჯახის უახლოესი ადამიანისას. ის ხომ თქვენი შვილების მზიას და გელას დედაა. რამდენადაც წმინდა და უანგარო იქნება შენი სიყვარული მათდამი და მათი და ახლობლებისადმი, იმდენად მეტად შეგიყვარებენ. მაგრამ ეს უნდა გააკეთო მის შემდეგ, როდესაც ილოს მეუღლე გახდები. ახლა კი შენი ზედმეტი აქტიურობა უბრალო "მატრაკვეცობად" ჩაგეთვლება, რასაც მჯერა, რომ შენ არ გააკეთებ.

თეონა დედას კალთაში ჩაუჯდა, კოცნა და მოფერება დაუწყო. დარეჯანს მისი ასეთი საქციელი დიდად ეამა და ღიმილით უთხრა:

— კარგი, კარგი, ნუ დამღალე. ასე მოგდის — ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო. მომისმინე! ციურის შინ დაბრუნებამდე მიშიკო ჩვენთან ისადილებს ხოლმე, ციურისაც საჭმელი უნდა მივუტანოთ სამშობიაროში.

— ეგ არაფერი, სკოლაში დილით ნახევარი საათით ადრე წავალ ხოლმე და სამშობიაროში მისვლასაც თავისუფლად მოვასწრებ.

* * *

თეონა და მიშიკო ერთად მოვიდნენ. ისადილეს. მიშიკომ უთხრა, რომ ციურის სამშობიაროდან ზეგ, პარასკევს გამოწერდნენ და სთხოვა "პატარა თეონას" მისაღებად ბინა მოემზადებინათ.

ციურის სამშობიაროდან გამოწერის წინა დღეს დარეჯანი სამზარეულოდან არ გამოსულა. ხოლო თეონა თეონასთვის "თეთრეულს" აწესრიგებდა. სადილზე მოსულმა მიშიკომ შეატყობინა მათ, რომ საღამოს 11 საათზე ილო და მზია აეროპორტში იქნებიანო.

— დარეჯან ბიცოლა, მზია თქვენთან დააძინეთ, ილო ჩვენთან მოეწყობა. ასე უფრო კომფორტულად და მოხერხებულად ვიქნებით.

აეროვაგზლიდან ყველა ჩვენთან მოდით. აქ ვივახშმოთ და მერე როგორც აჯობებს, ისე გადავწყვიტოთ.

— აეროდრომზე მე და თეონა წავალთ, ილოს და მზიას შევხვდებით, შემდეგ კი ვახშამზე გეწვევით! სწორად გავიგე დარეჯან ბიცოლა?

— აეროდრომზე წასვლამდე შენ და თეონამ თქვენთან შეიარეთ. იქაურობა მოაწესრიგეთ. ვიცი როგორი “მოვლილიც” იქნება სახლ-კარი.

— ყველაფერი დიდებულადაა, მაგრამ რადგან შენ გინდა, შევივლით. წავედით!

— კი მაგრამ მე არ მეკითხებით აეროდრომზე წამოვალ თუ არა? ციურის დავპირდი საღამოს მასთან უნდა მივიდე და გვიანობამდე დავრჩე. რაც შეეხება “ბატონ მიშას” სახლის დალაგება-მოწესრიგებას, ხვალ დილით მაინც უნდა მივიდეთ და ციურის მოსვლამდე ბინას კი არა ქუჩასაც მოვაწესრიგებთ... არავითარი შეკითხვები, გადაწყვეტილება საბოლოოა.

— არც არაფერს გეკითხები. შენთან კამათი უაზრობაა. სამშობიაროში მოგაკითხავ. წავედი, მაგვიანდება.

— გესმის დედა? “აგვიანდება”. ახლა ხომ გჯერა, რომ სახლში მარტო მიმაცილებდა, თვითონ კი “საქმეზე” წავიდოდა. “აგვიანებს”! “ელოდებიან”!

— კარგი რა შვილო! არ წახვალ და ნუ წახვალ, ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ აგრე შენს ნებაზე სანამ გინდა იყო? იცოდე არ მომწონს...

— ვასწრებ დედა! ვასწრებ! ასეთი თეონა ცოტახანს კიდევ ამიტანეთ, თქვენი შეგონებითა და, რაც მთავარია, ჩემი სურვილით, მალე სხვის ნებაზე მოსიარულე გავხდები.

— მეტი არაა დარეჯან ბოცოლა ჩემი მტერი, მაგას არაფერი ეშველოს.

— მიშიკო! იცოდე ციურისთან გელოდები.

თეონა თავის ოთახში ავიდა დასასვენებლად. დარეჯანს დაუბარა 7 საათზე გამაღვიძეო. დარეჯანმა უჩვეულოდ შეხედა, მისი საქციელით გაოცებულმა პირჯვარი გადაიწერა. — ამ ერთ დღეში რა მოუვიდა, რამ შეცვალა? რაღაც მეტისმეტად “მიწიერი” გახდა. თუმცა იმას რაც იყო, ნამდვილად ასე ჯობიაო გაიფიქრა და სამზარეულოში ფუსფუსი განაგრძო.

თეონა დასაძინებლად კი დაწვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიძინა. ილოს ჩამოსვლა ახარებდა, უხაროდა ისიც, რომ მზია ჩამოდიოდა, გაიხსენა მზია და გელა წაღვერიდან რომ ჩამოვიდნენ, ორი დღე თბილისში დარჩნენ. ის დღეები მზია სულ თეონასთან იყო, სახელს — თეონას ეძახდა. მის გვერდით ეძინა, როგორც უფროს დას ისე ექცეოდა. გამომშვიდობებისას თვალები ცრემლებით აევსო. თეონამ მაშინ ნამდვილად არ იცოდა, რომ მზიას “მამიკო” ესოდენ მომხიბლავი პიროვნება იყო.

დარეჯანმა თეონა ზუსტად 7 საათზე გააღვიძა და დაახლოებით 20 წუთის შემდეგ დედა-შვილი მიშიკოს ბინას პატარა თეონას მისაღებად ამზადებდნენ. ხოლო უკან თავიანთ ბინაში დაბრუნებულებს, როდესაც აეროდრომზე წასასვლელად მიშიკომ მოაკითხათ, სუფრაც გაწყობილი ჰქონდათ, რამაც მიშიკო დიდად გაახარა.

— დარეჯან ბიცოლა! ამდენს ვის ელოდები, ამხელა მაგიდა რომ გაგიშლია?

— ორი ჩამოდის, სამი ჩვენ ვართ. შენი, ციურისა და თეონას მეგობრებიდან არავინ გინდა მოიწვიო?

— დღეს ნამდვილად არავინ მინდა, მინდა მარტო ჩვენ ვიყოთ. ვიცი, რა ლაპარაკიც მომიწევს და ნაკლები სურვილი მაქვს “ფართო” წრეში ვისაუბრო.

— მადლობა ღმერთს, რომ ასე მსჯელობ. ეტყობა თანდათან “ბრძენდები”... მომეხმარე მაგიდა დავკეცოთ.

— მიშიკო, ჩემი წასვლის დროა.

— წავიდეთ! “სასიდედრომ დამიწუნა, დამიწუნა მითხრა ვარი”... ჩაიღიღინა მიშიკომ, დარეჯანს აკოცა და თეონასთან ერთად კიბეზე დაეშვა.

თვითმფრინავის რეისმა დააგვიანა, ნაცვლად თერთმეტისა ღამის პირველ საათზე მოფრინდა. მიშიკომ “მოახერხა” და ტრაპის მიდგმისთანავე პირდაპირ თვითმფრინავთან იყვნენ. სასწაული! მგზავრთაგან პირველი მზია და ილო გამოჩნდნენ. მზიამ შეამჩნია, მამა მოახედა და მათკენ გამოემართნენ. ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს, ტვირთის მისაღებ მაგიდასთან ერთად მივიდნენ, ჩემოდნები აიღეს, მიშიკოს მანქანაში ჩასხდნენ და შინისაკენ წავიდნენ.

* * *

მობრძანდით!, მობრძანდით! სადარბაზოს კართან შეეგება დარეჯანი, სტუმრები გადაკოცნა და შინ შეუძღვა. მზია სააბაზანოში წყლის გადასავლებად შევიდა. იქიდან გამოსულმა — დიდებული წყალიაო ურჩია ილოს და ისიც სააბაზანოში შევიდა. მსუბუქად ივახშმეს. სასმელზე უარი თქვეს, ქალებს გამოეთხოვნენ, მხოლოდ თითო ჭიქა კონიაკი გადაჰკრეს და დასაძინებლად წავიდნენ. მათი წასვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, თეონა და მზია ერთმანეთის გვერდიგვერდ იწვნენ და ტკბილად საუბრობდნენ. სრულიად ბუნებრივად მზიამ საუბარი შეწყვიტა, თეონასკენ მოიწია, ლოყაზე აკოცა და ჩაეხუტა.

— თეო! როგორ მიხარია რომ ერთად ვიცხოვრებთ. მამამ მე და გელას ყველაფერი გვითხრა. ერთი სული მქონდა როდის გნახავდი და მოგეხვეოდი... მამა კარგი კაცია. ნახავ როგორ კარგად ვიქნებით. ერთი რამ უნდა მაპატიო, ჩემთვის “თეონა” იმდენად ახლობელი და საყვარელი სახელია, რომ ყოველთვის “თეოს” დაგიძახებ... განსაკუთრებით ის მიხარია, რომ მამასაც ჩემსავით უყვარხარ. რა ტკბილი ხარ თეო... რა საყვარელი...

მზია ისე ეხვეოდა, ისეთი გრძნობით ლაპარაკობდა, რომ თეონას ცრემლები მოერია, ილოს და მისი შვილებისადმი პატივისცემა და სიყვარული განუზომლად გაუცხოველდა. “დედა-შვილი” ერთმანეთს კოცნიდნენ, ეფერებოდნენ, სიჩუმე ხატოვნად მეტყველებდა. თეონამ თავისთავში ილოს ოჯახის დიასახლისი, მისი შვილების დედა აღმოაჩინა და ისე, რომ თვითონაც გაუკვირდა დინჯად ალაპარაკდა:

— ჩემო საყვარელო! ჩემო პატარა ქალო! ერთად ცხოვრებით მჯერა, რომ ერთმანეთს მართლაც ვაამებთ, მაგრამ ამას როგორ მოვახერხებთ ასე ცალ-ცალკე თუ ვიქნებით — ჩვენ სახალინზე, თქვენ კი მოსკოვში. მე ხომ ილოს ვერ ვუკარნახებ, თუ სად იმუშაოს და იცხოვროს, მით უმეტეს, რამდენადაც მე ვიცი, ეს არც მთლად მარტო მასზეა დამოკიდებული.

— ეგ ყველაფეი მოგვარებულია. მამა ახლა შვებულებაშია, ხოლო შვებულების დამთავრებისთანავე სახალინის მხარის გეოლოგიური სამმართველოს უფროსს, რომელიც უკვე დანიშნულია, გადააბარებს უწყებას, თვითონ კი დაინიშნება კავკასიის

ნავთობმიების სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ. მე და გელაც თბილისში ვიცხოვრებთ და ვისწავლით, ყველა ერთჭერქვეშ ვიქნებით და ვიცხოვრებთ. დედაჩემის საფლავზეც ერთად მივალთ ხოლმე. ხვალ თუ ზეგ შენ და მამა სოჭში წახვალთ დასასვენებლად, მთელი თვე მამას მეგობრის აგარაკზე იცხოვრებთ. მე აქ ვიქნები, ინსტიტუტში ვივლი ლექციებზე და ციური ბიცოლას დავეხმარები. გელა ახლა უნგრეთშია — ისვენებს, ოქტომბრისათვის ისიც თბილისში იქნება. ხედავ თეო? შენი გამოისობით ქართველები საქართველოში ვბრუნდებით. იმიტომ რომ ჩვენი საყვარელი თეონა ხარ...

ერთმანეთს მოეხვივნენ, იცინეს, სხვა თემებზე ისაუბრეს და აგერ-აგერ გამთენიისას დაიძინეს. დილით დარეჯანი საუზმის თადარიგს შეუდგა. ილო და მიშიკოც მოვიდნენ. მიუხედავად დარეჯანის წინააღმდეგობისა "გოგოები" გააღვიძეს და ადგომა "უბრძანეს". მათაც სწრაფად ჩაიცვეს, მოიკაზმნენ და ერთობ მოწესრიგებულები წარუდგნენ. მოილაპარაკეს, რომ ციურისა და პატარა თეონას 12 საათისათვის შინ მოიყვანდნენ. 2 საათზე მიშიკოსა და მზიას მოწმეობით ილო და თეონა ხელს მოაწერდნენ, ქაშუეთის ტაძარში ჯვარს დაიწერდნენ, შემდეგ ისევ მიშიკოსთან მობრუნდებოდნენ. შეთანხმდნენ: სანამ ილო და თეონა სოჭში წავიდოდნენ დარეჯანი და მზია ციურისთან იცხოვრებდნენ, საქმეში შეეშველებოდნენ.

* * *

გავიდა წლები. მიუხედავად ილოს სურვილისა, თეონამ შვილი არ გააჩინა. ბოლოს და ბოლოს ილომაც ირწმუნა რომ ასე ჯობდა.

— ილო, გენაცვალე! გელა და მზია ხომ ჩვენი შვილებია, თანაც ისეთი კარგები არიან, უკეთესს ვერც კი ინატრებს კაცი.დროზე დავაქორწინოთ, იმდენი შვილი გავაზრდევინოთ, რამდენსაც ღმერთი მისცემთ და ისურვებენ, შვილიშვილები ხომ იგივე შვილებია. ჯობია მათ შევუწყოთ ხელი, რომ უკეთ გაართვან თავი ცხოვრებას. თუ შვილს გავაჩენთ საზრუნავი მოგვემატება. მზიასა და გელასთვის ნაკლები გვეცლება. ამას არც ისინი იმსახურებენ და ეს არც ჩვენ გვეკადრება.

თეონა იმას ლაპარაკობდა რაც ღრმად სწამდა და სჯეროდა. მზია კი როდესაც თეონასთან მარტო რჩებოდა, ალალად ეტყოდა ხოლმე:

— თეო! იცი როგორ მინდა პატარა და ან ძმა მყავდეს? შენ არ გაგაწვალებ, მე გავზრდი, გვერდიდან არ მოვიშორებ, სულ ჩემთან ვიყოლიებ...

ჩემო საყვარელო, ჩემო კარგო, შენ პატარა და ან ძმა კი არ გინდა, უკვე დედობისათვის ხარ მზად და ბუნება გკარნახობს "პატარა" თვითონ გააჩინო. იჩქარე ჩემო "პატარა", იჩქარე, უკვე აგვიანებ, შენი შვილები მე მეხელწიფება გავზარდო, სასაცილო ხარ ჩემო გოგუცუნა, ჩემო კარგო, მოდი მოგეფერო ჩემო "პატარა" ქალო.

თეონასა და მზიას ურთიერთობა იმდენად გულწრფელი და ზნეკეთილი იყო, რომ თვითონ ილოს უკვირდა და აოცებდა.

თეონას მოსიყვარულე გული, მაღალი ზნეობა და ქალურობა მთელ ოჯახსა და ნათესავებს სიყვარულითა და ურთიერთ პატივისცემით ადუღაბებდა. უყვარდათ, მისი სჯეროდათ და ენდობოდნენ. საყვარელი ოჯახი! საყვარელი სამსახური! კეთილად

განწყობილი კოლეგები! მეზობლები! ნათესავები! ახლობლები! და ა.შ. რისი უპირველესი მიზეზიც თვითონ იყო. თეონას, როგორც ქალს, ოჯახის დედას და ერთგულ მეუღლეს, აკმაყოფილებდა და ბედნიერს ხდიდა. ილო ხშირად ხუმრობით ამბობდა: მიკვირს რა ვაამე ღმერთს იმის ფასი, რომ დედამიწაზე ერთადერთი კეთილგონიერი ქალი შექმნა და ისიც მე მარგუნაო.

კეთილგონიერება, ერთგულება, ზნეკეთილობა, სიყვარულის ნიჭი, ყოველთვის დიდი განძი იყო და განუზომლად ფასობდა. თეონა ერისთავისთვის ეს ყველაფერი რწმენაა, მისი რელიგიაა, ცხოვრების წესია. ტვინს ვიჭყლეტთ, აზრებს ვაწვალებთ, ზოგს "სხვის შვილებს" ვეძახით, ზოგს კიდევ ჩვენსას. თეონასათვის კი არიან ბავშვები, შვილები — ადამიანები, რომლებსაც სიყვარული, თანადგომა და ზრუნვა სჭირდებათ. ისე როგორც ეს მას სწამს და აკეთებს კიდეც.

8 მარტი, 1974 წელი.

სიყვარული გზად და ხიდად

საკუთარ თავში რამდენადაც მეტ ნაკლს
აღმოაჩენ, შენს გვერდით იმდენად მეტი
უნაკლო ადამიანები აღმოჩნდებიან.

არამც თუ ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, არამედ მთელ უნივერსიტეტში თალიკო ბურკაძე ერთ-ერთი მშვენიერი და კეთილგონიერი გოგო იყო. მისი მშვენიერებით მარტო ბიჭები კი არა, გოგოებიც კი აღტაცებულნი იყვნენ. უყვარდათ, მეგობრობდნენ და მიუხედავად მისი ესოდენ ქალური უპირატესობისა, არ ჰქონდათ შური. ამის მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ თალიკო მეტოქედ აღარავის მიაჩნდა. მთელმა უნივერსიტეტმა იცოდა, რომ ის და იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი, ქართულ ჭიდაობაში უნივერსიტეტისა და საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, — დავით მარსაგიშვილი შეყვარებულები იყვნენ. დათო და თალიკო ისეთი ლამაზი წყვილი იყო, რომ მათ შენატროდნენ მხოლოდ. ისინი არა მარტო ლამაზი გარეგნობითა და კეთილგონიერებით იყვნენ მსგავსი, მსგავსი იყო მათი ოჯახური გარემოც და ცხოვრების წესიც: მამა ორივეს ომში ჰყავდა დაღუპული; ორივე თბილისელი იყო; იყვნენ კარგი სპორტსმენები: დავითი სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე, თალიკო კალათბურთელი, უნივერსიტეტის ნაკრების წევრი; ორივე სწავლობდა წარჩინებით; გამოირჩეოდნენ თავმდაბლობით და მაღალი კულტურით. დათოს უპირატესობა მხოლოდ ის იყო, რომ დედა ჰყავდა ცოცხალი, თალიკოს კი დედა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გარდაეცვალა, ბებია, — ხარაგაულელი მაჭავარიანის ქალი უვლიდა და პატრონობდა. მარიამ ბებოსაგან თალიკო ბევრი რამით, მაგრამ გარეგნობითა და გონიერებით განსაკუთრებით იყო დავალებული.

დათომ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, თალიკომ უნივერსიტეტი დაამთავრა, დაქორწინდნენ, უნივერსიტეტშივე დარჩნენ სამუშაოდ. მარიამ ბებია და დათოს დედა

— მაკა მიქელაძე, მათი ბედნიერებით ხარობდნენ, ერთმანეთთან ნამდვილი დედაშვილური ურთიერთობა დაამყარეს, რითაც ცხოვრება დიდად გაილამაზეს და გაიუკეთესეს.

ქორწინების მეორე წელს თალიკომ და დათომ ზაფხულის შვებულება ძირითადად შინ მაკასა და მარიამთან გაატარეს, მხოლოდ აგვისტოს პირველ ნახევარში თავს ნება მისცეს ორი კვირა ქობულეთში დაესვენათ. თბილისში დაბრუნებულებს მარიამმა და მაკამ საჩუქრად ავტომანქანის საყიდელი ფული დაახვედრეს. გახარებულებმა იმ დღესვე ახალთ-ახალი "მოსკვიჩი" შეიძინეს და ეზოში შემოაგრიალეს. კარგად ცხოვრობდნენ: სამსახური აკმაყოფილებდათ, ორ ბინას ფლობდნენ, ჯანმრთელად იყვნენ, საპრეტენზიო არავისთან არაფერი ჰქონდათ. მეგობრებში და კოლეგებში პატივისცემით სარგებლობდნენ. პროფესიის სრულყოფაზე სისტემატურად და ნაყოფიერად ზრუნავდნენ. ქვეყანაში მშვიდობა, წესრიგი, ხვალინდელი დღის რწმენა და უკეთესის მოლოდინი სუფევდა, რაც ცხოვრების კიდევ უფრო გაუკეთესების ფიქრის რეალურ საფუძველს აძლევდათ. თუმცა საფიქრალი მათაც გაუჩნდათ, — ქორწინებიდან მეოთხე თვეს თალიკოს მუცელი "მოეშალა". ყველაფერმა თითქოს გართულების გარეშე ჩაიარა, მაგრამ მის შემდეგ თითქმის ერთმა წელმა განვლო და ფეხმძიმედ აღარ რჩებოდა. ექიმთან კონსულტაციებსა და მკურნალობას რატომღაც თაკილობდნენ. ამიტომ იყო, რომ ქობულეთიდან დაბრუნებულებს მაკამ ურჩიათ, ათი დღით მაინც, ახტალაში ჩასულიყვნენ და თალიკოს აბაზანები მიეღო. შეთანხმდნენ, რომ მაკა და მარიამი ადგილამდე ჩააცილებდნენ, უკან ისევ დათო ჩამოიყვანდა, რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ თალიკოსთან წავიდოდა და თან ბაზრიდან ახლადნაყიდ რამე-რუმეს გაიყოლებდა.

წასვლის დღეს დათო ადრე ადგა, ქალებს დაუბარა საუზმე მოემზადებინათ, რომ შინ დანაყრებულიყვნენ და გზაში დრო არ დაეკარგათ, თვითონ კი ბენზინგასამართ სადგურში წავიდა. უკან მობრუნებულმა სახლთან ქუჩა გადმოჭრა და ეზოში შესავლელად მარცხნივ მოუხვია. თავისდაუნებურად, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გამოუცდელობის გამო, მოძრაობის წესები უხეშად დაარღვია, მაგრამ როცა ამას მიხვდა, უკვე გვიან იყო, — გვერდიდან სატვირთო ავტომანქანა დაეჯახა, გადააბრუნა და წინახიდით ზედ შედგა. სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა კარებიდან გადმოსვლა მოასწრო და მანქანებსაც ცეცხლი წაეკიდა. რაღაც წუთებში ავტომანქანები და დათო ფერფლად იქცნენ.

გლოვამ დაისადგურა დავით მარსაგიშვილის სახლში. ახლადშექმნილი ოჯახი ძაძებით შეიმოსა. ამ სულისშემძვრელმა ტრაგედიამ ერთმანეთის მოყვარული სამი ქალი ღვიძლ ნათესავებად და მეგობრებად აქცია. მაკასთვის მარიამი ნამდვილი დედა და უახლოესი მეგობარი გახდა, ასევე "ღვიძლ" შვილად და მეგობრად იქცა მისთვის თალიკოც. მაკა კი მარიამისთვის ნუგეშსაცემი, მოსაფერებელი შვილი და მეგობარი შეიქმნა. თალიკო ხომ ისედაც მისი შვილიშვილი და უსაყვარლესი პიროვნება იყო. დათოს საფლავი, სადაც გარუჯული ნარჩენები და ფერფლი თავდაჭედილი სასახლით დაკრძალეს, მათთვის უწმინდეს ადგილს წარმოადგენდა. მთელ თავისუფალ დროს იქ

ატარებდნენ, ავსა თუ კარგზე იქ საუბრობდნენ, იქ გეგმავდნენ ხვალინდელ დღეს და თან ღმერთს სთხოვდნენ დათოსთან "შეყრას" მოკლე დროში აღსრულებას.

გავიდა წლები. თალიკოს ტანჯვისა და გლოვის შემყურე მაკა და მარიამი საკუთარ ტკივილს ცდილობდნენ გაყუჩებოდნენ და ზოგჯერ მის მდგომარეობიდან გამოსაყვანად, თავს ხუმრობისა და გაცინების უფლებას აძლევდნენ. საცხოვრებლად მარიამის ბინაში გადავიდნენ, ვინაიდან ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და რაც მთავარია, ეზოში შესასვლელი, დათოს დაღუპვის ასოციაციას იწვევდა. ერთად ცხოვრობდა სამი სხვადასხვა ასაკის, ერთმანეთზე შეყვარებული ქალი, რომლებსაც ამ ხილული სამყაროდან თითქოს მხოლოდ და მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება და დათოს საფლავის მოვლა-პატრონიბა აკავშირებდათ, თუმცა შობასა და ახალწელს, აღდგომას, გიორგობას, დათოს, თალიკოს, მაკას და მარიამის დაბადების დღეს ყოველთვის აღნიშნავდნენ და ნათესავ-მეგობრებიც ჩვეულებრივ აკითხავდნენ. მოგეხსენებათ, რომ ცხოვრება ყოველთვის თავისას ითხოვს. სიცოცხლე სიცოცხლეა, ადამიანს ადამიანი სჭირდება. გარდაცვლილი, რაც არ უნდა ახლობელი იყოს, იმ წუთიდან როცა სული სხეულს გაეყრება მხოლოდ მოსაგონარი ხდება და ეს მოგონებაც დრო-ჟამის გამოისობით ნელ-ნელა იცრიცება. ამ დიდებული მანდილოსნებისათვის ცხოვრების ყოველი დღე, თვე და წელი თითქმის ერთნაირად მიმდინარეობდა. ტრადიციულ ოჯახებში აღზრდილ, ბუნებით მშვიდ ქალბატონებს, თითქოს აღარაფერი აღელვებდათ, ყველაფერსა და ყოველივეს დარბაისლურად და დინჯად ხვდებოდნენ.

მარიამის დაბადების 70 წლისთავზე გადაწყვიტეს ჩვეულებრივთან შედარებით სტუმრების წრე გაეფართოებინათ და რამდენიმე "გარეშე" პირიც მოეწვიათ. როდესაც მოთვალეს 20 კაცამდე გროვდებოდა, რაც საკმარისად მიიჩნიეს და სამზადისს შეუდგნენ. ყველაფერი გათვალეს, მოამზადეს და 28 აგვისტოს დილით გასაკეთებელი ზოგიერთი წვრილმანისა, წინადღით ყველაფერი გაკეთებული ჰქონდათ. იმისთვის, რომ მარიამი და მაკა გამოენთავისუფლებინა, თალიკომ უახლოესი მეგობარი და კოლეგა თავისი ლაბორატორიის გამგის, უნივერსიტეტის პროფესორის გაიოზ გეგეჭკორის ქალიშვილი, დიანა მოიწვია. გაიოზი და დიანა ისედაც მოპატიჟებული ჰყავდათ, მაგრამ თალიკომ თავისი მეგობარი წინასწარ გააფრთხილა, რომ მაგიდას ის და თვითონ მოემსახურებოდნენ. დიანამ გაიხარა. უნებრივად მშვიდსა და კეთილს თვალები ცრემლებით აევსო. იმით კმაყოფილმა, რომ ახლობლად თვლიდნენ, თალიკოს აკოცა და სიყვარულით ჩაეხუტა.

დიანას მეუღლე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი — ზურაბ ნოზაძე, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში მუშაობდა. თვითონ დიანას სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, მაგრამ ფრიად განსწავლული და უაღრესად ნიჭიერი იყო. მამამ მიიწვია ლაბორატორიაში სამუშაოდ და ყველაფერს აკეთებდა, რომ მისი ნდობა გაემართლებინა. სამსახურში საკმაოდ დატვირთული, თავის ოჯახთან ერთად მამის სახლსაც უვლიდა. ძმა, 35 წლის კაცი, უცოლო იყო. დიანას საყვედურზე პასუხობდა: გოგოები არიან, როგორ არ არიან, მაგრამ ცოლად და შვილების დედად რომ ივარგებს

ასეთს ჯერ-ჯერობით არ შევხვედრივარო. ბუნებით თავმდაბალი “ცოლობის” შინაარსში რას გულისხმობდა დიანასთვის მთლად გარკვეული არ იყო, მაგრამ ამის შესახებ ძმას არც თვითონ ეკითხებოდა და არც გიორგი იყო მასთან გულგახსნილი. დედის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს დიანა დიასახლისობდა, ისე რომ კარგი მეოჯახეც გახლდათ და რაც მთავარია ჯანმრთელობაც აძლევდა იმის საშუალებას, რომ ესოდენ დიდი დატვირთვისათვის გაეძლო.

მარიამობისას დიანა თალიკოსთან დილიდანვე მოვიდა. “გოგოებს” გაუკეთებელი არაფერი დარჩათ, მაგრამ მაკა მაინც მათთან ტრიალებდა, ეხმარებოდა და ეს ზოგჯერ მართლაც რომ სჭირდებოდათ. ფელამუშს რომ ადუღებდნენ რამდენი ჭიქა ფქვილი მიეცათ ლიტრ ტკბილზე, როგორ აჯობებდა გაეკეთებინათ კოქტეილი, მწვადისთვის როდის გადაევლოთ ღვინო. შემწვარი წიწილებისათვის როგორ მოემზადებინათ საწებელი. როგორ მოემზადებინათ ელარჯი, როგორ შეეკაზმათ სოკო, ჯონჯოლი და სხვა. კმაყოფილებითა და სიყვარულით უყურებდა დიანა და თავისთვის ფიქრობდა: ესოდენ მშვენიერი, მომხიბლავი ქალი, რომელიც მიუხედავად ასაკისა მაინც, ისეთია, რომ ყურადღების მიღმა არავის დარჩება, როგორ მოხდა, რომ ან თვითონ არ ისურვა გათხოვილიყო, ან “კაცებმა” როგორ დაუშვეს მარტოობაში დარჩენილიყო. ნეტა არ ისურვებს, რომ მამასთან ერთად იცხოვროს? ან მამა არ მოინდომებს, რომ დარჩენილი ცხოვრების წლები მასთან ერთად გაატაროს? 60 წლის კაცი, 56 წლის ქალი, ისურვებენ შეუღლდნენ? განსაკუთრებით მაკა, რისთვის ისურვებს თავისუფლება შეზღუდოს, 60 წლის კაცს მიხედოს, მისი პრეტენზიები აიტანოს, რისთვის მითხარით, რისთვის?... არა! იცით რა — მსჯელობდა თავისთვის დიანა, არის რაღაც, რაც ადამიანს, უფრო სწორად ქალსაც და კაცსაც უცილობლად ჭირდება. მაინც რა? სიყვარული? სექსი? მოფერება? ერთმანეთზე ზრუნვა? მარტოობიდან გაქცევა? თუ ეს ყველაფერი ერთად?... მგონი ჯობია არ ჩაერიო და პიროვნებას აცალო თვითონ გაერკვეს, რა სჭირდება და მისთვის რა სჯობია. თუ გთხოვს და რაიმეს შეგეკითხება დაეხმარე, ესაა და ეს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა “კატეგორიულ” მესამეს გამორიცხავს. ასეთისგან მხოლოდ რჩევას იტანს და თანაც არა ყოველთვის. როგორ გამეხარდება მამამ რომ მითხრას — თალიკოს დედა მომწონს, შეეკითხე ჩემი ოჯახის დიასახლისობას ხომ არ ისურვებსო? ღმერთო! ღმერთო! ამისრულე ეს ნატვრა, მაკას და მამას ერთმანეთი ძალიან, სულ ძალიან მოაწონე, შეაყვარე...

— დიანა! რაზე ფიქრობ? ბატონი გაიოზი და ზურაბი მოვიდნენ, შევხვდეთ! — უთხრა თალიკომ.

გოგოები მოსულებს შეეგებნენ. სიძე-სიმამრი, მაკასა და მარიამს წარუდგინეს და სანამ ერთმანეთის მოკითხვაში იყვნენ, მოწვეული სტუმრებიც შემოვიდნენ. მოწვეულთაგან მარტო გიორგი ვერ მოვიდა, დარეკა, მარიამს დაბადების დღე მიულოცა, მოიბოდიშა, რომ გადაუდებელი საქმის გამო მოსვლა ვერ შეძლო.

მასპინძლებმა სტუმრები მაგიდასთან მიიწვიეს, ვისაც სად და ვისთან სურდა ისე დაჯდა. მარიამი და მაკა ერთად დასხდნენ. მარიამის მხარეს ცარიელი სკამი დატოვეს. სტუმრები მიხვდნენ რომ ვიღაცას კიდევ ელოდნენ და ისიც მოვიდა. ეს გახლდათ მათი მეზობელი ალიოშა კვირკველია, რომელიც გაიოზს ახლო ნაცნობი გამოდგა. ერთმანეთი მოიკითხეს და სტუმარ-მასპინძლები ალიოშას თამადობით "საქმეს" შეუდგნენ.

დათოს დაღუპვის შემდეგ ხუთი წელი ისე გავიდა, მიუხედავად იმისა რომ დღესასწაულებსაც აღნიშნავდნენ და სტუმრებიც არ აკლდათ, ოჯახში "მოლხენის" უფლებას თავს არავინ აძლევდა. დღეს კი მარიამობას, მარიამის დაბადების 70 წლისთავზე, "ტაბუ" აიხსნა და ვისაც რისი უნარი ჰქონდა თავი არ დაიშურა. მაკა როიალთან დაჯდა და გააკეთა ის, რაც ხუთი წლის მანძილზე არც გახსენებია. ალიოშა, გაიოზი, ზურაბი, მაკას ძმა ჯაბა მიქელაძე, სხვები და სხვები შესანიშნავად შეეწყვნენ ერთმანეთს და როიალის აკომპანიმენტით, თუ უმისოდ მრავალი სიმღერა იმღერეს, იცეკვეს. როიალთან მაკა თალიკომ შეცვალა და ის და მარიამიც აცეკვეს. ერთი სიტყვით დიდებული დრო გაატარეს, რაც წასვლისას ყველამ გულწრფელად აღიარა, მასპინძლებს მადლობა გადაუხადეს და ერთმანეთს დიდად კმაყოფილნი დასცილდნენ.

მარიამობიდან ერთი კვირის თავზე, ოთხშაბათ დღეს, სამსახურში მყოფ მაკას, მისდაგასაოცრად გაიოზმა დაურეკა, თბილად მოიკითხა და მორიდებით სთხოვა — ოპერისა და ბალეტის თეატრში შაბათს, ბალეტ "ოტელოს" სანახავად გეპატიჟებით, უზომოდ მადლობელი დაგრჩებით, თუ უარს არ მეტყვით. თქვენით დიდად კმაყოფილი და მოხიბლული ვარ. იმ საღამოს შემდეგ უცხოდ აღარ გთვლით. ამ თემაზე საუბარი თქვენი ნებართვით შემდგომშიც მსურს გავაგრძელოთ. ღმერთმა იცის ამას მხოლოდ თქვენი დიდი პატივისცემა და მომავალში ჩვენი კარგად ყოფნის სურვილი მალაპარაკებსო.

— ბატონო გაიოზ! დიდად გმადლობთ ესოდენ დიდი გულისხმიერებისათვის. თქვენი წინადადება ჩემთვის იმდენად სასურველი და მოულოდნელია. მიჭირს გიპასუხოთ. ასეთ კადნიერებას თავს ვერასოდეს ვაპატიებ, მაგრამ იქნებ შეძლოთ და ხვალ საღამოს 7-8 საათისთვის ბინაში დამირეკოთ... მინდა სწორად გამიგოთ, რომ ამ ბოლო წლებში მე ისეთი ცხოვრების წესით ვცხოვრობ. მისგან თუნდაც მცირედი გადახრაც კი საოცრად მიმძიმს ჩემებთან შეთანხმების გარეშე.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, რაზეა საუბარი, ზუსტად რვა საათზე დაგირეკავთ. ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე.

— დიდად გმადლობთ!

მაკამ ყურმილი დადო და გაუცნობიერებლად იქვე დარჩა... — რა მოხდა? განსაკუთრებული ალბათ არაფერი... მამაკაცის ჩვეულებრივი გატაცება? სიყვარული?... ვინ იცის. ჩვენი ასაკი მართალია "ერთი ნახვით შემიყვარდი" აღარაა, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ ასაკში ამ საკითხში ბავშვებად რჩებიან. თუმცა გაიოზი ასეთი არ ჩანს, ისე კი იმ საღამოს გულგრილად ნამდვილად არ მექცეოდა. ღმერთო გამარკვიე რა ხდება, რა იქნება. მგონი მეც თითქოს მისკენ მიმიწევს გული... დათოზე ბევრს ვზრუნავდი, მის დაკაცებასა და დაოჯახებაზე ვოცნებობდი, მისით ვხარობდი, ეს ყველაფერი მაკმაყოფილებდა... ახლა? მერე? რაა! გაიოზი ჩემი შემდგომი სიცოცხლისა და აქტიურ ცხოვრებაში დაბრუნების სტიმული შეიძლება ნამდვილად

გახდეს და მგონი არა მარტო ჩემი... ჩემი და ჩემი თალიკოსი, ჩემი მარიამის. მარიამი ხომ ჩემი და თალიკოს სიკეთით და სიხარულით ხარობს.

— მაკა! განყოფილების მთავრი ექიმი გეძახის.

— ახლავე.

მაკა "გამოფხიზლებული" და რაღაც ისეთით ბედნიერი, რომელსაც სახელს ვერ დაარქმევ, მთავრ ექიმთან შევიდა, შესაბამისი დავალება მიიღო და რატომღაც იმით უკმაყოფილო, რომ მისი სიხარული შეუმჩნეველი დარჩა, უკან მობრუნებული სამუშაო მაგიდას უხალისოდ მიუჯდა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ კოლეგებს გამოეთხოვა და შინ მარტო წავიდა. გზაში შემთხვევით თალიკო შეხვდა და სახლში ერთად მივიდნენ. მარიამმა მაგიდა გააწყო. ისადილეს, ავკარგზე ისაუბრეს და ბოლოს მაკამ საკმაოდ მორიდებით, დაწვრილებით მოუყვა მისი და გაიოზის სატელეფონო საუბრის შესახებ. თხრობა რომ დაამთავრა მარიამმა სიყვარულით შეხედა და უთხრა:

— ჩემო მაკა! ჩემო კარგო! გაიოზი შვილო სერიოზული, ზრდილი კაცია. ჩვენი და დიანას ურთიერთობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მაგაზე სასურველი "წინადადება" არამგონია ვინმემ ოდესმე მოიფიქროს და გითხრას. როგორც მე ვიცი, 22 წლის იყავი, რომ დაქვრივდი და მის შემდეგ ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობ. მართალია დათოს ზრდიდი, მასზე ზრუნავდი და ამით იყავი გახარებული, მაგრამ ბედნიერება შენ ხომ ომმა წაგართვა და ის აღარ დაგბრუნებია. ამ ბოლოს კი რაც ბედმა ერთად დაგვმართა უბედურებაა და მეტი არაფერი. ერთადერთი ახლა გეძლევა იმის საშუალება თავი ვაჟკაცის გვერდით იგრძნო, იზრუნო მასზე და "ემსახურო", ზრუნავდნენ შენზე და "გემსახურონ", იყო და იშრომ-იღვაწო ღირსეული მამაკაცის გვერდით, გრძნობდე მის მადლიერებას და სიყვარულს... ამაზე უარი რატომ უნდა თქვა? ვინმეს ღალატობ? უპატრონოდ ტოვებ? უზნეობისკენ გიბიძგებს ვინმე? თუ რა? ცხოვრების მეგობარ მამაკაცს იძენ, მარტოსულობას თავს აღწევ. მე და თალიკო რაც არ უნდა გეფეროთ, მიუხედავად დიდი კმაყოფილებისა, ბედნიერი მაინც ვერ იქნები. იყავი ისეთი კარგი, სწორედ ისეთი როგორიც დღეს ხარ. გაიოზისთვის ეს უმაღლესი ნეტარება იქნება. მას ხომ შენ ასეთი მოსწონხარ და მჯერა ის ყოველნაირად ეცდება ბედნიერი ქალი გაგხადოს. გესალმებიან, გიღიმიან, გამჩნევენ, თანაც ერთობ სასურველი ადამიანები, შენც მიესალმე, გაუღიმე. ახლა მაინც მიეცი თავს უფლება იგრძნო ის ნეტარება და სიხარული, რისი ღირსი ნამდვილად ხარ. წარსულის შესწორება შეუძლებელია, მისი გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ კარსმომდგარ ბედნიერებაზე უარის თქმა თვითმკვლელობაა, რასაც ღმერთი არავისგან არ მოითხოვს.

— არ გეკამათები, დედაშვილობას გეფიცები ჩემს ადგილზე რომ თალიკო იყოს, მეც ასე ვურჩევდი, მაგრამ უბრალოდ იფიქრე: მე სიყვარულის ზღვაში გადავეშვა, ბედნიერი დღეებით დავტკბე და 25 წლის მგლოვიარე შვილი სახლში მივატოვო, უფრო სწორად შენ შემოგატოვო. ივარგებს ასე? ბედნიერი მე მაშინ ვიქნები, თუ თალიკო გადაწყვეტს და ოჯახს შექმნის... ცოლი თავს უფლებას არ აძლევს გათხოვებისას, წმინდად ინახავს დათოს ხსოვნას და ეს მე, დათოს დედამ, დავასწრო და გავაკეთო?.... თალიკოს გავათხოვებთ, შვილებს გავაზრდევინებთ, მე და შენ სიკვდილამდე ერთად

ვიქნებით, გავიხარებთ კარგი სიძითა და შვილიშვილებით. რაღა დროს ჩემი გათხოვებაა, “პაემნები” და “თაფლობის” დღეებია. მასხრად აგვიგდებენ, სიცილით დაოსდებიან.

— იცი რა მაკა? ყველას თავისი ბედი აქვს, მათ შორის თალიკოსაც. შენი და გაიოზის შეუღლება არავის არაფერს უშლის. პირიქით იმ ადამიანების წრეს და შესაძლებლობებს აფართოებს, რომელთა წყალობითაც შესაძლებელია თალიკოს მომავლის უკეთ მოწყობა. ვისაც სიცილი უნდა და ეცინება იცინოს. ვერ დაუშლი, მაგარამ ვინც ბევრს და უაზროდ იცინის საკუთარ თავს დასცინის. მით უმეტეს შენი და გაიოზის შეუღლებას ვინც სასაცილოდ მიიჩნევს, უპირველესად ყოვლისა თავი ექნება სასაცილო. “თაფლობის” დღეები და თვეები ვისთვის როდის დგება და როდის თავდება ჯერ არავის აღურიცხავს. ღირსეული ზრდილი პატრონის გარეშე “თაფლობის” საერთოდ არაფერი არ არსებობს. რამდენადაც კაცის შეცნობა შეიძლება, ჩემი აზრით გაიოზი ღირსეული პიროვნებაა და მე გირჩევ, თუ წინადადებას მოგცემს დაეთანხმო.

— როგორ შეიძლება არ დაგიჯერო, მაგრამ ხომ კარგად იცი, რომ ადამიანი მნიშვნელოვანს ვერაფერს აკეთებს განწყობის გარეშე, რაც გათხოვებისადმი ნამდვილად არ მაქვს. ვნახოთ, როგორ შეძლებს გაიოზი ჩემში ასეთი განწყობის გაჩენას. მე იმიტომ კი არ შევიკავე თავი გაიოზის წინადადებისგან ბალეტზე წასვლაზე, რომ ეს არ მინდოდა, მინდა რომ ჩემთან ერთად თქვენც იყოთ. ამჯერად არ მინდა გაიოზთან მარტო ვიყო.

— მაგ საქციელს გიწონებ. თალიკოს ვთხოვ რომ იმ დღეს ყველაფერი გადადოს და შენს გვერდით იყოს. ჩემი ყოფნა აუცილებელი არაა, ერთი სიტყვით ვნახოთ...

— რაზეა ბებო საუბარი, თქვენ რომ არ გეთქვათ, დედას მე თვითონ ვურჩევდი, რომ მარტო არ ყოფილიყო. რაც შეეხება ჩემი ბედის ვინმესთან დაკავშირებას, ამის წინასწარ “დაგეგმვა” არაა საჭირო. დათოს შემდეგ შეუძლებელი თუ არა, მეტად ძნელია გულთან ვინმეს მიტანა. ყველა ისინი ვინც დღემდე ჩემთან დაახლოებას ეცადა, მასთან შედარებით “კაცუნები არიან”. ვნახოთ ხვალ-ზეგ რა იქნება და როგორ. რომელი ნორმალური ქალი არ იოცნებებს კარგ მეუღლეზე და მათ შორის ალბათ არც მე ვარ გამონაკლისი.

— ხვალ გაიოზი რომ დარეკავს უთხარი, რომ შენ და თალიკოს დიდი სურვილი გაქვთ “ოტელოს” ნახვის და გეუხერხულება რომ მის გარეშე ნახო. ამიტომ ერთად ვიქნებით, შინ დაგელოდებით და დიდ პატივისცემად მიგაჩნიათ მისგან ესოდენ სასურველი წინადადება. მჯერა რომ გაიოზი თქვენს წასაყვანად ადრე მოვა, შინ შემოიპატიჟეთ, ეს მასაც გაეხარდება და არც ჩვენთვის იქნება ურიგო... მას ერთად უფრო კარგად “წავიკითხავთ”.

მაკამ მარიამს აკოცა, თალიკო გულში ჩაიკრა და როგორც პატარა ისე მოეფერა, თან სიცილით უთხრა: აბა შენ იცი ჩემო პატარა, კარგად დააკვირდი “მამინაცვლის” არჩევანში არ შეცდეო.

* * *

გაიოზმა ზუსტად რვა საათზე დარეკა. რახან გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათ, მაკამ ყურმილი მშვიდად აიღო. მარიამი და თალიკო სმენად იქცნენ.

— ჰალლო! გაგიმარჯოთ... გმადლობთ, კარგად... მადლობის მეტი რა გვეთქმის. ჩვენთვის, თქვენი ესოდენ პატივისცემა, დიდად საამო და საგულისხმოა... გელოდებით... ნახვამდის.

— ვის ელაპარაკე — იკითხა მარიამმა.

— გაიოზს.

— კი მაგრამ მე ხომ...

— იცი რა მითხრა?... მე და დიანა მოგაკითხავთ. თქვენ, თალიკო და ქალბატონი მარიამი უნდა წამობრძანდეთ. ზურაბი და გიორგი თეატრში დაგველოდებიან. ამჯერად დიანა და ზურაბი გვპატიჟებენო.

აცრემლებულმა მარიამმა მაკას აკოცა, — გილოცავ შვილო! გაიოზი ნამდვილად დახვეწილი ინტელიგენტია. მჯერა რომ ბედნიერად იცხოვრებთ...

— ბებია! ყველაფერი კარგია, მაგრამ დედა რომ ჩვენთან აღარ იქნება ამაზე არ ფიქრობ? უმაგისოდ ჩვენ...

— ვფიქრობ, როგორ არ ვფიქრობ, — გააწყვეტინა მარიამმა, მაგრამ ბედნიერი რომ იქნება ეს ცოტაა? სხვა პლანეტაზე ხომ არ მიდის, ისევ ერთად ვიქნებით. უფრო მხიარულად და უფრო უკეთესადაც. ახლა გულისყურით მომისმინეთ: დიდი მისნობა არაა საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ გაიოზს შენს შესახებ თავისიანებთან უკვე აქვს ნათქვამი... და როგორც ჩანს, მათ შორის უკმაყოფილო არავინაა. ახლა ალბათ იმაზე ფიქრობენ შენ არ იყო მათი სურვილის წინააღმდეგი. ამიტომ უნდათ დაგიახლოვდნენ, გაგიშინაურდნენ, რომ როცა გაიოზი სათქმელს გეტყვის, უხერხულობა გამორიცხული იყოს.

— დედა! ბებო მართალია. სხვაგვარად მართლაც არ ივარგებდა...

— მოდით ასე გავაკეთოთ: დიანასთან დავრეკავ. მიწვევისათვის მადლობას გადავუხდი და ვეტყვი, რომ ამჟამად ფიზიკურად არ შემიძლია თეატრში წასვლა. ე.ი. შინ დავრჩები. ვახშამს მოვამზადებ. სპექტაკლის შემდეგ ყველა ვახშამზე მოიწვიეთ, დარწმუნებული ვარ დაგთანხმდებიან... მაგიდასთან უფრო მეტს და გაბედულად ეტყვით ერთმანეთს... ყველა ვინც ამ საქმით ვართ დაინტერესებული ვახშამზე ერთად ვიქნებით, ურთიერთს შევეწყობით და დავუახლოვდებით... ზოგიერთ რამეზე შეიძლება შევთანხმდეთ კიდეც... მე თუ ამჯერად “ოტელოს” ვერ ვნახავ, ამით არაფერი დაშავდება, სხვა დროს ვიქნები თქვენთან ერთად.

თალიკო მარიამს კალთაში ჩაუჯდა, მოეხვია, მოეფერა — რა საყვარელი ხარ ბებო! შენ გენაცვალე ჩემო ბებიკო...

* * *

მარიამი დიანას ტელეფონით ესაუბრა. ყველაფერი კარგად მოგვარდა. ამ საუბარში მარიამი იმასაც მიხვდა, რომ გაიოზის ოჯახის წევრებისათვის მთავარი იყო მაკა ყოფილიყო მათთან ერთად, ხოლო ნებისმიერ "სხვის" სპექტაკლზე წამოუსვლელობას იოლად "გადაიტანდნენ". ისიც დააზუსტა, რომ მაკასადმი საკმაოდ კეთილად იყვნენ განწყობილნი. გაიხარა, მეტად კმაყოფილი იყო თავისი მიხვედრილობით.

შაბათს დიანა და გაიოზი სპექტაკლის დაწყებამდე მთელი საათით ადერ მოვიდნენ. გაეგებნენ, შინ შემოიპატიჟეს. მოსულებმა გაკვირვება ვერ დამალეს, რომ ქალბატონი მარიამი თავს შესანიშნავად გრძნობდა და სპექტაკლზე წამოსვლა არ ინება. მარიამმა ჩათვალა, რომ აჯობებდა პირდაპირ ეთქვა, თუ ასე რატომ მოხდა.

— ბატონო გაიოზ! ალბათ ზედმეტია ჩემგან იმის მტკიცება, თუ რაოდენ სასიამოვნოა თავისთავად ამ მშვენიერი ბალეტის თქვენთან ერთად ნახვა, მაგრამ რადგან ეს ასე არ ხდება, გთხოვთ იმით მაინც მასაიმოვნოთ, რომ ჩვენთან ვივახშმოთ. დიანა! შენ გავალებ შვილო, რომ ეს ჩემი თხოვნა გიორგის და ზურაბს გადაცეთ. ყველას, უკლებლივ გელოდებით.

— გმადლობთ ქალბატონო მარიამ! სიამოვნებით ვღებულობ თქვენს წინადადებას. ეს, გარდა იმისა, რომ ჩვენთვის დიდი პატივია, თანაც ალბათ მეტად დიდებული სიტუაციაა იმის თქმისათვის, რისთვისაც მე მთელი კვირაა ვემზადები... ახლა გვაპატიეთ! ჩვენი წასვლის დროა. არ მიყვარს, როცა დარბაზში აგვიანებენ. გპირდებით, რომ ყველა უკლებლივ გეწვევით.

მარიამმა გააცილა, გზა დაულოცა და კმაყოფილი შინ შემობრუნდა. "საქმეს" შეუდგა. კარგად ენიშნა, რომ ყველაფერი დროულად და "ლამაზად" მოამზადა. ათი საათისათვის მაგიდა უკვე გაწყობილი ჰქონდა. დროის გასაყვანად ღია ფანჯარასთან დაჯდა და ქუჩას გახედა. მისი ფიქრი თეტრში მყოფთ დასტრიალებდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ მაინც ნერვიულობდა. ჯობდა, გაიოზი მაკას რაც უფრო დაუახლოვდებოდა, იმდენად უფრო მოიხიბლებოდა, ვინაიდან მაკა დიდებულად აღზრდილი და გამორჩეული ზნეობის ქალი იყო. იმაზე ფიქრობდა, გაიოზს არაფერი "შეშლოდა" და მაკას მისადმი უსიამო განწყობა არ გასჩენოდა, თორემ ეს თუ მოხდებოდა, მაშინ თვით მამაზეციერიც კი ვერაფერს შეცვლიდა, — მაკა გაიოზის წინადადებას არ მიიღებდა, ის თავის განწყობის წინააღმდეგ არაფერს გააკეთებდა. — მაინც რატომ ვარ ასე ძალიან დაინტერესებული მაკას გათხოვებით?... მიყვარს და მინდა ბედნიერი იყოს. ჩემი "გოგო", ჩემი მაკა! მამაკაცი რომ ვიყო მაკას მოვიტაცებდი, ღმერთივით ქალია, მაგრამ დღეს რაა? თუ ამ უკანასკნელ მოვლენებს არ ჩავთვლით, მამაკაცის ყურადღების მიღმა დარჩენილი ქალია. ღმერთო დაიფარე, საშინელებაა, მეტი რა გამოვცადე. დიდებულადაა ნათქვამი — რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. თავს მევლებოდნენ, მეარშიყებოდნენ, მაგრამ რა, ჭკუა არ მეყო, რომ "კაცი" ამომერჩია. ეს

იყო და ეს. ჰოდა ამიტომაც დავრჩი მარტოსული. მაინც რა უბედურებაა ამდენი ქვრივი, მარტოსული ქალი, ღმერთო გვიშველე. დაგვიფარე უარესისაგან... მაკა გათხოვდება, მგონი ჭკუა ეყოფა და თალიკოც იგივეს გააკეთებს, მე კი ვიქნები ჩემთვის, ყველასაგან "დაფასებული, პატივცემული" ქალბატონი. ჩემგან დავალებული ადამიანები ჩათვლიან, რომ უნდა მომხედონ და მიპატრონონ. აბა სხვა რა გინდა მარიამ? არაფერი!.. მართლა არაფერი? რა ვქნა, ენა ვერ ამბობს, ვერც იტყვის... ეჰ! ძნელია მარტოსულობა... კარგი რა მარიამ, რაღა დროს წუწუნია. 70 წელს გადასცილდი და თუ რამე შეგეშალა, ან ვერ გააკეთე, კმარა, მატარებელმა უკვე ჩაიარა. ჩქარა ახალი "შემადგენლობით" ჩამოივლის, მას მაკა და თალიკო ჩამოჰყვებიან თავიანთი ოჯახებით. შვილი და შვილიშვილები კარგად გეყოლებიან, გაიხარე მარიამ, გაიხარე. ეჰ! "მეორეს" სიხარულით გახარება ბედნიერების ერთი მხარეა ჩემო კარგო, ის მოურჩენელი ტკივილი სხვაა, სხვა... ნეტა თუა ვინმე ამ ქვეყნად ტკივილის გარეშე...

ასეთ ფიქრებში ჩაძირული მარიამი მანქანის ფარების შუქმა გამოაფხიზლა. დაბრუნდნენ, შინ შემოვიდნენ, მიეგება. გიორგი დამატებოდათ, ზურაბი შინ წასულიყო, მძინარე ნატალია მარტო ჰყავდათ დატოვებული. მოვაო უთხრა მარიამს დიანამ, რომელიც გიორგის მოკითხვით იყო დაკავებული.

უზომოდ კმაყოფილი და გახარებული იყვნენ. აშკარად ჩანდა, რომ მარტო ბალეტი არ იყო ამის მიზეზი, — უხაროდათ, რომ ერთად იყვნენ. და აქ გასაკვირი არაფერი იყო. თავს ბედნიერად მაშინ ვგრძნობთ, როდესაც მის გვერდით ვართ, ვისთანაც ყოფნა გვსურს. ეროტიზმს "ზურგშექცეული" მაკა, რომელიც როგორც ქალი ერთგვარად "მიძინებული" იყო, ასკეტური ცხოვრებიდან გაქცევის სურვილმა ძალუმად შეიპყრო. მართალია, მიქელაძის ქალი, საოცარი ნებისყოფის ძალით ცდილობდა ეს არ შეემჩნია, მაგრამ ყვავილი უკვე ყვაოდა, მისი ამინდი უკვე იდგა და ამის გამოცნობა მარიამს არ უჭირდა, რაც დიდად ესიამოვნა, გამხიარულდა და საერთო მხიარულობაში ჩაიძირა.

იპურმარილეს, მათთვის უჩვეულო ამბით მეზობლები გააოცეს, დროის შეგრძნება თითქოს დაკარგეს, გამთენიისას ზურაბმაც მოაკითხათ, კიდევ უფრო გალაღდნენ, კვირადღე თენდებოდა, დილის 5 საათი იყო, როდესაც გიორგიმ, რომელმაც მთელი "საღამო" თალიკოსთან ცეკვავდა სასმისი აიღო და ითხოვა ყურადღებით მოესმინათ. როგორც შემდგომ გაირკვა, მან არაფერი იცოდა მაკას და გაიოზის შესახებ.

— ჩემო კარგებო! უნდა გაუწყოთ, რომ საყვედური იმის თაობაზე, ოჯახს რომ არ ვქმნი, ცოლს რომ არ ვირთავ, სრული შესაძლებელია გამოსწორდეს. დღეს მე შევხვდი ჩემი ოცნების ქალს, ქალის ჩემებურ იდეალს. ეს პიროვნება გახლავთ თალიკო ბურკაძე. ბოდიშს ვიხდი მის წინაშე უტაქტობისათვის, მაგრამ ყველამ იცოდეთ და მინდა იცოდეს თვითონაც, რომ მე მის მეტი ქალის შემრთველი არა ვარ. არ ვიცი როგორ შევეფერები მამაკაცის მისებურ იდეალს, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი რომ თალიკო ჩემი ოცნების ქალია. თუ თალიკო ჩემსავით ფიქრობს და ჩემი სიტყვებისა სჯერა, მაშინ ხვალიდან შვებულებას ვიღებ და მზად ვარ მასთან ერთად საქორწინო მოგზაურობისათვის. მე წავედი, ზურაბი გამაცილებს. მაპატიეთ, რომ გტოვებთ. როგორც გენებოთ ჩემზე ისე

იფიქრეთ, მე ჩემი სათქმელი მართალია ესოდენ “ნაგლად”, მაგრამ სრულიად გულწრფელად გითხარით, რაზეც ისევ და ისევ თალიკოს წინაშე ვიხდი ბოდიშს. ვიმედოვნებ მამა და დიანა მის პასუხს ჩემამდე მოიტანენ. მჯერა, რომ ჩემს გარეშე უფრო გულახდილი იქნება თქვენი საუბარი. დიდად გმადლობთ ესოდენ დიდი სიამოვნებისათვის. გემშვიდობებით! მომავალ შეხვედრამდე!

გაიოზი და დიანა ნათქვამმა გააოგნა. მართალია გიორგიმ მეტად სასიხარულო ამბავი აუწყათ, მაგრამ ამის განსასჯელად დღეს მზად არ იყვნენ. გარდა გიორგისა ყველა მაკას და გაიოზის შემდგომი ურთიერთობის თაობაზე სასაუბროდ იყო განწყობილი, რის გამოც ერთგვარი უხერხულობა შეიქმნა. გიორგის განცხადებით არავინ დარჩენილა ნაწყენი, მაგრამ სერიოზულად კი ჩაფიქრდნენ. მეტყველი სიჩუმე ჩამოვარდა. მისი დარღვევა მხოლოდ მას შეეძლო, ვინც რამეს უკეთესს იტყოდა. რაზედაც ფიქრი მართლაც რომ საჭირო იყო. ეს მხოლოდ მარიამმა შეძლო, ყველამ შვებით “ამოისუნთქა”.

— ბატონო გაიოზ! მინდა განსაკუთრებულად გულახდილი ვიყო და გითხრათ, რომ ქალებს გვიყვარს მარჯვე, მამაცი, თავმდაბალი კაცები, რომლებიც ლაპარაკობენ მხოლოდ იმას, რაც მათი გულიდან მოდის, რომელთაც იციან და შეუძლიათ სიყვარული, გააჩნიათ მადლიერების გრძნობა და ავისგან კარგის გარჩევის უნარი, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი იდეალია, ცხოვრებაში კი არიან ჩვეულებრივი კაცები, რომლებიც ნაწილს თუ მაინც ფლობენ ამ თვისებებს, ნამდვილად არ დაიწუნებიან. გიორგიმ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ის მომეწონა, მაგრამ ეს ცოტაა. მთავარია ის თალიკოს მოეწონოს. ჩვენი საქმე თანაგრძნობაა, რასაც მე მას აშკარად ვუცხადებ. ადამიანს და მით უმეტეს ახალგაზრდას, რაღაც უნდა შეეშალოს, ქალისთვის ყველაზე ძნელი ასატანი ის მამაკაცია, რომელსაც არაფერი ეშლება. ძნელია ურთიერთობა დაპროგრამებულ “აკადემიურ” ტიპთან.

— ფიცის გარეშე მოგახსენებთ, რომ დიდად გავიხარებ, თუ გიორგი და თალიკო შეუღლდებიან. მზადა ვარ დღესვე ავუნთო სანთლები მათ ბედნიერებას. გიორგიმ თავისი სათქმელი გულწრფელად გვითხრა, ალბათ თალიკოც გვენდობა, რომ გვითხრას რა და როგორ სჯობს... დამიჯერე შვილო, რომ გიორგი სიტყვის კაცია, ჰაერზე ლაპარაკი არ უყვარს.

— ბატონო გაიოზ! ჩემი თქვენდამი ხათრი და მორიდება კარგად მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე თქვენთან დავიწყე მუშაობა და გულწრფელად გეტყვით ჩემთვის იდეალური პიროვნება და ხელმძღვანელი ბრძანდებით, განა უფლება მაქვს არ გირწმუნოთ? მაგრამ გიორგის წინადადების განსასჯელად ეს ავია თუ კარგი, ახლა მზად არ ვარ, ჩემი გონება ისე, როგორც ყველა თქვენგანისა, სხვა რამის მოლოდინითაა დაკავებული... დათო ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო. მე განებივრებული ვარ ვაჟკაცის თანადგომითა და სიყვარულით. აჯობებს ერთმანეთი უფრო ახლოს გავიცნოთ და მერე ვიფიქროთ ქორწინებაზე. ეჭვი არ მეპარება, რომ დაახლოების საშუალება ნამდვილად გვექნება.

— აბსოლუტურად გეთანხმები. თქვენ ნათქვამში საკამათო არაფერია. ყოველთვის ვამბობდი და დღესაც ვადასტურებ, რომ ჭკვიანი გოგო ხარ... ახლა მინდა მე მომისმინოთ, სხვა რამ მაქვს სათქმელი...

— ბატონო გაიოზ! ბოდიში რომ გაწყეტინებთ, თალიკო შვილო! ყავა მოგვიდუღე. შენ უკეთ გამოგდის ეს საქმე ვიდრე მე, თორემ არ შეგაწუხებდი.

— თალიკო! მინდა ყველა ერთად ვიყოთ და ისე ვილაპარაკოთ. დიანას მცდელობამ და ჩვენმა არც თუ ხანგრძლივმა, მაგრამ მეტად უშუალო ურთიერთობამ, ჩემში ყველა თქვენთაგანისადმი მოკრძალებისა და პატივისცემის უანგარო გრძნობა დაბადა. მაგრამ ჩემი და დიანას დამოკიდებულება მაკასადმი განსხვავებული და განსაკუთრებულია. დიანას უნდა მაკა მისი განუყრელი უფროსი მეგობარი გახდეს, მე კი მსურს რომ ის ჩემი კანონიერი მეუღლე იყოს. მაკა! ჩემო კარგო! თუ თანამიგრძნობ ბედნიერივარ და თუ ის მაინც გჯერა, რომ მე ნამდვილად გულწრფელი ვარ, ამითაც თავს ბედნიერად ჩავთვლი...

— მამა! მაკა თალიკოს დედაა, ჩემთვის უსაყვარლესი და სათაყვანო ქალია, კეთილგონიერებისა და სიკეთის ეტალონია... აღტაცებული ვარ შენი და გიორგის გადაწყვეტილებით, — საყვარელი ადამიანები ერთ ოჯახად ვიკრიბებით. მე მეტად ალბათ ვერაფერი გამახარებს.

დიანა მაკას გულში ჩაეკრა. მკერდი და ლოყები დაუკოცნა, მაკაც მოეფერა, ორივეს ცრემლი წასკდა და ერთად გავიდნენ მაკას ოთახში. აცრემლებულმა თალიკომ სამზარეულოს მიაშურა. თვალებდაწითლებული მარიამი და გაიოზი მაგიდასთან დარჩნენ და საუბარი განაგრძეს:

— ჩემგან არაფერი გესწავლებათ, მაგრამ მსურს უბრალოდ შეგახსენოთ, გაიოზ ბატონო, რომ თქვენ და მაკა ისეთ ასაკში ბრძანდებით შეცდომები აღარ გეპატიებათ... იმედები რომ გაგიცრუვდეთ, დიდად შეღონდებით. ვხედავ, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა არ გიჭირთ, გააგრძელეთ გარკვეული პერიოდი შეხვედრები ჩვენთან, თქვენთან, სადაც ისურვებთ და ინებებთ. თუ ერთმანეთისათვის ისეთებად დარჩებით, როგორიც დღეს მიგაჩნიათ რომ ხართ, დაქორწინდით, რითაც ყველას დიდად გაგვახარებთ. რაც შეეხება თალიკოს და გიორგის, ვხედავ რომ მათაც ბევრი რამ საერთო აქვთ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ერთმანეთი უწმინდესი გრძნობით შეუყვარდებათ... ერთი შენი შვილია, მეორე მაკასი, მშობლებზე უკეთ ნამდვილად ვერავინ იზრუნებს შვილების ბედნიერებისათვის. რასაც თქვენ მათი სიყვარულისა და სიტუაციის შესაბამისად ერთად უკეთ მოახერხებთ გააკეთოთ. ორივეს გთხოვთ უმორჩილესად, უნდა დამითმოთ და თუ ღმერთი მათ ცოლქმრობას უქადის. ქორწინების დღიდან ჩემთან უნდა იცხოვრონ, მათ მე ვერ დაგითმობთ. ბადიშიშვილები მე უნდა გავზარდო. გავზრდი მარიამს, მაკას, დავითს, გაიოზს. ვიქნები მათთან და თქვენთან ერთად ბედნიერი და გახარებული. შენ და მაკამ დიანას და ზურაბს შეუწყეთ ხელი, რომ იმ ციცქნა ნატალის დედმამიშვილები უმრავლონ.

— ქალბატონო მარიამ თქვენ მე საბოლოოდ დამიპყარით. იყოს ნება თქვენი და რასაკვირველია მათი. მე კი მცდელობას არ დავაკლებ, რომ ჩემთან და მაკასთან, თალიკოსთან და გიორგისთან ყველაფერი თქვენ მოსაწონად იყოს...

მაკა და დიანა მაგიდასთან დაბრუნდნენ. თალიკომ მათ ყავა, შოკოლადი და კონიაკი მიართვა. ყავა მოიწონეს, თალიკო შეაქეს და საუბარი განაგრძეს. მიუხედავად უძილო ღამისა, დაღლას არ გრძნობდნენ. ზურაბმა და პატარა ნატალიამ მოაკითხათ,

მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ მთელი ღამე გაათენეს. უზომოდ კმაყოფილები ერთმანეთს კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ. კედლის საათმა ცხრაჯერ დარეკა.

* * *

ზრდილი, კეთილგონიერი ადამიანების ურთიერთობა უმეტესად ამაღლებული, მაღალზნეობრივი და მარტივია. ყველაფერი ისე მოხდა როგორც ისურვეს და მოიფიქრეს. თალიკო და გიორგი მთელი ნახევარი წლით ადრე დაქორწინდნენ, ვიდრე მაკა და გაიოზი შეუღლდებოდნენ. ისინი დღესაც მარიამთან ცხოვრობენ. დათოს და მარიკას უკვე ზრდიან. მაკამ გაიოზს სახლი ნათესავებისა და ახლობლების უსაყვარლეს ადგილად გადაუქცია, ყველას მათთან მოუხარია. ეს დიდებული, მყუდრო ოჯახური სალონი მათი შესაკრები უწმინდესი ადგილია. მარიამობას მაკას 60 წლისთავი იზეიმეს, ჩვენც იქ გახლდით. ვუყურებდი ამ დიდებულ ქალბატონს და ვფიქრობდი: შეუძლებელია მას იცნობდე და არ გიყვარდეს.

14 იანვარი 1977 წელი

სჯობს სახელისა მოხვეჭა

ეს მოთხრობა ეძღვნება მაჰმადიანი ქართველი ქალის (რომელმაც ქართული იმთავითვე იცოდა) ქრისტიან-მართლმადიდებელ ოჯახში დამკვიდრებას. იმას, რომ სარწმუნოებრივი ბარიერი რომელიც მას ჰქონდა, მის აღზრდილ შვილებს (უმამოდ) უკვე აღარ აქვთ, ამისთვის "საუკუნეები" არ გახდა საჭირო, ისე როგორც ამას დღეს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე "ამტკიცებს".

დილით ჩემი მეგობარი იოსებ გარსევანიშვილი ტელეფონით დამიკავშირდა და მთხოვა, თუ რამე გადაუდებელი საქმე არ მქონდა მივსულიყავი მასთან იურიდიულ კონსულტაციაში, სადაც იმხანად გამგედ მუშაობდა. არც მიკითხავს რისთვის? რატომ? ჩვენი საუბრიდან ნახევარი საათის შემდეგ უკვე მის კაბინეტში ვიყავი.

— წუხელ ჩვენი მეგობარი მზევი მაჩაბელი დაუყაჩაღებიათ, მილიციისათვის უკვე უცნობებიათ მაგრამ, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, შედეგი არაა, მთხოვა მასთან სახლში მივიდეთ, ან კი თხოვნა რად გვინდა, რომ გავიგეთ საკმარისია ჩვენი ჩარევისათვის.

— რას არ გაიგონებ. მასწავლებელი გაძარცვეს, თუმცა რაც არა აქვს, რას წაიღებდნენ. ალბათ, შეშინებული და შეურაცხყოფილია. რა და როგორ იყო შენ, ალბათ, უკვე ყველაფერი იცი.

— რაც გითხარი. ამას ნამდვილად არაფერი შემიძლია დავუმატო. მასთან მივიდეთ და თვითონ გვეტყვის რა მოხდა და როგორ.

მზევი მაჩაბელი წარმოშობით მაჰმადიანი მესხი ქალი გახლდათ, ასპინძის რაიონის სოფელ ვარნეთიდან. გათხოვილი იყო ახალციხელ სოლომონ მოსიძეზე, ორივე

მასწავლებლები იყვნენ: სოლომონი მათემატიკისა, მზევი კი ისტორიისა. ერთად სწავლობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში შეუღლდნენ. მათი ქორწინებით მშობლები დიდად კმაყოფილნი არ დარჩენილან, განსაკუთრებით მაჩაბლები, დედისერთა, მათი საფიცარი გოგო, არ სურდათ ქრისტიანზე გათხოვილიყო, მაგრამ რადგან შვილებმა ასე ისურვეს, ბოლოს და ბოლოს მათ ნებას დამორჩილდნენ.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ახალდაქორწინებულებმა მშობლიურ მხარეს მიაშურეს, ასპინძის რაიონში, სოფელ ტოლოშის პედაგოგიურ სასწავლებელში დაიწყეს მუშაობა. ტკბილად ცხოვრობდნენ. ორი ქალიშვილი შეეძინათ. უფროსს ლეილა დაარქვეს, უმცროსს კი სოლომონის დედის სახელი ელენე დაანათლეს ქრისტიანულად.

სოლომონი მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველ დღეებში არმიაში გაიწვიეს. მზევის მშობლები, როგორც სახელმწიფოსათვის "არასაიმედონი" სხვა მესხ მაჰმადიანებთან ერთად 1944 წლის ოქტომბერში შუა აზიის უკაცრიელ ტრამალებში გადაასახლეს. დედა გზაში ინსულტით დაიღუპა, მამამ ფერგანამდე კი ჩააღწია, მაგრამ იქ ჩასვლის პირველსავე კვირაში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ტოლოშის პედაგოგიური სასწავლებელი დახურეს. მზევი ბავშვებთან ერთად სოლომონის მშობლებმა თავისთან წაიყვანეს და ახალციხის პედაგოგიურ სასწავლებელში დაინიშნა ისტორიის მასწავლებლად. ქალაქის №1 საშუალო სკოლაშიც მუშაობდა შეთავსებით, გაკვეთილებით საკმაოდ დატვირთული იყო და მაღალ ხელფასს იღებდა. ეკონომიურად არ უჭირდა, ბავშვებსაც კარგად აცმევდა და თვითონაც გემოვნებით იცვამდა. ლამაზი ქალი იყო, გონიერი, მაჩაბელთა გენი მასში ნამდვილად ლაღობდა, თაყვანისმცემლები საკმაოდ ჰყავდა, მაგრამ თანაგრძნობით არავის ანებივრებდა, საზოგადოებაში უმწიკვლო სახელი და მაღალი რეპუტაცია ჰქონდა. მაჰმადიანი რძლის ოჯახში შემოსვლისთანავე სოლომონის მშობლებმა ყოველგვარი ხმაურის გარეშე ღორის ხორცის მოხმარება შეწყვიტეს.

— ღმერთმა ინება ასეთი დიდებული ქალი ჩვენი რძალი გახდა და ღორის ხორცი რაა, ის ვერ დავთმოთ, მაგას ვენაცვალე! თვითონ კი არაფერი უკადრებია, მაგრამ მე ხომ ვიცი ისეა გაზრდილი, ღორის ხორცი არ მოენატრება. ქვაბები და ჯამ-ჭურჭელი კაზანჯებს და ყვინჩებს ახლად მოაკალვინე და დააფერვინე, უთხრა ელენემ იასონს. მაშინ ხომ ძირითადად ხმარებაში სპილენძის და ვერცხლის ჯამჭურჭელი იყო. ეს ყველაფერი მზევის არ გამოპარვია. დედამთილ-მამამთილი საკუთარი მშობლებივით შეიყვარა. ელენე და მზევი ნამდვილი დედაშვილი და უახლოესი მეგობრები გახდნენ, მათი სადილი სხვადასხვა ქვაბში არასოდეს მოხარშულა. კომუნისტების წყალობით კი ისე, როგორც მოსახლეობის დიდი ნაწილი, ისინიც სალოცავად არც მეჩეთში დადიოდნენ და აღარც ქრისტიანულ საყდარში. ათეისტური პროპაგანდა ზენიტში იყო. ელენემ და იასონმა ჯერ კიდევ ომის წინ, მზევის და სოლომონის "ჩუმად", ორივე შვილიშვილი საფარის მონასტრის ბერს, ეროვნებით რუსს, — "ათანასე ბერს" მოანათლინეს, რომელიც ერთადერთი მართლამადიდებლური ეკლესიის მსახური იყო 40-იან წლებში მთელ სამცხე-ჯავახეთში და ისიც 1941 წელს "გააციმბირეს". რისთვის და რატომ არავინ უწყის. მართლმადიდებლური ქრისტიანული საკულტო დაწესებულებები

სამცხე-ჯავახეთში საერთოდ გააუქმეს და დაარბიეს. ეკლესიების დიდი ნაწილი საწყობებად, ხოლო საფარის მონასტერი პიონერთა ბანაკად გადააქციეს.

იოსები და სოლომონი სტუდენტობის წლებიდან მეგობრობდნენ. ეს ურთიერთობა მათ არც შემდგომ დაუკარგავთ. მზევი და სოლომონი ტოლოშის პედაგოგიურ სასწავლებელში რომ მუშაობდნენ, იოსები მაშინ ახალციხის პროკურატურის გამომძიებელი იყო და შეძლებისდაგვარად აკითხავდა ხოლმე. ომის დროს ორივე მოქმედ არმიაში გაიწვიეს. 1943 წელს იოსები მძიმედ დაჭრილი შინ დაბრუნდა. სოლომონი კი ომმა შეიწირა. მზევი უაღრესად დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა არა მარტო იოსებს, მთელ მის ოჯახს. მათზე ახლობელი მას არავინ ჰყავდა. როდესაც მზევი დააყაჩაღეს, სოლომონის მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ, ხოლო ქალიშვილები დაოჯახებული ჰყავდა და ორივე თავიანთი ქმარშვილით თბილისში ცხოვრობდნენ.

უმცროსი ქალიშვილის, ელენეს მეუღლე — რეზო მებუკე, სპეციალობით ფილოლოგი, “ზარია ვოსტოკას” რედაქციაში მუშაობდა. დიდებული ოჯახი ჰქონდათ, ცხოვრობდნენ ერთმანეთისადმი პატივისცემითა და სიყვარულით.

უფროსი ქალიშვილის ლეილას ქმარი ექიმი იყო, “ნერვოპათოლოგი”. თავიდან, როგორც ექიმს, დიდი ავტორიტეტი და კარგი შემოსავალი ჰქონდა, შემდგომში კი გამოუსწორებელი “ალკოჰოლიკი” და მფლანგველი გახდა, რის გამოც მეუღლეთა შორის ფრიად არასასურველი ურთიერთობა სუფევდა და ეკონომიურადაც ხელმოკლედ იყვნენ, რის გამოც მათ მზევი ხშირად აკითხავდა. ყოველ ზაფხულს ლეილა ბავშვებით თავისთან მოჰყავდა და სითბოსა და სიყვარულს არ აკლებდა. ახლაც ჩვეულებრივ თავისთან ჰყავდა და თავს ევლებოდა.

მანქანა მზევის სახლის წინ გაჩერდა და ბინაში შევედით. ლეილა მოგვეგება, მზევის სავარძლიდან ადგომა გაუჭირდა, არ დავანებეთ წამომდგარიყო, ნამტირალევი თვალები შეიმშრალა და დალაგებით მოგვითხრო რა და როგორ მოხდა.

— მთელი თვეა ლეილა ბავშვებით ჩემთანაა. მადლობა ღმერთს, რომ მარტო არ ვიყავი, თუმცა იმის შიში კი მქონდა მათთვის არაფერი ევნოთ... უმცროსი გოგონა ჩემს გარეშე არ იძინებს, მისი გამოისობით შედარებით ადრე მიწევს ხოლმე დაწოლა, ამიტომ კარებსა და ფანჯრებს, რაც ჩემთანაა ყოველთვის ლეილა კეტავს. დაახლოებით ღამის 3 საათზე უნებურად გამეღვიძა, თითქოს რაღაც ხმაურიც მომესმა, მოულოდნელად ოთახის კარი ჯიქურ გააღეს, ელექტროფარანის შუქით დაბრმავებულს მომვარდნენ და ღამისპერანგისამარა დარბაზში გამიყვანეს. ლეილა თავისი ოთახიდან გამოათრიეს, კედელთან გააჩერეს და დანით მოკვლას ემუქრებოდნენ, თუ ყვირილს გააგრძელებდა. სამნი იყვნენ, სახეზე ნიღბები ეკეთათ, ვერცერთი ვერ ვიცანი. ფული და ოქროულობა მომთხოვეს. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, ყველაფერი რაც კი რამ მებადა, გადმოვალაგე და მაგიდაზე დავაწყვე. ეს რა�აო მითხრა ერთმა, რომელიც უფროსობდა, ოქროს თასი და მონეტები სადაა, ახლავე აქ მოიტანეო, თან ლეილას თმებში სწვდა და დანის წვერი ყელზე მიადო. რაღას ვიზამდი, სარდაფში საიდუმლო ნიშაა, რომელშიც საგვარეულო განძი გვქონდა გადამალული, ის სიკვდილის წინ მაჩვენა ჩემმა მამამთილმა და მითხრა: ესო მამა-პაპიდან მოდის, თაობიდან თაობაზე გადადის და მას

ეძლევა შესანახად, ვისაც მისი მფლობელი აირჩევსო, ოღონდ ერთი პირობით, შეუძლია მხოლოდ მაშინ გამოიყენოს, როდესაც ქვეყანას, ან გვარიდან ვინმეს უკიდურესად გაუჭირდებაო. ჯერჯერობით, რაც ჩემთანაა მისი გახარჯვის საჭიროება არ დამდგარა და ამიტომ ხელუხლებელიაო. მის შესახებ ჩვენ ორმა ვიცით და არც არავის გაანდო ეს საიდუმლო, გარდა შენ შემდეგ მისი მფლობელისა, რომელიც ჩვენი გვარიდან შენ თვითონ უნდა აირჩიო. მართალი გითხრათ, მე მის საბოლოო მეპატრონედ მუზეუმი მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ერთგვარად ვჭოჭმანობდი. შემდეგ კი მისი არსებობა თითქოს მიმავიწყდა... ალბათ იმიტომ, რომ ისეთი არაფერი დაგვმართნია, რომ მისი გახარჯვის საჭიროება დამდგარიყო.

ავაზაკებისაგან ამ განძის ხსენებაზე შევცბი, გამიკვირდა მათ საიდან უნდა სცოდნოდათ მისი არსებობა, მაგრამ ფიქრის დრო არ იყო, სარდაფში ორმა ჩამაცილა და სამალავი მთლიანად გაასუფთავეს. წასვლისას დაგვემუქრნენ, თუ განგაშს ავტეხდით აუცილებლად დაგვხოცავდნენ... კარებიდან გავიდნენ. მე და ლეილა შიშით გაოგნებულები ერთმანეთს გადარჩენას ვულოცავდით და ღმერთს მადლობას ვწირავდით, რომ ბავშვებმა არ გაიღვიძეს. შემდგომ შიშმა რომ გამიარა და გავიაზრე რაც მოხდა, სიბრაზისა და საკუთარი უმწეობის შეგრძნების გამო ავტირდი... მილიციას ვაცნობე, სწრაფად მოვიდნენ, აქაურობა დაათვალიერეს, დაგვკითხეს, “დაგვაიმედეს” და წავიდნენ. ისე იქცეოდნენ მაგათგან მგონი არაფერი გამოვა. არა მგონია, რომ თავს დიდად შეიწუხებენ. მეტისმეტად დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, თქვენზე სანდო და საიმედო არავინ მყავს, მით უმეტეს, როგორც მილიციის გამომძიებლის საუბრიდან გავიგე, არსებული კანონმდებლობის თანახმად თურმე მე თვითონ ვარ დამნაშავე და ბრალი მედება სახელმწიფოსათვის ოქროს დამალვის საქმეში. მე საერთოდ არაფერი ვიცი ასეთი კანონის შესახებ და არც მჯერა რომ ეს უაზრობა არსებობდეს.

— თქვენ შეიძლება არ გჯერათ, მაგრამ ასეთი კანონი არსებობს. გარდა პირადი სამკაულებისა, სხვა სახით და ფორმით ოქროს გადამალვა პირადი გამოყენების მიზნით დანაშაულად ეთვლება საბჭოთა კავშირის ნებისმიერ მოქალაქეს. ასე რომ, ის თქვენი განძი კიდეც რომ იპოვონ, მას ვერ მიიღებთ, ის სახელმწიფოს კუთვნილებაა. თქვენ კი პასუხს აგებთ კანონის დარღვევისათვის — განმარტა იოსებმა.

— გამოდის, რომ მადლობელი უნდა ვიყო რომ გამქურდეს. მაშინ რა აზრი აქვს ჩივილს და ძებნას?

— განძის მოძებნა იმიტომაა საჭირო, რომ ის სახელმწიფოს ჩაბარდეს. შემდეგ ის, რომ ყაჩაღობის აქტია ჩადენილი. შენი ფული და სამკაულები გაიტაცეს, რაზედაც გამტაცებლებმა პასუხი უნდა აგონ. ასევე თქვენც... იცით რა? ამ თემაზე საუბარი შემდგომისათვის გადავდოთ. ახლა სჯობია გვითხრა, საიდან შემოვიდნენ, თან გაიხსენო ხომ არავისთვის გითქვამს იმ შენი განძის არსებობის შესახებ?

— შემოსული არიან სამზარეულოს ფანჯრიდან, რომელიც მეზობლის სახლის სახურავზე გადის, დღისით ყოველთვის ღია გვაქვს, ღამით კი საგულდაგულოდ ვკეტავთ. გითხარით რაც აქაა, ლეილას უხდება ხოლმე მისი ჩაკეტვა. მას კარგად ახსოვს, რომ გუშინ საგულდაგულოდ ჩაკეტა და მერე დაიძინა, ფანჯრის მინები საღია, საკვირველია როგორ გააღეს. რაც შეეხება განძს ნამდვილად არავისთვის არაფერი მითქვამს. დაახლოებით ერთი კვირის წინ სარდაფი ლეილამ დაასუფთავა. დაკეტილი

ნიშა შენიშნა, დამიძახა და მკითხა რა არისო. ჩავთვალე, რომ დამალვას აზრი არ ჰქონდა, ვაჩვენე რაც იყო. ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენი და ისიც ვუთხარი, მომავალში წინაპრების ანდერძს დავარღვევდი და ყველაფერს მას და ელენეს გავუნაწილებდი. მკაცრად გავაფრთხილე ამის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა. ლეილა აგერაა და იფიცება, რომ არაფერი დასცდენია, რაშიც ეჭვიც კი არ მეპარება. მხიარული და იუმორის გრძნობით სავსე გოგოა. ამხანაგებს უყვართ და ხშირად მათთანაა. ამ ათიოდე დღის მანძილზე, რაც აქაა, თანაკლასელებმა რამდენჯერმე მოაკითხეს. ერთი პიკნიკიც მოაწყვეს, რითაც ძალზე გახარებული და კმაყოფილია. მაგას განძი, მემკვიდრეობა და ამგვარი რამე არ იტაცებს და არც დროს დაკარგავს ასეთ რამეზე ფიქრით და საუბრით. მაგის ჰობი ნამცხვრების ცხობა, გიტარა, ცეკვა, სიმღერა და წიგნებია. ყოველი დღის გათენებას შეჰხარის და იმ დღის ცხოვრებით ცხოვრობს. ასეთის გაკეთება რომც დაავალო, დაავიწყდება, სანამ ადრესატს ეტყოდეს.

— ლეილას მეგობრებში ან მეზობლად ხომ არავინ არის ნასამართლევი, ციხეში ნამყოფი — არ ეშვებოდა იოსები.

— როგორ არა. ერთი ლეილას თანაკლასელიცაა, ლეილა ზოგიერთ საგანში ეხმარებოდა კიდეც. კარგი ბიჭი იყო, ლეილა რომ გათხოვდა სწორედ იმ წელს, ბინის გაძარცვაში დაადანაშაულეს და ვიცი, რომ ორი წელი იყო კოლონიაში. ახლა წესიერად იქცევა, მის შემდეგ მასზე ცუდი არაფერი გამიგია. აგერ ჩვენი მეზობელი, ვის სახურავზეც ჩვენი ფანჯარა გადის ქურდობაზეა ნასამართლევი, მაგრამ მის მერე დაცოლშვილდა და წესიერად ცხოვრობს.

— კარგი, მეტს ნუღარ შეწუხდები, ჩვენი თხოვნაა დაწყნარდე, თავი დააჯერო, რომ არაფერი მომხდარა. ვფიქრობ მაგ განძს ვიპოვით, მერე შენ იცი, მუზეუმს ჩააბარებ, თუ ისევ “გადამალავ”, — ერთგვარად ხუმრობით უთხრა იოსებმა.

მზევის და ლეილას დავემშვიდობეთ. მილიციის განყოფილებაში შევიარეთ, ვნახეთ გამომძიებელი, შემდეგ რაიონის პროკურორის მოადგილე ვალიკო გოდერძიშვილი, მაგრამ მათგან, როგორც დავასკვენით, დიდი იმედი არ იყო საქმის გახსნისა. დაგვაიმედეს: ძიებას არ შევწყვეტთ და მაგ საქმეს ადრე თუ გვიან ნამდვილად გავხსნითო, მართლაც დიდი იმედიაო, ღიმილით მითხრა. მათგან გამოსვლისას იოსებმა სახლში მიმიპატიჟა, — ჭადრაკი ვითამაშოთო. იოსების მეუღლე ქალბატონი თამარი მოგვეგება, კარგად ვერ იყო, ანგინა გართულებოდა, ყავა მოგვართვა, მოიბოდიშა და საძინებელში გავიდა. ჩვენ ჭადრაკს მივუჯექით, იოსებმა ხმადაბლა მითხრა:

— “ზოგჯერ ჭირიც მარგებელიაო” რომ იტყვიან სწორედ ისეა, ხვალ 11 საათზე ჩემთან მოდი, აქ ბინაზე, ტელეფონი არ დამაჭირვო, ალბათ ამ დღეებში მზევის განძს მივაკვლევთ.

— სად? როგორ?

— ხვალ მოსვლა არ დაგავიწყდეს და ყველაფერს გაიგებ. იცოდე თერთმეტი საათი თერთმეტი საათია.

— როგორ გეკადრებათ, ვუთხარი დაჯერებულად და ქიში გამოვაცხადე. იოსებმა პარტია წააგო, ეტყობოდა ფიქრებით სხვაგან იყო. მივხვდი რომ მისთვის დასვენება და ფიქრებთან მარტო დარჩენა უმჯობესი იქნებოდა. შინისკენ მიმავალი თავს ვიმტვრევდი, თუ როგორ შეძლებდა იოსები სიტყვის შესრულებას.

მეორე დღეს დაპირებისამებრ მივედი, თამარი იწვა, წამლებს იღებდა, მაღალი ტემპერატურა და ყელის ტკივილი აწუხებდა. ჩვეულებისამებრ ჭადრაკს მივუსხედით. იოსებმა ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. უპასუხეს.

— გამარჯობა მზევი, როგორ ხართ?... თამარს სიცხე აქვს, წევს... ანგინაა... არაფერი უშავს, პირველად არაა ასეთ მდგომარეობაში... ძალინ კარგი, რადგან მოვა აფთიაქშიც გამოიაროს, ფურაცილინის ხსნარი წამოიღოს, ურეცეპტოდ და უფასოდ იძლევიან.

ამ საუბრიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ლეილამ ფურაცილინის ხსნარი მოიტანა და უკვე თამარს ეხმარებოდა ინგალაციის პროცედურის გაკეთებაში.

— მანდ რომ მორჩები ჩვენთან შემოდი, შინ ჩემს უნახავად არ წახვიდე, — უთხრა იოსებმა ლეილას.

ჭადრაკის თამაში გავაგრძელეთ, იოსებმა "რევანში" აიღო. ის იყო ფიგურები ავალაგეთ, რომ ლეილა შემოვიდა. იოსებმა თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია, კარებთან თვითონ დაჯდა, ჩვენ საწერი მაგიდის აქეთ-იქით დავსხედით.

— რაც აქ ითქმება სულში უნდა დავიმარხოთ და სამარეში თან წავიღოთ, ლეილა შვილო! ნურც დედას და ნურც ჩვენ გულს მეტად ნუღარ გვატკენ და რაც სახლიდან შენმა მეგობარმა წაიღო მე მომიტანეთ... პირობას გაძლევთ, რომ ძიებას შევაწყვეტინებ და ამის შესახებ არავის არაფერს ვეტყვი. მზევის ეცოდინება, რომ ნაქურდალი გამტაცებლებისაგან ამოვიღეთ, რაც თავისთავად ისედაც ასე იქნება. იმან რომ გაიგოს, შენ რა როლი ითამაშე ამ ძარცვაში, კარგად იცი როგორც შეღონდება, შენ ხომ მას გამორჩეულად უყვარხარ. დედაა! შეიძლება არ შეგიძულოს, მაგრამ მის თვალში ნდობას დაკარგავ, რაც სიყვარულისთვის საზიანო და ძალზე არასასურველია... შენ პირობა უნდა მომცე, რომ მომავალში ამის მსგავს რამეს გულშიც კი არ გაივლებ, ყოველივეს ისე დაივიწყებ როგორც ავ სიზმარს.

მთელი ამ საუბრის მანძილზე ლეილასათვის თვალი არ მომიშორებია, ვხედავდი თუ როგორ ეცვლებოდა სახის ფერი, როგორ უთრთოდა ნიკაპი, როგორ ევსებოდა ცრემლით ნუშისებრი თვალები, ხოლო როდესაც იოსებმა სათქმელი დაასრულა გულამომჯდარი ატირდა. იოსები მოეფერა, დაამშვიდა:

— ღმერთმა ინებოს და ყველაფერი შეგინდოს, სატანა შენ კი არა ბრძენსაც აცდუნებს, კარგია რომ ინანიებ, მჯერა რომ ეგ ცრემლები შენი განწმენდისა და სინანულის თავდებია, ახლა გაჩუმდი, ნუღარ ტირი, მომიყევი რა და როგორ მოხდა, რომ შენი დახმარება შევძლო.

ლეილამ ნდობისა და სინანულის გამომხატველი მზერა მოგვაპყრო და ყველაფერი გულწრფელად გაგვანდო:

— უკიდურესად ხელმოკლედ ვცხოვრობ, დედა რომ არ მეხმარებოდეს ,არ ვიცი რა მომივიდოდა. ყველაფერი ჩემი მეუღლის ბრალია, გამოუსწორებელი ლოთია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვსაყვედურობ და ვეჩხუბები, მაინც მიყვარს, მე ხომ მას სიყვარულით გავყევი... როდესაც დედამ განძი მაჩვენა, გამიკვირდა, გავიფიქრე, იცის როგორ მიჭირს, მართალია მეხმარება კიდეც, მაგრამ რად უნდა ეს გამოუყენებელი კედელში შემარხული სიმდიდრე, ჩემთვის მეათედი რომ მაინც მოეცა, გაჭირვებას თავს დავაღწევდი, ყველაფერს მოვაგვარებდი, მეუღლესაც ვუმკურნალებდი. შენ და ელენეს გაგინაწილებთო! მე ის ნახევარიც თავს მდიოდა, მაგრამ როდის მივიღებდი? ალბათ

მაშინ, როდესაც მთელი ჩემი ცხოვრება განვლილი იქნებოდა. თანაც ვიფიქრე: ელენეს ეს განძი არ სჭირდება, ის ცხოვრებით საკმაოდ განებივრებულია, მდიდრულად ცხოვრობს... გადავწყვიტე ჩემს თანაკლასელ რეზო წეროძეს გამოვტყდომოდი და ძვირფასეულობა მოგვეპარა. მან ჩვენი სახლის ყველა კუთხე-კუნჭული იცის. მოვილაპარაკეთ, რომ ღამით სამზარეულოს ფანჯარას არ ჩავკეტავდი, რეზო ჩუმად შემოვიდოდა, სამალავს გასაღებით გააღებდა, მივასწავლე სადაც იყო, გაძარცვავდა და ისევ დაკეტავდა, ისევ ფანჯრიდან გადავიდოდა და გასაღებს თავის ადგილზე დატოვებდა. დედა სამალავს საერთოდ არ ნახულობს და ამიტომ ვერაფერს გაიგებდა.

ასე გავიდოდა წლები, სანამ ანდერძის სათქმელად შვილებს არ გვიხმობდა, მაშინ თუ მომხდარის შესახებ გაიგებდა, ბევრი არაფერი დაშავდებოდა, ერთ დღეს მეტს იცოცხლებდა თუ ნაკლებს, ეს არაფერს შეცვლიდა. ერთი პირობა გადავწყვიტე, განძი მე თვითონ მომეპარა, მაგრამ რომ სასწაული მომხდარიყო და დედას სამალავი გაეხსნა ჩემს დანაშაულს აუცილებლად მიხვდებოდა, უბრალოდ დამაფიცებდა და მე ტყუილზე ვერ დავიფიცებდი, ხოლო თუ ამას სხვები გააკეთებდნენ, მაშინ თუ საჭირო გახდებოდა, განძი რომ მე არ წამიღია შემეძლო მის წინაშე გულწრფელად დამეფიცა. რეზოსთან შევთანხმდი, რომ მხოლოდ ოქროს ხუთ მონეტას აიღებდა, თხუტმეტი მე მრჩებოდა, ოქროს თასს გაყიდდა და მასში აღებულ ფულს თანაბრად გავიყოფდით. ასე კი შევთანხმდით, მაგრამ პირობა დაარღვია, ნიღბიანი ბანდიტები შემოგვისია. რეზო რომ მათ შორის ყოფილიყო ვიცნობდი, დარწმუნებული ვარ ის ქუჩაში იდგა, თუმცა თვითონ ყველაფერს უარყოფს. ამბობს, რომ შენგან ფანჯრის ღიად დატოვება უბრალოდ შემთხვევით დაემთხვა მათი ჩანაფიქრის განხორციელებას; მე რომ სახურავზე სამი კაცი დავინახე, შევშინდი, ვიფიქრე რომ "ჩამიშვი", სწრაფად სახლში წავედი და შენს ჩემთან მოსვლამდე გარეთ აღარ გამომიხედავსო. ან შენ, ან დედაშენს, კარგად დაფიქრდით, ჩემს გარდა ალბათ კიდევ ვინმესთან თქვით რა და სად გქონდათ დამალული და მე რა შუაში ვარო. მე კი ნამდვილად ვიცი, რომ ყველაფერი მისი მოწყობილია... ერთი სიტყვით, ყველაფერი აირია და ასე გაწბილებული დავრჩი, ახლა ისღა დამრჩენია თავი მოვიკლა, მე ამას ვერ გადავიტან. ასე უჭკუოდ რატომ მოვიქეცი, რაზედ ავიტეხე ამდენი დავიდარაბა. ისევ ატირდა, იოსებს ხელი არ შეუშლია, ტირილი აცალა და შემდეგ უთხრა:

— წადი შენი მეგობარი რეზო მონახე და უთხარი, რომ ძია იოსები გიბარებსო, თუ არ გინდა დაგიჭირონ, აუცილებლად ნახე თქო. თვითონ სახლში დაბრუნდი, დამშვიდდი, არაფერი შეიმჩნიო, ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება.

მამაშვილურად მოეფერა და დაწყნარებული გაისტუმრა. როგორც შემდგომ ჩვენთვის გახდა ცნობილი, ლეილამ რეზო ინახულა და იოსების დანაბარები სიტყვა-სიტყვით გადასცა. რეზომ განძის მოპარვაში მონაწილეობა ძველებურად იუარა და თანაც დასძინა:

— ის მაკლია მილიციაში მივიდე და ტყუილუბრალოდ ყაჩაღობა დავიბრალო, სულელი ხომ არ გგონივართ, რომ ეს გავაკეთო და დასაცინი გავხდეო.

ლეილა რეზოს ბევრი ელაპარაკა, რომ ეს საქმე იოსებთან მისვლით დამთავრდებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ხასიათწამხდარი იოსებთან დაბრუნდა და ყველაფერი გვიამბო.

ლეილასთან დაშორებისთანავე რეზო მილიციაში წავიდა, გამომძიებელი, რომელსაც მზევი მაჩაბლის ბინის გაძარცვის საქმის გამოძიება ჰქონდა დავალებული ინახულა, მასთან ადრეც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მოუყვა რაც ლეილამ უთხრა. დაჰპირდა:

— ოქროს მონეტებს ყველას შენ მოგცემო. თასს "გავასუხარებ" და ჩვენ ის გვეყოფა, მხოლოდ შენებურად მოგვეხმარე.

— ნუ გეშინიათ, ეგ ყველაფერი იოსების ფანტაზიად დარჩება, იმის შიშით, რომ ლეილას მონაწილეობა არ გამჟღავნდეს, ის ამ საქმეს ვერ გაახმაურებს, მხოლოდ შენ არ შეცდე და თავზე არავისთან არაფერი აიღო. იოსებს ახლოს არ გაეკარო, შენზე ეჭვიც კი არაა, ამიტომ არც არავინ დაგკითხავს.

იოსებს მართლაც არავითარი სურვილი არ ჰქონდა ამ საქმეში ლეილას მონაწილეობა გაეხმაურებინა. ეს მზევის გაანადგურებდა და მას ზედმეტ დანაშაულად მიაჩნდა, ვიდრე თვით ყაჩაღობის აქტი იყო.

ვერ მივმხვდარიყავი რას იზამდა. მზად ვიყავი რეზო გამეწკეპლა. მე მას კარგად ვიცნობდი. მამამისი ჩვენს დაწესებულებაში წლების განმავლობაში ცეცხლფარეშად მუშაობდა. დედა მებუფეტე იყო. ორივეს კარგი სახელი ჰქონდათ, მაგრამ შვილის აღზრდაში როგორც ჩანს, რაღაც შეეშალათ, თორემ გონიერი, ჯანმრთელი ბიჭუნა, ასეთ გზაზე არ დადგებოდა. ისიც ვიფიქრე, ქუჩაში გამოვიჭერ და იოსებთან ძალით მივათრევ მეთქი, მაგრამ იმის შიშით, რომ გამექცეოდა და დაიკარგებოდა, თავი შევიკავე, თუმცა ეს ვარიანტი საბოლოოდ არ გამომირიცხავს.

კვირა დღეს ბაზარში წასასვლელად სახლიდან მანქანით გამოვედი; სადგურის მოედანზე ლეილა დავინახე, გავჩერდი, მივესალმე და მანქანაში ჩაჯდომა შევთავაზე. ჩაჯდა, ისე რომ ადგილიდან არ დავძრულვართ, ვკითხე, თუ სად წამეყვანა, — არსადო, მითხრა. აქ იმიტომ ვარ რეზომ მთხოვა, მილიციაში წამყევი და მერე ერთად ძია იოსებთან მივიდეთო.

— სად შეხვდი, რომ ასე შეთანხმდით?

— გუშინ საღამოს სახლში მომაკითხა და შეხვედრა აქ დავთქვით. თქვენ ნუ შეწუხდებით, დაახლოებით ერთ საათში ძია იოსებთან ვიქნებით.

— არსად მეჩქარება, მილიციაშიც მიგიყვანთ და იოსებთანაც.

— ადვილი შესაძლებელია თქვენს მანქანაში არ ჩაჯდეს, იფიქრებს, რომ რაღაცას ვუწყობ, თანაც მილიციაში თქვენი მანქანით... აი ისიც.

ლეილამ მანქანის კარი გააღო და რეზოს ანიშნა მოსულიყო. მოვიდა. მოგვესალმა, უკანა სკამზე ლეილას მხარეს დაჯდა და იკითხა, რა გნებავთო. როდესაც გაიგო, მისგან არაფერი გვინდოდა და იქით ვთავაზობდით სამსახურს, იუარა, მადლობა გვითხრა და მანქანიდან ჩავიდა. ლეილაც გადავიდა და ქუჩაში საუბარი დაიწყეს. ის იყო მათ თავის დაკვრით გამოვეთხოვე და მანქანა დავძარი, რომ რეზომ, — მოიცაო! იყვირა.

მანქანასთან მოიჭრა, კარი გამოაღო და “სიდენიიდან” მომცრო შავი მატერიის პარკი აიღო, წამსვე ლეილა ხელებში სწვდა და პარკი გამოსტაცა. სწრაფად მათ გვერდით გავჩერდი, რეზოს ლეილასათვის პარკის უკან წართმევა არ დავანებე და კატეგორიულად მოვთხოვე დაწყნარებულიყო. დამემორჩილა, შებრუნდა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა. პარკის შეხებისთანავე ჩემს გონებაში მონეტები ამოტივტივდა და არც შევმცდარვარ.

იოსებთან მისულებს მე და ლეილა დაწვრილებით ვუამბობდით რა და როგორ მოხდა, თან თასის ხელში ჩაგდების ჩვენეულ ვარიანტს ვთავაზობდით. იოსებმა გვთხოვა საერთოდ ჩუმად ვყოფილიყავით და მომხდარის შესახებ არავისთან არაფერი გვეთქვა.

— საინტერესოა! მაგრამ რადგან მონეტების დაკარგვას ასე იოლად შეეგუა, დარწმუნებული ვარ, რომ აქ მოვა და ოქროს თასს თვითონ მოიტანს.

— ვინ? რეზო? გავიკვირვე გულწრფელად.

— დიახ რეზო. მას სხვა გზა არა აქვს, ის თავის საქციელს ეტყობა უკვე ნანობს, მას განძის კი არა, ყველაზე მეტად ჩვენი დაკარგვის ეშინია. ამ დროს, ჩვენდა გასაოცრად, ლეილა რომელიც აცრემლებული ფანჯარასთან იდგა, უცებ შემობრუნდა, კარები გააღო და რეზო შინ შემოიპატიჟა, რომელიც მორიდებით შემოვიდა, იოსებმა ხელი ჩამოართვა და სთხოვა მეორე ოთახში გაჰყოლოდა. ლეილამ შვებით ამოისუნთქვა, გაბადრულ სახეზე ღიმილი აუთამაშდა, რეზოს მოსვლით გაიხარა. იოსები ჩვენთან მარტო დაბრუნდა და კმაყოფილმა გვითხრა, რომ რეზო ყველაფერს მოუყვა, უთხრა, რომ განძი თავისთან ჰქონდა შენახული, რომ მისმა “მეგობრებმა” იციან მონეტები რომ გამომძიებელს უნდა მიუტანოს ქრთამად, ხოლო თასი იუველირთან უნდა “გაასუხაროს” და თანხა ერთმანეთში გაიყონ, თუ ამას არ იზმს, რასაც ის ნამდვილად აღარ გააკეთებს, დასჯიან და ის ამისთვის მზადაა, საერთოდ უარს ამბობს მათთან “მუშაობაზე”, გინდ მოკლან უკან აღარ დაიხევს.

— თასი დატოვა და წავიდა, — დასძინა ბოლოს იოსებმა. ჩემთვის დავფიქრდი, თითქოს გონებაში რაღაც გამინათდა, გადაწყვეტილება წამსვე მივიღე, იოსებს ვთხოვე თასი რამდენიმე საათით ჩემთვის მოეცა. სიტყვაც არ უთქვამს, ეტყობა ჩანაფიქრს მიმიხვდა და თასი გადმომცა. ლეილას ვთხოვე მანქანაში დამჯდარიყო და რეზოსთან მივიყვანე. შინ დაგვხვდა. ჩვენმა მისვლამ გააოცა, ვთხოვე გამოგვყოლოდა. მანქანა ოფიცერთა სახლთან გავაჩერე, ძირს არ ჩამოვსულვართ.

— იოსებ ნიკალაევიჩმა მითხრა, რომ თასი იუველირისათვის უნდა მიგეყიდა, გულახდილად მითხარი რა თანხა უნდა მოეცა?

— 500 მანეთი.

— თასს მე ვიყიდი, თუ იუველირთან მიუტანლობით არაფერი დაშავდება.

— არა ბიძია გივი! თასი ლეილასია, არავითარი საფასური საჭირო არაა.

— მართალი ხარ, მაგრამ “ბიჭებს” რას ეტყვი? მათთან ხომ საქმე გაგირთულდება. მოდი ასე მოვიქცეთ: თასი დარჩეს ლეილასთან, მაგრამ მე სესხად გაძლევ 500 მანეთს “ბიჭებთან” რომ პირშავად არ გამოხვიდე. სესხი კი მაშინ დამიბრუნე, როცა შეძლებ.

— ისინი ყველაფერს გაიგებენ, ტყუილს ვერ ვიტყვი. ვიტყვი როგორცაა, ოღონდ ერთი განსხვავებით, თასს მე ვყიდულობ ახლობლისთვის საჩუქრად, რისკია, მაგრამ ასე სჯობია, თქვენი მადლობელი ვარ, სესხად... თანახმა ვარ.

რეზო და ლეილა სახლში მივიყვანე. მე იოსებთან დავბრუნდი, თასი მივიტანე და ყველაფერი ვუამბე. საქციელი მომიწონა:

— შენ კაცი გადაარჩინე, ლეილასა და მზევის ხვალინდელ სიხარულზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ყველაფერი ისე აღვასრულეთ როგორც მოვილაპარაკეთ. მზევიმ "ჩაბარებული" განძისთვის მუზეუმიდან მიღებული თანხა ლეილას მისცა, მის უმწიკლოებაში ეჭვიც კი არასოდეს შეჰპარვია. თავი იოსებისაგან დიდად დავალებულად მიაჩნდა, ის მისთვის იდეალური და უმაღლესი ზნეობის ადამიანი იყო. რეზო ღირსეულ კაცად ჩამოყალიბდა, იოსები მისთვის ღმერთკაცად იქცა. დღესაც მის ხსოვნას სანთლებს უნთებს და სათუთად ინახავს.

თქვენ ალბათ ისევე გაინტერესებთ, როგორც მე მაინტერესებდა იმხანად, თუ რამ იმოქმედა პატარა "ქურდ ბიჭ" რეზოზე, რომ მან კავშირი გაწყვიტა "შავ სამყაროსთან".

მიუხედავად ასაკის დიდი სხვაობისა და თავიდან ჩემი მხრიდან მისადმი ანტიპათიებისა, მე და რეზო დავმეგობრდით. ერთ ჩვეულებრივ კვირა დღეს მთხოვა იოსების საფლავზე გავსულიყავით, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ნაშუადღევს მანქანით მომაკითხა, ასე სჯობიაო მითხრა, ამ დროს ხალხი ნაკლებადაა და მეტი სიწყნარეაო. იოსების საფლავთან გაკეთებულ მაგიდაზე სახელდახელოდ წამოღებული "პურმარილი" გაშალა, საფლავის ქვაზე სანთლები ავანთეთ და იოსების მოგონებისა მისი საყვარელი ატენური ღვინით შევსვით. რეზოს სპეციალურად ჩამოეტანა გორის ღვინის ჩამომსხმელი ქარხნიდან. ვატყობდი, რაღაცა უნდოდა ეთქვა, საუბარი წამოეწყო, მაგრამ ვერ ახერხებდა, თითქოს ვიღაცის და რაღაცის ერიდებოდა. მეც არ ვიცოდი რა მეთქვა, რა მეკითხა? ვერ მივმხვდარიყავი რაზე სურდა საუბარი. ისევ თვითონ იძალა სკამზე ჩემს გვერდით ჩამოჯდა, ჭიქები შეავსო... გივი ბატონო ამ დიდებული კაცის საფლავზე, მინდა შევსვათ სიყვარულის სადღეგრძელო, რომელიც ადამიანის ადამიანურობას განაპირობებს და მთლიანად განაგებს მის ქცევას, მე მგონი ბოროტი და კეთილი იმიტომაა ურთიერთგამომრიცხავი ცნებები, რომ ერთის საფუძველი შური და სიძულვილია, მეორისა კი სიყვარული. ცოცხალი ხარ, ცხოვრება, გიყვარს ან გძულს, თუ არც ერთი არ გაგაჩნია და არც მეორე, მაშინ კი არ ცხოვრობ, არამედ უბრალოდ არსებობ, რომელიც არავის არ სჭირდება და არც არაფრის მაქნისია. "კაროჩე" სიყვარულს გაუმარჯოს. მართალია ცუდი უნდა გძულდეს და კარგი გიყვარდეს, მაგრამ არ უნდა წუხდე სხვისი სიკეთის გამო. უნდა იყო ისეთი, როგორიც იოსები იყო. მას ხომ სხვისი ბედნიერება საკუთარ ბედნიერებად და სიკეთედ ჰქონდა გათავისებული. ღმერთო! ნათელში ამყოფე ამ დიდებული კაცის სული.

სადღეგრძელო შევსვით, ვატყობ ნათქვამმა არ იკმარა, ვატყობ აშკარად უნდა მისთვის უჩვეულო, გასაფრთხილებელი, სათუთი რაღაც, რომელიც ალბათ არავისთან

უთქვამს, თქვას, განიტვირთოს და მხოლოდ იმისთვის, რომ ჩუმად არ იჯდე ამ ხის მერხზე. სხვათაშორის ვეუბნები:

— რეზო! თუ ძნელი არაა და შეიძლება თქვა, მითხარი რა მოხდა. გახსოვს მაშინ შენი იოსებთან მისვლა? ლეილასთვის თასის დაბრუნება, "მათთვის" ზურგის შექცევა, რამ განაპირობა ეს ყოველივე? ამის თქმა იყო და თითქოს მასში, რაღაც შეიცვალა, კმაყოფილმა შემომხედა, თითქოს მადლობას მიხდიდა ამ კითხვებისათვის. მივხვდი, რომ საუბრის კი არა, სათქმელის გამჟღავნების საბაბი მივეცი.

— მოკლედ, რომ გითხრა ბატონო გივი, სიყვარულმა და ამ ღმერთკაცის ჩემზე ზრუნვამ, მისმა კეთილგონიერებამ, თუმცა რომ სიყვარული არა, არავის არ მოვუსმენდი და არც დავუჯერებდი, იცით რა? როცა გინდა რაიმე დაიჯერო, მას იოლად იჯერებ... ლეილაზე ვარ შეყვარებული... მერვე კლასიდან მიყვარს... მთელ კლასში ყველაზე სუსტი და შეუხედავი ვიყავი, არავინ არაფრად მთვლიდა, ასეთი "ნაღიბრალი" როგორ გავბედავდი მეთქვა მიყვარხარ თქო. გოგო, რომელიც მთელ კლასში ულამაზესი და სწავლაში წარჩინებული იყო, მაგრამ მე ის მიყვარდა და რა მექნა, არ ვიცოდი. სწავლაში ჩამორჩენილმა მოვინდომე კარგად მესწავლა და ამით გამოვჩენილიყავი, საოცარი ის იყო, როდესაც დამრიგებელმა ასეთი მცდელობა შემამჩნია ლეილას დაავალა დამხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ კლასში ვსწავლობდით და ასაკითაც ტოლები ვიყავით, ის როგორც პატარას, თავისზე უმცროსს, ისე მექცეოდა. ძალას არ იშურებდა მომხმარებოდა ჩემთვის რთული საკითხების გარკვევა-ათვისებაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ლეილამ სწავლა უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე ინგლისურის სპეციალობით გააგრძელა, მე იურიდიულ ფაკულტეტზე ქულები არ მეყო და ვერ ჩავირიცხე. ლეილამ ჩემი მისადმი სიყვარულის შესახებ არც იცოდა და ამას ვერც წარმოიდგენდა. მეორე კურსიდან გათხოვდა, რამაც თავზარი დამცა. ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე, აღარაფერი მახარებდა, ეგ იყო, რომ ალკოჰოლმა და ნარკოტიკებმა ვერ მიმიზიდა თორემ, სხვა ყოველგვარ "სიგლახეზე" ჯვარდაწერილი გავხდი... როდესაც ლეილა ჩემთან მოვიდა და შემეხვეწა ძვირფასეულობის სახლიდან გატაცებაში დავხმარებოდი, მეწყინა-თქო ცოტაა, დიდად შევღონდი, ჩემი სალოცავი უსაყვარლესი ქალისგან ასეთ ბინძურ თამაშს არ ველოდი. ის ჩემს თვალში საოცრად დაეცა და დაპატარავდა. ანგელოზი, მდაბიო ქალად იქცა, მეძავად გარდაისახა, რის გამოც ჩემი მისი დაუფლებისადმი დაუოკებელი ლტოლვა, რომელსაც აქამდე სიყვარული აცისკროვნებდა, უკვე ხელმისაწვდომად ჩავთვალე. გადავწყვიტე უბრალოდ საყვარლად მექცია. მისი ცოლობა, მასზედ ჯვრისდაწერა, რომელზედაც ვოცნებობდი ჩემთვის სასურველი სულაც აღარ იყო. ასეთი ცვლილება ისე სწრაფად განვიცადე, რომ თვითონვე გავვოცდი. "კაროჩე" მე მას ყველაფერი გავურთულე და გავუძნელე. ხოლო, როდესაც აცრემლებული ჩემთან მოვიდა და მოინდომა თავისი "წილი" დროზე მიეღო, მოულოდნელად მოვეხვიე და როგორც სხვა ქალებს, რომლებთანაც მსგავსი ურთიერთობა არ მიჭირდა, ვცადე ისე მოვქცეოდი. გაირინდა,

შემდეგ მივხვდი, რომ წუთით ჩემმა საქციელმა გააოგნა... გაკვირვებულმა ზიზღით თვალებში ჩამხედა:

— ნაძირალა! ყოჩაღ! აი თურმე ვინ ყოფილხარ, გაიძვერა, ცრუპენტელა, გლახაკი, საცოდავი.

კარი გაიხურა და წავიდა. მეგონა განძის გამო იძულებული გახდებოდა და ისევ მოვიდოდა. ტყუილად ველოდი, ოქროზე მძიმე გამოდგა, "უზალთუნმა" ვერ გადაწონა. ქუჩაში დავუდარაჯდი, ზედაც არ შემომხედა, როდესაც მივესალმე ზიზღით მითხრა:

— შენ ჩემთვის მკვდარი ხარო და წავიდა. თვალი გავაყოლე, მიდიოდა ამაყი, ღირსებაშეულახავი, ეს ის ქალი სულაც არ იყო, რომელიც ჩემს წინ ნაქურდალის გაყოფაზე იცრემლებოდა, იყო ის, რომელიც იქ სკოლაში, ამაყად მიმოდიოდა და მე როგორც გლახაკს, ნაღიბრალას, მეხმარებოდა, რომ ანაბანა და ანგარიში მესწავლა. ამის შეგნებამ შემძრა, თავი შემჯავრდა, ხოლო ლეილა ჩემს თვალში ისევ ფერიად იქცა. ის მე ხელახლა აღმოვაჩინე და უფრო ძალუმად შევიყვარე. ავ საქმეებს გავეთიშე, მოვინდომე, რომ მისთვის ჩემი კაიკაცობა მეჩვენებინა. ქალთა სამყარო ჩემთვის ორ ნაწილად გაიყო: ერთ მხარეს მხოლოდ ლეილაა, მეორე მხარეს კი სხვა დანარჩენი. მაგრამ ის დღე იყო და აგერ მეხუთე წელია, ლეილა მე აღარ გამკარებია, თუ არ ჩავთვლით რომ მაშინ იოსების დანაბარები გადმომცა, როგორც მოციქულმა და ასევე თქვენ თვითონ იხილეთ თქვენს მანქანაში გათამაშებული სცენები. რომ აღარ გამიგრძელდეს იცით, რომ იოსების შეგონებითა და დახმარებით "მოტორისტი" გავხდი, დაუსწრებლად ვსწავლობ ავტოსაინჟინროზე, ძალიან ბევრს ვმუშაობ და ვკითხულობ, ერთგვარად კმაყოფილი ვარ, მაგრამ იმ დროს შევნატრი, როგორც თანაკლასელს ლეილასთან რომ შემეძლო ნებისმიერ თემაზე მესაუბრა, მისალმებისა და გამოთხოვებისას მეკოცნა კიდეც. ეს ყველაფერი წარსულია, დღევანდელი დღე კი უიმედოა. ვიცი რომ ქმართან უსიამოვნება აქვს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ერთგული ცოლი და კარგი დედაა. ვხედავ, რომ ჩემით საერთოდ არაა დაინტერესებული. ერთი სიტყვით, მისი თანაგრძნობა არ მიწერია. სხვა ქალით კი ვერც და არც ვინტერესდები. არა და 30 წლისა ვარ, დროა ოჯახის შექმნაზე ვიფიქრო, მაგრამ ეს ოხერი გული... "ვობშემ", რაც გითხარით ჩვენს შორის უნდა დარჩეს. არ შემეძლო არ მეთქვა, თქვენ ჩემთვის, იოსების შემდეგ ყველაზე ახლობელი პიროვნება იყავით და ხართ. მე ასე არავისთან არ ვლაპარაკობ.

რეზომ ჭიქები შეავსო და ჩევნი კარგად ყოფნის სადღეგრძელო შესვა. შემებრალა, სასმისი გამოვცალე...

— თუ დაფიქრებულხარ ლეილა რატომ გიყვარს და რით დაიმსახურა მან, რომ ესოდენ გამორჩეულია შენთვის სხვა ქალებისგან?

— არა, ასე არაა, როდესაც უყვართ არ კითხულობენ რატომ და რისთვის.

— გეთანხმები, არ კითხულობენ, მაგრამ თუ ასეთ კითხვას დასვამ, პასუხს უსათუოდ იპოვი.

— მერე რად მინდა ეს ყოველივე, ამით რა შეიძლება შეიცვალოს?

— მომისმინე და გეტყვი.

— გისმენ, გივი ბატონო!

— ლეილა სკოლიდანვე რომ შეგიყვარდა, ეს იმან განაპირობა, რომ ჯერ ერთი, გარეგნულად მიმზიდველი, ლამაზი გოგოა, მეორეც ის, რომ როგორც შენ ამბობ, თბილად გექცეოდა, როგორც სუსტს და "ნაბოლარას" გეხმარებოდა, არ გამცირებდა, ალბათ "მცირეწლოვანივით" გეფერებოდა კიდეც, ერთი სიტყვით, მასავით თბილად და საამოდ მგონი ახლაც არავინ გექცევა. ამიტომ ბუნებრივია, უნდა შეგყვარებოდა და გიყვარს კიდეც, თან ისიც მნიშვნელოვანია, რომ შენ თვითონ, მას შენთვის მიუწვდომლად თვლიდი, არამც თუ შეიყვარე, გააღმერთე კიდეც, ხოლო როდესაც ამ "ღვთაებამ" შენთვის მოულოდნელად საკუთარი დედის გაძარცვაშიც კი არ ითაკილა მონაწილეობა, შენ თვალწინ ის დაემხო, ხოლო ხედავ? შემდეგ რა სწრაფად მოახდინე მისი რეაბილიტაცია? ეს იმიტომ რომ, რაც გინდა დაიჯერო, ის ყველაზე ადვილი დასაჯერებელია, მით უმეტეს, რომ ლეილას ქცევა ზუსტად ადეკვატური იყო სიტუაციისა... კარგად იცი, რომ ლეილას ოჯახი აქვს, რომელსაც ის დიდ პატივს სცემს და ელოლიავება. თანაც საკმაოდ თავმოყვარე გოგოა. ალბათ დღემდე ვერ ინელებს თავი რომ დაიმცირა შენს წინაშე, რაღაც "ნივთების" გამო და კარგად იცის, ის ამას აღარავის წინაშე აღარ ჩაიდენს. ამიტომ ფიქრი იმისა, რომ შენს "ფანტასტიკურ სიყვარულს" რაიმე პრაქტიკული წარმატების შანსი აქვს, გამორიცხულია. ჩემი რჩევაა ირგვლივ კარგად მიმოიხედე. საკუთარ თავს ერთხელ კიდევ გულდასმით დააკვირდი, ვინა ხარ, "მჯობნის მჯობნი ქვეყნად არ დაილევა", ფანტაზიიდან სინამდვილეს დაუბრუნდი. გათბობა მოინდომე და გამთბობი აუცილებლად გამოჩნდება. სცადე ლეილამ იმ მხარეს გადაინაცვლოს, სადაც შენთვის ყველა "სხვა" ქალია თავმოყრილი. გათბი ჩემო კარგო და სხვაც გაათბე. ისე კი, რომ გიყვარს, დიდი ბედნიერებაა. მას რომ არ უყვარხარ, ეს პატარა წარუმატებლობაა, რომელიც იმ დიდ სიყვარულთან შედარებით ანგარიშგასაწევი არცაა. ადამიანებს ერთმანეთი ურთიერთობის შედეგად უყვარდებათ. ირგვლივ მყოფთ ნუ ებუტები, შენს გვერდით მყოფი გოგონები ისე ცუდები არ არიან, რომ ლეილას ფონზე ვერ შეამჩნოის კაცმა.

რეზომ მაკოცა, ერთხელ კიდევ იმ ქვეყნად წასულთა გასახსენებელი სასმისი ავწიეთ და იქაურობა შებინდებისას დავტოვეთ. ეს იყო მაშინ, დღეს კი ისეა ყველაფერი როგორც იქ იმ დროს, იოსების საფლავთან გავიაზრეთ. რეზო დაოჯახდა, მიუხედავად იმისა, რომ მას საერთოდ არ შერიგებია ის ქალი, რომლის სიყვარულმაც ცხოვრების წესი შეაცვლევინა. მაინც ბედნიერია, ლეილა მისთვის იდეალური ქალია.

ლეილა რომელმაც "ზურგი აქცია" დიდ სიყვარულს, რადგან მან ის ვერც გაიგო და ბუნებრივია ვერც განიცადა, კმაყოფილია შვილებისა, მათი კარგი საქმეებისა, მეუღლის დამყოლი ხასიათისა, რომლის მკურნალობამაც ნამდვილად გაუმართლა. ან კი კაცმა რომ თქვას, რა ბედნიერება შეეძლო მოეტანა ქმარშვილიანი ლეილასათვის რეზოს "დიდ სიყვარულს", როცა ის ქალისთვის უმაღლეს ტიტულს — კარგი დედისა და

ერთგული მეუღლის სახელს ატარებს. მეუღლე, შვილები და ახლობლები თავს ევლებიან, “აღმერთებენ”.

ხომ მოსალოდნელი იყო და ნამდვილად შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო, რომ მზევის, ლეილას და რეზოს გვერდით მაღალზნეობრივი, ღირსეული პიროვნება, სწავლული იურისტი, კაცი შემოქმედი, კაცი ლეგენდა — იოსებ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილი არ დამდგარიყო, რომ იოსების გაგებაში პიროვნების ვალი საზოგადოების წინაშე “სხვაგვარი” ყოფილიყო.

მე ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ მის ასეთ “ჩაშვებას” ჩემს მეტი არავინ, უფრო სწორად ვერავინ იკადრებდა, ამის გაკეთების უფლება თავს მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მივეცი, რაც ყველა ჩვენმა საერთო ცოცხალმა მეგობარმა და თვითონ იოსების სპეტაკმა სულმა შემინდოს და მაპატიოს.

1985 წელი.

იგი სხვაა, სიძვა სხვაა

ცხოვრებას არ უჩიოდნენ, მაგრამ ერთ პრობლემაზე ცალ-ცალკე ბევრს ფიქრობდნენ, ქორწინებიდან ოთხი წელი გავიდა და ბავშვი არ უჩნდებოდათ. ისე რომ სახლში არაფრისთვის არაფერი უთქვამს. დალიმ სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა და დამაჯერებლად უთხრეს: სრულიად ჯანმრთელი ქალი იყო, რომ მიზეზი უშვილობისა მის ორგანიზმში არ არსებობდა. ე.ი. ავთო?!... გაჩუმდა, ქმართან საუბარი ეუხერხულა, თუმცა ისიც გააგებინეს, რომ ზოგჯერ ხდება მეუღლეები ორივე სრულფასოვანი არიან, მაგრამ ერთმანეთთან შვილი არ უჩნდებათ. ასე იყო, თუ ისე სიჩუმე არჩია, თანაც იმედი ბავშვის გაჩენისა არ დაუკარგავს.

ავთო სხვაგავარად ფიქრობდა: მერე რა, რომ ბავშვი არ გვიჩნდება, რამდენიმე წელი კიდევ დავიცადოთ, მერე ან პატარას ვიშვილებთ, ან კიდევ... ვინმეს ვნახავ ისე, რომ დალი ამას ვერც გაიგებს, ან შეიძლება სულაც შევთანხმდეთ კიდეც, ერთი სიტყვით პრობლემა არაა, რამეს ვიღონებთ. ცდებოდა, რა თქმა უნდა, ცდებოდა, როცა ურთულესი პრობლემის ასე მარტივად გადაწყვეტას ფიქრობდა. სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. სწორია აზრი — როდესაც მეუღლეთა ურთიერთობიდან გულახდილობა გამოირიცხება, მაშინ მათ შორის უნდობლობა ჩნდება, რის გამოც მათი ურთიერთობა სიყვარულის ნაცვლად მოვალეობის უბრალო შესრულებად იქცევა, ისიც მანამ სანამ ერთმანეთის ფიზიკურად ატანას შეძლებენ. თუ ისინი სხვადასხვა გარემოებათა გამო მაინც აგრძელებენ ერთად ცხოვრებას, ამას ცხოვრება აღარ ჰქვია. ეს მხოლოდ და მხოლოდ “კომპანიონთა” კავშირია და ისიც უკეთეს შემთხვევაში. რაა? არ მეთანხმებით? სხვათაშორის არ გეკამათებით. მაგრამ ის, რაც მოხდა და მინდა თქვენ გაუწყოთ, მიმაჩნია რომ დაფიქრებად ღირს.

ერთ ჩვეულებრივ კვირა დღეს, როდესაც დალი თავისი სკოლის თანამშრომლებთან ერთად ექსკურსიაზე იყო და დედაშვილი — ზინა და ავთო სახლში მარტო დარჩნენ, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ავთო შვილო! არ იფიქრო, რომ ჩვენს შორის უკმაყოფილება იყოს, ან დალი არ მომწონდეს, მაგრამ მაინტერესებს რას ფიქრობთ, უშვილძიროდ გინდათ დარჩეთ?

— რას გვთავაზობ დედა?

— რას და... ჯერ სამედიცინო გამოკვლევას, შემდეგ კი თუ საჭიროა მკურნალობას.

— დედა! ეს უბრალოდ უხერხულია... თუ შვილი არ გაგვიჩნდება, ბავშვს ავიყვანთ და გავზრდით. იგივე შვილი არ იქნება?

— დარწმუნებული ვარ დალია უშვილო. ყოველ შემთხვევეაში ექიმთან მისვლა აუცილებელია, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

ამ საუბრის შემდეგ მარტოდ დარჩენილი ავთო ფიქრს მიეცა: არა, მართლაც უნდა გავარკვიოთ რაშია საქმე. მკურნალობამ იქნებ მართლაც შედეგი გამოიღოს და დალი ფეხმძიმედ დარჩეს. თუ არადა, როდესაც გაიგებს, რომ უშვილოა, უფრო იოლად შეეგუება აზრს ბავშვის აყვანაზე, ან კიდევ... შეუძლებელი არაფერია... ტახტზე წამოწოლილს ასეთ ფიქრებში ჩაეძინა.

საღამოს შინ დაბრუნებულმა დალიმ მეუღლე გააღვიძა: — რაა ავთო ამდენი ძილი, ღამე აღარ გინდა დაიძინო?

— ვაა! ტურისტს გაუმარჯოს! შენ ის მითხარი, როგორ ჩატარდა თქვენი ექსკურსია. გეტყობა, რომ კმაყოფილი ხარ.

— ძალიან, ნამდვილად ძალიან. მართლაც რომ ზედაზენია, ცაში აზიდული საოცრებაა...

— ძეგლზე არ გეკითხები. მე ის მაინტერესებს როგორ იმგზავრეთ, როგორ შეუწყვეთ ხასიათები, ვინ შეგხვდათ, თორემ ჯვარი და ზედაზენი რაა, მაგაზე არ მინდა "კონსულტაციები".

— ყველაფერი კარგად აეწყო. ხომ იცი ჩვენი კოლექტივი ახალია. ერთმანეთისადმი სიმპათიებითა და დამეგობრების სურვილით ვართ განწყობილი... თუ კაცი ხარ ნუ გამიჭირვე საქმე ამ შენი დაკითხვებით, ყველაზე კარგი და საოცრება იცი რაა? ესაა! აი ეს... დალი ქმარს კალთაში ჩაუჯდა და თავდავიწყებით კოცნა და ალერსი დაუწყო.

— კარგი, კარგი, თორემ...

— რაა "თორემ" დედას დაუძახებ?

— რა და ის, რომ დაღამებამდე მოიცადე, მოსალოდნელია ვინმე შემოვიდეს. თანაც არ დაგავიწყდეს კარგი გამოძინებული და დასვენებული ვარ.

— ოჰ, როგორ მეშინია?

— მომისმინე! მოდი სამედიცინო გამოკვლევა ჩავიტაროთ. იქნებ რამე უმნიშვნელო რამ გვიშლის ხელს ბავშვი რომ არ გვიჩნდება. ვიმკურნალოთ, რომელსაც დაგვჭირდება და ყველაფერი მოგვარდება.

— კარგი, მაგრამ სანამ ეგ არ მომხდარა მაკოცე, მაგრად მომეხვიე... აი ასე, ნუ გაცივდი თორემ...

— დალი!

— რაა დედა?

— მზიამ დარეკა. გადაუდებელი საქმე მაქვს, შვიდ საათზე თქვენთან ვიქნებიო.

— კარგი დედა! ბატონო ავთანდილ! თქვენი წინადადების ასრულება პრაქტიკულად რით და როდის დავიწყოთ?

— მივიდეთ კვლევით ინსტიტუტში, ვუთხრათ რაც გვინდა, პასუხს დაველოდოთ და შემდეგ ისე მოვიქცეთ, როგორც გვირჩევენ და ჩვენი სურვილი იქნება.

— დავუშვათ დადგინდა რომ ერთ-ერთი უშვილო ვართ. რას გავაკეთებთ პრაქტიკულად?

— გააჩნია ვინ?

— დავუშვათ მე.

— განსაკუთრებულს არაფერს. ბავშვს ავიყვანთ და გავზრდით, ან შეიძლება... მაგრამ არა, სჯობია ვიშვილოთ.

—შეიძლებაში ალბათ გულისხმობ, რომ დონორს მონახავ და შენ შვილს გავზრდით, ხომ?

— არც ამაშია არაფერი ცუდი.

— დავუშვათ მოხდა სხვაგვარად. შენ ხარ უშვილო და მე მოვნახე დონორი. მაშინაც არაფერი იქნება ამაში ცუდი?

— როგორ გითხრა, თუ ჩემი გვარის არ იქნება, ჩემი სისხლი არ ექნება, მაშინ რა საჭიროა დონორი, ავიყვანთ ნებისმიერ ჯანმრთელ ბავშვს და გავზრდით. მე მინდა ჩემი გვარი გაგრძელდეს, თორემ შენ თუ მას ვიღაცისაგან გააჩენ ასეთი ვის რად უნდა.

— ე.ი. მე შენთვის მხოლოდ თქვენი გვარის გამგრძელებლის აღმზრდელი ვარ და მეტი არაფერი. თანაც შენთვის ისიც სულ ერთია ბავშვი ჩემგან გაჩენილი იქნება თუ სხვისი. უფრო სწორად მკაცრად გამორიცხავ ის დონორისგან მეყოლოს, ხოლო მე თუ ვიქნები უშვილო, მაშინ შენ, ან შენ შვილს მოიყვან ვიღაც დონორისაგან, ან ვინმე სხვა ქალისგან უშენოდ გაჩენილს და შენ მაინც ასე გააკეთებ ჩვენი უშვილობა შენგან რომ მოდიოდეს და არა ჩემგან. ხომ არ ვცდები. ასე ფიქრობ არა?!

— დაახლოებით კი, სიმართლე რომ იცოდე ჩემი ქორწინების მიზანი ძირითადში ბავშვი იყო და მერე სხვა დანარჩენი.

— ისე მოგდის, რომ ჩვენ სიყვარულს შენთვის მნიშვნელობა არა აქვს, შენ შეგიძლია ნებისმიერ ქალთან, ვინც დონორობაზე დაგთანხმდება, ისევე “წარმატებით” იცხოვრო, როგორც ჩემთან.

— ისე მეკითხები თითქოს არ იცოდე როგორც არის და როგორც ხდება...

— ვიცი, როგორ არ ვიცი. ვხედავ კიდეც რა და როგორც ხდება, მაგრამ ჩემი ესოდენ ერთგულებისა და სიყვარულის სანაცვლოდ, ხომ შეიძლება ამ მხრივ შენ სხვებზე უკეთესი იყო.

— იცი რას გეტყვი? მამაკაცი სასურველ ქალს რომ შეხვდება, მხოლოდ ერთი სურვილი უჩნდება, — მას როგორმე დაეუფლოს. და თუ მოვლენები მისდა სასურველად წარიმართა, არცერთი მამაკაცი ამაზე უარს არ ამბობს.

— კი მაგრამ კარგი და სასურველი ქალი რაღა დონორობაზე დაგთანხმდება, შექმნის ოჯახს, ეყოლება მეუღლე, გააჩენს ბავშვებს და გაზრდის კიდეც. კარგი ქალი შვილს მოიცილებს? ხოლო, თუ საეჭვო ყოფაქცევის ქალებთან, რომლებიც ვინ იცის, ვინ არიან, დაამყარებ კავშირს და იმათ დონეზე დაეშვები, რით იქნები დაზღვეული, რომ

შენ “სისხლსა და ხორცს” რამე პროფესიული დაავადება არ დაყვება შენი შერჩეული დონორის მუცლიდან. თუ მამაკაცისათვის სულერთია ვისთან დაამყარებს კავშირს, ოღონდაც ქალი “თვალში მოუვიდეს”, მით უმეტეს ქალისათვის უფრო იოლია დონორი მამაკაცის პოვნა და თანაც კარგისაც. ეს ხომ ბუნებას დიდებულად აქვს მოწესრიგებული, — მდედრის სიგნალზე მამრი ყოველთვის აქტიურად პასუხობს, რა თქმა უნდა თუ ასეთად ვარგა... ხედავ ბატონო ავთანდილ, სანამდე მივყავართ ასეთ საუბარს?

— მე მაინც არ მესმის რატომ არ გინდა გამოვიკვლიოთ ჩვენი შესაძლებლობები და ვიმკურნალოთ კიდეც.

— კი ბატონო! გეთანხმები... სადაცაა მზია მოვა, მაგისი და თალიკო ექიმია, თანაც იმ კვლევით ინსტიტუტში მუშაობს, სადაც ჩვენ უნდა მივიდეთ. წაგვყვება და ეცდება დროზე და ნორმალურად გაკეთდეს ყველაფერი.

— დალი! მზია მოვიდა. ახლავე დედა.

დალი ტახტიდან წამოფრინდა. ავთოს მოეხვია, აკოცა, იწექი დაისვენეო უთხრა და მზიას შესახვედრად გავიდა.

— გამარჯობა მზია! ვერ გკოცნი, მგონი გრიპი მაქვს, მეშინია არ გადაგდო.

— იცი რას გეტყვი? გრიპი გემართება თუ “ჩიხოტკა,” არ გეკითხები. მაგ აბზეკილ ტუჩებში უნდა გაკოცო... აი ასე! შენი გრიპი და ვირუსები. “ათუკას” გაუფრთხილდი არ გადაედოს.

— ნამდვილი მხეცი ხარ, ნადირი. რა მიქენი გოგო, კანი ამძვრა ტუჩზე. ვაი შენი ქმრის ბრალი. ნეტა ვინ იქნება ის “ბედნიერი”?

— ათუკასთანა ნაზი და ნარნარა კაცები არ მიზიდავს. “მაგარს” კი ვერ შვხვდი და სანამ არ ვიპოვი შენნაირებს კოცნაში ვარჯიშს არ მოვაკლებ.

— გეყოფა! მომისმინე! შენ არ ვიცი რისთვის მოხვედი, მაგრამ მე მართლაც საქმე მაქვს შენთან.

— ისე, სხვათაშორის გამოგიარე ჩემო მტრედო. შენი მოდუღებული ყავა მიყვარს. თანაც სერიოზული რამ მინდა გითხრა.

— შენ უნდა მითხრა რამე სერიოზული? სასწაულია ნამდვილად, სასწაული.

— მაგ ბაზარს შეეშვი და ყური დამიგდე: თალიკომ მითხრა, რომ ჩვენს ინსტიტუტში უშვილო ქალებს ხელოვნურად ანაყოფიერებენ და ნორმალური ბავშვი უჩნდებათო. სანამ შენი “ათუკა” წყნარადაა და არ გეჩხუბება, თალიკოსთან მიგიყვან და დარდიც მორჩება.

— არავითარ შემთხვევაში! ჩემი შვილი სიყვარულის ნაყოფი მინდა იყოს და არა “შპრიცებით” შექმნილი არსება, შენ ჩემი დახმარება თუ გინდა, ის აჯობებს თალიკოს უთხრა, რომ ზეგ ინსტიტუტში დაგვხვდეს, დაგვიდგინონ რომელი ვართ უშვილო, ან რისი ბრალია ეს ყოველივე და საერთოდ მკურნალობა თუ შესაძლებელია. დანარჩენი ჩემი და ავთოს გადასაწყვეტია.

— კარგი, მოვილაპარაკეთ. წავედი, არც შენი ყავა მინდა და არც შენი “ათუკას” ნახვა. ერთი კიდევ გაკოცო ჩემო “ფუნთუშავ”! ესეც ასე! ჩაო! ჰო, სულ დამავიწყდა — “ათუკას” გაუფრთხილდი ღამით საბანი არ გადაიხადოს...

მზიას წასვლისთანავე დალი საძინებელში დაბრუნდა. ავთოს ღრმა ძილით ეძინა. ამას არ ელოდა, ეგონა დაელოდებოდა. ძილი გაუტყდა, მაგრამ მაინც ლოგინში ჩაწვა და ფიქრებს მიეცა:

— აი თურმე რა!!! მზიაც და ალბათ სხვებიც ფიქრობენ, რომ ავთო "სუსტი" მამაკაცია და ამიტომ არ ვვორსულდები. ავთო დიდი მუსკულატურით მართლაც არ გამოირჩევა, მაგრამ სულაც არაა "სუსტი მამაკაცი", თუმცა დღეს მხარი არ ამიბა. ეჰ! როგორ მინდოდა მომფერებოდა?ასეა, როცა ქმარი ინებებს "მზად" უნდა იყო, შენ სურვილს კი... ვერაფერს გახდები, ქალები ასე ვართ გაჩენილი. წარმოგიდგენია რა იკადრა ჩემმა ათუკამ? ეჰ ზინა, ზინა! ისაა ყველაფრის თავი და თავი, მისგან მოდის ყველაფერი. ახლა ჩემთვის სულაც აღარ არის საინტერესო ავთო შვილის გაჩენის საქმეში უნარიანია თუ უუანარო. მთავარი ისაა, რომ მე უკვე ვიცი, ეს რომ ჩემი ბრალი არ არის... ნამდვილად მაწყობს, რომ ის სრულფასოვანი მამაკაცი აღმოჩნდეს და თუ ჩემთან არ შეუძლია შვილი გააჩინოს, ამის გამოსწორებას მე იმ გზით მოვახერხებ, რითაც ის ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას. მომიყვანს ბიჭი თავის შვილს! მე კი მოვიყვან "ჩვენ" შვილს, მთავარია მას სჯეროდეს, რომ ჩვენი შვილია, ესაა ბავშვისთვის მთავარი, ხოლო მისი მამა სინამდვილეში ვინაა, სულაც არ არის ასეთ შემთხვევაში საინტერესო. ავთოს თუ უნდა ბავშვს მისი სისხლი და გენი ჰქონდეს, გაუგებარია ასეთი პრეტენზია მე რატომ არ უნდა მქონდეს? მაშ ასე! მე ვიცი რასაც გავაკეთებ. პრობლემა შეიძლება გადაწყვეტილად მივიჩნიოთ... ასეთმა ფიქრებმა, თავისდა გასაოცრად გაახალისა და დაამშვიდა კიდეც... მიზანი გაუჩნდა, ხვალინდელ დღეს აზრი მიეცა, ქალური "შურისძიების" რეალური გზა იპოვა, ნაფიქრალით შინაგანად კმაყოფილს ტკბილად ჩაეძინა. დილით ქმარზე ადრე გაიღვიძა, როდესაც ავთომაც გაიღვიძა მოუყვა მზიასთან საუბრის იმ ნაწილს, რომელიც საჭიროდ მიიჩნია, შეთანხმდნენ, რომ ინსტიტუტში ერთად მივიდოდნენ. ის დღე სკოლიდან თავისუფალი ჰქონდა. სახლიდან არ გასულა, უნდოდა საკუთარ ფიქრებთან მარტო ყოფილიყო. მრავალი ვარიანტი აწონ-დაწონა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ როგორმე ავთოსთვის ინსტიტუტში გამოსაკვლევად მისვლა გადაეთქმევინებინა. დანარჩენი ყველა წვრილმანი გაითვალისწინა და მოქმედების კონკრეტული გეგმა შეადგინა, მზაკვრულად გაიღიმა და ჩანაფიქრით "კმაყოფილი" დასასვენებლად ტახტზე მიწვა. დედამთილისა და მეუღლის მოლოდინში უნებურად ჩაეძინა.

ავთოზე ადრე ზინა მოვიდა, დაძინებული რძლის დანახვით დიდი სიამოვნება არ განუცდია, მაგრამ არ იკადრა გაეღვიძებინა. თუმცა მისადმი, როგორც "უშვილო ძუკნასადმი" პატივისცემა დაკარგული ჰქონდა. სამზარეულოში და ოთახებში ყველაფერი დაწკრიალებული და თავის ადგილზე მილაგებული დახვდა, სიხარულის ნაცვლად ბრაზი მოერია, კივდევ ერთხელ ის დღე დაწყევლა, როდესაც დალი მის ოჯახში შემოვიდა, კარი გაიხურა და მეზობლებთან "საჭორაოდ" ეზოში ჩავიდა. უკან ჩქარა დაბრუნდა. ავთო მოსული დახვდა, ის და დალი ერთად სადილობდნენ,

უკმაყოფილება დამალა, ისიც მაგიდას მიუჯდა და ვითომ სხვათა შორის “უკუღმართი” ტონით წარმოსთქვა:

— ჩვენი მაღაზიის დირექტორს წუხელი შვილიშვილი შეეძინა, ეს მის შვილიშვილებში მეორე ბიჭია. ჩემთვის ვიფიქრე, ნეტა თუ ოდესმე მეც მეღირსება ასეთი ბედნიერება და სიხარული თქო.

— მე და დალიმ მოვილაპარაკეთ, ეგ დღეც დადგება დედა.

— მაგას მოლაპარაკების მეტი თუ არაფერი სჭირდებოდა აქამდე ვინ გიშლიდათ ხელს?

— არავინ, მაგრამ ამ საქმის მიხედვა ახლა სერიოზულად გადავწყვიტეთ. მრჩეველი ბევრი იყო და არის კიდეც, მაგრამ მთავარია გვარგოს.

— ღმერთმა ინებოს სასწაული, რომ შენი ცოლი დედა გახდეს. მაშინ ალბათ ყველაფერს ვიწამებ.

— დედა! რა გინდა ვერ გავიგე. შენი წინადადება არ იყო რომ ამ საქმისათვის მიგვეხედა? რაა აქ ქარაგმებით სალაპარაკო.

დალის მეტი აღარაფერი უთქვამს, თუმცა ზინა მის გამოწვევას ყოველნაირად ცდილობდა, მაგრამ რადგან არ გაუმართლა, ადგა და დასაძინებლად წავიდა. დალიმ მაგიდა აალაგა, ჭურჭელი დარეცხა და ავთოსთან ერთად ისიც დასაძინებლად გავიდა.

ხასიათი გაუფუჭდათ, რას გვერჩისო? ზინაზე ერთმანეთს შესჩივლეს. ლოგინში გვერდი-გვერდ ჯოხებივით ელაგნენ. დალიმ იფიქრა საუბრისთვის კარგი დროაო და მშვიდად დაიწყო:

— იცი რა ვიფიქრე ავთო? კვლევით ინსტიტუტში მოდი ნუ მივალთ. უბრალოდ უხერხულია... ჯობია შვებულება აიღე და მაგნიტურ ქვიშაზე ურეკში დავისვენოთ. ამბობენ ქალისთვის მეტად სასარგებლო და კარგია ორსულად რომ დარჩესო. თუ არ გაგვიმართლა, ექიმებს მერეც შეიძლება მივაკითხოთ.

— თანახმა ვარ, თანაც დიდად კმაყოფილი. თუ დამიჯერებ და ცოტა თავს მიხედავ, მჯერა რომ ყოველივე მოგვარდება. სხვა თუ არაფერი, დედას ბუზღუნი არ მოგბეზრდა?

— ზინა მართლაც ვერ მიტანს. ამჯერად ყველაფერს ვიღონებ, რომ გაგვიმართლოს, თუმცა არამგონია ზინას “გაუკეთესებას” ბავშვის გაჩენამ უშველოს.

— ურეკში დიდი, დიდი ორი კვირა, მეტს ნამდვილად ვერ გავძლებთ. ამას შენზე ვამბობ, თორემ თავიდან შენთან ვერც კი ვიქნები. ჩაგიყვან, დაგტოვებ და ერთი კვირის შემდეგ ჩამოვალ. ახლა სამსახურში იმდენი საქმეა, რომ შვებულებაზე ლაპარაკიც კი წარმოუდგენელია. ერთდროულად უამრავ პროექტზე გვიხდება მუშაობა, წუთიც კი მოცლა არაა. მაგრამ როგორც გამონაკლისი, ერთი კვირა შეიძლება შვებულების ანგარიშში გამოვათავისუფლო. თანაც შენი იქ ყოფნის ბოლო კვირას მგონი უფრო საჭირო ვიქნები, თანაც იქიდან ერთად წამოვალთ.

— როგორც მოხერხდება ისე გავაკეთოთ. ისეთ ვითარებაში, როგორც შენ ამბობ, — ზღვაზე ერთი კვირა ერთად ყოფნა, ნამდვილად ღვთის წყალობაა.

— ჰო გენაცვალე! ნამდვილად, ნამდვილად ასეა... შენი ჭირიმე... რა ტკბილი ხარ... რა...

— ხომ არ აჯობებს თავი ურეკისთვის შემოინახო?

— არა, ასე ჯობია... აი ასე, განუმეორებელი ქალი ხარ... ურეკი სად წავა... ასე ჯობია... ასე...

— ჯობია, ჯობია, როგორ არ ჯობია... გენაცვალე...

ალერსში ჩაიძირნენ. ზინას ქარაგმები დაივიწყეს, როდის, როდის გამოერკვნენ.

— დალი! თუ ნათურა არ გიშლის, ცოტას ვიკითხავ. ძალიან საინტერესო წიგნია. ურეკში თან წავიღოთ. შენ იქ წაიკითხავ.

— არ მიშლის, იკითხე, მე უკვე "მძინავს"!

დალი გვერდზე გადაბრუნდა და ფიქრებს მიეცა:

— ურეკში მთელი კვირა მარტო ვიქნები. ნუთუ ისეთ მამკაცს ვერ შევხვდები რომ... მაინც როგორი "კაცი" მინდა შემხვდეს? აუცილებლად ქართველი უნდა იყოს, თანაც რაღაცით ავთოს უნდა ჰგავდეს, ახოვანი და ჯანსაღი უნდა იყოს, თან მე არ უნდა მიცნობდეს და არც შემდეგში უნდა მიეცეს ჩემი ნახვის საშუალება, თორემ ვინ იცის თავი აღარ დამანებოს და ჩემი საყვარლად გახდომა მოინდომოს. ღმერთო დამიფარე. ახალგაზრდა ნამდვილად უნდა იყოს, "დაღლილი" და "მოქანცული". აბა რისი მაქნისია. იქნებიან ურეკში ამისთანა კაცები? იქ ხომ სამკურნალო ხალხი ჩამოდის. თანაც საკმაოდ ეცნობიან ერთმანეთს, არა! იქ ისეთი კაცის შეხვედრის იმედი მე რომ მინდა ნაკლებადაა. ახლომახლო? სოფლებია, ქალაქი ფოთი, მაგრამ რას იზამ, იარლიყჩამოკიდებული ხომ არ ივლი, ან უბრალო შემხვედრს თავს ხომ არ გაუტოლებ და ენდობი. რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ეს საქმე არც თუ იოლი ყოფილა... არა! რაც მოსახდენია მოხდეს. წავალ ურეკში, იქნებ ღმერთი დამეხმაროს, მისი ნების გარეშე მაინც ვერაფერს ვიზამ... ბავშვი მინდა, ბოროტებას ხომ არ ჩავდივარ.

* * *

ზაფხულის არდადეგები იწყებოდა, დალის იმ დღეს ბოლო გაკვეთილები უნდა ჩაეტარებინა. მეხუთე-მეშვიდე კლასებში რუსულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა. გაკვეთილების შემდეგ პედაგოგიური საბჭო იყო დანიშნული, რადგან არც თავის საგანში და არც სადამრიგებლო კლასში ოროსანი მოსწავლე არ ჰყავდა, 20 აგვისტომდე სკოლიდან თავისუფალი იყო. გაკვეთილები ჩაატარა, პედაგოგიურ საბჭომაც ჩვეულებრივ ჩაიარა. სასწავლო ნაწილის გამგემ თავის მოხსენებაში შეაქო, — მოსწავლეებს უყვართ და ენდობიან, სასწავლო საგანს ფლობს კარგად, გაკვეთილებს ატარებს მეთოდურად სწორად და საგნის ჭეშმარიტი სიყვარულით. ამიტომაა, რომ ასპროცენტიანი მოსწრება აქვს, როგორც თავის სასწავლო საგანში, ასევე სადამრიგებლო კლასშიცო. ამ ამბავმა ისე გაახარა, რომ საკუთარი პრობლემები დაავიწყა, მაგარმ შინ მობრუნებული დედამთილის მონუსხულ მზერას რომ წააწყდდა, საფიქრალი განუახლდა. — გადაწყდა! მორჩა! ურეკში უნდა წავიდნენ, მაგრამ არა ხვალ, არამედ ორი დღის შემდეგ... კარგად მოემზადება და აუჩქარებლად მოიფიქრებს ყველაფერს.

ავთო სახლში გვიან დაბრუნდა. მასთან საუბარი არ მოხერხდა. დილით კი თვითონ იკითხა: როგორაა საქმე, ურეკში როდის მივდივართო.

— დღეს ხელფასსა და შვებულების ფულს ერთად ავიღებ. ზოგიერთ წვრილმან რამერუმეს ვიყიდი და ზეგ უკვე შეგვეძლება წავიდეთ. შენი საქმე როგორაა დირექტორს მოელაპარაკე?

— ყველაფერი რიგზეა. ერთი დღით ადრე უნდა გავაგებინო, რომ მივდივართ. დიდებული კაცია გიორგი. იცი რა თქვა, რომ ვუთხარი რატომაც მივდივართ ურეკში? ოღონდ მაგ საქმეს მოუარე და გაშვებას კი არა ნათლიობასაც გპირდებიო.

— მართლაც კეთილშობილი კაცია გიორგი. ანდრონიკაშვილია ბატონო! შეადარე ახლა მაგას ვიღაც "მდაბიო". პოლიტიკურად განსწავლული და აღზრდილი მეტიჩარა, ან დაპროგრამებული მარიონეტი... კეთილშობილების სწავლა არ შეიძლება, ის ჯიშით უნდა მოგდგამდეს გენეტიკურად. — კიდევ კარგი რომ ლავრენტი ბერია ცოცხალი აღარაა, თორემ შენი დედმთილის ნატვრის ასრულებას ეგ სიტყვებიც ეყოფოდა.

— ზინას არ ვამტყუნებ, შვილიშვილი უნდა. თანაც ანდრონიკაშვილი ხომ არაა. რაღაც კაპიკების მეშვეობით აღზევებული მდაბიო. რას იღიმები. მცირემცოდნე, ღარიბი გლეხის შვილიო. ასე წერს ავტობიოგრაფიაში.

— იმაზე მეცინება, რომ შენ და ზინა ნამდვილად აწონასწორებთ ერთმანეთს.

— გმადლობთ დამსახურებას რომ არ მიკარგავ, მაგრამ იგივე დედაშენისთვისაც ხომ უნდა გაიმეტო, აამო, თანაც ჩვენი ურეკში წასვლის თაობაზეც გააფრთხილებ. ადრე მოვა. დღეს პირველ ცვლაში მუშაობს.

— შენ რა უბრად გინდა დაშორდე?

— არა! ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ კარგად იცი რასაც ვეტყვი, ის საწინააღმდეგოს "მაჯახებს". მითუმეტეს ახლა, კაცმა არ იცის რას იტყვის და რას მოიფიქრებს... მას ხომ ყველაფერი გააჩნია და ყოფნის აზრის უკიდურესი აგრესიული ფორმით გამოსახატავად.

— როცა ბავშვის მოვლით იქნებით დაკავებული ყველაფერი შეიცვლება თუ არა და... — ჰო დაამთავრე! თუ არა, რა?

— რა და მე და შენ ზინასთან ცხოვრება აღარ მოგვიწევს... მაგის საყვედურებს ვეღარც მე ვუძლებ, თავი შემძულდა... ხომ გაგახარე, რაღა გინდა?

— ავთო! მე მჯერა რომ ბავშვი მართლაც მოსავლელი და დასაპურებელი გვეყოლება, მაგრამ დედაშენის ჩემდამი განწყობის შეცვლისა ნაკლებად მჯერა. ეჰ! როგორ მინდა დავიჯერო, რომ მისი საქციელი ჩემი უშვილობიდან მოდის და სხვა არაფერი.

— შვილის გაჩენა, რომ ჩვენ ურთიერთობას უფრო შინაარსიანს და ლამაზს გახდის ამის მტკიცება მე მგონი უბრალოდ უხერხულია. რას ერჩი მაშინ ზინას, მას მხოლოდ ჩვენი სიკეთე და ბედნიერება უნდა.

— არაფერს არ ვერჩი. ზეგ ურეკში მივდივართ, მორჩა და გათავდა. ბავშვი გვეყოლება, მაგრამ მაგისი ბუზღუნი, რომ არ გათავდება შენც კარგად იცი.

— შენ მხოლოდ ბავშვის ტირილი გამაგონე და მაგან რამდენიც უნდა იბუზღუნოს.

— კარგი, კარგი. როგორიცაა უფლის ნება ისე იქნება ყველაფერი. ე.ი. ყველაფერზე შევთანხმდით. მე სკოლაში წავედი, ეცადე დღეს ადრე მოხვიდე და დაისვენო. ხვალ მთელი დღე მანქანის მართვა მოგიწევს, იცოდე საჭეს ხელს არ მოვკიდებ... დამაგვიანდა, ეზოში ლენა ალბათ უკვე მელოდება.

— მესმის! სკოლაში მე წაგიყვანთ, დღეს არსად მეჩქარება.

— ძალიან კარგი, წავიდეთ.

* * *

ურეკში მზის ჩასვლამდე ჩავიდნენ. ავთომ წინასწარ იზრუნა, გიორგის დაარეკინა და კოტეჯებიდან შედარებით უკეთესად გაწყობილი დაახვედრეს. მოეწონათ. სახლიდან წაღებული სანოვაგით ივახშმეს და ადრიანად დაწვნენ. კარგი დახვედრით კმაყოფილები ალერსის ზღვაში ჩაიძირნენ და ის საღამო იმ ბედნიერ წუთებს მიემატა, რომელიც ბოლო დროს არც თუ ხშირად ედგათ. დილით იქაურობას და "იქაურებს" გაეცვნენ. "პლიაჟზეც" გავიდნენ, შემდეგ კი ავთო ისე, როგორც შეთანხმებულები იყვნენ, დაემშვიდობა და თბილისში წავიდა. დალიმ წასვლისას შეახსენა, — ჩასვლისთანავე ტელეგრამა გამოაგზავნე და ჩამოსვლა არ დააგვიანოო.

მეზობელ კოტეჯში მცხოვრებ ოჯახთან ერთად ნასადილევს დალი "პლიაჟზე" გავიდა. სწრაფად დაახლოვდნენ. ცოლ-ქმარი იგივე პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა, რაც ავთოსა და მის წინაშე იდგა. მათგან გაიგო, რომ დამსვენებელთა ერთი ნაწილი მეორე დილით 7 საათზე კატარღით სოხუმში აპირებდა წასვლას ექსკურსიაზე. მაყვალა და მერაბი უკვე ჩაწერილები იყვნენ, თუ სურვილი ჰქონდა შეეძლო ისიც ჩაწერილიყო. არ დაფიქრებულა ისე დაეთანხმა, კულტმუშაკი მათთან ერთად ნახა, ექსკურსიისათვის საჭირო თანხა გადაიხადა და კოტეჯში დაბრუნდა. აუტანლად ცხელოდა. კარები ჩაკეტა, "ფორტოჩკები" გააღო, ყველაფერი გაიხადა, დედიშობილამ მხოლოდ ზეწარი გადაიფარა და დაწვა, დაძინება სცადა. ალბათ სიშიშვლის ბრალი იყო რომ მოუნდა მის გვერდით ავთო ყოფილიყო. ვერ დაიძინა, ფიქრები აეშალა:

— კი, ავთო კარგია, ერთმანეთი გვიყვარს, ყოველნაირად კმაყოფილი ვარ, მაგრამ შვილი რომ არ გვიჩნდება? არა და ეს უშვილობა, რაც დარწმუნებული ვარ მისგან მოდის, ლამის ტრაგედიად გვაქვს. დედამთილი ჩემს დანახვასაც კი ვეღარ იტანს, ჩემ გასაგონად იმ დღეს სწყევლის, როცა მე მათ ოჯახში შემოვედი. ხომ შეიძლება ხვალ-ზეგ ავთოც შეიცვალოს, ნათქვამია შეძახილით ხე გახმაო, ზინა შესძახის კი არა შეჰყვირის კიდეც. რა ვქნა? რა ვიღონო? ავთო ბავშვის შვილობაზე არ მეთანხმება, მაძალებს, რომ თავის "შვილს" მოიყვანს, ვიღაც დონორისაგან გაჩენილს, რომელიც ჯერ მოძებნილიც კი არ ჰყავს და მე მთხოვს ჩავერიო და ჩემი მოსაწონი "ავურჩიო". სასაცილოა, ნამდვილად სასაცილო. არა, ამას მე არ გავაკეთებ... ახლა რომ სასწაული მოხდეს და კარგი ვაჟკაცი ვინმე თავზე დამადგეს, ისეთ განწყობაზე ვარ ჩანაფიქრს ავისრულებდი... რა სულელი ვარ, ნეტა ვის ველოდები ამ ჩაკეტილ ოთახში. გული მეუბნება ამ ექსკურსიაზე რაღაც უნდა შეიცვალოს. ვითომ?.. ღმერთო შენ მიშველე და დამიფარე ავისაგან... ასეთ ფიქრებში წასულს ჩაეძინა. კარგა ხნის შემდეგ უნებურად გაეღვიძა. თვალი გაახილა და გაოცებისაგან პირი გაუშრა, — მის წინ საბანაო კოსტუმში გამოწყობილი ახოვანი ვაჟკაცი იდგა. სიტყვა ვერ დასძრა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ შიშველი იყო და "პროსტინა" გაისწორა. ამასობაში "მოჩვენება" თითქოს გონს მოეგო მამაკაცური ბუბუნა ხმით ალაპარაკდა:

— ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებ... ახლავე წავალ, მაგრამ მინდა იცოდე რა მოხდა.

დალი უსიტყვოდ, გაოცებული მისჩერებოდა. ეშინოდა? არა!, გაოცებამ და ერთგვარმა ელდამ სწრაფად გაუარა, დაწყნარდა, ყველაფერი თავისი ოცნების ასრულების ღვთის ნებად ჩათვალა, არც თუ უსიამოდ, მასში უკვე ქვეშეცნეულად "ქალი" იღვიძებდა.

— "სპასატელი" ვარ. მურად ღონღაძე. შემოკლებით "მურადღუს" მეძახიან. კურორტს მაშველად ვემსახურები. ამ კოლეჯში რიაზანელი ქალი ცხოვრობდა. ორი დღის წინ გასაღები მომცა, თავისთან მიმიწვია, დღემდე მოსვლა ვერ შევძელი, ახლა ვხვდები, რომ დავაგვიანე. მოსაწონი ქალი იყო, გაუთხოვარი, თუ გამიმართლებდა შევირთავდი კიდეც. ეს იყო და ეს. ისე კი ნამდვილად გამიკვირდა, კარებს გასაღებს რომ ვარგებდი, ვიგრძენი შიგნით ოთახში რაღაც ჩავარდა, მივხვდი კარებში გასაღები იყო ჩატოვებული და შემთხვევით ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ გარედან ჩემი გასაღების მოწოლით გამოვარდა, რამაც ცოტა დამაეჭვა, — როდესაც გელოდებიან ასე არ გხვდებიან... მართალია მასთან დიდი ნაცნობობა არ მქონია, მაგრამ კარგად მახსოვს სხვა ფერის თმა ჰქონდა, ვიდრე თქვენ გაქვთ. როცა დავრწმუნდი, რომ სხვა იყავით, გაპარვა დავაპირე, მაგრამ ამ მინავლებული ქუჩის სინათლეზე ისეთი მშვენიერი ხართ, თვალი ვერ მოგწყვიტეთ, თანაც ჩქარა გაიღვიძეთ. ღმერთმა იცის თქვენთან არ მოვსულვარ და არც არავითარი "ცუდი" განზრახვა მაქვს... მაპატიეთ, წავედი!

— ღვთისგულისათვის! გთხოვთ ნუ წახვალთ. ჩემგან გასულს, ახლა ასეთი დროა, უთუოდ დაგინახავენ და ლამაზი არ იქნება. კარგად დაღამდეს და მერე გადით. მე აქ მხოლოდ ერთი დღით ვარ გაჩერებული. დილით სახლში, სოხუმში მივდივარ.

— სოხუმელი ხართ?

— დიახ. თბილისში ვსწავლობ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, დაუსწრებლად. აქ ნათესავები ისვენებენ. სახლში მათთან ერთად უდა წავსულიყავი, მაგრამ გამასწრეს. დირექციას ვთხოვე და ხვალ დილამდე აქ დავრჩი, დილით სოხუმში კატარღით ექსკურსანტები მიდიან და მათ მივყვები. ცუდად არ გამიგოთ, აგერ ჩემ ლოგინში დაწექით და დაისვენეთ. მე გავალ და გვიან შენი წასვლის დროს დავბრუნდები. არაფერი დაგიშავდებათ, საჭმელი კარადაშია, ღამით კი უჩუმრად გახვალთ.

— არც მე წავალ და არც შენ გაგიშვებ, ცოლად შეგირთავ ჩემო ფერია... ჩემო კარგო... ჩემო ტკბილო... გენაცვალე... შენი ჭირიმე... შენი...

დალის ოცნება აუხდა. ბრგე ვაჟკაცის მკლავებში პატარა გოგონასავით "ჩაიკარგა". სიამოვნებისაგან გათანგული რაღაც უჩვეულო ბგერებს გამოსცემდა, ხოლო როდესაც გამოერკვა შეეშინდა სიამოვნებისაგან გული არ გახეთქვოდა, რომელიც ისე საამოდ უცემდა, რომ მის დასაოკებლად მურადს ვნებით ანთებული კიდევ და კიდევ გულზე ეკვროდა.

ვაჟკაცი კაცი გაოცებას ვეღარ მალავდა. ასეთი ალერსიანი ქალი არსად ენახა. მართალია "ქალიშვილი" არ იყო, მაგრამ ასეთი მზეთუნახავი, კაცის ალერსს ვერ გაეგო ასე დანატრებული რატომ უნდა ყოფილიყო. ფიქრის დრო არ იყო, ქალი ალერსით

ახრჩობდა. ბოლოს როგორც იქნა “ამოისუნთქეს”, ერთმანეთის გვერდით წყნარად წოლა შესძლეს.

— განუმეორებელი ქალი ხარ. რა გქვია? ვინ ხარ? დარჩი ჩემთან, დავქორწინდეთ. შენგან არაფერი არ მინდა, მეტს არაფერს გთხოვ, მხოლოდ ასეთი იყავი, აი ასეთი... ჩემო ტკბილო... ჩემო კარგო... შენი ჭირიმე...

და ერთხელ კიდევ დამშვიდება სცადეს. ბოლოს და ბოლოს შესძლეს დინჯად და მშვიდად ელაპარაკათ.

— ძალიან, სულ ძალიან გთხოვ ნურაფერს მკითხავ. ჩემით ნუ დაინტერესდები. სრულიად საკმარისია, რომ მე ვიცი ვინცა ხარ და შემეძლება ნებისმიერ დროს მოგნახო. ხვალიდან ვეღარ მიხილავ, თუ ჩემთან ურთიერთობა რამედ გიღირს, გიმეორებ ჩემით ნუ დაინტერესდები, დასჯერდი რაც იყო და რაც ჩვენ განშორებამდე იქნება. ესაა და ეს. თუ ჩემს თხოვნას შეასრულებ, ეს იქნება ჩვენი მომავალი შეხვედრის საწინდარი. მინდა იცოდე, რომ დაოჯახებული ვარ, მეუღლეც კარგად მყავს და გათხოვებასაც აღარავისზე ვაპირებ... ახლა მე გავალ. შენ აქ დარჩი, დაისვენე, საჭმელი, როგორც გითხარი კარადაშია. ისე რომ შიმშილით არ მოკვდები. იცოდე ღამით ძილს არ ვაპირებ...

დალი გამოეწყო და გავიდა. კარები გარედან დაკეტა. მურადი კი იმდენად დაღლილი და ნასიამოვნები იყო, რომ მისი გასვლისთანავე დაიძინა. დალიმ სამხარს მიუსწრო, მოგვიანებით მეზობლებთან ერთად “პლიაჟზე” გავიდა, ერთი საათი სუფთა ჰაერზე ეძინათ, ნავახშმევს მათ ბოდიში მოუხადა უნდა დავისვენო, კარგად გამოვიძინო, კატარღით მგზავრობას ცუდად ვიტანო და კოტეჯში დაბრუნდა. მურადს ისევ ეძინა. კარები საგულდაგულოდ ჩაკეტა, საწოლზე ჩამოჯდა და მძინარე “აპოლონს” დააკვირდა, მისი სილამაზითა და სიჯანსაღით კიდევ უფრო მოიხიბლა. სხეულში საამო სითბომ დაუარა.

— გმადლობთ უფალო, ოცნების ასე ცხადად ახდენისათვის, მაგრამ მე რომ ჩემი ბედისა ვიცი, ალბათ ესეც უშვილო იქნება. არა და რომ პირადად არ გადამხდენოდა დაუჯერებელი ამბავია, რას ვიფიქრებდი და როგორ თავისთავდ აეწყო ყველაფერი, თუ ფეხმძიმედ დავრჩი ავთო და დედამისი საბოლოოდ დაწყნარდებიან, მოეშვებიან დონორების ძებნას, ვიცხოვრებთ მოსვენებულად და ბედნიერად. ეს ყველაფერი კი რაც ამ კოტეჯში ხდება ჩემთვის რაოდენ ძნელი არ უნდა იყოს გაქრება, როგორც სიზმარი. ღმერთმა მაპატიოს, რასაც თავს უფლებას ვაძლევ. ძნელია, მაგრამ მურადი აქედან მისი გასვლისთანავე უნდა დავივიწყო. იმას, ალბათ რასაც ვერავინ შესძლებს, მე უნდა შევძლო.

დალიმ ფიქრი შეწყვიტა. სასწრაფოდ გაიხადა და მურადის ლოგინში შეუწვა. — დაღლილა! სძინავს! მაინც რა იყო ასე უძღებად რომ მოვიქეცი, თუმცა სადაა გრძნობის სამანი, ვის შეუძლია მისი დაწესება. როგორ მინდა ბიჭი გამიჩნდეს, “მურადიზე” უკეთეს ვაჟკაცად გავზრდი. როგორ მეყვარება?! ამას განა ვინმე წარმოიდგენს.

ასეთ თავდავიწყებაში მყოფს არც უფიქრია რომ მურადის ეძინა, მკლავები მოხვია და ტუჩებზე დააკვდა. მურადი თითქოს ამას ელოდაო დალი გულში ჩაიკრა და ბურანში წასული ზემოდან დაიწვინა. ერთმანეთით უსაზღვროდ “დათაფლულნი” კარგა ხანს ასე იყვნენ. შემდეგ მურადი წამოჯდა, დალი პატარა ბავშვივით ხელში აიყვანა, მუხლებზე

დაიჯინა და გაშმაგებით კოცნა და ალერსი დაუწყო. ოთახში ველური სექსი ზეიმობდა. დალიმ მხოლოდ ღამის ოთხ საათზე მურადი "აიძულა" კოტეჯიდან გასულიყო. მან წასვლისას დალი გულში ჩაიკრა, კოცნით ლამის დაახრჩო, შემდეგ კი დინჯად უთხრა:

— სიზმარია თუ სინამდვილე ვერ მივმხვდარვარ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ უცოლოდ დავრჩები შენ თუ არ გამოჩნდები, შენს გარდა მე ქალი არ მინდა. კარგად დაიხსომე: თუ გულმა ჩემსკენ გამოგიწიოს წინააღმდეგობას ნუ გაუწევ. ერთად ვიცხოვრებთ, მე შენ უსასრულოდ დაგელოდები.

შემდეგ კი ისევ გულში ჩაიკრა, ვნებიანად ჩაეკონა და სიბნელეში გაქრა. დალიმ საჭირო ნივთები მოამზადა, მეზობლებს შეეხმიანა და მათთან ერთად უკვე ნაპირთან მომდგარ კატარღისკენ გაემართა. ასე ბედნიერი არასოდეს ყოფილა.

ექსკურსიიდან დაბრუნებულმა ბინა გამოიცვალა, მთავარ კორპუსში გადავიდა. მიზეზად ის მოიყვანა, რომ კოტეჯი მეტისმეტად მზიანი და ცხელია, ვერც დღისით და ვერც ღამით ვერ ვისვენებო. ზუსტად მერვე დღეს ავთო ჩამოვიდა. მათთვის ყოველი დღე ნეტარების ახალი ფურცელი იყო, რა თქმა უნდა განსხვავებული ვინემ ის "ბობოქარი" ღამე, მაგრამ დიდად ტკბილი და იმით გაჯერებული, რომ დალის ორსულობა საეჭვო აღარ იყო. ერთ მშვენიერ დილას კი ურეკით უზომოდ კმაყოფილმა მეუღლეებმა იქაურობა დატოვეს და თბილისს მიაშურეს.

ავთო ყველას აჯერებდა ურეკის მაგნიტური ქვიშის სასწაულმოქმედებაში, ხოლო როდესაც ბრდღვიალა ბიჭი შეეძინათ, ზინამაც ირწმუნა ურეკის ყოვლისშემძლეობა. ურეკის ერთმა "ლამაზმა" ღამემ ოჯახს ერთიანობა შეუნარჩუნა. მის წევრებს კი ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული. ასეთია ეს პატარა ისტორია. ვინ ვინაა და როგორი, მკითხველმა განსაჯოს.

შემდგომში დალის და ავთოს გოგონა შეეძინათ, რომელიც საოცრად ჰგავდა თავის მამიკოს, რის გამოც ყველა ბედნიერებას უწინასწარმეტყველებდა და აუხდა კიდეც. დღეს დალი და ავთო შვილიშვილების სიმრავლით გახარებული ერთმანეთის მოსიყვარულე მოხუცები არიან, რომლებიც სიამოვნებით იგონებენ იმ ლამაზ დღეებს, ურეკის მაგნიტურ "ქვიშაზე" ერთ დროს რომ გაატარეს.

1986 წელი

გაუხსნელი საქმე

ვინც სამცხე-ჯავახეთში ყოფილა დამეთანხმება, რომ ეს მხარე და მისი ცენტრი ქალაქი ახალციხე, საოცრად მიმზიდველი მომხიბლავია ყველასათვის.

მაინც რა ხდის აქაურობას მთლიანად, ხოლო ამ პატარა პროვინციულ ქალაქს ესოდენ მიმზიდველსა და კოლორიტულს?

სადაო არაა, რომ ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს გეოგრაფიული გარემო, მისი უიშვიათესი ფლორა და ფაუნა. ვის არ მოხიბლავს აქაური თევზსავსე მდინარეები და ტბები, გნოლითა და კაკაბით მოფენილი აქოჩრილბუჩქნარიანი გორაკ-ფერდობები, ნადირ-ფრინველით გაცოცხლებული უნიკალური ტყეები და როჭო-შურთხების

საუფლო-ალპური საძოვრები, ღალღა-მწყერის ჭუკჭუკითა და ტოროლების წკრიალა საგალობლებით ამეტყველებული ყანები და მდელო-სათიბები, ციხე-დარბაზებით, ეკლესია-მონასტრებითა და ნატიფად ნაკვეთი ქვაბებით დამშვენებული ფრიალო კლდეები და მათი მწვერვალები, ათასფერ ყვავილთა მოზაიკით მოხატული მობიბინე მინდვრები და მდინარისპირა ჭალები, ხეობებში თოკებივით ჩაკიდებული ანკარა ნაკადულები და მოჩუხჩუხე წყაროები. ახლად გათიბული ბალახისა და თაფლის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი, ჩახჩახა მზით განათებული სამხრეთის კავკასიონის მწვერვალები და სანავარდო ადგილები. მაგრამ მთავარი, თავი და თავი, მაინც ხალხია, ადამიანები, ისინი, რომელთაც ერთი სიტყვით, — "აქაურები" რომ გამოვხატავთ.

ახალციხე ხალხთა თავისებური კონგლომერატია. ქართველებთან ერთად ცხოვრობენ და თავს აქაურ მკვიდრებად მიიჩნევენ სომხები, რუსები, ებრაელები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, რომელთაც ბრწყინვალედ იციან თავიანთი წარმომავლობა, მაგრამ ვინაიდან საუკუნეებია მათი აქ ჩამოსახლების შემდეგ, უყვართ ეს მხარე და საქართველოს თავიანთი სამშობლო ქვეყნის დონეზედ თვლიან.

მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ წლებში სამცხე, როგორც ნაკლებად დასახლებული მხარე, შეივსო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებული მოსახლეობით. ბუნებრივია მათ თან მოიტანეს თავიანთი კუთხის ადათ-წესები, რომელთა შერწყმა მოხდა ადგილობრივ მესხურ წეს-ჩვეულებებთან და დამკვიდრდა ლამაზი ცხოვრების წესად, რომელშიც პრიორიტეტებს თანადგომა, ურთიერთპატივისცემა სხვა ეროვნებისადმი კეთილი დამოკიდებულების, ერთმანეთის მიდგომისა და გაგების უნარჩვევები წარმოადგენს. ინტერნაციონალიზმი აქაურთათვის მარტო სიტყვა კი არაა, არამედ მათი ცხოვრების წესადაა ქცეული.

აქაური ბავშვები ადრეული ასაკიდან სწავლობენ ერთმანეთის ენას, უფროსების მაგალითისამებრ ურთიერთმეგობრობენ და მეგობრებად რჩებიან მოწიფულობაშიც, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა იმისა, რომ მიუხედავად მოსახლეობის სიჭრელისა, ამ მხარეში ეთნოკონფლიქტები თითქმის არ არის.

ახალციხეში სხვა შესანიშნავ ადამიანებთან ერთად, ჩვენს გვერდით სახლობდა თამარ და იოსებ გარსევანიშვილების ოჯახიც.

იოსები რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე იყო, თამარი კი რიგითი ადვოკატი. მაღალი ზნეობითა და მომხიბლავი გარეგნობით გამორჩეული ეს დიდებული წყვილი, იმხანად ნამდვილი მშვენება გახლდათ ჩვენი პატარა ქალაქისა.

მიუხედავად ასაკის სხვაობისა მე და იოსები ვმეგობრობდით. ცხოვრებისეულ საკითხებში ჩვენი აზრები იშვიათად თუ იყოფოდა. მაგრამ, როდესაც ეს ხდებოდა, უმეტესად მისი იყო ჭეშმარიტი, რასაც ისეთი ტაქტიკითა და ტონით მთავაზობდა ხოლმე, რომ მის პოზიციაზე გადასვლა სულაც არ იყო ჩემთვის სათაკილო, პირიქით, მსიამოვნებდა კიდეც, რომ ჭეშმარიტი აზრი მოვისმინე და სწორი შეხედულება გამიჩნდა.

იოსები ნადირობის ტრფიალი იყო. უყვარდა ვარძიის სანახებში ნადირობა და ხერთვისის ზემოთ, მტკვარზე ბადით თევზაობა.მისი წინადადებით ვარძიაში, მეტად მშვენიერი მონადირეთა სახლი ააგო ჩვენი რაიონის ამხანაგობის გამგეობამ, სადაც სეზონზე თითქმის ყოველ შაბათ ღამეს ვრჩებოდით. ეს იყო დაუვიწყარი საღამოები. ხის

ტახტზე დასასვენებლად მიწოლილები, დიდხანს ვკამათობდით სხვადასხვა საკითხის შესახებ და ვყვებოდით ათასგვარ რამერუმეს. ხშირად იოსები გვიყვებოდა ხოლმე თავსგადახდენილ და საკუთარი თვალით ხილულ ამბებს. მიყვარდა მისი მოსმენა, უნაკლოდ ფლობდა ქართულ ენას, მოხიბლული ვიყავით მისი მჭერმეტყველებით, ლამაზი, მსუბუქი, ზრდილობიანი იუმორითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით.

ერთხელ მოხდა ისე, რომ შაბათ საღამოს ვარძიის მონადირეთა სახლში მარტო მე და იოსები აღმოვჩნდით. ვივახშმეთ და ტახტზე წამოვწექით. ხომ არ გეძინებაო მკითხა და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია განაგრძო:

— ერთი ამბავი მინდა გიამბო, რომელიც თავისთავად არაა ინტერესმოკლებული, ხოლო როგორც პედაგოგს, შეიძლება კიდეც გარგოს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მრავალი წელი თბილისში, მილიციის ერთ-ერთ განყოფილებაში მომიწია მუშაობამ, ჯერ რიგით გამომძიებლად, ხოლო შემდეგ სამძებრო განყოფილების უფროსად. რთული ოპერატიული მუშაობის გამო ბევრჯერ მთელ დღეღამეს სამსახურში ვატარებდით. როგორც იტყვიან მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით. საქმე მართლაც, რომ ბევრი გვქონდა. ფაშისტების მიერ კავშირის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ომის წლებში, უამრავი ხალხი მოაწყდა საქართველოს, რომელთა შორის საკმაოდ იყვნენ ნებისმიერი რანგის უკუღმართები, რომლებიც ომის შემდგომაც დიდხანს შემორჩნენ აქაურობას და რომლებიც აქაური "თანამოსაქმეების" ხელშეწყობით და დახმარებით, მეტად უხამსი მეთოდებითა და ფორმებით ძარცვავდნენ, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ჩამოსულ უცხოელებსაც. ერთი სიტყვით თაღლითობის, ძარცვის, გაუპატიურების, მკვლელობის შემთხვევები საკმაოდ იყო. კანონი მკაცრი გვქონდა. დამნაშავეთა ლიკვიდაცია უმეტესწილად ადგილზევე ხდებოდა, მაგრამ საქმეს გვირთულებდა ის გარემოება, რომ თვით ორგანოს მუშაკებიც ჩადიოდნენ უკეთურ საქციელს. იყო თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც. სადაც კი საგანგებო კომისიისა და სპეც. ინსპექციის მუშაკები სწვდებოდნენ, მდგომარეობა ერთგვარად სწორდებოდა, მაგრამ კორუფცია თავისას მაინც აკეთებდა.

წესიერ კაცს ბანდიტებისა და ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლა უჭირდა. ჯერ ერთი იარაღი არ ჰქონდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მისი ტარება და გამოყენება იკრძალებოდა. მოქალაქეს უფლება ჰქონდა მხოლოდ იმისა, რომ იარაღი წაერთმია ბანდიტისათვის და მხოლოდ თავის დაცვის მიზნით გამოეყენებინა, ისიც იმის შემდეგ, როდესაც მძარცველი მას დააზიანებდა. ე.ი. მაშინ, როდესაც ესროდნენ, ან დანით ჭრილობას მიაყენებდნენ, რაც თითქმის შეუძლებელი იყო, და თუ ამას მაინც მოახერხებდა, ბოროტმოქმედი საღსალამათი უნდა ჩაებარებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ან დამნაშავეთა სამყარო გაუსწორდებოდა, ან მათთან "შეკრული" თანამდებობის პირები, რომლებიც სულ სხვა მიზეზით მოუღებდნენ ბოლოს მათთვის არასასურველ კაცს. ასეთ ვითარებაში ისღა რჩებოდა ერთ ლოყაში რომ გაგარტყამდნენ მეორე მიგეშვირა, მაგრამ საოცარია ნიჭი და უნარი ადამიანისა. ცალსახად მჯერა და მუდამ იმ აზრისა ვიყავი, რომ იგი გამოსავალს ყოველთვის პოულობდა, რათა წარმატებით გამკლავებოდა საზოგადოებრივ ანომალიებს.

მახსოვს, განაგრძო იოსებმა, პარასკევი იყო, ვმორიგეობდი, გვიან, საღამოს, განყოფილებაში აღელვებული ქალი მოვიდა და სუნთქვაშეკრულმა ძლივს მოახერხა თქმა, რომ კლარა ცეტკინის ქუჩაზე, იმ სახლში სადაც თვითონ ცხოვრობდა, მეზობელ ბინაში ადამიანები დახოცესო.

კარგად არც კი დამიკითხავს, განყოფილების უფროსს ტელეფონით ყოველივე ვაცნობე, შემთხვევის ადგილზე ოპერატიული მუშაკები გავგზავნეთ, თვითონაც სასწრაფოდ მორიგეობა ჩავაბარე და შემთხვევის ადგილზე თითქმის მათი მისვლისთანავე მივედი, მინდოდა საკუთარი თვალით მეხილა ყოველივე.

ბინა, რომელშიც შემთხვევა მოხდა ორსართულიან მრავალბინიან სახლში იყო, მეორე სართულზე, დერეფნიდან ცალკე ასასვლელი კიბე ჰქონდა, რისთვისაც კაპიტალური კედელი იყო გამოჭრილი რკინის გისოსებიანი კარი, რომელიც მეტად მჭიდროდ იკეტებოდა, თუ კედელს არ გაანგრევდი, ან კარებს მორგებული გასაღებით არ გააღებდი, ისე შიგნით ვერ მოხვდებოდი. ბინის ერთადერთი მობინადრე, დაახლოებით ორმოცდაათ წლამდე ასაკის ქვრივი ქალი იყო, ჰყავდა შვილები — ქალი და ვაჟი, რომლებიც იმხანად მოსკოვში ცხოვრობდნენ.

სადარბაზო ოთახის შუაში, სადაც მაგიდა იდგა, ორი გვამი ეგდო, ორთავეს თავზე აჩნდათ ნატყვიარები. მესამე გვამი, საძინებელი ოთახის კარების მახლობლად, კედელთან იყო ჩაკეცილი, რომელსაც არავითარი ჭრილობა არ აჩნდა და არც სისხლი ჰქონდა დაღვრილი, მხოლოდ სახე, განსაკუთრებით კი ქვედა ყბა, რაღაც უცნაურად ჰქონდა მოგრეხილი.

ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად დავათვალიერე. რაც საჭიროდ ვცანი თითქმის ყოველივე გავაკეთე და განკარგულება გავეცი გვამები სამედიცინო ექსპერტიზისათვის პროზექტურაში წაეღოთ, რატომღაც გადავწყვიტე ძიება თვითონ წარმემართა.

მოკლულთაგან ორი მათგანი "ბიჭებმა" იოლად ამოიცნეს. ორივენი თბილისის მცხოვრებლები იყვნენ. ზერო ბენარსკი — იარაღის გამოყენებით მოქალაქეთა ძარცვისათვის ნასამართლევი, და გელა ზუმბაძის, "ძმაკაცის" შემთხვევით მკვლელობისათვის ერთ დროს მსჯავრდებული და რაღაც მოტივებით ვადაზე ადრე განთავისუფლებული. ორივე ჩვენი განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და მათზე "მზრუნველობაც" ჩვენი განყოფილების მიერ ხორციელდებოდა.

მესამე მოკლულის ამოცნობა ვერ შევძელით. არავითარი დოკუმენტი მას არ აღმოაჩნდა ბენარსკისა და ზუმბაძის ახლობლებმაც კი ვერაფერი გვითხრეს მის შესახებ. ჩანდა, რომ ქართველი იყო, რაც ბინის პატრონმაც გვითხრა, დაადასტურა დაკითხვისას. სხვა მის შესახებ ვერაფერი დავადგინეთ.

ექსპერტი ექიმი მეორე დღეს პირადად ვინახულე. დადასტურდა, რომ ორი მათგანი მოკლული იყო მცირე კალიბრიანი შაშხანის ტყვიით. მესამეს — მუშტის ძლიერი დარტყმით მოტეხილი ჰქონდა ქვედაყბის ძვალი, რის გამოც ტვინში სისხლის ჩაქცევით იყო დაღუპული.

პატრონის ჩვენებისა და სხვა მასალების მოკვლევის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ მოკლულები ასეთ სასჯელს იმსახურებდნენ კიდეც, რაც ვიღაცის ხელით მიიღეს, მაგრამ

საქმე რომ “დამემთავრებინა”, უნდა დამედგინა ამ “ვიღაცის” ვინაობა. აუცილებლად უნდა გამერკვია ვინ იყო იგი და რა იყო მკვლელობის მოტივი. ერთადერთი მოწმის — ბინის მეპატრონე ქალის ჩვენება თავისთავად საინტერესო იყო, მაგრამ მკვლელის ვინაობის დადგენისათვის თითქმის არაფრისმთქმელი, რის გამოც გამიძნელდა საქმის ბოლომდე მიყვანა, ან კი რა შეიძლებოდა გამეკეთებინა, როდესაც ამ საქმით ჩვენი განყოფილება და რაიონის პროკურატურა საერთოდ არ დაინტერესებულა. მათი პოზიცია ასეთი იყო: — მომჩივანი არ არის, დაზარალებულიც არავინაა. ისინი ვინც დაზარალდნენ, ასეთს იმსახურებდნენ კიდეც. ღმერთმა ხელი მოუმართოს, ვინც ეგენი მოგვაშორაო. საქმეს ვერ ავუდივართ, თუ კაცი ხარ სხვა გაუხსნელ საქმეებს მიხედეო, მითხრა არც თუ საამო ტონით ჩვენი განყოფილების უფროსმა. ასეთი საუბრის შემდეგ მართლა ეს საქმე გვერდზე გადავდე, მაგრამ პროფესიული ჟინი არ მასვენებდა, მეწადა ბოლომდე გავრკვეულიყავი საქმეში. საკმაო ხნის შემდეგ, როდესაც ამის საშუალება მომეცა, პირადად ვეწვიე ბინის პატრონს — ქალბატონ თამარს და ვთხოვე არა როგორც გამომძიებლისათვის, არამედ როგორც ახლობელისათვის დაწვრილებით მოეთხრო ის, რაც მის ბინაში მოხდა.

თამარი, როგორც ვვარაუდობდი, კარგად აღზრდილი, განათლებული ქალი აღმოჩნდა პროფესიით ექიმი, პედიატრი მისი სათნოება და კეთილშობილება ნამდვილად რომ ესადაგებოდა მისსავე პროფესიას. ყურადღებით მომისმინა და აი რა მიამბო: უფრო სწორად მიამბო მხოლოდ უფრო დალაგებულად და აუღელვებლად, ვიდრე მის წინანდელ ჩვენებაში მქონდა მოსმენილი.

– იმ დღეს როდესაც ეს ამბავი მოხდა, სამსახურიდან სახლში ცოტა ადრე მოვედი. მიუხედავად იმისა, რომ პარასკევობით პაციენტები ყოველთვის მეტია ვიდრე სხვა დღეებში, იმ დღეს რატომღაც ძალზე ცოტანი იყვნენ, რის გამოც საქმეს ადრე მოვრჩი და თავს უფლება მივეცი პოლიკლინიკის მთავარი ექიმისათვის სახლში წასვლის ნებართვა მეთხოვნა.

ბინაზე მისული მსუბუქად დავნაყრდი და ტახტზე მივწექი, ჩამძინებოდა, როდესაც გამეღვიძა კედლის საათი ექვსს აჩვენებდა. მოვწესრიგდი და რადგან განსაკუთრებული არაფერი მქონდა გასაკეთებელი, გადავწყვიტე ბიძაჩემთან წავსულიყავი, ის საღამო მათთან გამეტარებინა. ასეც მოვიქეცი, მათგან თერთმეტ საათზე უკან დავბრუნდი, აქვე ცხოვრობენ, აქედან მეხუთე სახლში, სახლთან მოსულს სამი უცნობი ამომიდგა გვერდში, მითხრეს რომ ჩემთან, როგორც ექიმთან მოსალაპარაკებლად იყვნენ მოსული, დიდი ხანია მელოდნენ და თუ შეიძლებოდა სულ რამდენიმე წუთი ბინაში გვესაუბრა. მართალია მათი გარეგნობა და საუბრის ტონი არ მომეწონა, მაგრამ ზრდილობას ვერ გადავედი, კარები გავაღე და ბინაში შემოვუძეხი. ნავთის “ლამპა” ავანთე, ის იყო მაგიდაზე დავდგი, რომ ერთი იმათგანი მკლავში უხეშად მწვდა და მიბრძანა “ლამპა” ამეღო და დარბაზში გავსულიყავი.

ჩემდაუნებურად პირი გავაღე, მაგრამ იმწამსვე ჩემმა “მბრძანებელმა” გაშლილი ხელი ტუჩებში მომარტყა და მომიჭირა. ვიგრძენი, რომ ბაგედან სისხლი წამომივიდა, ცხვირსახოცის ამოღება ვცადე, არ მაცალეს, დარბაზში გამათრიეს, სკამზე დაჯდომა მიბრძანეს. ერთი იმათგანი, ის, რომელიც შემდეგ საძინებლის კარებთან ეგდო მკვდარი, მაგიდაზე ჩამოჯდა და მიბრძანა, რაც ძვირფასეულობა და ფული მქონდა მომეტანა, თორემ ღორივით დამკლავდნენ.

ვთხოვე ასე უხეშად ნუ მექცევით, თუ კი რაიმე გამაჩნია მოგართმევთ მეთქი, მართლაც მოვძებნე, რაც რამ მებადა და ყველაფერი მათ წინ მაგიდაზე დავაწყვე. არ დაკმაყოფილდნენ.

– ალპინისტ! – უთხრა ერთ მათგანს მაგიდაზე მჯდომმა — “როზისკი”, მეორეს უბრძანა — ეს იქით მეორე ოთახში გაათრიე, შენც იქ იყავი, ისტერიკები არ გაგვიმართოს. თუ მოგეხასიათოს “მოეფერე” კარგი “ტოტაა” არა უშავს.

საძინებელ ოთახში გამიყვანეს, შიშით ვცახცახებდი, ვხვდებოდი, რომ კარგი არაფერი მელოდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად კარების დახურვისთანავე დარბაზიდან ორჯერ ზედიზედ მკვეთრი ტკაცანის ხმა გაისმა. ჩემი “მცველი” მაშინვე კარებს ეცა, დარბაზში გავარდა და თან კარებიც გაიხურა.

რამდენიმე წამი გაუნძრევლად ვიყავი, ჩამიჩუმიც კი აღარ ისმოდა, დარბაზის კარი ფრთხილად გავაღე და ვნახე, რომ სამივენი დახოცილები ეყარნენ იატაკზე. ნივთები და ფული ისევ იატაკზე ეწყო, კარებები და ფანჯრები წინანდებურად ჩაკეტილი იყო. ერთმანეთი დახოცეს თუ სხვა ვინმემ მოკლა ისინი, ვერ გავარკვიე. ნივთები შევინახე და მეზობელს ვუხმე, მდგომარეობა ავუხსენი, შევეხვეწე მილიციისათვის შეეტყობინებინა ყოველივე, — მითხრა თამარმა. მისი ნაამბობის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ შემპარვია, ვინაიდან ყველაფერი ემთხვეოდა ფაქტობრივს. მართლაც, რომ ტკაცანის ხმას ემგვანებოდა მცირეკალიბრიანი შაშხანის ვაზნის გასროლა, რითაც მომხვდურნი იყვნენ დახოცილები, ამიტომ იყო, რომ მეზობლებს გასროლის ხმა არ გაუგონიათ, ბინიდან გამოსული არავინ უნახავთ, თუმცა შეიძლება ვერც დაენახათ. ასე იყო, თუ ისე, საქმე გაუხსნელი დარჩა, მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი, რამაც ეს საქმე შემდგომში მრავალჯერ გაგვახსენა არა მარტო ჩვენი განყოფილების, არამედ რესპუბლიკის სხვა განყოფილებებისა და რაიონების მუშაკებს. ზუსტად ასეთივე “ხელწერით” ხდებოდა მკვლელობები. სურათი ყველგან ერთი და იგივე იყო. შევიდოდნენ ბანდიტები ბინაში, ვაგონში, ვინ მოთვლის სად და სად, და იქვე შემთხვევის ადგილზევე ვიღაც უსწორებდათ ანგარიშს, — შეუბრალებლად ჰკლავდა მათ.

ვერსია იმის თაობაზე, რომ უკმაყოფილებისა და გაუგებრობის ნიადაგზე ისინი ერთმანეთს ჰკლავდნენ, გამორიცხული იყო, ნათელი იყო, რომ მათ ვიღაცის ხელი ანადგურებდა ულმობლად, შურისგებითა და ზიზღით. ფიქრი იმისა, რომ მიმეკვლია თუ ვინ იყო ეს “ვიღაც”, მოსვენებას არ მაძლევდა. ჩემს თავს პირობას ვუდებდი, მხოლოდ მეპოვნა იგი და არაფერს არ ვავნებდი, პირიქით წავაქეზებდი და ხელსაც მოვუმართავდი, მიუხედავად იმისა, რომ მეტად მძიმე დანაშაულს სჩადიოდა. მართლაც

სამართლის ენაზე თუ ვიმსჯელებთ, თითქმის იმაზე უფრო მეტს, რომელთაც ასე ულმობლად ანადგურებდა.

ერთი რამ კი უცნაური, მაგრამ ფაქტი იყო. "ფარული ხელი" ანადგურებდა მხოლოდ ბანდიტებს და ყაჩაღებს, ქურდებს ახლოს არ ეკარებოდა, მისგან მათ არაფერი დაშავებიათ, ამ მხრივ ერთი შემთხვევაც კი არ იყო გამონაკლისი. გაუხსნელი საქმეები არ გვაკლდა და მჯერა, რომ იგი არასოდეს მოაკლდება სამძებრო განყოფილებებს, მაგრამ იმ პირის ვერ პოვნა, ვინც ასეთ საქმეებს ჩადიოდა, როგორც პროფესიონალს ძალზედ მაღიზიანებდა.

ერთ-ერთი "საქმის ჩავარდნის" გამო საგამომძიებლო საქმის დატოვება მომიწია. რის შემდეგ, როგორც იურისტმა ადვოკატურაში დავიწყე მუშაობა. მრავალ სასამართლო პროცესში მიმიღია მონაწილეობა. ჭეშმარიტებისათვის გვერდი არასოდეს ამივლია და მადლობა ღმერთს, რომ "კლიენტურა" არაა ჩემით უკმაყოფილო. მაგრამ სულ ველოდი, ველოდი ამ ბოლო დღეებამდე, რომ წილად მხვდებოდა ბედნიერება და იმ "ვიღაცის" საქმე იქნებოდა სასამართლოს მსჯელობის საგანი. ვერ წარმოიდგენთ როგორი სიამოვნებით ვიკისრებდი მის დაცვას, მაგრამ ახლა უკვე ვიცი, რომ ეს არასოდეს აღარ მოხდება.

გასულ კვირას ბანდეროლი მივიღე თამარისაგან. გამიკვირდა საიდან მომაგნო, როგორც ჩანს მისი ყურადღების არედან დღესაც არ ვარ გასული, იგი მეტად სიმპათიური და ჩემი გემოვნების კუთხიდან ულამაზესი ქალია. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო მაშინ, როდესაც მე იგი "დავკითხე" და ასეთივე დარჩა მისი ხატი ჩემს წარმოსახვაში. ისიც კარგად ვიცი, მას წლები უთუოდ შეცვლიდა, ამიტომ სრულებითაც არა მაქვს მისი ნახვის სურვილი, არ მინდა იგი ვიხილო სახემომჭკნარი, ან ასაკის გამო თეძოებგასქელებული, ასე მსურს და რა ვქნა ჩემო გივი. ისე კი ასაკისათვის, რომ ეს უცნაური ახირება არა, უთუოდ ვნახავდი და ერთ პატარა საყვედურს ნამდვილად ვეტყოდი ჩემი ესოდენ გაწვალებისათვის.

როგორც მისმა წერილმა მამცნო, მას მაშინ ჩემთვის ყალბი ჩვენება არ მოუცია, მაგრამ არ უთქვამს და თურმე დაუმალავს ის, რაც მეტად საჭირო იყო ძიებისათვის, ახლა კი მისი მონათხრობიდან მხოლოდ ცნობისმოყვარეობას ვიკმაყოფილებთ, საქმეს კი იგი აღარაფერს არგებს.

თამარის "წერილი" რამდენჯერმე გადავიკითხე, თან მაქვს წამოღებული და რადგან ჯერჯერობით არ გვეძინება, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ ვრცელია, ხმამაღლა მინდა წაგიკითხო, ერთხელ კიდევ მსურს მოვისმინო იგი. დარწმუნებული ვარ თქვენთვისაც არ იქნება უინტერესო და თუ მან მართლაც დაგაინტერესა, ამაღამინდელ ძილს და ხვალინდელ ნადირობასაც ალბათ უნდა გამოვეთხოვოთ. დაამთავრა თავისი სათქმელი ბატონმა იოსებმა და რამდენიმე ფაქიზად დაწერილი რვეული, მისი თქმით "წერილი" გადმომცა წასაკითხად.

მკითხველმა თვითონ განსაჯოს იგი წერილია, თუ მოთხრობა. მე მას აქ სიტყვასიტყვით მოვიყვან:

— გამარჯვება და დღეგრძელობა არ მოგაკლოთ ღმერთმა ბატონო იოსებ!

უპირველეს ყოვლისა ბოდიშს გიხდით დღემდე ჩემი სიჩუმისათვის, რაც მინდა ირწმუნოთ, რომ არაა ჩემი ბრალი, მაგრამ აქამდე მაინც სინდისის ქეჯნას განვიცდი ამისა გამო. ახლა ალბათ დადგა დრო ავლაპარაკდე და ყველაფერი დაწვრილებით გიამბოთ. მართალია იგი თავისთავად ვრცელი ამბავია, მაგრამ ვეცდები რაც შეიძლება მოკლედ მოგითხრო.

თქვენთან შეხვედრის პირველი დღიდანვე ვირწმუნე, რომ პატიოსანი და კეთილშობილი პიროვნება ბრძანდებით. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ყურადღების არედან ალბათ ძალიან მალე გამოვედი, მე თქვენი ცხოვრების ყველა ნაბიჯს, ნუ მიწყენთ, რამდენადაც ამის საშუალება მქონდა, გულდაგულ ვაკვირდებოდი და მათში კარგი კაცობის გარდა არაფერი შემინიშნავს. ამიტომაა თქვენი ადგილსამყოფელი, რომ კარგად ვიცი და რომ სწორი მისამართით ვაგზავნი ბანდეროლს, რომელშიც ამ წერილის გარდა სხვა არა არის რა, ისიც იცოდეთ, იგი ჩემი განვლილი ცხოვრების მოგონებაცაა და აღსარებაც, რომლის სათქმელად მხოლოდ თქვენთან მოვედი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს წერილი ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს თქვენს ცნობისმოყვარეობას ერთი "გაუხსნელი" საქმის გამო.

როდესაც ამ წერილს ბოლომდე წაიკითხავთ, შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი მისი ვინმესთვის მოთხრობისა, რაზეც წინასწარ გაძლევთ თანხმობას, მხოლოდ ერთი პირობით, ჩემს ნამდვილ გვარსა და სახელს, რომელიც ალბათ არ მიგიციათ დავიწყებას, არსად მოიხსენიებთ. ამიტომაა, რომ მე მას ამ წერილის ბოლოს არ ვწერ, ხოლო რაც შეეხება ბანდეროლზე მინაწერს, თხოვნა შემისრულეთ და იგი წერილის წაკითხვისთანავე დასწვით.

იოსებმა კითხვა შემაწყვეტინა და მითხრა, რომ ეს ასეც გააკეთა, თან დასძინა, — თამარ დიასამიძე მისი მოგონილია, იმ ქალს სხვა სახელი და გვარი აქვსო. მე კი მჯერა, რომ მას ნამდვილად თამარი ერქვა და იოსების ასეთი მანერა მხოლოდ იმ სახელის მატარებლის ინკოგნიტოდ შენახვის ხერხი იყო. თუმცა რა ერქვა იმ ქალბატონს მის მონათხრობში არაფერს ცვლის და ამიტომ მისი გამოცნობა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, დაე აღსრულდეს მისი სურვილი, — დარჩეს ინკოგნიტოდ, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს იგი, უთუოდ მადლობის ღირსია ამ ამბის არ დაკარგვისათვის.

— ჩვენი გვარი კეთილშობილ თავადთა გვარია, — გრძელდებოდა წერილი, წინაპრები სამცხეში წარჩინებული ფეოდალები იყვნენ. ჩვენს მრავალეროვან მუშებისა და გლეხების ქვეყანაში მართალია დღეს არავის აინტერესებს, მაგრამ მამაჩემი თავისი წარმომავლობით დიდად ამაყობდა და კმაყოფილი გახლდათ, რომ ამ გვარის მემკვიდრე და გამგრძელებელი იყო. იგი როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, უანგაროდ ემსახურებოდა თავის ხალხსა და სამშობლოს. პროფესიით მეღვინე-ტექნოლოგს სწამდა, რომ უდიდეს საქმეს აკეთებდა ქვეყნისათვის. ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე იყო და ამით დიდად ამაყობდა. ხშირად მომისმენია მისგან: საქართველოსთვის მეურნეობის ყველაზე დიდებული და პრესტიჟული დარგი მევენახეობა-მეღვინეობაა. საქართველოს რომ წარმოვთქვამ, უპირველესად კავკასიონი და ვაზი მიდგება თვალწინ, უამისოდ იგი ვერ მომიაზრებიაო.

მისგან სხვა ერის აუგი არასოდეს მომისმენია. ამ საკითხში მისი კრედო ასეთი იყო — კარგი და ცუდი ყველგანაა. კონკრეტულ პიროვნებაზე თქვი ავი ან კარგი, მის

ეროვნულ წარმომავლობაზე ნუ გაამახვილებ ყურადღებას, შენ მხოლოდ და მხოლოდ კაცზე ილაპარაკე, აუგად ერის მოხსენიება და საერთოდ ერის სახელით ლაპარაკი, სანამ იგი არ დაღუპულა და არსებობს, მხოლოდ ამ ერის შვილთა გამონაკლისი უფლებაა, სხვათაგან ერზე აუგის თქმა ომის გამოცხადების ტოლფასია. რუსი, გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი, სომეხი, ებრაელი, ბერძენი, თურქი და ა.შ. იმდენად მინდა მეგობრად, რამდენადაც თავისი ერის ნამდვილი შვილები, ღირსეული წარმომადგენლები არიან. განა იმაზე მეტი უაზრობა შეიძლება იყოს რაიმე, რომ რუსს რუსობა, ფრანგს ფრანგობა, სომეხს სომხობა და ა. შ. უსაყვედურო და ნაკლად ჩაუთვალო.

ასეთი კეთილშობილი მამულისშვილის მეუღლე სომეხი გახლდათ. დიახ, დედაჩემი ეროვნებით სომეხი იყო. ანაიდა ჩარენცი, შინაურობაში რომ ანიჩკას ვეძახდით, ქალაქ ზესტაფონში დაბადებული და გაზრდილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. იგი ძალზედ ეშხიანი, სანდომიანი გარეგნობით ტიპიური სომეხი ქალი იყო. ალბათ გახსოვართ, მე დედას მამსგავსებენ, სამწუხაროდ მხოლოდ მამსგავსებენ.

მამა ამაყობდა დედაჩემის წარმომავლობით, თავადის ქალიაო იტყოდა ხოლმე ღიმილით. შერეული ქორწინების დიდი მომხრე არ იყო, მაგრამ იგი დიდ ცოდვად არ მიაჩნდა. თვითდაჯერებულად ამბობდა: — სხვა ერის შვილს თუ შეუღლდები, იგი უმშვენიერესი უნდა იყოს თავის გვარსა და ჯიშშიო. სწამდა, რომ ქალი ამრავლებს ერს და ამაში ალბათ არც ცდებოდა. როდესაც სხვა ერის ქალს ვირთავთ, ჩვენი სიძლიერეა, ხოლო როცა ჩვენები სხვებთან თხოვდებიან, ჩვენი სისუსტეაო უთქვამს ბევრჯერ. თავისებური კაცი იყო. როგორც თითოეულ ჩვენთაგანს, მასაც ბევრი უცნაურობა სჭირდა. მაგრამ იყო მეტად კეთილი და ძალზე თავმოყვარე, ზრდილი და დარბაისელი ვაჟკაცი. მისი ავტორიტეტი სახლში და მეგობრებში განუზომელი იყო.

ვერაზე ვცხოვრობდით, ჩვენს მოპირდაპირე სახლში ექიმი-სტომატოლოგი ვახტანგ ოკიზელი ცხოვრობდა. ერთმანეთთან ოჯახებით ვმეგობრობდით. ჭირი და ლხინი განუყოფელი გვქონდა. მე და მათი შვილი ნოდარი ერთად ვსწავლობდით. მეოთხე კლასიდან ათწლედის დამთავრებამდე ერთ მერხზე ვისხედით. სიყვარულში ერთმანეთს არასოდეს გამოვტყდომივართ, მაგრამ შეყვარებულები კი ნამდვილად ვიყავით. იგი მპატრონობდა სკოლაშიც და ქუჩაშიც. ჩვენი სიყვარულის ამბავი გარდა მშობლებისა, მგონი ყველა ჩვენმა ნაცნობმა იცოდა.

საქალაქო სასახლეში დავდიოდით, ნოდარი თავისუფალი ჭიდაობის, მე კი მხატვრული ტანვარჯიშის სექციაზე. ერთმანეთის წარმატებები გვახარებდა. შეჯიბრებებში გამარჯვებებს ერთურთს ტუჩზე კოცნით ვულოცავდით. უფრო მაღალი ჯილდო ჩვენთვის არ არსებობდა და არც შეიძლება ყოფილიყო. უზომოდ ბედნიერები ვიყავით. სკოლა და სპორტის სასახლე, სწავლა და სპორტი უმანკო სიყვარულის ფონზე, უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა.

საშუალო სკოლა დავამთავრეთ, როგორც იტყვიან, უკვე ნამდვილი შეყვარებულები ვიყავით, მაგრამ შინაურების დიდი ხათრი და რიდი გვქონდა, თავს უფლებას არ ვაძლევდით მათ წინაშე ისე მოვქეულიყავით, რომ ეჭვი აეღოთ და ჩვენს

სიყვარულს მიმხვდარიყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ჩვენ ვმეგობრობდით და ეს მათ ნამდვილად არ სწყინდათ. სხვაგვარად ვერც წარმოედგინათ, მეგობრულად განწყობილი ოჯახების შვილები მეგობრები არ ვყოფილიყავით. ჩვენ კი ამ დროს სიყვარულში ერთგულებას ვეფიცებოდით და პირობა დავდეთ ორივე სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარებდით მისაღებ გამოცდებს, ნოდარი სამკურნალოზე, მე კი პედიატრიის ფაკულტეტზე.

მშობლებმა გადაწყვეტილება მოგვიწონეს. ჩვენც მთელი შესაძლებლობებით მოვინდომეთ და იმავე წელს, სექტემბერში, უკვე სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიებში ვისხედით, როგორც სტიპენდიებით ჩარიცხული სტუდენტები.

მეცადინეობა, სესიები, ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრება, ასე მიდიოდა წლები, რომელთაც ჩვენი სიყვარული ალამაზებდა და სწავლაში ფრთებს გვასხამდა

გავიზარდეთ, ნოდარი დავაჟკაცდა, მე დავქალდი, როგორც ჩვენი მეგობრები ამბობდნენ ერთმანეთს ნამდვილად ვუხდებოდით და ჩვენც ერთურთით ვამაყობდით. ვინ მოსთვლის ამ პერიოდში რამდენი “დუელი” გადაიტანა ნოდარმა ჩემი გულისათვის, ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ ჩვენს ბედნიერებას რაიმე ხელს შეუშლიდა.

მეხუთე კურსს რომ ვამთავრებდით, საზაფხულო სესიებისათვის ვემზადებოდით, იმ წელს თბილისში არნახულად ცხელოდა, სამეცადინოდ ფუნიკულიორის პლატოზე დავდიოდით, ქალაქთან შედარებით იქ შესანიშნავად გრილოდა, წავიღებდით საჭმელს, ხილს, მინერალურ წყალს და მთელ დღეს იქ ვატარებდით. იმ დღესაც ასე მოვიქეცით. პლატოზე ავედით, “ჩვენს ადგილს” მივაშურეთ და მეცადინეობას შევუდექით.

პირველი გამოცდა ფილოსოფიაში გვქონდა, ეს საგანი ჩვენთვის საერთო იყო და ამიტომაც ერთად ვემზადებოდით. მე ვეკითხებოდი, ნოდარი მპასუხობდა. რასაც ზეპირად ვერ ახერხებდა და არ იცოდა, მის პასუხს სახელმძღვანელოდან, ან კონსპექტიდან კითხულობდა.

მეცადინეობას მოვრჩით, მოსაღამოვდა, აგრილდა, ნივთები მოვაგროვეთ და ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, რომ თავზე ოთხი ახალგაზრდა დაგვადგა ნასვამები იყვნენ და მეტად თავხედები ჩანდნენ. მახსოვს, როგორ დამაჯერებლად უთხრა ნოდარმა — ბიჭებო! ეს გოგო ჩემი საცოლეა. გამოცდებისათვის ვემზადებით, აქ იმიტომ ამოვედითო.

— ვაჰ, გამოცდებისათვის? ჩვენ ხელს არ შეგიშლით, წადი ძმაო გამოცდები ჩააბარე, საცოლეს ჩვენ მოვუვლით, სახლში მივაცილებთ, საღსალამათს მოგიყვანთ. არა ბიჭებო! ცინიკურად წარმოთქვა ერთ-ერთმა იმათთაგანმა გაძნელებული ქართულით.

ნოდარი არსად წასულა. საშინელი ჩხუბი ატყდა, სამი მათგანი ნოდართან ჩხუბობდა, ერთი მე მედგა დარაჯად, რომ არსად გავქცეულიყავი და არ მეყვირა. როდესაც უკვე სამთაგან ორი მიწაზე ეგდო, იმ გარეწარმა მე რომ მდარაჯობდა, ბეტონის ნატეხს დაავლო ხელი, რომელიც იქ საკმაოდ ეყარა და თვალის უსწრაფესად ნოდარს თავში ჩაარტყა. უაზროდ დავიკივლე და ნოდარისაკენ გაქანდი. ამ დროს ჩემმა “მცველმა” ისე ძლიერად დამარტყა კისერში, რომ გონება დავკარგე და მეტი აღარაფერი მახსოვს. თვალი რომ გავახილე დავინახე ნოდარი მავთულით ხელებგაკრული ჩვენს

საჩრდილობელ ხეზე იყო მიკოჭილი. მთელი სახე სისხლით ჰქონდა დაფარული და ერთთავად გალურჯებული. მე კი ტანსაცმელ-შემოძარცვული, ნაცემი და გაუპატიურებული მტვერსა და სისხლში ვიყავი ამოსვრილი. აღარ ვიცოდი რას ვაკეთებდი, მოძრაობა მიჭირდა, ნოდარიმდე ბარბაცით მივედი, როგორც იყო ავხსენი, ავტირდი, ისევ გონება დავკარგე. როცა მოვსულიერდი უკვე მინდორზე ვიწექი, თავი ნოდარის მუხლებზე მედო. თვითონ კი უზომოდ დამცირებული, უკიდურესად დაძაბული, თავს როგორღაც ერეოდა, ერთხანს წყნარად იყო, შემდეგ თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, დამაჯერებლად ალაპარაკდა.

— თამრიკო შენ ხომ ჩემი ვაჟკაცი გოგო ხარ, ირწმუნე, რომ ვითომც არაფერი მომხდარა, თავს არაფერი აუტეხო. დანარჩენი მე ვიცი. ყველაფერი კარგად იქნება, სანამ მაგათ სისხლს არ დავლევ, მართალია ჩვენი შეუღლება ვერ მოხდება, მაგრამ არაუშავს, გადავდოთ იგი ცოტა ხნით. იცოდე, მე ვერაფერი ვერ გამტეხს და წამაქცევს, გარდა შენი დაკარგვისა. ამიტომ, თავს გაუფრთხილდი, ნურც მე მავნებ რამეს და ნურც საკუთარ თავს. ჩვენებს არაფერს ვეტყვი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ვიჩხუბე ვიღაც უცნობებთან. შენ კი დედას მოუყევი ყველაფერი. მის გარდა ნურავინ ნურაფერს გაიგებს. უთხარი ჩვენს შორის რაც იყო და იმაშიც დააჯერე, რომ რაც მოხდა, ამით არაფერი არ შეიცვლება, გარდა ჩვენი შეუღლების ვადისა.

ცრემლმორეულმა ასევე აცრემლებული, ჩალურჯებული თვალები დამიკოცნა და მომეფერა. ეს ყველაფერი ისე მოიმოქმედა, რომ თავშეუკავებლად ავტირდი და გულში ჩავეკარი.

ტანზე კაბის მაგივრად მხოლოდ ძონძები მეკიდა. ნოდარის ტანსაცმელი მთელი დარჩენილიყო, მისი სპორტული ზედატანი უკვე მე მეცვა. ერთმანეთის მორიდება თითქმის დავკარგეთ, რაღაც მექანიკურად ვმოქმედებდით, ვაკეთებდით აუცილებელს იმისათვის, რომ როგორმე სახლამდე მიგვეღწია. ქუჩაში გამვლელთა ყურადღება არ მიგვექცია, გიჟები არავის ვგონებოდით. მერე? მერე მხოლოდ შურისძიების ცეცხლი გვიტრიალებდა გულში ორივეს და იგი ისეთი ძლიერი იყო, რომ გვაიძულებდა ფეხზე მაგრად ვმდგარიყავით, ყველა სატკივარს გვიყუჩებდა.

მომხდარით სიგიჟემდე მისული, შურისძიებაზე ფიქრმა საბოლოოდ გონს მომიყვანა. როგორ? ეს უნდა განიცადო, მისი წარმოდგენა ალბათ შეუძლებელია.

სახლის შესასვლელი კარი ღია დამხვდა. ჩემი მოლოდინი ჰქონდათ და ამიტომ გასაღებით არ იყო დაკეტილი. სასადილო ოთახში ისხდნენ, ვახშამზე მელოდებოდნან. ჩვეულებრივ ჩემს ოთახში შევედი, სასწრაფოდ ავიღე ყოველივე, რაც მჭირდებოდა, საძინებელში დავბრუნდი და ლოგინში ჩავწექი. გარკვეული დროის შემდეგ, რომ არ გამოვჩნდი, დედას რაღაც ეუცნაურა, ფრთხილად შემოაღო ოთახის კარი და ლოგინში რომ მნახა გაოცდა.

— უჭმელი რატომ დაწექი შვილო? ცუდად ხომ არა ხარ.

— რაღაც ვერა ვარ დედა, მთელ სხეულში მაციებს და თითქოს მამტვრევს კიდეც.

— ჩაის შემოგიტან, შვებას მოგცემს, ჩაგეძინება და ყველაფერი გაგივლის, თუ არა და დილით ნატოს ვთხოვ, ექიმია რაიმეს გვირჩევს, ჰო მართლა გამოცდებს როდის

ამთავრებ შვილო? ჩვენ უთქვენოდ უკვე მოვილაპარაკეთ, რომ ბატონი ვახტანგი საგზურებს მოიტანს, შენ და ნოდარი ნატოსთან ერთად მახინჯაურში დაისვენებთ, ორი კვირა ზღვაზე იქნებით. შემდგომ ხომ პრაქტიკები გეწყებათ, დასასვენებლად ვეღარ მოიცლით. არა და ასე გადაღლილები პრაქტიკულ სამუშაოზე არ ივარგებთ.

— მადლობის მეტი რა მეთქმის დედა. დაძინების წინ ჩემთან შემოდი სალაპარაკო მაქვს, რაღაც-რაღაცეებზე მინდა შევთანხმდეთ.

— კი შვილო, როგორ არ შემოვალ, მეც ძალიან მომენატრა შენთან საუბარი. სიყვარულით გადმომხედა და ჩაის შემოსატანად გავიდა. იმ გარეწართა ნამოქმედარის შემდეგ დედის თბილმა და ალერსიანმა მოპყრობამ გულში ცრემლის გუბე ჩამიყენა, რომელსაც მისი ოთახიდან გასვლისთანავე გზა მივეცი და ისიც ნიაღვარივით გადმოსკდა. ცრემლებმა განმტვირთეს, შურისძიების ცეცხლი შინაგანად მამაგრებდა, რის გამოც თავს ჩქარა მოვერიე, მოვწესრიგდი და დედას ლოგინში წამომჯდარი დავხვდი. ჩაი მართლაც მეამა. სხეულში თითქოს სითბო ჩამეღვარა. მეორე ჭიქაზე უარი ვთქვი. ლოგინში ჩავეფალი, დედის მოსვლას დაველოდე, მანაც სასწრაფოდ მიალაგა სამზარეულო და სასადილო ოთახი, მამას რაღაც უთხრა, ჩემთან მოვიდა, ლოგინში შემომიწვა, მომეფერა, გულში მიკრავდა და მკოცნიდა, თვალებში სისველე შემნიშნა, ცრემლები თავისთავად მომდიოდა, ცოტა მინდოდა, რომ ხმამაღლა ავტირებულიყავი და ამ ცოტამაც არ დააყოვნა.

— დედა მოგიკვდეს შვილო, რა მოგივიდა, ეს რა ცრემლად იღვრები. ამის თქმა იყო და გული კიდევ უფრო ამომიჯდა, ბავშვივით ავტირდი, ისევ დედის ალერსმა და სითბომ დამაწყნარა. და მე ჩემს დედას, ჩემს დედიკოს, ამ ქვეყნად ქალთა შორის ჩემს ყველაზე საუკეთესო მეგობარს, ყველაფერი ვუამბე ჩემი და ნოდარის შესახებ. ვუამბე იმის ჩათვლითაც, რაც იმ საღამოს გადაგვხდა.

— დედა მე ძალზე ცუდად ვარ, სახლამდე ძლივს მოვედი. მაშინვე რომ მოვმკვდარიყავი, ალბათ უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ახლა მინდა ვიცოცხლო. ვიცოცხლო შურისძიებისათვის, მხოლოდ შურისძიებაა ჩემი ერთადერთი მკურნალი. მე და ნოდარი მაშინ ვიქორწინებთ, როდესაც შურისძიების ჟინს დავიოკებთ. ასეთია ჩვენი ფიცი და სურვილი. მე ნოდარის გამარჯვებისათვის ვილოცებ, შენც ხომ ილოცებ დედა. მე და ნოდარი ერთმანეთს აღარ შევხვდებით ისე, როგორც ვხვდებოდით. თუ იგი გაიმარჯვებს მაშინ მოვა ჩემთან, როგორც ჩემი საქმრო. სხვანაირად ჩვენს ურთიერთობას აზრი აღარ აქვს. არცერთი იმათთაგანი ჩვენი ქორწინების დღეს ცოცხალი არ უნდა იყოს, ასეთია ნოდარის გადაწყვეტილება. მჯერა, რომ ის ამას აღასრულებს. ვიგრძენი, რომ დედა მწუხარებისაგან გაშრა. ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ გულში ჩამიკრა და ჩემთან ერთად ატირდა, მაგრამ სწრაფად გამოერკვა, თავი აღიდგინა.

— ღმერთმა უარესისაგან დაგვიფაროს შვილო. ვენაცვალე მის მადლს, რომ შენი სიცოცხლე გვაჩუქა. ყოჩაღ ნოდარი, ვაჟკაცი ყოფილა. ბედნიერი ხარ, რომ იგი გიყვარს, გაუფრთხილდი ამ სიყვარულს, არასოდეს არ დაკარგო იგი. დიდებულია, რომ მასაც ესოდენ უყვარხარ. სიყვარული შეგაძლებინებთ ყველაფერს. იქ, სადაც სიყვარულია, ადამიანები ყოველგვარ განსაცდელს სძლევენ. ისინი ერთად ყოფნით ნებისმიერ ვითარებაში ძლიერები და ბედნიერები არიან. მეც თქვენთან მიგულეთ შვილებო.

მხოლოდ ერთსა გთხოვ: ჩემთან მუდამ ასე გულახდილი იყო. გახსოვდეს, რომ ყველაზე მოსიყვარულე და ახლობელი შვილისათვის, მითუმეტეს ქალისათვის დედაა. ღმერთმა დედასა და შვილს შორის ღალატისათვის ადგილი არ დატოვა. შემოქმედმა სხვა ბევრთან ერთად ესეც დიდებულად გაითვალისწინა. ისწავლეთ, იბრძოლეთ სიკეთისათვის. კეთილსა და სათნოს დაცვა და გაფრთხილება ესჭიროება. ბოროტებასთან ბრძოლის გარეშე სიკეთე ვერ ხარობს. მამაშენს ყველაფერს მოვუყვები, მართალია ეს მისთვის დიდი ტრამვა იქნება, მაგრამ ეს აუცილებელია, ოჯახის უფროსმა უნდა იცოდეს ყოველივე, რაც მისი ოჯახის წევრებს ჭირს. ის ყველაფერს ისე გაიგებს, როგორც საჭიროა. შენ ხომ ეს შენი წინდაუხედაობით და უჭკუობით არ მოგსვლია.

დედამ სათქმელი დაასრულა, მაკოცა და ოთახიდან გავიდა. ღამით სიცხე მომცა, შემდეგ შემაცივნა, კანკალმა ამიტანა და ისევ მაღალი ტემპერატურით გავითანგე. მთელი კვირა ლოგინში წოლა მომიწია. მშობლები თავს მევლებოდნენ. მამა ისე იქცეოდა, ვითომ არაფერი იცოდა. ან კი სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო, ჭირთათმენა ხომ ვაჟკაცთა უპირველესი წესია.

შედარებით მალე გამოვკეთდი. ავადმყოფობის დროს ნოდარს არ ვუნახივარ. ქუჩაში დედას შეხვედროდა და ჩემი ჯანმრთელობის შესახებ ეკითხა, თავისიც ეთქვა, უფრო ალბათ ჩემზე გადმოსაცემად მოუყვა ყოველივე, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე გადასულიყო. როგორც გამონაკლისი ინსტიტუტის რექტორს ამისი ნება დაერთო. თუ რატომ გააკეთა ასე, მაშინ ვერ გამოვიცანი, ყველაფერს უფრო მოგვიანებით მივხვდი.

მართალია ფიზიკურად განვიკურნე, როგორც იტყვიან მოვრჩი, მაგრამ მაშინ, რაც ჩემს სულს დააჩნდა, მიუხედავად შემდგომი საშინელი შურისძიების აღსრულებისა, იგი დღემდე მოურჩენელია და არც განიკურნება, მე ამ ტკივილს თან წავიღებ სამარეშიც. ვინაიდან შურისძიება სულის ტკივილის გაყუჩების საშუალებაა და არა მისი განმკურნავი და მომრჩენელი.

ამ წერილში შეუძლებელია ყველაფერ იმაზე შევაჩერო ყურადღება, რაც მე გადამხდა. მათ იმ საქმისათვის, რისი გარკვევისთვისაც გწერთ, არა აქვთ არავითარი მნიშვნელობა, ხოლო მათი წაკითხვა კი საკმაოდ დიდ დროს წაგართმევთ, რისი მიზეზიც ნამდვილად არ მინდა ვიყო. ახალი სასწავლო წელი დაიწყო, ვმეცადინეობდი თავდავიწყებით, ამით თითქოს ვიკლავდი შურისძიების დაუოკებელ წყურვილს.

ნოდარმა თავისიანებთან სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე გადასვლა იმით გაამართლა, რომ თითქოს მამის პროფესია მოსწონდა, მათაც გადაწყვეტილება მოუწონეს, კარგად სწავლობდა, მაგრამ ერთი უცნაურობა დასჩემდა, მთელი დღეები სადღაც იკარგებოდა, რომ დაბრუნდებოდა დაღვრემილი და დაფიქრებული დადიოდა. მხოლოდ ინსტიტუტში ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთმანეთისას უფრო მეტს ვგრძნობდით, ვიდრე ვლაპარაკობდით. კინო, თეატრი, გამზირი, დღეობები თითქმის დავივიწყე, სამაგიეროდ წიგნები დავიახლოვე. ვკითხულობდი ბევრ დამხმარე ლიტერატურას, ვკითხულობდი მათ რუსულ და გერმანულ ენებზეც, რაც ერთგვარად მამშვიდებდა და მდგომარეობას მიმსუბუქებდა, ქვეშეცნეულად რაღაც განსაკუთრებულს ველოდი, მაგრამ სახელდობრ რას, ნამდვილად ვერ ვაცნობიერებდი.

ვხვდებოდი, რომ ნოდარი რაღაც უჩვეულო საქმით იყო დაკავებული. აღარ მოვყვები თუ, როგორ გაუსწორდა ნოდარი იმ ვაჟბატონებს, ვინაიდან დარწმუნებული ვარ თქვენ ეს ყველაფერი კარგად იცით. თქვენ მაშინ ალბათ უნივერსიტეტის სტუდენტი იქნებოდით, იმ პერიოდისათვის კი ალბათ არ დარჩენილა თბილისში ახალგაზრდა, რომ ნოდარ ოკიზელის გასამართლებას არ დასწრებოდა, მითუმეტეს, რომ ამ პროცესზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ორგანიზებულად მოჰყავდით. ალბათ გახსოვთ, რომ "განაჩენით" ყველა უკმაყოფილო იყო. თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ნოდარ ოკიზელს, რომელიც შემდგომ სასამართლომ გაუნახევრა სხვადასხვა გარემოებათა გამო.

იოსებმა კითხვა შემაწყვეტინა, და მომიყვა, თუ რა დანაშაული ჩაიდინა ნოდარ ოკიზელმა და რისთვის მიიღო ესოდენ მაღალი სასჯელი.

— იმხანად, როგორც ჩემს კოლეგებს უყვართ ხოლმე თქმა, ოპერატიული ვითარება ერთგვარად სტაბილური იყო. ყოველ შემთხვევაში მძიმე ხასიათის დანაშაულებანი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. მკვლელობები თითქმის აღარ ხდებოდა და აი ასეთ ფონზე, ერთი წლის მანძილზე ოთხი მკვლელობა მოხდა, აქედან სამი ერთი განყოფილების სამოქმედო უბანზე, მაშინ ასეთი სტატისტიკისათვის მადლობას არავის ეუბნებოდნენ, ამიტომ განყოფილების მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ დანაშაულებათა გახსნისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელი იყო ბრძანებები მიეღოთ დათხოვნის თაობაზე.

სამივე მკვლელობა ერთი "ხელწერით" იყო ჩადენილი. სამივე მოკლული იქნა თავიანთი სახლების წინ, მაგიდის უბრალო ლითონის დანით, რომელთაც წვერი ჰქონდათ საოცრად ალესილი. ძიება უშედეგო გამოდგა. ერთადერთი სამხილი მოკლულთა გვამებში ჩატოვებული დანები იყო, ასეთები კი სამეურნეო საქონლის თითქმის ყველა მაღაზიაში იყიდებოდა და მის შეძენაზე არავითარი შეზღუდვა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მკვლელი იშვიათი პროფესიული სიზუსტით აკეთებდა თავის საქმეს. ყველა მათგანი ახლო მანძილიდან ზურგში ნასროლი დანით იყო მოკლული. უტყუარი იყო ისიც, რომ ამ საქმის ჩამდენი საკმაოდ ძლიერი მამაკაცი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ზურგში ნასროლი დანის წვერით ფილტვები იყო გაჭრილი.

ალბათ მეოთხე მკვლელობა გაინტერესებთ გივი ბატონო, იგი მართლაც, რომ უცნაურად მოხდა, სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ გაირკვა ყველაფერი.

თბილისის მაშინდელი "პირველი მაისის" სახელობის რაი-ონის მილიციის განყოფილებაში ერთ დილას მეტად აღელვებული, სახეშეშლილი ახალგაზრდა კაცი გამოცხადდა და უფროსთან შესვლის ნებართვა ითხოვა, იგი განყოფილების უფროსს წარუდგინეს.

— მიშველეთ, გადამარჩინეთ, ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ მაინც გადამარჩინეთ, მომკლავენ, დღეს აუცილებლად მომკლავენ, უკვე ჩემი რიგი დადგა, მარტო მე დავრჩი ცოცხალი და მეც უდაოდ მომკლავენ. ციხეში ჩამსვით, გადამასახლეთ, აქედან ნუღარ გამიშვებთ, სიკვდილის მეშინია, სიცოცხლე მინდა, გესმით — სიცოცხლე მინდა.

ასეთი უთავბოლო საუბრიდან ვერაფერი დაადგინეს, მაგრამ როდესაც იგი დაამშვიდეს და დეტალურად გამოჰკითხეს, ის რაზედაც ამდენს ქაქანებდა, ყველაფერი გაირკვა. ახალგაზრდას, რომელსაც ჰამლეტი ერქვა, გამომძიებლისათვის აღარაფერი დაუმალავს.

მან და მისმა ძმაკაცებმა დილით სახაშეში შეიარეს, ხაში მიირთვეს და ის იყო გამოსვლას აპირებდნენ, რომ ქუთაისელი "ბიჭები" შეხვდნენ, შებრუნდნენ და მათთან ერთად არყის სმა გააგრძელეს. ქუთაისლები შემდგომ სადგურზე გააცილეს და ვინაიდან ძალზე ცხელოდა, თვითონ ფუნიკულიორის პლატოზე ავიდნენ, იქ ჩრდილში მდელოზე დაიძინეს, ხოლო საღამოს უკან რომ ბრუნდებოდნენ "ინტერესნ" წყვილს წააწყდნენ, ვუშალე, მაგრამ ბიჭებმა არ დაიშალეს, ბიჭი გავთოკეთ და ხეზე მივაკარით ელექტრონის "შნურით", ხოლო გოგო ჯერ ვცემეთ და მერე გავაუპატიურეთ. ის ბიჭი ვერ დავიხსომეთ, რა ჯანდაბად გვინდოდა მისი სიფათი, იმან კი კარგად დაგვიხსომა და სათითაოდ მოკლა ჩემი ძმაკაცები, ახლა მეც აუცილებლად მომკლავს, მიშველეთ, გადამარჩინეთ, მხოლოდ ნუ მომკლავთ და სხვა რაც გინდათ მიყავით.

ჰამლეტი განყოფილებიდან მართლაც არ გაუშვეს, არ გაუშვეს არა იმიტომ, რომ არ მოეკლათ, არამედ იმიტომ, რომ უმძიმეს დანაშაულში თვითონვე გამოტყდა და, რაც მთავარია, მისი ჩვენება ერთად-ერთი ფასდაუდებელი ორიენტირი იყო ძიებისათვის და ზემოთ ჩადენილი მკვლელობების ჩამდენის მიკვლევის გზაზე.

ვერ ვიტყვი როგორ და რა მანქანებით, მაგრამ ჰამლეტის ახლობლებმა მისი მილიციაში "დაკავების" შესახებ გაიგეს, დედამ და ფეხმძიმე მეუღლემ იმ დღესვე მიაკითხეს.

— თვითონ მოვედი, ასეა საჭირო, ანუგეშა ისინი ჰამლეტმა. მათაც ჩათვალეს, რომ დიდი არაფერი დაუშავებია და დაიმედებულნი, რომ სახლში ჩქარა გამოუშვებდნენ უკან წავიდნენ.

როგორც განყოფილების მუშაკებმა დაადგინეს ჰამლეტი იარაღის გამოყენებით მოქალაქეთა ძარცვისათვის ხუთი წლით იყო გადასახლებული "შორეულში". სასჯელის მოხდის შემდეგ მხოლოდ ორი წელი იყო გასული. მან ამ პერიოდში მოასწრო დაოჯახება და უმძიმესი დანაშაულის ჩადენაც, რაშიც თვითონვე გამოტყდა.

მილიციის იზოლატორში ყოფნის მესამე დღეს "ვიღაცეებმა" მოინახულეს, მის ნახვას საერთოდ არავის უშლიდნენ. საღამოს ერთმა "ძმაკაცმა" მოაკითხა, მორიგეს სთხოვა, რომ ჰამლეტი ეჩვენებინა. მორიგე სახტად დარჩა, როდესაც შეხვედრისას ჰამლეტმა "ძმაკაცი" ვერ იცნო. მოსულმა თავი შეახსენა. შემდეგ სასოწარკვეთილი ყვირილი მოესმათ, ჰამლეტი წვერალესილი ჩანგლის დანით განგმირული იატაკზე ეგდო.

მკვლელი არსად წასულა. იქვე დარჩა, განყოფილების უფროსის მოსვლას დაელოდა. ეს პიროვნება ნოდარ ოკიზელი გახლდათ.

სასამართლო პროცესზე ყველაფერი გაირკვა: როდესაც გათოკილი იყო ნოდარი და თამრიკოს "უსწორდებოდნენ", მან მათი სახეები სამუდამოდ აღიბეჭდა მეხსიერებაში. იქვე დაიფიცა, თუ ცოცხალი დარჩებოდა, მათ გასწორებოდა, მათი სისხლი დაელია. ასეთი პირობა კი დადო საკუთარ თავთან, მაგრამ მათი მოძებნა ძალზედ გაუჭირდა.

ფაკულტეტი გამოიცვალა იმისათვის, რომ მეტი თავისუფალი დრო ჰქონოდა. სტომატოლოგის შვილს ეს პროფესია უფრო ეიოლებოდა დასაუფლებლად.

თავის "მოსისხლეებს", როგორც მათ თვითონ უწოდებდა, ეძებდა ყველგან, მაგრამ მთელი თვეები უშედეგოდ დაკარგა, ვერსად მიაგნო.

თორმეტი წყვილი დანა-ჩანგალი იყიდა, ექვსი იმ მლესავს აჩუქა, ვისაც დანარჩენი ექვსისათვის წვერები გააკეთებინა. ვერის ეკლესიის ეზოში დადიოდა, ყოველდღე რამდენიმე საათს დანების სროლაში ვარჯიშობდა, რაღაც ორ კვირაში ისე გაიწაფა, რომ ოთხი მეტრის მანძილიდან ნასროლი დანის წვერს, სანტიმეტრიან ფიცარში მეორე მხარეს ახედებდა. ვარჯიში არც მის შემდეგ შეუწყვეტია. ბოლოს და ბოლოს ამ საქმის ოსტატი გახდა. მისი ნასროლი დანა მიზანს აღარ სცდებოდა.

ფიქრი იმისა, რომ სად შეიძლებოდა მოეძებნა ის ნაძირლები, მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს არჩევანი სახაშეებზე შეაჩერა და არც შემცდარა. ერთ ბედნიერ დღეს პუშკინის სახელობის სკვერთან მდებარე სახაშეში ყველანი ერთად ნახა. მათი სახეები კიდევ უფრო შთამბეჭდავად აღიბეჭდა გონებაში. ორი მათგანი სახლამდე იმ დღესვე მიაცილა. ორი დანარჩენის საცხოვრებელ სახლსაც სულ რამდენიმე დღეში მიაგნო და "განაჩენის" აღსრულებასაც მყისვე შეუდგა.

"კლიენტს" ბინის ახლოს სდარაჯობდა, დღისით მათ არ ეხებოდა. ფრთხილობდა მანამ არ ჩავარდნილიყო, სანამ ყველა მათგანს არ გაუსწორდებოდა. მერე კი მისთვის სულ ერთი იყო რაც მოხდებოდა. ხელსაყრელი მომენტის შერჩევისათვის ზოგჯერ მთელი კვირა სჭირდებოდა; მაგრამ ამას არაფრად აგდებდა, ყველაფერს დიდი გულმოდგინებითა და სიზუსტით ასრულებდა. სახლის კარებთან მისულს ახლო მანძილიდან ზურგში ნასროლი დანით სიცოცხლეს ასალმებდა, თვითონ კი არხეინად შინ ბრუნდებოდა და მეორესთან შეხვედრის გეგმებს აწყობდა.

ჰამლეტი განგებ შემოინახა. ეს ის ვაჟბატონი იყო, თავში ბეტონის ნატეხი რომ ჩაარტყა. უნდოდა მას აშკარად ერთი-ერთზედ გასწორებოდა უიარაღოდ. ცემით უნდოდა მოეკლა, თუ პირიქით მოხდებოდა, ამაზეც თანახმა იყო, სწადდა თვალნათლივ, ერთი-ერთზედ შებმოდა, რომ ამ გარეწარს სცოდნოდა ვინ იყო და რას ერჩოდა, მაგრამ ზემოთ აღწერილმა შემთხვევამ არ მისცა საშუალება, ამიტომ მოკლა იგი "ჩვეულებრივ", ის კი შეძლო, რომ გაეგებინებინა ვინ იყო და რას ერჩოდა.

მართლმსაჯულებას არსად გაქცევია. უკვე აღარ დარდობდა, თუ რა იქნებოდა, მთავარი საქმე გაკეთებული ჰქონდა, შურისძიება ბოლომდე იყო მიყვანილი.

მოსამართლენი და მთელი დარბაზი ნოდარისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ მას ნამდვილად უმძიმესი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, — ერთპიროვნულად, სიკვდილის განაჩენი გამოუტანა და აღუსრულა მათ, ვინც დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, იმჟამად არსებული კანონმდებლობით, მხოლოდ პატიმრობას იმსახურებდნენ. მეორეც ის, რომ მას შეეძლო მათზე შური ეძია მართლმსაჯულების მეშვეობით, რაც უარყო და აირჩია გზა ძალმომრეობისა, ბოროტებას უპასუხა ბოროტებით და ამიტომ მიუხედავად დიდი გულისხმიერებისა, რის შედეგადაც სასჯელი გაუნახევრდა, ექვსი წელი მაინც მოუწია "შორეულში" გადასახლებამ. იოსებმა თხრობა შეწყვიტა და მეც კითხვა გავაგრძელე.

"ლაგერში" ბანდიტებთან ერთად მოუწია ყოფნა, ვინაიდან თვითონაც ასეთივე იარლიყით იყო "დამშვენებული". სინამდვილეში კი მას არც მაშინ და არც მას შემდეგ ამ

კატეგორიის ხალხთან საერთო არაფერი ჰქონდა. პირიქით, უკიდურესად სძულდა ნებისმიერი მოძალადე და განსაკუთრებით კი ისინი, რომელთაც რაიმეს მითვისება, ან თავისი ცხოველური ჟინის აღსრულებისათვის უდანაშაულო ადამიანი შეეძლოთ მოეკლათ, მათში იგი განსახიერებულ სატანას ხედავდა.

ქურდებისადმი ნოდარის დამოკიდებულება სხვაგვარი იყო. მისი აზრით, ვინაიდან ქურდობა საზოგადოების ყველა საფეხურზე არსებობდა, იგი დიდი ცოდვა არაა. მიუხედავად იმისა, რომ მოსაწონი და შექების ღირსი იგი მოწესრიგებულ ქვეყანაში არც არასოდეს ყოფილა და არც იქნება, ქურდობა, ძალადობა არაა. ქურდობა ფარული გზით სხვისი საკუთრების მითვისების დაპატრონების ცდაა, გარკვეულწილად ხელობაა, პროფესიაა. აბა, ბიჭი ხარ და ვინმეს რაიმე შეუმჩნევლად აართვი, ან უჩუმრად რაიმე წაიღე ბანკიდან, ბინიდან და ა.შ. ამას მოხერხება და ნიჭი უნდა, რისი უნარიც ბევრს არა აქვს, სხვისი საკუთრების დაუფლების სურვილი კი თითქმის უკლებლივ ყველა ადამიანშია ქვეშეცნეულად ჩადებული, ამიტომაც ეს "უუნაროები" ბანდიტები ხდებიან, ცოდვას სჩადიან. კაცს ჰკლავენ და მის საკუთრებას ამ გზით ითვისებენ, ისინი თავიანთ "ნამუსიან" მეტოქეებსაც კი ვერ ჰგუობენ და გზიდან იცილებენ.

ქურდებმა ძმობა და გატანა იციან, ეს მათი პროფესიითაა განპირობებული. ფარულ გზებზე უჩუმრად სიარული ერთმანეთის გატანის და ერთგულების გარეშე შეუძლებელია. არის ქურდი კაცი თავისთვის, არავის არაფერს ართმევს ძალითა და იარაღით, თუ უჩუმრად მოახერხა მოგპარავს რაიმეს, თუ გამჟღავნდა გტოვებს და იმალება, თავს შველის, შენს რისხვას გაურბის. შენც იყავი ფრთხილად, ნურავის მისცემ საშუალებას, რომ მოგპაროს რამე, ძალით ის შენ არაფერს გართმევს, ბანდიტივით ცინიკოსი და წამგლეჯი არ არის.

"ლაგერში" ყოფნის სულ რაღაც მცირე დროში, ნოდარმა მოახერხა და "ქურდებთან" გადავიდა. უფრო სწორად ეს მათ მოუხერხეს. მათში მისი ნაცნობი "ბიჭები" აღმოჩნდნენ და ამისათვის ყველაფერი იღონეს. ყველანი პატივს სცემდნენ. მართალია მათი "მასტისა" არ იყო, მაგრამ კარგი კაცობისათვის მისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი. ისიც მათთან ერთად მღეროდა ქალაქურ და ბოშურ სიმღერებს გიტარაზე, ხოლო როდესაც ჯერი ბანქოზე მიდგებოდა, იქ იგი შეუდარებელი იყო. საოცარი მეხსიერება ჰქონდა, "კარტით" ვირტუოზობდა. ბიჭებს "ფოკუსების" გაკეთებას ასწავლიდა. მთელ "ლაგერში" მისი ბანქოში მომგები არავინ იყო. ერთი სიტყვით დრო გაჰყავდა, თვითონაც ერთობოდა და გარშემომყოფთათვისაც სასიამოვნო ამინდს ჰქმნიდა. მისი დიდი ღირსება, როგორც ვაჟკაცისა უპირველესად ის იყო, რომ, თავისი უპირატესობით იგი არ ბოროტმოქმედებდა, რის გამოც უბრალო კაცად გამოიყურებოდა და განუზომლად აფასებდნენ.

ასე გაიარა ერთმა წელმა, ინსტიტუტი დავამთავრე, უბნის პედიატრად მომიწია მუშაობამ. საქმეს მთელი ენერგიით ვასრულებდი. ჩემს პატარა პაციენტებზე ზრუნვისათვის მშობლებს და მათ ახლობლებს გულწრფელად ვუყვარდი, აშკარად მაქებდნენ და მეფერებოდნენ. ყველამ იცოდა, რომ საქმრო გადასახლებაში მყავდა, ვერ გეტყვით ვებრალებოდი თუ მიფრთხილდებოდნენ, მაგრამ არავის არასოდეს ამ საქმის ირგვლივ ჩემთვის არც სიტყვა ჩამოუგდია და არც არაფერი უკითხავს.

ნოდარისაგან წერილებს მხოლოდ დედამისი იღებდა, ისიც ძალზე იშვიათად. ყოველ წერილში ჩვენი ოჯახის მოკითხვა იყო. ერთად-ერთი წერილი, რომელიც მისგან მივიღე, ეს იყო პატიმრობის მეოთხე თვეს, იმ რიცხვში დაწერილი, როდესაც, ის ავადსახსენებელი ამბავი მოხდა. იწერებოდა, რომ ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ წერილებს აღარ მოგწერ, რომ რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის არაფერი არ შეიცვლება, მე უთუოდ ცოცხალი დავბრუნდები და ჩვენი პირობის თანახმად მოეწყობა ყოველივეო.

დრო გადიოდა ნოდარ ოკიზელის "საქმე" ნელა-ნელა ყველამ დაივიწყა. სხვა ახალი ამბების ფონზე იგი თანდათან გაიცრიცა. 1941 წლის 22 ივნისის დილამ ხომ მართლაც დაავიწყა ადამიანებს ყველა მანამდელი სატკივარი. ადოლფ ჰიტლერის კბილებამდე შეიარაღებული არმია გახსოვთ, თუ როგორ არნახული სისწრაფით იპყრობდა საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყალს, საშიშროება განადგურებისა თითქმის რეალური იყო. ყველაფერი მტრის წინააღმდეგ იყო მიმართული. ბევრმა ოჯახმა მიიღო ცნობა ფრონტზე მისი ახლობლების დაღუპვის შესახებ. რაც დრო გადიოდა ამ ცნობათა რიცხვი მატულობდა.

ნოდარისაგან წერილები აღარ მოდიოდა. 1942 წლის შემოდგომაზე ხმა გავრცელდა, პატიმრები ფრონტზე გაჰყავთ. სადაც მძიმე უბნებია იქ უშვებენ და უწყალოდ იხოცებიანო. საგონებელში ჩავვარდით. დეიდა ნატოს თვალზე ცრემლი არ შრებოდა.

საოცარი წინათგრძნობა მქონდა. მჯეროდა, რომ ნოდარს არაფერი გაუჭირდებოდა. მწამდა, რომ მას უნდა ეცოცხლა, ეცოცხლა ჩემთვის, ჩემი გადარჩენისათვის.

"ჭორი" მართალი გამოდგა, როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, პატიმრების გარკვეული ნაწილი გაწვრთნეს და მოამზადეს ფრონტისათვის, ბევრმა მათგანმა თავი ისახელა, ასეთებს ყველაფერი აპატიეს და ვინც ცოცხალი დარჩა, თანახმად პირობისა სასჯელის მოხდამდე გაათავისუფლეს. იოსებ სტალინმა, როგორც გახსოვთ, შეძლო მტრის წინააღმდეგ მობილიზება გაეკეთებინა ყველაფრისათვის, რისი შედეგიც ჩვენ ყველამ ერთად ვიხილეთ და ვიზეიმეთ.

1943 წლის მაისი იდგა, ეს დრო ხომ განუმეორებელია თბილისში და ამ ულამაზესი "ვარდობის თვის", ჩვენთვის ერთ-ერთ უმშვენიერეს საღამოს, დეიდა ნატო ჩვენთან ფრთებშესხმული მოიჭრა. დაჭრილა პიატიგორსკში ვწევარ ჰოსპიტალშიო, მსუბუქი ჭრილობა მივიღე, ჩქარა გამოვკეთდები და ისევ ფრონტზე წავალო. დედა ენაცვალოს, ყველას მოკითხვას გწერთ. ჩემზე არ იდარდოთ მე აუცილებლად ცოცხალი დავბრუნდები და ყველანი ისევ ძველებურად ერთად ვიქნებითო. დეიდა ნატო მომეხვია, დამკოცნა და წერილი გამომიწოდა შენ თვითონ წაიკითხეო.

წერილში ყველაფერი მართლაც ისე იყო, როგორც დეიდა ნატომ თქვა, მაგრამ იქ ერთი წინადადება ეწერა, რამაც არნახული სითბო და სიხარული მომგვარა: დედა თამრიკოს აკოცე და უთხარი, რომ მაგრად იყოს. ჩვენ მთელი ცხოვრება ერთად გვაქვს გასავლელი თქო.

წერილი რამდენჯერმე გადავიკითხე, დროდადრო დეიდა ნატოს ვეხვეოდი და ვკოცნიდი. ვკოცნიდი ნოდარის დედას, ჩემს მკურნალ ექიმს, ჩემს დეიდა ნატოს, ვისაც იმ დასაწყევარი ამბის შემდეგ უფრო მეტად შევუყვარდი, კი არ შევებრალე უბრალოდ, არამედ შვილივით ვუყვარდი და ეს ასე იყო მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. ამ

მაღალი კულტურისა და ზნეობის ქალმა და რაც მთავარია ნოდარის დედამ, მე ყველაფერი შემინდო და მაპატია, იგი ყველაფერში მამართლებდა და ყოველთვის ჩემს გვერდით იდგა.

ნოდარის წერილმა ყველას დიდი სიხარული მოგვგვარა, ხოლო მე განსაკუთრებულად გამათბო და გამახარა. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სიყვარულს ხანგრძლივად უნდა დავშორებოდი და შევდგომოდი ცხოვრების სავალდებულო, აუცილებლად გასავლელ გზას, რომელზედაც უსიყვარულოდ უნდა მეტარებინა ოჯახური ცხოვრების ავკარგით დატვირთული საზიდარი.

ნოდარისთვის მინდოდა წერილი გამეგზავნა, მაგრამ იგი ვერაფრით დავწერე, თითქოს სიტყვები სადღაც გაქრნენ, აზრები ვერ დავაწყვე. ის რასაც მე ვგრძნობდი და განვიცდიდი, ის რაც ჩემთვის ნოდარი იყო, ნამდვილად ვერ შევძელი სიტყვებით გამომეხატა და ქაღალდზე გადამეტანა. ასე ყოფილა, ნამდვილი გრძნობა იმდენად მაღალი და ფაქიზია, რომ არის მომენტები, როდესაც სიტყვა მხოლოდ უბრალო ბგერაა, მის გასაქრობად მოგონილი, მას მხოლოდ სიჩუმე და სიჩუმითვე ნაკარნახევი მოქმედება ინახავს და არსებობას ინარჩუნებს. წერილის მიღებიდან ერთი თვის თავზე დეიდა ნატომ ნოდარისგან ტელეგრამა მიიღო, — კარგად ვარ, ვიმყოფები მოქმედ არმიაში და იქვე მისამართი იყო მიწერილი.

გადიოდა თვეები, წლები, ომში გამარჯვება არავის ეეჭვებოდა. ნოდარისგან არაფერი ისმოდა. 1944 წლის 17 იანვარს, ეს დღე მისი დაბადების დღე იყო, ძია ვახტანგმა სამხედრო კომისარიატს მიმართა განცხადებით, რომ თუ შესაძლებელი იყო ეცნობებინათ მისი შვილის ადგილსამყოფელი და ამისთვის საჭირო ყველა კოორდინატებიც მიაწოდა. პასუხი დროულად მიიღო: ნოდარ ვახტანგის ძე ოკიზელი, რომელიც ბოლოს იბრძოდა კურსკის მიმართულებით დაიკარგა უგზო-უკვლოდ. ამ ცნობამ ნოდარის მშობლები როგორც იტყვიან წელში გატეხა. დეიდა ნატოს ისე მოეშალა ჯანმრთელობა, რომ მუშაობა ვეღარ შეძლო და სამსახურს დაეთხოვა.

უსაზღვრო იყო ჩემი მწუხარება და დარდი. თითქოს ღმერთმა გადატანილი უბედურება არ მაკმარა და ისიც წამართვა, რისთვისაც და ვისთვისაც ვცოცხლობდი, აუტანლად უგრძნობელი გავხდი, არაფერი მახარებდა, ჩემთვის სულ ერთი იყო ყველაფერი, ასეთ ვითარებაში უნებლიეთ გამახსენდა ჩემი ისტორიის მასწავლებლის — კორნელი ხიდაშელის ნათქვამი: ერთი ბრძენი თურმე ამტკიცებდა, რომ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არავითარი განსხვავება არ არისო. შეეკითხნენ: — მაშინ თავს რატომ არ იკლავო, უპასუხა: იმიტომ, რომ არავითარი სხვაობა არ არისო. ასე იყო თუ ისე, თავი ნამდვილად ვერ მოვიკალი და ეს არც მიცდია, თუმცა სიკვდილს ბევრჯერ ვნატრობდი.

ერთადერთი, რაც სიამოვნებას მანიჭებდა, ჩემი, როგორც ექიმის პროფესიული საქმიანობა იყო. გულმოკლული და გულნაკლული საქმეს არაფერს ვაკლებდი. თუ საჭიროება მოითხოვდა ჩემი პატარა პაციენტების სასთუმალთან ვათენებდი და ვაღამებდი.

1947 წლის გაზაფხული იდგა, სამსახურიდან დაბრუნებულმა მწვანილისათვის ბაზარში შევიარე. დახლების თვალიერებაში გართულს ვიღაცამ მკლავი დამიჭირა. გაკვირვებულმა მოვიხედე და ნამდვილად რომ არ ველოდი, ჩემი თანაკლასელი, შემდეგ თანაკურსელი, გაღიმებული ლადო პანიატოვსკი ვიხილე, “პოლიაკს” რომ ვეძახდით ზედმეტსახელად.

ლადო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წავიდა, იქ იღრმავებდა პროფესიას, თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, როგორც ჩანდა ვიღაცის მეშვეობით ჩემს შესახებ ყველაფერს გებულობდა. ყოველთვის, როდესაც თბილისში იყო "შემთხვევით" მხვდებოდა. გულთბილად მომიკითხავდა ხოლმე, გამომეთხოვებოდა და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. იმ დღეს კი რატომღაც სახლამდე მიმაცილა, გზაში მესაუბრა თავისი საქმიანობის თაობაზე. სახლთან მისულებს შემთხვევით დედა შეგვხვდა, ლადო იცნო და მოკითხვის შემდეგ სახლში შეგვიპატიჟა. ლადო უყოყმანოდ დათანხმდა. დედამ სასტუმრო ოთახამდე მიგვაცილა, ბოდიში მოიხადა და სამზარეულოში გავიდა.

"პოლიაკმა" კედელზე ჩვენი საშუალო სკოლის დამთავრებისას გადაღებული სურათი დაინახა. მომიბრუნდა და მითხრა:

— გახსოვს ამ სურათის გადაღებისას, რომ მეჩხუბე?, როგორ მითხარი? — რას მეტმასნები, სხვაგან დადექი, რაღა მე მიდგები გვერდშიო. მე, მაინც არ მოვიცვალე ადგილი და ახლა ვრწმუნდები, რომ მართალი ვიყავი, არც მაშინ და არც ახლა ერთმანეთს ნამდვილად არ ვაუშნოებთ, მე მგონი ვუხდებით კიდეც.

— შენ რაღაც სხვაგვარად ლაპარაკობ ლადო, ჩემს მეგობარს, რომელმაც ჩემს თავს გადახდენილი ყველაფერი იცის, ასეთი საუბარი არ ეკადრება.

ბავშვობისას არ მისმენდი, მისმენდი კი არა, შენს გვერდითაც არ მაჩერებდი, ახლა ამ თემაზე ლაპარაკს მიშლი, ერთი მითხარი როდის, სად და ვისთან ვთქვა ეს ყოველივე, ვის ველაპარაკო, თუ არა შენ შენსავე სახლში. იცი, რომ მთელი არსებით მიყვარხარ, ისიც კარგად იცი, ეს გრძნობა ერთხანს, თუ რატომ მოვთოკე. აქაურობასაც სწორედ ამიტომ გავერიდე და მოსკოვში ვარ დღესაც. ახლა შენ მარტო ხარ, გიჭირს იმის გადატანა, რაც მოხდა, დაფიქრდი, უკეთესი ხომ არ იქნება, რომ ერთად ვიყოთ? თუ ჩემი ფიზიკური სიახლოვე ალერგიას არ გმართებს, ერთად ვიცხოვროთ, აქაურობასაც გავერიდებით, რამდენიმე წელს მოსკოვში მოგვიწევს ცხოვრება და მუშაობა. ვინ იცის, იქნებ შენც იფიქრო სამეცნიერო ხარისხზე.

— მე არავისთან ყოფნა და ცხოვრება აღარ შემიძლია, ვეღარავის ვიტან დედაჩემის გარდა. შენი ასეთი თანაგრძნობისა და გულახდილობისათვის მადლობის მეტი რა მეთქმის. ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი ქალი სიამოვნებით მიიღებდა შენს წინადადებას, მაგრამ ამჟამად მე ხომ ასეთი ქალების რიცხვში არ ვითვლები, ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, ჯერჯერობით კი ისევ და ისევ ლოდინში გავაგრძელებ ცხოვრებას, მე დღეს ფსიქიკურად ისეთ მდგომარეობაში ვარ და იმდენად უბედური ვარ, რომ სიხარული და ბედნიერება არავის არ შეიძლება მოუტანოს ჩემთან ურთიერთობამ. ჩვენ ალბათ კიდევ მრავალჯერ შევხვდებით ერთმანეთს და ძალიან გთხოვ ნუღარ ილაპარაკებ, მანამ მაინც, სანამ ჩემი საერთო მდგომარეობა ამის საშუალებას არ მოგვცემს. შენ კი როგორც ექიმს, ამის გამოცნობა ალბათ არ გაგიჭირდება.

— ექიმი რომ ვარ სწორედ ამიტომ გთავაზობ ამას. ყოველთვის მჯერა რომ ახალი ყოფა, ახალი გარემო, ყველაზე უფრო მარგებელი წამალი იქნება შენთვის, ხოლო თუ ღმერთმა მოგვცა და პატარა შეგვეძინა, ეს ხომ ისეთი სალბუნია, დედის ნებისმიერ ჭრილობას რომ ჰკურნავს, მე შენი მესმის, ამიტომ არც გთავაზობ ახლავე მიიღო გადაწყვეტილება. იფიქრე, განსაჯე, თუ მიტან, მენდობი და ახლობლად მიგაჩნივარ, დამეთანხმე დამიჯერე, რომ ჩვენი შეუღლება არავის ავნებს, მთელი თვე მე აქ ვიქნები,

სისხლის გადასხმის ინსტიტუტში ვარ სამეცნიერო მივლინებით ჩამოსული, და თუ არ დამიშლი, ხანდახან როგორც ახლობელს შემოგივლი ხოლმე. კაცურად გპირდები, რომ ამ თემაზე აღარ ვილაპარაკებ, თუ შენ თვითონ არ მომცემ ამის ნებას.

დედამ ლარნაკით ხმელი ხილი, ჩურჩხელები და ნუშზე არაყის ნაყენი შემოგვიტანა. მაგიდასთან მოგვიპატიჟა. ლადომ სიკეთე გვისურვა. ნუშის ნაყენს ჩურჩხელა დააყოლა, ნაჩქარევად გამოგვემშვიდობა და წავიდა. დედამ მაკოცა. დივანზე გვერდით მომისვა და მითხრა: მაპატიე შვილო, რომ ჩემდაუნებურად ყველაფერი მოვისმინე. ლადოს ნათქვამიც მომეწონა და შენი თავშეკავებაც. ორი ნორმალური პიროვნების დიალოგი იყო ნამდვილად. თუ შეგიძლია გულს ნუ ატკენ, ცოდვაა, ხომ ხედავ როგორ უყვარხარ. შენი სიყვარული ვნებად აქვს გადაქცეული და თუ თანაგრძნობას არ გაუწევ, საკმაოდ გაუძნელდება სხვა დანარჩენი მიზნების განხორციელებაც კი, მის მარტოხელად დარჩენის ვარაუდზე რომ არაფერი ვთქვათ. ვიცი, რომ არც მაგის და არც არავის სიყვარულისთვის შენ არა ხარ განწყობილი, უბრალოდ ამის გაფიქრებაც კი უარყოფითად მოქმედებს შენზე, მაგრამ სიყვარული თუ არა უბრალოდ მისი თანაგრძნობა თუ მაინც შეგიძლია, დათანხმდი, შეუღლებაზე უარს ნუ ეტყვი, იცოდე: **ქალი რომელიც შვილებს არ გაზრდის, დედობას ზურგს შეაქცევს, ქვეყნის და ერის მოღალატეა, მისი გაჩენა ღმერთმა შემინდოს ღვთისავე შეცდომაა და მეტი არაფერი. ასეთი ქალები ხომ უსიხარულოდ აღამებენ ამ წუთისოფელს, მათი სიცოცხლის ბოლოს მხოლოდ სინანულია და სხვა არაფერი. თვითონ თუ ვერ შობ, ეს არაა გამოუსწორებელი უბედურება, ბევრია ისეთი შობილი, რომელსაც გაზრდა სჭირდება და სამწუხაროდ ვერ აკეთებს ამას მისი მშობელი. მადლი ქენი, გაზარდე ასეთი ერთი ორი, რამდენიც შეგიძლია, ნუ ეგოისტობ და ბედნიერი იქნები. ადამიანი ხომ იმიტომ მოდის ამ ქვეყანაზე, რომ მან ისევ გაზარდოს ადამიანი,** ამას ემსახურება მეცნიერებაც, ტექნიკაც და საერთოდ ყოველივე ამქვეყნიური.

დედას — ჩემს უპირველეს ახლობელსა და მეგობარს, თვალები დავუკოცნე. ლადოს წინადადებით ისედაც არნაწყენს, მისი რჩევა გულზე მალამოსავით მომეცხო. იმ ღამეს, მეორე დღეს და შემდეგაც. ბევრი ვიფიქრე, ჩემი მდგომარეობა მართლაც უაზრო მარტოობად მომეჩვენა. ვისთანაც ერთად ვოცნებობდი მეცხოვრა და მეცოცხლა, მასთან ბედმა მიმუხთლა და თუ ამ უკუღმართ ბედისწერას საბოლოოდ დავემორჩილებოდი, ისე როგორც ამჟამად ვყავდი შებოჭილი, ეს სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

ლადო მართლაც ხომ ჩემი ახლობელია. მე მასთან არაფრის ახსნა და მტკიცება არ მჭირდება, ზრდილი და განათლებული ვაჟკაცია, თანაც ნამდვილად მჯერა, რომ ჩემთან გულწრფელია. თუ დედობა მიწერია, შვილების აღზრდა ისე, როგორც ეს მე მეხატება, მასთან ერთად შეიძლება. ეს ყველაფერი მართლაც ისეა, თუ გონების თვალით გავზომავთ ყოველივეს, მაგრამ რომ არ მიყვარს, როგორ ვიცხოვრო მასთან უსიყვარულოდ? მასზე რომ ვინმე ჩემი ახლობელი თხოვდებოდეს დიდად შევაქებდი, ის ამას უთუოდ იმსახურებს, მაგრამ მე არ მიყვარს და რა ვქნა, ან კი შეიძლება ნოდარის შემდეგ ვინმე შემიყვარდეს? არა და არა, ეს გამორიცხულია, მაგრამ როცა დედად გახდომას გთავაზობენ, ისიც ასე ტაქტიანად და თანაც ამას აკეთებს ის პიროვნება,

რომელიც შენი შვილების მამობისათვის უღირსად არ მიგაჩნია, აქ საჭოჭმანო თითქოს და არაფერი უნდა იყოს, თითქოს და არაფერი?...

საკითხავია თვითონ ლადოს ჩემთან შეუღლება მოუტანს კი ბედნიერებას? მე, რომელსაც იგი არ მიყვარს, უბრალოდ ასატან კაცად მიმაჩნია და ამიტომ შეიძლება მასზე მხოლოდ გავთხოვდე, რა ბედნიერების მოტანა შემიძლია მისთვის? არც მთლად ასეა საქმე, ვფიქრობდი ჩემთვის, რატომ არ იქნება იგი ბედნიერი, როცა მას ვუყვარვარ ბავშვობიდან, მისი მიზანი, აუხდენელი ოცნება იყო და დღესაც არის ჩემი დაუფლება, რასაც იგი აღწევს, ეყოლება ერთგული მეუღლე, რომელთანაც ერთად გაზრდის შვილებს და ა.შ. პრაქტიკულად ხომ ასე იქმნება ოჯახების უმრავლესობა — არავითარი სიყვარული, უკეთეს შემთხვევაში ერთმანეთი მოსწონთ, ან ვინმეს შუამდგომლობით იწონებენ ერთმანეთს, ქორწინდებიან და იქმნება ამისი "დამადასტურებელი" ბეჭედდასმული მოწმობა, შემდეგ იწყება "თაფლობის თვე" და იბადება სიყვარულიც, შეიძლება ხშირად მართლაც ასე იყოს, მაგრამ ხომ ხდება პირიქითაც, რაც ჩამოვთვალეთ ყოველივე ამის შემდეგ ვეღარ იტანენ და სამუდამოდ სძულდებათ ერთმანეთი, ერთად კი მაინც "ცხოვრობენ", რატომღაც მგონია, რომ მეუღლეთა შორის ღალატის ერთად-ერთი მიზეზი მხოლოდ უსიყვარულობაა. განა შეიძლება ვინმეს მოუვიდეს აზრად რომ საყვარელ ადამიანს, რომელსაც მზადაა სიცოცხლეც კი ანაცვალოს, უღალატოს? დაუჯერებელია, ნამდვილად დაუჯერებელია... შემდეგ ისევ და ისევ ფიქრები მიფორიაქებდნენ სულს.

— დავუშვათ მე და ლადო დავქორწინდით, გვაქვს კარგი ოჯახი, გვყავს შვილები, ერთი სიტყვით ვცხოვრობთ ნამდვილი ცხოვრებით. ამ დროს ხდება სასწაული და ნოდარი მხვდება. ცოცხალია, კარგადაა. არაფერს მსაყვედურობს, მაგრამ სიყვარულს მახსენებს, ან კი რა შეხსენებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც მე მას ვმორჩილებ და ვეკუთვნი მთელი არსებით. ან კი მოინახება ქალი, რომ ასეთი "ცდუნებისაგან" თავი შეიკავოს?, ყოველ შემთხვევაში მე ეს არ შემიძლია, ჩემი ნებისყოფა ამას ვერ გაუძლებს, მაგრამ ოფიციალური მეუღლე? შვილები, რომელთა თვალშიც ნოდარი მხოლოდ უცხო ვიღაცაა, რომელიც ჩემს შვილებს თავიანთი მამის ჩრდილადაც არ უღირთ. ისინი ხომ ჩემი უახლოესი და უერთგულესი ადამიანები არიან. რა დააშავეს მათ, რომ ჩემი "უღირსი" საქციელის გამო საზოგადოების წინაშე თავსლაფდასხმულნი იყვნენ. არაფერი. და მე ვცდილობ "ცდუნებას" არ ავყვე, ვებრძვი საკუთარ თავს და საბოლოოდ ვნადგურდები კიდეც ჩემი ეგოიზმისათვის, რომ ვერ შევძელი საყვარელი ადამიანისათვის თუ სიცოცხლე არ შემეწირა, საკუთრივ ჩემი ბედნიერება მაინც დამედო სასწორზე, ვისჯები. მაღალო ღმერთო დაილოცა შენი სამართალი, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩემი მსგავსი "ბოროტი ეგოისტი" არცერთი დაგრჩენოდა დაუსჯელი ამ ქვეყანაზე.

არა და არა, ნოდარი არ დაუშვებს, რომ ჩემს ქალობას ასეთი გამოცდა მოუწყოს, გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაყენოს, იგი ხომ ვაჟკაცია, ბუმბერაზი პიროვნებაა, მას შეუძლია თავი შეიკაოს ყველაფრისაგან, ის ხომ ჩემსავით სუსტი და საცოდავი ეგოისტი არაა, არ იკადრებს ჩემს აფორიაქებას. ჩემი წამებით აგებული "სამყაროს" დანგრევას და ამას მოიმოქმედებს და გააკეთებს არამარტო იმისათვის, რომ მას, როგორც ვაჟკაცს ეს

შეუძლია, არამედ გააკეთებს უპირველესად იმ დიდი სიყვარულისათვის, რომლითაც ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. ღმერთო შენ ხომ ყველაფრის შემძლე და მსაჯული ხარ, თვითონ განსაჯე, რაოდენ უცნაურია, რომ კაცი არ გიყვარს და მასთან წოლა იყოს ზნეობრივი, ხოლო ვინც გიყვარს და ვინც მთელი სიცოცხლე შენთვის ეწამა, მასთან ყოფნა უზნეობად გეთვლებოდეს. მართლაც რომ ყველაფერი დროზე და გარემოებაზე ყოფილა დამოკიდებული. აი, თურმე როგორ განაპირობებენ მოვლენები ერთმანეთს.

ფიქრებით ვიღლები, გვიანი ღამეა, ვერ ვიძინებ, ისევ და ისევ ფიქრებით სინამდვილეს, დღევანდელ რეალობას ვუბრუნდები და ვასკვნი, რომ ასეთ ყოფაში მე რომ ვარ, ცხოვრება არ შეიძლება, უთუოდ სულიერად დავვარდები, თუ უნდა ვიცოცხლო, უნდა სულის სიცარიელე შევივსო. დედობა ამისათვის უპირველესი მკურნალი და ხსნაა. დედისათვის შვილების სიყვარული ყველაფერზედ მაღალია და ყველაფერს ჩრდილავს. სხვას დანარჩენს მეორე რიგი ეთმობა. დედამ, იცის დიდი ტკივილის ფასად, შვილი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს შეიძლება ანაცვალოს, ისიც ისევ და ისევ იმიტომ, რომ საერთოდ შვილები იყვნენ ბედნიერნი და თავისუფალნი, გალაღებულნი და არა მონობისაგან წელგაზნექილნი, დაბეჩავებულნი, ან თუ გნებავთ მხოლოდ ნარჩენებისაგან ჩათქვირებულნი და მაღალი იდეებისაგან დაცლილნი, რომელთა შორის თავისუფლებაა უპირველესი, რისი სრულფასოვანი მიღწევაც დამოუკიდებელი სამშობლოს გარეშე თითქმის შეუძლებელია. თვით ადამიანის ბუნებაში ჩადო შემოქმედმა ის, რომ მუდმივად მიილტვოდეს თავისუფლებისაკენ. მოწესრიგებულ, კარგად აღზრდილ ადამიანთა საზოგადოებაში თავისუფლება უმაღლესი ბედნიერების წყაროა. ხოლო საზოგადოებაში, სადაც ანარქია ჰყვავის, ძალმომრეობისა და უზნეობის საშუალებაა, უბედურების მომტანია ადამიანთა უმრავლესობისათვის, უპირველესად კი კეთილ კაცთათვის, მათთვის, რომლებიც უპირველესად არიან ღირსნი თავისუფლებისა, ნამდვილად რომ მონები არიან კანონებისა.

ლადო რომ მოვა დარწმუნებული ვარ დავთანხმდები შეუღლებაზე. მართალია, ამას მისიანები დიდი აღტაცებით არ შეხვდებიან, მაგრამ ყველაფერს ვიღონებ, რომ კეთილი ქცევით მათ განწყობა შევუცვალო, მითუმეტეს, რომ აქაურობას ამ თავით განვერიდებით, გარკვეული დროით მოსკოვში მოგვიწევს ცხოვრება.

ასეთ ფიქრებში შაბათი ღამეც უძილოდ გავატარე, მეორე დღეს — კვირა, ჩემთვის დასვენების დღე იყო და ამიტომაც თავს ნება მივეცი, რომ ლოგინში ჩვეულებრივზე მეტ ხანს დავრჩენილიყავი. უნებლიედ ჩამძინებოდა, როდესაც გავიღვიძე, საათი ათს უჩვენებდა. დედამ შემოიხედა.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდად გეძინა. ასე არ ჯობია შვილო? დარდიან ფიქრებს, არაფრის სასიკეთოდ შეცვლა არ შეუძლია. იგი მხოლოდ სიცოცხლეს უმოკლებს და აბეჩავებს ადამიანს. ჰო, მართლა, ლადომ დარეკა, მოგიკითხა. რომ გაიგო გეძინა, არ გააღვიძოო მითხრა. მოსკოვში უწევს სასწრაფოდ წასვლა, ასე სასწრაფოდ გამოძახებას არ ველოდიო. მატარებელი ღამის თერთმეტ საათზე გადის, თუ თამრიკო არ მიწყენს წასვლის წინ მოგინახულებთ და სადგურზე თქვენგან წავალო.

— მართლა? სადგურზე ხომ არ სურს გავაცილო? იქნებ მოწყალება მოიღოს და დაგვთანხმდეს, ვთქვი ვითომ ნაწყენმა, გულში კი ნამდვილად მეამა, რომ ლადო მოვიდოდა.

— რომ გავაცილოთ კიდეც ამით არაფერი დაშავდება. ობოლი ბიჭია. მაგისი ბედი, რომ ბებია ცოცხალი ჰყავს და კარგად არის, თორემ აქაურობა გაუცივდებოდა, როგორც მე ვიცი მაგისი ორივე და თელავშია გათხოვილი და თბილისში იშვიათად ჩამოდიან. მაგათ ეზოში თამილა ცხოვრობს დეიდაშენი, იმისაგან ვიცი ეს ყველაფერი. ლადოს ბებია და დეიდაშენი, როგორც დედა-შვილი ისე არიან ერთმანეთთან. ლადოს დედასაც თამილა რქმევია და ესეც რაღაცას ნიშნავს მაგათ ურთიერთობაში.

ლადოს მამა ავტომანქანის მძღოლი ყოფილა, ბოლოს გზატკეცილების სამმართველოში უმუშავნია სატვირთო მანქანაზე. ერთ დღეს, რომელიღაც რაიონიდან დაბრუნებულს ბინაზე გამოუვლია და შემოღამებია კიდეც. დაღლილობის გამო გარაჟში აღარ წასულა, შინ დარჩენილა. დილით ისევ მივლინებაში ყოფილა წასასვლელი და რომ არ დაგვიანებოდა ადრე ამდგარა, ისევ ბინდი ყოფილა მანქანა აუმუშავებია და ბენზინიც გასთავებია. მაშინ ბენზინი მძღოლებს კასრებით თან დაჰქონდათ, ვინაიდან გზაზე გასამართი სადგურები არ იყო, მასაც ჩამოუსხამს იგი ვედროში და ავტომანქანის ავზში უნდა ჩაესხა, რადგან ბნელოდა მეუღლემ სანთელი გამოუტანა მისანათებლად. ალბათ ბენზინის შხეფი მოხვდა სანთლის ალს. ერთი სიტყვით ბენზინი აუფეთქდათ და თავიანთი სახლის წინ ავტომანქანასთან ერთად დაიწვნენ. მაშინ ლადო 15 წლის ყოფილა, დები კი უფრო პატარები. მათი აღზრდა ბებიამ ითავა მამის დედამ და დღესაც იგი უწევთ ნამდვილ დედობას.

თუ შეუღლდებით, მე კი გირჩევ ეს ნაბიჯი გადადგა, ლადოს გაუფრთხილდი, რომ უნებურად არა დაუშავდეს რა, დაკვირვებული ვარ თითქოს რაღაც კანონზომიერება არსებობს, ოჯახში მოვლენები ზოგჯერ მეორდებიან, ღმერთმა დაგიფაროთ რაიმე ხიფათისაგან.

— დედა! მე ნამდვილად გავყვები და ყველანაირად ვეცდები, რომ იგი ჩემი არჩევანით ბედნიერი იყოს, იმაზეც თანახმა ვარ, რომ დღესვე თან გავყვე მოსკოვში, როგორც მეუღლე და ერთგული მეგობარი.

— არ ვიცი, ეგ უკვე თქვენი საქმეა, ღმერთმა ბედნიერნი გამყოფოთ. ადამიანი არ შეიძლება აიძულო დაქორწინდეს, მაგრამ ვინც დაქორწინდბა უნდა დაემორჩილოს ქორწინების კანონებს. მამაშენს ვუთხარი ყველაფერი, ბუნებრივია, გარდა ჩვენი ახლანდელი საუბრისა და როგორც მოველოდი, მითხრა: მე შვილი გავზარდე პიროვნებად, დიდი ხანია ეგ უკვე მზადაა ცხოვრებისათვის, მადლობა ღმერთს, რომ იმის უნარი შესწევს საკუთარი თავი მართოს. კარგი ავისაგან გაარჩიოს. ყველაფერი აღსრულდეს ისე, როგორც მას სურს, მშობლები ვალდებული ვართ, სანამ ვცოცხლობთ გვერდში ვედგეთ შვილებს, რომ ცხოვრების ტვირთი მცირედით მაინც შევუმსუბუქოთო. ვაჟკაცია შვილო მამაშენი და ეს ჩემი უდიდესი ბედნიერებაა, განაგრძო დედამ. იცოდე, ქალი ყვავილის კოკორსა ჰგავს, იგი მხოლოდ ვაჟკაცის ხელში შეიძლება გაიშალოს. ვაჟკაცი ქმარი ცოლის სიამაყეა, მისთვის სათნოებისა და კეთილსაქმეთა კეთების საფუძველთა საფუძველია. ვაჟკაცი კაცი აუწონელი განძია ერისათვის და მითუმეტეს თავისი ოჯახისათვის. ვაი ჯაბანი და გლახაკი კაცის მეუღლეს. მთელ ცხოვრებას ცილისწამებასა, ეჭვიანობასა და საყვედურებში რომ ატარებს. საერთოდ უნდა იცოდე, რომ ყოველი გლახაკი და სულით მდაბალი ზედმეტად ეჭვიანიცაა.

შეიძლება ჩემი ახირება და ერთგვარი სისუსტეა, რომ ვერ ვიტან გამამაკაცებულ ქალებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ "გამამაკაცება" კი არ ხდის ძლიერსა და მამაკაცისათვის სასურველს, რისთვისაც ყველა ქალი უნდა იღწვოდეს, არამედ ქალურობა და კდემოსილება, გაკაცებული ქალი მამაკაცი არაა და ვერც იქნება, იგი მას ემსგავსება მხოლოდ და რამდენადაც ემსგავსება, იმდენად იკარგება როგორც ქალი.

შენგან, როგორც ცოლისაგან ელოდებიან, რომ იყო კეთილშობილი, ქალური ქალი, კარგი დედა და ერთგული მეუღლე, რაც უპირველესად შენვე გამკობს და გალამაზებს, ბედნიერებას განიჭებს და არ იყო მამაკაცს დამგვანებული, ან ეჭვიანი ალქაჯი, რაც ესოდენ გამცირებს, მიმზიდველობას გაკარგვინებს, გაუბედურებს და ამას ვერ ხვდები შენ მართლა უბედურო? მე არ ვიცნობ ისეთ ვაჟკაცს, რომელსაც ცოლის ანჩხლობით და სიავით რაიმე დაეშალოს, ხოლო მათ ცოლებს რომ ანჩხლობისა და ეჭვიანობისთვის ბევრი რამ უშავდებათ, ასეთის მნახველი კი ნამდვილად ვარ.

ალბათ თავი მოგაბეზრე, გპირდები რომ ამ თემაზე შენთან აღარასოდეს ვილაპარაკებ, მითუმეტეს, რომ თქვენ მოსკოვში იქნებით და ჩვენ თბილისში. თუ ეს მართლაც მოხდა, უშენოდ გაგვიჭირდება ყოფნა, ჩვენ ხომ ერთმანეთს არასდროს დავცილებივართ.

საღამოსთვის პური ამოიტანე თონიდან, დანარჩენს მე გავაკეთებ, შენ მხოლოდ შენს თავს მიხედე. ლადოს ისე შეხვდი ახლაც და ყოველთვის, როგორც ეს შენს ოჯახისშვილობას შეჰფერისო, მითხრა და სამზარეულოს მიაშურა.

საღამოს ლადოს მოსვლამ ყველა გაგვახარა. მამამ შემოგვთავაზა, ვინაიდან ცოტა დრო გვაქვს სუფრასთან ვისაუბროთო, თან ღვინოს ჭაშნიკი გავუსინჯოთო. ლადო დაეთანხმა და პირველი მიუჯდა მაგიდას. რადგან სტუმარმა ასე ინება, ჩვენ რაღა გვქონდა საწინააღმდეგო.

ლადომ არ იცოდა რატომ გამოიძახეს მივლინებიდან. ამჯერად ძალზე მიმძიმს აქაურობის დატოვებაო, თქვა გაღიმებულმა და მრავალმნიშვნელოვნად მე გადმომხედა. მისი ასეთი ჟესტი სადღაც მესიამოვნა კიდეც, რაც ეტყობა გამომეტყველებაზე შემატყო და უფრო გათამამდა, თანაც "თავკვერი" თავისას აკეთებდა.

— ბატონო დავით! როგორც თქვენ ბრძანეთ, ნამდვილად ცოტა დრო რჩება ჩემს გამგზავრებამდე, ამიტომ სათქმელი პირდაპირ მინდა გითხრათ:

— ბრძანეთ. სტუმრის მოსმენა მასპინძლის ვალია, მიუგო მამამ.

ჩემი უდიდესი სურვილია, რომ თამრიკო ცოლად გამომყვეს. თუ იგი ამ წინადადებაზე თანახმაა, მაშინ თქვენი დალოცვის მეტი აღარაფერია საჭირო.

— ამ საქმეზე თქვენ და თამრიკო შეთანხმებული არ ხართ და ამას მხოლოდ ახლა ამბობ ჩვენი თანდასწრებით. ეს შვილო თქვენნაირ ზრდილ ყმაწვილს არ ეკადრება. მე თამრიკოს ნების წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვარ. იგი ისეა აღზრდილი, რომ ურიგო არასოდეს არაფერი ჩაუდენია და მჯერა ასეთს არც არასოდეს ჩაიდენს. საქმე ისაა, რომ მას ერთი გული აქვს და რამდენადაც მე ვიცი იგი დიდი სიყვარულითაა აღვსილი, მაგრამ არა თქვენდამი, არამედ თქვენი საერთო მეგობრის — ნოდარისადმი, რომელსაც ამჟამად არავინ უწყის, რა სჭირს. ყოველ შემთხვევაში მე არ მინდა ვირწმუნო, რომ იგი ცოცხალი აღარაა. ამიტომ არა მგონია თამრიკოს გულში სხვა ვინმეს სიყვარულისთვის ადგილი იყოს დარჩენილი, უსიყვარულოდ კი იგი არავისთან არ შეუღლდება და არც ივარგებს მეუღლეთა ცხოვრება უსიყვარულოდ. თუ იგი ცოლობაზე დაგთანხმდებათ,

მაშინ ალბათ რაღაც მოხდა ისეთი, რაც მე არ ვიცი, რისთვისაც ორივეს პატიებას გთხოვთ ჩემი ასეთი საუბრის გამო.

— ბატონო დავით! სანამ თამრიკო იტყოდეს რამეს, მინდა მოგახსენოთ, რომ სითამამისათვის ნუ დამსჯით და არა მარტო თამრიკომ, ყველა ჩვენმა ნაცნობმაც კი იცის, რომ მე იგი სკოლის მერხიდან მიყვარს, მაგრამ მან არც თუ უმიზეზოდ, თავიდანვე ნოდარი აირჩია, რის შემდეგ მე არავითარი უფლება აღარ მქონდა რაიმე შემეცვალა, ან უბრალოდ მეცადა, მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვა ქალის შეყვარება ვერ შევძელი. ვინ იცის დროთა ვითარებაში ამასაც ეშველებოდა, თუ კი ვინმეს ამ ქვეყნად ჩემთვის მოსულს შევხვდებოდი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ მოხდა და ამ დროს კი ის ქალი, რომელიც მთელი ჩემი არსებით მიყვარს, არც თუ დალხინებულია. მიუხედავად თქვენი ესოდენ სიყვარულისა და მზრუნველობისა, მაინც მარტოა, ასეთ ვითარებაში მინდა მის გვერდით ვიყო, როგორც მეუღლე და მეგობარი, მე კი ყველანაირად ვეცდები, ყველაფერთან ერთად ის ბედნიერიც რომ იყოს, რის აღსრულებაში ყველაზე მეტად ალბათ თვითონვე დამეხმარება. თამრიკომ ეს ყველაფერი იცის, მე მას საკმაოდ ბევრი ვესაუბრე. მართალია, მისგან თანხმობა არ მიმიღია, მაგრამ არც უკადრისი რამ უთქვამს ჩემთვის. მე ალბათ, თქვენთან ასეთ საუბარსაც გარკვეული დროით გადავდებდი, გადავდებდი მანამ მაინც, როგორც თქვენ ბრძანეთ, სანამ თამრიკოსგან დადებით პასუხს არ მივიღებდი, მაგრამ ყველაფერი ჩემმა მოულოდნელმა უკან გაწვევამ განსაზღვრა.

— მამა! დავიწყე გაუბედავად, თქვენგან ვიცი, რომ ქალის უპირველესი მოვალეობა დედობაა, მას ამისათვის უნდა ამზადებდნენ, სანამ ეს თვითონ არ აქვს გაცნობიერებული, ხოლო შემდეგ კი ამისათვის თვითონ უნდა ემზადებოდეს, ამას უნდა ანაცვალოს ყველაფერი, ხოლო შვილების გაჩენის შემდეგ უნდა იცხოვროს და იხაროს მხოლოდ მათი ბედნიერებით. მათ აღზრდას უნდა შეალიოს და შესწიროს ყველაფერი. ასეთი დედები და საერთოდ ქალები სჭირდება ერს, საზოგადოებასო, ასე მასწავლიდით და მზრდიდით. დღეს ჩემი ერთადერთი სურვილი და მიზანია დედა გავხდე. აღვზარდო კარგი ადამიანები. მათზე ზრუნვით და მათი ბედნიერი ცხოვრების მოწყობით მოვირჩინო გულს დამჩნეული წყლულები, ჩემს სიცოცხლეს სხვა გამართლება ნამდვილად რომ აღარ აქვს. ლადო ჩემი მეგობარია, იგი ჩვენი მეგობრების წრეში მუდამ კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, მე მწამს მისი გულწრფელობისა და ალბათ უფალი არ ინებებს ჩემს გაწბილებას.

ლადომ ხელზე მაკოცა, მშობლებს ბოდიში მოუხადა და მთხოვა ჩემს ოთახში გავსულიყავით ზოგიერთ წვრილმანზე მოსალაპარაკებლად. ასეც გავაკეთეთ.

— შემიძლია ორი დღე დავაგვიანო, შენ კი სამსახურში ყოველივე მოაგვარე, ხვალვე ხელი მოვაწეროთ, ზედმეტი ხმაური და ჯამ-ჭურჭლის მტვრევა მე მგონი საჭირო არ არის, ამისი დრო, თუ ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართა, ალბათ დაგვიდგება, საქორწინო მოგზაურობად კი ამჯერად თბილისი-მოსკოვის გზა ვიკმაროთ. რა გეღიმება, ასე ხომ კარგია? მაშინ სასწრაფოდ სადგურზე გავალ, ბილეთს დავაბრუნებ და ზეგისათვის ორ ბილეთს ავიღებ. შენ კი თქვენებს უთხარი ჩვენი გადაწყვეტილება.

ლადო სასტუმრო ოთახში აღარ შემოსულა, პირდაპირ სადგურზე წავიდა. ძალიან მომეწონა და მესიამოვნა მისი სიტყვები. ყველაფერი მდგომარეობის შესატყვისად იყო ნათქვამი. მეც უსიტყვოდ ვაგრძნობინე, რომ ყველაფერზე თანახმა

ვიყავი. მხოლოდ ერთი არ მომეწონა — “ხვალვე ხელი მოვაწეროთო” -სადაც გულწრფელობაა, მითუმეტეს ასეთ სიტუაციაში ჩვენ რომ ვართ, რა მოსწრებაა “ხელისმოწერა”, როგორ განა ეს შემდეგ, თუ გნებავთ მოსკოვში არ შეიძლება გაკეთდეს? რა აუცილებლობაა ასეთი, რომ მაინცდამაინც ხვალ მოვასწროთ ყველაფერი — ვფიქრობდი ჩემთვის. როდესაც ეს ყველაფერი შემდეგ ლადოს გავანდე, მან სრულიად უბრალოდ მიპასუხა, ეს უფრო სხვების დასარწმუნებლადაა საჭირო. ჩვენ რომ ნამდვილად მეუღლეები ვართ, ამის დადასტურება გზაშიც დაგვჭირდება და მოსკოვშიც ერთად ცხოვრებისთვისო. თორემ რა “მოსწრებაზე” შეიძლება საუბარი. ამის გაფიქრებაც კი უხერხულიაო. ვირწმუნე, რომ იგი მართალი იყო.

ჩვენებს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი, ზოგი რამ მათი ვითარებაში უკეთ გარკვევისათვის ლადოს ნათქვამს დავუმატე, რის უფლებასაც ჩემდა გასაოცრად უკვე ვაძლევდი საკუთარ თავს. მშობლებმა გადაწყვეტილება მოგვიწონეს. აცრემლებულმა დედამ მაკოცა და მითხრა: ბრძნულადაა ნათქვამი “მშობლები შვილისათვის, შვილი კი თავისთვისო”, ასეა და ასეც იქნება, ბედნიერი გამყოფოთ ღმერთმა. გაგვიჭირდება უშენოდ ყოფნა. გახსოვდეს, რომ შენგან აქ დატოვებულ სიცარიელეს ვერაფერი შეავსებს შენი და შენი შვილების გარდაო.

ლადო ჩქარა დაბრუნდა, ბილეთები მომაწოდა და კმაყო-ფილებით მითხრა, რომ “კუპე” მხოლოდ ორადგილიანიაო.

ყველაფრის გაკეთება და მომზადება მოვასწარით. წასვლის დღეს ჩვენებმა სადილი მოაწყვეს. ლადომ დიდედა მოიყვანა მეზობლებიდან მხოლოდ ნოდარის მშობლები გვყავდა მოწვეული, ნეტავ თუ სადმე არსებობს, ან მომავალში დაიბადება ისეთი კეთილი ქალი, როგორიც ნოდარის დედა, ქალბატონი ნატო იყო. მთელი საღამო გვეფერებოდა და გვლოცავდა. უნებურად ყველას ცრემლები მოგვდიოდა, რაშიც წუხილი და სიხარული იყო თავისთავად შეზავებული, იმას, რასაც მაშინ თითოეული ჩვენთაგანი განიცდიდა სიტყვით ვერ გამოხატავ. იგი ღიმილიან სახეზედ თვალებიდან უჩუმრად გადმოღვრილმა ცრემლებმა შეიძლება მიგანიშნოს მხოლოდ.

— ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ამიერიდან ლადო ჩვენი შვილია, შენ კი რძლად აქამდეც გთვლიდითო, თქვა დეიდა ნატომ და თვალთაგან ცრემლის ნიაღვარი გადმოსკდა. იმ წამშივე მოწესრიგდა. ის და ძია ვახტანგი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ იმ ლამაზ საღამოს ელფერი არ დაკარგოდა.მე ახლა ვხვდები, თუ რაოდენ ახლობლები ვიყავით ჩვენ ერთმანეთისა და რაოდენ მაღალი კულტურისა და ზნეობის ადამიანები იყვნენ ისინი, რომ იმ საღამოს ერთად ყოფნა უხერხული კი არა, არამედ, უერთგულესი ადამიანების თანადგომა იყო სრულიად ბუნებრივად, ყოველგვარი გარდასახვის გარეშე.

მოსკოვში კარგად მოვეწყვეთ, ლადომ ჩვენი ერთად ცხოვრების მესამე წელს შეძლო საკანდიდატო დისერტაციის “ჩაბარება”, დაცვაზე მამაჩემი, ძია ვახტანგი და მამიდამისი ჩამოვიდნენ, დისერტაციამაც და “დესერტაციამაც” კარგად ჩაიარა. დამშვიდობებისას მამიდამ გვითხრა, რომ თბილისში მოაგვარებდა თავის საქმეს და თუ ჩვენი სურვილი იქნებოდა ჩვენთან გადმოვიდოდა დროებით საცხოვრებლად. ოჯახურ საქმეებში შემეშველებოდა. იმხანად ჩემი გოგონა — თინიკო მხოლოდ ორი წლისა იყო და თან უკვე “დეკრეტში” ვიყავი გასასვლელი. მამიდა ჩემთვის ნამდვილი ხსნა იყო. ასეც მოხდა, ჩვენ სამივე და ორი ბავშვი — თინიკო და მამუკა შემდგომ ერთ ჭერქვეშ

ბედნიერად ვცხოვრობდით. ლადომ სადოქტორო დისერტაციაზე გააგრძელა მუშაობა, იმედოვნებდა, რომ თინიკოს სასკოლო ასაკის დადგომამდე შეძლებდა თბილისში გადმოსვლას.

სამსახური, ოჯახი, ბავშვები მიუხედავად ამისა, რომ მამიდა მხარში მედგა, ჩემი მთელი ძალღონის დაძაბვას ითხოვდა. როგორც იტყვიან: საქმეში ყელამდე ვიყავი ჩაფლული, მაგრამ ზოგჯერ მაინც ფიქრებს გავყვებოდი ხოლმე:

— ბედნიერი დედა და მეუღლე ვარ, ლადო ნამდვილად კარგი კაცია. მომწონს და მისი დიდად კმაყოფილი ვარ, მაგრამ სიყვარული? ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მიყვარს. ნოდარის შემდეგ მე ეს ვეღარ შევძელი. მაინც რა ყველა უბედურებამ ნოდარის თავზე მოიყარა თავი. ნუთუ მართლა აღარაა ცოცხალი? და ამის გაფიქრებაზე სისხლი მეყინებოდა, ოღონდ ცოცხალი იყოს და სადაც და როგორც უნდა ისე იყოს. იგი ნამდვილი ვაჟკაცია, სრულქმნილებამდე ამაღლებული მამაკაცია. ნეტავ როგორი მეუღლე იქნებოდა? ალბათ სამაგალითო ოჯახი გვექნებოდა. არა ოჯახი ახლაც დიდებული მაქვს, მაგრამ ის მაინც სულ სხვა იქნებოდა, ახლა შინ მხოლოდ ჩემი შვილების მამას ველოდები, უდაოდ კარგ კაცს, შესანიშნავ პიროვნებას, მაშინ კი სიყვარულს დაველოდებოდი, აი ეს სხვაობა იქნებოდა მხოლოდ. მერე და განა ეს ცოტაა? ცოტა კი არა ყველაფერი. ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, რაც მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ჩვენთვის არ ინება განგებამ. მისი მიღწევა ჩვენ: მე და ნოდარმა ვერ შევძელით.

შემდეგ ისევ საქმეში "ვიძირებოდი" და ასე გადიოდნენ დღეები, თვეები და წლები. ლადო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა, თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. ოჯახში არ გვიჭირდა. ეს ის დრო იყო როდესაც საშუალო დონის ინტელიგენტს შეეძლო ხელფასით ეცხოვრა. ლადოს დიდედა გარდაეცვალა. მისი ბინა გავყიდეთ და საბოლოოდ ჩვენებთან გადავსახლდით.

ერთ დღეს გვიან საღამოს, რაღაც არაბუნებრივმა კივილმა შეძრა ჩვენი ქუჩა. ოკიზელებს სამზარეულოში "პრიმუსი" აუფეთქდათ. დეიდა ნატოს მისაშველებლად მისულ ძია ვახტანგსაც ალი მოსდებოდა. ახლა კი ორივენი ქუჩაში ალმოდებულნი ისევ ერთმანეთს ეშველებოდნენ და მთელი ხმით კიოდნენ. მივეშველეთ, ისინიც და სახლიც დაწვას გადავარჩინეთ, მაგრამ ისეთი დამწვრობა მიიღეს, რომ აღარაფერი ეშველათ და საავადმყოფოში დაიღუპნენ. ორივენი ერთ დღეს დავკრძალეთ. არც თუ დიდი ხნის წინათ ამ სისხლსავსე დიდებული ოჯახის კარები სამუდამოდ გამოიკეტა.

ოკიზელები მართალია ჩვენი სისხლით ნათესავები არ იყვნენ, მაგრამ მათთან ძალზე ახლობლობა გვქონდა. პირადად ჩემთვის კი ისინი ის ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც ურთიერთობა, მათზე ზრუნვა სულს რომ მალამოდ ედებოდა, თითქოს ამით ვინანიებდი იმ "დანაშაულს", რომელიც ნოდარის წინაშე ჩავიდინე. ჩემს სმენას არ სცილდებოდა მისი სიტყვები: ჩვენ ერთმანეთისათვის ვართ გაჩენილნი, ჩვენს ერთად ცხოვრებას ხელს ვერაფერი შეუშლის. მე არაფერი გამიჭირდება, უთუოდ ცოცხალი დავბრუნდები, ნურაფერი შეგაშინებს, ყველაფერი კარგად იქნებაო.

მამამ და დედამ ოკიზელების საფლავი რაც კი შეიძლება ლამაზად მოაკეთეს. ორმოცი გადავუხადეთ, მხოლოდ დეიდა ნატოს ნათესავები მოვიდნენ, ძია ვახტანგს ახლობლები ცოცხლები აღარავინ ჰყავდა ერთი დის გარდა.

მე და დედა ბავშვებთან ერთად თითქმის ყოველ კვირას დავდიოდით სასაფლაოზე. აღდგომის დღესასწაული ახლოვდებოდა. დედა საკურთხისათვის სურსათ-სანოვაგეს იმზადებდა. აღდგომის წინა ხუთშაბათს ლადოს მეგობარი დემური მოვიდა ეტლით და გვთხოვა, თუმცა მისი თხოვნა ვის სჭირდებოდა, სასაფლაოზე წავსულიყავით. დედამ სამზარეულო ვერ მიატოვა და შინ დარჩა. მე, მამა, ლადო და ბავშვები ეტლში ჩავსხედით და ვაკის სასაფლაოსკენ გავეშურეთ. შესასვლელ კარებთან ჩამოვედით, მეეტლე ორი საათის შემდეგ დავიბარეთ. საფლავებს მივაშურეთ. იქაურობა დავასუფთავეთ და ეტლის მოლოდინში კარებთან მოწყობილ ქვის სკამზე ჩამოვსხედით, ბავშვებიც იქვე მინდორზე თამაშობდნენ. მე და ლადო გვერდიგვერდ ვისხედით, მინდორზე მორბენალ ბავშვებს თვალყურს ვადევნებდით. უცბად ლადო რაღაც უხერხულად მომეყრდნო, შემდეგ მოეშვა, ხელები ჩამოუვარდა და მიწაზედ დავარდა. ვერაფერს მივხვდი, უნებურად ვიკივლე, ყველანი ლადოს მივცვივდით. იგი უკვე ცოცხლებში აღარ იყო. მარცხენა ყურის ზემოდან სისხლი მოჟონავდა.

მაშინ ვერაფერს მივხვდი შემდეგ კი როგორც გაირკვა იგი სადღაც შორს უმისამართოდ გასროლილი, ბრმად მოფრენილი ტყვიით დაიღუპა. ამ თავზარდამცემმა შემთხვევამ საბოლოოდ განმიმტკიცა რწმენა, რომ უბედურ ვარსკვლავზე ვიყავი გაჩენილი, რომ ბავშვები არა, ალბათ თავსაც აღარ ვიცოცხლებდი. მთელი ჩემი ცხოვრება, სულ რაღაც უბედურ შერმთხვევაზე იყო აგებული, რომელთა წინასწარ განჭვრეტა არავის შეეძლო, ამიტომაც მომავალში კარგს უკვე აღარაფერს ველოდი.

ლადოს დაკრძალვიდან ორი თვის თავზე ქალაქის მილიციის მე-19-ე განყოფილებიდან შეტყობინება მივიღე, რომ გამომძიებელ ვაჟა ცისკაძესთან გამოვცხადებულიყავი. ვერ მივხვდი რაში იყო საქმე, მაგრამ შეტყობინებისამებრ მილიციაში კი მივედი, კარებზე გაკეთებული წარწერებით მოვძებნე შესაბამისი ოთახი და როგორც იტყვიან დანიშნულებისამებრ გამოვცხადდი.

ალბათ ჩემი უცოდინარობის ბრალი იყო, რომ მილიციის მუშაკებისადმი სიმპატიებით არასოდეს ვყოფილვარ განწყობილი, მაგრამ გამოგიტყდებით, ისეთი თავაზიანი, ალბათ საქმის მცოდნე და რაც მთავარია კეთილშობილი პიროვნება, როგორიც მილიციისკაპიტანი ვაჟა ცისკაძე აღმოჩნდა, ნებისმიერ დაწესებულებას დაამშვენებდა. მისმა თავაზიანმა და გონიერმა მოქმედებამ მიმახვედრა, რომ ყველგან და ყველაფერში ნამდვილად ვაჟკაცია საჭირო. მხოლოდ გონიერ, განათლებულ, კარგად აღზრდილ პიროვნებას შეუძლია აკეთოს საქმე წარმატებით და მიზანსწრაფულად. უზრდელი და უნამუსო, რამდენადაც განათლებული და გონიერია, იმდენად უფრო აუტანელია ადამიანთათვის და საშიშია საზოგადოებისათვის.

ჩემი მისვლისთანავე ფეხზე წამოდგა. სალამზე თავაზიანად მიპასუხა და სკამი შემომთავაზა, შეტყობინების ფურცელი გადავეცი.

— ქალბატონო თამარ! გვაპატიეთ აქ რომ მოგიწვიეთ და ჩვენ თვითონ არ მოვედით თქვენთან, მაგრამ ვიცი თქვენი კეთილშობილების შესახებ, მჯერა დამეთანხმებით, რომ ამ საქმისათვის, რაზეც ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ, აქ სჯობდა შევხვედრილიყავით.

ჩემი საუბრის ახლობლური ტონი ნუ გაგიკვირდებათ, მე თქვენ ჩემი ბავშვობიდან გიცნობთ, ყველაფერი თქვენი და თქვენი ოჯახის შესახებ ჩემთვის ცნობილია, მეც ხომ თქვენს ქუჩაზე ვცხოვრობ. და ღიმილით განაგრძო, ვცხოვრობ

მხოლოდ მის დასაწყისში, რის გამოც თქვენ ვერელი ბრძანდებით, მე კი ვაკელი. მიუხედავად იმისა, რომ მას ურიგოდ ნამდვილად არაფერი უთქვამს, გამომეტყველებაზე შემატყო, რომ ასეთი საუბრის მოსასმენად არც განწყობაზე ვიყავი და ისიც კარგად ვიცოდი, რომ ამისათვის არ ვიყავი აქ ხმობილი, რის გამოც თითქოს შეცბა და მაშინვე საქმეზე გადავიდა.

— თქვენი მეუღლის მკვლელები დავადგინეთ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები არიან. სტუდენტთა ქალაქის მეშვიდე კორპუსის მცხოვრებლები. ისინი შემთხვევით უბნის ინსპექტორმა დააკავა. "ქარიშხალა"-ს სტადიონის მახლობელ ფერდობზე ჩიტებზე ნადირობის დროს და რადგან უნებართვო იარაღი აღმოაჩნდათ, სამივე განყოფილებაში მიიყვანა, აქ კი მათი დაკითხვისას ყველაფერი გაირკვა.

— კი მაგრამ რაში დასჭირდათ მაგათ მისი მოკვლა, რა ინტერესი ჰქონდათ ასეთი, ავლაპარაკდი ჩემდაუნებურად.

— საქმე სწორედ ისაა ქალბატონო თამარ, რომ არც იცნობენ და საერთოდ არც არაფერი იცოდნენ მისი არსებობის შესახებ. ისინი სამნი არიან, ერთმა მათგანმა, სახელდობრ ზეზვა ხუციშვილმა "მოახერხა" მცირეკალიბრიანი შაშხანის შეძენა. ეს ისაა "გეკოს" რომ ეძახიან. ამ იარაღისათვის ვაზნების შოვნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს და მათაც იგი საკმაოდ ჰქონდათ. ერთხანს თითქმის ყოველდღე დადიოდნენ ვაკის მშენებარე "პარკში", სადაც მიზანში სროლაში ეჯიბრებოდნენ. თავდაპირველად ერთგვარი რიდი ჰქონდათ, უცხო თვალს ერიდებოდნენ, შემდეგ თანდათან გათამამდნენ, ხევიდან ფერდობებზე გადაინაცვლეს, ჩიტები აირჩიეს სამიზნეებად და სწორედ ერთ-ერთი ასეთი "ნადირობის" შედეგია მათგან თქვენი მეუღლის შემთხვევით მკვლელობა. ნამდვილად შემთხვევით მკვლელობასთან რომ გვაქვს საქმე, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ ასევე უდაოა ისიც, რომ ამისათვის მათ სასჯელის მოხდა მოუწევთ. შეუძლებელია დადგენა იმისა, რომ ვისი გასროლის შედეგად დაიღუპა ვლადიმერ პანიატოვსკი, რის გამოც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება იარაღის მფლობელს, სამშენებლო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს ზაზა ხუციშვილს. სამივე აქ არიან, არცერთი მათგანი წინასწარ პატიმრობაში არ აგვიყვანია. ჯერ ის, რომ სწავლობენ და, რაც მთავარია, ძალიან განიცდიან, დიდად შეწუხებულნი არიან თავიანთი გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად, სასჯელს როდი გაურბიან და არც უცდიათ რაიმე შემსუბუქებისათვის ვინმეს ჩარევა, ან "დახმარება". ის სტანჯავთ და სულს უფორიაქებთ, კაცის მკვლელები რომ გახდნენ, მოსვენება დაკარგეს, ლამის ჭკუაზე შეიშალონ.

სამივე კარგი ოჯახისშვილები და კარგი სტუდენტები არიან, მაგრამ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს, მათი დანაშაული, როგორც იტყვიან მთლიანად სახეზეა, ზაზა ხუციშვილს დაპატიმრება და გადასახლება არ ასცდება, ხოლო როდის და როგორი დაბრუნდება იქიდან ძნელია განსჭვრიტო წინასწარ.

— არ შეიძლება ეპატიოთ? მათ ხომ ეს განზრახ არ ჩაუდენიათ. ერთი დაიღუპა და ახლა სამი ახალგაზრდაც დავღუპოთ? ნამდვილად არ ივარგებს, თვით ლადოს ხსოვნას, მის სულს ავნებს. ასეთ ბოროტებას ღმერთიც გვიწყენს და არც არავინ ჩვენი ახლობლებიდან დარჩება ამით კმაყოფილი, თუ რაიმე წაადგებათ და საჭიროა გაკეთდეს ჩემი მხრიდან, ჩათვალეთ, რომ მზადა ვარ ყველაფერი ვიღონო მათ გადასარჩენად.

— ხომ არ ინებებდით, რომ პირადად წარმომდგარიყვნენ თქვენს წინაშე.

— არა, მე მათი ნახვა, სატკივარს განმიახლებს, თუ ყოველივე რაც მოგახსენეთ საკმარისია იმისათვის, რაზეც მიხმეთ, მაშინ თავს ნებას მივცემ დაგტოვოთ, ვთქვი და წამოვდექი.

— დიდად გმადლობთ ქალბატონო თამარ მობრძანებისათვის და ესოდენ მაღალკეთილშობილებისთვის. მეტს ნამდვილად აღარ შეგაწუხებთ. დაწერეთ ის, რაც ბრძანეთ განცხადების სახით პროკურორის სახელზე, დამირეკეთ, ჩემი თანამშრომელი გეახლებათ და ის მოიტანს ჩემთან.

შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ღმერთმა ინება. ლადოს დაღუპვიდან წლისთავზე სასაფლაოზე გასულებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი შემოგვიერთდა. მათ არავისთვის არაფერი უთქვამთ, ერთხანს ასე იდგნენ, შემდეგ მეტად ტკბილხმოვნად "უფალო შეგვიწყალე" იგალობეს და წავიდნენ. მათ შორის რომელი იყო ზაზა ხუციშვილი არ ვიცი, მაგრამ რომ ერთ-ერთი იქნებოდა ამაში ეჭვი არ შემპარვია. მართალია ეს ყოველივე სულაც არ იყო საჭირო მომხდარიყო, მაგრამ ლადოს ხსოვნის გასალამაზებლად და მისი სულის გასაპატიოსნებლად უფრო დიდებულს და უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა კაცი, დარწმუნებული ვარ ზაზა ალბათ დღესაც აკითხავს თავის უნებური "მსხვერპლის" საფლავს. უცნაურია, არ სჯობდა ცოცხლებს ემეგობრათ? დაილოცა ღმერთო შენი სამართალი. ალბათ არ სჯობდა. ჩვენ ჩვეულებრივი მოკვდავნი თქვენებრ ვერასოდეს განვსჯით.

ლადოს დაღუპვის შემდეგ მამამ სმას მოუხშირა. კაცი რომელიც ღვინის ტრფიალი იყო, უგონოდ მთვრალი არასოდეს გვენახა, ახალა კი ბევრჯერ შინ ბარბაცით მოდიოდა. შობადღეს ახლობლები გვეწვივნენ. მამას გაეხარდა და მათთან ერთად ძველებურად მოილხინა. მამუკა გვერდით ეჯდა, ეამაყებოდა, სიმღერას ასწავლიდა. იმ დღით ყველა კმაყოფილი დავრჩით. დავიძინეთ, სტუმრებიც ჩვენთან დარჩნენ. მამამ არ გაუშვა: ვინ იცის მომავალ შაბათს ვეღარც კი მოვესწროო. მართლაც რომ აუხდა ნათქვამი. დილით მამამ ვეღარ გაიღვიძა. სამუდამოდ დაიძინა, იმ დღიდან მე და დედა დავრჩით ჩემი შვილებისა და ოჯახის პატრონად.

ოკიზელების ბინაში კარგა ხანია არავინ ცხოვრობდა. ნოდარის მამიდა, რომელიც იმხანად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, სტუდენტებს მიაქირავებდა ხოლმე იმ პირობით, რომ სასწავლო წლის დამთავრებისთანავე აუცილებლად დაუცლიდნენ. ასეც ხდებოდა, რის გამოც ამ ბინის მობინადრენი ყოველ წელს იცვლებოდნენ და მეზობლები მათთან კონტაქტში ვერ შევდიოდით. ერთ დროს სტუმართმოყვარე ოჯახის კარი, რომელიც განსაკუთრებით ჩვენთვის ყოველთვის ღია იყო, სამუდამოდ ჩაიკეტა.

ომის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელმა განვლო. ნოდარისგან არაფერი ისმოდა, მაგრამ მამიდამისი მას მაინც ელოდა, მისი გამოჩენის იმედი არ დაუკარგავს, ნახავთ თუ არ დაბრუნდება, ბინაც დასჭირდება და სხვა ყველაფერიც. ის კი არა და ბინის ქირაში აღებული ფული მის ანგარიშზე შეჰქონდა შემნახველ სალაროში, მისი საქციელი ახირებულად კი გვეჩვენებოდა, მაგრამ ყველას მოგვწონდა, განსაკუთრებით ჩემთვის იყო იგი რაღაც ნუგეშისმაგვარი, მიმქრალი იმედის ნაპერწკალი.

იმ წელს ივნისში, ქალბატონმა მარინემ მდგმურებს ოკიზელების ბინა დააცლევინა — "რემონტი" სჭირდება და ხეირიანად უნდა გავაკეთოო. მართლაც

ხელოსნები მოიწვია და ბინა მაღალი გემოვნებით შეაკეთებინა. ასეთ გაწანწკალებულ ბინაში სწორედ ვეღარავის შევუშვებო და თვითონ გადმოვიდა იქ საცხოვრებლად.

ქალბატონი მარინე ქვრივი იყო. ერთადერთი ქალიშვილი და ნოდარი იყო მისი საფიცარი. ხმა კი გაავრცელა აქ უნდა ვიცხოვროო, სინამდვილეში კი მხოლოდ შაბათ ღამეს ათევდა თავის ახალ საცხოვრებელში... ალბათ ამასაც იმიტომ აკეთებდა, რომ ბინას მიტოვებულის ელფერი არ ჰქონოდა. გასაღებს ყოველთვის იქ ტოვებდა, სადაც ოკიზელები "მალავდნენ" ხოლმე, რის შესახებაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვიცოდით. ვერაფრით ვერ ამეხსნა მისი საქციელი, თვითონ კი მას ასეთ ახსნას აძლევდა: ბიჭი რომ დაბრუნდება ისიც ეყოფა, დედ-მამა რომ არ შეეგებება და სახლშიც ვერ შევიდეს, გასაღები ექნეს საძებნელიო?

ჩვეულებად მექცა, ყოველ შაბათს, დედა და ბავშვები რომ დაიძინებდნენ, დავჯდებოდი ჩემი ოთახის ფანჯარასთან და ფიქრებში წასული მანამ ვუყურებდი ნოდარის ბინის ფანჯრებს, სანამ მისი ერთადერთი ბინადარი — დეიდა მარინე შუქს არ ჩააქრობდა. იმ საღამოს ნოდართან ერთად "ვატარებდი", ოცნების კოშკებს ვაგებდი.

წლები შემეტყო, თმებში ჭაღარამ იმატა. სახის კანიც მეტ მოვლას მთხოვდა, თუმცა ქათინაურები ჯერ კიდევ არ მაკლდა:

— ისევ ისეთი ხარ როგორიც იყავი!

— უბერებელი ხარ ნამდვილად!

— ვინ იტყვის, რომ ახლა არა ხარ პირველი კურსის სტუდენტი. სინამდვილეში კი ჩემი დღეების გადამტანი ცუდად მართლაც არ გამოვიყურებოდი. აშკარად ვგრძნობდი, რომ ქუჩაში ჯერ კიდევ "მამჩნევდნენ", ეს კი ქალისთვის თავისი გარეგნობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

ერთ ჩვეულებრივ შაბათ საღამოს, ბავშვებმა რომ დაიძინეს, მე და დედა კარგა ხანს შევრჩით საუთოო მაგიდასთან. მიუხედავად დაღლილობისა, დასაძინებლად გასული, ჩვეულებრივ ფანჯარასთან ჩამოვჯექი. ოკიზელების ბინაში შუქი ენთო. ფიქრებით წარსულში ჩავიძირე. ქალბატონმა მარინემ ფანჯარა გააღო, ქუჩაში გადმოიხედა და ჩვენი ოთახის ფანჯრებს დააცქერდა დაჟინებით. შემდგომ მის გვერდით მამაკაცმა გადმოიხედა და ისიც ასევე მოიქცა. რაღაც უცნაურმა სიცხემ დამიარა მთელ სხეულში. კარგად დავაკვირდი, ავფორიაქდი, ნუთუ?.. არა, ალბათ მეჩვენება. თვალები დავხუჭე. თამარ! თამარ! თითქოს ნოდარი მეძახის. თვალები გავახილე. ნოდარის ბინაში ისევ შუქია, ფანჯარასთან აღარავინაა. ანგარიშმიუცემლად, ისე, რომ ახლაც არ ვიცი როგორ მოხდა ყოველივე, მათი სახლის კარებთან გავჩნდი, სახელური დავწიე, კარები გაიღო და, თამარ! მომესმა ის ხმა, რომლის გაგონებასაც ასე დიდხანს ველოდი. ამის შემდეგ აღარაფერს შეეძლო ჩემი შეკავება, მივვარდი როგორც შლეგი, მოვეხვიე, ვეფერებოდი და ვკოცნიდი. მოქმედებას კონტროლს ვერ ვუწევდი. იმის შიშით, რომ ეს ყველაფერი სიზმარივით არ გამქრალიყო, ნოდარს ხელს არ ვუშვებდი, ვტიროდი, ვიცინოდი, უაზროდ ვმოქმედებდი.

ბოლოს და ბოლოს გონს მოვეგეთ, დავრწმუნდით, რომ ყველაფერი ცხადად ხდებოდა და ჩვენ რომ ნამდვილად ჩვენ ვიყავით. ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს. ვერ ვახერხებდით. იმ ყოფაში ჩვენ რომ ვიყავით, სიტყვა ალბათ უბრალო ხმაური თუ იქნებოდა და მეტი არაფერი.

— რამდენს ვფიქრობდი, თუ როგორ გნახავდი, როგორ შეგხვდებოდი, მადლობა ღმერთს, რომ ასე უბრალოდ და კეთილად მოხდა ყველაფერი.

— მადლობა ღმერთს! ამოვთქვი როგორც იქნა და ისევ ცრემლებმა იმძლავრეს.

— დაგპირდი მოვალ-თქო და აი მოვედი კიდეც, ახლა კი პირობას გაძლევ, რომ აღარსად წავალ ამიერიდან მუდამ ერთად ვიქნებით აქ, ჩვენს მშობლიურ ქალაქში, ჩვენს თბილისში, ნუღარ ტირი, მე ხვალ ღამით ცოტა მოგვიანებით მოვალ შენთან და ყველაფერს დაწვრილებით მოგითხრობ.

დამამშვიდა, შემდეგ საკმაოდ უხერხულად, მაგრამ ერთმანეთს როგორღაც დავცილდით და სასწრაფოდ სახლში დავბრუნდი, საძინებელში დედა მელოდა, მან იცოდა საიდანაც მოვედი. არაფერი უკითხავს. მე თვითონ მოვუყევი ყველაფერი. გული დავიცალე, შვება ვიგრძენი. იმის შესახებ კი არაფერი ვთქვი, ნოდარი ღამით ჩემთან რომ უნდა მოსულიყო, დარწმუნებული ვიყავი დედას ეს არ გამოეპარებოდა, მაგრამ არის ზოგი რამ ისეთი, რომელიც მხოლოდ იციან და მასზე არ ლაპარაკობენ, ვინაიდან მას, როგორც ქცევას ვერაფრით გაამართლებ, ხოლო მისი არ გაკეთება შეუძლებელია, სიცოცხლის დათმობის ტოლფასია.

დილით დედას ვუთხარი, ან კი თქმა რად უნდოდა ბავშვებისათვის მიეხედა, არაფრის თავი არ მქონდა, ნოდარი მედგა თვალწინ, მას დასტრიალებდა ჩემი ფიქრები. როგორც იქნა დაღამდა. "დავიძინეთ", მაშინ არ ვიცოდი რა დრო იყო ნოდარისათვის გვიან. შემოსასვლელი კარი გასაღებით არ დაგვიკეტია, ჩემი ოთახის კარები კი გასაღებით არასდროს ყოფილა დაკეტილი. ლოგინზე გაუხდელად მიწოლილი ფიქრებმა წამიღეს. საკუთარ თავს ვასამართლებდი.

— ნეტა რას მეტყვის, მისაყვედურებს? თვითონ ხომ მართლა არასოდეს გაუტეხია სიტყვა. მე?.. არ უნდა გავთხოვილიყავი, მაინც ხომ ვერავის სიყვარული ვერ შევძელი, ლადოს უაღრესად ვაფასებდი, თანავუგრძნობდი, როგორც კარგ პიროვნებას, ჩემი შვილების მამას, ოჯახის უფროსს, მაგრამ ის ხომ არასოდეს მყვარებია. მასთან ჩემი თანაცხოვრება რაღაც მოვალეობის შესრულებასავით იყო და მეტი არაფერი. ის აღმაფრენა, ის ენით გამოუთქმელი სიამოვნება, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი სიყვარული ბადებს, მე მასთან არასოდეს განმიცდია. ნოდარისთან ეს ყველაფერი ასეა, მისი მოლოდინიც კი ბედნიერებაა და სიამოვნებით მავსებს, ყველაფერს მავიწყებს.

ასეთ ფიქრებში ვიყავი, რომ საძინებელში სრულიად უჩუმრად ნოდარი შემოვიდა. სიტყვა არ დაგვიძრავს. ერთმანეთისთვის გაჩენილებს, ურთიერთმონატრების სურვილმა გონება წაგვართვა. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავით ასეთ მდგომარეობაში, რომ ნოდარის ჩურჩული ჩამესმა.

— რატომ არაფერს მეკითხები თამრიკო?

— ჩემთვის საკმარისია, რომ აქა ხარ, მეტი მე არაფერი მინდა. მთელი ჩემი სიციცხლე შენთან ყოფნას ვნატრობდი, ეს ნატვრა ღმერთმა ამისრულა და ალბათ არც მომავალში მიგვატოვებს წყალობის გარეშე. მერე ისიც რომ ყოველთვის მაფრთხილებდი, თუ ვინმეს რაიმე უნდა სათქმელი, რომ აუკრძალო მაინც გეტყვის, ხოლო თუ თვითონ ეს არ გსურს, რამდენიც არ უნდა ეცადო მაინც ვერაფერს ათქმევინებო. ქალები საერთოდ ცნობისმოყვარენი ვართ, ეს ჩვენი "სისუსტეა" და მე შენი შეგონებით ეს "სისუსტე" დავძლიე, მაგრამ მიუხედავად ამისა, საოცრად მწყურია

მოგისმინო. მოსმენა იმისა, რაც გადაგხადა, ჩემთვის იმ წლების დაბრუნება და შენთან ერთად გატარებაა, რომელიც ჩვენ ცალ-ცალე განვლეთ.

— ფრონტზე რიგითი მებრძოლი ვიყავი, მხოლოდ იმ "უპირატესობით", რომ ჩემს გვერდით მყოფებთან ერთად წინასწარ სასიკვდილოდ ვიყავი გამეტებული. აბა ვინ დაგიდევდა უფლებააყრილი კაცის სიკვდილს. თავდაპირველად ენით გამოუთქმელ, ურთულეს პირობებში ვიყავით, შემდეგ კი ღვთის შეწევნით, ერთგვარად ყოველივე მოწესრიგდა, მხოლოდ სიმამაცე და გონიერება ამარცხებს სიკვდილს, ყოველ შემთხვევაში მისი აცილების სხვა გზა გამორიცხულია.

ყველაფერს თავიდან ვერ აიცილებ, ეს უკვე ბედისწერაა, რის წინაშეც უძლურია ყველა და ყველაფერი. "მოენის" მოსაყვანად მტრის ზურგში შეგზავნილ ხუთ "რეციდივისტს", უთანასწორო ბრძოლის მიღება მოგვიხდა. ჩვენ ყველანი დაგვხოცეს. და მე "სიკვდილის" შემდეგ გერმანელთა ჰოსპიტალში აღმოვჩნდი, ეს, ის დრო იყო, როდესაც გერმანელები უკან იხევდნენ, ასეთ დროს თავისი დაჭრილების ფრონტის ხაზიდან გაყვანას ძლივს აუდიან და ჩემთვის როგორ მოიცალეს დღემდე ვერ ამიხსნია, როგორც ჩანს, სინამდვილეში არც ისე იყო საქმე, როგორც გვიხატავდნენ, რომ გერმანელები დაჭრილებს ხოცავდნენ, შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ მე ეს არ მინახავს და ამისი თქმის უფლებაც არა მაქვს. შეიძლება ფაშისტები რაიმე სისამაგლეს მართლაც სჩადიოდნენ, მაგრამ გერმანელი ხალხი რომ რაიმე უკეთურს არ ჩაიდენს ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

ურთულესი ოპერაცია გაეკეთებინათ. ტყვიისაგან დაზიანებული მარჯვენა თირკმელი ამოეკვეთათ. ვერ ვინძრეოდი. მართალია იდეალურად ვერ მივლიდნენ, მაგრამ ჩემი გადარჩენისათვის რომ არ ეზრუნათ, დღეს აქ ნამდვილად არ ვიქნებოდი.

გახსოვს ალბათ, რომ დედაჩემის დაჟინებით გერმანულს კერძო მასწავლებელთან ვსწავლობდი და იმდენად კარგად ვფლობდი, რომ სკოლაში უცხო ენის გაკვეთილებიდან გათავისუფლებული ვიყავი. ქირურგმა, რომელმაც ოპერაცია გამიკეთა, რომ გაიგო "მედიკი" ვიყავი, მართალია დღესასწაული არ გაუმართავს, მაგრამ კმაყოფილება ნამდვილად გამოხატა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ განკურნების შემდეგ თავისთან დამიტოვა, როგორც სამხედრო ექიმს, შემდგომ, მას საფრანგეთში მოუწია სამსახური, მეც თან წამიყვანა, მოგვინებით შევიტყვე, სარდლობისათვის ეთხოვა და როგორც ტყვე თავის პასუხისმგებლობაში ვყავდი აყვანილი. ე.ი ფაქტობრივად მონის უფლებებში ვიყავი, მაგრამ იგი ისეთი კეთილშობილი პიროვნება იყო, რომ ჩემთვის ეს არასოდეს უგრძნობინებია, მექცეოდა როგორც თავის თანასწორს, როგორც თავის თანაშემწეს.

მუსიკის დიდი მოყვარული იყო. კარგად ფლობდა სიმებიან ინსტრუმენტებს, მწყრალად არც აკორდეონთან იყო. საფრანგეთში სამსახურის პერიოდში თავისუფალი დრო საკმაოდ ჰქონდა, გიტარის აკომპანიმენტით ვასწავლე "საპოვნელა", "სულიკო", "ციცინათელა", რამდენიმე ქალაქური სიმღერა და რუსული "კატიუშა", რომელსაც განსაკუთრებული ეშხით მღეროდა აკორდეონის თანხლებით. საერთოდ ჩემით დიდად კმაყოფილი იყო, რასაც აშკარად გამოთქვამდა კიდეც. მე კი მიუხედავად მისი ასეთი დამოკიდებულებისა, თავბედს ვიწყევლიდი, ჩემი მიზანი გერმანელ სამხედრო ექიმთან

მეგობრობის დამყარება და უზრუნველი დროსტარება კი არ იყო, არამედ უნდა მებრძოლა, როგორც ჯარისკაცს ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ისე როგორც იბრძოდნენ ჩემი თანამემამულენი და ერთხანს პირადად მეც, ამიტომ თომას ბაუმგარტენისათვის მიუხედავად ჩემი დიდი სიმპათიებისა, გაქცევის მრავალნაირ გეგმას ვადგენდი, რომელთაგან ჩემდა სამწუხაროდ ვერცერთი ვერ განვახორციელე. ყველაფერი სულ სხვაგვარად მოხდა, რასაც თავი რომ მემტვრია ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

თომასი მოულოდნელად გაიწვიეს უკან, დრეზდენის ჰოსპიტალში. მითხრა, რომ მეც თან "წამიყვანდა". კერძოდ კი ისეთ შთაბეჭდილებას შექმნიდა ვითომდა მასთან ერთად წავედი, სინამდვილეში კი "გამათავისუფლებდა" და საფრანგეთის წინააღმდეგობის ფრონტს შევუერთდებოდი.

— ხვალ თუ ზეგ, ომი დამთავრდება. გერმანელები და ფრანგები თავთავიანთ ტერიტორიებზე იცხოვრებენ და გააგრძელებენ მშვიდობიან ყოფას, კეთილმეზობლობას. ფრანგების პატრიოტული მოძრაობა ფრანგი და გერმანელი ხალხის მტრობაზედ კი არაა აღმოცენებული, არამედ იგი სამშობლოს სიყვარულით იკვებება და მიმართულია არა გერმანელი ხალხის სამტროდ, არამედ ფაშიზმის წინააღმდეგ, ძალადობის წინააღმდეგ. ამიტომ, მასში მონაწილეობა არც გერმანელი ხალხისადმი მტრობაა და სამარცხვინოც არასოდეს იქნება, შენ კი მასში მონაწილეობით ტყვეს სამარცხვინო სტატუსი მოგცილდება, ცოდვაა შენისთანა კეთილშობილ კაცს ტყვე ერქვას და მონის ბედს იზიარებდესო. მხოლოდ არ დამივიწყო, თუ ცოცხალი დავრჩით, ომის შემდეგ ერთმანეთი მოვძებნოთო (სამწუხაროდ იგი, ინგლისის ავიაციის მიერ, დრეზდენის დაბომბვის დროს დაიღუპა).

ამ საუბრიდან სულ რაღაც ერთი კვირის თავზე, მე უკვე დე გოლის სარდლობით მოქმედი ფრანგი პარტიზანების ერთ-ერთ შენაერთში ვირიცხებოდი.

ადოლფ ჰიტლერმა ომი წააგო. გერმანელები საფრანგეთიდან წავიდნენ. სხვა ყოფილ ტყვეებთან ერთად, ასეთი ბევრი იყო მაშინ საფრანგეთში, სრულიად თავისუფალი ვიყავი. ეს თავისუფლება ჩვენ მივიღეთ სხვის ქვეყანაში. ამიტომ ყველანი სამშობლოსკენ ვილტვოდით, მაგრამ როგორ და რა გზით მოხდებოდა ჩვენი დაბრუნება, არც ერთმა ჩვენთაგანმა კონკრეტულად არ ვიცოდით. მიუხედავად იმისა, რომ ტყვედყოფილთა დიდ უმრავლესობას სამშობლოსთვის უკეთური არაფერი გაგვიკეთებია, მაინც გული გვეთანაღრებოდა და დარცხვენილნი ვიყავით იმის გამო, რომ როდესაც ჩვენი თანამემამულეები მტერთან გააფთრებულ ბრძოლებში სისხლისაგან იცლებოდნენ, ჩვენ მართალია მონის ლუკმას, მაგრამ მაინც ამას ბრძოლებიდან გასულები ვღებულობდით. ტყვეობა სახელისა და დიდების მომტანი, რისი შედეგიც არ უნდა იყოს იგი, არავისთვის ყოფილა და არც იქნება. ერთგვარად დაბეჩავებულნი და დამცირებულნი, ბრძოლაში მტრისაგან განიარაღებულნი და გათოკილნი, რაღაც უმწეობასთან ერთად იმას უფრო მეტად განვიცდიდით, რომ იმჟამად არავის ვჭირდებოდით, არც დამტყვევებლებსა და არც საკუთარ ხალხს.

იმისთვის რომ ერთმანეთთან კავშირი გვქონოდა, კომიტეტი შევქმენით. მისი საქმიანობა, ჩვენ რომ ვვარაუდობდით, იმაზე გაცილებით შორს წავიდა: კომიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებდა სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებთან და უპირველესად საფრანგეთის ხელისუფლებასთან ტყედყოფილთა სამშობლოში დაბრუნების

ორგანიზაციის საკითხებზე, არსებობისთვის, მინიმალური პირობების შექმნისა და გარკვეულწილად დასაქმების შესახებ, ღებულობდნენ და გვაწვდიდნენ სწორ ინფორმაციებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და ა.შ.

ასეთ ვითარებაში და ასეთ განწყობაზე მყოფებმა მივიღეთ იოსებ სტალინის ჩვენთვის მნიშვნელოვანი წერილი, რომელშიც სხვა ბევრთან ერთად ნათქვამი იყო: შვილებო, დებო და ძმებო! თქვენი სამშობლო მტერმა დაანგრია, თქვენი ახლობლების და ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი უბინაოდაა და შიმშილობს კიდეც, ჩვენი მამაცობა, გმირობა და უპირველესი ამოცანაა ფერფლიდან აღვადგინოთ ჩვენი ქალაქები და სოფლები, ჩვენი სამშობლო რომ ვაქციოთ აყვავებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად, ამისთვის საჭიროა შრომა, მუხლჩაუხრელი და ხელებ-დაკაპიწებული შრომა. თქვენს მარჯვენას სამშობლო ელოდება, იგი გულში ჩაგიკრავთ თითოეულ თქვენთაგანს. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მოუშუშოთ მას ომით მიყენებული იარები.

ჩვენს შორის ალბათ არავინ იყო ისეთი, რომ ეს სიტყვები გულგრილად მოესმინა. ყველამ, უკიდურესად სკეპტიკურად განწყობილებმაც კი, ერთხმად გადავწყვიტეთ ყველაფერი გაკეთებულიყო რაც შეიძლება ჩქარა სამშობლოში დაბრუნებისთვის. ეს ასეც მოხდა. ფრანგებმა ზომაზე მეტად პროდუქტებით უზრუნველყოფილნი და საჩუქრებით ავსილნი გამოგვაცილეს.

ქალაქ ჩოპში ჩვენები "შეგვხვდნენ", ხოლო დონეცკში ვაგონებიდან ჩამოგვსვეს და გვითხრეს: შახტების აღდგენაში უნდა მიიღოთ მონაწილეობაო. ეს უბრალოდ "ზრდილობისთვის", თორემ ჩვენს აზრს ვინ დაგიდევდა, როგორც დამნაშავეები, დამხვდურთაგან დამცირებულნი და აბუჩად აგდებულნი, შახტებში ჩაგვრეკეს, ამისთვის თითქმის მოუმზადებელნი და პატიმრებივით გვამუშავებდნენ. იქ ბევრი "ზღვას გადარჩენილი, ცვარმა დაახრჩო", მე ყველაფერს გავუძელი. ორი წელი ასე მისჯილივით ვიმუშავე შახტების აღდგენაზე, ბოლოს ისინიც მწყობრში ჩადგნენ და ჩვენ უფლება მოგვცეს, ვისაც სურდა იქვე დარჩენილიყო სამუშაოდ, ვისაც არა — თავისუფალი იყო და კავშირის ტერიტორიაზე სადაც სურვილი ჰქონდა იქ შეეძლო ეცხოვრა და ემუშავნა.

ამ დროს მე ყველაფერი ვიცოდი, რაც აქ ხდებოდა. ამიტომ ჩემს დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა და იქვე დავრჩი ინკოგნიტოდ. მაგრამ ამჯერად არა როგორც მუშა, არამედ როგორც ექიმი. მუშაობის ერთი წლის თავზე ჩვენმა პროფკავშირის კომიტეტმა ინსტიტუტიდან გამოითხოვა ჩემი საბუთები და პირდაპირ სახელმწიფო გამოცდებზე "დამსვეს" კიევის სამედიცინო ინსტიტუტში. იქ კარგი კონსულტაციებით დამეხმარნენ და დიპლომიანი ექიმი — სტომატოლოგი გავხდი.

მაღალ ხელფასს მაძლევდნენ. ვცხოვრობდი მედსანნაწილის კეთილმოწყობილ ბინაში, ვდარდობდი აქაურობაზე, ბევრს ვფიქრობდი შენზე. შენ ხომ ყველგან და ყოველთვის ჩემს გვერდით იყავი, მაგრამ სულ ერთთავად მომტირალი არ ვყოფილვარ. ბევრი კარგი და ნათელი დღეებიც მქონდა. აქაური ამბების თაობაზედ მამიდაჩემი ყველაფერს დაწვრილებით მწერდა, მისი წერილები იყო ჩემი ერთადერთი კავშირის ძაფი აქაურობასთან. მიუხედავად მათი შინაარსისა, რომელიც ხშირად ჩემთვის ფრიად მტკივნეული იყო, მათი მიღება აუწერელ სიხარულს მანიჭებდა. მე მათ წაკითხვისთანავე ვანადგურებდი, ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ არ მინდოდა იგი ოდესმე ჩემს გარდა ვინმეს წაეკითხა. მამიდაჩემს ჩემს თავს ვაფიცებდი და ვავალებდი

იგივე გაეკეთებინა აქ თბილისშიდა ჩემს შესახებ არსად არაფერი ეთქვა, როგორც ახლა ვიცი, იგი ამას უზადოდ აკეთებდა, მე მას განსაკუთრებულად ვუყვარვარ. ყველაზე მეტად ის მაფიქრებდა, შენ არაფერი ჩაგსმენოდა ჩემს შესახებ, ვინაიდან მჯეროდა და ყოველთვის მწამდა რა შენი ჩემდამი სიყვარულისა, ვიცოდი რომ გული ჩემსკენ გამოგიწევდა, შენს გადაწყვეტილებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ხოლო ეს ყოველივე კი, ჩემს მიერ ჩადენილი უდიდესი ბოროტება იქნებოდა ღვთისა, შენი ოჯახისა და პირადად შენს წინაშე. ყველაფერი ის, რაც აქ მოხდა, ღვთის ნებად ჩავთვალე. მისი ნებაა ისიც, რომ ამდენი განსაცდელი გამოვიარეთ და დღეს ერთად ვართ, გვაქვს იმის უფლება, ჩვენვე განვსაჯოთ და გადავწყვიტოთ ყველაფერი, რაც ჩვენ გვეხება. შევთანხმდით, რომ ამით დავამთავროთ გუშინდელ დღეზე საუბარი. მეტს შენც ნურაფერს შემეკითხები და მეც არაფერი მაქვს შენთან შესაკითხი. მომავალზე ფიქრი და საუბარი კი უდაოდ გვმართებს, რადგან იგი ჩვენი მოსაწყობია და გზაა ჩვენს მიერ გასავლელი.

იმ ღამეს ერთმანეთისთვის მეტი არაფერი გვითქვამს. საათს დახედა, ხუთი დაწყებულაო, ჩაილაპარაკა თავისთვის, მოწესრიგდა, გამომეთხოვა და უჩუმრად გავიდა ბინიდან.

ნოდარი ყოველ პარასკევს ღამით მოდიოდა ჩემთან. უაღრესად ფრთხილობდა, რომ მისი მოსვლა გარეშე პირთაგან შეუმჩნეველი ყოფილიყო და ამას ახერხებდა კიდეც. ან კი ვინ იყო დაინტერესებული, რომ ჩვენთვის ეთვალთვალა და რაიმე ევნო. ერთადერთი პიროვნება, რომელსაც ჩვენი ურთიერთობა აინტერესებდა, რომელსაც ორივენი საკუთარ თავს ვერჩივნეთ, დედაჩემი იყო. მან ყველაფერი კარგად იცოდა, გვითანაგრძნობდა, მაგრამ ვატყობდი, დიდად წუხდა ჩვენი ბედის გამო.

ნოდარი ქალაქის სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობდა. მთელი კვირა ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით, ყოველივე ჩვენს ურთიერთობაში მის სურვილს ექვემდებარებოდა. პარასკევ ღამეს კი იგი, როგორც წესი, ჩემთან მოდიოდა და თითქმის დილამდე რჩებოდა. ეს დრო მთელ სიცოცხლედ მიღირდა, მე ამ წუთებს მთელი კვირა ველოდი, რადგან ესოდენ დიდი ბედნიერება, ჩენს წარმოდგენაში უზადო და რაც მთავარია ჩემთვის გაჩენილ ვაჟკაცთან შეხვედრა მელოდა, მიყვარდა იგი მთელი ჩემი არსებით. განა საყვარელი ვაჟკაცის ლოდინი არ სჯობდა, ვიდრე ვიღაც ქლესა, ჯაბანი, რომელსაც არსად არავინ ელოდება და არც არავის აკლია, დღედაღამ კაბის კალთაზე გყავდეს ჩამოკიდებული და "უზრუნველყოფილ" ოჯახში ლეკვებივით გაჩენინებდეს ბავშვებს?

ბავშვების გაჩენა და აღზრდა ქალის უპირველესი მოვალეობაა, ამიტომაა რომ იგი ყოველივესაგან განსხვავებული უფაქიზესი და უძლიერესი გრძნობით — დედაშვილური სიყვარულითაა გამთბარი, მაგრამ ქალისთვის სულ ერთი როდია, ვისი მეშვეობით გახდება დედა, როდესაც ამ პროცესს სიყვარული აცისკროვნებს, მაშინ იგი მისთვის მართლაც რომ ბედნიერების მწვერვალია და ალბათ ვაჟკაცისთვის ქალის ერთგულება და სიყვარული, მისთვის ქალისგან თავის ქალურობის უმწიკვლოდ და უანგაროდ მიძღვნა უმაღლესი ჯილდოა, ვინაიდან ქალს უფრო მეტი და ძვირფასი არა აბადია რა.

ერთ საღამოს პაციენტთან შევყოვნდი, რის გამოც სახლში საკმაოდ გვიან დავბრუნდი, დედა ჩემს მოსვლამდე არასოდეს იძინებდა, ახლაც ჩემს ოთახში სარკის

წინ იჯდა და სურათების ძველ ალბომს, რომლის არსებობა მე აღარც კი მახსოვდა, ფურცლავდა.

— დედა რატომ არ დაიძინე, შენს "წნევას" კიდევ უძილობა და ღამისთევა სჭირდება? ვუთხარი შეწუხებული ტონით.

— ვეცადე, მაგრამ ვერ დავიძინე შვილო, ეს ალბომიც გამოვიყოლე შენს არყოფნაში ვერთობოდი.

— ნეტავ ჩემზე რაღა გაქვს საფიქრალი და სანერვიულო, რაც არ უნდა ვითავცემოთ წარსულის შესწორება შეუძლებელია, ხოლო ზედმეტი ფიქრით და ნერვიულობით თავსაც ვავნებთ და ხვალინდელ დღესაც.

— არა შვილო! ჩემი კრედო სწორედ ეგაა, რომ წუწუნი არ მიყვარს, წინასწარ ვფრთხილობ ცუდისა და უკეთურის თავიდან აცილებისათვის, თორემ, როდესაც იგი მოხდება მასზედ დარდი და ვაი-ვიში ჩემგან შორსაა, როგორც ქალის, ჩემი განუკურნებელი ცნობისმოყვარეობის მიუხედავად, არავის არაფერს ვეკითხები ხოლმე, რადგან ვიცი, რომ დაკითხვა და დამკითხავი არავის არ უყვარს. ვიცი ისიც, რომ თუ ვინმეს შენთან რაიმეს თქმა უნდა და გამჟღავნება სურს, რომ აუკრძალო ვერ გააჩუმებ, სათქმელს მაინც გეტყვის. საფიქრალი კი როგორ არა მაქვს, შენზე, შენს ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ და ვდარდობ კიდეც. ბუნებრივია გარკვეული დროის შემდეგ მე აღარ გეყოლები, ამიტომ მინდა, რომ უფრო მოწესრიგებული და მშვიდი ცხოვრება გქონდეს, ვიდრე დღეს გაქვს, რაღაც გაურკვევლობის დარდი არ მინდა გამყვეს იმ ქვეყნად წასულს.

— მე ცხოვრებას არ ვუჩივი დედა, პირიქით, ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, შვილები კარგად არიან, შენ კარგად მყავხარ და რაც მთავარია ჩემს გვერდით ნოდარია, ჩვენი ნოდარი, შენი ყველაზე საყვარელი "ბიჭი".

— სწორედ ეგ მინდა, რომ თქვენ ნამდვილად ერთად იყოთ, ერთმანეთის გვერდით, მაგრამ რაღაც ეს მთლად ასე არაა. რატომ ერიდებით და ოფიციალურ სახეს არ აძლევთ თქვენს ურთიერთობას, რა გიშლით ხელს, რომ კანონიერი მეუღლეები გახდეთ? ვინც თქვენი წარსული იცის და ვინც მას აწი გაიგებს, მითხარი მასში რას ნახავს უკეთურსა და განსაქიქებელს. ნუთუ თქვენ თვითონ არ გინდათ. დღისით, მზისით დატკბეთ ერთად ყოფნით და ცხოვრებით სიყვარული სირცხვილი არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება, როგორც სიყვარულში, ასევე სხვა ყოველგვარ ადამიანურ ქცევაში უზნეობაა სირცხვილი და აუტანელი. თქვენი ამბავი მთელმა "წრემ" იცის, თავის მოტყუება იქნებოდა, რომ მათგან იწამოს თითქოსდა თქვენ ერთმანეთს არ ხვდებით, ეს ხომ თქვენი უარყოფა იქნებოდა. სულერთია ვინმე თვალს ადევნებს თუ არა თქვენს ნაბიჯებს, ვერავის დააჯერებ და ვერ იკადრებ დააჯერო საწინააღმდეგო. ადამიანებმა ბევრჯერ ის, რასაც ვერ ხედავენ უფრო უკეთ იციან, ან შეუძლიათ უფრო სიზუსტით ამოიცნონ, ვიდრე თვალით ხილული. ერთმანეთს რომ არ ხვდებოდეთ, სწორედ ეს იქნებოდა საკვირველი და უჩვეულო. იცხოვრეთ და იყავით ერთად, ამდენის გადატანის შემდეგ ბოლოს და ბოლოს თქვენც გეღირსოთ ბედნიერება — ნამდვილი ცოლ-ქმრობა.

— მე ამის საჭიროებას ვერ ვხედავ დედა. თუმცა ამაზე ვოცნებობ კიდეც, მერე ისიც, რომ ჩემგან უხერხულიც კია ამ თემაზე ვილაპარაკო და რაღაც პრეტენზიები და "მოთხოვნები" წამოვაყენო. მართალია ჩემი ბრალი არაა, მაგრამ წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი ნოდარის ადგილზე, საცოლეს შენივე თანდასწრებით აუპატიურებს ოთხი

მამაკაცი, შემდეგ კი ნაცვლად იმისა, რომ სიცოცხლე განაცვალოს და სიკვდილამდე მხოლოდ შენი მოლოდინით იცხოვროს, რაღაც “მოსაზრებით” თხოვდება, ქმნის ოჯახს უკვე მეხუთე მამაკაცთან და ცხოვრობს ბედნიერად. ახლა კი ეს ქალი, რომლის გულისთვისაც ყველაფერი პირადული გასწირე და გარკვეული დროის მანძილზე სამშობლოში ცხოვრებაზეც კი უარი სთქვი, რათა მისი “ბედნიერებისათვის” ჩრდილი არ მიგეყენებინა, ჭკუას გასწავლის და უკმაყოფილო ტონით გიკიჟინებს: ჩემზე თუ ჯვარს არ დაიწერ ახლოს არ გამეკაროო. ივარგებს ჩემგან ასეთი საუბარი დედა? მე მგონია არ ივარგებს. მადლობა ღმერთს იმისათვის, რაც არის და როგორც არის. მე მხოლოდ მორჩილების უფლება მაქვს და ისიც მჯერა, რომ მას ბოროტად არავინ გამოიყენებს. ხოლო რაც შეეხება ნოდარის მოსაზრებას ამ საკითხზე, იგი მეტად თავისებურია, თუმცა სრულიად ბუნებრივია და მისი გულიდან მომდინარე, რასაც მხოლოდ შენ განდობ დედა. დღეს მე ნოდარის სუნთქვით ვსუნთქავ, მისი სითბო მათბობს, მისი სიყვარულით ვარ აღვსილი. ჩემი გონება ვერ სჯის, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ როგორც ქალი, დამიჯერე დედა, ბედნიერი ვარ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

— გასაგებია ყველაფერი, მესმის შვილო. დედა ვარ და ზედმეტი მზრუნველობა უნდა მაპატიო. რადგან თვითონ ისურვე გამენდო, მეც საოცრად მაინტერესებს ნოდარის მოსაზრება და მზად ვარ გისმინო გაუთავებლად.

— ჩვენი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ალბათ ჩვენს კანონიერ შეუღლებას აზრი აღარ აქვს, თანაც არ მინდა შენი შვილების მამინაცვალი მერქვასო. ან კი შენს შვილებს, ესაჭიროებათ, ან უნდათ ჰყავდეთ მამინაცვალი? იგი ხომ მათ თვალში რაც არ უნდა გააკეთოს, მამა მაინც ვერ იქნებაო, იქნება მხოლოდ მათი დედის მეგობარი კაცი, რომელიც მათ არაფერში არ სჭირდებათ. და არც აინტერესებთ საერთოდ. იქნება კაცი, რომელიც დედის სიყვარულშიც კი ეცილებათ. მათ დედას რაღაცეებს კარნახობს, თავის ჭკუაზედ აკეთებინებს ბევრ რამესო და ა. შ. შეიძლება ჩვენი ურთიერთობა სხვაგვარადაც აეწყოს, მაგრამ ასეთიც ხომ არ არის გამორიცხულიო, კიდევ ის, რომ იმ ასაკისა და ისეთი ცხოვრების გამომვლელ ადამიანებს, როგორებიც ჩვენ ვართ, უმაღლესი ზნეობა და კულტურა უნდა ჰქონდეთ, რომ ერთად იცხოვრონ, ყოველდღიური წვრილმანები ერთად აკეთონ, ყოველნაირ ყოფით ვითარებაში ერთად იყვნენ და ერთმანეთისადმი ისეთი მოწიწება, კრძალვა და სიყვარული შეინარჩუნონ, როგორც ჩვენ დღესა გვაქვსო, შენი არ ვიცი და ჩემი თავის ამ მხრივ ძალიან მეშინია, რომ ამდენ “უბედურებაში” გამოტარებული, ჩვენს რელიგიამდე ამაღლებული სიყვარული, თვალსა და ხელს შუა არ გაგვიქრესო. ეს თუ მოხდება, მაშინ ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ექნება და სიცოცხლეშიც ვეღარავინ მიხილავსო.

გარდა ყოველივე ამისა, შენ ლადოს კანონიერი ცოლი იყავი და მის გვერდით უნდა დაიმარხო, შვილებს მშობლების საფლავი მაინც უნდა ჰქონდეთ, სხვა თუ არაფერი დარჩებათ მათგანო. ლადო ხომ არავის წინაშე არაა დამნაშავე. შვილებისთვის მისი ხსოვნა წმინდათაწმინდაა, როგორც მამისა და მაღალზნეობრივი ვაჟკაცისა, როგორიც იგი კიდევაც იყო. ჩვენი შეხვედრები და ერთად ყოფნა შვილებისა და ლადოს ხსოვნის წინაშე შეცოდებაა, უზნეობაა, მაგრამ იგი ისეთი უზნეობაა, რომლისგანაც თავის შეკავება ჩვენ სინამდვილეში შუძლებელიაო. ერთი შეცდომა ყველას ეპატიება, ამიტომ გვაპატიებს და არ ინებებს უფალი ჩვენს დასჯასო. ჩვენ ასეთ “ცოდვილებად” ვრჩებით

და დავრჩებით სიკვდილამდე, სხვაგვარი ურთიერთობა ჩვენს შორის გაუმართლებელიაო.

მე მასთან საერთოდ არ ვკამათობ დედა! მისი მწამს. ჩემთვის მისი ყოველი სიტყვა და ნება კანონია. მხოლოდ მას გაუხარდეს, მან ისურვოს, მე ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერზე თანახმა ვარ. ჩვენი ურთიერთობა, რაღაც განსაკუთრებულია, თითქოს დაუჯერებელია კიდეც, მაგრამ ფაქტია, რომ იგი არც არავის ვნებს და არც არავის არაფერს ართმევს.

— ეგ ყოველივე ჭეშმარიტებას არაა მოკლებული, მაგრამ ორივემ მიპასუხეთ, რომელი სჯობია, შენი შვილები ეძახდნენ ნოდარს მამინაცვალს, თუ შენს შვილებს სხვები უყიოდნენ: დედათქვენი ნოდარი ოკიზელის კახპააო.

— დედა ჩემი მდგომარეობის ქალი რომ ბავშვობის ასაკის სიყვარულის აღსრულებას ეღირსოს, იმ მამაკაცს ხვდებოდეს, ვინც საკუთარ თავზე მეტად უყვარს და ასევე უყვარს იგი მასაც, ასე ითქმის? მითხარი დედა, მართალი მითხარი, ჩემს ადგილზე შენ როგორ მოიქცეოდი, განა მე შემიძლია სხვაგვარად მოვიქცე? ეს ხომ საკუთარი თავის, ჩვენი ამდენი ხნის ოცნებებისა და სურვილის უარყოფა იქნებოდა. და ამიტომ უაზრობა იქნებოდა, რომელიც ალბათ საბოლოოდ სრულ განადგურებამდეც კი მიგვიყვანდა ორივეს.

— მართალია, მაგრამ განა ყველა სურვილის აღსრულების უფლება აქვს ადამიანს? ვიცი მეტყვით: ეს როგორ, ხომ არავის არაფერს ვაკლებთ, არავის არაფერში ვზღუდავთ და უხერხულობაში არ ვაყენებთ. ვიქცევით ისე როგორც მოიქცეოდა ჩვეულებრივი, ყველა თანამედროვე, ნორმალური, კულტურული ადამიანიო, არა შვილო! ნამდვილად სცდებით, განა შენი შვილებისთვის ცოტა დანაკლისი და უხერხულობაა შენი აუგად მოხსენება? არა ამის უფლება შენ არ გაქვს. ტყუილად როდია ნათქვამი: შვილებს სხვას თუ ვერაფერს დაუტოვებ, შენი სახელი მაინც არ უნდა დაუტოვო საწყევლადო. ის რაც საზოგადოებას, ხალხს არაზნეობრივად მიაჩნია, მაღალზნეობაზე თავგამოდებულმა კაცმა და მით უმეტეს დედამ არ უნდა ჩაიდინოს. იმისთვის, რასაც დღეს შენ სჩადიხარ, შვილები გაგკიცხავენ. მათთვის წმინდათაწმინდაა მამის ხსოვნა, დედის უმწიკვლობა და სახელი. მათ ეამაყებათ, რომ დედა მამის ხსოვნას ინახავს წმინდად და სათუთად და არა ის, რომ აუშვია "იალქნები" და შეყვარებულთან ერთად დათარეშობს გრძნობების ზღვაში. თუ სხვა უყვარდა მამას რას ერჩოდა, იმ სხვას გაჰყოლოდა ვინ დაუშალაო, ვიცი მეტყვით: დაგვიშალეს, როგორ არ დაგვიშალესო, რის გამოც ჩვენი ურთიერთობა სულ სხვაგვარია, რაღაც არაჩვეულებრივიო. კაცმა, რომელიც ჩემი გულისთვის და საერთოდ ჩვენი ორივეს შეურაცხყოფისთვის გახდა მკვლელი, ამდენი განსაცდელი გამოიარა და მას ყველაფერი აპატია, ნუთუ ვერ მოიპოვა ამ ქალზე ქმრის უფლებაო. როგორ არა, მოიპოვა, ღმერთმა გაუმარჯოს, სწორედ ღმერთმა შეაძლებინა ყოველივე, რაც გააკეთა. მაგრამ ახლა ჩუმ-ჩუმად ნუ კი ახდენს ამ უფლების რეალიზაციას, გამოჩნდეს ისე, როგორც ეს მის კაცობას ეკადრება, საზოგადოების თვალში ზნეობრივი და მით უმეტეს კანონით განმტკიცებული ურთიერთობა

პიროვნებისთვის საძრახისი არც ყოფილა და არც იქნება. თქვენს საქციელს კი არავითარი გამართლება არა აქვს, ერთმანეთის წინაშე მხოლოდ თქვენ აძლევთ მას გამართლებას, რაც საზოგადოების თვალში არ გამართლებთ.

მეტს აღარ შეგაწუხებ, დაიძინე, ნოდარს ჩემი საუბარი გადაეცი, ორივემ იფიქრეთ, მე თქვენი მჯერა, ნურც მე და ნურც ნურავის გულს ნუ გვატკენთ, მითუმეტეს ამას ნუ უზამთ შვილებს. დარწმუნებული ვარ ნოდარი უკეთ გამიგებს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

დილით ჩვეულებრივ შვიდ საათზე გავიღვიძე. ამ დროს დედა ყოველთვის სამზარეულოში ტრიალებდა ხოლმე, მაგრამ ახლა არ ჩანდა, რომ მას ეღვიძა. უჩვეულო სიწყნარემ შემაშფოთა, სამზარეულოში გავედი, იქ არავინ იყო, საძინებელში შევიხედე, დედას ეძინა, შემებრალა, ერთად-ერთი შემთხვევა იყო მთელ ჩემს მეხსიერებაში, რომ მას ამ დროს ეძინა, არ გავაღვიძე, სამზარეულოს თვითონვე მივუბრუნდი. კარგა ხანმა გაიარა, დედა არ გამოვიდა, შევშფოთდი. იქ მას მართლაც უჩვეულო სამარადისო ძილით “ეძინა”.

დავკარგე ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, სამაგალითო და დიდებული ქალი. უსაზღვრო იყო ჩემი მწუხარება. ასევე განიცადა იგი ნოდარმა, რომელმაც როგორც უახლოესმა მეზობელმა, ყველაფერი იღონა მისი ადათწესებით დაკრძალვისთვის. ჩვენი ახლომეგობრებიდან უკვე აღარავინ ეჭვობდა, რომ ცხოვრებას ერთ ჭერქვეშ შევუდგებოდით, მაგრამ ვაი რომ ეს ასე არ მოხდა.

ოჯახში რასაც დედა უძღვებოდა და აკეთებდა, ჩემი გასა-კეთებელი შეიქმნა, გამიჭირდა, სამსახურში მხოლოდ ნახევარ ადგილზე დავრჩი, როგორც და რამდენიც შემეძლო დაუზოგავად ვმუშაობდი. ყოველთვის მართალი ვიყავი საკუთარი თავის წინაშე. ნოდარს სიტყვა-სიტყვით მოვუყევი, ის რაც დედამ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ღამეს მითხრა. დაფიქრდა, ეგოიზმში დაადანაშაულა საკუთარი თავი. გადავწყვიტეთ წლის თავს დავლოდებოდით, შემდეგ კი ისე გაგვეკეთებინა როგორც ეს დედას სურდა. სხვაგვარად მართლაც უხერხულიაო მითხრა დაბეჯითებით, მხოლოდ მთხოვა, რომ ჩემთვის დამახასიათებელი ტაქტით შვილებისათვის ჩვენი თავგადასავალი მომეთხრო. ისე ისინი ჩვენს საქციელს ვერ გაიგებენო. ამასთან ერთად გამაფთრთხილა, რომ ჩვენი ცხოვრების სხვა ინტიმური მხარის შესახებ მათთვის არაფერი მიმენიშნებინა. იგი იმიტომაა ინტიმური, რომ გამოცხადებას და სხვათა მიერ განსჯას არ ექვემდებარებაო. ის, რაც ორისათვის მისაღები და მოსაწონია, მესამეს ვერ დაავალდებულებ, რომ მისთვისაც ისეთივე იყოსო და თანაც ადამიანთა მოდგმიდან ალბათ ჯერ არავის უკითხავს სხვისთვის რჩევა, ან აზრი, მისთვის ინტიმურის მორალურობისა და ზნეობრიობის თაობაზე. ინტიმურის ზნეობრიობა მთლიანად პიროვნების პირად კულტურაზე, მის აღზრდაზეა დამოკიდებული. აქ მხოლოდ ერთი პრინციპი მოქმედებსო მითხრა: იგი იმდენად ამაღლებული უნდა იყოს, რომც გამჟღავნდეს ყველამ თუ არა, უმეტესობამ მაინც უნდა თქვას, მეც ასე მოვიქცეოდიო. ნოდარის ნება კანონი იყო ჩემთვის, მზად ვიყავი შვილებისათვის ყველაფერი დაწვრილებით მომეთხრო, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. თინიკომ განაცხადა, რომ იგი თხოვდებოდა. ერთი კი შევცბი, შემდეგ კი ჩემდაუნებურად თინიკო გულში ჩავიკარი და ორივე ავტირდით. ვერ გეტყვით რაზედ და რისთვის ვტიროდით.

ეს ტირილი არ იყო არც უარყოფითი ემოცია და არც სიხარულის გამოხატულება. იგი რაღაც სხვაა, მხოლოდ ქალისთვის ნიშნული, რომელსაც ვერც სახელს დაარქმევ და ვერც იტყვი რამეს. იგი ისაა, რასაც ასეთ და ამგვარ ვითარებაში ვაკეთებთ ქალები. დავწყნარდი, თავს ვსაყვედურობდი, როგორ გამომრჩა, რომ თინიკო სრულ ასაკიანი გახდა. დედაჩემს ეს არ გამორჩებოდა. ფაქტობრივად ის იყო მისი გამზრდელი და ამიტომაც მეგობრები იყვნენ, მე კი ახლა ვიწყებდი მასთან მეგობრობას. ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ შვილი, რა ვითარებაც არ უნდა იყოს, დედამ უნდა გაზარდოს, მის უბეში გამოჩეკილი, მისსავე უბეში უნდა დაფრთიანდეს, შვილის სულში მხოლოდ დედა უნდა დაფათურობდეს, მხოლოდ მას აქვს მისი დალაგებისა და გადაწყობის უფლება. და თუ როგორ შეძლებს ამას, ამაზეა დამოკიდებული მათი დედაშვილობაც და მომავალი ცხოვრებაც.

თინიკოს გადაწყვეტილებით გახარებული დავრჩი-თქო ვერ ვიტყვი, მაგრამ წყენის საბაბი ნამდვილად არ მქონდა და არც მიცდია გამომეხატა იგი. შემდგომში ყველაფერი ნორმალურად წარიმართა. მხოლოდ ეგ იყო, რომ ამისა და ზოგი გაუთვალისწინებელი ამბების გამო (მამუკამ მოსკოვის სამხედრო, სამედიცინო აკადემიაში გააგრძელა სწავლა), შვილებისათვის ჩვენი თავგადასავლის თხრობა კარგა ხნით გადაიდო. ჩვენ ისევ ინკოგნიტოდ ვხვდებოდით ერთმანეთს, რისი მხილველიც დედაჩემის შემდეგ ამ ქვეყნად ნამდვილად არავინ იყო. ნოდარს ჩემი სახლის გასაღები ჰქონდა. იგი ყოველთვის მხოლოდ ღამით მოდიოდა, მეტად ფრთხილად და უჩუმრად. მისი მოლოდინი, მასთან შეხვედრა, იყო ჩემი სიცოცხლის უპირველესი სტიმული და გამართლება. ასევე ვიყავი მეც მისთვის, ბევრჯერ უთქვამს, ჩემს სიცოცხლეს შენს გარეშე აზრი არა აქვსო. რაც დრო გადიოდა, ჩვენი სიყვარული უფრო და უფრო ძლიერდებოდა, რისი საფუძველიც ნოდარის მაღალი ზნეობა და კაცობა იყო. ბუნებით მხიარულს, იუმორის ოსტატსა და მოლხენის მოყვარულს არავისი და არაფრის გამასხრება და გაბიაბურება არ უყვარდა. ალერგიამდე სძაგდა ცინიზმი.

სრულიად დამშვიდებულმა ჩვეულებრივი საუბრის დროს, მახსოვს ასეთი რამ მითხრა: შენ კარგად იცი რომ ადამის ძეთა სიყვარულში ტოლს არავის დავუდებ, რომ ჩემი ერთადერთი რელიგია ჰუმანიზმია და ამიტომაც ვრჩები მორწმუნედ, მაგრამ ცინიკოსის, უზრდელი და ქლესა კაცის სიძულვილშიც ვერავინ შემეცილება. მე მათ არაფერს ვპატიობ და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ ამისათვისო. ბანდიტების უმეტესობა გარდა იმისა, რომ სადისტებია, გამოუსწორებელი ცინიკოსებიც არიან. ისინი ადამიანს დასცინიან, სათნოებასა და პატიოსნებას აბუჩად იგდებენ, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას ფეხქვეშ სთელავენ. ამიტომაა რომ კაცისთვის ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლის წართმევაც ასე ეიოლებათ. უბრალო ნივთისათვის ან თავიანთი აღვირახსნილი ინსტიქტების დასაკმაყოფილებლად ადამიანის წამებით სიკვდილი არაფრად უღირთ. აი, სწორედ ამიტომ არიან ისინი თვითონვე სიკვდილის ღირსნი. ნუ გაუკეთებ ადამიანებს მას, რაც შენ არ გინდა რომ მათ გაგიკეთონო.

მაპატიეთ ბატონო იოსებ, რომ თხრობა ასე გამიგრძელდა, მაგრამ სხვაგვარად იმ შემთხვევებზე საუბარს, რომელიც დღემდე "გაუხსნელ საქმეებადაა" დარჩენილი ვერ ვახერხებ. უპირველესად კი ის შემთხვევა მაქვს მხედველობაში, რომელიც ჩემს ბინაში მოხდა, და რომელმაც განაპირობა ყოველივე შემდგომი.

ნოდარის მოსვლის მოლოდინი ყოველთვის მქონდა, მაგრამ როგორც შეთანხმებულნი ვიყავით, თუ სხვა დღეებში ან მოვიდოდა, ან არა, პარასკევს აუცილებლად უნდა მოსულიყო. დღისით მოვიდოდა, თუ ღამით, ეს მისი საქმე იყო. მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო მაინც უნდა მოსულიყო, რაც მას არასოდეს არ დაურღვევია. ის დღეც ჩვეულებრივი პარასკევი იყო, ნოდარს აუცილებლად ველოდი, რაც მას უყვარდა თითქმის ყველაფერი მოვამზადე, პური კი დამვიწყებოდა. გვიანი საღამო იყო, რომ პურისთვის სახლიდან გამოვედი და ვერის ბაზართან მდებარე თონეს მივაკითხე. სახლთან მობრუნებულს ახალგაზრდა კაცი მომესალმა და მორიდებით მითხრა, რომ ჩემთან როგორც ექიმთან ჰქონდა საქმე და თუ ნებას დავრთავდი შიგნით, დერეფანში მეტყოდა თავის სათქმელს. კარი გავაღე, შემოვიდა, კარის გასაღებით ჩაკეტვა მეუხერხულა, იგი უბრალოდ თავისით მიიხურა, "პაციენტის" ზურგს უკან მოიხურა და იმავე წამს ჯიქურ გააღეს, ორნი შემოვიდნენ, გასაღები მოულოდნელად ხელიდან წამგლიჯეს, კარები ჩაკეტეს და მიბრძანეს შიგნით ბინაში შევძღოლოდი. მივხვდი რა ხალხთანაც მქონდა საქმე. შევშინდი, ჩემს თავს არ ვჯავრობდი. ხომ შეიძლებოდა ნოდარი ჩემს არ ყოფნაში მოსულიყო და ახლა აქ ყოფილიყო, ან თუ აქ არა, ხომ ისიც შესაძლებელია რომ მოვიდეს, კარი გააღოს და პირისპირ შეხვდეს ამ გარეწრებს, რა არ გავიფიქრე, ამასობაში დარბაზში შევედით. მიბრძანეს მაგიდასთან სკამზე დავმჯდარიყავი. ერთი მათგანი ჩემს წინ ურცხვად ჩამოჯდა მაგიდაზე, ისე რომ ფეხებით მუხლებზე მეხებოდა და ცინიკურად მითხრა:

— ჩავარდით პატივცემულო ექიმო, კარგია პაციენტებს რომ ატყავებ და მდიდრდები, თუ ცოცხალი გინდა დარჩე, არაფერი დაგვიმალო, ყველაფერი შენი ხელით ამ მაგიდაზე დააწყვე, სამკაულებიც არ დაგავიწყდეს, თორემ თითებს და ყურებს დაემშვიდობეო. ადე რაღა! და უხეშად გამკრა ფეხი მუხლზე. ხმა არ ამომიღია. ტკივილისაგან აკოჭლებული ავდექი და თუ რაიმე მებადა ყველაფერი მათ წინ დავულაგე.

— სულ ეს არის? შენმა მზემ ერთბაშად არ დაგიჯეროთ. "ალპინისტ!" — "როზისკი". "ალპინისტმა" ყველაფერი გადაატრიალა. არაფერი არ გამაჩნდა იმის მეტი, რაც თვითონვე არ მივართვი ამ ვაჟბატონებს და ბუნებრივია "ალპინისტმაც" ვერაფერი ნახა. არამზადამ სხვებზე, რომ უფროსობდა კაბის გულისპირში ხელი უხეშად ჩამავლო, ჩამომახია, მედალიონი ჩამომგლიჯა, ეს ხომ გაქვსო მითხრა და საძინებელში შემათრია. მაშინ ვირწმუნე, რომ ნოდარი ბინაში არ იყო, თორემ ამას იგი არავის აპატიებდა. გავძალიანდი, მაგრამ ისე ძლიერად გამარტყა, რომ ლოგინზე დავეცი. მოულოდნელად ორჯერ ზედიზედ სადარბაზოდან მკვეთრი ტკაცანი გაისმა, არამზადა შეცბა, სასწრაფოდ კარები გამოაღო და იმ წამსვე ძლიერი დარტყმისაგან გონებადაკარგული კარებშივე ჩაიკეცა. მივხვდი რაც მოხდა და გონებაც დავკარგე. თვალი რომ გავახილე ნოდარი დავინახე, დაიხარა, მომეფერა:

— მოწესრიგდი, მილიციას გააგებინე, მოვიდნენ ნახონ, შენ არაფერი არ იცი, იცი ის რაც ნახე, მხოლოდ ჩემს გარდა. მე მოვალ ჩვეულებრივ. მაპატიე რომ ეს ყველაფერი აქ ბინაში მოხდა. სხვაგვარად აღარ შეიძლებოდა, და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

როგორც ჩემთვის შემდგომში გახდა ცნობილი, მას არ უნდოდა ჩემს ბინაში მომხდარიყო ეს ყოველივე და საერთოდ არ სურდა და არ უნდოდა ვინმე მოეკლა. არ უნდოდა, რომ მის ცხოვრებაში ყველაფერი თავიდან დაწყებულიყო, მაგრამ როდესაც მე

საძინებელში გამათრიეს უკვე წერტილი დაუსვა ყოველივეს. ამ დღიდან ნოდარ ოკიზელი გახდა კაცის მკვლელი. იგი ავაზაკთათვის რისხვა იყო, არნახული სისასტიკით იძიებდა შურს თავისი გაუბედურებისთვის, დამსხვრეული ოცნებებისთვის, შურს იძიებდა ყოველივე იმისთვის, რაც მას ამ სისხლისმსმელებმა ავნეს. თვითონ უკეთურთაგან ცხოვრებაგამწარებული და ოცნებადამსხვრეული, სხვებს ედგა დარაჯად, ყოველი ძალით ცდილობდა რომ ბოროტებას სიკეთეზე არ ეზეიმა. ასეულობით არამზადას ებრძოდა მარტო, უჩუმრად და უხმაუროდ. ერთხელ და მხოლოდ ერთხელ ვურჩიე კიდეც ორგანოში ემუშავნა და ეს საქმე ოფიციალურად ეკეთებინა — არაო, მითხრა, გამჟღავნებული კაცი ამას ვერ გააკეთებსო. ვინც არ უნდა იყოს იგი, ბანდიტები ბოლოს მოუღებენო. მე კი ამისი არ მედარდება და ასევე ჩემი მოსყიდვაც შეუძლებელია, მათ ეს არ იციან, ვინაიდან არ იციან ვინ ვარო.

ისე ჩქარა მირბოდნენ წლები, რომ კამათისთვის არც გვეცალა და რაღაც არასოდეს გამჩენია ამის სურვილი. ჩვენ ხომ ოაზისის ნახვა მაშინ არ გვაღირსა განგებამ, სანამ ნახევარი საუკუნე არ გადავცვითეთ. თქვენთვის ალბათ საინტერესოა ის, თუ საიდან იგებდა ნოდარი როდის და სად უნდა მისულიყვნენ უკეთურნი ოჯახების ასაწიოკებლად. ეს ჩვენთვისაც საინტერესოა დღემდე. მე ამის შესახებ მისთვის არასოდეს მიკითხავს. ვიცი მხოლოდ ის, რომ მთელი მისი ცხოვრება ისე წარიმართა თვით მოძალადეთა და არამზადათა წყალობით, რომ საკმაო შეხება ჰქონდა დამნაშავეთა სამყაროსთან, რის გამოც ალბათ მათი მოქმედების შესახებ ბევრი რამის დადგენა და გამოცნობა შეეძლო. ქურდებს არასდროს აუგად არ იხსენებდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ იშვიათია კაცი, რომელიც არ ქურდობდეს, რაიმეს არ ითვისებდეს, ადამიანის ბუნებაში სხვისი კუთვნილის მითვისების სურვილი იმთავითვეა ჩადებულიო. ეს მარტო ადამიანისთვის კი არა, მთელი ორგანული, ცოცხალი სამყაროსთვისაა ნიშანდობლივიო. მაგრამ მიაჩნდა, რომ ბანდიტი სატანისგან შექმნილი სახეა და ამიტომ მას არაფერი არ შველის განადგურების გარდა. სატანისგან ნაბოძებ ბუნებასა და ხასიათთან წრთვნა, უძლურია. მე რასაც ვებრძვი, ის ქურდობა კი არაა, არამედ ძალადობაა, ადამიანის დამცირება და აბუჩად აგდებაა. სადიზმთან გადაჯაჭვული ცინიზმია და ამიტომაც იგი უდიდესი ბოროტებაა. რისთვისაც სანამ და რამდენსაც შევძლებ, მას მტრობას არ მოვუშლიო. საკუთარ თავს მაინც გამოუტყდით ბატონო იოსებ. რომ მართალია ამ მკვლელზე საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული, მაგრამ პიროვნულად თქვენ მას არ ეძებდით. პირიქით ერთგვარად მოხიბლულიც კი იყავით მისი მოქმედებით. თუმცა იგი კანონის წინაშე დიდ დანაშაულს სჩადიოდა, მაგრამ როგორც შურისმაძიებელი, ზნეობრივად მართალი იყო. ნაძირალების მიერ განაწამებ ადამიანებს მისი ნამოქმედარი გულზე მალამოსავით ესალბუნებოდათ.

ნოდარ ოკიზელი ერთი წლის წინათ სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. უკუღმართმა და მძიმე ცხოვრებამ, მის ჯანმრთელობას თავისი კვალი დაამჩნია, — “ღვიძლის უკმარისობა” განუვითარდა.

არავინ იცის მისი საფლავი, ვინაიდან იგი არ არსებობს, როგორც მთელი მისი ცხოვრება იყო რაღაც უჩვეულო, ასევე უჩვეულოდ დასრულდა იგი. ექიმებს გამორჩათ, რომ ნოდარი თვითონაც ექიმი იყო და ლათინურ ენასაც მათზე უარესად არ ფლობდა. რის გამოც მათი საუბარი მისთვის სრულიად გასაგები გახდა. მან ირწმუნა, რასაც თვითონ ეჭვობდა. ტკივილები აწუხებდა, მაგრამ მაინც დაისისკენ მიიწევდა. გვიან

საღამოთი მითხრა, რომ მეორე დღეს სტეფანწმინდაში აპირებდა წასვლას “გადაუდებელი საქმის” გამო და ის ღამე აუცილებლად ბინაში უნდა გაეთია, მომზადებულიყო. ბუნებით უაღრესად თბილი და ალერსიანი, იმ საღამოს განსაკუთრებულად თბილად მექცეოდა, ბოლოს გამომეთხოვა და წავიდა, წავიდა სამუდამოდ.

საკმაო ხნის შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ენახათ მყინვარის გზაზე მარტოდ-მარტო მიმავალი კაცი, რომელსაც არავისთვის არაფერი უთქვამს, არავითარი ანდერძი არ დაუტოვებია. მან იქ სადღაც მყინვარის ნაპრალებში ჰპოვა სამარე. უკვალოდ გაქრა კაცი-გამოცანა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა სატანას, ბოროტებას, მაგრამ ცხრათავიანი დევის ზღაპრისა არ იყოს, რამდენ თავსაც სჭრიდნენ, იმდენით მეტი რომ ამოდიოდა, ერთს ამარცხებდა, მეორე ჩნდებოდა, ალბათ იმიტომ რომ ბოროტებას ბოროტებითვე რომ ებრძოდა, რაშიც ვინ იცის მართალიც იყო, მაგრამ შედეგი... სადაა იგი?

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ თუ საზოგადოებაში კანონის უზენაესობა არ ბატონობს, ასობით ნოდარიც კი ვერ აუვა სიკეთისა და სათნოების დაცვას. ისე კი მართლაც რომ საჭირონი არიან ასეთი ვაჟკაცები, მაგრამ ვინ გაზარდოს, ვინ ბატონო იოსებ! ესაა მხოლოდ სავალალო და სამწუხარო. საზოგადოებას თუ დასჭირდება გამოჩნდებიანო იტყვით ალბათ, და მეც ასევე ვფიქრობ და ვამბობ, მაშინ ველოდოთ მათ მოსვლას თუკი გვაქვს ლოდინისთვის დრო და, რაც მთავარია, ამის უფლება საერთოდ.

კითხვა დავასრულე. სიჩუმე პირველმა იოსებმა დაარღვია.

— მოგეწონათ გივი ბატონო ნოდარ ოკიზელი? ვიცი, რომ მოგეწონათ, ამიტომ ცოტაოდენს კიდევ გიამბობთ მის მიერ ჩადენილ საქმეთა შესახებ. თორემ თამარის წერილამდე მე მისი ჩამდენის შესახებ არაფერი ვიცოდი. იმხანად ასეთი წესი იყო დაკანონებული, როცა ვენერიულ სნეულებათა დისპანსერში ახალი პაციენტი გამოჩნდებოდა, ამის შესახებ მილიციის შესაბამის სამსახურს აგებინებდნენ, რათა ზუსტად დაედგინათ დაავადებულთან კონტაქტში მყოფი პირები, და მათ შორის ისინი, ვინც ურჩობდნენ და მკურნალობას გაურბოდნენ, იძულებითი წესით მოეყვანათ სამკურნალოდ.

ლენინის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ასეთი შეტყობინების დროს იქ მისვლა მე მომიწია, შემზარავი ამბავი მოვისმინე, რამდენიმე თვის წინ ბანდიტებმა იმჟამად დისპანსერში მყოფი პიროვნების ოჯახი დაარბიეს. თვითონ იმ ღამით მცხეთაში იყო ნათესავებთან. შინ მეუღლე, სამი წლის ბიჭუნა და მისი მშობლები იყვნენ. ყაჩაღებმა ბინა “გაასუფთავეს”, მამამთილის წინაშე რძალი გააუპატიურეს, შეშინებული ბიჭუნა რომელიც ცხარე ცრემლით ტიროდა, თავში რევოლვერის ტარის დარტყმით უგონოდ ჰყვეს. ნაცემი, ნამუსახდილი, გონდაკარგული ქალი, მომაკვდავი შვილის გვერდით მიაგდეს, შემდეგ კი ერთობ კმაყოფილნი იქაურობას გასცილდნენ. ბიჭუნა ტვინში სისხლის ჩაქცევით დაიღუპა, ქალი გადარჩა და სიფილისით დაავადდა. ბანდიტთაგან თუ ყველა არა, რომელიღაც აუცილებლად დაავადებული იყო. დამერწმუნებით ბატონო გივი, რომ მსგავსის წარმოდგენაც კი თითქოს შეუძლებელია, რომ იგი სინამდვილეში არ მომხდარიყო, ამას მე არავის არ დავუჯერებდი.

მეორე შემთხვევა, ამავე ჯგუფის მიერ ჩადენილი. ნოემბერი იდგა, ციოდა და ვაჟბატონები საღამოს ვერაზე მდგომი აბანოდან გამოვიდნენ და “ზემელისაკენ” ფეხით

გაუყვნენ გზას. იმ ვარაუდით რომ იქ რესტორან "გემოში" აპირებდნენ ქეიფს. ვერის პარკთან, ტრამვაის გაჩერებაზე სტუდენტ გოგონას გადაეყარნენ. ერთ-ერთი მას ნაცნობივით მიესალმა, ქალიშვილმა სალმითვე უპასუხა, მაგრამ რადგან ვერ იცნო, გაოცდა და შეშინდა კიდეც. ახლო-მახლო არავინ იყო, გარეწრებმა გოგონა პარკში შეათრიეს, გონების დაკარგვამდე ცემეს და გააუპატიურეს, შემდეგ მისი ტანსაცმელი ხეების ტოტებზე შეისროლეს. თვითონ იგი კი უგონოდ მყოფი მიაგდეს და ქუჩას "ზემელისაკენ" გაუყვნენ. იქ მისულებმა რესტორანში გვარიანად იქეიფეს შემდგომ, როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ მოედანზე შეჯგუფული, მოყაყანე ხალხი დალანდეს, რომელთა შუაში ნახევრად ტიტველი ქალი ტრიალებდა და უაზროდ ყვიროდა. ესენიც მიცვივდნენ, ყველაზე წინ გავიდნენ, რის გამოც წრეში მყოფ შიშველ "გიჟთან" პირისპირ აღმოჩნდნენ. მან ისინი შეათვალიერა, ერთი ხმამაღლა შეჰკივლა, მათგან ერთ-ერთს მკლავში მოეჭიდა და თავისკენ ითრევდა. მიუხედავად დიდი მცდელობისა ხელი ვერაფრით გააშვებინეს. ბანდიტთაგან ერთ-ერთმა სახელდობრ რობერტმა, ქალს ხელის გაშვებინების მიზნით მხარში დანა ჩაარტყა. დანამ საძილე არტერია გადაჭრა. ქალი სულ რაღაც წამებში სისხლისაგან დაიცალა და იქვე დაიღუპა. ბანდიტები მიიმალნენ. "ეს ქალი ის გოგონა იყო რომელიც მათ უგონოდ მყოფი პარკში რომ მიატოვეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ნაწამები, როგორც კი გონს მოეგო და მდგომარეობა გააცნობიერა, ჭკუაზე შეცდა, ანგარიშმიუცემლად ქუჩაში გამოვარდა და უაზროდ გაიქცა. გვიანი იყო, ქუჩაში შემხვედრი ადამიანები ჩერდებოდნენ, აკვირდებოდნენ, ზოგნი კი გაოცებულნი უკან მისდევდნენ, რომ გაერკვიათ რა ხდებოდა. ასე გასტანა "ზემელამდე". იქ მოედანზე ხალხი იდგა რომლებმაც მოსულებთან ერთად წრე შეჰკრეს და ნახევრად შიშველი "გიჟიც" იძულებული გახდა შეჩერებულიყო, სადაც უბედურმა სიცოცხლე დაასრულა კიდეც.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ამ ბანდის წევრები სოლოლაკში ბინის გაძარცვის პროცესში "ვიღაცამ" დახოცა, რომელთაგან მხოლოდ ერთი სახელდობრ რობერტი, მძიმედ დაჭრილი და უგონოდ მყოფი "ჩვენებმა" აიყვანეს, რომელიც ალბათ ცოცხალი იმიტომ დატოვეს, რომ ძიებისათვის მოეთხრო მათ მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებათა შესახებ და მართლაც ჯერ ძიებას, შემდეგ კი სასამართლოს რობერტმა დაუდასტურა თავიანთი მონაწილეობა მრავალ უკეთურ საქმეში, რომელთა შორის ესენი, რაც მე გიამბე ჩვეულებრივი ეპიზოდი იყო.

— დაასრულა თხრობა იოსებმა და როგორც იტყვიან მტრედისფრად ინათა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, მაინც საკმაოდ ხალისიანად "შევუტიეთ" ზედა ვარძიის ხეობას. გაგვიმართლა — დილითვე რამდენიმე გნოლი და კაკაბი მოვინადირეთ, მოსმენილითა და ნადირობით დიდად კმაყოფილი თორმეტი საათისთვის უკვე ავტომანქანის საჭეს ვუჯექი და შინისაკენ მივქროდით.

1995 წელი

ზოგჯერ თქმითაც დაშავდების

გვიან ღამით სახაზო ინსპექციის ხაშურის საგუშაგოზე ორი ახალგაზრდა მოიჭრა. ერთმა მათგანმა მორიგე ინსპექტორს აჩქარებულად მოახსენა:

— ბანდიტებმა ავტომანქანა წაგვართვეს, სულ რაღაც წუთებია გასული, მეზობელ საგუშაგოებს აი ეს ნომერი გადაეცით, ჟურნალის ყდაზე დაუწერა და სთხოვეთ, რომ გამოჩენისთანავე დააკავონ, “ნოლშესტია”, თეთრი ფერის. მორიგემ სიტუაციისათვის მეტად შეუფერებელი სიდინჯით გადახედა და ირონიული ტონით მიუგო:

— კიდევ რას გვიბრძანებთ ბატონებო, დამატებით ხომ არაფერს დაგვავალებთ? მაგრამ, როდესაც ისედაც “გაცეცხლებულ” ბიჭებს, მის სიტყვაზე მზერა ბოროტი გაუხდათ, შეცბა და ნირი შეეცვალა:

— რა იყო თქვე კაი ოჯახისშვილებო ცივი მჭადივით რომ მახრჩობთ, საგუშაგოებს რომ გადავცე უფროსმა უნდა იცოდეს, ხოლო უფროსი რომ დავარწმუნოთ, ჯერ მე უნდა გავერკვე რა მოხდა, როგორ იყო. უნდა დამაჯეროთ, რომ არ სტყუით. აბა ვის როგორ მოესურვება მოვიდეს და თავის ჭკუაზე გვამუშაოს, გაკეთდება რამე? აგერ მაგიდა, აგერ “პასტა”, დაჯექით და დაწვრილებით დაწერეთ, რაც მოხდა: ვინ შეგხვდათ, რა გვარები იყვნენ. რა გქვიათ. გულისყურით წავიკითხავ, თუ რამე ისე არ გექნებათ დაწერილი, როგორც საჭიროა, არ დაგამადლით, გაგისწორებთ და საქმეს მსვლელობა მიეცემა. რაო? რა ვიცით ვინ იყვნენო? თქვე კაი ხალხო შეხვდით, ნახეთ, გარკვევით ამბობთ ოთხი იყვნენო და ვერცერთი ვერ იცანით? მე არცერთი არ მინახავს და როგორ უნდა გამოვიცნო ვინ იყვნენ. რაა? საგუშაგოებმა დააკავონ ამ ნომრის მანქანა? როგორ გეკადრებათ, როცა თქვენვე ამბობთ ოთხივე ავტომატებით იყო, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ გრანატებიც არ ექნებათ. ეს მაშინ, როდესაც საგუშაგოებზე ორ-ორი კაცი ვმორიგეობთ და ავტომატი საერთოდ არ გვაქვს. ასეთ ვითარებაში ბანდიტები როგორ დავაკაოთ, ან უფროსის გარეშე რა უფლება გვაქვს ვინმეს განკარგულება მივცე კაცის დაპატიმრებაზე. არა ამას მე ვერ ვიზამ. ვინმეს რომ რამე დაუშავდეს თქვენ აგებთ პასუხს? ან კიდეც რომ დავაკავო, სად წავიყვანო, ვინმე მაგათ მიიღებს? მესმის რომ დაჭერილები მოგეყვანათ, ან ერთი მაინც გეცნოთ იმ ოთხიდან რაღაცას გავხდებოდით, მე მაგალითად საკუთარ თავს არ დავზოგავდი თქვენი დახმარებისათვის. ისე რომ იცოდეთ, მანქანებს ყოველდღე იტაცებენ, მაგარამ თქვენსავით კი არავინ ყვირის. მოთმინებაა საჭირო, მოთმინება. ჩვენც ადამიანები ვართ შეგვიცოდეთ... თუ გონიერად მოიქცევით მანქანას უეჭველად იპოვით, ეგაა ცოტა გამოსასყიდს უეჭველად მოგთხოვენ. მესმის სამთავრობო მანქანა გაეტაცათ, რამდენ ვინმეს ავტომანქანა დაეკარგება, მეტი საქმე აღარაფერი გვაქვს ის ვეძებოთ? საჭმელი ან ტანსაცმელი ხომ არ არის, რომ უმისოდ ყოფნა არ შეიძლებოდეს, ვერ ხედავთ ეს ხალხი ძირითადად უმანქანოდ რომაა. დიდი ამბავი რამდენიმე დღე თქვენც თუ უმანქანოდ ივლით.

“დაიჭირეთ”, “გათოკეთ” — იცოცხლე კარგია, მაგრამ თქვენ სიტყვაზე? თქვენ გემსახუროთ? გამიხდით რა “ნაჩალნიკები”, — “დააკავეთ, უბრძანეთ”, ამით? მუშაობს რომ გადავცე?

— ეს კაცი რეგვენია, ვახტანგ, ალბათ უფროსიც თავისნაირი ეყოლება, თორემ ამას არ იგუებდა სამსახურში, ამასთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა. ბატონო ჩემო! მარტო ხართ, თუ კიდევ მორიგეობს ვინმე თქვენთან ერთად?

— მარტო ვარ, აქ ვინც უნდა იყვნენ ჩემთან ერთად, დალიეს და ეგერ ყრიან და სძინავთ ოცეულის ბინაში. იარაღი ჩვენ არა გვაქვს და ტრანსპორტი ჩვენ აღარ გვყავს, მთავრობის სახელით წაგვართვეს და სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ვიყენებთო გვეუბნებიან. გინდათ გეწყინოთ, მაინც უნდა გითხრათ: ყველაფერს თქვენ თვითონ სჩადიხართ ეს ახალგაზრდები! დღეს სხვები წაგართმევენ, ხვალ თქვენ წაართმევთ, გვიშველეთო — გვიყვირით, “იყვირეთ და იყავით ერთბაშად გული არ გამიხეთქოთ”...

— იცი რაა? შენი უფროსი რომ მოვა უთხარი ბიჭები იყვნენ-თქო და ასე და ასე იყოო...

მიახალა ზურამ და ნიკაპში ისეთი უთავაზა, რომ საწყალი იატაკზე გათიშული დავარდა. იარაღი აართვეს. გონზე რომ მოსულიყო გრაფინიდან თავზე წყალი დაასხეს და სწრაფად იქაურობა დატოვეს.

ქალაქში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ყველაფერი ჩამკვდარიყო. ერთი ნათურაც კი არსად ენთო. დროგამოშვებით ტრასაზე მიმავალი ავტომანქანების შუქი თუ გაიციალებდა შენობების კედლებზე. ეს იყო და ეს.

ვინ იყვნენ ეს ბიჭები, საიდან მოვიდნენ ასეთ დროს საგუშა-გოზე? რა გადახდათ? რისთვის სჭირდებოდათ მორიგისათვის წართმეული იარაღი? ის კი რომ მას დამსახურებულად მიაგეს ნათელია იმ საუბრიდან, რომელიც ჩვენ უკვე ვიცით.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში კრიზისი და სრული განუკუთხაობა იყო. სახლიდან გასული კაცი უკან ცოცხალი მობრუნდებოდა თუ არა, არავინ იცოდა, ავაზაკებისა და არამზადებისათვის დიდებული დრო იდგა და ისინიც თავისუფლად თარეშობდნენ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუმცა რა ტერიტორია უჭირავს რესპუბლიკას დღესაც არაა გარკვეული. კანონის მოქმედება თითქმის შეწყვეტილი იყო. კაცისმკვლელობა, ნასამართლეობა, ნაციხრობა უპირველესი პირობა იყო იმისა, რომ სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარიყავი. შემდეგი ვისაც დასაქმებაში პრიორიტეტი ენიჭებოდა იყო უტიფრობის, უზრდელ-ხულიგან-უცოდინართა და თუ სადმე იყო სანთლით ეძებდნენ კომუნისტური პარტიიდან გარიცხულთა კატეგორიას, რომლებიც დიდად კმაყოფილნი თავიანთ მიერ დამყარებული წესრიგით და “ახალი ცხოვრებით” ააქტიურებდენენ, ძარცვავდნენ და ანგრევდნენ ქვეყანას. მარადიორობა ნებისმიერი შეიარაღებული ფორმირების ატრიბუტი გახლდათ. ნორმალური ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა გაკვირვებული და დაბნეული უყურებდა უკეთურობებს, ვერაფერს ამბობდა და ვინაიდან რაც ხდებოდა სახელი არ ჰქონდა, იმდენად საოცარი, რაღაც წარმოუდგენელი ანომალია იყო. ავაზაკები თავს ესხმოდნენ პოლიციის განყოფილებებსა და სამმართველოებს, იტაცებდნენ იარაღს, ატყვევებდნენ ადამიანებს.

წესიერი კაცი სახლიდან გარეთ ვეღარ გამოდიოდა. ღამით საკუთარ ეზოში გამოსვლაც კი თავგანწირვა იყო.

ჩვენი ნაცნობი ბიჭები: ზურა და ვახტანგი ძმები იყვნენ, ბაკურიანში ნათესავი დაკრძალეს და თბილისში, შინ მიდიოდნენ. შეაგვიანდათ, ბაკურიანიდან საღამოს წამოვიდნენ, ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ უკვე ნოემბერი იდგა. გაიარეს ბორჯომი, ახალდაბა, ტაშისკარი და ქვიშხეთის გადასახვევს რომ მიუახლოვდნენ ტრასაზე "ჟიგული" იდგა, რომელსაც გვერდით ვედრო ედგა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ბენზინი გათავებოდათ. ბიჭები გაჩერდნენ, ძირს გადმოვიდნენ და მანქანასთან მივიდნენ. შიგნით ოთხნი ისხდნენ, გაჩერებისათვის მადლობა გადაუხადეს და უთხრეს, თუ საშუალება ჰქონდათ ბენზინი მიეცათ, — აგარაში უნდა ჩავიდეთ იქაურები ვართ, თუ ბენზინი ვერ ვიშოვეთ, იმდენი კი გვაქვს ქვიშხეთში რომ ავიდეთ, ღამით იქ ნათესავთან დავრჩებით და დილით რამეს ვიღონებთო.

— ბენზინი ჩვენც ცოტა გვაქვს, მაგრამ არაუშავს, აგარის გადასახვევამდე ბუქსირით წაგიყვანთ. იქ კი თქვენი ბენზინიც გეყოფათ სახლამდე მისასვლელად.

— რადგან მაგდენ პატივსა გვცემთ, ასე გავაკეთოთ: თქვენ წინ წადით, სანამ ჩვენი ბენზინი გვეყოფა გამოგვყებით, მერე სიგნალს მოგცემთ და ბუქსირით გაგვწიეთ, როგორმე ხაშურამდე ჩავიდეთ. იქ ბენზინს ვიშოვით და მეტს აღარ შეგაწუხებთ.

შეთანხმდნენ, ადგილიდან დაიძრნენ.

— კარგია რომ გავჩერდით, თორემ მაგათ ამაღამ სახლში მისვლა არ ეწერათ, კარგი ბიჭები ჩანან, არა ვახტანგ?

— ჩვენ რომ არ გავჩერებულიყავით, ვინ იცის რას გადაეყრებოდნენ, შეიძლება მანქანაც წაერთმიათ. ღამით, ისიც ტრასაზე, ყველაფერი შეიძლება მოხდეს... იცი რა მიკვირს ზურო? სადაც არ უნდა მოხვდე საქართველოში, ხაშურზე დიდი სიმპათიებით არ ლაპარაკობენ. საკმაო უსიამოვნო შემთხვევებს მოგიყვებიან, რომელიც ხაშურთანაა დაკავშირებული. მიხვედრა მიჭირს რატომაა ასე. მე პირადად ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს აქაურობასთან, აქ კარგი მეგობრებიც მყავს და მომწონს კიდეც ეს რაიონი. ნაღდი ქართლია ძმაო, არაფრითაა გორზე ნაკლები.

— რომ იცოდე ვახტანგ! ხაშური და მისი რაიონი მართლაც განსაკუთრებული და თავისებურია. აქაურ კაცს თუ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს არ ჩავთვლით, სადაც ძალზე მწირი ანაზღაურებაა, ამ ბოლო წლებამდე, ან რკინიგზის მოძრავ შემადგენლობაზე უნდა ემუშავა, ან რკინიგზისვე "დეპოში". თავისებურია ისიც, რომ აქ მეტი შესაძლებლობები იყო ყოველთვის, ვიდრე სხვაგან, ქალაქის რაიონის, თუ რკინიგზის მილიციის განყოფილებაში მუშაობისათვის., აღარაფერს ვამბობ საგამომძიებო, სასამართლო, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებსა და სხვადასხვა უწყებებსა და ორგანოების ინსპექციებში თანამშრომლობაზე, თანაც ხაშური ხომ სარკინიგზო და საავტომობილო გზების საკვანძო ქალაქია. ქართველი, თუ სტუმრად მოსული, აზერბაიჯანსა თუ სომხეთში მიმავალი კაცი, არ არსებობს რომ ხაშურში არ მოხვდეს, რომლებიც ერთმანეთისადმი ზოგჯერ არც თუ დიდი სიმპათიებით არიან განწყობილი. თანაც ანგარიშ-გასაწევია ჩვენი ხალხის დამოკიდებულება პოლიციელების, ვაჭრების, რკინიგზელებისა თუ ნებისმიერი უწყების აგენტებისა და

ინსპექტორებისადმი, რომელთა არც თუ მცირე ნაწილი, სამწუხაროდ დიდად არ გამოირჩევა ჰუმანიზმითა და პატიოსნებით. პირველ რიგში აქ ხვდება ჩამოსული კაცი, თორემ ხაშურს ჰყავს: განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოფლის მეურნეობის, ასევე სამართალდამცავი ორგანოების დიდებული მუშაკები, შესანიშნავი ტექნიკური ინტელიგენცია, საამაყო რკინიგზელები და სპორტსმენები და სხვა მრავალი. აქ მეც ბევრი მეგობარი მყავს, არიან და არც თუ ცოტა ისეთებიც, რომლებიც...

ბიჭები ასეთ საუბარში იყვნენ, რომ სოფელ ცხრამუხის გადასახვევის გავლისთანავე უკანა მანქანამ ანიშნა გაჩერებულიყვნენ. ზურო მანქანიდან გადმოვიდა, საბარგული გააღო და ის იყო დაიხარა საბუქსირე ბაგირის ასაღებად, რომ კისერში ცივი მეტალი იგრძნო.

— ხელი არ გაანძრიო, თორემ აქვე დაგბრიდავ! გვერდზე გადექი. კარგი! ასე იდექი! მანქანა ჩვენ გვჭირდება, საქმეზე მივდივართ და უნდა წავიყვანოთ, რაც შიგაა ეგეც გვინდა, ხელი არაფერს ახლოთ.

მანქანის მარჯვენა მხრიდან ვახტანგს ორი "კარგი ბიჭი" ედგა ავტომატებით და ძირს ჩამოსვლა უბრძანეს. რა შეეძლოთ, თავისი სიბრიყვით "ჩავარდნენ" და დამორჩილდნენ კიდეც. "კარგი ბიჭები" მანქანებში გადანაწილდნენ და ხაშურისკენ მოუსვეს. გაძარცული, დამცირებული და ბოღმისაგან გაგუდული ზურო და ვახტანგი ტრასაზე დატოვეს. რამდენიმე მანქანამ გაიარა, გაჩერება თხოვეს, მაგრამ უშედეგოდ, რაღაც მეტრები ფეხით გაიარეს, უეცრად მანქანამ გაუსწროთ და გაჩერდა. მანქანიდან ზუროს მეგობარი რობინ გიგაური გადმოვიდა. ბიჭებს სახე გაუბრწყინდათ, ყველაფერს ელოდნენ რობინის გარდა... — ზურო! ვახტანგ! რა მოგივიდათ? ამ დროს აქ რა გინდათ, თანაც უმანქანოდ.

— რობო! მოდი გაკოცო... რა სიჩქარითაც შეგიძლია გაფრინდი. სასწრაფოდ ხაშურის "გაის პოსტზე" უნდა მოვიდეთ. ეს ესაა ბანდიტებმა მანქანა წაგვართვეს, იქნებ როგორმე გამოვიჭიროთ. მთელი სისწრაფით მოუსვეს.

— ბიჭებო, გაიცანით ჩემი დეიდაშვილი ლიანა მელუა, მათთან ვიყავი. ბორჯომში ცხოვრობენ, არ დავრჩი, გავრისკე და წამოვედი, რადგან თქვენ შეგხვდით, აღარაფრის მეშინია. ბენზინი გვაქვს, სადაც მეტყვით, იქ წავიდეთ.

ასეთი საუბრით "გაის" ხაშურის პოსტზე მივიდნენ და რაც იქ გადახდათ ჩვენთვის უკვე ცნობილია. მიუხედავად გარკვეული დროის დაკარგვისა, იმით კმაყოფილნი იყვნენ, რომ "მაკაროვი" ორი სავაზნე კოლოფით ხელთ ჰქონდათ.

— ზურო! ისეთი წინათგრძნობა მაქვს, მაგათ გამოვიჭერთ, რაც შეიძლება სწრაფად თბილისისკენ წავიდეთ. გზა ხომ მაინც იქით გვაქვს...

— მართალი ხარ ვახტანგ! რობო! აბა შენ იცი, მეტს არაფერს გეუბნები.

ამის თქმა იყო და საბურავების წივილით "ნოლშესტი" მოსწყდა ადგილიდან. მიჰქროდნენ მთელი სისწრაფით მხედველობა დაძაბულნი. ქარელის გადასახვევს რომ გასცდნენ, ორ ერთმანეთთან ახლო მიმავალ "ჟიგულს" დაეწივნენ. უკანას საბარგული და მარცხენა უკანა "კრილო" ჰქონდა შეჭეჭყილი. წინა მანქანა მიათრევდა ბუქსირით.

უკანაში ზურომ თავისი მანქანა ამოიცნო. წინა მანქანაში სამნი ისხდნენ, უკანაში ერთი. ტრასა დაუტვირთავი, თავისუფალი იყო.

— რობო! რაც არ უნდა მოხდეს მანქანა არ გააჩერო, წინა მანქანას გაუსწორდი და გვერდით გაყევი, არ გაასწრო, შემდეგ კი სიტუაციის შესატყვისად იმოქმედე. იცოდე მანქანიდან არ გადავდივართ, მთელი სისწრაფით წავალთ თბილისისკენ. გამიგე რას ვამბობ?

ზურომ სათქმელი დაასრულა და რობომ გადასწრების ნათურა ჩართო, წინა მანქანას გაუსწორდნენ, ისე ახლოს მივიდნენ გეგონებოდა შეეწებნენო. ვახტანგმა ჩამოწეულ გვერდით მინაში გაყოფილი "მაკაროვის" სასხლეტი დაუშვა. მობუქსირე მანქანის "მძღოლი" საჭეზე გადაეკიდა. რამდენიმე წამში შეჯახებული მანქანების ხმამ იქაურობა შეძრა, რობო წინ მთელი სიჩქარით გავარდა, რომ გითხრათ არ აინტერესებდათ, რაც მათ დევნილ მანაქანებსა და შიგ მსხდომთ მოუვიდათ, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ეს ყველაფერი ისე მოიმოქმედეს და ისე უსიტყვოდ და მშვიდად გააგრძელეს გზა, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ეს ყველაფერი მათ ჩაიდინეს. რობინმა მანქანის სალონის სარკეში, ხოლო დანარჩენებმა მანქანის უკანა საქარე მინიდან კარგად გაარჩიეს, რომ ტრასის მარჯვენა "აბოჩინის" გადაღმა კოცონი გიზგიზებდა. მათთვის ყველაფერი ნათელი იყო. შურისძიების აღსრულებამ ძმები დაამშვიდა. ავტომანქანების დაწვას არავინ ნანობდა. მეჯვრისხევის საგუშაგოსთან, ისე რომ მანქანიდან არ გადასულან პისტოლეტი "მიაგდეს" და გზა განაგრძეს. "კარგ ბიჭებს" კარგად გაუსწორდნენ.

— ზურო! ახლა მაინც მითხარი რა და როგორ მოხდა. ძირითადში მივხვდი, მაგარამ დეტალებში მაინტერესებს. თანაც გაგვაგებინე საერთოდ რისი თქმა შეგვიძლია და რისი არა.

— რობი! შენ და ლიანამ იცით მხოლოდ ის რომ ტრასაზე ცხრამუხის გადასახვევთან გვნახეთ და წამოგვიყვანეთ. გზაში ჩვენგან გაიგეთ, რომ ბანდიტებმა ავტომანქანა წაგვართვეს, გამოგყევით მცხეთამდე. ესაა და ეს. უკვე მცხეთაში ვართ, სვეტიცხოველთან ჩავალთ, ამაღამ ბიძაშვილებთან დავრჩებით.

რობომ მანქანა სვეტიცხოვლის ჩასახვევთან გააჩერა. ბიჭებს დაემშვიდობნენ და თბილისისკენ წავიდნენ.

— მაგარი ბიჭები არიან ეს შენი მეგობრები, განსაკუთრებით ვახტანგი. რა დინჯად და თავდაჯერებულად გააკეთა ყველაფერი, თითქოს არც აფიქრებს, რაც ჩაიდინა, თვალდაუხამხამებლად ოთხი კაცი და ორი მანქანა გაანადგურა. კანონი რომ კანონობდეს დახვრეტდნენ და არც თუ უსამართლოდ.

— იცი რა გითხრა?! იმაზე თუ რით და როგორ იმართლონ თავი, მხდალები ფიქრობენ. ძლიერი ამაზე არ ფიქრობს, ვინაიდან ის სამაგიეროს კი არავის უხდის, არამედ მხოლოდ აღიდგენს შელახულ რეპუტაციასა და უფლებებს ისე, როგორც ეს მას მიაჩნია სწორად და სამართლიანად. ვაჟკაცისათვის სიტყვები: არ ვიცოდი, შემთხვევით მომივიდა, გიჩივლებ, თხოვნა რომ რამე აპატიონ, საერთოდ არ არსებობს. ის მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდეა მიმტევებელი და არა ისე, რომ მტერი ხმლით მოუხტეს და ის ყვავილების თაიგულით ხელში შეხვდეს. გამიგე რას გეუბნები?

— ნეტა თუ სადმეა საზოგადოება ძალმომრეობის გარეშე. ძლიერი რომ სუსტს არ ჩაგრავდეს, სამართლიანობა ზეიმობდეს. არსებობს სადმე სამართლებრივი სახელმწიფო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით?

— როგორც მავანი და მავანი ამბობენ, რადგან ბოროტებას ისეთივე უფლება აქვს არსებობისა, როგორც სიკეთეს, არის და იქნება ბოროტისა და კეთილის ბრძოლის ასპარეზი. დღეს ჩვენ თვალწინ საზიზღარი ბოროტება მოხდა, — ძარცვა, ყაჩაღობა და კაცის კვლა, თანაც არა ერთის. შედეგი? ვითომც არაფერი. ასეთია ნამდვილი ცხოვრება...

— ასე იყო, ასე არის და ასეც იქნება?

— ჰო! ალბათ ზედმეტ-ნაკლებად... მოვედით! მადლობა ღმერთს, რომ დღეს ყველაფერი ასე დამთავრდა.

— არ ვიცი. ნამდვილად არაფერი შემიძლია ვთქვა ისეთი მომხდარის შესახებ, რომ დუმილს ჯობდეს, მაგრამ ერთი რამ კი ღრმად მწამს: სიძლიერე და ვაჟკაცობა ისაა, ნებისმიერ სიტუაციაში დარჩე კეთილშობილ კაცად.

— მე ნამდვილად ვიცი, ჩემო ლიანა, რომ კიდევ დიდხანს დარჩება კეთილ სურვილად და დღევანდელი ადამიანის უძღები ბუნებით ვერ შეძლებს, რომ ხელისუფალმა კეთილს გაამარჯვებინოს, კაცმა ის მიიღოს, რაც ეკუთვნის და რასაც იმსახურებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ კანონის უზენაესობით, რისგანაც ჩვენ საკმაოდ შორსა ვართ და იმით, როდესაც ვძლევთ "სიხარბესა ჩვენსა". რაც შეეხება დღეს მომხდარს და ნანახს, შევთანხმდეთ, რომ ჩუმად ვიყოთ.

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ...

— არ მგონია სიჩუმე რამეს წაადგეს.

— მეც ასე მგონია, მაგრამ ის რომ "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების" უდავო ჭეშმარიტებაა, რასაც ყველას ნამდვილად ვერ მოთხოვ. ამიტომაა, რომ დუმილი უმეტესწილად ოქროა. ისიც არ დაგავიწყდეს, რომ ფუჭი მრავალსიტყვაობა მხოლოდ ყბედობაა და მეტი არაფერი, რისგანაც მარტო ახლა კი არა საერთოდ გთხოვ, რომ თავი ყოველთვის შეიკავო.

1996 წელი

დიდი ლხინია ჭირთა თქმა

(დოკუმენტურ-ისტორიული მოთხრობა)

არ შეიძლება მბრძანებელთა დანაშაულობანი
გადავაბრალოთ მათ, ვისზეც ისინი ბატონობდნენ.
ვ. ჰიუგო

კლდეელი ვეისალ მარიევი და მუსხელი ბესიკ ივანიძე ახალციხის მანქანა-ტრაქტორების სადგურთან არსებულ მექანიზატორთა კურსებზე სწავლობდნენ. ის

გარემოება, რომ ვეისალის სარწმუნოება ისლამი, მშობლიური ენა კი თურქული გამხდარიყო და ეროვნებითაც თურქად იწერებოდა, ხოლო ბესიკი ენითაც და ეროვნებითაც ქართველი, თანაც მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, ბიჭებს ხელს არ უშლიდათ ემეგობრათ.

ვეისალის ოჯახში მხოლოდ დედამისმა, — ირიდამ იცოდა ქართული. როგორღაც ვეისალიც ახერხებდა ქართულად ლაპარაკს, მაგრამ მათ ოჯახშიც და სოფელშიც, ყველა თურქულად მეტყველებდა. ირიდას სურვილის მიუხედავად, რომ მის შვილებს ქართული ენა სცოდნოდათ, ვეისალის გარდა არც უფროსმა ძმამ — მიხეილმა და არც ქალიშვილმა ქართული არ ისწავლეს. 500 კომლიან სოფელ კლდეში, ამ დროისათვის არცერთი ქრისტიანი ოჯახი აღარ იყო. კლდეელებმა იცოდნენ, რომ წარმოშობით ქართველები იყვნენ, მაგრამ თავიანთ თავს უკვე "თურქს" უწოდებდნენ. მათ ისე, როგორც მარინაშვილებს, რომლებიც უკვე მარიევებად იწოდებოდნენ, ენა, გვარი და სარწმუნოება დაკარგული ჰქონდათ.

კურსების დამთავრების შემდეგ ბიჭებს მანქანა-ტრაქტორების სადგურის სხვადასხვა ბრიგადებში მოუწიათ მუშაობა, მაგრამ მეგობრები ერთმანეთს ოჯახებში აკითხავდნენ, სავალდებულო-სამხედრო სამსახურიც ერთ ოცეულში მოიხადეს, ხოლო შინ დაბრუნებულები ორივე ერთ წელს დაქორწინდნენ. ბესიკი თავის მეუღლე სოფიოსთან ერთად მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა — ქალ-ვაჟს ზრდიდნენ. ვეისალი სამი ბიჭის მამა გახდა. უფროსს ბაბუის სახელი სარვარი დაარქვა, შუათანას მეგობრის სახელი — ბესიკი, ხოლო უმცროსს, ფინეთის ომში დაღუპული ცოლისძმის სახელი — საბირი.

ენითაუწერელი წამების და განსაცდელის მიუხედავად, მუსხელებს არც მართლმადიდებლობა დაუკარგავთ და არც მშობლიური ქართული ენა, თუმცა მათ გარშემო ისეთი გარემოცვა სუფევდა, რომ ყველა მათგანი თურქულად საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა და ამ მხრივ არც ბესიკი იყო გამონაკლისი. ვეისალი სთხოვდა, რომ ერთმანეთთან ქართულად ელაპარაკათ, მაგრამ ვინაიდან ბესიკიც თავს იწონებდა თურქულის ცოდნით, ორივე ენაზე უხდებოდათ საუბარი. ირიდას სურვილის მიუხედავად, რომ ბავშვები ახალციხის ქართულ სკოლაში შეეყვანათ, ვეისალის ინიციატივით რუსულ სკოლაში მიაბარეს. იმხანად რუსული სკოლებისკენ ლტოლვა საერთო მოვლენა იყო, რის გამოც სამცხე-ჯავახეთში საქმე ისე წარიმართა, რომ ბევრი ქართველი, სომეხი, "თურქი", ბერძენი თუ ებრაელი მიუხედავად იმისა, რომ ეროვნებით იგივე რჩებოდა, რახან რუსულ სკოლას ამთავრებდა, მშობლიურ ენად რუსულს აღიარებდა. ფატიმას (ვეისალის მეუღლეს) არ ესიამოვნა, რომ ვეისალმა უარყო დედისა და მისი სურვილი და შვილები რუსულ სკოლაში შეიყვანა, მაგრამ ხმამაღლა სიტყვიერად არაფერი უთქვამს, თუმცა იმის გაფიქრება, რომ ვეისალს, წარმომავლობით ქართველს, ქართველობისკენ უკვე აღარაფერი ეწეოდა, გულს უკლავდა. მითუმეტეს, რომ ფატიმას მშობლიურ ოჯახში (შუბლაძის ქალი იყო) მხოლოდ და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, რაც მარინაშვილებში უკვე წაშლილი იყო, რის აღდგენასაც

უკვე ვეღარაფრით შეძლებდა. მცირემცოდნე ფატიმას ვერ გაეაზრებინა, რომ ადამიანები და მითუმეტეს ქართველები, რწმენასა და ეროვნებას ჰაიჰარად არც და ვერც იცვლიან, ამას ვინც სჩადის, უმეტეს შემთხვევაში ეს მის კაიკაცობაზე სულაც არ მეტყველებს. საუკუნეები დასჭირდა მართლმადიდებელ ქრისტიან ქართველთა ისლამის, რჯულზე მოქცევას და მათი ერთი ნაწილის "გათურქებას". პირუკუ პროცესს კი, თუ ეს საერთოდ საჭიროა, ალბათ ერთი ამდენიც არ ეყოფა, ან კი ვინაა იმის ობიექტურად განმსჯელი, არის კი საჭირო ეს მოხდეს?.. სასურველი ხშირად რეალობისგან საკმაოდ შორსაა, რის გამოც გონიერი ადამიანები რეალობას ანგარიშს უწევენ, და უაზრო, მეტიჩრული "ფუსფუსისგან" თავს იკავებენ.

1941 წლის 22 ივნისს, მეორე მსოფლიო ომის ქარბორბალა თავს დაატყდა საბჭოთა ქვეყანას. ადოლფ ჰიტლერმა "კბილებამდე" შეიარაღებული კარგად გაწვრთნილი არმია, რომლის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფისთვის მუშაობდა მის მიერვე ოკუპირებული თითქმის მთელი ევროპა დაძრა "ბოლშევიზმის გასანადგურებლად" და არა მარტო ტერიტორიების დასაპყრობად და მკვიდრი მოსახლეობის დასამორჩილებლად. ვეისალ მარიევი და ბესიკ ივანიძე, როგორც "ოქროს რეზერვი" ომის დაწყების პირველივე დღეს მოქმედ არმიაში გაიწვიეს. ბიჭები და მათი ოჯახის წევრები ღვთის წყალობად თვლიდნენ, რომ ერთ ასეულში მოხვდნენ, მიაჩნდათ, რომ რადგან ერთად იყვნენ, ერთმანეთის გვერდიგვერდ იბრძოდნენ, სიძნელეებს იოლად გადაიტანდნენ და არაფერი დაუშავდებოდათ, მაგრამ ვაი რომ დაუშავდათ და მერე როგორ.

ერთ-ერთი შეტევის დროს, ბესიკს "მინის" ნამსხვრევმა მარჯვენა თვალი გამოსთხარა. გონებადაკარგული, ვეისალმა საველე ლაზარეთში მიიყვანა, თვითონ უკანგამობრუნებული ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა. ამის შესახებ ბესიკს ლაზარეთში შეხვევაზე მისულმა მსუბუქად დაჭრილმა, თავისი ოცეულის მეტყვიამფრქვევემ უთხრა. რა ექნა, ფეხზე ვერ დგებოდა, წონასწორობას ვერ იცავდა, ფეხზედაც რომ მდგარიყო, ან კი რას გააწყობდა. ფიქრი იმისა, რომ ის ლაზარეთში წასაყვანი არ გამხდარიყო, ვეისალს არაფერი დაუშავდებოდა, ტანჯვად ექცა, ვეისალის დაღუპვაში თავი "დამნაშავედ" მიიჩნია, თუ შინ ცოცხალი დაბრუნდებოდა, ვერ წარმოედგინა, რა უნდა ეთქვა ოჯახის წევრებისთვის. გადაწყვიტა სახლში წერილები აღარ გაეგზავნა, გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტზე დაბრუნებულიყო და ჯავრი მტერზე ეყარა, მაგრამ აქაც არ გაუმართლა — სამხედრო-სამედიცინო კომისიამ მოქმედ არმიაში სამსახურისთვის უვარგისად სცნო და გამოჯანმრთელებული შინ გამოისტუმრეს. უძლურების უსიამოვნო შეგრძნებით გამოწვეულმა რეალობამ, ბოღმა მოჰგვარა, მაგრამ რას იზამდა, ბედს შეურიგდა.. ნოვოროსიისკიდან ფოთამდე გემმა მოიყვანა, ფოთიდან ხაშურამდე მატარებლით იმგზავრა, მგზავრობის მე-5 დღეს უკვე ბორჯომში იყო და ტრასაზე მდგომი, მოთმინებით, ახალციხისკენ მიმავალ ავტომანქანას ელოდა. დაბინდებისას სამხედრო ავტომანქანის კოლონამ გამოიარა, თხოვნის შემდეგ ნება დართეს და სხვა მგზავრებთან ერთად "ფორდის" ძარაზე მოთავსდა. არავის გამოლაპარაკებია. ნატრობდა

შინ ისე მისულიყო ნაცნობს არ გადაჰყროდა. შემდეგ... შემდეგ კი ვეისალის ოჯახს მოინახულებდა და უბედურებას გაუმხელდა. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მათ ამის შესახებ შეიძლება სცოდნოდათ. არ იცოდა, რომ ნაწილიდან ოჯახებს ტელეგრამით ატყობინებდნენ ომში დაღუპულ ახლობელთა შესახებ დროულად და მაქსიმალური სიზუსტით, ვინაიდან ომში დაღუპულთა ოჯახები სახელმწიფოსგან სოლიდურ შეღავათებსა და დახმარებებს იღებნდნენ, რაც მათი არსებობის მნიშვნელოვანი წყარო იყო. აწყურამდე მანქანიდან არავინ ჩასულა, შემდეგ კი ყოველ სოფელში, თუ სოფლის გადასახვევთან ავტომანქანას აჩერებდნენ და ძარაც მგზავრებისგან იცლებოდა. სოფელ კლდის გადასახვევთან რამდენიმე მგზავრი ჩავიდა, ფიქრებში წასული ბესიკიც თავისდაუნებურად ძარიდან ჩახტა და, როდესაც ავტომანქანა წავიდა, მაშინ მიხვდა, რომ იქ კი არა, 20 კილომეტრის იქით, მუსხის "კონწიალა" ხიდთან უნდა ჩასულიყო. ხელი ჩაიქნია, უფლის ნებაო იფიქრა და სოფლისკენ სხვებთან ერთად გაემართა. ჩუმად მიდიოდნენ, დუმილი ასაკოვანმა მამაკაცმა დაარღვია. ვისთან მიბრძანდებით ბესიკს შეეკითხა. ბესიკმა თავის შესახებ მოკლედ უამბო, ბოლოს დასძინა: — ჩემი ძმადნაფიცის, ვეისალ მარიევის ოჯახში უნდა მივიდე, მისი დაღუპვის ამბავი უნდა გავაგებინოო.

— თქმა არ დაგჭირდება, ირიდამ ორი თვის წინ ტელეგრამა მიიღო. ყველაფერი იციან. აი, მათი ეზოს ჭიშკარიც... უთხრა მოხუცმა და გზა გააგრძელა. ბესიკი ჭიშკარს მიადგა. გაცოფებული ნაგაზი მესერს ეცა. უმთვარო ღამე იყო. კარი გაიღო, ეზოში ბიჭი გამოვიდა, ძაღლს გაუჯავრდა და ვინა ხარო, სიბნელეში გასძახა. ბესიკი ეზოში შევიდა, ძაღლს და ბიჭს გვერდი აუარა და წინკარში გაჩერდა. კარიდან გამომკრთალ "ლამფის" მკრთალშუქზე ბესიკმა სარვარი იცნო, ძია ბესიკი ვარ — უთხრა და გულში ჩაიკრა. ღია კარში ხმამ შეაღწია და ყველასათვის ცნობილი გახდა ვინც ეწვიათ. შეეგებნენ. აცრემლებული ირიდა ეფერებოდა, კოცნიდა, გულდამწვარი დედა გულში იკრავდა შვილადმიღებულ, ომში დაღუპული შვილის ძმადნაფიცს. ქვითინს ძლივს იკავებდა, უფრთხოდა, ნაომარი ვაჟკაცისთვის ტკივილი არ განეახლებინა, მაგრამ როდესაც ცრემლი ბესიკსაც მოეძალა, ქალები თავშეუკავებლად ატირდნენ. ბოლოს დაწყნარდნენ და საუბარი გააბეს. სახელდახელოდ სუფრა გაშალეს. წარსული გაიხსენეს. ბესიკმა ბევრი ეპიზოდი უამბო საფრონტო ცხოვრებიდან. მოჰყვა იმ უბედურ შემთხვევაზეც, რომელმაც ვეისალი იმსხვერპლა... შემდეგ კი საკმაოდ მორიდებულად თავისიანები მოიკითხა.

— აქეთ ხომ არ ყოფილან. ნახევარ წელზე მეტია აღარაფერი ვიცი, წერილი აღარ მომიწერია...

— ხვალ დილით სოფიო და ნიკო ორთვალათი ჩამოვლენ. ვარია ვაჩუქე და უნდა წაიღონ... ვენაცვალე, უკვე დიდი ბიჭია.... ორი კვირის წინ მე და ფატიმა ვიყავით მუსხში... დედა აღარ გყავს შვილო, მე-17 დღეა რაც დავკრძალეთ... ფილტვების ანთებით დაიღუპა... შენს დაბრუნებას მაინც მოსწრებოდა უბედური...

ირიდა თავშეუკავებლად აქვითინდა. დედის გარდაცვალების ამბავმა ბესიკი დიდად შეაღონა. ხმამაღლა ტირილისგან თავს ძლივს იკავებდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. რამდენჯერმე ისე ამოიოხრა, გეგონებოდა გულს ამოაყოლებდა. მამა არ ახსოვდა, თვალწინ წარმოუდგა შინ ნაქსოვი შავ შალის კაბაში ჩაცმული მზისგან სახეგარუჯული ქალი, რომელსაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ორი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა გასაზრდელი. საქონელი ჰყავდათ, ხეხილის ბაღსაც ცუდი არ ეთქმოდა, მაგრამ მარტოხელას რამდენი უნდა ეშრომა, რომ ოჯახი არ წაექცია, ობლები დაეზარდა. მოხდენილი გარეგნობის ქალი იყო და ამ "სიმდიდრესაც" ხომ გაფრთხილება უნდოდა, მისი მწუხარებით მუსხში ყველა როდი იყო გულშეღონებული. თავი გადადო. შვილები დაზარდა. მაყვალა ახალციხეში გათხოვდა, კარგი მეუღლე შეხვდა. ხოლო ბესიკის პირველი შვილი, ნიკო რომ ხელში იაყვანა, გახარებულმა სველი თვალებით წარმოთქვა: ახლა კი ვეღარაფერი მომკლავსო, მაგრამ აკი არ გაუმართლა, 57 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ღამემ მშვიდად ჩაიარა. დილით მოგვიანებით გაიღვიძა. ჩაიცვა, ეზოში გამოვიდა. ქალები სამზარეულოში ტრიალებდნენ. ეზოს კუთხეში სარვარი ჭედილას ატყავებდა. იქვე იყო ვეისალის უფროსი ძმა მიხეილიც. ნაომარ ვაჟკაცს ორივე ფეხი მუხლის სახსარში ჰქონდა მოკვეთილი და როლიკებიან ფიცარზე დაკრული დაგორავდა. ირიდა და მიხეილის მეუღლე მადინა, რომელიც ფატიმას ბიძაშვილი იყო, ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ მიხეილი ცოცხალი დაუბრუნდათ. მიხეილს და მადინას შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ ამაზე არც ნერვიულობდნენ. ვეისალის შვილები ჩვენი არ არიანო, ეტყოდა ხოლმე გულწრფელად მადინა ქმარს და მართლაც ბავშვებს თავს ევლებოდნენ. ცოლ-ქმარმა ბესიკის ნახვით გაიხარეს. მიხეილმა ძმურად გადაკოცნა, თავისდაუნებურად ლოყა ცრემლით დაუსველა, ძმის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი განუახლდა, რამაც მხარბეჭიანი ხეიბარი ცრემლად აქცია, თუმცა მყისვე მოწესრიგდა და საუბარი წამოიწყეს. თვალი ორივეს გზისკენ ეჭირა, სოფიოსა და ნიკოს ელოდნენ. ირიდამ საუზმეზე მიიპატიჟა, თან მეზობლად მცხოვრებ ეზოში გამოსულ ვეისალის დეიდაშვილს გადასძახა: საუზმეზე გვეწვიე, სტუმართან დაგვამშვენეო. რეზამ ბესიკი იცნო და მათკენ გამოემართა, მიეახლა, მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და სუფრას მიუსხდნენ. "თათარბერაგი" ეგემრიელათ. სარვარმა მწვადი მოართვათ, თითო ჭიქა თუთის არაყი გადაჰკრეს, კარაქი და თაფლი დააყოლეს, რიგიანად დანაყრდნენ და სუფრიდან აიშალნენ. სოფიოსა და ნიკოს დაგვიანება აფიქრებდათ, მაგრამ ხმამაღლა არავინ არაფერს ამბობდა.

— დაიგვიანეს! ცხენზე შეჯექ და გაუდექი! — უთხრა სარვარს ირიდამ.

— ბიჭი შინ დარჩეს, მე წავალ, თუ შემხვდნენ, ერთად მოვალთ, თუ მუსხში მომიწია ასვლა და ადრე ვერ დავბრუნდი, ხვალ დილით ადრიანად ჩამოვალ.

ბესიკს დაეთანხმდნენ და ისიც "ტაგირაზე" ამხედრებული ორღობეში გაუჩინარდა. მუსხის წისქვილთან მისულმა საათს დახედა, თერთმეტი სრულდებოდა, წყნარი, ზაფხულის მზიანი დღე იდგა, "დელიბაშების" ბაღების აღმართი აათავა, "ახდილასთან" ცხენი ააჩქარა და სოფელში შევიდა. აგერ მათი სახლი, ეზოსთან ხალხია შეგროვილი, სოფიო და ნიკოც იქვე დგანან, ცხენი მარგილზე გამოაბა, დააკვირდნენ,

თვალახვეული ეუცხოვათ, მაგრამ სწრაფადვე იცნეს და მოეგებნენ, მეუღლეს მოეხვია, ნიკო გულში ჩაიკრა, გოგონამაც მოირბინა, მამას ყელზე მოეჭდო... ყველაფერი რიგზეა, დედის ამბავი იცოდა, მაშ რაშია საქმე, რა მოხდა? მალე ყველაფერი გაირკვა.

მუსხის მეზობლად სოფელ ენგიქვევში "თათრები" ცხოვრობდნენ, რომლებიც ომამდე თუ მხოლოდ ეჭვმიტანილები იყვნენ ქურდობაში, ახლა აშკარად ყაჩაღობდნენ. დღისით, თუ ღამით, როგორც კი მოახერხებდნენ საქონელს იტაცებდნენ ქართული სოფლებიდან, რომლებიც მხოლოდ სამად-სამი იყო მთელს ურავლის ხეობაში: მუსხი, წყორძა და ანდრიაწმინდა. იმ ღამით ბესიკი რომ მარიევებთან სტუმრობდა, მათ უბანს დაეცნენ.

— წუხელ "ფარას" დაჰკრესო, უთხრეს ბესიკს თანასოფლელებმა. მართლაც კარგაძალი პირუტყვი გაერეკათ. დაზარალებულთა შორის ბესიკის ოჯახიც იყო, ცხვარ-ძროხა მთლიანად წაესხათ. მხოლოდ ცხენს არ შეხებოდნენ, ხალხი ბჭობდა რა ეღონათ. "მთავრობაში" ჩივილს აზრი არ ჰქონდა, პასუხისმგებელი მუშაკების უმეტესი ნაწილი "თათრები" იყვნენ. "თათარი" იყო მათივე სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეც. პარტიის რაიკომის პირველი მდივნის — აღა სულთანოვის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, მართალია ამ თანამდებობაზე გიორგი კერვალიძე დაინიშნა, მაგრამ "ახალი კაცი" იყო და იმხანად სიტუაციას ჯეროვნად ვერ ფლობდა. გამოცდილებით ისიც იცოდნენ, რომ ძალოვანი და სამართალდამცავი ორგანოები მათ სასიკეთოდ არაფერს გააკეთებდნენ. "თავგამოდებული პუნქტუალობით" საქმეს იქამდე გაწელავდნენ, სანამ დანაშაულის კვალი არ დაიკარგებოდა, მერე კი ღმერთმა უწყის რამდენ ფურცელ ქაღალდს ააჭრელებდნენ პირობა ისიც იფიქრეს, რომ კაცები გაეგზავნათ მოსალაპა-რაკებლად ენგიქვევში, რაზეც ახალგაზრდები არ დათანხმდნენ და მეტისმეტად ცხარობდნენ: გაგვიძეხი, ენგიქვეველები ვინ არიან, "ერთიან დავუვლითო", ეუბნებოდნენ ბესიკს. ერთი პირობა ბესიკიც აჰყვა, მაგრამ შემდეგ გონება მოიკრიბა, დაფიქრდა, რაღაც მნიშვნელოვანი გაიაზრა და ბიჭებს უთხრა: თვითონ შევარჩევ თუ ვინ გამომყვეს, მხოლოდ საჭიროა საღამომდე მოვიცადოთო, შემდეგ ტაგირაზე შეჯდა, ბიჭები ისევ და ისევ გააფრთხილა საღამომდე დალოდებოდნენ და ახალციხისკენ გაჰქუსლა. მოსახვევამდე თვალი გააყოლეს, თავიანთ მდგომარეობასა და ზარალზე ბჭობა განაგრძეს. მუსხიდან წამოსვლიდან ნახევარი საათის შემდეგ, ბესიკმა სოფელ ჭაჭარაქთან ჭალისკენ გადაუხვია, მდინარე ფოცხოვში გავიდა და სოფელ კლდეში, მარიევების სასახლეს მიადგა. გამოხედეს, სარვარმა ცხენი ჩამოართვა, ეზოში დასხდნენ, ბესიკმა დაწვრილებით უამბო, რაც სჭირდათ. – ირიდა დეიდა! თუ თქვენთვის ძნელი არაა, გვეცით პატივი და ენგიქვევში თქვენს სიძესთან, იბრაგიმასთან, ერთად ავიდეთ, იქნებ როგორმე მშვიდობიანად მოვრიგდეთ.

— დარწმუნებული ხართ, რომ პირუტყვი ნამდვილად ენგიქვეველებმა გაიტაცეს? იკითხა ირიდამ და როდესაც ბესიკის დამაჯერებელი პასუხი მოისმინა, მგზავრობის თადარიგს შეუდგა.

ორთვალა, რომელზედაც ირიდა და ბესიკი ისხდნენ, ენგიქვევში ირიდას სიძის იბრაგიმის სახლთან გაჩერდა. მოსულებს იბრაგიმის მეუღლე, ირიდას და თამილა მოეგებათ, სახლში თვითონ და ბავშვები იყვნენ. იბრაგიმს მშობლები აღარ ჰყავდა. ერთადერთი ძმა — მუსა მოქმედ არმიაში იყო გაწვეული, თვითონ იბრაგიმი ბრტყელტერფიანობის გამო არმიაში არ გაიწვიეს, ალბათ მისი ეს ფიზიკური ნაკლი იყო მიზეზი, რომ ძნელად ასატანი, მეტად ცუდი ხასიათის კაცი გახლდათ. პირქუშობისა და სახის კანის სიშავის გამო სოფლელებმა ყარა (შავი) დაარქვეს. მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა, დიდ-პატარა ყარას ეძახდა. ამ შერქმეულ სახელს ისე იყო შეჩვეული იბრაგიმი, რომ დაგეძახნა, არც მოგხედავდა, მითუმეტეს, რომ ენგიქვევში იბრაგიმი ბევრს ერქვა, ყარა კი მის მეტს არავის.

— ირიდას სიძე არ უყვარდა. თამილა თოთხმეტი წლის იყო, როდესაც ყარამ და მისმა ამფსონებმა გაიტაცეს. ხალილოვებს არც კი უფიქრიათ, რომ ვიღაც მენახირე ქურთის შვილი, მათი ქალიშვილის მოტაცებას გაბედავდა. ამიტომ იყო, რომ დროულად კვალს ვერ მიაგნეს, ხოლო როდესაც ყველაფერი გაირკვა, საკმაოდ გვიანი იყო. მდგომარეობას ასე თუ ისე შეეგუენ, მაგრამ ყარა დასანახადაც კი სძულდათ. შემთხვევიდან შემთხვევამდე, მხოლოდ ირიდა დადიოდა ხოლმე ენგიქვევში დის მოსანახულებლად. ბესიკმა ეს ყველაფერი კარგად იცოდა და ამიტომ სთხოვდა ირიდას ყარასთან შუამდგომლობა გაეწია, რადგან ისიც კარგად უწყოდა, რომ მთელი ურავლისა და ხეოთის წყლის ხეობაში ყარა იბრაგიმას გარეშე არაფერი ხდებოდა. ირიდამ ყარა მოიკითხა, თამილამ არ იცოდა სად იყო, მაგრამ ის კი უთხრა, რომ ღამით სახლში არ ყოფილა, წინა საღამოს წასვლისას დამიძახა: ხეოთში უნდა ავიდე, დილით დეიდაშვილებს საქონელი მაიკეთში უნდა ავარეკინოო. თამილასთვის მეტი აღარაფერი უკითხავთ. ერთმანეთში რაღაც მოილაპარაკეს, ორთვალადან ტაგირა გამოხსნეს, ყარას ლაგამ-უნაგირით აღკაზმეს და თამილას გამოეთხოვნენ. ბესიკი ფეხით დაადგა მუსხის გზას, ხოლო ტაგირაზე ამხედრებულმა ირიდამ ჩადრი მოიფარა და ხეოთისკენ წავიდა.

სოფელში მობრუნებულ ბესიკს, კოლმეურნეობის გამგეობის შენობასთან, ბლომად ხალხი დახვდა შეკრებილი. ურავლიდან სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტაშტანა რიდვანოღლიც იყო მოსული, რომელიც ეჭვს გამოთქვამდა ენგიქვეველების მიერ პირუტყვის მოტაცების თაობაზე, რითაც ისედაც აღელვებულ მუსხელებს, კიდევ უფრო აღიზიანებდა. მისი იქ ყოფნა არავის სიამოვნებდა, ბესიკიც ზრდილობისთვის მიესალმა და ცივად მოიკითხა. ტაშტანამ მოკითხვის ნაცვლად, მბრძანებლური ტონით მიმართა:

— მითხრეს საქმის გასარჩევად იყავი წასული, რა ქენი, გააკეთე რამე?

— ყარა იბრაგიმასთან ვიყავი ენგიქვევში, შინ არ იყო.

ტაშტანა მიხვდა, რომ ბესიკი მეტს არაფერს ეტყოდა და იქაურობას გაეცალა. ხალხს ზარალი მოეთვალა, 50 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 70 სული ცხვარი იყო გატაცებული. შვიდი ოჯახი დაეყაჩაღებინათ. ბესიკმა მოუსმინა და უთხრა, რომ ამაღამ ყველაფერს შეიტყობთ, რითაც განვსაზღვრავთ როგორ ვიმოქმდოთო. დაიშალნენ. მოილაპარაკეს, რომ დილით ისევ შეკრებილიყვნენ. რა ექნათ? რაღაც ხომ უნდა ეღონათ, რითიმე თავი ხომ უნდა ენუგეშებინათ, იარაღი აღარავის ჰქონდა, მილიციამ ქართულენოვან მოსახლეობას მამა-პაპისეული ხანჯლებიც კი ჩამოართვა, მაშინ როდესაც თურქულენოვან მოსახლეობაში ასეთის გაკეთება არც უცდიათ. ძალოვანი და

სხვადასხვა ორგანოების ასეთი და ამის მსგავსი საქმეები, ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ შუღლი და მტრობა გაღრმავებულიყო. ვისაც ავისმქნელთა დევნა და ალაგმვა ევალებოდა, მათთან პირი ჰქონდა შეკრული და "ნაალაფარს" ერთმანეთში იყოფდნენ.

ბესიკის შინ მშვიდობით დაბრუნებამ მის ახლობლებსა და ოჯახის წევრებს დიდი სიხარული მოუტანა, ყველაფერი დროებით მიივიწყეს და ბესიკთან ერთად სოფიოს გაწყობილ მაგიდას მიუსხდნენ. ფრინველის გარდა მართალია დასაკლავი აღარაფერი ჰყავდათ, მაგრამ ქათმისა და ბატის ხორცი, ახალი ყველი და კარაქი, ბოლოკი და მწვანილი, მწნილი, ხორბლის ფქვილის შინ გამომცხვარი ფუშფუშა პური, თაფლი, ნიგოზი და თხილი, უხვად ჰქონდათ, თუთისა და ჭანჭურის არაყი კი არასოდეს ჰკლებიათ მუსხელებს. ისაუბრეს, იმხიარულეს, სატკივარიც გაიხსენეს, ბოლოს "წამსვლელ-დამრჩენისაც" დალიეს და ეზოში გამოვიდნენ. მათი ქუჩაში გამოსვლა იყო და სახლთან ორთვალა გაჩერდა, ჩადრიანი ქალი გადმოვიდა, ორთვალადან გამოუხსნელად ცხენი მარგილზე გამოაბა, უბრათ გვერდი აუარა და სახლში შევიდა. ვერავინ იცნო ვინ იყო, მხოლოდ ბესიკი მიხვდა, რომ ირიდა დაბრუნდა ხეოთიდან. სტუმრებმა მასპინძლებს ძილინებისა უსურვეს და სახლებისკენ შარაგზას გაუყვნენ. უბანი დაწყნარდა. შინ შემობრუნებულ ბესიკს ირიდას გამომეტყველება არც თუ უიმედო ეჩვენა, დაელოდა რას იტყოდა. — საქონელი დარანეთში, საყუნეთლების ბინაზე აურეკიათ. ცხვარი მათთან არაა. ყარამ თქვა: ღობიეთელებმა თავისთან წაასხესო. მათთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა, ბესიკ შვილო! ღობიეთელი "თოფალი მურადა" არაფერს დაგიბრუნებთ, პირიქით, შემოგედავებათ: დაგვაბრალეთ, ცილი დაგვწამეთო. რაც შეეხება ყარას, მითხრა, რომ დარანეთში საყუნეთელების ბინას უნდა დაეცეთ, მწყემსი გათოკოთ და საქონელი გამოირეკოთ. ყარა ისე მოაწყობს, რომ არავინ დაგედევნებათ. თქვენი საქონელი ცალკე ფარეხში ეყოლებათ. ამას იმიტომ გააკეთებს, რომ ახლა თავის წილად, მხოლოდ ძროხას აძლევენ, თქვენგან კი უღელი მოზვერიც უნდა მიიღოს. ყარა რომ ბინძური, უნამუსო კაცია ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ... თქვენი გადასაწყვეტია, რა გირჩევნიათ 47 სული საქონელი დაიბრუნოთ, თუ ორმოცდაათივე დაკარგოთ? ამაღამ ყარა ენგიქვევშია, ხვალ საღამომდე დაგელოდებათ, პასუხი უნდა აცნობოთ, თანაც ეს საქმე არ უნდა გახმიანდეს, თორემ არაფერი გამოვა, ეგენი ყარასაც მოიცილებენ, მაგათში რამდენიმე თურმე კონტრაბანდისტია, ყარა მათ ჩუმად აკეთებს ამ საქმეს. დიდძალი პირუტყვი ჰყავთ დარანეთში მოგროვილი, ამ დღეებში საზღვარზე გადარეკავენ გუმბეთის გავლით. თურქეთიდან იარღი შემოაქვთ, არ ვიცი, ვის და რისთვის აიარაღებენ, მაგრამ არამგონია ჩვენს სასიკეთოდ აკეთებდნენ რამეს. ყარა მარტო უნდა ნახო, ფრთხილად იყავი, მეტისმეტი არამზადაა, ეცდება იქით ისინი გააცუროს, აქეთ თქვენ. ერთი სიტყვით თქვენი საქონელი უნდა მოიტაცოთ და ამაში ხელშეწყობისთვის ყარამ ერთი ძროხა და ორი დასახედნი მოზვერი უნდა მიიღოს... კარგად იფიქრეთ, უარესს არაფერს გადაგკიდოთ... ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ყარასთან ახლო ურთიერთობა აქვს ერთ თქვენ სოფლელ ბიჭს, რომელსაც პორფილეს ეძახდა, გვარი ვერ გავიგე. კარგად დააკვირდი შენ თანატოლებს და თვითონ გამოიცნობ ვინცაა.

— ვიცი უკვე ვინცაა. ეგ ერთადერთი ქართველია, რომელიც "ახალგაზრდა თურქთა საზოგადოების" წევრია. ჩვენ მაგასაც გამოვიყენებთ რომ ვიმოქმედოთ, ყარას და მის ამფსონებს რომ არ გავურიგდე, სოფელს რა ვუყო, ბოღმა ახრჩობთ, სისხლი რომ

დაიღვაროს ვინღა იქნება გამკითხავი. ხომ არ აჯობებს ენგიქვევში მთელი სოფელი ავიდეთ, იქნებ შეშინდნენ, მუქარამ გაჭრას.

— არ ჩაიდინოთ! იტყვიან ქართველები ამოვიდნენ და ამოწყვეტა მოგვინდომესო, აქეთ^გიჩივლებენ. ან იარღს გამოიყენებენ, დაგაზარალებენ და პასუხსაც არავინ მოსთხოვთ. მაგათ ბევრს პატიობენ... აჯობებს მარტო მიხვიდე ყარასთან. შეატყობ რას აპირებს. თავის სახლში არა მგონია რაიმე გავნოს, არც ისე ბრიყვია, რომ არ გაიაზროს, — შენი მასთან მისვლა, სხვამ თუ არა, მე ხომ ნამდვილად ვიცი.

გამთენიისას ირიდა შინ გაემგზავრა. სოფიოს დაჰპირდა: ამ დღეებში ამოვალ, მთელი ორი კვირა თქვენთან ვიქნები, ურავლის წყლით უნდა ვიმკურნალოო.

ენგიქვევში, ყარა იბრაგიმს ბესიკი მზის ჩასვლისას ეახლა. ძაღლის ყეფაზე იბრაგიმმა გამოიხედა, მისული რომ გაიგო ვინც იყო, შინ შეიპატიჟა, ოთახში მარტო იყვნენ. იგრძნობოდა რომ თამილა და ბავშვებიც შინ იყვნენ. რაც ბესიკს კარგად ენიშნა.

— მაგარი ბიჭი ყოფილხარ ამ დროს მოსვლა რომ გაბედე... ერთი დასტვენა და... ყარას იცნობენ და უსმენენ კიდეც...

— ჯერ ერთი, სტუმარი ვარ, თანაც შენი მოწვევით მოსული. კიდევ ის რომ, დასტვენა მეც შემიძლია გამგონის გასაგონად... ასეთი საუბარი არ გინდა, პირდაპირ მითხარი, რა გავაკეთოთ რომ, საქონელი დავიბრუნოთ. შენ პირადად რას გვპირდები და რას ითხოვ ჩვენგან.

— მე, არაფერს! მაგ საქმეში საერთოდ არ ვურევივარ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ საყუნეთლების ბინაზე უცხო საქონელია მისული... ირიდას პირით ეს გაგაგებინეთ. ახლა თქვენი საქმეა, ადით და გამორეკეთ, თუ თქვენია ხომ კარგი, თუ არა.... ყაჩაღობისთვის მილიცია მოგკითხავთ.

— გასაგებია, მაგრამ მე სხვაგვარად გადმომცეს შენგან დანაბარები...

— ალბათ შეეშალათ, კარგად ვერ დაიხსომეს. იცი რას გეტყვი? მე გაგაგებინეთ რა და როგორ, ხელს გიწყობთ, გეხმარებით, თუ ივარგებთ და საქმეს გამოაწყობთ, მე ჩემი უნდა მივიღო, ესაა და ეს. რაა?... ეჭვობთ?... არ გაწყობთ?... მაშინ იმ საქონლის ნაკვალევსაც ვერ ნახავთ.

ბესიკი მიხვდა, რომ იბრაგიმასთან საქმის დაჭერა მართლაც დიდი რისკი და უაზრობა იყო. ადვილი შესაძლებელი იყო თავისი ხალხი ჩაესაფრებინა, დარანეთში ასული მუსხელები გაეთოკათ, როგორც საქონლის ქურდები და ვინ იცის მერე ვისთან და რა ფასად მოუწევდათ მორიგება. მოქმედების გეგმა სწრაფად შეცვალა და ყარას უბრალოდ მხოლოდ “ზრდილობისთვის” ელაპარაკა, თანაც, როგორც სწორი სწორს და არა რაღაცის მახვეწარი. ეზოში გამოვიდა, ცხენი მარგილიდან ახსნა.

— შევცდი, რომ მოვედი... მეგონა ამ საქმით დაინტერესებული იყავი და საქონლის დაბრუნებას შეძლებდი. ვიფიქრეთ, რადგან ასეთ კარგ საქმეს აგვარებდი, ერთი ძროხა და უღელი ხარი გვეჩუქებინა. ხოლო “ბიჭებს” საკლავს დავუტოვებდით... შერიგების პურს ვჭამდით... ჩვენ რომ საქონლის მოტაცება გვდომოდეს და შეგვეძლოს, მაშინ მოსალაპარაკებლად შუამავალს რატომ მოგიგზავნიდით... წავედი! ამ საქმეზე მეტს ნუღარც თქვენ “იჯავრებთ” და ჩვენც აღარ შეგაწუხებთ. მაგ საქონელზე დადგეს თქვენი ქონება და ჩვენი ზარალი. ბესიკის ნათქვამმა ყარა გააოგნა. ვერ მიხვდა, თუ რა იმალებოდა მისი სიტყვების უკან, საიდან მოდიოდა მისი ესოდენ რისკი და სიამაყე.

ბესიკი მიუხვდა, რასაც იბრაგიმი ფიქრობდა, ცხენს აღვირი თავზე გადაუგდო და უნაგირის ტახტაზე ხელდადებულმა დამაჯერებლად უთხრა:

— ალბათ იკმარებთ და აღარ შეგვაწუხებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგზე პასუხს არ ვაგებთ, რაც ჩაიდინეთ ამჯერად გვიპატიებია, იმედია შენ "ბიჭებს" არ დაუფიცავ, რაც გითხარი. შეხვედრამდე!

ბესიკი ცხენს მოევლო და სიბნელეში გაუჩინარდა. ყარა იბრაგიმა დარჩა გაოგნებული და დამცირებული. პირველად იყო, რომ არაფრად ჩააგდეს, "ძაღლის ლუკმაც" კი რასაც ასე ელოდა, აღარ გადაუგდეს. ამაყი ავაზაკი საკუთარ თვალში დაპატარავდა, დამცირდა. გაბრაზებულმა მუშტი მოიქნია, ძაღლისშვილიო, დაიღმუვლა და ყორეზე ჩამოჯდა.

ბესიკის მიერ მოტანილი ამბით კმაყოფილი არავინ დარჩენილა. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ: ასე როგორ დავგლახავდით, რომ ტილიანი ენგიქვეველები არად გვაგდებენო. გვეგონა საქმეს გამოაწყობდი, თორემ საქონელი რომ მაგათ წაასხეს, ჩვენც კარგად ვიცითო. ბესიკმა ადროვა და როდესაც ლაპარაკით გული იჯერეს და წასვლა დააპირეს, სთხოვა, რამდენიმე წუთი მისთვის მოესმინათ.

— როგორც მითხრეს, ხვალ საღამოს კოლმეურნეობის საერთო კრება ტარდება. გამგეობა ხუთი თვის მუშაობის შედეგებს აანალიზებს და ანგარიშს აბარებს მოსახლეობას. გთხოვთ ყველა დაესწროთ და ჩემს წინადადებას, თუ ჭკუაში დაგიჯდათ, მხარი დაუჭირეთ.

— დავუშვათ და ნათქვამზე დაგთანხმდით, ამით ჩვენ საქმეს ეშველება რამე? ალალად გვითხარი, ენგიქვეველებმა შეგაშინეს და იმიტომ გვაჩერებ, თუ რაშია საქმე.

— მგონი შეშინებულს არ ვგავარ, თუმცა პირდაპირ გეტყვით: ვერც ძალით, ვერც ჩივილით, ვერც თხოვნით ფონს ვერ გავალთ, ეს ყველაფერი უსარგებლოა და მეტი არაფერი. აშკარა ფაქტზე უნდა დავიჭიროთ და გავთოკოთ. ამისთვის კი უნდა ვემზადოთ და ველოდოთ, ძველი და ახალი ერთად უნდა ვაზღვევინოთ. დღეს კი, იმაზე რაც მოხდა, გამოძიება, საქმის მოკვლევა და ა.შ. ზედმეტი ლაპარაკია, არაფრის მაქნისია. ყველგან მაგათი, ან მაგათგან მოსყიდული ხალხია. რაიკომის პირველი მდივანი გიორგი კირვალიძე, როგორც ჩანს, კარგი კაცია და როგორც გავიგე, შესაბამისი გეგმებიც ჰქონია დასახული, მაგრამ აღასულთა-ნოვის მიერ იმდენი რამაა გაფუჭებული, რომ ძნელია მისი სწრაფად გამოსწორება. ვადროვოთ, მოვიცადოთ, მზად ვიყოთ, რომ უკეთესად შევძლოთ საკუთარი თავისა და ქონების დაცვა.

— შენ რომ დაგიჯეროთ, ვინ იცის, როდემდე უნდა ვიყოთ ჩასაფრებული, სხვა თუ არაფერი უძროხოდ როგორ ვიცხოვროთ...

— ისიდორე ძია! ენგიქვეველებს ვერც დავხოცავთ და ეს კიდეც რომ შევძლოთ არავინ გვაპატიებს, ხვალამდე მოვიცადოთ, კრებაზე მოდით, მჯერა რომ საქმეს გამოვაწყობთ. როგორც შევიტყვე, კრებაზე მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექტორი ოთარ კოვზირიძე გვესწრება. მე ხვალიდანვე ბიჭებს შევარჩევ და ცოტა-ცოტას ვავარჯიშებ ხოლმე თუ იკადრებენ და "გვეწვევიან", ენგიქვეველებს ისეთ მასპინძლობას გავუწევთ, ჯერ რომ არ დასიზმრებიათ. კიდევ და კიდევ გთხოვთ, ხვალ კოლმეურნეობის კრებას ყველა დავესწროთ.

ხალხი დაიშალა, წავიდ-წამოვიდა. ხმამაღლა არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ თავისთვის ყველა ერთსა და იგივეს ფიქრობდა.

კოლმეურნეობის საერთო კრებას მართლაც ოთარ კოვზირიძე დაესწრო, თითქმის მთელი სოფელი იყო შეკრებილი. ყველაფერი ნორმალურად წარიმართა. ხალხის აქტივობით ოთარი კმაყოფილი დარჩა. ბოლოს, როცა კრება დახურულად გამოცხადდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ არჩილ ჟუჟუნაძემ, ხალხს ანიშნა ადგილზე დარჩენილიყვნენ და სიტყვა განცხადებისთვის ბესიკ ივანიძეს მისცა. დაინტერესდნენ, წინა დღით ჯარიდან დაბრუნებულ კაცს ასეთი მნიშვნელოვანი რა ჰქონდა სათქმელი. ბესიკი კრების პრეზიდიუმის მაგიდასთან მივიდა და აუღელვებლად დაიწყო:

— ყველამ კარგად უწყით, რომ ექვს ოჯახს პირუტყვი ერთნაირად მოსტაცეს, ვერც სოფელმა და ვერც შესაბამისმა ორგანოებმა ვერაფერი ვიღონეთ ავისმქნელთა დასასჯელად, ვერ ვისაუბრებთ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული. დაზარალებულთა შორის ჩემი ოჯახიცაა, მაგრამ ჩემს გარდა იმ ექვს ოჯახზე მოგახსენებთ, რომელთა მარჩენალიც ფრონტზეა, მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული. ჩემს ოჯახს არაფერი უჭირს, უკვე შინა ვარ და ყველაფერს შედარებით იოლად გადავიტანთ, მათ რა ქნან, უძროხოდ როგორ იარსებონ, თუ თანახმა იქნებით ამ ექვს ოჯახს დავეხმაროთ, სოფელში მცხოვრებმა ყველა კომლმა თითო ცხვარი ვაჩუქოთ. ყველა, რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებს, მაგრამ სულ ცოტა 150 სული ცხვარი მაინც შეგროვდება. დავუნაწილოთ, ზოგი დაიტოვებს, ზოგი გაყიდის და ძროხას შეიძენს. ვინც ამ წინადადებას მხარს უჭერს და შესაძლებლობა გააჩნია, ზეგ ცხვარი კოლმეურნეობის ფარეხში მირეკეთ, დანარჩენს ჩვენ იქვე მოვაგვარებთ.

წინადადება მოიწონეს, მხოლოდ ბესიკს უთხრეს, რომ დაზარალებულთა სიიდან მისი ოჯახის ამოღება სწორი არ იყო, რაც მან ჯიუტად არ გაიზიარა. საბოლოოდ კი ცხვრის მოგროვება კოლმეურნეობის ფარეხში მეორე დღიდან გადაწყვიტეს და კამათი აღარ გაგრძელებულა. უკვე დაშლა დააპირეს, რომ ექვთიმე ქურდაძემ შეაჩერათ, ხალხი დაინტერესდა, თუ "ეთო ძიას" რა სურდა ეთქვა.

— ღმერთმა აგაშენოთ მეზობლებო! ყველაფერი კარგია, მაგრამ, ამ გამწარებულმა ხალხმა, რომელთა ოჯახებში მხოლოდ ქალები, მოხუცები და ბავშვებია, სად უნდა გაყიდონ ცხვრები და შეიძინონ ძროხები. ამ დროისათვის სოფელში არც არავინაა ცხვრის მყიდველი და არც ძროხის გამყიდველი, ყოველ შემთხვევაში ამდენისა მაინც. ვიცი იტყვით კვირას ახალციხის ბაზრობა არის ხომ? კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საქმე ისაა, ეგენი როგორ ჩარეკავენ ბაზარზე ცხვარსა და, როგორ ამოიყვანენ იქიდან ძროხებს. თუ ღრომა — ანდრიაწმინდა — ღრელზე გავლით წავლენ, ქისათიბის, ღრომის, ანდისა და არჯულის თათრები ყველაფერს წაართმევენ. ჩვენი გზა მინაძეზეა, თანაც შედარებით მოკლეა, მაგრამ, ოხერას თათრები და თვითონ მინაძელებიც ანდა-არჯულელებზე ნაკლებნი არ არიან. რა ქნან ჩაფრინდ-ამოფრინდნენ, თუ რა იღონონ?

— რას გვთავაზობ ეთო ძია? — შეეკითხა ბესიკი.

— კვირას ცხვარი კაცებმა გაირეკეთ, დაზარალებულების ოჯახებიდან გამოგყვებიან, ცხვრებს გაყიდიან და ძროხებსაც თვითონ შეიძენენ, თუ ტობელ სუდაძეებს გააგებინებთ და ერთმანეთს დაემგზავრებით კიდევ უკეთესი, ბევრი რომ იქნებით, ვერ შემოგბედავენ. მინაძეში მილიციის რწმუნებული ექვთიმე ბერიძეა, იმასაც წინასწარ გააგებინეთ და შეგხვდებათ. რას ვიზამთ, "როგორც გიჭირდეს ისე გილხინდესო", მშვიდობიანად თუ გსურთ მიხვიდ-მოხვიდეთ, ასე აჯობებს გააკეთოთ.

გადაწყვიტეს ეთო ძიას რჩევა გაეთვალისწინებინათ. დაიშალნენ. ბესიკს ოთარ კოვზირიძემ თავისთან უხმო.

— მშვიდობით დაბრუნებას გილოცავ, ალბათ ისევ ჩვენთან იმუშავებ.

— აუცილებლად, მაგრამ ცოტა დრო მჭირდება... აქაურობას მინდა მივხედო, თან თვალიც...

— მაგაზე არც იფიქრო. თუ გტკივა მკურნალობაზეც ხელს შეგიწყობთ. მექანიზატორებს სანთლით ვეძებთ. გინდ სახელოსნოში რემონტზე იმუშავე, გინდა ტრაქტორზე დაჯექი და ბრიგადაში ძველებურად ისაქმიანე, სადაც ისურვებ იქ გამუშავებთ... სექტემბერს ნუ გადააცილებ, ხომ იცი საშემოდგომო ხვნა-თესვა რა დღეში გვაგდებს. რაც შეეხება იმ პრობლემის მოგვარებას, რაზედაც კრების შემდეგ გქონდათ საუბარი, ნუ იჩქარებთ, ფინგანის გამგეს — პავლე კოპალეიშვილს ვთხოვ, რაიაღმასკომი ჩაერიოს და თუ საშუალებაა, კოლმეურნეობიდან მოგყიდონ ჯიშიანი ძროხები, მგონი უფრო იაფი დაგიჯდებათ ვიდრე ბაზარზე. ჩქარა ალბათ ჩვენს მხარეში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდება, საქმე უკეთესობისაკენ წავა, ბევრად უფრო უკეთესი წესრიგი გვექნება, გიორგი კირვალიძე გონიერი და გამოცდილი მუშაკია, ბევრი კარგი აქვს დაგეგმილი და ჩაფიქრებული. ომიც ალბათ დიდხანს აღარ გასტანს, აღარავის ეეჭვება, რომ ჩქარა გამარჯვებას ვიზეიმებთ... რესპუბლიკის მთავრობა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოიცლიან, რომ ამ მხარეს უკეთ მიხედონ. სავარაუდოა, ბევრი ცვლილებები მოხდება და “მე და შენ” ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

— დიდად გმადლობთ ოთარ დანიელოვიჩ! კოლმეურნეობის გამგეობასთან ჩვენ თვითონ მოვილაპარაკებთ. მჯერა ყველაფერს მოვაგვარებთ. რაიაღმასკომის ჩარევა არ დაგვჭირდება, დიდი ხმაურიც სასურველი არაა. ყველა დაზარალებული ოჯახი კოლმეურნეობის წევრია, მათი დახმარება გამგეობას ევალება კიდეც.

— ნება თქვენია. წარმატებებს გისურვებთ. მე თუ რამეში ვიქნები საჭირო, საქმის კურსში ჩამაყენეთ. ნახვამდის ბესიკ ბატონო! გელოდებით, იმედია საშემოდგომო თესვის კამპანიას ერთად ჩავატარებთ.

დაზარალებულთა დასახმარებლად მუსხელებმა კოლმეურნეობის ფარეხში 170 სული ცხვარი მოაქუჩეს. ჭედილები და დედა ცხვარი გააცალკევეს. ყოველ დაზარალებულ ოჯახს 17 დედა ცხვარი და ხუთი ჭედილა ერგო. ბესიკს დააძალეს და მანაც 6 დედა ცხვარი და 10 ჭედილა გაირეკა. ყოდვა-გაყიდვაზე ზრუნვა არ დასჭირდათ, რადგან ყველა დედა ცხვარი მეწველი იყო და სეზონი ცხვრის წველისა უკვე იდგა. ყველაფერი იოლად მოგვარდა. სოფელი კმაყოფილი დარჩა, უკმაყოფილო არც ბესიკი იყო. მისი წინადადება რომ მიიღეს და განახორციელეს კიდეც, გახარებული იყო, მაგრამ ზოგჯერ, როდესაც ყარა იბრაგიმა ახსენდებოდა, მოსვენებას ჰკარგავდა. ყველაფერი გათვლილი ჰქონდა. სოფლის ტერიტორიაზე ჩაიდენდნენ ავკაცობას, თუ იალაღებზე არაფერს შეარჩენდა მაგრამ, სამწუხაროდ, თუ სასიხარულოდ, მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ “თათრებს” ქართული სოფლებისათვის “ბუზიც კი არ აუფრენიათ”. ვერ მიმხვდარიყვნენ რა ხდებოდა. ერთი რამ თვალშისაცემი იყო. სამცხე-ჯავახეთში ახალ-ახალი საჯარისო ნაწილები შემოჰყავდათ. ნებისმიერ ხეობასა თუ მდინარისპირა ჭალებში, სახელდახელოდ მოწყობილი ჯარისკაცთა ბანაკები იყო განლაგებული. შეიძლება ამათი შიში და მორიდება აქვთო. ფიქრობდა ბესიკი. სექტემბრის შუა რიცხვებში ჩამოთოვა, ნაადრევად აცივდა, საქონელი ბარში ჩამორეკეს, დადგა

ოქტომბერი, სოფელი ზამთრისთვის ემზადებოდა. შეშა და საქონლის საკვები მოსახლეობას მომზადებული ჰქონდა. 1944 წლის 10 ნოემბერი ჩვეულებრივ დაღამდა. ადამიანები სახლებში შეიკეტნენ. დაახლოებით ღამის ორ საათზე ბესიკი კოლმეურნეობის კანტორის დარაჯის ძახილმა გამოაღვიძა. გამოიხედა, შეეხმიანა.

— ურაველში სასოფლო საბჭოში გვეძახიან, დანარჩენები უკვე კანტორასთან ავტომანქანაზე სხედან, ჩვენ გველოდებიან, იჩქარე. დაგიცდი, ერთად წავიდეთ. რამდენიმე წუთში ისინიც მანქანის ძარაზე მყოფთ შეუერთდნენ და სატვირთო "შევროლეტმა" გეზი ურავლისკენ აიღო.

სასოფლო საბჭოში ბლომად ხალხი დახვდათ. იყვნენ რაიონის ცენტრიდან — ახალციხიდან მოსული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები, სხვადასხვა ჩინის სამხედრო პირები და სპეც-სამსახურის მუშაკები. შეკრებილთა შორის არ იყო არც ერთი "თათარი", თვით საბჭოს თავმჯდომარეც კი. საბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე შარაგზაზე შეიარაღებული ჯარისკაცებით სავსე ავტომანქანები იდგნენ. ყველა ჩუმად იყო, დრო და დრო მხოლოდ ოფიცრები აძლევდნენ ხელქვეითებს რაღაც დავალებებს. ერთ-ერთმა ოფიცერმა სია წაიკითხა, რომელთა შორის ბესიკიც იყო. სიაში ამოკითხულ ათამდე კაცს ეზოში მდგარ "სუდაბეკერზე" მიუთითეს და ისინიც ბესიკთან ერთად მანქანის ძარაზე მოთავსდნენ. მანქანის "კაბინაში" რუსი ოფიცერი ჩაჯდა და გეზი ახალციხისკენ აიღეს. გაიარეს ახალციხე, ბორჯომის გზატკეცილს დაადგნენ და შვიდი კილომეტრის გავლის შემდეგ, ასფალტიდან გადაუხვიეს, ბესიკისთვის კარგად ნაცნობ სოფელ კლდეში შევიდნენ. მანქანა სასოფლო საბჭოს აღმასკომის წინ გაჩერდა, კაბინაში მყოფი ოფიცერი გადმოვიდა, წინ გაუძღვათ. ყველანი შენობაში შევიდნენ. იქაც იგივე კატეგორიის ხალხი იყო შეკრებილი, როგორც ურავლის სასოფლო საბჭოში. ბესიკმა იცნო პარტიის ახალციხის რაიკომის განყოფილების გამგე შურა მესტვირიშვილი, ინსპექტორი ეღიშ სამველიანი, მილიციის ავტოინსპექტორი ვანიკ ლალაიანი. მიმდებარე შარაგზა და საბჭოს წინ მოედანი აქაც სავსე იყო შეიარაღებული ჯარისკაცებით დატვირთული ავტომანქანებით. რამდენიმე რუსი ოფიცერი და შურა მესტვირიშვილი, სიებს ჩასჩერებოდნენ, რაღაცას ბეჯითად ამოწმებდნენ. უჩვეულო სიჩუმე იყო. იგრძნობოდა, რომ ყველა დასაქმებული იყო, მაგრამ თუ რით, უცხო თვალისთვის გაურკვეველი რჩებოდა. დილის 4 საათზე შურა მესტვირიშვილმა სთხოვა, რომ მისთვის ყურადღებით მოესმინათ, ლაპარაკობდა რუსულად:

— ალბათ გაინტერესებთ, თუ რატომ შეგაწუხეთ. პირდაპირ გეტყვით: ტარდება სახელმწიფო საზღვრის დაცვის გადაუდებელი ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია საზღვრის მიმდებარე ზონიდან არასანდო მოსახლეობის ნაწილის გასახლებასთან ქვეყნის შიდა რაიონებში. თქვენ მიგიყვანენ კლდის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების საკოლმეურნეო ფერმებში, სადაც არ დაგხვდებათ არც ერთი ადგილობრივი ფერმის მუშაკი. გევალებათ გამოკვებოთ და სათანადოდ მოუაროთ ბოსლებში მყოფ პირუტყვს, ხოლო მოსახლეობიდან მოყვანილი გააჩეროთ ჩვენი განკარგულების მიღებამდე. იქვე არსებულ საზაფხულო ფარეხში. ჩვენს ყველა განკარგულებას და მითითებებს ასრულებთ უსიტყვოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება

ზომები საველე პირობების შეასაბამისად. ეზოსა და მიმდებარე შარაზე მდგარ ავტომანქანებზე მიმაგრებულია ჯგუფის აღმნიშვნელი ნომრები, ვინ რომელ ჯგუფში ხართ გათვალისწინებული გაგაცნობთ ამხანაგი ვანიკ ლალაიანი, რის შემდეგ ყოველგვარი ხმაურის გარეშე, თქვენი ჯგუფის შესაბამისი ნომრის მქონე ავტომანქანაზე მოთავსდებით. ეღიშ სამველიანსა და ბესიკ ივანიძეს ევალებათ, სოფლის შემოსა-სვლელთან მდებარე სარკინიგზო ბაქნის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ საჯარისო ნაწილთან ერთად უზრუნველყონ წესრიგის დაცვა. სასოფლო საბჭოს შენობაში დარჩებიან: კლდის საფოსტო განყოფილების გამგე — თამარ ჯინჭველაძე და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ქრისტეფორე თივთიკიდი. ყოველგვარი გაუგებრობისა და ადგილზე წამოჭრილი პრობლემების ოპერატიულად გადაწყვეტისა და მოწესრიგების მიზნით შექმნილია სათანადო შტაბი ჩემი თავმჯდომარეობით, რომელიც მოთავსებულია სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში. თქვენს კვებაზე პასუხისმგებელია სამხედრო ნაწილის საველე სამზარეულო. გთხოვთ დაუყოვნებლივ გაერკვეთ სიტუაციაში და მოთავსდეთ თქვენთვის გამოყოფილი ავტომანქანის ძარაზე. ყველა ემორჩილებით სამხედრო ნაწილის უფროსს კაპიტან ვოლკოვს.

მესტვირიშვილის ასეთი განმარტების შემდეგ ვანიკ ლალაიანმა დინჯად და აუღელვებლად წაიკითხა ჯგუფების სიები და მიუთითა ავტომანქანის შესაბამისი ნომერი, რის შემდეგ სათათბირო ოთახი სწრაფად დაცარიელდა. ეღიშა და ბესიკი სამხედრო ნაწილის უფროსის ეგორ ეფიმიჩის მიწვევით "ვილისში" ჩასხდნენ და მითითებული ადგილისაკენ გაემართნენ. რკინიგზის წნისის გადასასვლელთან სახელდახელოდ მოწყობილ ბაქანთან გაჩერდნენ. მიმდებარე მინდორზე უამრავი ავტომანქანა იდგა, ყოველ მათგანზე შეიარაღებული ჯარისკაცები ისხდნენ. რკინიგზის ბაქანზე ორთქლმავალჩაბმული თორმეტვაგონიანი შემადგენლობა, ე.წ "ეშელონი" იდგა. ეგორ ივანიჩის ნიშანზე ავტომანქანებმა დიდი ფარები აანთეს და სხვადასხვა მიმართულებით დაიძრნენ. ირიჟრაჟა, თენდებოდა 1944 წლის 11 ნოემბრის დილა.

დილის ათი საათისათვის მთელი სამცხე-ჯავახეთის თურქულენოვანი მოსახლეობით სავსე ავტომანქანები, შეიარაღებული ჯარისკაცების თანხლებით, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ფერსის, აწყვერის, წნისისა და სატვირთო სადგურის სარკინიგზო ბაქნებისაკენ. დღის ბოლოსათვის მხარის მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა მიყვანილი იყო აღნიშნულ სარკინიგზო ბაქნებთან და დატვირთული პირველი სარკინიგზო ეშელონები უკვე მიჰქროდნენ შუა აზიის უკაცრიელი ტრამალებისაკენ. ეღიშასა და ბესიკს არავისთვის არაფერი უკითხავთ, შეჩვეული იყვნენ "ზემდგომის" ბრძანების უსიტყვოდ შესრულებას.

წნისის სარკინიგზო გასასვლელთან, სახელდახელოდ მოწყობილი რკინიგზის ბაქნის მიმდებარე ველზე, სადაც ეღიშა და ბესიკი იყვნენ წესრიგის დაცვზე პასუხისმგებელნი, ენით აუწერელი უბედურება იდგა. სასოწარკვეთილი ადამიანები ტიროდნენ, ილანძღებოდნენ, პარტიასა და მთავრობას აშკარად აგინებდნენ. ერთი ნაწილი კი, მწუხარებისაგან გამშრალი ჩუმად იდგა. მორალურად განადგურებულნი და საკუთარი უძლურებით დათრგუნულნი ცრემლიანი თვალებით ირგვლივ უაზროდ იყურებოდნენ.

ეგორ ეფრემიჩმა ეღიშასა და ბესიკს დაავალა ჯარისკაცების თანხლებით მინდორი შემოევლოთ და აღელვებული ხალხი "დაემშვიდებინათ". მინდვრის ბოლოში ასფალტირებული გზატკეცილის ქვეშ, საგულდაგულოდ მოვლილი ხეხილის მსხმოიარე ბაღი იყო. იმ ადგილს რომ მიუახლოვდნენ ჰაერი ბიჭის კივილმა გაჰკვეთა:

— ბესიკ ძია! გვიშველე, გადაგვარჩინე, ირიდა ბებო ავადაა... ტირის!..

ბესიკი ადგილზე გაქვავდა, ვეისალის შვილი ეძახდა, შველას ითხოვდა იმ ძმადნაფიცის, იმ ფრონტელი მეგობრის შვილი, რომელმაც მისი გადარჩენისათვის თავი გასწირა. მარიევების მთელი საგვარეულო უკლებლივ იყო მოყვანილი. გაუცნობიერებლად მათთან მივარდა. ატირებული ხუთი წლის საბირი ხელში აიტაცა, ეფერებოდა, ამშვიდებდა, რაღაცას უაზროდ ლაპარაკობდა. საერთოდ არ უფიქრია, რომ ომში დაღუპული ვეისალისა და დასახიჩრებული მიხეილის დედა — ირიდა მათი მეუღლეები და შვილები, გადასახლების ქვემდებარე, არასაიმედო ორიენტაციის პირებად იქნებოდნენ მიჩნეულნი. როგორ იფიქრებდა, რომ "სამშობლოსათვის, სტალინისათვის" თვგანწირული უსაზღვრო იყო ჩემი მწუხარება და დარდი. თითქოს ღმერთმა გადატანილი უბედურება არ მაკმარა და ისიც წამართვა, რისთვისაც და ვისთვისაც ვცოცხლობდი, აუტანლად უგრძნობელი გავხდი, არაფერი მახარებდა, ჩემთვის სულ ერთი იყო ყველაფერი, ასეთ ვითარებაში უნებლიეთ გამახსენდა ჩემი ისტორიის მასწავლებლის — კორნელი ხიდაშელის ნათქვამი: ერთი ბრძენი თურმე ამტკიცებდა, რომ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არავითარი განსხვავება არ არისო. შეეკითხნენ: — მაშინ თავს რატომ არ იკლავო, უპასუხა: იმიტომ, რომ არავითარი სხვაობა არ არისო. ასე იყო თუ ისე, თავი ნამდვილად ვერ მოვიკალი და ეს არც მიცდია, თუმცა სიკვდილს ბევრჯერ ვნატრობდი.

ერთადერთი, რაც სიამოვნებას მანიჭებდა, ჩემი, როგორც ექიმის პროფესიული საქმიანობა იყო. გულმოკლული და გულნაკლული საქმეს არაფერს ვაკლებდი. თუ საჭიროება მოითხოვდა ჩემი პატარა პაციენტების სასთუმალთან ვათენებდი და ვაღამებდი.

1947 წლის გაზაფხული იდგა, სამსახურიდან დაბრუნებულმა მწვანილისათვის ბაზარში შევიარე. დახლების თვალიერებაში გართულს ვიღაცამ მკლავი დამიჭირა. გაკვირვებულმა მოვიხედე და ნამდვილად რომ არ ველოდი, ჩემი თანაკლასელი, შემდეგ თანაკურსელი, გაღიმებული ლადო პანიატოვსკი ვიხილე, "პოლიაკს" რომ ვეძახდით ზედმეტსახელად.

ლადო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წავიდა, იქ იღრმავებდა პროფესიას, თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, როგორც ჩანდა ვიღაცის მეშვეობით ჩემს შესახებ ყველაფერს გებულობდა. ყოველთვის, როდესაც თბილისში იყო "შემთხვევით" მხვდებოდა. გულთბილად მომიკითხავდა ხოლმე, გამომეთხოვებოდა და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. იმ დღეს კი რატომღაც სახლამდე მიმაცილა, გზაში მესაუბრა თავისი საქმიანობის თაობაზე. სახლთან მისულებს შემთხვევით დედა შეგვხვდა, ლადო იცნო და მოკითხვის შემდეგ სახლში შეგვიპატიჟა. ლადო უყოყმანოდ დათანხმდა. დედამ სასტუმრო ოთახამდე მიგვაცილა, ბოდიში მოიხადა და სამზარეულოში გავიდა.

“პოლიაკმა” კედელზე ჩვენი საშუალო სკოლის დამთავრებისას გადაღებული სურათი დაინახა. მომიბრუნდა და მითხრა:

ადგილზე მისვლას ცდილობდა. გაუბედურებული, გაცოფებული ზვიმა აღარაფერს ერიდებოდა, ყოველი ძალით ცდილობდა თავისი ხელით გაშენებულ ბაღში, მოკლულ ქმართან მიჭრილიყო და ზედ დაჰკვდომოდა, მისთვის სიკვდილი უკვე ბედნიერება იყო. უბედურებას ბოლო არ უჩანდა, ხალხის რისხვამ ზენიტს მიაღწია.

ჯარისკაცების ასეულმა შეძლო გაავებული “სამშობლოს მოღალატეები” შეეკავებინათ, რამდენიმე მათგანი და მათ შორის ზვიმაც, საკმაოდ დაზიანდნენ, მაგრამ ადგილზე მეტი აღარავინ დაღუპულა. ეღიშა და ბესიკი ეგორ ეფიმიჩთან მივიდნენ და სთხოვეს: რეზა ხალილოვის ახლობლებისთვის ნება დაერთო გარდაცვლილი თავისავე ბაღში დაემარხათ. ბესიკმა მარიევებზეც სთხოვა, რომ ფრონტზე დაღუპული მისი ძმადნაფიცის ოჯახი იყო და, როგორც გამონაკლისი ნება დაერთო თავისთან წაეყვანა ისინი. მხოლოდ ფეხებმოკვეთილი “ფრონტავიკი”, ქალები და ბავშვებია, ეუბნებოდა სასომიხდილი და აცრემლებული.

ეგორ ეფიმიჩმა კატეგორიული ტონით შეახსენა, რომ საბჭოთა მთავრობა და მშობლიური პარტია მათ ენდო და თუ ამ ნდობას ვერ გაამართლებდნენ, პროკურორისთვის მოუწევდათ პასუხის გაცემა. ასეთ თემაზე ჩემთან საუბარი აღარ გაბედოთ, მე ამისთვის არც დრო მაქვს და არც სათანადო კომპეტენციაო. სერიოზულად გირჩევთ, საკუთარ ღირსებას და მთავრობის ნდობას ცოტა მეტად გაუფრთხილდეთო. ამის შემდეგ ვინ რას გაბედავდა, — ჯარისკაცები უნაკლოდ ასრულებდნენ ზემდგომის ბრძანებას. ბესიკიც დამორჩილდა, ძალა აღმართს ხნავდა. დაღონებული, განადგურებული და გულმოკლული წავიდა ლიანდაგებზე მდგარ სარკინიგზო “ეშელონისკენ” იმ იმედით, რომ “ნარები” შედარებით უკეთ გაწყობილი, პირუტყვის გადასაზიდად, თუ გადასაყვანათ გამწესებული ვაგონი, შეერჩია გასასახლებლად გამწესებული ძმაკაცის ოჯახის გადასაყვანად.

— ნუთუ ყველა ერთ “ტაფაში” უნდა მოექციათ. ირიდას სიძე ავაზაკი, კონტრაბანდისტი ყარა იბრაგიმა, ღობიეთელი ბანდიტი “თოფალი მურადა”, მათი თანამზრახველები, კამპანიონები და მარიევების უკეთელშობილესი ოჯახიც, ან, თუ გნებავთ, იბრაგიმის ცოლი, ირიდას და, თამილა და მისი მცირეწლოვანი შვილები, ზიკილიელი და წინუბნელი ბერიძეები. წნისელი და სვირელი კოპაძეები, შურდოელი შუბლაძეები, რომლებიც გამუდმებით სთხოვდნენ საქართველოს მთავრობას თავიანთი სოფლის სკოლებში ქართული ჯგუფების გახსნას, და ვაჭრუკანა, ცბიერი, ორპირი ხერთვისელები, რომლებსაც დიდებული ქართული გვარები კი ჰქონდათ, მაგრამ სისხლს უშრობდნენ ჯავახეთისა და მტკვრისპირა ქართული სოფლების მოსახლეობას. რა დააშავეს ვარნეთელმა მაჩაბლებმა, პავლიაშვილებმა... ეს რა უბედურებაა, — მამები, შვილები, ძმები, ქმრები სამშობლოსთვის ფრონტზე სისხლისგან იცლებიან, ის მთავრობა კი ვისი მოწოდებითაც ისინი იარაღის ქვეშ დგანან ოჯახებს უწიოკებს, ნუთუ ვეისალმა მისთვის შემომწირა სიცოცხლე, რომ მისი ოჯახის აწიოკებაში მიმეღო მონაწილეობა, მისი დეიდაშვილის რეზა ხალილოვის მკვლელობისთვის ასე “დამშვიდებით” მეყურებინა, ფიქრობდა და ბჭობდა ბესიკ ივანიძე.

ჯარისკაცებმა ბესიკი ვაგონებთან ახლოსაც არ მიუშვეს. ან კი რა აზრი ჰქონდა იქ მისვლას, პირუტყვისაგან დაბინძურებული ვაგონები, ერთმანეთისგან არაფრით გამოირჩეოდა. აზრი აერია, ყურები უწიოდა, თავის ადგილზე ვეისალი წარმოიდგინა, — ნეტა როგორ მოიქცეოდაო გაიფიქრა, ცრემლმორეული და სასომიხდილი ლოდზე ჩამოჯდა. ირგვლივ ვეღარავის ამჩნევდა.

სამცხე-ჯავახეთის მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა, დაახლოებით 15 ათასი ოჯახი (97ათასი კაცი), 24 საათში შუა აზიის უკაცრიელი ველებისაკენ გაისტუმრეს. არავის უცდია გაერჩია ვინ "გურჯად" იხსენიებოდა , ვინ "ქურთი" იყო, ვინ "თარაქამა", ვინ ქურთობაზე და თურქობაზე თავგამოდებული, თუ "იერლად" გადანათლული, ისლამის რჯულზე ძალით მოქცეული, მაგრამ ჯერ კიდევ არ გათურქებული მესხები, ყველანი საბოლოოდ მოჰკვეთა სამშობლოდან იმ მთავრობამ, რომელიც მათ გათურქებას ხელს თვითონ უწყობდა. ჯავახეთში ისიც კი შესძლეს, რომ ხუთი სოფელი გაესომხებინათ. ისტორიის ბედუკუღმართობით გატანჯულ მესხებს, დიდი თურქობის პერიოდის განსაცდელზე მეტი უბედურება მოევლინათ. ათასობით ანდღულაძე, ბარათაშვილი, პავლიაშვილი, მაჩაბელი, კოპაძე, ბერიძე, აბაშიძე, შუბლაძე, მარინაშვილი და ა.შ. საბჭოთა კავშირის მთავრობამ სამშობლოდან გაასახლა, უბედურების გზაზე გაისტუმრა.

თხემით-ტერფამდე ცოდვილთა მიერ, ნამდვილად შედარებით უცოდველი ადამიანებით დატვირთული სარკინიგზო ეშელონები, რომელთაც საბჭოთა მთავრობის ერთგული შეიარაღებული ჯალათების გარდა, სიკვდილის აჩრდილიც მიაცილებდა, შეუჩერებლივ მიჰქროდნენ უზბეკეთისა და ყაზახეთის ტრამალებისაკენ. ლიანდაგების გასწვრივ რჩებოდა სხვადასხვაგვარი სატკივრით გარდაცვლილი ბავშვების, ქალების, მოხუცების თუ სხვათა გვამები. ამ უბედურთა სამშობლოში კი, თავისი ხელით დარგული მსხლის ხის ძირას, რეზა ხალილოვის ეულ საფლავთან, იდგნენ ბესიკ ივანიძე და ეღიშა სამველიანი. იდგნენ და ფიქრობდნენ:

— შეუძლებელი მართლაც რომ არაფერი ყოფილა. ჩვენივე "ბედნიერი ცხოვბრების" მოსაწყობად, ხვალ, თუ ზეგ, შესაძლებელია ჩვენც ასე მოგვექცნენ, მით უმეტეს, რომ საამისო "მდიდარი გამოცდილება" უკვე გააჩნიათ.

მართლაც ამ უპრეცენდენტო, შესრულების თვალსაზრისით უნაკლო ოპერაციის მეორე დღეს, სოფელ წნისის სარკინიგზო გადასასვლელთან მდგარი ბესიკი, გულდამძიმებული გადაჰყურებდა, თუ როგორ მიერეკებოდნენ "დაქირავებული მწყემსები" და მათი ზედამხედველი ჯარისკაცები პირუტყვის ურიცხვ ჯოგებსა და ფარებს ბორჯომის მიმართულებით და ვინ იცის მათში რამდენი იყო ენგიქვევიდან და ღობიეთიდან გამორეკილი ცხვარი და ძროხა. ახსენდებოდა სამოცდაათ სულ პირუტყვზე ატეხილი ხმაური და ოთარ კოვზირიძის სიტყვები: წლის ბოლომდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოსო.

ნეტა ეს უბედურება არ დატრიალებულიყო, არ ენახა სასოწარკვეთილი ვეისალის ოჯახის წევრები და ბევრი სხვანი, რომელთა პატიოსნებაში ეჭვიც არ ეპარებოდა, ყარა იბრაგიმსა და მისთანებს, ის და მისი "ბიჭებიც" ეყოფოდნენ. იდგა ნანახითა და განცდილით გაოგნებული, შეწუხებული მუსხელი კაცი, მართლმადიდებელი

ქრისტიანი, ომგადახდილი კაცი ბესიკ ივანიძე და მის ცხოვრებაში იდგა წუთი, როდესაც დუმილი ყვირილის ტოლფასია და ნებისმიერ მყვირალა პროტესტზე უმძაფრესი. თვალნათლივ გრძნობდა, რომ ის, არც თავისუფალი ქვეყნის შვილი იყო და არც ასეთი ქვეყნის მოქალაქე. იყო ვიღაც, სადღაც მოსკოვიდან მოშორებით.

სამცხე-ჯავახეთის სხვა სოფლების მსგავსად, საიდანაც მაჰმადიანი მესხები იქნენ გადასახლებული, გულსატკენი სანახავი იყო სოფელი კლდეც, კოლმეურნეობის ფერმებში ბღაოდა მოუვლელი პირუტყვი. ღამით გაუთავებლად ყმუოდნენ პატრონის მაძებარი ძაღლები, ჯარისკაცებისა და “დამხმარე პერსონალის” გამოსაკვებად, ადგილზე იკვლებოდა ათობით საქონელი, სოფლის შესასვლელი, ე.წ. წყაროს უბანი, მოფენილი იყო საქონლის თავფეხით, გადაყრილი ძვლებითა და ნარჩენებით. ყვავ-ყორნებისა და კაჭკაჭების გუნდი მთელი დღე თავს დასტრიალებდნენ სოფელსა და მის სანახებს, რომელთა ყრანჩალ-ჩხავილი, კიდევ უფრო უკაცრიელ ელფერს ჰმატებდა მიტოვებულ და გაძარცვულ სოფლებს. განუკითხაობა და სოფლის ძარცვა მთელი თვე გაგრძელდა. 1944 წლის ნოემბრიდან, საკავშირო და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობების მქონე დაცარიელებულ სოფელში, დაიწყეს რესპუბლიკის შიდა რაიონებიდან, მათი სიტყვით ე.წ. “ნამეტი” და “მსურველი” მოსახლეობის ჩასახლება. სოფელ კლდეში ხარაგაულის რაიონის ორი სოფლის: მაქათუბნისა და ერეთის მოსახლეობა ჩაასახლეს. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. ხალხს ეკონომიურად უჭირდა, ეს ვითარება გამოიყენეს, ბევრ რამეს დაჰპირდნენ, რითაც გადმოსახლებისადმი მათი წინააღმდეგობა “გატეხეს”. ამ ნახევრად იძულებით ჩასახლებულ ადამიანებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მართლაც საკუთარი სურვილით მოსული ცალკეული ოჯახებიც დაემატა და ყოველი 500 კომლიანი სოფელი, 300 კომლამდე მოსახლით შეივსო. გასახლება-ჩასახლების ორგანიზატორებმა ბევრი დანაპირები დროულად ვერ შეასრულეს, ამას დაემთხვა გვალვიანი, მოუსავლიანი წლებიც და ისიც, რომ ჩასახლებული მოსახლეობა უკლებლივ მალარიით დაავადდა. იყო დღეები, როდესაც სოფელში ფეხზე თითქმის აღარავინ იდგა. მალარიის შეტევებისაგან ქანცგაცლილი ადამიანები პანიკურმა შიშმა შეიპყრო, — “აქედან გასახლებულთა ცოდვამ გვიწიაო”, ამას უბრალოდ კი არ ამბობდნენ, არამედ მთელი არსებით განიცდიდნენ კიდეც. ამ და სხვა მიზეზების გამო, ჩასახლებულმა მოსახლეობამ პირი იბრუნა ძველი საცხოვრებელი ადგილებისაკენ, თავიანთ ყოფილ სოფლებში იწყეს დაბრუნება, მაგრამ ნურასუკაცრავად, ხელისუფლებას ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა: გზები გადაკეტეს, ხოლო “გაპარულები”, “თავისივე თანხმობით” უკან დააბრუნეს. ასეთი “მიდევილ-მოდევილი” დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა, შემდგომ კი ყველაფერი ნორმალურად წარიმართა: ომი დამთავრდა, სამუშაო ადგილები არ ჭირდა, ჩასახლებული მოსახლეობა შეეჩვია და ალღო აუღო ადგილობრივ პირობებს და რადგან ეკონომიურად მომაგრდნენ,

ბუნებრივია, დაწყნარდნენ, მალარიასაც თავი დააღწიეს და ცხოვრება საგრძნობლად გააუმჯობესეს. მათი საფიქრალი ახლა ისღა იყო: ხალხი რომელიც ამ ადგილებიდან გაასახლეს, სად და როგორ იყვნენ? როგორი იქნებოდა მათი შემდგომი ბედი. სხვადასხვაგვარი ჭორი ვრცელდებოდა, ოფიციალურად და სარწმუნოდ, არავინ არაფერს ამბობდა, ასე გაგრძელდა დაახლოებით 60-იანი წლების მიწურულამდე, შემდგომ კი მთავრობამ და "მშობლიურმა" კომუნისტურმა პარტიამ, საჯაროდ მოახდინეს საქართველოდან და საერთოდ კავკასიიდან 1944 წლის ოქტომბერში და სხავადასხვა წლებში გადასახლებული მოსახლეობის რეაბილიტაცია. საქვეყნოდ იქნა გაცხადებული მათი უდანაშაულობის შესახებ და ნება დაერთოთ, გარკვეული პირობების დაცვით, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ წინანდელ საცხოვრებელში, გარდა სასაზღვრო ზონისა. ამის შემდეგ, თითქოს, ყველაფერი გაირკვა, თუმცა სამცხე-ჯავახეთიდან 1944 წლის ოქტომბერში გადასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის მუდმივი სახოვრებელი ადგილის და მიწების გამოყოფა, დღემდე მოუგვარებელია, ისევ გადაუჭრელი პრობლემაა, მის გადაწყვეტას საქართველოს მთავრობა დღემდე "მხოლოდ ცდილობს".

სოფელ კლდეში ვეისალ მარიევის სახლი ერთ-ერთი საუკეთესო იყო: ორსართულიანი, შესანიშნავი სარდაფით, დამხმარე ნაგებობებითა და სათავსოებით, ლამაზი ბუხრითა და საოჯახო ფურნეებით. გასახლება-ჩასახლების პროცესში, სახლი სამხედროებს ეკავათ, ხოლო იმის გამო, რომ ის ხეხილის ბაღში, სოფლიდან განცალკევებით იყო ჩადგმული, მოსახლეობაში განაწილების გარეშე დარჩა. მოხდა ისე, რომ პარტიის ხარაგაულის რაიკომის წარმომადგენელი, რომელიც კლდესა და წნისში მოსახლეობის ჩასახლებაში მონაწილეობდა, თვითონაც "დასთანხმდა" კლდეში ჩასახლებულიყო და რადგან თავისუფალი, უფრო სწორად, განაწილების გარეშე დარჩენილი, სხვა სახლი სოფელში აღარ იყო, უთხრეს მოეცადა და სამხედროების წასვლის შემდეგ ოჯახით იმ სახლში განთავსებულიყო. ხარაგაულის სოფელ სარგვეშის მკვიდრის, გიორგი ექვთიმეს ძე კოპაძის ათსულიანი ოჯახი, ასე გახდა ვეისალ მარიევის სახლისა და მისი კარმიდამოს მფლობელი.

გიორგი, მისი მეუღლე ქეთევანი, ქეთევანის დები: ლუბა და მარიამი პედაგოგები იყვნენ. ოჯახში ხუთი ბავშვი იზრდებოდა, ბევრს შრომობდნენ, რის შედეგადაც ცხოვრებას არ უჩიოდნენ. ბუნებრივია აინტერესებდათ ვის სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ ამის დადგენა ვერაფრით მოახერხეს. მეორე სართულის მოაჯირზე, ასასვლელი კიბის თავიდან დანით იყო ამოჭრილი "სარვარ". კოპაძეებისთვის გაუგებარი იყო რას ნიშნავდა და ვის მიერ იყო ეს სიტყვა ამოჭრილი.

1956 წლის 10 აგვისტოს, კოპაძეების ეზოს ჭიშკართან ორი ავტომანქანა გაჩერდა, ერთიდან რაიონის მთავარი ავტოინსპექტორი დავით მარღიშვილი გადმოვიდა, ხოლო მეორე მანქანაში ჩანდა რომ ისხდნენ, მაგრამ რატომღაც არ ჩამოდიოდნენ. დავითის დედა კოპაძის ქალი იყო და ვინაიდან თავს კოპაძეების სახლისშვილად თვლიდა,

“დედულეთში” თამამად მიდიოდა ხოლმე. ამიტომ მისი მოსვლა გაეხარდათ, მაგრამ არ გაჰკვირვებიათ. დავითმა დამხვდურნი გადაკოცნა, მოიკითხა და მრავალმნიშვნელოვნად უთხრა: თუ არ მიწყენთ სტუმრები მოგიყვანეთო.

— კი მაგრამ, როდის აქეთ გახდი ასეთი უცხო და ოფიციალური. ჭიშკარი გააღე და მანქანებით ეზოში შემოდით, — უთხრა გიორგიმ. მანქანები ეზოში შემოაყენეს. დავითმა ორი ახალგაზრდა კაცი წარუდგინა კოპაძეებს:

— იცნობდეთ! სარვარ და საბირ მარიევები, ძმები, ამ სახლის ყოფილი პატრონის, ომში დაღუპული ვასილ მარიევის შვილები.

გიორგიმ და ქეთევანმა ბიჭები შვილებივით გადაკოცნეს. ასევე თბილად მიიღეს ისინი დანარჩენებმაც. თვითონ “ბიჭები” ალბათ, ასეთ თბილ მიღებას არ ელოდნენ და უზომოდ კმაყოფილები აცრემლებულ თვალებს ცხვირსახოცით იმშრალებდნენ. ერთი სიტყვით, მოსულ-დამხვდურნი ერთმანეთით კმაყოფილნი იყვნენ, დავითს მადლობას უხდიდნენ და თან მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის იტყოდა — რა და როდის მოხდა. რამდენიმე წუთში ყველაფერი გაირკვა:

ერთი წლის წინ საქმესთან დაკავშირებით დავითი მივლინებული ყოფილა უზბეკეთის ქალაქ კარშში, სადაც სამსახურებრივად შეხვედრია ადილა ხალილოვს, გასახლების დროს, სოფლის შესახვევთან მდებარე საკუთარ ბაღში, ტრაგიკულად დაღუპული და იქვე დასაფლავებული, რეზა ხალილოვის უმცროს ძმას, იმხანად კარშის ოლქის ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსს. ადილა გადასახლებისას 14 წლის ყოფილა და ყველაფერი ზედმიწევნით კარგად ახსოვდა, როდესაც გაიგო, რომ დავითი ახალციხიდან იყო, თავიანთი ისტორია მოუყვა და ახალციხის ამბებიც გამოჰკითხა. უცებ დაახლოვდნენ. ოჯახში მიიწვია და მარიევეებიც, რომლებთანაც ახლო ნათესაობა აკავშირებდა გააცნო. გამომშვიდობებისას დავითი დაჰპირდა, სამივეს “ვიზებს” გამოუგზავნიდა (მაშინ ახალციხე დახურული სასაზღვრო ზონა იყო) და მათი სტუმრობით დიდად გაიხარებდა. მართლაც ყველაფერი ისე გააკეთეს როგორც მოილაპარაკეს, ხოლო თვითონ ადილა ფეხის ტრამვის გამო იმხანად ვერ ჩამოვიდა. სოფელში შემოსვლამდე დავითმა არ იცოდა, რომელ სახლში და ვისთან უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ როდესაც სარვარმა ავტომანქანა კოპაძეების ეზოსთან გააჩერა, დიდად გაიხარა, აქაურობას ისიც ხომ თავისად თვლიდა.

მოხდა საოცრება, მაგიდა მეორე სართულზე გაშალეს და, როდესაც აივანზე ავიდნენ, სარვარი მოაჯირს დააკვირდა. მის მიერ ბავშვობისას დანით ამოჭრილი საკუთარი სახელი “სარვარ” ისევ ისე იყო როგორც დატოვა. გაიხარა, “ძია გიორგის” მკერდსა და მხრებს უკოცნიდა, გულში ეკვროდა მისთვის უკვე ახლობელსა და საყვარელ ადამიანს და ის სითბო, რომელიც მათ მამაშვილური ურთიერთობიდან მოდიოდა, ერთნაირად გადამდები იყო ირგვლივ მყოფთათვის.

ორი დღე დარჩნენ “ბიჭები” სამშობლოში. ღამით ახალციხეში სასტუმროში იძინებდნენ (თვითონ რატომღაც ასე ისურვეს), დღისით კი სოფელში ბრუნდებოდნენ, მთელი დღე მისი სანახების დათვალიერებას ანდომებდნენ. მეჩეთი და წინაპართა სასაფლაო მოინახულეს. იმის გამო, რომ საფლავის ქვები იქვე მდებარე სამხედრო ნაწილის ყაზარმის ასაგებად და სოფლის სკოლის კიბეებად წაეღოთ, თავისიანების

საფლავები ვეღარ იპოვეს. არ გახარებიათ, თუმცა წყენა არ შეიმჩნიეს, — ვის რას უშავებდაო, ეს კი უთხრეს ძია გიორგის.

წასვლისას სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს თბილად გამოეთხოვნენ. ბიჭებმა კარშში ჩასვლისთანავე წერილები გამოგზავნეს. ხოლო, მეორე წლის ზაფხულში, სარვარმა, რომელიც, როგორც მენავთობე ინჟინერი უკვე ბაქოში სახლობდა, კოპაძეები ცოლ-შვილით ინახულა. შემდეგ ზაფხულზე კი საბირმა თავისი მეუღლე ჯენეტი და ქალიშვილი თამილა, მთელი თვით გამოუშვა კოპაძეებთან გასაცნობად და დასასვენებლად. მათ წასაყვანად ადილა ხალილოვი ჩამოვიდა და ისიც დიდად კმაყოფილი დარჩა კოპაძეების გაცნობით.

ასე დამყარდა ნათესაობის ტოლფასი ურთიერთობა სოფელ კლდეში არსებული ერთი სახლისა და ეზო-კარმიდამოს ძველ და ახალ მეპატრონეთა შორის, რომელიც დღესაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი და ქეთევან კოპაძეები, სარვარი და მისი მეუღლე ცოცხლები აღარ არიან. მხოლოდ და მხოლოდ საბირი და ჯანეტია უფროსი თაობიდან დარჩენილი, ისინიც და სხვა მარიევებიც საბოლოოდ ბაქოში — დარვინის ქუჩაზე დამკვიდრდნენ. წელიწადი ისე არ გავა, რომ საბირმა, ან რომელიმე მარიევის შთამომავალმა, ახალციხეზე გავლით თურქეთში მომავალმა, კლდეში არ შეიარონ, თავიანთი წინაპრების სასაფლაო და ასევე "ძია გიორგის და ქეთევანის" საფლავი არ ინახულონ, მათი შვილები და შვილიშვილები არ მოიკითხონ. მათთვის ახალციხე, სოფელი კლდე, მშობლიური ადგილია, წინაპართა საძვალეა, კოპაძეების სამკვიდრო ადგილია, იმ კოპაძეებისა, რომლებსაც დღემდე დაცული და მოვლილი აქვთ ის სახლი, სადაც სარვარი, ბესიკი, საბირი და ადილა არიან დაბადებული და ბავშვობისას ნარბენ-ნათამაშები.

ირიდა ოთხმოცდათექვსმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ნატვრა: ფეხშიშველას გაევლო თავის ყოფილ კარმიდამოში, თუთის ხის ქვეშ, მწვანე მოლზე ჭილოფზე დაესვენა, "კოხტა ფოარის" (კოხტა წყაროს) წყალი დაელია, მასში დასველებული ხელი თმაზე გადაესვა, შუბლი და ტუჩები დაესველებინა — მისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ბევრჯერ იყო. მაგრამ ასევე ბევრჯერ გამოჩნდა ხელისშემშლელი მიზეზებიც, რომელთა ჩამოთვლა ალბათ, დიდად გააგრძელებს ჩვენს თხრობას, თუმცა მე მას მაინც ვაგრძელებ.

ახალციხეში ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ, როდესაც სარვარი და საბირი კარშში დაბრუნდნენ, ყველა მათი ახლობელი, ძირითადად მარიევები და ხალილოვები, საბირთან შეიკრიბნენ, აინტერესებდათ თუ რას იტყოდნენ ბიჭები სამშობლოზე. საინტერესო და მათთვის საამო ამბების მოთხრობის შემდეგ, სარვარმა განსაკუთრებით ძია გიორგისა და დეიდა ქეთევანის დიდბუნებოვნებაზე გაამახვილა ყურადღება.

— მითხრეს: ჩამოდით, ამ ეზოში ერთი სახლი კიდევ ავაშენოთ და მერე გადავწყვიტოთ, ვინ რომელში ვიცხოვროთო. მე მართალია იქ ვერაფერს ავაშენებ, ვინაიდან ჩემ ცოლ-შვილს ბაქოს გარდა არსად ცხოვრება არ სურთ, მაგრამ ისინი საყვარელი და კეთილგონიერი ხალხია, ჩემთვის ბედნიერებაა, მე მათი გამოისობით კლდეში საკუთარი სახლი მაქვს და მექნება კიდეცო.

ყველასთვის მოულოდნელად ირიდამ ბიჭებს ჰკითხა, მუსხში ბესიკ ივანიძე თუ ნახეთო. გაკვირვებულმა საბირმა იკითხა: ვინაა ბესიკ ივანიძე, ან რატომ უნდა გვენახაო. სარვარმა კი ბებიას ბოდიში მოუხადა და დაჰპირდა, რომ ახალციხეში მორიგი ჩასვლისას ბესიკ ივანიძეს აუცილებლად ნახავდა. შემდეგ კი ეს მისთვის დიდი ტრამვა იქნება, მაგრამ ეს აუცილებელია, ოჯახის უფროსმა უნდა იცოდეს ყოველივე, რაც მისი ოჯახის წევრებს ჭირს. ის ყველაფერს ისე გაიგებს, როგორც საჭიროა. შენ ხომ ეს შენი წინდაუხედაობით და უჭკუობით არ მოგსვლია.

დედამ სათქმელი დაასრულა, მაკოცა და ოთახიდან გავიდა. ღამით სიცხე მომცა, შემდეგ შემაცივნა, კანკალმა ამიტანა და ისევ მაღალი ტემპერატურით გავითანგე. მთელი კვირა ლოგინში წოლა მომიწია. მშობლები თავს მევლებოდნენ. მამა ისე იქცეოდა, ვითომ არაფერი იცოდა. ან კი სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო, ჭირთათმენა ხომ ვაჟკაცთა უპირველესი წესია.

შედარებით მალე გამოვკეთდი. ავადმყოფობის დროს ნოდარს არ ვუნახივარ. ქუჩაში დედას შეხვედროდა და ჩემი ჯანმრთელობის შესახებ ეკითხა, თავისიც ეთქვა, უფრო ალბათ ჩემზე გადმოსაცემად მოუყვა ყოველივე, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე გადასულიყო. როგორც გამონაკლისი ინსტიტუტის რექტორს ამისი ნება დაერთო. თუ რატომ გააკეთა ასე, მაშინ ვერ გამოვიცანი, ყველაფერს უფრო მოგვიანებით მივხვდი.

მართალია ფიზიკურად განვიკურნე, როგორც იტყვიან მოვრჩი, მაგრამ მაშინ, რაც ჩემს სულს დააჩნდა, მიუხედავად შემდგომი საშინელი შურისძიების აღსრულებისა, იგი დღემდე მოურჩენელია და არც განიკურნება, მე ამ ტკივილს თან წავიღებ სამარეშიც. ვინაიდან შურისძიება სულის ტკივილის გაყუჩების საშუალებაა და არა მისი განმკურნავი და მომრჩენელი.

ამ წერილში შეუძლებელია ყველაფერ იმაზე შევაჩერო ყურადღება, რაც მე გადამხდა. მათ იმ საქმისათვის, რისი გარკვევისთვისაც გწერთ, არა აქვთ არავითარი მნიშვნელობა, ხოლო მათი წაკითხვა კი საკმაოდ დიდ დროს წაგართმევთ, რისი მიზეზიც ნამდვილად არ მინდა ვიყო. ახალი სასწავლო წელი დაიწყო, ვმეცადინეობდი თავდავიწყებით, ამით თითქოს ვიკლავდი შურისძიების დაუოკებელ წყურვილს.

ნოდარმა თავისიანებთან სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე გადასვლა იმით გაამართლა, რომ თითქოს მამის პროფესია მოსწონდა, მათაც გადაწყვეტილება მოუწონეს, კარგად სწავლობდა, მაგრამ ერთი უცნაურობა დასჩემდა, მთელი დღეები სადღაც ხედავთ რა უბედურება გვჭირს?. ქართველები ერთად ვერც ღვთისმშობლის ეკლესიაში ვლოცულობთ და ერთმანეთთან ვეღარც ქართულად ვლაპარაკობთ... რომელი დროშის ქვეშ შეიძლება გავერთიანდეთ რელიგიურის, თუ სახელმწიფოებრივის. ეს შეუძლებელი თუ არა, საკმაოდ ძნელი განსახორციელებელია, ჩვენს სინამდვილეში, ალბათ ღმერთი შეგვეწევა, ისევ ის გვიშველის, სხვა ვერაფერი მომიფიქრებიაო. თუმცა საფიქრალი და საომარი ნეტა როდის არ ჰქონდათ ქართველებსო. ღმერთმა მშვიდობით გატაროთ, თვალი მშრალი და გული მხიარული გქონდეთო.

წუთით ყველა ჩავფიქრდით, მაგრამ ჩქარა ისევ რეალობას დავუბრუნდით. ბიჭების სურვილი იყო ბესიკისთვის ეთხოვათ და კარშში წაეყვანათ, დედასა და დიდედას გავახარებთო. არ ვურჩიე: ინვალიდი, ხანდაზმული კაცია, ვინ იცის მგზავრობას როგორ გადაიტანს, თუ ირიდას და ფატიმას გახარება გინდათ სჯობია ისინი აქეთ ჩამოიყვანეთ-მეთქი. დამიჯერეს, მაგრამ დედისა და დიდედის ჩამოყვანა ვერ განახორციელეს. ღმერთმა აპატიოთ, ალბათ მიზეზი გამოუჩნდათ. თუმცა მიზეზს რა დალევს. არც დრო და არც სხვა რამ. მიჩენილი ამ ქვეყნად არავის არაფერი არ უნდა, და ასეთი არავისა აქვს საერთოდ, რა შეიძლებოდა მაშინ დაეშავებინათ, ან დღეს დაუშავონ ერთმანეთს. ერთ სივრცეში ცხოვრებით ივანიძეებმა და მარიევებმა, კოპაძეებმა და ხალილოვებმა, ქართველმა და მაჰმადიანმა მაჩაბლებმა, პავლიაშვილებმა, აბაშიძეებმა, ბარათაშვილებმა და ა.შ. ალბათ უპირველესად ის, რომ ერთის სალოცავი იესოს ტაძარშია, მეორესი კი მუჰამედის მეჩეთში. ილოცონ! ილოცონ! გულმართლად და გულმხურვალედ ილოცონ! იწამონ ღმერთი, რომელიც ყველასთვის ერთია და მხოლოდ ერთი. “რომელმა შეჰქმნა სამყარო ძალითა მის მიერითა”... “მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის ძლიერითა”. ჩვენ დღევანდელი ადამიანებიც და ხვალინდელნიც ხომ პირველცოდვილი წყვილის, ადამისა და ევას მოდგმისა ვართ და დღესაც ვცოდავთ უფლისა და ერთმანეთის წინაშე, ნუთუ სურვილი მაინც არ უნდა გაგვიჩნდეს, რომ შევძლოთ — “ცოდვათა მონანიება მუნ თანა წასატანისა”.

1998 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას, ჩვენი “დიდი ოჯახი კლდეში მარიევებისა და კოპაძეების საზიარო სახლში” შევიკრიბეთ. ასე ვეძახდით კლდეში მარიევების მიერ გასახლებამდე აგებულ ძველ სახლს, სადაც ამჟამად ჩვენი უმცროსი ძმა ზურაბი ცხოვრობს. ეკლესიიდან შინ მობრუნებულები, ის იყო სუფრას უნდა მივსხდომოდით, რომ ეზოს მერსედესი მოადგა, ეზოში საბირი და მისი ქალიშვილი თამილა შემოვიდნენ. თურქეთიდან ბაქოში ბრუნდებოდნენ და შემოგვიერთდნენ. გავიხარეთ, სტუმრები მაგიდასთან მივიწვიეთ, საბირი მართლმორწმუნე მუსულმანია, სუნიტი. მისი სიტყვებია: “მე ვიცი რომ წარმოშობით ქართველი ვარ, მარინაშვილი, მაგრამ ახლა თურქი ვარ მარიევი. თქვენ ძალიან მიყვარხართ, იმიტომ რომ კარგები ხართ”. ამას ის სიცილით ამბობს ქართულად, ლექსივით აქვს გაზეპირებული, ქართული არ იცის, ეს ალბათ თამილამ ასწავლა. ჩვენთან რუსულად ლაპარაკობს, რუსული სკოლა აქვს დამთავრებული. ქართული არც მისმა მეუღლემ ჯენეტმა იცის, წარმოშობით ქურთის ქალია, აწყურელი. ხუთი შვილი ჰყავთ. ქართული მარტო თამილამ ისწავლა. კარგი გოგოა, ექიმია, პედიატრი. ლამაზი, კეთილგონიერი, ქართველობს, მარინაშვილების გვარს ატარებს, დიდი სურვილი გვქონდა ქართველ მუსლიმანზე გათხოვილიყო, საქართველოში ეცხოვრა, მაგრამ ბედმა სხვა არგუნა, ბაქოში გათხოვდა, იქაურ მდიდარ ვეტექიმზე. მიგვიპატიჟეს, ვერ ჩავედით, წერილებს გვწერს, არ გვივიწყებს. ქოწინების შემდეგ პირველად გვესტუმრა, გვესტუმრა მამასთან ერთად. მათი ადათის მიხედვით არ შეიძლება გათხოვილი ქალი მამაკაცის გარეშე წავიდეს სადმე. პატარაობისას ჩვენთან ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა, შვილივით გვიყვარს. ახლაც მე და ჩემს მეუღლეს შუაში ჩაგვიჯდა, მოგვეფერა, მართლაც თბილი და ალერსიანი გოგოა. დავნაყრდით, ვისაუბრეთ, ვიმხიარულეთ, გვიხაროდა რომ თამილა ბედნიერად გრძნობდა თავს ჩვენს გარემოში. ბევრი სადღეგრძელო შევსვით. საბირი მხოლოდ ალუბლის სუსტ ნაყენს “წრუპავდა”. სადღეგრძელოში, რომელიც საქართველოს გარეთ მყოფ ქართველებს

ეხებოდა, ჩემმა ძმამ ზურაბმა, საბირს უთხრა: — საბირ! ერთმანეთთან ხომ ძმებივით ვართ, კარგად იცი სანამ ჩემი მშობლები: გიორგი და ქეთევანი ცოცხლები იყვნენ, ყოველთვის თქვენი მოლოდინი ჰქონდათ და შვილებივით უყვარდით. ჩამოდი ოჯახით და ამ შენ სახლში იცხოვრე, მე და ჩემმა ძმამ ახალი სახლი რომ უკვე ავაშენეთ ხედავ. ვიყოთ ერთად, ერთად ვაკეთოთ ქართული საქმე, ერთად ავაშენოთ ჩვენი განახლებული, დამოუკიდებელი ქვეყანა, როგორც ვიცი, ყველა აქედან წასულს უკან დაბრუნება ისეც გინდათ.

საბირმა გაიღიმა, ზურაბს მადლობა გადაუხადა ასეთი თბილი სიტყვებისათვის და დინჯად მიუგო:

— არ, ჩემო ზურაბ! არა ჩემო ძმაო! ჩემი და ჩემი ოჯახის აქ ჩამოსვლა და ცხოვრება არასოდეს მოხდება, როდესაც ჩემი ძმები ცოცხლები იყვნენ და მოვინდომეთ კიდეც, მაგრამ გარდა სხვადასხვა ობიექტური მიზეზებისა, ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი ის იყო, რომ თამილა, ჩვენი შვილები და მეუღლეები ამაზე არ დაგვთანხმდნენ, განსაკუთრებით სარვარის მეუღლე ბაქოელი რუსის ქალი იყო ამის წინააღმდეგი. აყრა და ოჯახით სხვა გარემოში გადასახლება ადვილი არაა, განაკუთრებით მაშინ, როცა ისეთ ქალაქში ცხოვრობ, როგორიც ბაქოა, თან როდესაც იმასაც გრძნობ, რომ ამის გადაუდებელი საჭიროება არ არსებობს. იცით, რომ ფერგანის ტრაგედიის შემდეგ, მთელი ნათესაობა ბაქოში დავსახლდით. კარგადა ვართ, აზერბაიჯანის მოქალაქეობა მივიღეთ. ვმუშაობთ სპეციალობის შესაბამისად (იცინის) "თათრები" ვცხოვრობთ "თათრებში". აქ თქვენ მყავხართ, რაც მე სრულად მაკმაყოფილებს. კარგი ის იქნება, შევძლოთ ჩვენი ასეთი ურთიერთობა მომავალმა თაობებმაც გააგრძელონ. მთავარია კეთილი კაცი იყო "შაითანმა" არ შეგაცდინოს...

საუბარში ჩავერიე, — საბირ! ამდენი ხმაურია ატეხილი თქვენი "მესხი მაჰმადიანების" აქ დაბრუნებაზე და თუ ყველა შენსავით ფიქრობს და იქცევა, მაშინ საიდან მოდის ეს თემა?

— აქ ჩამოსახლების მსურველებიც არიან, როგორ არ არიან? თუმცა არა იმდენი, რამდენიც იყვნენ. ბევრი მათ შორის ქრისტიანობისდროინდელ გვარს ატარებს, მაგრამ მათაც მაპატიონ, და თქვენც კარგად გამიგეთ მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქოს რაღაც პატრიოტული მოტივიც ამოძრავებთ და ამაში ალბათ გულწრფელებიც არიან, მათი აქ ჩამოსვლა ბევრ პრობლემას გაგიჩენთ. იცით რა, მოკლედ რომ გითხრათ ერთი ნაწილი აგორებული ქვასავითაა, — "ხავსი ვერსად მოიკიდა". საგულისხმოა, ისიც, რომ ჩვენი ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობს, კეთილ-დამოკიდებულებას ვერ გრძნობს: ქვეყნის მოქალაქეობას არ აძლევენ, პირიქით, იქედან ერეკებიან. ეს რომ ასე არ იყოს, მათი უმრავლესობა არც ისურვებდა ოჯახებით აყრას და "სამშო ბლოში" ჩასახლებას. მოკლედ, ჩვენი ხალხი აქამდე ადგილს ეძებს დედამიწაზე და ბოლოს და ბოლოს ეს სადღაც ხომ უნდა მიიღოს. არავინ უარყოფს, სხვათა შორის არც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომ უდიდესი ნაწილი აქედან გასახლებული მოსახლეობისა ეთნიკური მესხებია და ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ოდითგან, ბოლოს და ბოლოს რა დავაშავეთ ისეთი, რომ ეს სასჯელი ვერ მოვიხადეთ, დანაშაული ვერ გამოვისყიდეთ. ვისაც აქაურობა ახსოვს, ასეთები უკვე ძალიან ცოტაა და ჩქარა ალბათ არც ერთი აღარ ვიქნებით. ჩვენ ხალხს სჭირდება, რომ სადღაც მუდმივად დასახლდეს, ერთ-ერთი ასეთი ადგილი უპირველესად

საქართველოა, კერძოდ კი სამცხე-ჯავახეთი. გადაწყვიტეთ თქვენ გჭირდებით თუ არა, ან იმაზე სერიოზულად იფიქრეთ, გვაქვს თუ არა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა. ერთსაც გეტყვით: აქ ჩამოსვლის მსურველთა შორის ბევრია არაპატრიოტულად მოაზროვნეც, რომელიც იქაც პრობლემას უქმნიან ადგილობრივ ხელისუფლებას და ალბათ აქაც არ მოიშლიან ავკაცობას. ამიტომაც სულაც არ მიკვირს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს გაარკვიოს ვინ ვინ არის და რა მიზნით აპირებს "სამშობლოში დასახლებას". პრობლემა ისაა, რომ ჯერ თქვენ თვითონაც ვერ გაგირკვევიათ, გინდათ ნამდვილად ჩვენი ხალხის აქ დასახლება? მოკლედ, ჩვენ გაგვიმარჯოს, კაიკაცობას, სიკეთეს გაუმარჯოს, მთავარია გულს ბოროტება არ გავაკაროთ... დანარჩენი ღმერთის საქმეა, მისი ნებაა, სადაურსა სად წაიყვანს, მან უკეთ იცის.

სტუმრები არ დარჩნენ, იმ ღამით თბილისში უნდა გაჩერებულიყვნენ, საბირს ერთ-ერთ კომპანიონთან საქმიანი შეხვედრა ჰქონდა დანიშნული.

ერთმანეთს ჩვეულებრივ თბილად გამოვეთხოვეთ. მათი ყოფილი ეზოს ახალ ჭიშკართან მდგარი, ხელს ვუქნევდით სანამ თვალს არ მოეფარნენ. თან ჩვენთვის ვამბობდით: ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე ჩვენო კარგებო!

მათი ოცნების მამაკაცი

ახისა მახისა,
ხორცი მაჭამე ტახისა,
ითხოვე ოჯახიშვილი
ნურა გინდა რა გლახისა.
(ხალხური)

ჯონი ჩუტკერაშვილი მოწესრიგებული, საკმაოდ მყარი ხასიათის პიროვნება გახლდათ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლა დაუსწრებლად, უცხო ენების ინსტიტუტში გააგრძელა. ერთდროულად ეუფლებოდა ფრანგულ და ესპანურ ენებს, კარგად ფლობდა რუსულსა და გერმანულს, იცოდა ინგლისური და თურქული ენები, სომხური კი ბავშვობიდანვე ისწავლა, ლამაზ თბილისურ დიალექტზე მეტყველებდა, რითაც თავს იწონებდა თავისი უბნის ბიჭებში. ჯონი სტუდენტობის წლებში დაქორწინდა ახლომეზობლის — ნიკო გრძელიშვილის ქალზე. მარიკა დედით ბერძენი იყო. ჩუტკერაშვილების ოჯახი იმხანად "ვორონცოვზე" ცხოვრობდა. ეს შესანიშნავი კოლორიტული უბანი ჩვენი ქალაქისა, მცხოვრებთა შემადგენლობით მართალია ძალზე ჭრელია, მაგრამ მათგან ყველა თუ არა, უმეტესობა ნაღდი თბილისელია. ქალაქური ადათ-წესების მატარებელი და თაყვანისმცემელია. მარიკას და ჯონის სხვა მსგავსებასთან ერთად, რაც მათი ახლო მეზობლობითა და ერთ უბანში ცხოვრებით იყო განპირობებული, თვალში საცემი ორივეს პოლიგლოტობაც იყო. გარდა იმისა, რომ მარიკამ ყველა ენა იცოდა, რომელსაც ჯონი ფლობდა, ბერძნულ

ენაზეც შესანიშნავად წერდა და კითხულობდა, რაც დედამისის — ქალბატონ ხარიკლეს დამსახურება გახლდათ. მათთვის უამრავი დიდებული მხატვრული ნაწარმოები თუ მეცნიერული ლიტერატურა, რომელიც ქართულად არ იყო ნათარგმნი ხელმისაწვდომი იყო და ამას აკეთებდნენ კიდეც. რაც მათი კეთილგონიერების, ჭარბი დადებითი ემოციებისა და მრავალ კეთილ თვისებათა განმსაზღვრელი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთო ნაკითხობასა და წიგნიერებაზე. ოცნებობდნენ რომისა და პარიზის ნახვაზე, მაგრამ ოჯახური ავკარგი, სამსახური, ბავშვები და სხვაც ბევრი რამ, ამ ოცნების განხორციელებაში ხელს ნამდვილად არ უწყობდათ. იმხანად ჯონი პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი იყო. მარიკა სკოლაში მუშაობდა ფრანგული ენის მასწავლებლად. ეკონომიურად არ უჭირდათ, ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად, მართალია ქორწინებიდან 15 წლისთავზე ერთმანეთს თაფლობისთვის მსგავსად ვეღარ გრძნობდნენ, მაგრამ სექსუალურად ერთმანეთისათვის ჯერ კიდევ “ცოცხლები” იყვნენ. სამ ბიჭს ზრდიდნენ. უფროსი — თეიმურაზი მეცხრე კლასის მოსწავლე იყო, გივი და დემური შესაბამისად ასაკისა მერვე და მეექვსე კლასებში დადიოდნენ. კარგად სწავლობდნენ, დედას გვერდში ედგნენ, საოჯახო საქმეებში შველოდნენ. სხვა რომ არაფერი, ისიც დიდი შეღავათი იყო მარიკასათვის, რომ თავიანთი ტანსაცმლის დაუთოვებას შესანიშნავად ახერხებდნენ, მაღაზიებსა და ბაზარში პროდუქტებს თვითონ არჩევდნენ და ყიდულობდნენ.

ჯონი შვებულებას ყოველთვის ივლისში იღებდა. მთელ თვეს გაგრაში და მარიკას მშობლიურ სოფელ შოვში ატარებდნენ. 1957 წლის ნოემბერში ჯონი რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ დააწინაურეს. დიდებულიაო! მიულოცა მარიკამ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. მთელი ასი მანეთით ხელფასი გემატება, მაგრამ, სამაგიეროდ, ალბათ, უდროობა დაგჩემდება და თავს მოგვანატრებო. ჯონის გაეღიმა, მარიკას აკოცა და თეიმურაზის მიერ უკვე დაწყობილ საჭადრაკო დაფას მიუჯდა. შვილთან, რომელიც უმეტესწილად უგებდა, უკომპრომისო ბრძოლაში ჩაება.

ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, ჯონი დილითვე რაიკომის პირველმა მდივანმა თავისთან იხმო, რუსული სკოლის პედაგოგის, — ნინო აბულაძის ხელმოწერილი განცხადება გადასცა და სთხოვა, რომ მასში მოყვანილი ფაქტები გულდასმით შეესწავლა. როგორც შემდგომ გაირკვა ქალბატონი ნინო ადანაშაულებდა სკოლის დირექტორს გულგრილობასა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში, რაც კოლექტივში არსებული კონფლიქტების მიზეზი ხდებოდა, განსაკუთრებით კი შრომითი სწავლების ორგანიზაციის საკითხზე და მასწავლებლებზე აკადემიური დატვირთვის “სამართლიან” განაწილებაზე უთითებდა.

მეორე დღეს ჯონი სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე მივიდა. დირექტორს განცხადება წააკითხა, განცხადების ავტორი იხმო და როდესაც მისგან დირექტორის თანდასწრებით, იგივე ბრალდებები მოისმინა, რაც განცხადებაში იყო მოყვანილი, ორივესთან შეთანხმებით გადაწყვიტა, გაკვეთილების შემდეგ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ჩაეტარებინა, მათი თანდასწრებით გაერკვიათ რა და როგორ იყო. ჯონიმ ტელეფონით განათლების განყოფილების გამგეს და პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარეს სთხოვა, რომ კრების მუშაობაში მიეღოთ მონაწილეობა, თვითონ კი პედაგოგიური საბჭოს ოქმებისა და ბრძანებების წიგნის გაცნობა გადაწყვიტა, რაც

იმწამსვე გადაიფიქრა, ვინაიდან მისი აზრით ზედმეტი ჩარევა იქნებოდა სასკოლო ცხოვრებაში. საერთოდ თვითონ ბუნებით ვერ იტანდა "კირკიტა" ტიპებს, ზედმეტ "კირკიტს", სადიზმის აუტანელ სახედ აღიქვამდა. ამიტომ, რადგან გაკვეთილების დამთავრებამდე საკმაო დრო ჰქონდა, ისევ რაიკომში დაბრუნდა და საქმიან ქაღალდებში "ჩაიძირა". მარჯვენა წარბი "უთამაშებდა". ვერაფრით ვერ დაიოკა. დაცდილი ჰქონდა, როცა ასე ხდებოდა, რაღაც უნდა გახარებოდა, საამო რამ შეხვდებოდა. გამომდინარე, იმ დღეს დაგეგმილი საქმიანობიდან, უკვირდა რა უნდა გახარებოდა, ბოლოს და ბოლოს დაწყნარდა და მუშაობა განაგრძო, მაგარამ რაღაცის მოლოდინში კი დარჩა, რაც შინაგანად უხაროდა, გუნება-განწყობილებას უხალისებდა.

სკოლის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ჯონის აზრით კარგად ჩატარდა: მომჩივანი დაარწმუნეს, რომ ცოტა მუქფერებში ხედავდა სინამდვილეს, დირექტორს თავისი კუთვნილი მიაგეს და ჯონიმ მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გარკვეული და გადაწყვეტილი იყო, ჰკითხა კრების მონაწილეებს, რომ ხომ არავის სურდა კიდევ რამეს თქმა. ბოდიშის მოხდით სიტყვა ითხოვა სკოლის "ორგანიზატორმა" ლარისა იგითხანიანმა.

— მაპატიეთ, რომ გაყოვნებთ, მაგარმ ვსარგებლობ შემთხვევით, რომ კრებას პარტიის რაიკომის განყოფილების გამგე ესწრება, უნდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად სკოლის დირექციის და არა მარტო დირექციის მცდელობისა, მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, მათში შრომითი ჩვევების ჩამოყალიბება და სასურველი პროფესიის დაუფლების საქმე, საკმაოდ დაბალ დონეზეა და ამის მთავარი მიზეზი სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ოსტატთა კვალიფიციური კადრების უკმარისობაა. მცდელობა იმისა, რომ სკოლებთან შევქმნათ ძლიერი სასწავლო ბაზები, შეცდომაა, ჩემი აზრით სწორი გეზი არაა. ვინაიდან პრაქტიკულად ეს შეუძლებელია. მიმაჩნია, რომ მოწინავე საწარმოები, შესაბამისად სკოლის მიერ არჩეული პროფილისა. გაჩნდნენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სასურველი პროფესიების დაუფლების ბაზები, სადაც მოსწავლეები დასაქმებული იქნებიან კვირაში ერთი დღე, წარმოების იმ თანამშრომლებს და ოსტატებს, რომლებიც მოსწავლეებთან იმუშავებენ, ძირითადი ხელფასის გარდა, მიეცით დამატებითი ანაზღაურება ჩატარებული საათების შესაბამისად. ამით ბოლო მოეღება შრომითი აღზრდის "თამაშობანას" და გახდება ეს რეალური საქმე. გთხოვთ ეს საკითხი დააყენოთ შესაბამის ზემდგომ ინსტანციებში. ხოლო რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას განხილულ საკითხზე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ამხანაგმა თედომ არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი სკოლა სახელმწიფო დაწესებულებაა და არა მისი პირადი საკუთრება. ქალბატონ ნინოს კი ბოდიშის მოხდით შევახსენებ, რომ ჩვენ პედაგოგიურ კოლექტივს, რა თქმა უნდა, მისი ჩათვლით, ზემდგომი ორგანოების ჩარევის გარეშეც, უნარი შესწევს განიხილოს და გადაწყვიტოს ის პრობლემები, რომელიც მას, როგორც პედაგოგს თურმე ესოდენ აღელვებს. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, სასურველია ზოგჯერ მაინც, ჩვენი თავი დავაყენოთ

ხელმძღვანელის ადგილზე და ვიფიქროთ, — არსებულ ვითარებაში რის გაკეთებას შევძლებდით უკეთესად.

ქალბატონ ლარისას ნათქვამი ყველამ მოიწონა და გაიზიარა, ხოლო რაც შეეხება ჯონის, ის გარდა მისი ღირსებებისა, დიდად მოიხიბლა ლარისას პიროვნებით. თვალს ვეღარ აშორებდა, უყურებდა და, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ერთმანეთს რაღაც კითხეს და პასუხიც მაშინვე მიიღეს: — მე შენ დიდი ხანია გელოდი. ო! როგორ მაკლდი, როგორ! რა კარგი ხარ, რა მშვენიერი. ჯონის რაღაც უცნაური განცდა დაეუფლა, უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს რა მოსდის, რა ემართება? რა ხდება? შეხვდა ქალს, რომელსაც თურმე მთელი სიცოცხლე ელოდა, ელოდა კი არა და უმისოდ არასოდეს ყოფილა. ერთხელ კიდევ შეხედეს ერთმანეთს და საბოლოოდ მიხვდნენ, რომ ერთმანეთი იპოვეს და დაიპყრეს კიდეც.

კრება დამთავრდა. სათქმელი გულწრფელად თქვეს და შესაბამისი ღონისძიებაც დასახეს. ჯონიმ ლარისას სთხოვა თავისი მოსაზრება, ის რაც კრებაზე თქვა, დაეწერა და მეორე დღეს 4 საათისათვის რაიკომში მასთან მიეტანა, რომ ერთად საბოლოო რედაქცია გაეკეთებინათ. ლარისა დათანხმდა, თვალები ერთმანეთს კიდევ გაესაუბრნენ და “მოსულებმა” იქაურობა დატოვეს.

ჯონიმ რაიკომის მდივანს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. ბატონი ტრისტანი ლარისა იგითხანოვის წინადადებით დაინტერესდა და ჯონის დაავალა, სათანადო წერილი მოემზადებინა, რომელსაც თვითონ წარადგენდა პარტიის რაიკომის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და განათლების განყოფილებაში, ამხანაგ ავთანდილ საყვარელიძესთან. მიანიშნა იმის თაობაზეც, რომ თუ იგითხანოვი პარტიის წევრი არ იყო, მოემზადებინათ მისაღებად და გაეთვალისწინებინათ ხელმძღვანელ სამუშაოზე მომავალში გამოსაყენებლად. მდივნის კაბინეტიდან გამოსულმა ჯონიმ სააღრიცხვო სექტორში შეიარა. აღმოჩნდა, რომ ლარისა ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის დროს მიეღოთ პარტიის რიგებში წევრად, ხოლო მისი ავტობიოგრაფიიდან გაიგო, რომ წარმოშობით ახალქალაქელი, სომეხი, ქმარს გაცილებული ქალი იყო. დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი. ცხოვრობდა საკუთარ სახლში დედასთან ერთად. ეს ყველაფერი გაარკვია, მაგრამ უკვირდა, რომ გარეგნულად ლარისა ესტონელს უფრო ჰგავდა, ვიდრე სომეხს. ისეთი ნათელი სახის კანი და ცისფერი თვალები ჰქონდა, რომ ნებისმიერი ეროვნების ქალს დაამშვენებდა, რაც არც თუ დამახასიათებელია ახალქალაქელი ქალებისათვის. თმა კი ისეთი ხშირი და ბუნებრივად წაბლისფერი ჰქონდა, რომ ირგვლივ საოცარ სიჯანსაღეს და მოსაფერებლად მიმზიდველ განწყობას ქმნიდა.

სამუშაოდან შინ მისული ჯონი შესანიშნავ ხასიათზე იყო. ღამით საძინებელში მარიკასთან მოალერსეს, წინ ლარისას ხატება ედგა. საერთოდ კმაყოფილ, კარგ გუნება-განწყობაზე მყოფ პიროვნებას, ბევრი რამის გამორჩეულად და უჩვეულოდ კარგად

გაკეთების უნარი შესწევს. ჯონის და მარიკას სიამოვნების აპოგეამაც იმ ღამით ყოველგვარ ნიშნულს გადააჭარბა.

ჯონის რაღაც უჩვეულოდ ღამის ოთხ საათზე გაეღვიძა. მის მხარზე თავმიყრდნობილ მარიკას მშვიდად ეძინა. თავისთავად ლამაზი და ეშხიანი, ფანჯარაში ქუჩის ლამპიონის მკრთალ შუქზე ნამდვილი "მძინარე მზეთუნახავის" შთაბეჭდილებას ახდენდა. მოერიდა უნებური მოძრაობით არ გავაღვიძოო, ლოყაზედ სათუთად და სიყვარულით აკოცა, ოდნავ გვერდზე გაიწია და ფიქრებში ჩაიძირა.

— ჩემი მარიკა, დიდებული ქალია, უსაყვარლესი და ამოუწურავი, საამო და არ მოსაწყენი. მაგრამ ლარისა, ჩემთვის, მასთან შედარებით ჯერ-ჯერობით წაუკითხავი ფურცელია და ამიტომაცაა საინტერესო... მხოლოდ ამიტომ? არა! მას აქვს განსაკუთრებული, ჩემთვის საამო არომატიც, რაღაც ქალური, არნახულად მიმზიდველი. ალბათ მხოლოდ მე აღვიქვამ მას ასე განსაკუთრებულად, თორემ ვინმესთვის რომ ის ისეთი მომხიბვლელი იყოს, როგორიც ჩემთვისაა, ამჟამად მარტო არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ გათხოვილიც კი ყოფილა. ის მხოლოდ ჩემთვისაა გაჩენილი. მე მას ვერ დავთმობ. ის ჩემი ოცნებაა და ასე დარჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე. განა ასეთივე არაა ჩემთვის მარიკა? ის ხომ ჩემი პირველი სიყვარული, ჩემი შვილების დედაა, უერთგულესი მეუღლე, სათნო და ზრდილი ქალია. რა! ვითომ ისე შევეჩვიეთ და შევეზარდეთ ერთმანეთს, იმდენი მნიშვნელოვანი პრობლემები გაგვიჩნდა, რომ ჩვენ ურთიერთობაში სექსმა ადგილი მათ დაუთმო? შეიძლება ასეცაა, ფაქტია რომ ისე აღარ აღვიქვამთ ერთმანეთის სხეულს, როგორც პირველ წლებში, მაგრამ მე მარიკაში ქალს რომ არ ვხედავდე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ის ჩემში მამაკაცს, ეს არ არსებობს და არც იქნება ჩვენს ცხოვრებაში. ერთი სიტყვით ფაქტია, რომ დღეს მე ლარისა მფლობს სრულად, მე კი მისი დაუფლების სურვილი უკვე ვნებად მაქვს ქცეული, სიმარათლე ესაა, მორჩა და გათავდა. რა? სწორად არ ვიქცევი? ეს არ შემფერის? ბოლოს და ბოლოს გაუგებარი არაფერი რჩება და მერე? განა შემიძლია თავი ვიმართლო? მორალი, ზნეობა, მეუღლისადმი ერთგულება, ნუთუ აღარაფერი გამაჩნია და სირცხვილის გრძნობაც დავკარგე? მაშინ რა, თავი შევიკავო? ლარისაზე უარი ვთქვა? ვუთხრა რომ მყავს დიდებული მეუღლე და თავი დამანებოს? ჯერ ერთი ვერ შევძლებ ასე მოვიქცე, მეორეც ის, რომ ვინ ვიქნები მე მაშინ, კარგი კაცი?.. შენთვის ულამაზესი ქალი გეტრფის, სიყვარულს გთავაზობს, შენ კი ეუბნები: — იცი რა? თავი დამანებე, შინ მეუღლე მელოდება და შენ ვერ გაგეკარებიო. ეს მაშინ, როდესაც არც ცოლობას გთხოვს და არც სხვა რაიმე პრეტენზიებს გიყენებს, მხოლოდ მოფერებას გთხოვს, იმასაც მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ გაქვს ამის სურვილი და შესაძლებლობა. არა! მოხდეს რაც მოსახდენია, ლარისა ჩემია და იქნება ჩემთან. ვიღაც ვიგინდარას კი არ ვუკავშირდები, ფერია მიყვარს, ფერია! ამაში საძრახისს ვერაფერს ვხედავ. თუ საჭირო გახდება, მარიკას მე თვითონ ავუხსნი ყველაფერს. ნამდვილად კარგად გამიგებს. მას ხომ ჩემი კარგად ყოფნა სურს, ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს... მაგრამ მარიკაც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია, მასაც ხომ შეიძლება დაემართოს ის, რაც მე მემართება და ყველაფერი, რომ

გულწრფელად მითხრას “კარგად გავუგებ”? ე.ი. ჩემი ცოლი სხვა კაცს დაუწვეს და მას შევეგუო იმიტომ, რომ “თავისთვის გაჩენილ კაცს” შეხვდა?.. არავითარ შემთხვევაში! ეს ხომ წარმოუდგენელია. ოჯახის პატრონი, წესიერი ქალი, მით უმეტეს მარიკა, ამას არ დაუშვებს. ქალს, რომელსაც საღ-სალამათი ქმარი გვერდით ჰყავს, ეს არ ეპატიება. მამაკაცი სხვაა, ბუნებამ ეს სამყარო, უფრო სწორად შემოქმედმა, ისე გააჩინა, რომ მამრმა მდედრის სიგნალზე დადებითად უნდა უპასუხოს, მდედრი კი მამრის მოთხოვნას თავისი სურვილის შესაბამისად პასუხობს. ის არც ეთანხმება და ყოველთვის და ყველა ვითარებაში ვერც დაეთანხმება მამრის ნებას. ეჰ! ჯობია ამ თემაზე არც ვიფიქრო, განგებას მიენდო. მასში რისიმე შეცვლა, შენი უძლურების გამო არ შეგიძლია. რუსთაველი მართალია როცა ამბობს — “არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა”-ო.

ლარისა რაიკომში ზუსტად ოთხ საათზე მივიდა. ინსტრუქტორმა ჯონის კაბინეტამდე მიაცილა და მის უკან კარი გაიხურა. როგორც ყოველთვის, ჩაცმულობიდან დაწყებული, ვარცხნილობით დამთავრებული, უნაკლო იყო, ხოლო მოხდენილი ღიმილი და მიმზიდველობა, მისგან მართლაც რომ სიყვარულსა და ქალურობას ასხივებდა. ჯონი მიეგება, ხელი ჩამოართვა და გაუცნობიერებლად, მაგრამ სრულიად ბუნებრივად ერთმანეთს აკოცეს. აკოცეს და განშორებაც აღარც უცდიათ. ასეთმა შეხებამ ისინი უკვე უახლოეს ადამიანებად აქცია. ამჯერად წონასწორობა შეინარჩუნეს. სამუშაო მაგიდას მიუსხდნენ და ყველაფერი ისე გათვალეს და დაწერეს, როგორც საქმეს სჭირდებოდა. ჯონიმ ხელნაწერი მდივან-მემანქანესთან კურიერს გაატანა და სთხოვა გაეფრთხილებინა, რომ ეს მასალა მომდევნო დღის 11 საათისათვის სჭირდებოდა. თავიანთი კმაყოფილება ვნებიანი კოცნით აღნიშნეს და შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს, ხუთ საათზე, ტრამვაის ქვედა სადგურში შეხვდებოდნენ და ფუნიკულიორის რესტორანში ივახშმებდნენ.

“მეორე” დღეც გათენდა, ჯონიმ სამსახურში ყველაფერი გულმოდგინედ და ხალისიანად მოიკეთა, მარიკას ტელეფონით ესაუბრა, უთხრა რომ შინ მისვლა დააგვიანდებოდა, — კოლეგებთან ერთად რესტორანში უნდა ევახშმა. ლარისამ კი გაკვეთილები 2 საათზე დაამთავრა, სახლში შეიარა, კარგად დაისვენა, დედა გააფრთხილა, რომ საღამოს მეგობრებთან ერთად ფუნიკულიორზე მიდიოდნენ, იქ ღია ესტრადაზე ჩხიკვაძის კონცერტს დაესწრებოდნენ და სახლში მოსვლა დააგვიანდებოდა. დედა-შვილი — ლიმონკა და ლარისა, საკუთარ სახლში მარტო ცხოვრობდნენ. ლარისას უმცროსი ძმა ფრიდონი, სოხუმში დასახლდა და წელიწადში ერთხელ ლიმონკას დაბადების დღეზე ჩამოდიოდა ხოლმე ცოლშვილით თბილისში.

ჯონი და ლარისა შეთანხმებისამებრ ერთმანეთს შეხვდნენ და ტრამვაით ფუნიკულიორის “პარკში” ავიდნენ, დაახლოებით ერთი საათი ანტრაქციონებით გაერთვნენ და რესტორანში, აივანზე მაგიდას სავახშმოდ მიუსხდნენ, საიდანაც მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანდა. მსუბუქი ვახშამი — შემწვარი სულგუნი ღომით, სოკო თუშურად და ერთი ბოთლი წითელი შამპანური შეუკვეთეს. ისედაც კარგ ხასიათზე მყოფნი, ქალაქის მშვენიერმა ხედმა კიდევ უფრო გაახალისათ. რასაც თავისთავად

შამმპანურიც ხელს არ უშლიდა. პირისპირ ისხდნენ, ზოგჯერ “შემთხვევით” ერთმანეთს მუხლებით ეხებოდნენ, ცოტას საუბრობდნენ, ერთმანეთს სიყვარულით შესციცინებდნენ და შესანიშნავი ჯაზორკესტრის საამო ჰანგებით ტკბებოდნენ. ცეკვაზე თავი შეიკავეს, ერიდებოდნენ ნაცნობს თვალში არავის მოხვედროდნენ. ლარისამ ჯონის თვალებით გვერდზე რაღაც მიანიშნა და როდესაც ჯონიმ მის მზერას თვალი გააყოლა, მათგან მეოთხე მაგიდაზე, მოპირდაპირე კუთხეში, უცნობ პირებთან მჯდომი, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ბერბიჭა, — გიგლა ბეთაშვილი დაინახა, რომელიც დაჟინებით უყურებდა. ჯონი მიესალმა, მაგარმ ნაცნობის შეხვედრა და ისიც გიგლა ბეთაშვილისა არ ესიამოვნათ, თუმცა არაფერი შეიმჩნიეს და “ალერსი” განაგრძეს. ლარისამ შემპანური მოსვა და ჯონის უთხრა: რომ გიგლა ბეთაშვილი მათ ქუჩაზე ცხოვრობდა, ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ. ამ ორი წლის წინ, როდესაც ქმარს გაშორდა და დედასთან გადმოვიდა საცხოვრებლად, სთხოვა რომ ცოლად გაჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლიმონკა ამის მომხრე იყო, ლარისამ იუარა, გიგლას ორგანულად ვერ იტანდა, ეიფორია ჭირდა, ერთავად ინდაურივით იფხორებოდა, ვის რას ამადლიდ,ა ყველას უკვირდა. ეჭვი არ იყო თავის თანამდებობით ამაყობდა, ამას ისიც ემატებოდა, რომ დედისერთა იყო და ქონებრივადაც, რითაც ერთგვარად ამპარტავნობდა, ყველაფერ ამის მცოდნე ლარისას გიგლა აუტანლად სძულდა, ამიტომ წინადადებაზე საკმაოდ ცივად უპასუხა: — რომ უშვილო ქალი იყო, რისთვისაც ქმარმა “გამოაგდო” და ასეთი სპექტაკლის გამართვას არცერთ მამაკაცთან აღარ აპირებს... ეს იყო და ეს. მის შემდეგ მართალია თბილად ესალმებოდა ხოლმე, მაგრამ ამ “უგონოდ შეყვარებულს”, ლარისასთვის ცოლობაზე აღარაფერი უთქვამს. მიუხედავად ამისა, გულგრილად არ მიყურებს და ჩვენი რესტორანში ერთად ყოფნის შესახებ ხვალ საკმაოდ ბევრს ეცოდინებაო.

თითქოს ლარისას თხრობის დამთავრებას ელოდაო, გიგლა მათთან მოვიდა, ორივე დიდი პატივით მოიკითხა, სავსე ბოკალი აიღო, მათი კარგად ყოფნის სადღეგრძელო შესვა, ბედნიერი ღამე უსურვა, მოიბოდიშა და თავის მეგობრებთან დაბრუნდა. ზრდილობის ასეთი ფორმით აშკარად გააგებინა, რომ მათი რესტორანში ერთად ყოფნა დააფიქსირა. გიგლას წასვლის შემდეგ წუთით გაირინდნენ, მის მიმართ აღძრულმა ზიზღმა მათ გულებში პიკს მიაღწია. შემდგომ კი ჩვეულებრივი ვახშამი განაგრძეს, თუმცა თავს ერთგვარად შეზღუდულად ნამდვილად გრძნობდნენ.

ჯონიმ ლარისასთან მოიბოდიშა, ტელეფონზე სალაპარაკოდ “ფოიეში” გავიდა, უკან სწრაფად მობრუნდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ოფიციანტი იხმო, ანგარიში გაუსწორა, გიგლას და მის მეგობრებს თავისდაკვრით გამოეთხოვნენ და რესტორნიდან გავიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ რუსთაველის გამზირზე “პოდრუჩკით” მისეირნობდნენ.

სასტუმრო “თბილისის” მისაღებში ჯონიმ ადმინისტრატორს ორი პასპორტი მიაწოდა, რითაც ლარისა დიდად გააოცა, კარგად იცოდა რომ მისთვის თავისი პასპორტი არ მიუცია, ვერ მიმხვდარიყო ვისი უნდა ყოფილიყო “მეორე” პასპორტი.

შესაბამისი ქვითარი და გასაღები მიიღეს, მეორე სართულზე ასულებმა საუკეთესო ნომრის კარი შეაღეს ისე, რომ ერთმანეთისათვის სიტყვა არ უთქვამთ. ჯონიმ საძინებელში "ნაჩნიკი" აანთო. ლარისა ხელში აიყვანა, გულში ჩაიკრა, ვნებიანად აკოცა და ლოგინზე დასვა.

— ეს ჩვენი საძინებელია, სულ დიდი ერთი საათი "ჩაკეტილს" დაგტოვებ, ღამის პერანგი, ხალათი და ა.შ. სულ ახლად-ახალი კამოდშია. აქაურობას გაუშინაურდი და დამხვდი ისე, როგორც სასურველ მეუღლეს ეკადრება.

თვალები დაუკოცნა, კარები გაიკეტა და კიბეზე დაეშვა. ლარისამ გარდერობიდან საჭირო თეთრეული აიღო, თბილი წყალი გადაივლო, ღამის პერანგი მოირგო, თმები ელექტრო საშრობზე გაიშრო, სუნამო იპკურა, სარკეში თავი ერთხელ კიდევ აათვალ-ჩაათვალიერა და ლოგინში ჩაწვა. ცხელოდა, კონდიციონერი ხმაურით მუშაობდა და დაწოლამდე გამორთო, საბნით მარტო მუხლები დაიფარა, და ჯონის მოლოდინში გაირინდა. უნებურად რაღაც საამო მოდუნება იგრძნო, მოითენთა და ტკბილად ჩაეძინა.

ჯონის გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ლოგინში მწვანე შუქით განათებული მძინარე ლარისა იხილა. რამ დააძინაო გულში კი გაიფიქრა, მაგრამ ამისთვის არ ეცალა, ულამაზესი ქალი, რომლისკენაც ასე დაუოკებლად ილტვოდა, ლოგინში მკლავებგადაშლილი იწვა და თითქოს მის ჩახუტებას ელოდა. ძალა მოიკრიბა, თავი შეიკავა, არ გავაღვიძოო გაიფიქრა და აბაზანაში დუშის მისაღებად გავიდა. საგულდაგულოდ გამშრალებული ლარისას გვერდით დედიშობილა დაწვა. ფრთხილად ახლოს მიიწია და მის მკერდში თავი ჩარგო. სათუთად აკოცა, თითქოს ამ კოცნას ელოდაო, ლარისა ორივე ხელით კისერზე მოეჭდო და მკერდზე კიდევ უფრო მაგრად მიიზიდა, შემდეგ მკლავები ოდნავ მოუშვა და ტუჩებზე "დააკვდა". არცერთისთვის სექსი უცხო არ იყო, ეს მეტად სასურველი პირველი "შერკინება", ორივემ წარმატებით ჩაატარა. ისეთი ღრმა გრძნობით მიუძღვნეს თავი ერთმანეთს, რომ ჭარბად გაჯერდნენ, ამიტომ განმეორება იმისა, რაც განიცადეს, აღარ უცდიათ. ნელთბილი წყალი გადაივლეს. ჯონის მიტანილი შოკოლადი და მანდარინი მიირთვეს, თითო ბოკალი "ენისელი" დააყოლეს, სიყვარულით აღვსილები დივანზე ერთმანეთის გვერდით დასხდნენ, თუმცა "სიშორე" ვერ აიტანეს და ჯონიმ ლარისა მუხლებზე დაისვა. როდის-როდის ლარისამ სკამზე გადაინაცვლა და საუბარი წამოიწყო:

— ჯონი! ალბათ დამეთანხმები, გულწრფელად შემიძლია დავიფიცო, რომ ერთმანეთი არ გვეჯავრება. ჩემი მხრიდან ის შემიძლია დავამატო, რომ არასოდეს, არანაირ ვითარებაში მე სხვა მამაკაცზე არ გავთხოვდები. უფლებას არ მივცემ ჩემ სხეულს შენს გარდა ვინმე შეეხოს, მაგრამ სიბრიყვე იქნება იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩვენი ასეთი შეხვედრები ხშირი იქნება და ასე დიდებულად ვინებივრებთ.

— ლარისა!...

— გთხოვ მაცალე... სათქმელი ბოლომდე მინდა გითხრა. გყავს შესანიშნავი მეუღლე და შვილები, საზოგადოებაში გაქვს კარგი რაპუტაცია, ეს ყოველივე, თანახმად ჩვენი წესისა და ზნეობისა, ნებისმიერ სხვა ქალთან ურთიერთობას, ასეთს, რომელიც ჩვენ შორის დამყარდა, გვიკრძალავს. აუცილებლად დაგდებენ ბრალს უზნეობაში, "ამორალურ" ქცევაში, რაც ცხოვრებას გაგირთულებს. ამიტომ, ეს არ უნდა ჩაიდინო და

არც მე მინდა, რომ დაზარალდე... ასეთ ვითარებაში რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ. ფაქტია, რომ უერთმანეთოდ ველარ გავძლებთ, ვერ ვიქნებით... იცი რა ჯონი? მე შენ გენდობი. ყველაფერ გონივრულზე, რასაც კი შემომთავზებ თანახმა ვარ, როგორც სათაყვანო, საყვარელ მამაკაცს უსიტყვოდ გემორჩილები.

— რასაც ვფიქრობ გულახდილად გეტყვი: უპირველესი ისაა, რომ დავრწმუნდი, თუ რაოდენ საჭირო ხარ ჩემთვის, ჩემი სიცოცხლისთვის, შრომის უნარის შენარჩუნებისათვის. ამიტომ, მე შენ ვერასოდეს მიგატოვებ. დამიჯერე, რომ უშენოდ უთუოდ დავსნეულდები. შენი კარგად ყოფნა, სიხარული, ჩემ ბედნიერად და სიხარულად მიმაჩნია და წარმოიდგინე, როგორი ბედნიერი ვარ იგივეს რომ ვხედავ და ვისმენ შენგანაც. რამდენადაც არაგონივრულად უნდა მოგეჩვენოს, გთხოვ, გარდა იმ ოფიციალური შეხვედრებისა, რომლებიც სამსახურეობრივი საქმით იქნება განპირობებული, თვეში ერთხელ ნებისმიერ სამუშაო დღეს, აუცილებლად უნდა მნახო, რის შესახებაც წინადღით უნდა დამირეკო, როგორმე გამაგებინო. ამ შეხვედრისას გეტყვი, თუ როგორ ვიყოთ და რა ვიღონოთ, სად შევხვდეთ და როდის.

— გეთანხმები, მგონი მივხვდი რაზეც საუბრობ... შემდგომში ჩვენ ურთიერთობაში მოლოდინი, უცილობელი, თანაც საამო მოლოდინი იქნება მთავარი. ხოლო ასეთი ლოდინის საფასურად უმაღლესი ჯილდო, ისეთი შეხვედრა იქნება, როგორიც დღეს გვქონდა. საჭირო აღარაა, რაიმე მითხრა, გეთანხმები. დაუსრულებლად შემიძლია გელოდო, მხოლოდ ვიცოდე, რომ იმ დღეს, იმ რიცხვში, იმ საათზე აუცილებლად შევხვდებით. ეს ხომ ზღვარდებული ლოდინია, რომლის მოახლოების დღე ბედნიერებაა.

მათი შეხვედრის მეორე კვირის სამშაბათს, განათლების სამინისტროს ინიციატივით, თბილისის სკოლების დირექტორების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორების თათბირ-სემინარი ჩატარდა. ბოლო შემაჯამებელ მეცადინეობაზე განათლებისა და აგიტაციის პროპაგანდის განყოფილებების გამგეებიც მიიწვიეს, ვინაიდან პედაგოგ ლარისა იგითხანიანის წინადადების თაობაზეც უნდა ემსჯელათ. შესვენებაზე ჯონიმ ლარისა ჩვეულებრივ მოიკითხა და ხმადაბლა უთხრა, რომ საღამოს 6 საათზე "სანაპიროზე" სტალინის ძეგლთან შეხვედროდნენ (მიუხედავად იმისა, რომ იქ სტალინის ძეგლი უკვე აღებული იყო, ამ ადგილს მაინც ასე ეძახდნენ და ეძახიან დღესაც), მიულოცა მისი წინადადება, რომ ყველა სპეციალისტის მიერ საჭიროდ და დროულად იქნა მიჩნეული და წავიდა, სემინარზე აღარ დარჩენილა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ის საკითხი, რომლის განხილვაშიც მისი მონაწილეობა იყო საჭირო, უკვე განხილული და მიღებული იყო.

საღამოს ექვს საათზე, როგორც დათქმული ჰქონდათ, "სანაპიროზე" ერთმანეთს შეხვდნენ, ხეივანზე გაისეირნეს და მერხზე ჩამოსხდნენ. ჯონის მხარზე თავმიყრდნობილი ლარისა მისგან თავის სხეულში, რაღაც ძალის, საამო ნაკადის გადასვლას განიცდიდა. ასევე ტკბებოდა ჯონი მისი სიახლოვითა და სხეულის შეხებით, ბედნიერია ადამიანი, როცა მასთანაა ვისთანაც ყოფნა სურს. სიჩუმით ტკბებოდნენ, იდგა წუთი, როდესაც ერთმანეთის გულისცემაზე უკეთესი, სასურველი და საამო არაფერი სურდათ მოესმინათ. ისევ ჯონიმ იძალა:

— შემიძლია ვთქვა, რომ ბედი გვწყალობს. 3 იანვრიდან კვალიფიკაციის ასამაღლებლად ერთი თვით მოსკოვში უმაღლეს პარტიულ სკოლაში მგზავნიან. ეს

პერიოდი ემთხვევა თქვენს არდადეგებს, ერთი კვირა მაინც შეგვიძლია მოსკოვში ერთად ვიყოთ. უცხო გარემო, უცხო ქალაქი, დიდი თეატრის სპექტაკლები, მოსკოვის ღირსშესანიშნაობები, ერთად ცხოვრება სასტუმროს საუკეთესო ნომერში და ა. შ. როგორ მოგწონს, კარგია არა?

— კი ჯონი! ეს ყველაფერი დიდებულია, მაგრამ რით და რა საშუალებით, ჩვენ ხომ საამისო ფული არ გვაქვს. არ მინდა, რომ ემ გამოისობით შენ ოჯახს რამე დააკლო. ისიც კმარა, რომ მარიკას გარკვეულწილად შენ ალერსს ვართმევ. მას უფრო შეფერის იყოს შენთან მოსკოვში, ვიდრე მე და ეკონომიურადაც რომ დავაზარალო ამას არ დავუშვებ. ჩემ ხელფასს თითქმის მთლიანად დედას ვაძლევ. ისაა პასუხისმგებელი ოჯახზე, ჩაცმა-დახურვაზე და ა. შ. მართალია, მოსკოვში არც წამოსვლას დამიშლის და საჭირო თანხსაც მომცემს, მაგრამ ჩვენ რომ გვინდა ისეთი ცხოვრებისათვის ნამდვილად არ გვეყოფა.

ჯონიმ სიყვარულით აკოცა. თვალებში ჩახედა და დამაჯერებლად უთხრა:

— არა, ჩემო კარგო! თავის კუთვნილს არც არავის არაფერს დავაკლებ და არც შენი ფულის დახარჯვას ვაპირებ. მოსკოვში ჩემი დიდი მეგობარი, აკადემიკოსი სერგეი ტიხონის ძე გავრილოვი ცხოვრობს. ის ყველა ჩემს ხარჯებს გადაიხდის, მეც ასევე ვიქცევი, ის როცა გაგრაში ჩამოდის ცოლშვილით დასასავენებლად. ასე რომ მაგაზე არ იფიქრო, მხოლოდ ბილეთი ავიღოთ ცალ-ცალკე თვითმფრინავის. ერთსა და იმავე რეისზე 2 იანვრისათვის. სერგეი აეროდრომზე დაგვხვდება. სასტუმროში მოგვათავსებს. არდადეგების შემდეგ გამოგაცილებ. იმ განხსვავებით, რომ ბილეთის აღება შენ არ მოგიწევს. მოსკოვში მთელი კვირა ერთად ყოფნა და ცხოვრება, ჩვენი "საამო ლოგინის" სანუკვარი ჯილდოა. მოკლედ რომ ვთქვათ, 2 იანვარს, დილის 12 საათზე მივფრინავთ.

შეთანხმდნენ. ტაქსით შინ წავიდნენ. ერთმანეთით ორივე უზომოდ კმაყოფილი იყო. ისინი ხომ მხოლოდ ახლა ეცნობოდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრიდან ორი კვირის შემდეგ დადგა ახალი წელი. მისი მობრძანება ერთმანეთს ტელეფონით მიულოცეს, 2 იანვარს დილის 11 საათზე აეროდრომზე იყვნენ. ზუსტად 12 საათზე კი "მათმა" თვითმფრინავმა გეზი მოსკოვისაკენ აიღო.

ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც ვარაუდობდნენ. ჯონი და მარიკა (სინამდვილეში ლარისა იგითხანიანი) ჩუტკერაშვილები სასტუმრო "სოვეტსკოეს" საუკეთესო ნომერში მოეწყვნენ. დილის 10 საათიდან 2 საათის ჩათვლით ჯონი დაკავებული იყო, შემდეგ კი "მეუღლეები" აკეთებდნენ ყველაფერს, რისი გაკეთებაც სურდათ. შაბათი და კვირა ჯონის თავისუფალი ჰქონდა, ამ დღეებში მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებედნენ და დიდი თეატრის სპექტაკლებს ესწრებოდნენ. ოთხმა ასეთმა დღემ მოუწიათ, რითაც უზომოდ კმაყოფილები იყვნენ. მათთვის ყოველი დღე არა მარტო ერთმანეთთან ტკბობის და ახლოს გაცნობის, არამედ სხვა მხრივაც საკმაოდ შინაარსიანი იყო. ისეთ ხალხში ტრიალებდნენ, ისეთ პიროვნებებს ხვდებოდნენ, რომლებიც მეტად საჭირო საუბრებით ბევრ სიახლეებს მათთვის საცნაურს ხდიდნენ. მაგალითად: ლარისამ მთელი ორი დღე მოანდომა გაცნობოდა 547-ე საშუალო სკოლის მაგალითზე, თუ როგორ ატარებდნენ თავისუფალ დროს მოსწავლეები და ამ

პროცესში რა დოზით და მეთოდებით ერეოდნენ პედაგოგები: როგორ ჰქონდათ დაგეგმილი და პრაქტიკულად, როგორ ხორციელდებოდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, ინტერნაციონალურ-პატრიოტული აღზრდის ურთიერთშეთავსების საკითხები და სხვა მრავალი.

ერთ დღეს, პარტიული სკოლიდან სასტუმროში მისული ჯონი, შემთხვევით, თავის ახლო ნაცნობს, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს, დავით კოჟორიძეს შეხვდა და რესტორანში დაპატიჟა, თან ნომერში ლარისას დაურეკა, რომ რესტორანში ჩამოსულიყო. ჯონი და დავითი უკვე მაგიდასთან ისხდნენ, რომ დარბაზში ლარისა შემოვიდა, ჯონი მიეახლა და დავითს წარუდგინა: — ჩემი მეგობარი, თბილისელი პედაგოგი ლარისა იგითხანიანი. დედასთან ერთად ჩემ გვერდით ნომერში ცხოვრობს... სულ ერთმანეთის მიპატიჟებ-მოპატიჟებაში ვართ, მათი გამოისობით თავი თბილისში მგონიაო.

— ჯონი ბატონო! ლარისა მარტო სასტუმროს მეზობელი კი არა, მოგვარეა, ჩუტკერაშვილია.

ჯონიმ და ლარისამ ბევრი იცინეს. — თქვენს პირს შაქარი ბატონო დავით! უზომოდ მადლობელი გახლავართ, რომ ეს გაგვაგებინეთ — უთხრა ჯონიმ.

დავითმა გაიღიმა და საზეიმო ტონით დინჯად წარმოთქვა:

— მე ჩემო კარგებო! ჯავახეთიდან ვარ და კარგად ვიცი, რომ იგითხანიანები, იგივე ჩუტკერაშვილები, ჯავახეთში ცხოვრობენ. მათი სომხობის საქმე შემდეგნაირადაა: მაშინ, როდესაც თურქები ხანგრძლივი დროით დამკვიდრდნენ მესხეთში, ამ ეგრეთ წოდებული, იგითხანიანების წინაპარი, ქართველი წარჩინებული გვარად ჩუტკერაშვილი, როდესაც თურქ ფაშას ეახლებოდა ხოლმე, მუდამ ლამაზად იჯდა ბედაურზე და ეს ბრგე ვაჟკაცი დიდებული შესახედავი იყო. ამიტომ, ფაშა და მისი კაცები მათკენ მომავალს რომ დაინახავდნენ ერთმანეთს ეტყოდნენ ხოლმე "იგიტხან გელდი"-ო. ე.ი. მშვენიერი, მამაცი ბატონი მოდისო და შემდგომში შეიქმნა გვარი "იგითხანიანი". იგითხანიანები ლამაზი, შნოიანი, ვაჟკაცური, თავისებური მომხიბლავი ღირსებისანი არიან. მათი უმეტესი ნაწილი ფერადთვალებიანი და პირნათელია. რაღა შორს წავიდეთ, ქალბატონი ლარისა მათი განსახიერებაა, ქართველი თავადის ჩუტკერაშვილის გვარია, რომელსაც თავისი ქართველური წარმომავლობის შესახებ, თუ ამის სურვილი ექნება, საქვეყნოდ ხმამაღლა შეუძლია განაცხადოს.

ჯონიმ და ლარისამ ამ მონოლოგზეც ბევრი იცინეს. თავიანთი "ბიძაშვილობის" სადღეგრძელო დავითთან ერთად სიცილ-ხარხარაით შესვეს. იმ ღამეს გულში ჩახუტებულ ლარისას ჯონი სიყვარულით ეუბნებოდა: — წინასწარ რომ მცოდნოდა, თუ ჩემი ასეთი "ახლობელი" იყავი, ვერ გეტყვი ჩვენს შორის რა და როგორ იქნებოდაო.

— მაგაზე არ იდარდო ჩემო კარგო! მე ნამდვილი სომეხი ვარ, სულითა და ხორცით "ჰაიკი", გრიგორიანელი და თანაც ჯავახი. დავითის ვარაუდი მხოლოდ გასართობად და მოსასმენადაა საამო, ისე რომ შენ ნამდვილი სომეხი ქალი გიყვარს, მაგრამ ერთი რამ იცოდე, თუ ჩემი ყოფილი ქმრის ჯინაზე შვილი გამიჩნდა, მაშინ დავითის მტკიცებულებებს გამოვიყენებ, ჩუტკერაშვილის გვარს "აღვიდგენ" და

როგორც მარტოხელა დედა ბავშვს ჩემს გვარს, — ჩუტკერაშვილს მივცემ. ამას იმიტომ გავაკეთებ, რომ შენმა შვილმა, შენი გვარი ატაროს, მაგრამ არა შენგან, ის ჩემგან ექნება მიღებული... ისეა ჩემი საქმე ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო...

— ალბათ ღმერთი ინებებს და მაგ ნატვრას აგისრულებს, მე კი რაც შემეხება ჩემდათავად მცდელობას არ დავაკლებ, ჩემო ტკბილო... განუმეორებელო... გენაცვალე... ცავატანემ... ჩემო! ... ჩე...

* * *

მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულ ლარისას აეროვაგზალში შემთხვევით გიგლა ბეთაშვილი გადაეყარა. მიესალმა, ხელზე აკოცა და ჰკითხა:

— თვითმფრინავზე მოსკოველი სტუმარი გავაცილე, გასასავლელში რაიკომის პირველი მდივნის მანქანა მელოდება, ტაქსი არ დაგჭირდება, შინ ჩვენ მოგიყვანთო. ლარისა დაეთანხმა, “ვოლგაში” ჩასხდნენ და ქალაქისკენ წავიდნენ.

— არდადაგები ალბათ მოსკოვში გაატარე, როგორ ცხოვრობს დედაქალაქი?

— ყველაფერი შესანიშნავადაა. ბევრი რამ მოვასწარი მენახა. ისე რომ კმაყოფილი დავბრუნდი.

— სასიამოვნოა! განსაკუთრებით ჩემთვის, ასე კმაყოფილს რომ გხედავ...

— რატომ ვითომ შენთვის, ასე განსაკუთრებულად?

— რას ვიზამთ, მართალია დამიწუნე, გული მატკინე, მაგრამ მე მაინც კეთილად ვარ შენს მიმართ განწყობილი... მოსკოვში ჩვენი განყოფილების გამგეა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე პარტიულ სკოლაში, — ჯონი ჩუტკერაშვილი, აი, ის, იმ დღეს ფუნიკულიორის რესტორანში რომ შეგხვდით. ან ის, ან ვინმე, აქაური ხომ არავინ შეგხვედრია?

— არავინ მინახავს, რომ მცოდნოდა ჯონი მოსკოვში იყო აუცილებლად ვნახავდი. კარგი პიროვნებაა, ზრდილი და განათლებული.

— ხვალ შაბათია, თუ ინებებ ოპერის თეატრში წავიდეთ. დონატოვია ჩამოსული საგასტროლოდ.

— დიდად გმადლობთ, მაგრამ ამჯერად უნდა გამიგოთ, დედაქალაქის რიტმმა, მგზავრობამ, ძალიან დამღალა. შინ დასვენება მენატრება. თანაც ორშაბათს მეცადინეობა იწყება, უამრავი რამ მაქვს მოსამზადებელი... უკვე მოვედით, გმადლობთ, ნახვამდის!

ორშაბათს სამსახურში მისვლისთანავე გიგლა რაიკომის მდივანმა იხმო და თავისთან მყოფ უცნობს წარუდგინა: ბატონო დავით, საორგანიზაციო განყოფილების გამგე გიგლა ბეთაშვილი. ჩვენი სტუმარი კი ბატონო გიგლა! გახლავთ მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ბატონი დავით კოჟორიძე. ვინაიდან აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ჯონი ჩუტკერაშვილი ადგილზე არაა, ბატონი გიგლა იქნება თქვენს გვერდით. ერთი ლექცია აუცილებლად ჩვენს სხდომათა დარბაზში დაგეგმეთ, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები და რაიკომის მუშაკები ვიქნებით თქვენი მსმენელები.

— გმადლობთ ბატონო ტრისტან, თქვენის ნებართვით ბატონ გიგლასთან ერთად დავგეგმავთ მეორე ლექციის ჩატარების ადგილს. მეტის საშუალება ნამდვილად არ მაქვს, ხვალ ინსტიტუტში უნდა ვიყო, კათედრის სხდომაა დანიშნული.

— დიდად დაგვავალებთ ბატონო დავით, თუ ახლო მომავალში 2-3 დღით მაინც გვეწვევით. თვითონ თემა ლექციისა, — "საზღვარგარეთის იდეოლოგიური დივერსია, როგორც კოსმოპოლიტიზმის ხელშემწყობი ფაქტორი და პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები" თუ არ ვცდები ასე არაა? ჩვენთვის როგორც ეთნიკურად ჭრელი ქალაქისთვის, სადაც საკმაო ოდენობით ცხოვრობენ უცხო ქვეყნების მოქალაქეებიც, მეტად აქტუალური და საჭიროა. ისე რომ გელოდებით.

ლექციების შემდეგ, მადლობის სათქმელად მოსული დავითი ტრისტანმა რესტორანში დაჰპატიჟა და თან გიგლაც იახლა. მორიგ სადღეგრძელოში მას მადლობა გადაუხადა საქმის კარგი ორგანიზაციისათვის და გულწრფელად დასძინა: კარგი იქნებოდა ჯონი ჩუტკერაშვილი ადგილზე რომ ყოფილიყო. მისი პიროვნებით დარწმუნებული ვარ ბატონო დავით! კმაყოფილი დარჩებით.

დავითმა სასმისი შესვა და მათთვის მოულოდნელად უთხრა: ჯონი ჩუტკერაშვილთან კარგა ხანია ვმეგობრობ, ერთი კვირის წინ შემთხვევით მოსკოვში შევხვდი და ჩვენი შეხვედრა სასტუმრო "სოვეტსკოეს" რესტორანში აღვნიშნეთ. ჩვენთან ერთად იყო აქაური რუსული სკოლის მასწავლებელი ლარისა ჩუტკერაშვილი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მესიამოვნა, როდესაც აქაურმა, თბილისელმა, ჩვენებურმა პედაგოგმა ქალმა, მოსკოვში სადაც უამრავი ლამაზი ქალია, იმ დღეს რესტორანში მყოფთაგან გულგრილი არავინ დატოვა, ყველას უნდოდა მასთან ეცეკვა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მამაკაცი თავის წყვილთან ერთად იყო მობრძანებული...

— ლარისა ჩუტკერაშვილი კი არა, ლარისა იგითხანიანი იქნებოდა, ის იყო ზამთრის არდადეგებზე მოსკოვში. ალბათ გვარი გეშლებათ ბატონო დავით. იცით ვინ ტრისტან პავლოვიჩ? ჩვენი რაიონის რუსული სკოლის ორგანიზატორი. წინადადება რომ მოვუწონეთ მოსწავლეთა შრომითი სწავლების თაობაზე...

— ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ ბატონებო! რომ იგითხანიანები გასომხებული ქართველები, კერძოდ კი ჯავახელი ჩუტკერაშვილებია. სხვათაშორის ამის შესახებ იქ, მოსკოვში მე ვუთხარი ჯონის და ლარისას.

ტრისტანმა ღიმილით დავითს უთხრა: თქვენმა ნათქვამმა ერთი ძველი არაკი გამახსენა. ერთმა ბრძენმა ახირებულ მეფეს, რომელმაც დაავალა დაედგინა სად იყო დედამიწის ცენტრი, დავალების მიღებიდან მეორე დღეს მოახსენა: დიდო მეფეო! დედამიწის ცენტრი თქვენი ტახტის ქვეშაა. იტყუები, ეს შეუძლებელიაო დაუყვირა გაავებულმა მეფემ. ბრძენმა კი მშვიდად მიუგო: თუ არ გჯერათ გადაზომეთ და დარწმუნდებით ყოვლისშემძლე ხელმწიფეო...

გულიანად გაეცინათ. ერთმანეთს ბევრი კეთილი რამ უთხრეს და კმაყოფილი დავითი ტრისტანმა და გიგლამ კახეთის მატარებელზე გააცილეს.

სახლში დაბრუნებულმა გიგლამ ვერაფრით ვერ დაიძინა. იწვა და ფიქრობდა: ჯონი და ლარისა ფუნიკულიორზე, ჯონი და ლარისა მოსკოვში... როგორ მომატყუა?! არ ვიცოდი, თუ ჯონი მოსკოვში იყოო... მართალია, რომ არ უყვარდეს ამისთანა კაცი დედამიწაზე არაა, მაგრამ ნებისმიერი ცრუობს, თუ სიმართლე არ აწყობს. ე.ი. რაღაც მნიშვნელოვანს მალავენ. რა თქმა უნდა იმას მალავენ, რომ ერთმანეთს ხვდებიან, რომ ლარისა ჯონის საყვარელია... მე ცოლობაზე უარი მითხრა, ჯონის საყვარლობაზე დათანხმდა. ცოლშვილიან კაცთან გააბა რომანი... მე გიგლა არ ვიყო, თუ არ განანოთ.

მარიკას და ტრისტანს ყველაფერს გავაგებინებ, ორივეს საქვეყნოდ თავს მოვჭრი, სამსახურს დავაკარგვინებ. გავამწარებ, ლარისას ისე გავუხდი საქმეს, რომ სკოლაში აღარ ედგომებოდეს... ლოგინიდან წამოდგა, საწერ მაგიდას მიუჯდა, მარიკასთან და რაიკომის პირველ მდივანთან გასაგზავნი წერილების წერას შეუდგა. ქაღალდზე, რამდენადაც მეტ ბოღმასა და შხამს ანთხევდა, იმდენად მშვიდდებოდა, როდესაც წერას მორჩა და ნაწერი გადაიკითხა, კმაყოფილმა გაიღიმა, შვებით ამოისუნთქა, წერილები კონვერტებში ჩადო, მისამართები დააწერა და საბოლოოდ დამშვიდდა. შურისძიება შესრულებულად ჩათვალა.

* * *

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ჯონი და ლარისა ერთმანეთს შემთხვევიდან შემთხვევემდე მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით ხვდებოდნენ. ფრთხილობდნენ, ერთმანეთის სახელს უფრთხილდებოდნენ. მოთმინებით ელოდნენ "განგების ჯილდოს". გიგლა ბევრს ცდილობდა ისინი ახალ, აშკარა სამხილში გამოეჭირა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. რითაც ზედმეტად ცოფდებოდა, საქმეს გულს ვეღარ უდებდა, რის გამოც საყვედურობდნენ კიდეც, ერთი სიტყვით შური და ბოღმა ვნებად ჰქონდა გადაქცეული. ისიც აბოროტებდა, რომ კარგა ხანმა გაიარა და მის წერილებზე არავინ რეაგირებდა.

ერთ საღამოს, სამსახურიდან შინ დაბრუნებულ ჯონის, მარიკამ სიცილით კონვერტი გაუწოდა — წაიკითხე, იქნებ მიხვდე ვისგანაა, ვინ არის შენი ოჯახის ესოდენ კეთილისმსურველი, რომ ენერგიას და ქაღალდს არ უფრთხილდება, ასეთი რამეების შექმნისა და ჯღაბნისთვისო.

ჯონიმ კონვერტიდან წერილი ამოიღო, დახედა ერთი გვერდი იყო, ხელს არავინ აწერდა:

— გამარჯობათ ქალბატონო მარიკა! (იწყებოდა წერილი) გატყუებენ, არაფრად გაგდებენ, ბრიყვად გთვლიან, დაგცინიან კიდეც, ვინაიდან თავი თქვენს კეთილისმსურველად მიმაჩნია და გამოგიტყდებით მომწონხართ კიდეც, არ მინდა თქვენ დაგცინოდნენ, გამცირებდნენ და თანაც თქვენი ქმარი იყოს ყოველივე ამის შემომქმედი. უნდა გაუწყოთ, რომ თქვენი "ერთგული" მეუღლე, ჯონი ჩუტკერაშვილი, ყვარობს გათახსირებულ, ქუჩის ქალს, რომელიც ქმარმა აშკარა ღალატისათვის სახლიდან გააგდო. რუსული სკოლის მასწავლებელს — ლარისა იგითხანიანს, რომელიც იმდენად გათავხედდა, რომ გვარიც კი უნდა გამოიცვალოს და ჩუტკერაშვილად აპირებს დაიწეროს. ორი კვირა ერთად იყვნენ მოსკოვში. აქაც არავის ერიდებიან და მთელი დღეები ერთად არიან რესტორნებსა და სასტუმროებში. დროა ქალბატონო მარიკა მიიღოთ ზომები. თორემ, როდესაც ასეთი უზნეობისათვის თქვენი მეუღლე სამსახურს დაკარგავს და ლარისას გამოისობით ოჯახი დაგენგრევათ, უკვე გვიან იქნება "თითზე კბენანი". მით უმეტეს რომ ეს ყველაფერი იცის ტრისტან პავლოვიჩმა და თელავის ინსტიტუტის პროფესორმა დავით კოჟორიძემაც კი. წარმოიდგინეთ როცა ამის შესახებ თელავშიც იციან, რა და როგორ იქნება ლარისას და ჯონის, ამ ორი გარყვნილი ადამიანის, სამსახურში. თუ სურვილი გექნება, რომ კავშირი გვქონდეს, დაველოდები თქვენს წერილს, რომელიც შეგიძლიათ გამოგზავნოთ თბილისის ცენტრალურ საფოსტო

განყოფილებაში “მოთხოვნამდე”. ყოველთვის ზუსტად მოგწერთ მათი შეხვედრის დროსა და ადგილს, რომ საკუთარი თვალით იხილო ყოველივე.

პატივისცემით თქვენი თაყვანისმცემელი.

ჯონიმ წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, კალიგრაფიას დააკვირდა და ჩაფიქრდა, ცდილობდა მიმხვდარიყო ვის შეეძლო ეს დაეწერა, ვის შეძლებოდა ცოდნოდა რაც მასში ეწერა. მარიკამ ფიქრი არ აცადა, მუხლებზე ჩამოუჯდა და გულში ჩაეხუტა.

— გენაცვალე! მაგ წერილს ყური არ ათხოვო, ვიღაც შენზე ნაწყენია და უნდა სამსახურსა და ოჯახში საქმეები აგერიოს. დარწმუნებული ვარ, ასეთივე შინაარსის წერილს რაიკომის პირველი მდივანიც მიიღებს. საერთოდ გაფრთხილდი, რომ მაგისთანა ვიგინდარებმა არაფერი გავნონ. ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთის გვჯერა. ესაა მთავარი. იყავი ისეთი ყველგან და ყველასთან, როგორიც იყავი და ხარ. თუ ლარისასთანა დიდებული ქალი შეგიყვარებს და გვერდით დაგიწვება, მოიქეცი ისე, როგორც გსურს და გეკადრება. მაგ წერილის ავტორს ჩანს ლარისა არ წყალობს და ამ დროს ალბათ შენთან კარგ ურთიერთობაშია. შენს, ლარისას და ჩემს შორის თუ სხვა ვინმესთან ურთიერთობა ჩვენი პრობლემაა და არავის საქმე არ არის. არაფერს არ გსაყვედურობ, ასეთი მიყვარხარ როგორიცა ხარ და არც ლარისას ვამტყუნებ, ალბათ იმისთვისაც კარგი ხარ და მოსწონხარ. თუ სურს და შენც თანაუგრძნობ “გაახარე”. მე არაფერს არ გსაყვედურობ. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ მე ამას ვიკადრებ. რამდენად ბრიყვი უნდა იყოს ცოლი, რომ წარმოიდგინოს მისი ქმარი ქალს, მით უმეტეს სასურველს, უარს ეტყვის საქმეზე იმ მოტივით, რომ სახლში ჰყავს ცოლი და ა.შ.

ყველაფერზე მე მგონი არცაა საჭირო საუბარი. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ამაში გასაკვირი არაფერია. შენ რომ ახლა ჩემ წინაშე თავისმართლება დაიწყო, რომ ეს ასე არ არის, ჩემსა და ლარისას შორის ამის მსგავსი არაფერია, მაშინ იქნები ცრუპენტელა და ლაჩარი. იცოდე ასეთი ჯონი შემჯავრდება, აღარ მეყვარება. ვაჟკაცი თავისი ქცევის გასამართლებელ მოტივებს კი არ ეძებს, არამედ იქცევა ისე, როგორც მას სწორად მიაჩნია. მაინც მიკვირს რას უშლის შენი და ლარისას სიყვარული იმ ჩემს “თაყვანისმცემელს”.

მარიკამ ქმარს ვნებიანად აკოცა, ბლუზის ღილები გაუხსნა და ჩაეხუტა. ჯონიმ თვალები დაუკოცნა, ხელში აყვანილი საძინებელში გაიყვანა და რადგან სახლში მარტონი იყვნენ, თავს უფლება მისცეს თაფლობის თვის ერთი დღე გაეცოცხლებინათ. შემდეგ კი მკლავზე მწოლიარე, გულში ჩაკრულ მეუღლეს ჯონიმ გულწრფელად უთხრა:

— იცი რა მარი?! ეგ წერილი სიმართლეს არაა მოკლებული, მე და ლარისას ერთმანეთის მიმართ მართლაც გვაქვს საკმაო სიმპატიები, ჩვენ შორის არაფერი არაა გამორიცხული, მაგრამ ეს კიდეც რომ მოხდეს, მე და შენ სიყვარულს ვერაფერს ავნებს, შენ სხვა ხარ ჩემთვის, ასეთ “გატაცებებს”, “სექსუალურ ანომალიებს”, კაცი ვერსად გაექცევი, ეს ხომ ის არაა, რაც ჩვენ შორისაა, შენ ჩემი მარიკა ხარ, ჩემი შვილების დედა, ჩემი პირველი და ნამდვილი სიყვარული, მართალია ცოტა ადაპტირებული, მაგრამ ამოუწურავი და განუმეორებელი ქალი. გენაცვალე... შენი ჭირიმე... და ჯონიმ ძალუმად

გულში ჩაიკრა, ისედაც ნუკრივით ჩახუტებული მარიკა, ხოლო ვნების დაცხრომის შემდეგ მშვიდად უთხრა:

— მარი, მოდი მთავარ საფოსტო განყოფილებაში "მოთხოვნამდე" მართლაც გაგზავნე წერილი. რაც მოგესურვოს მისწერე, ან და სრულიად ცარიელი ფურცელი გაუგზავნე. დარწმუნებული ვარ ორი-სამი დღის შემდეგ აუცილებლად მოვა იმის გასარკვევად, არის თუ არა იქ მისთვის წერილი და დავადგენთ ვინც არის.

— რადგან ასე გსურს კონვერტს ცარიელი ფურცლით გავუგზავნი, ამას მხოლოდ და მხოლოდ შენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გავაკეთებ, თორემ მე საერთოდ არ მაინტერესებს ვინ არის... უნამუსო რომაა, ეს კი ნამდვილად ვიცი.

"წერილი" მართლაც გაგზავნეს. ჯონი მთავარი "ფოსტამტის" უფროსთან მივიდა, ყველაფერი აუხსნა და სთხოვა ფოტოზე დაეფიქსირებინათ ვინც "წერილს" მიიღებდა. ეს ასეც მოხდა. ზუსტად მესამე დღეს ფოსტის უფროსმა ჯონის გადასცა მამაკაცის ფოტოსურათი წერილით, უფრო სწორად მარიკას გაგზავნილი კონვერტით ხელში, რომლის ამოცნობა ჯონის არ გაჭირვებია. ფოტოზე გიგლა ბეთაშვილი იყო აღბეჭდილი, მარიკამ ჯონის ურჩია, არავისთვის არაფერი ეთქვა, დალოდებოდნენ კიდევ რას მოიმოქმედებდა "გარეწარი". მართლაც, მათი საუბრიდან ორი დღის შემდეგ ტრისტანმა ჯონის ხელმოუწერელი წერილი გადასცა და უთხრა: წაიკითხე, იქნებ მიხვდე ვინ არის ესოდენ დაინტერესებული. ანონიმურ წერილებზე იცი, რომ რეაგირებას არ ვახდენთ, გინდა დახიე და გნებავს სამახსოვროდ შეინახე. პასუხი საერთოდ არ მაინტერესებს.

ჯონიმ წერილი იქვე რაღაც ორ-სამ წუთში წაიკითხა:

— გაცნობებთ, რომ რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე — ჯონი ჩუტკერაშვილი ცოლშვილს ღალატობს, ეწევა აღვირახსნილ ცხოვრებას, ის და რუსული სკოლის ორგანიზატორი ლარისა იგითხანიანი საქვეყნოდ მრუშობენ, რითაც უზნეობის მაგალითს აძლევენ ახალგაზრდობას. შეუფერებელია იყოს იმ პარტიის წევრი, რომელიც დაარსებულია დიდი ლენინის მიერ. თუ ზომებს არ მიიღებთ ყოველივე აღნიშნულის თაობაზე, თქვენი დანაშაულებრივი სიჩუმის შესახებ, მივწერთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

რიგითი კომუნისტი, პარტიის წევრი 1949 წლიდან.

— თუ ინებებთ ტრისტან პავლოვიჩ, წერილის ავტორს "გაგაცნობთ".

— არანაირად არ მაინტერესებს, თუ ვინ კარგავს დროს ასეთი შემოქმედებისათვის, მაგრამ ერთი კი უნდა გითხრა: "უცეცხლოდ კვამლი არ ადის", ალბათ ისე ვერ იქცევი, როგორც საჭიროა, ინტიმური ცხოვრებით ვერ ცხოვრობ. შენ და ლარისა, ალბათ გარშემო მყოფ ადამიანებს როგორღაც აღიზიანებთ, ალბათ "აჭარბებთ" კიდეც... ყველაფერი შეიძლება ჩაიდინო, რაც შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს უხერხულობაში არ აყენებს და არ აღიზიანებს. ვიცი არ იკადრებ მითხრა, რომ ლარისას მიმართ გულგრილი ხარ. რომ ის მოსკოვში შენთან არ ყოფილა, იცი რაა?! თუ ეს ყველაფერი მარიკას გულს სტკენს და გარშემო მყოფთ აღიზიანებს, შეიძლება სანანებელი გაგიხდეს და მარტო ლარისა კი არა მთელი საქალეთი შეგჯავრდეს, დაფიქრდი, სად და რა შეგეშალა და ეცადე გამოასწორო.

ამ საუბრის შემდეგ ტრისტანისადმი ჯონის ნდობა და პატივისცემა ერთბაშად ამაღლდა. ყველაფერში გამოუტყდა. აჩვენა ის წერილიც, რომელიც მარიკამ მიიღო და

ისიც უთხრა, რაც გაუგზავნა “თაყვანისმცემელს”. არც ის დავიწყებია ეთქვა, რომ ამ წერილების ავტორის ფოტოსურათი შემიძლია გაჩვენოთო.

— ბედნიერი კაცი ხარ ჯონი! მარიკასთანა ქალები ბევრი არაა, ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცნობ. აი ვინაა დიდი სიყვარულის ღირსი და მგონი თქვენ ეს გაქვთ კიდეც. ლარისა...? მოვარდნილი მეწყერია, წაგლეკავს... მეწყერი მეწყერია, მაგრამ ეცადე ფეხზე მყარად იდგე. არ მაინტერესებს, მაგრამ თუ “ანონიმჩიკი” ჩვენი მუშაკია, ან ჩვენთან რაიმე შეხება აქვს, მითხარი ვინაა, ვინაიდან ასეთი კაცის ნდობა არ შეიძლება, არც ჩვენ ჩამოვახრჩობთ, ეს რომც მოვინდომოთ, არავინ მოგვცემს ამის უფლებას, მაგრამ რომ გვეცოდინება ვინაა, რიგიანად “შევაფასებთ” მის “ღვაწლს” და ეს საქმეს არგებს. ეგ “ანონიმკა” დამიტოვე, ალბათ დამჭირდება.

— ინებეთ ტრისტან პავლოვიჩ! მაშინაა გადაღებული, როდესაც ფოსტაში მივიდა და წერილი მიიღო.

— საინტერესოა... ალბათ ამიტომაცაა ბერბიჭა, ოჯახს ვერ ქმნის. ქალები უმეტესწილად ხვდებიან ვინ ვინ არის და ასეთებს არ თანაუგრძნობენ. დარწმუნებული ვარ ძუნწიც იქნება, კურკაწონია და კირკიტა. მგონი პროფესიით ეკონომისტია, ვეცდები, რომ თავისი სპეციალობით იმუშაოს და იცხოვროს. მაგისი ხელმძღვანელ სამუშაოზე ყოფნა ხალხის აბუჩად აგდებაა, შეცდომაა... მადლობელი ვარ გულახდილი საუბრისათვის. ეს ჩემთვის უდაოდ საჭირო იყო. ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ჯონი სახლში წავიდა, შინმისული ოჯახურ იდილიაში ჩაიძირა. შვიდ საათზე მოსკოვიდან თბილისის დინამოსა და ტორპედოს მატჩის რეპორტაჟი იყო დაგეგმილი, მის მოლოდინში, გაზეთების თვალიერებით ერთობოდა. ამასობაში მარიკამ მაგიდა გააწყო და ქმარშვილი სადილზე მიიწვია.

რაიკომის შენობიდან გამოსულმა ტრისტანმა საორგანიზაციო განყოფილების ფანჯრებში შუქი შენიშნა. შებრუნდა, კარები შეაღო. გიგლა გაკვირვებული ფეხზე წამოდგა.

— რამდენიმე წუთით ჩემთან ავიდეთ, ვილაპარაკოთ.

— ახლავე ტრისტან პავლოვიჩ!

გიგლამ საქმიანი ქაღალდები სწრაფად მიალაგა და ტრისტანს ფეხიფეხ მიჰყვა. ტრისტანმა ანიშნა, დამჯდარიყო.

— მინდა შენგან გულწრფელი პასუხი მოვისმინო. ეს წერილი რატომ დაწერე, რამ გაიძულა?

გიგლამ წერილი შეიცნო და პირდაპირ უპასუხა: სიხარბემ, შურმა და სიძულვილმა.

— კი, მაგრამ რა ჩაიდინეს ასეთი შენს მიმართ, რომ ასე მოიქეცი?

— აქვს კარგი ოჯახი, ჰყავს მშვენიერი მეუღლე და ულამაზესი, თანაც ჭკვიანი საყვარელი. ლარისა იგითხანიანმა მე უარი მითხრა კანონიერ ცოლობაზე, იმას კი საყვარლობაზე დათანხმდა...

— ავად ხომ არ ხარ? ხომ შენს გონებაზე ხარ?

— თავს შესანიშნავად ვგრძნობ ტრისტან პავლოვიჩ!

— ჯონიზე რაც თქვი, ყველაფერი სწორია, მაგრამ ეს ყველაფერი შენ რას გიშლის, რას გართმევს, რა ზარალს გაყენებს?

— როგორ გითხრათ! მისი ყველაფერი მშურს და მაღიზიანებს. ტკივილს მაყენებს, შეძლო და ბევრი რამ მოაწესრიგა, მე კი ვერაფერი გავაკეთე... ეს ლარისა მაინც არ გამოჩენილიყო...

— გამოდის რომ შენ მის სიკეთეზე სერიოზულად წუხარ, გინდა რომ გააუბედურო?

— მინდა ოჯახი აერიოს, სამსახურიდან გააგდოთ, პარტიიდან გარიცხოთ. ეგ წერილი იმიტომ დავწერე, რომ სხვა უარესი ვერაფერი მოვიფიქრე.

— მე როგორც ვიცი თქვენი სპეციალობა წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაციაა, ხომ არ ვცდები?

— სწორედ ბრძანეთ!

— ეკონომისტი სჭირდებათ წისქვილკომბინატში, 31-ე საავიაციო ქარხანაში, ხორცკომბინატში, ლუდის ქარხანაში. ხვალ განყოფილების გამგის მოვალეობისაგან განთავისუფლებაზე განცხადება დაწერე და იქვე მიუთითე, სად გაგიწიოთ რეკომენდაცია ჩამოთვლილ ობიექტებში.

— განცხადებას ახლავე მოგართმევთ, გთხოვთ საავიაციო ქარხანაში...

— დღეს არაა აუცილებელი, ხვალ მოიტანე, ახლა გავდივარ, მაგვიანდება, დრო არ მაქვს.

— გასაგებია. როგორც გვიბრძანებთ...

— ჩემი რჩევაა გარშემომყოფთ კეთილი თვალით შეხედო, მათი წარმატებებით ეცადე, რომ გაიხარო და მაშინ ყველა შენი პრობლემა გადაიჭრება. სხვის ცოლებს და საყვარლებს თავი დაანებე. კარგი ქალები ქვეყანაზე არ დაილევა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, შენ თვითონ უნდა გახდე მათი ყურადღების ღირსი. შენ ამისთვის ყველაფერი გაქვს, თუ შურსა და სიხარბეს დაძლევ, ხოლო თუ ასე გააგრძელებ, როგორც ახლა იქცევი, განადგურდები, ვერავის გამწარებას ვერ შეძლებ, უპირველესად მხოლოდ საკუთარ თავს ავნებ. შენს საზოგადოებრივ გაკიცხვას არ ვაპირებ, ვინაიდან მჯერა, რომ შეძლებ შესაბამისი დასკვნა გააკეთო... ჩვენი დღევანდელი საუბარი ჩვენთან დარჩეს, ეს თემა სხვასთან სალაპარაკოდ არ ვარგა. ქალმა, რომ შეგიყვაროს, მისთვის საინტერესო, მომხიბლავი უნდა იყო, შენ კი... ჯონის არაფერს ვეტყვი, მეგობრები ხართ, რომ გაიგოს რაც ჩაიდინე ეწყინება, ზურგს შეგაქცევს... ჩამოგცილდება. კარგად იყავი, მჯერა რომ ყველაფერ ამას ყურად იღებ. განცხადება საერთო განყოფილების გამგესთან დატოვე. იქვე მოგცემთ მიმართვა-შუამდგომლობას ქარხნის დირექტორის სახელზე.

— ტრისტანმა მანქანა გამოიძახა, კმაყოფილი სახე ნამდვილად არ ჰქონდა. ძნელი სათქმელია, ირწმუნა თუ არა გიგლას გამოსწორებისა, მაგრამ რაღაც ნაწყენობისა და უკმარისობის გრძნობა ნამდვილად ჰქონდა. გიგლა ხომ მისი შეცდომა იყო. ეს უმსგავსო, უსახური კაცი მან დაანიშნინა განყოფილების გამგედ.

* * *

ჯონიმ ლარისას 8 მარტი ტელეფონით მიულოცა და სთხოვა რომ ორშაბათ დღეს სამ საათზე მასთან რაიკომში მისულიყო. ლარისა დათანხმდა და თან დასძინა, რომ ისედაც აპირებდა ორშაბათს მასთან მისვლას რჩევის საკითხავად. ჯონიმ ყურმილი

დადო და მუშაობა განაგრძო, მაგრამ ცნობისმოყვარეობას ვერ იოკებდა, აინტერესებდა რა "რჩევა" სჭირდებოდა ლარისას. შინ მიმავალი თავს ვეღარ მოერია და ლარისასთან წავიდა. ზარის ხმაზე კარები რომ გააღო და ჯონი დაინახა ლარისა მოეხვია, აკოცა, სასწრაფოდ შინ შეიყვანა და კარები მიკეტა.

— მაპატიე, გაუფრთხილებლად რომ მოვედი, გაუსაძლისად მომენატრე. ტელეფონით თუნდაც ყოველდღე საუბარი, შენ ერთ შეხედვადაც არ მიღირს. თანაც მოთმინება არ მყოფნის გავიგო, რა ხდება, რა რჩევაზეა საუბარი.

— ამჟამად დედა სახლში არაა. სოლოლაკში თავის მეგობარ ქალთან ხვდებიან რვა მარტს. ტრადიციულად იქ ვიკრიბებით ხოლმე. შვიდ საათზე მოვა, დიდი სურვილი აქვს შეგხვდეს და გელაპარაკოს.

— მე შემხვდეს? რაზე უნდა მელაპარაკოს? მოთმინება აღარ მყოფნის, დროზე გამაგებინე რა ხდება?... ჩემო კარგო, ჩემო მზეთუნახავო... ჩემო...

მაშინ გამოერკვნენ, როცა კედლის საათმა ხუთჯერ დარეკა. ტანსაცმელი მოირგეს, გაისწორეს. ჯონიმ მარიკასთან დარეკა, უთხრა რომ ლარისასთან შეივლიდა, მას და ქალბატონ ლიმონკას დღესასწაულს მიულოცავდა, ამიტომ შინ შვიდ საათამდე ვერ მივიდოდა. ჩემგანაც მილოცვა გადაეცი, უსაჩუქროდ არ მიხვიდე, თავი არ მომჭრაო, გააფრთხილა თავის მხრივ მარიკამ. ხომ არ დაგავიწყდა, რომ დღეს ჩემი მეგობრები მეუღლეებთან ერთად რვა საათზე ჩვენთან იქნებიან, ბავშვები დედასთან გავგზავნე, ამაღამ ბებიასთან დაიძინებენ. მათთან მისვლა და მილოცვაც არ დაგავიწყდეს. სასმელი არ გვეყოფა. ხუთი ბოთლი წითელი შამპანური წამოიღე. სტუმრებს შინ მინდა დახვდე. შეთანხმდნენ. ჯონიმ ლარისას სიტყვა-სიტყვით უთხრა მარიკას ნათქვამი.

— ბედნიერი კაცი ხარ ჯონი! შენთვის საყვარელ ქალს სიგიჟემდე უყვარხარ... მარიკა იდეალური ქალია, მშვენიერი, კეთილგონიერი. მე მის ადგილზე მეეჭვება, შევძლებდი თუ არა მისებრ მიმტევებელი ვყოფილიყავი. იმდენად ამაღლებული ქალბატონია, რომ არავისი არაფერი არ შურს და არ უკვირს. მისი უზომოდ მადლობელი ვარ ჩემდამი ასეთი მიმტევებლობისა და კეთილგონიერებისათვის, ამიტომაც მეც პატივსა ვცემ და მიყვარს, მიყვარს ჩემო კარგო... ჩემო... რაინდო. და ლარისა ჯონის ვნებით მოეხვია. დადნა, დაპატარავდა და მის ვებერთელა მკლავებში ჩაიკარგა.

მაგიდასთან ყავის დასალევად გადასხდნენ. ჯონიმ ისევ შეახსენა:

— ლარისა! მეტყვი თუ არა რაზე უნდა მელაპარაკო?

— ბედნიერი ქალი ვარ ჯონი... შენგან ორსულად ვარ.

— შენი ჭირიმე ჩემო მზეთუნახავო. მიხარია, რომ ჩვენი კავშირი სამუდამო ხდება. ბედნიერ დედობას გისურვებ, მოდი გულში ჩაგიკრა, გაკოცო. ორ ქალთან ოთხი შვილი ცოტაა, მაგრამ კარგია... ეს ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ვერ გამიგია ქალბატონი ლიმონკა რაზე უნდა მელაპარაკოს?

— ჯონი! დედამ ყველაფერი იცის. ის გვითანაგრძნობს და დიდად ახარებს ჩემი მომავალი დედობა. მითხრა: თუ ყველაფერი კეთილად დასრულდა და მჯერა, რომ ეს ასეც იქნება, ჩვენ ცხოვრებას აზრი ეძლევაო. გამაფრთხილა, ჯონის ოჯახს გაუფრთხილდი, მათ რომ ავნო, ისეთი არაფერი ჩაიდინოო. შეურაცხყოფილი, ქმრისგან მიტოვებული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ქალი დედა გაგხადეს. ამ ბედნიერებაზე

კარგი რა უნდა გაგიკეთონო. თქვენი ბედი ღმერთმა ერთმანეთს დაუკავშირა. ოქროს თევზისა და მებადურის ცოლისა არ იყოს, წარმოუდგენლად კარგად ხარ, შენი უმადურობა არ გავიგონო.

— ეს ყველაფერი გავიგე, საამო მოსასმენიცაა, მაგრამ ვერ ვხვდები მე რა უნდა მითხრას?

— ორშაბათს ორ საათზე, თუ მოსვლას შეძლებ, სახლში იქნება და თვითონ გეტყვის.

— აუცილებლად მოვალ. იცი რა მინდა გთხოვო? თუ ბიჭი შეგვეძინება მამაჩემის სახელი — სერგო დავარქვათ. თუ გოგო იქნება, რაც გენებოს ის დაარქვი, ყაბულსა ვარ.

— გეთანხმები. ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ბიჭი დაიბადება, თუ გოგო. მთავარი ისაა, რომ დედა ვხდები, თანაც მეც და ჩემი შვილიც ვიქნებით ჩუტკერაშვილები. შენი მეგობრის, ბატონ დავით კოჟორიძის "მონათლულ გვარ-დაკარგულები".

ერთმანეთს გამოეთხოვნენ. კოცნით გული იჯერეს და ჯონი მარიკას სარვამარტო "დავალების" შესასრულებლად მაღაზიაში წავიდა. სახლში იმ დროს მივიდა, როცა სტუმრები მაგიდასთან სხდებოდნენ. ბუნებრივია მისი მისვლით გაიხარეს, მაგიდას მიუსხდნენ და მამაპაპურად იპურმარილეს. თერთმეტი საათისათვის ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მარიკამ და ჯონიმ ყველაფერი თავის ადგილზე მიალაგეს, თბილი წყალი გადაივლეს და იმ დღით დიდად კმაყოფილებმა, ლოგინში ერთმანეთი "იპოვეს".

ბედნიერი ქალი ვარ, მეუღლე მყავს და შვილები, ერთმანეთი გვიყვარს, ცხოვრება არ გვიჭირს და ისიც კიდევ, რომ კარგად აღზრდილი, ჯანმრთელი და უმშვენიერესი ქალია ჩემი მეგობარი — ლარისა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ როგორც კონკურენტი უნდა მეჯავრებოდეს, მაგრამ ისეთი საყვარელია, ისეთი მომხიბვლელი ჩემს ახლობლად მიმაჩნია, რომლისთვისაც არაფერი არ მშურს. მინდა რომ შენც მას რაც სურს და შეგიძლია, ყველაფერი აამო და გაუკეთო. ერთ ჭერქვეშ, ერთ სამზარეულოში ჩვენ ნამდვილად ვერ მოვთავსდებით, მაგრამ ასე, როგორც ვართ, ერთმანეთს არ ვუშლით. ძალიან მინდა. რომ ის შენი კმაყოფილი იყოს. შენ კი, გენაცვალე! ღმერთმა შეგაძლებინოს ასე მაგრად იყო ჩვენდა სასიხარულოდ, როგორც დღემდე ხარ: თბილი, ალერსიანი, ტკბილი და სიტყვის კაცი, კარგი პატრონი და პარტნიორი, შვილებისათვის სამაგალითო მამა და მეგობარი, ძმაკაცებში პატივსაცემი და ხელგაშლილი, მართალი, გულახდილი და ამიტომ საყვარელი და სასურველი ვაჟკაცი. იცი რა მაინტერესებს ჯონი? თითქოს რაღაც ბავშვური გულუბრყვილობაა, მაგრამ მაინც გეკითხები: შენ მე უკვე გყავდი ლარისა რომ "შეიძინე", ალბათ მას რაღაც აქვს ისეთი, რაც მე მაკლია, ან საერთოდ ჩემში არაა. შეგიძლია მითხრა რა არის ეს რაღაც, რა გვაკლია ჩვენ ცალ-ცალკე, როგორც ქალებს და რა გვაქვს, რითაც ერთმანეთს ვავსებთ, სხვებს ვჯობივართ და შენს სიყვარულს ვიმსახურებთ?

— მოდი, ეგ კითხვა სხვაგვარად დავსვათ: შენ როგორ გგონია რით ჯობიხარ სხვა ქალებს? თუ საკუთარ თავზე საუბარი გეუხერხულება, მითხარი რითაა ლარისა სხვებზე

უკეთესი? რატომ ამბობ, რომ ლარისა დიდებული ქალია, მამაკაცი რომ ვიყო მაგას მეც შევიყვარებდიო, რატომ? რისთვის?

— ლარისა განსაკუთრებული ქალია: სუფთა, წკრიალა, კარგად აღზრდილი, განათლებული, სათნო და კულტურული, მეტად ლამაზი სახე, თვალები და სხეული აქვს, კეთილგონიერი პიროვნებაა. ასეთი ქალი მე არ შემხვედრია, რაღაც ბუნების გამონაკლისია კარგი გაგებით. ლარისასთან ვერ ვიქნები, ამისთვის მარტო მცდელობა და შრომა არ კმარა. ნამდვილად მეცინება, იმ უტვინო, დებილმა ქმარმა უშვილობისათვის რომ მიატოვა, მიატოვა კი არა სახლიდან "გამოაგდო". ალბათ არიან ადამიანები, რომელთაც სილამაზის, მშვენიერების აღქმა არ შეუძლიათ.

— ე.ი. შენი აზრით არიან უსუფთაო, ულამაზო, უზრდელი, თავშეუკავებელი, კულტურას მოკლებული, გაუნათლებელი, არაკეთილგონიერი და ა.შ. ქალებიც ხომ?

— უფრო სწორად, მგონია რომ ასეა.

— ხომ შეიძლება მეც შენსავით ვაზროვნებდე და ასე მეგონოს?

— სრულიად შესაძლებელია.

— მაშინ შენ უკვე გაეცი პასუხი, თუ რა განაპირობებს ჩემს თქვენდამი სიყვარულს და პატივისცემას. მაგრამ ერთი რამ მაინც არ თქვი გარკვევით, — შენ ასეთ საყვარელ და მშვენიერ ქალს რატომ მოგწონს ლარისა და რატომ აძლევ მას საკუთარ თავთან ე.ი. შენთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას, რატომ მამართლებ მე, ცოლშვილიან კაცს, შენს კანონიერ და საყვარელ ქმარს, რომ ლარისა მიყვარდეს?

— ნორმალური მამაკაცი არ შეიძლება ლარისას იცნობდე და მის მიმართ გულგრილი დარჩე. მამაკაცის თვალში რაღაც მიმზიდველობა ყველა ქალს აქვს, მაგრამ იმ დოზით, როგორც ლარისას, ეს ალბათ ერთეულთა ხვედრია. შენ მე გიყვარვარ და პატივს მცემ, როგორც ერთ-ერთ კარგ ქალს, შენი შვილების დედას, ერთგულ მეგობარს, არა აბეზარას, რომელიც უპრეტენზიოდ ასრულებს თავის მოვალეობას ოჯახის წინაშე. მაგრამ, რომ საქმე საქმეზე მიდგეს, როგორც ქალს შენ ლარისას არჩევ, ეს არჩევანი შენ გააკეთე კიდეც. რაც არ უნდა საწინააღმდეგო ამტკიცო, ფაქტია რომ მე ის რაღაცით მამჯობინე, რაღაც მას უფრო ჭარბად და სასურველად აქვს შენთვის, ვიდრე მე. ამ ჭეშმარიტებას ვერ გავექცევით. დღეს, ამ ვითარებაში ორივე გჭირდებით, მარამ რომ დადგეს ისეთი პერიოდი შენს ცხოვრებაში, რომ ეს ორივესგან შედგენილი "რაღაც" ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა დაისაკუთროს და გაითავისოს, მეორეს შენ აუცილებლად "დაკარგავდი". მარტო მოვალეობისა და სირცხვილის გრძნობა ასეთ ქმედებისაგან ვერ შეგაჩერებდა. თანაც ამას ჩვენს შორის, შენთვის უკვე "არასასურველისგან" "გაკაპასება". შურისძიება, ქალური მზაკვრობა და უგუნური "შეცხადება" თუ მიემატებოდა, ის შენგან კიდევ უფრო დიდ სიძულვილს მოიმკიდა და მას საბოლოოდ დაემშვიდებებოდი სიცოცხლის ფასადაც რომ დაგჯდომოდა. მე, უხეშად რომ ვთქვათ დავასწარი სხვა ჩემნაირ ქალებს და შენ "დაგისაკუთრე", მაგრამ შენარჩუნება ამ "საკუთრებისა" სრულყოფილად, უფრო სწორად ბოლომდე ვერ შევძელი, მე ვერ დავაკმაყოფილე შენი იდეალი ქალისა ისე, რომ საძებარი სხვა ქალში აღარაფერი გქონოდა. სიმკაცრე,

მომთხოვნელობა, იძულება, უფლების დაცვა, უკან დევნა, სიყვარულს არ ბადებს, არაფერს რგებს, პირიქით მის ნასახსაც კი საბოლოოდ კლავს. გათხოვილი ქალი უნდა ეცადოს საკუთარ მეში ის ღირსებები გააძლიეროს, რისთვისაც ის ერთ დროს მოიწონეს ა შეიყვარეს. მე ამას ყოველნაირად ვცდილობ. ამიტომაა, რომ მაღმერთებ და გიყვარვარ. იცი რა ჯონი? ქვეყნად ლამაზი და მშვენიერი სიცოცხლეა და ვისაც როგორ ესმის ის და ვისშიც მას ისეთად ხედავს განხორციელებულს, როგორც თვითონ წარმოუდგენია. მისთვის ისაა ლამაზიც, მშვენიერიც და საყვარელიც. ამ თვალსაზრისით დიდად კმაყოფილი ვარ, რომ შენი არჩევანი მე და ლარისა ვართ. ორი ერთ მთლიანობაში ქალის იმ იდეალს ვაკმაყოფილებთ, რომელიც შენა გაქვს. თუმცა ჩვენო "დონჟუანო" მომავალი ჯერ კიდევ წინა გაქვს. შენთვის ცუდი ქალი ხომ არ არსებობს, შეიძლება ერთი მხოლოდ ჯობდეს მეორეს — უთხრა ალერსით მარიკამ ქმარს და სიყვარულით აკოცა.

— მარიკა! მართალი მითხარი: ფარული მეტოქეობა და უსიამო განცდა ხომ გაქვს ლარისას მიმართ, რისი გამომჟღავნების უფლებას თავს არ აძლევ და არც არასოდეს მისცემ, ვინაიდან მე მგონია რომ საკუთარი თავის დამცირებად მიგაჩნია და ალბათ ამიტომ...

— შური ჯონი წუხილია სხვისა სიკეთესა ზედა. მე ლარისას ბედნიერება, კარგად ყოფნა და სიხარული კი არ მშურს, ის "მაწამებს" რომ ლარისასთანა სრულყოფილი არა ვარ, მაგრამ მე ვგრძნობ უპირატესობასაც, რაც ჩემი სიამაყეა: — შენი კანონიერი, თანაც საყვარელი მეუღლე ვარ, ლარისას კი შენი საყვარელი ჰქვია, რაც ჩვენს სინამდვილეში მას უპირატესობას არ ანიჭებს. თანაც ასეთი იარლიყის ქალებს ჩვენს საზოგადოებაში "საყვარელი" კი არა, სხვა არცთუ საამოდ მოსასმენი სახელი ჰქვია, რაც შენ და ლარისას ურთიერთობაზე ცოდვაა ითქვას, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს ვერსად გაექცევი. აი, ეს ყველაფერი თითქოს რაღაცას აწონასწორებს და ისიც, რომ უარყოფითი ემოციების წარმოქმნის მიზეზს არასოდეს ვეძებ. არაფრის გამწვავებას არ ვცდილობ. ცხოვრება ცხოვრებაა, მას ჩვენს ურთიერთობაში თავისი პრაგმატული შესწორებები შეაქვს, მჯერა ის მოიგებს და ბედნიერი იქნება, ვინც შექმნილ რეალობას სწორად აფასებს. არაფერი ადამიანური არ უკვირს, ცხოვრებას კი არ გაურბის, არამედ მის ბობოქარ ტალღებში აღწევს სასურველ სიმშვიდეს. ინარჩუნებს სწორად განსჯის უნარს, ბატონობს ინსტინქტებზე. თუმცა ასეც შეიძლება იყოს და ისეც, არსებობის უფლება ყოველნაირ აზრს და ქმედებას აქვს. მაგრამ არსებობს ერთი ჭეშმარიტება, რაც თუ არ გინდა შეცდე უნდა გაითვალისწინო: ყველაფერი დამოკიდებულია ადგილზე, დროზე და გარემოებაზე.

— ამიტომ ხარ ჩემთვის შეუცვლელი, განუმეორებელი ქალი.

— უფრო სწორად ერთ-ერთი კარგი ქალი! ხომ ასეა ჩემო "დონჟუანო", ჩემო სიყვარულო... გენაცვალე... ჭირიმე შენი...

— მაგრად მომეხვიე, გულში ჩამეკარი. ასე... აი ასე... რა ტკბილი ხარ... გენაცვალე...

* * *

კვირას ჯონიმ სამსახურში შეიარა. ის, რაც ორშაბათს ჰქონდა დაგეგმილი ყველაფერი ისე ააწყო, რომ ორშაბათ დილის თათბირის შემდეგ შეეძლო ტრისტანისათვის განთავისუფლება ეთხოვა. მისი განყოფილებაში არ ყოფნით საქმე არ შეფერხდებოდა. მისი თხოვნა, რომ დღის მეორე ნახევარში განყოფილებაში არ იქნებოდა და ტრისტანს ამის ნება მიეცა, დაკმაყოფილდა. მხოლოდ ტრისტანმა დაბეჯითებით სთხოვა, რომ ხუთ საათზე მისთვის აუცილებლად დაერეკა.

რაიკომიდან ჯონი პირველ საათზე გავიდა, კაფეში მსუბუქად დანაყრდა და ორ საათზე უკვე ლარისასთან იყო. მისვლისთანევე გაწყობილ მაგიდასთან მიიპატიჟეს. ჯონიმ ჭიქები შამპანურით შეავსო და თავისი მოსვლისა და მათი დახვედრის სადღეგრძელო შესვა.

— თქვენს მოსვლას და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოს, კეთილი ყოფილიყოს თქვენი ფეხი ჩვენს ოჯახში, წარმოსთქვა ლარისამ და ბოკალიდან შამპანური მოსვა. ლიმონკამ უფრო ვრცლად ისურვა ეთქვა:

— ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ შვილო!. ღმერთმა ისე გაგახაროს, როგორც შენი მოსვლით ახლა ჩვენ გავიხარეთ. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ შენ და ლარისა მეგობრობთ, ერთმანეთი გიყვართ. ქმართან გაცილების შემდეგ ლარისა მარტოსული და სევდიანი გახდა, მამაკაცებისაგან უბრალოდ ნათქვამი ქათინაურიც კი აღიზიანებდა, ნერვებს უშლიდა, ყველაფერს ამას რომ ვხედავდი, გული მიკვდებოდა. მეგონა ჩვენთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ შენ მას ცხოვრება, სიცოცხლე დაუბრუნე. დედა-შვილი მარტოობაში აღარ ვიქნებით. პირველ რიგში საკუთარ თავს, შემდეგ კი თქვენ, ორივეს გილოცავთ, რომ ბავშვი შეგეძინებათ. ვისიც არ უნდა იყოს ბავშვის დაბადება ჩემთვის სიხარულია, მით უმეტეს ჩემი შვილიშვილის გაჩენა. ლარისასთვის ეს გამოგონილი “უშვილობა”, ხომ ტრაგედია და დაცინვა იყო. ახლა კი ყველაფერი თავის ადგილზე დგება. უზომოდ მადლობელი ვარ ქალბატონი მარიკასი, როგორც ლარისამ მითხრა ბავშვს მამაც ეყოლება და მისი გვარიც ექნება.მინდა მარიკას დედაშვილურად მოვეფერო, ველაპარაკო, ასეთი ქალი ოცნებაა, ქალის ზღაპრული, უფრო სწორად დედის ზღაპრული სახეა. შენ კი გთხოვ, თუ ვაჟკაცი ხარ, რაშიც ეჭვი არ მეპარება, რადგან ცხოვრების ასეთი წესი აირჩიე და ორი მშვენიერი ქალის საფიცარი გახდი, უნდა შეძლო, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ, ყველაფერი გააკეთე, რომ მათ, როგორც დედებმა, შენი შვილების ერთმანეთის სიყვარულით აღზრდა შეძლონ. ის რაც ჩვენ ოჯახებში ხდება მართლმადიდებელი და ასევე გრიგორიანული ქრისტიანისათვის ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოხდა, უკვე რეალობაა. თქვენ ეპოქას გაუსწარით. ჩვეულებრივი, საყოველთაოდ აღიარებულ ცხოვრების წესზე რაღაც საჭირო და კარგით ამაღლდით. არასოდეს დაივიწყოთ, რომ ეს ჭკვიანი და მშვენიერი ქალბატონის — მარიკას დამსახურებაა. მისი კეთილგონიერების წყალობაა, ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებთ. მეტს

არაფერს ვამბობ, დანარჩენი მარიკას მინდა ვუთხრა. უპირველესად პატიება მინდა ვთხოვო, რომ ლარისას შენი სიყვარული ვერ დავუშალე, ვერც მოვერეოდი და არც ვიკადრე... სიყვარულის მომრევი ძალა ამ ქვეყანაზე არ არსებობს. დაპირისპირება, წინააღმდეგობა, მას ზოგჯერ, მხოლოდ ტრაგედიად აქცევს, ესაა და ეს. ბედნიერებას გისურვებთ შვილებო, გაიხარ * * *

როგორც დათქმული ჰქონდათ, საღამოს ჯონი ტრისტანს ტელეფონით ესაუბრა. გაირკვა, რომ მეორე დღეს, დილის თერთმეტ საათზე, საინგილოში, კახში სოფელ ალიბეგოს ქართულ საშუალო სკოლაში მიმავალ დელეგაციას უნდა გაძღოლოდა. მათი რაიონის პედაგოგებმა გადაწყვიტეს საინგილოს სოფელ ალიბეგოს საშუალო სკოლასთან დაემყარებინათ საქმიანი კავშირი. ამ ეტაპზე აპირებდნენ მათთვის ჩაეტანათ სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები. ჯონი რაიკომში მივიდა და ტრისტანს სთხოვა, რომ ამჯერად სოფელ ალიბეგოში მიმავალი დელეგაციის ხელმძღვანელი რაიონის განათლების განყოფილების გამგე ყოფილიყო.

— წასვლა არ შემიძლია, ხვალ მნიშვნელოვანი პირადი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, ესაა და ეს, მეტი არაფერი ტრისტან პავლოვიჩ.

— არამგონია “მეტი არაფერი” იყოს. გამომეტყველებაზე გეტყობა, რომ არც თუ იოლ პრობლემასთან უნდა გქონდეს საქმე. თანახმა ვარ, დარჩი! განათლების განყოფილების გამგეზე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ მომზადება-გამგზავრების პროცესში აქტიურად დაეხმარე.

— აუცილებლად ტრისტან პავლოვიჩ! საზღვრამდე გავაცილებ კიდეც.

— შენი ამბავი რომ ვიცი, თუ როგორ გიყვარს მოგზაურობა, შეხვედრები, დელეგაციაში ყოფნა, უბრალოდ მაინტერესებს რა ხდება ისეთი, რამ გაიძულა უარი გეთქვა საინგილოში წასვლაზე?

— როგორ გითხრათ, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი... საერთოდ კი საკმაოდ უცნაური, თანაც არც თუ იოლად სათქმელი და წარმოსადგენი...

— საინტერესოა... თუ არაფერი დაშავდება...

— თქვენთვის ბევრი რამ ცნობილია, მაგრამ ახალი ისაა... ერთი სიტყვით, მე და ლარისა ბავშვს ველოდებით.

— და ალბათ ამის გამო გართულებები გაქვს მეუღლესთან, ახლობლებთან და ა.შ.

— არა! პირიქით! ხვალ ლარისა და დედამისი მარიკამ ჩვენთან მოიწვია, ჩემი არ ყოფნა არ ივარგებს.

— მართალი კაცი ხარ, ყოჩაღ! ყველა ქების ღირსი ხართ, გითანაგრძნობთ, მაგრამ მინდა, რომ ჩემი ეს არაოფიციალური ჩარევა მეგობრულად მიიღოთ: ძალიან ფრთხილად იყავი, ორი მშვენიერი ქალის სიყვარულმა და სიდედრის ქათინაურებმა არ “დაგახრჩოს”. უფრთხილდი არ გამოჩნდნენ გიგლა ბეთაშვილები. გახსოვდეს, რომ “ვარდზე მეტი ეკლები აქვთ ლამაზებს”, თუმცა... მჯერა, რომ საქმე სამსახურის დაკარგვამდე არ მივა...

— ტრისტან პავლოვიჩ! ჩემთვის რაიკომში მუშაობა მხოლოდ, ცხოვრების საშუალება და პასუხისმგებლობაა, ის ჩემი გატაცება და ბედნიერება არაა, თუ რაიმე გართულდება, სამსახური უკეთესი ანაზღაურებითაც შეიძლება მოინახოს. ბედნიერებაზე უარის თქმას არაფრისთვის არ ვაპირებ. ეს რომ გავაკეთო ჩემს ყველაზე

ახლობელ და სასურველ ადამიანებს გულს ვატკენ. დავკარგავ, რაც არ უნდა მოხდეს, მარიკა და ლარისა, შვილებთან ერთად, ჩემთვის ისეთნი და ისე დარჩებიან, როგორც დღეს არიან. ის წესი ცხოვრებისა, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენი შექმნილია და არცერთი ჩვენთაგანი მის შეცვლას არ ვაპირებთ, თუმცა არც მის პროპაგანდას ვეწევით და არც არავის თავზე არ ვახვევთ.

— ხვალ სამსახურიდან თავისუფალი დღეს გაძლევ, მშვიდად და დინჯად ისუბრეთ, მაგრამ მეტისმეტად ნუ გაახმაურებთ მაგ თქვენ "უჩვეულო" ურთიერთობებს, "ცხოვრების წესებს". იყავით ისე როგორც დღემდე იყავით. იცხოვრეთ ეიფორიის გარეშე ცხოვრებით.

სადილზე შინ მისულ ჯონის მარიკამ უთხრა:

— ტელეფონით ქალბატონი ლიმონკა მელაპარაკა. მომიკითხა და გამაგებინა, რომ ხვალ თერთმეტ საათზე ჩემთან მოვა, დედაშვილურად მინდა გელაპარაკოო, რაზე უნდა მელაპარაკოს, შენ ხომ არ იცი ჯონი?

— არ ვიცი, მაგრამ არა მგონია მისი საუბარი ბავშვების, ჩემი, შენი და ლარისას იქით წავიდეს.

— ქალბატონ ლიმონკას პატივს ვცემ, როგორც ლარისას დედას და კარგ პიროვნებას. მაგრამ ყველამ გვაცალოს, ნურაფერს გვირთულებენ, ჩვენი საქმისა, ჩვენ უკეთ ვიცით. არც არავის ქება გვინდა და არც არავის საყვედური.

— რაღაც საუბარში ჩქარობ გენაცვალე! საკუთარ თავს არ ჰგავხარ. გველაპარაკონ, "ჭკუაც" დაგვარიგონ, გული იჯერონ, ხომ გჯერა, რომ ჩვენთვის კარგი უნდათ, ბოლოს მოსწყინდებათ და გაჩუმდებიან. მთავარია ჩვენ თვითონ ვიცოდეთ ვინ ვართ, რა გვსურს და რა გვინდა, მორჩა და გათავდა.

— მორჩა... მორჩა... მომეხვიე, უფრო მაგრად... ასე... აი ასე...

* * *

ჯონიმ ტრისტანს კი უთხრა ლარისას და ლიმონკას მოსვლისას შინ უნდა ვიყოო, მაგრამ გააკეთა პირიქით. ჯერ ერთი ის, რომ იცოდა მარიკასთან მარტო ლიმონკა უნდა მისულიყო და მეორეც ის, რომ ერთმანეთთან მის გარეშე უფრო გულახდილად და თავისუფლად ისაუბრებდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ ლიმონკას შინ არყოფნის დროს ლარისასთან განმარტოება შეეძლო. მართალია მათ შორის ყველასთვის ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ აშკარად და თვალშისაცემად არ იქცეოდნენ, ყელში არავის "ამოდიოდნენ".

დილით, სამსახურში წასვლისას მარიკას უთხრა, რომ საინგილოში ექსკურსიაზე წამსვლელები უნდა გაეცილებინა, შემდეგ სამსახურში მოუწევდა ყოფნა. თუ საჭირო იქნებოდა მარიკას თვითონ დაერეკა, შინ განგებ გვიან მივიდოდა, რომ მათთვის "გულახდილ", "დედაშვილურ" საქმეში ხელი რომ არ შეეშალა.

ჯონი ექსკურსანტებთან იმ დროს მივიდა, როდესაც უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად. გზა მშვიდობისა უსურვა და თავის კაბინეტში ავიდა. ლარისასთან დარეკა, რომელმაც მის ხმის გაგონებაზე უზომოდ გაიხარა და გააგებინა, რომ ლიმონკა მარიკასთან ის იყო წავიდა.

— თუ წასასვლელი არსად ხარ, მოვალ...

— რა უცნაური ხარ ჯონი, გელოდები.

გაღიმებულმა მარიკამ ლიმონკა მეტად თბილად მიიღო: აკოცა, მოიკითხა, სასტუმრო ოთახში მიიპატიჟა.

— ეს რა ამბავია ქალბატონო ლიმონკა! რატომ წუხდებოდით, საჩუქრის გარეშე განა არ შეიძლება მივიდ-მოვიდეთ ერთმანეთთან?

— არა შვილო! პირიქით... გავიხარე ასე რომ გავაკეთე. პირველად შემოვდგი ფეხი თქვენს ოჯახში... ამის შემდეგ სხვაა, როგორც შევძლებთ ისე მოვიქცევით. მოყვრებს შორის "ჩუქებისა არ მოწყენაო" ამბობს რუსთაველი, უკეთესს ნამდვილად ვერაფერს იტყვის კაცი.

— მაპატიეთ, ერთი წუთით დაგტოვებთ, ყავას მოგართმევთ, ერთად დავლიოთ.

— მეც სამზარეულოში წამოვალ, ყავა იქვე დავლიოთ, ჩემს ადგილზე დედაშენი, რომ ყოფილიყო, ხომ ასე გააკეთებდით... ჩათვალე რომ დედა ვარ შენი.

— ჩვენი სამზარეულო ძალიან პატარაა, "ხრუშჩოვკაა". აქ ჯობია ვიყოთ. ჩემს შემობრუნებამდე შეგიძლიათ ფოტოალბომი დაათვალიეროთ.

მარიკა სამზარეულოში გავიდა. ლიმონკამ ალბომი გადაშალა და თვალიერება დაიწყო, ესიამოვნა რომ პირველ გვერდზე იყო მარიკას, ჯონისა და ლარისას ფოტოები. ალბომში იყო სოხუმში ვალოდიას სახლის ეზოში გადაღებული სურათი, რომელზეც მთელი მათი ოჯახი იყო გადაღებული. ეჭვი არ იყო ამ ფოტოს ლარისა აჩუქებდათ, სხვაგვარად ის ამ ალბომში ვერ მოხვდებოდა. მთავარი მაინც ის იყო, მარიკას რომ არ ნდომებოდა ეს სურათები, ალბომში კი არა, ჯონისაც კი არ შეეძლო ჰქონოდა.

მარიკა ყავის მოსადუღებლით ხელში შემოვიდა, ლიმონკამ ალბომი დახურა და "სერვანდიდან" ლამბაქები გამოიღო. ეტყობოდა დიდად ნასიამოვნები იყო, რაც მარიკას არ გამოპარვია. ყავა დაასხა და "ენისელით" მომცრო ბოკალები შეავსო.

— ბოდიშს ვიხდი თქვენი მოტანილი შოკოლადითა და კონიაკით რომ გიმასპინძლდებით. ვეცდები რომ ეს ყველაფერი სადილზე გამოვასწორო. დღეს ჩვენთან იყავით. სადილიც გავაკეთოთ, ლარისას დავურეკოთ, რომ მოვიდეს, ჯონიც მოვა, დიდად გაეხარდება ყველას ერთად რომ გვიხილავს. ჯონი ნამდვილი "ჯელტმენია", კარგად აღზრდილი კაცია. მე და ლარისას ის საკუთარ თავზე მეტად გვიყვარს და მან საერთოდ არა მგონია ვინმეს თავი შეაჯავროს.

— უზომო მადლობა. ვთვლი, რომ ვითომც ერთად გვესადილოს, ამის დრო შემდგომში ნამდვილად გვექნება. გმადლობთ, რომ ასეთი სათნო და კეთილი ხარ. ჯონი ჯონია, მაგრამ შენ ჩემი საფიცარი ხარ. მე დღეს აქ იმიტომ მოვედი, რომ მადლობა გითხრა შენი მაღალი ზნეობისა და თავშეკავებულობისათვის, მაგრამ დედაშვილურად ერთი რჩევა უნდა მოგცე: ორიოდე წუთის წინ სრულიად გულწრფელად მითხარი, რომ სადილი ერთად გავაკეთოთ და ლარისაც მოვიწვიოთო. ჯონი რომ ერთად გვნახავს გაეხარდებაო. ეს არასოდეს გააკეთო შვილო! ყოველთვის ეცადე რომ ჯერჯერობით სამივე ერთად არასოდეს იყოთ, ეს იქნება სადილი, ბანკეტი, კონცერტი, დღესასწაული, თეატრი და ა.შ. ჯერ ერთი ამას თქვენს გასახარად არავინ შეაფასებს, ვინაიდან ზედმეტი მითქმა-მოთქმის საგანი აუცილებლად გახდება და გარდა ამისა, ამგვარი ერთად ყოფნით თვითონ თქვენც ვერ მიიღებთ სიამოვნებას. პირიქით, ერთმანეთის მიმართ უსიამო გრძნობა შეიძლება გაგიჩნდეთ. იმიტომ, რომ ქალი ვერ იტანს და არც შეიძლება ესიამოვნოს, როდესაც მისი "კავალერი" მისი და ირგვლივმყოფთა თანდასწრებით, სხვა

ქალს მის დონეზე ყურადღებას მიაქცევს. ამიტომ, ქმართან ერთად იყავი მხოლოდ შენ, ყოველთვის ეცადე არ იყო იქ, სადაც იქნება მეორე ქალი მისთვის შენნაირად მისახედი. ეს ასე უნდა გააკეთოს ლარისამაც. საყვარელი მამაკაცის, მით უმეტეს მეუღლის გვერდით თავს "დედოფლად" უნდა გრძნობდე. ორივე ეცადეთ, რომ ჯონის საზოგადოებაში ახლდეს თქვენთაგან ის, რომელსაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. რადგან ეგუებით, რომ ორივეს ერთი მამაკაცი გიყვარდეთ, ყოველგვარი ნაწყენობისა და შურის გარეშე უნდა შეეგუოთ ნებისმიერ ასეთ არჩევანსაც. იყავით ისე, როგორც ხართ, ეს საუკეთესო ურთიერთობაა ამ ვითარებაში. სიახლოვისა და მიმტევებლობის ამ ზღვარს იქეთ წასვლას არ გირჩევთ, ვინაიდან შეიძლება უკუშედეგი მიიღოთ. რაც თქვენთვის და მით უმეტეს ბავშვებისათვის, მეტად არასასურველი იქნება. შენ რომ არ მითხრა, მე ვიცი შვილო რა განცდა გექნება, როდესაც იცი, რომ ჯონი ლარისასთანაა. აფერუმ შენს ქალობას და დიდსულოვნებას. შენ იმას თმობ და პატიობ ჯონის და ლარისას, რისი დამთმობიც ჩემ თვალსაწიერზე არცერთი ქალი არ მეგულება. მოდი შვილო! მოდი ჩემთან, მინდა გულში ჩაგიკრა და მოგეფერო.

ლიმონკამ მარიკა გვერდით მოისვა, შუბლი და თვალები დაუკოცნა. თვალებზე ცრემლმომდგარი ეფერებოდა თავისი ქალიშვილის საყვარელის მეუღლეს, აკეთებდა სრულიად ბუნებრივად მას, რასაც რამდენიმე წლის წინათ არ დაუშვებდა კი არა, ვერც წარმოიდგენდა.

— რადგან სადილზე ჩვენთან არ რჩებით და ალბათ მნიშვნელოვანი მიზეზის გამო ესოდენ ჩქარობთ, ყველაფერი იმაზე რაც თქვენ ბრძანეთ, მინდა ისე არ წაბრძანდეთ რომ ჩემი მოსაზრება არ მოისმინოთ. დედასავით გენდობით და ამას არავისთან სალაპარაკოდ არ ვამბობ. დეიდა ლიმონკა! სიბრიყვეა იმის გაფიქრებაც კი, რომ ქალმა სიხარული და აღტაცება განიცადოს, როცა გაიგებს, რომ მის ქმარს საყვარელი ჰყავს, მაგრამ იმდენად მიყვარს ჯონი და ასევე ვუყვარვარ მასაც, როცა გავიგე, რომ მას საყვარელი ჰყავდა და ეს გავიგე თვითონ მისგან ყოველგვარი დაფარვის გარეშე, ის არ შემჯავრებია, არ გავბუტულვარ. თვითონ განსაჯეთ, რომ არ ვუყვარდე და თავის უახლოეს ადამიანად არ მთვლიდეს ის, მე ამას არ მეტყოდა, პირიქით ეცდებოდა ეს დაემალა, ნამდვილად არ "გავკაპასებულვარ", მაგრამ საკუთარ თავზე დავფიქრდი: რა დავაკელი მე, როგორც ქალმა ჯონის, რომ მან მოძებნა სხვა ქალი და მისგან შეივსო ეს დანაკლისი? გასაგებია, როდესაც მამაკაცი ვიღაცას სადღაც ხვდება შემთხვევით, მას არ ეტყვის, — სახლში დიდებული ცოლი მყავს და ახლოს არ გამეკაროო, მაგრამ საყვარელი გაიჩინა, მასთან დადის და ეს გრძელდება ხანგრძლივად, განუსაზღვრელი დროით, დამერწმუნეთ ეს უკვე სხვა რამეა. სადღაც გულში ის ქალი ერთგვარად შემებრალა. ვიფიქრე, თუ ჯონი ნამდვილად შეუყვარდა უბედური იქნება მეთქი, ვინაიდან მჯერა, რომ ჯონი მე, როგორც თავისი შვილების დედას — ქალს, რომელსაც პატივს მცემს, მაფასებს და ვუყვარვარ, არასოდეს მიმატოვებს და ამავე მიზეზით, მას ოფიციალურად ვერ შეირთავს. ამიტომ დროთა ვითარებაში მას "მოიწყენს", მიატოვებს და ამით გულს ატკენს, სასოწარკვეთამდე მიიყვანს მეთქი. ასე ვფიქრობდი, სანამ ჯონიმ არ მითხრა, რომ ჩემი საყვარელი ქალი — ლარისა იგითხანიანიაო.

ლარისას კარგად ვიცნობდი, ერთმანეთს ვხვდებოდით რაიონულ და საქალაქო შეკრებებზე, მასწავლებელთა კონფერენციებზე, მეტისმეტად მომწონდა, მის შემხედვარეს ბევრჯერ მიფიქრია, კაცი რომ ვიყო, ამას უთუოდ შევიყვარებდი-თქო.

ამიტომ არ გამკვირვებია, რომ ჯონი მისით მოიხიბლა, სასწაულად მხოლოდ ის მივიჩნიე, რომ ის კაცი, ვინც ჩემი ჩანაფიქრი განახორციელა და ლარისა შეიყვარა, ჩემი ქმარი იყო, ამიტომ იყო რომ ჯონის ვუთხარი: არ მიკვირს რომ ლარისა გიყვარს, ის მეც მიყვარს, მაგრამ მებრალება თავისმა "დებილმა" ქმარმა უშვილობისათვის რომ შეურაცხყო და გასცილდა, რითაც ერთგვარად დათრგუნვილიც კია და გთხოვ შენ მაინც ნუ გაამწარებ და ნუ მოატყუებ, კარგად მოექეცი, მასთან ურთიერთობაზე არ გსაყვედურობ. ეს კიდეც რომ ვიკადრო, რას გავხდები, თუკი აღარ გინდივარ და არ გიყვარვარ ამით კიდევ უფრო თავს შეგაძულებ, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: იყავი ისეთი, როგორიცა ხარ, შეძელი, რომ მე და ლარისას გვიყვარდე-თქო. სხვა რა უნდა მექნა და მეთქვა ლიმონკა დეიდა? სიმშვიდე შევინარჩუნე, რაშიც ჯონის გულახდილობამ და ლარისას პიროვნებამ შემიწყო ხელი, შევინარჩუნე ქმრის სიყვარული და პატივისცემა, ოჯახი, მდგომარეობა საზოგადოებაში. დღეს მე ჯონი მაღმერთებს. აშკარად ვგრძნობ იმ უპირატესობას, რომელიც მაქვს ლარისასთან შედარებით. ნამდვილად ვამაყობ, რომ ისეთი სრულყოფილი მამაკაცი, როგორიც ჯონი ჩუტკერაშვილია, ჩემზე გაცილებით ლამაზ და მშვენიერ ქალთან შედარებით უპირატესობას მე მანიჭებს და ყოველნაირად ვცდილობ ჩემში გავაძლიერო ის თვისებები, რის გამოც ის ამას აკეთებს, რის შედეგადაც ვგრძნობ, რომ უფრო სრულყოფილი და უკეთესი ვხვდები, ვჯობნი იმ ქალს, რომელიც ბუნებამ ჩემზე ლამაზი და მშვენიერი გააჩინა. ლარისა არ მაღიზიანებს იმიტომ, რომ ჯონის არ ანერვიულებს, ხასიათს არ უფუჭებს, არაფერს სთხოვს გარდა ალერსისა და ამასაც, როცა ეს ჯონისათვის საამო და სასურველია. სათნო, მშვენიერი და სასურველი რომ იყო, ბევრის დათმობა, ზრუნვა და შრომაა ამისთვის საჭირო. მიზეზს არასასურველისას უპირველესად საკუთარ თავში ვეძებ და ამიტომ ჩემს გარშემო ბევრი კარგი და სასურველი ადამიანია. ჯონი მამაკაცია, კარგი კაცია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იცხოვროს და იყოს ისე, როგორც სურს და ამას ახერხებს, მე მისი საყვარელი ცოლი ვარ, უახლოესი ადამიანი და არა დაქირავებული დეტექტივი. ყველაფერი დავძლიე, გავიმარჯვე საკუთარ თავზეც და ნუ მიწყენთ, ლარისაზეც. ეს რომ ასე მწამს, რასაც ჯონის ჩემდამი დამოკიდებულებაც ამტკიცებს, ლარისა ჩემს მეტოქედ კი არა, ჩემი ოჯახის მეგობრად და სასურველ ქალად მიმაჩნია. ვიცი, რომ მასაც არ ვძულვარ. თქვენი მადლობელი ვარ. ის, რაც მითხარით, ჭეშმარიტებაა. მართლაც არაა საჭირო რაღაც ამბიციებით ჯონიც გავაწვალოთ და საკუთარი თავიც. ჯონი ხომ ჩვენი ოცნების მამაკაცია, ოღონდაც გაიხაროს და ჩვენც მასთან ვართ ყველაფერში. რაც შეეხება შვილებს, მე და ლარისა მათ ერთმანეთისაგან არასოდეს განვასხვავებთ. მათ გავზრდით ერთად, ერთმანეთის სიყვარულით. მე პირადად მათთვის ბევრი რამ დავთმე და ამით ბედნიერი ვარ. მჯერა, რომ ისინი ამისთვის არასოდეს გამკიცხავენ. თქვენს ნათქვამში ისიც მენიშნა, რომ მეტი სიახლოვე, თანადგომა და ერთმანეთის პატივისცემა ალბათ მართლაც შეუძლებელია და არცაა საჭირო. გმადლობთ ასეთი გულახდილობისათვის, ამ დედაშვილური საუბრისათვის..

— შენ იმაზე გაცილებით უკეთესი და კარგი ხარ შვილო, მე რომ მყავდი წარმოდგენილი, თქვენი დიდი ზნეობა, ჭკუა და გონება იქნება, თუ ჯონის შეინარჩუნებთ ასეთად, თქვენი ოცნების მამაკაცად. დაგლახავებული, დაბეჩავებული, შერცხვენილი ჯონი არც თქვენ გჭირდებათ და არც საზოგადოებას. ამ ქვეყნად ყველა ერთნაირი ცხოვრებით არ ცხოვრობს და ვერც იცხოვრებს. ვიღაც ყოველთვის რაღაცას იკლებს, ან იძულებულს ხდიან მოიკლოს სხვის სასარგებლოდ საკუთარი ნებით თავის შეზღუდვა, იმისათვის რომ მეორეს აამო, გმირობაა, იძულებით ამის გაკეთება საშინელებაა, მონობაა. ნახვამდის. გვინახულე ბავშვებთან და არა ჯონისთან ერთად. როცა გულმა გამოგიწიოს. მე მოვალ ყოველთვის როცა მომენატრები, ეს კი არც თუ იშვიათად იქნება.

ერთმანეთს გამოეთხოვნენ. ლიმონკას ერთი სული ჰქონდა სახლში მისულიყო და ლარისასთვის მოეთხრო მარიკას მშვენიერების, კეთილგონიერების და სხვა შესანიშნავი წმინდა ქალური თვისებების შესახებ. ეთქვა, რომ ის — ლარისა იგითხანიანი ბედნიერი ქალია, ვინაიდან მისი ოცნების მამაკაცს უმშვენიერესი მეუღლე ჰყავს.

არცერთ დედას არ უნდა, რომ მისი შვილი სტყუოდეს, ცუდს აკეთებდეს და რადგან დედის სული შვილისადმი მხოლოდ სასიკეთოდაა მომართული, უჭირს მისი დადანაშაულება. მასზედ ცუდს ძნელად იჯერებს, კარგს კი მეტისმეტად იოლად, საერთოდ კი რაც გვსურს მას ადვილად ვიჯერებთ. ჯონიზე, მარიკაზე, ლარისაზე ცუდის თქმას არც ვაპირებთ. ყველა მათგანი მართლაც რომ ღირსეული პიროვნება იყო, მაგრამ მათი სახეები გაცილებით მკვეთრ და საამო ფერებში ელვარებდა ლიმონკას სულში, ვიდრე ისინი იყვნენ სინამდვილეში.

მარიკასა და ლიმონკას შორის, ესოდენ საამო, გულახდილი, საკმაოდ ხანგრძლივი საუბრისას, ჯონი ლარისასთან სახლში მივიდა. მთელ საათზე მეტი უსიტყვო საუბარსა და ალერსში გაატარეს. ჯონისთვის ეს იყო მამაკაცის მრავალფეროვნებისაკენ ბუნებრივი ლტოლვის ახდენილი ოცნება. სასურველ ქალთან ყოფნის უბედნიერესი წუთები. ლარისასთვის კი გამოცხადება "თავისი ოცნების მამაკაცისა". მასთან ერთად საამო გრძნობების უძირო მორევში უკიდეგანო ცურვა, თავისი უგუნურებით სიყვარულში ხელმოცარული, გაბოროტებული. ჭორიკნებისთვის, რომლებიც დიდად "წუხან სხვისა სიკეთეს ზედა", იყო ოჯახის ღალატის, უზნეობის, აღვირახსნილი ცხოვრების აქტი. თუ რა არის ეს თქვენთვის, სათანადო დაფიქრებისა და განსჯის შემდეგ არ დატოვებთ უპასუხოდ. ან იქნებ ეს იყოს პასუხიც იმის თაობაზე, რომ შეიძლება თუ არა ორ ქალს, ერთმანეთთან ესოდენ გამოკვეთილად, უყვარდეს ერთი მამაკაცი, ჰყავდეთ მასთან შვილები, ერთმანეთში არ ჰქონდეთ შური და მტრობა, განქორწინება-დაქორწინების გაუთავებელი ხმაურიანი პროცესი და ა.შ.

* * *

ჩუტკერაშვილებმა კარგად აღზარდეს შვილები, თვითონ კი ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით გალიეს საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლე. ლარისა ჯონიზე და მარიკაზე გაცილებით უმცროსი იყო და შედარებით გვიან წაიყვანა ღმერთმა ამ "უღმერთო" წუთისოფლიდან. შვილებმა: სერგო, ნუგზარ, გივი და თეიმურაზ

ჩუტკერაშვილებმა, რძლებმა: მზექალა სისაურმა, ნელი ოსაძემ, თალიკო პავლიაშვილმა და ნესტან მახათაძემ ეროვნული ადაპტირებული წესით დაკრძალეს, რომელსაც ჩვენც ვესწრებოდით იმ განსხვავებით, რომ მათსავით ცრემლი არ დაგვიღვრია. ჩვენ იქ ყოფნით მხოლოდ პატივი მივაგეთ კარგი დედის, 86 წლის დიდებული ქალბატონის იმ ქვეყნად გაცილებას, გვერდით ვუდექით მის შვილებს, ჩვენს საუკეთესო მეგობრებს.

2002 წელი

არ შემიყვარდე, თორემ ვეღარ მიხილავ

რუსთაველის გამზირი რუსთაველის გამზირია, მაგრამ ნებისმიერი თბილისელი დამერწმუნება, რომ მისი პარალელური გრიბოედოვის ქუჩა, ერთ-ერთი უმშვენიერესია მთელ ქალაქში. ამ მშვენიერ ქუჩაზე, მშვენიერი კონსერვატორიის გვერდით, მშვენიერ ძველთბილისურ, მშვენიერ აივნიან, მრავალბინიან სახლში ცხოვრობდა ნანა და კაკო ფაღავების მშვენიერი ოჯახი. მათი ერთადერთი სათაყვანებელი ქალიშვილი მაკა ცოლად ჰყავდა კარგი ოჯახისშვილს და დიდებულ ვაჟკაცს - ოთარ მურმანის ძე მასხულიას, რომლებიც ცხოვრობდნენ მშვენიერ ქალაქ რუსთავში, ხუთოთახიან ბინაში, ზრდიდნენ მშვენიერ ქალ-ვაჟს, ჰქონდათ ბედნიერი ცოლ-ქმრობა და კარგი სამსახური. ყველაფერი იყო მშვენიერი და მოსაწონი. მხოლოდ ნანას აზრით, არასასაიამოვნო ის იყო, რომ სიძე-ქალიშვილი და შვილიშვილები რუსთავში ცხოვრობდნენ, თვითონ კი ერთმანეთთან ყოველმხრივ ადაპტირებული ცოლ-ქმარი, მარტოდმარტო იყვნენ თბილისში და ზოგჯერ თვეები ისე გადიოდა, რომ "ბავშვებს" ვერ ნახულობდნენ. იმ წელს კი ჩვეულება საერთოდ დაირღვა და ახალწელს თბილისში ერთად ვერ შეხვდნენ. ოთარს ქუთაისიდან საახალწლოდ ნათესავები ეწვივნენ და ახალი წლის დადგომა, მათთან ერთად, რუსთავში, საკუთარ ბინაში იზეიმეს.

— რა მოხდა, სულ სამი კაცი გყავდათ სტუმრად, ჩვეულებრივ თბილისში ჩამოსულიყავით და ეგენიც თან წამოგეყვანათ! — უთხრა სამ იანვარს მისალოცად მისულ სიძე-ქალიშვილს კაკომ. ეს გახდა მიზეზი, რომ 14 იანვარს, ძველი სტილით ახალწელს, ნანამ ვერაფრით ვერ დაიყოლია კაკო, რომ რუსთავში "ბავშვებთან" ჩასულიყვნენ, რის გამოც იძულებული გახდა მარტო წასულიყო. რამდენიმე დღე ბავშვებთან დავრჩები... 20 რიცხვამდე ალბათ ვერ დავბრუნდები... თუ გული მოგიბრუნდეს შენც ჩამოდი ქვეყანა არ დაიქცევაო — უთხრა ნანამ სახლიდან გასვლისას მეუღლეს. კაკოს არაფერი უთქვამს, ავტობუსის გაჩერებამდე გააცილა, გზა მშვიდობისა უსურვა, ჯიხურში ჟურნალ-გაზეთები იყიდა და შინ დაბრუნდა. გამოცარიელებული ბინა არ ეამა, მაგრამ "ბავშვებზე" გაბრაზებულმა, იხტიბარი არ გაიტეხა, სავარძელში მოეწყო და გაზეთების კითხვას შეუდგა. უნებურად ჩაეძინა,

თვალი რომ გაახილა, საათი სამს უჩვენებდა, გაკვირვებულმა რამდენ ხანს მძინებიაო, — თავისთვის ჩაილაპარაკა. მოხარშული ბურვაკის ბეჭი თხელ ნაჭრებად "დათალა". კომბოსტოს და კიტრის მწნილი სამზარეულოდან გამოიტანა, გემრიელად ისადილა, ერთი ჩაის ჭიქა საფერავიც დააყოლა, მაგიდა აალაგა და გაზეთების კითხვას მიუბრუნდა. კარებზე დააკაკუნეს, გააღო. კარის მეზობელი გიორგი მებუკე ესტუმრა. ერთმანეთს "მამა-პაპური" ახალი წლის დადგომა მიულოცეს, თითო ბოკალი საფერავი მიირთვეს, ჩურჩხელა დააყოლეს, კაკოს შეპატიჟებაზე, რომ მაგიდასთან დამსხდარიყვნენ — გიორგიმ ბოდიში მოუხადა და პირიქით სთხოვა, რომ ხუთ საათზე სადილზე ოჯახში სწვეოდა.

— სტუმრებს ველოდები. ჩვენი ძმაკაცები მერაბი და ალეკოც იქნებიან, გემრიელად, ჩვენებურად "ვიჭუკჭუკოთ".

მერაბი და ალეკო კაკოსთან ზუსტად ხუთ საათზე მოვიდნენ. ერთმანეთს ტუჩზე კოცნით ახალი წელი მიულოცეს და ისე, რომ ერთი წუთითაც არ დაყოვნებულან, სამივე გიორგის ეახლნენ. გიორგისთან მხოლოდ ოჯახის წევრები და ორი უცნობი ქალბატონი დახვდათ. "ბიჭებმა" ერთობ გაიხარეს, რომ მაგიდასთან "სხვა" ქალებიც იქნებოდნენ, მათი გაბადრული სახეების ხილვით გიორგი მიუხვდა გულისთქმას და საჭიროდ ჩათვალა "სხვა" ქალები მათთვის წარედგინა: ნატო და ნაისი ჩემი დეიდაშვილები არიან, გვარად ჯაფიაშვილები, ქალაქ გორიდან. ნატო დაწყებითი კლასების მასწავლებელია, ნაისი კი გორის საქალაქო კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელია, ორივე დასაქორწინებელია. ისე, რომ მათთან ერთად, რამდენიც გნებავთ იცეკვეთ და იმღერეთ, რომ იეჭვიანოს ასეთი პიროვნება არ არსებობს. გთხოვთ მაგიდასთან... ვინც შემოგვემატება მივიღებთ, მაგიდის თავში კაკოს ვთხოვ დაბრძანდეს და თამადობა გაგვიწიოს. დანარჩენებმა კი თვითონ აირჩიეთ და ვის გვერდითაც გსურთ დაბრძანდით.

ერთმანეთს დიდებულად შეეწყვნენ, მართლაც რომ კარგად იქეიფეს. გიტარა, ფანდური, აკორდეონი, როიალი აუხმაურებელი არაფერი დაუტოვებიათ. ბერბიჭა ალეკო შესანიშნავი მედოლე გამოდგა და ისე მოიხიბლა ლამაზი ნაისით, რომ დაივიწყა დადებული ფიცი ხუთი შვილის გაჩენისა და გაზრდის თაობაზე და ამ ორმოცდარვა წლის ქალბატონზე დაქორწინება გადაწყვიტა, რაც სამწუხაროდ მხოლოდ მის სურვილად დარჩა, ვინაიდან ნაისი დიდი აღტაცებით არ გამოხმაურებია, ჩანდა რომ ბახუსის ქვეშ მყოფი მამაკაცებისაგან, ასეთ "წინადადებებს" მიჩვეული იყო, რაც სიფხიზლეში, ალბათ ბევრ მათგანს ან საერთოდ არ ახსოვდა, ან საჭიროდ აღარ თვლიდა რეალობად ექცია.

კაკო შინ ისეთი "დამბალი" და ნასიამოვნები მივიდა, რომ მეორე დღეს შუადღემდე ეძინა. გაღვიძებული ლოგინიდან, როგორც თვითონ თქმა უყვარდა — "ჩიტივით წამოფრინდა" და ინატრა გუშინდელი დღე განმეორებულიყო, გაახსენდა რომ ახალი წლის მეორე დღეც — ბედობის დღედ აღიქმებოდა და როგორც წინა წლებში, გიორგისთან წელსაც უნდა მისულიყო. მოწესრიგდა, ჩურჩხელები, კანფეტები აიღო და ზუსტად ორ საათზე გიორგის ბინის კარი შეაღო. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მერაბი და ალეკო თან შეჰყვნენ. მასპინძლებს თადარიგი დაეჭირათ და სუფრა გაშლილი დახვდათ. კაკოს არ ახსოვდა თორემ წინადღით მაგიდიდან აშლისას გიორგიმ გააფრთხილა, რომ მეორე დღეს ორ საათზე სწვეოდნენ, რაც როგორც ჩანდა მერაბის და

ალეკოს ახსოვდათ. კაკოს ღვინო ადრე მოეკიდა, ბოდიში მოიხადა და შინ წავიდა. სახლში მისული გაუხდელად დივანზე წამოწვა, იმწამსვე ჩაეძინა. დილით ადრე კარგ ხასიათზე გაეღვიძა. დინჯად წამოდგა, უმუშევარ კაცს არსად ეჩქარებოდა, ალუბლის ნატურალურ წვენს ბორჯომის წყალი შეურია და თავის მიერ "საპახმელიოდ" გამოგონილი "დიდებული" სითხე, სიამოვნებით შესვა, სავარძელში ჩაჯდა და ჟურნალების თვალიერებას შეუდგა. კარებზე ზარის ხმა გაისმა, გამოაღო, საოცრება!! მის წინ, საქაღალდით ხელში, მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი იდგა.

— გამარჯობათ! შობა-ახალწელს გილოცავთ!

— გმადლობთ! ასევე გილოცავთ თქვენც... მობრძანდით! დაბრძანდით! რით გემსახუროთ?!

— მე სოციალური კვლევის ცენტრის აგენტი ვარ, ლონდა ფირალიშვილი. თქვენ და ოჯახის ყველა სრულასაკოვანი წევრი უნდა შეგაწუხოთ... რამდენიმე კითხვაზე მოგიწევთ წერილობითი პასუხის გაცემა... გამოკითხვა ანონიმურია.

— შინ მარტო მე ვარ. მეუღლე ქალაქ რუსთავშია შვილებთან და ალბათ ოც რიცხვამდე არ დაბრუნდება. მე, თუ ვაკმაყოფილებ თქვენ მოთხოვნებს, მზად ვარ გემსახუროთ.

— რა გაეწყობა. ნამდვილად აჯობებდა ორი ანკეტა შეგვევსო... მაგრამ არაუშავს... პირველი კითხვაა — რამდენი წლის ბრძანდებით?

— ორმოცდათექვსმეტის.

— სულაც არ გეტყობათ... მამასაც ისეთი აღნაგობა და ჯანმრთელობა აქვს, რომ ოცდაათი წლის გეგონებათ.

— დიდად გმადლობთ, მაგ სიტყვებით ნამდვილად გამახარეთ... თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით?

— ოცდაექვსის. ალბათ უფრო მეტის ვჩანვარ... მარტოხელობა, ბავშვი, სამსახური, ისიც ესოდენ გადატვირთული და მოუწესრი-გებელი...

— რას ბრძანებთ. პირიქით. პირველი კურსის სტუდენტი მეგონეთ.

— ასეთი ქათინაური ჩემთვის ჯერ არავის უთქვამს... დიდად მაამეთ.

— თუ ამას პირველი მე გეუბნებით, მაპატიეთ და სხვები ალბათ გულწრფელები არ არიან.

— მიყვარს დაღვინებული, გონიერი, ზრდილობიანი მამაკაცები, "ბიჭუშკებს" და მათ "ლაზღანდარობას" ვერ ვიტან... მაპატიეთ, მგონი თავს ბევრის უფლება მივეცი... ინებეთ! ეს ანკეტა. მანდ დასმულ კითხვებს გაეცით კონკრეტული პასუხი, — დიახ, ან არა. სულ ეს არის. ასაკი მე ჩავწერე, გვარი და სახელი არ იწერება, როგორც გითხარით ანონიმურია.

კაკომ შევსებული ანკეტა ლონდას მიაწოდა, მან სწრაფად გადაიკითხა. საქაღალდეში ჩადო და წასასვლელად სკამიდან ადგა.

— ასე არ გაგიშვებთ... ახალი წელია, დაილოცეთ... მომეხმარეთ მაგიდა გავაწყოთ, ერთად ვისადილოთ... რადგან ასაკით არ მწუნობთ, მოვილხინოთ, ვიცეკვოთ. კარგი ჩანაწერები მაქვს... გნებავთ, მეზობლებსაც შევეხმიანები...

ლონდა ახლოს მივიდა, აკოცა: ძალიან მომხიბლავი წინადადებაა, მაგრამ ახლა არ შემიძლია, ჩემი კოლეგა მეორე სადარბაზოშია, ალბათ უკვე ეზოში მელოდება... თუ

ჩემთან სადილობა და გართობა გსურთ და დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მეუღლე დღეს არ მოვა, საღამოს ხუთ საათზე გესტუმრებით... ვერ ვიტან სასურველი მამაკაცის გვერდით სხვა ქალის ჩემთან ერთად ყოფნას... შებორკილივითა ვარ. ვნერვიულობ, როცა მისი ყურადღება მთლიანად და შეუზღუდავად მე არ მეკუთვნის... ნახვამდის ხუთ საათამდე...

ერთმანეთს კოცნით დაშორდნენ, რითაც ყველაფერი თქვეს და შეთანხმდნენ კიდეც.

კაკომ სადარბაზოში გამავალი კარი მიხურა. უჩვეულოდ იყო აღტაცებული: ულამაზესი, ეშხიანი გოგოა. რაც მთავარია, ჩემთან მოვა, როგორც სასურველ მამაკაცთან... საყვარელთან... ნეტა ვინ არის? გარეგნულად მშვენიერია. ჩანს რომ ჭკუაც უჭრის. თუმცა რაღაც თავისებურია, უცნაურად მსჯელობს... ნეტა ქმარი თუ ჰყავდა? უზნეო არ ჩანს, მაგრამ ვინც მოეწონება თუ ყველას ასე ექცევა, მაშინ ქუჩის ქალია და მეტი არაფერი. უნებურად გაეცინა. ხუთ საათამდე საკმაო დროა. ჯობია დავიძინო და საერთოდ არაფერზე ვიფიქრო. ალბათ "აფერისტკაა", თორემ ასეთმა მიმზიდველმა ქალმა, თავისი ტოლი ვერავინ მონახა? ისე ალალად კი თქვა "ბიჭუშკებს" და მათ ლაზღანდარობას ვერ ვიტანო. შესაძლებელია ასეც იყოს, მაგრამ რამდენი "ბიჭუშკა" და "დაღვინებული" კაცი უნდა "გამოსცადოს" ქალმა, რომ ასეთი დასკვნები გააკეთოს და, რაც მთავარია, მის გაცხადებისა არ შერცხვეს უცნობ, მამისტოლ კაცთან?... მეტისმეტად სანდომიანი, მშვენიერი გოგოა, ნეტა მოვიდეს და...

საახალწლო სუფრისთვის კაკომ ყველაფერი მოამზადა. ლონდას მისვლამდე მთელი საათი კიდევ რჩებოდა. ცხელი წყალი გადაივლო. "მოიპრანჭა", სავარძელში ჩაჯდა და დროის გაყვანის მიზნით გაზეთების თვალიერებას შეუდგა.

უნებურად გაეღვიძა. სავარძლის რიკულზე ჩამომჯდარ ლონდას მისთვის ხელი ჰქონდა მოხვეული და გულში ეკვროდა.კაკომ თვალები დაუკოცნა ხელში აიყვანა და საძინებელში ლოგინზე დააწვინა. მათ მეხსიერებას არ დაუფიქსირებია, რომელმა რომელს რა და როგორ გახადა... ბოლოს დაწყნარდნენ, ერთმანეთს ჩახუტებულები და სიამით აღვსილნი, სასაუბროდ განეწყვნენ.

— ასეთი ალერსიანი რომ ხართ, იმიტომ მომწონს ასაკიანი კაცები. "ბიჭებს" მოთმინება არ ჰყოფნით, უცებ აენთებიან, მერე მოიღვენთებიან და კარგად იყავი... რა მოგივიდა? როგორ ხარ? რა გინდა? მათთვის აღარაფერს ნიშნავს. შენ სხვაგვარი ხარ, თბილი, გამგებიანი. შენთან სიამოვნებით მოვალ სადაც კი ისურვებ, შენ ჩემი ნდობა ბოლომდე დაიმსახურე.

— იქნებ მითხრა ასეთი ალერსიანი, ტკბილი და საამო, ვინა ხარ. საიდან იცი ამდენი მამაკაცებზე, რა გამოცდილება შეიძინე ამდენი, რომ ასე მსჯელობ. თუმცა მე ასეთი მომწონხარ...

— "ყველაფრის" ცოდნას მაშინ ითხოვენ, როცა არ გენდობიან, მე შენ ისევე გენდობი, როგორც შენ მე. მთელი ჩემი მცდელობა ისაა, რომ ცთუნებას ვძლიო, არ შემიყვარდე. თუ გსურს, მზად ვარ შენს მსგავსად ანკეტა შევავსო და გადმოგცე.

— რა სისულელეა! ანკეტები ვისაც სურს იმან ავსოს და იკითხოს, მე შენ მყავხარ წასაკითხი ჩემო კარგო, განუმეორებელო ქალო. აი ასე... ასე ტკბილად, ასე... და კაკო ისევ

მიუბრუნდა იმას, რაც ესოდენ ეამა და ეუცხოვა ნანასთან შედარებით. მას, მრავალჯერ წაკითხული რომანის ნაცვლად, წინ მეტად საინტერესო ნოველა ედო, რომელსაც ესოდენ "დახარბებული" კითხულობდა.

— მადლობა ღმერთს, რომ ერთ კაცს მაინც შევხვდი, რომელიც "დაკითხვებს" არ მიწყობს და სიყვარულის ფიცით გულს არ მიწყალებს. ისე კი ჩემს შესახებ რაღაც-რაღაცეებს თვითონ გეტყვი. არც ისეთი არარაობა ვარ, რომ არ გაინტერესებდე. მინდა იცოდე, რა მწყინს და რა მიხარია. რა არ მომწონს და რა მიყვარს. მყავს ცხრა წლის გოგონა — ცირა, რომელიც ამ საახალწლო არდადაგებზე ჩემს მშობლებთანაა, ორთაჭალაში ცხოვრობენ, სხვა დროს ჩემთანაა, მას მხოლოდ მე ვზრდი. ქმარს გაცილებული ვარ... საერთოდ ჩემი გათხოვება შეცდომა იყო, ქმარს ვერ ვიტანდ. საზიზღრობაა! ვიღაცას სურს გატაროს თავის ნებაზე, გიმსახუროს. როცა მოისურვებს "გაგთელოს". მაპატიე, რომ სიტყვებს არ ვარჩევ, შენ სურვილს არად აგდებს, მთავარია თვითონ დარჩეს კმაყოფილი. რეცხე ასეთი კაცის საცვლები და თეთრეული, ასუფთავე ბინა, ჩაიკეტე სამზარეულოში და მუდამ იყავი მისი მომლოდინე, თანაც ყოველთვის შემფასებელია შენი ნაკეთები საქმის, რაზედაც უმეტესწილად უკმაყოფილებას გამოხატავს და გსაყვედურობს. მითხარით, რისთვის უნდა ავიტანო ეს ყველაფერი? იმისთვის რომ დედა გავხდე? აი ბატონო! ბავშვსაც გავაჩენ და გავზრდი კიდეც, თანაც იმდენს რამდენსაც საჭიროდ ჩათვლი. მას ქმარი საერთოდ არ სჭირდება. ბავშვებმა მამა უნდა იცოდნენო. რომ არ იცოდნენ? არა ვარ წინააღმდეგი იცოდნენ. თანაც როგორიც გაეხარდებათ, ისეთი მამაშვილობა ჰქონდეთ, ამით ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ იმისთვის, რომ ჩემმაშვილებმა იცოდნენ ვინაა მამამისი, ასეთი კაცის "ყურმოჭრილი" მონა უნდა გავხდე? არა ჩემო კარგო! ეს ჩემს ბუნებაში არ ზის. მართალია ზოგჯერ სურვილი მიჩნდება მამაკაცთან ყოფნისა და გულწრფელად რომ გითხრა ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ, იმიტომ კი არა, რომ თაყვანისმცემლები მაკლია, ვერ ვახერხებ იმიტომ, რომ ჩემთვის სასურველები არ არიან. თუ არ ვცდები, გულწრფელად ვამბობ, რომ შენ ჩემი ღირსი ხარ და თუ მართლაც ასეთი გამოდგები არ მიგატოვებ, ჩაგთვლი იმის ღირსად, რომ ერთგულება გაგიწიო. ვიცი შენი "კოორდინატები", დაგიკავშირდები. იქნება ვითარება?! შევხვდებით და არცერთი არ ვინანებთ, არა და რას ვიზამთ, ბედს დავემორჩილებით, ჩემი ერთგულება ისაა, სანამ არ მიგატოვებ, სხვა კაცს ახლოს არ გავიკარებ. საერთოდ ცხოვრება და თვით ბედნიერებაც კი ხომ გაუთავებელი ლოდინი და მცდელობაა ახალ-ახალი წარმატებისა და სასურველის მიღწევისა. ხო და, მეც დაგელოდები, ვეცდები შენთან საამო შეხვედრას ჩემო სასურველო და საყვარელო კაცო. ამას ასე გავაკეთებ მანამ, სანამ ამის ინტერესი მექნება. რაც შენზე ბევრადაა დამოკიდებული. თუ გსურს, ამაღამ შენთან დარჩენის წინააღმდეგი არ ვარ, ხვალიდან კი მაშინ მოვალ და მოგძებნი, როცა მომენატრები.

— ვის არ შევხვედრივარ, მაგრამ შენნაირს არავის. ყველაფერზე თანახმა ვარ. ისე, როგორც შენ გსურს, მხოლოდ ასე, აი ასე მომეკარი, ჩამეხუტე, რომ შენი სუნთქვა ვიგრძნო...

— იცი რა? ეცადე რომ არ შეგიყვარდე. შეყვარებულ კაცს ვერ ვიტან. უმეტესი ნაწილი ასეთ დროს გამოთაყვანებულია, მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა — ამბობს შოთა. და სანამ სიყვარულის ვნება არ გაუვლის, ვინ იცის, რა სისულელეს არ ჩაიდენს. არ შეგიყვარდე თორემ თვალით ვეღარ მიხილავ და უზომოდ დაიტანჯები.

— არ გედავები. ვნახოთ რა და როგორ იქნება ხვალ და ზეგ.

ახლა დავიძინოთ. სულ ძალიან, ძალიან ჩამეხუტე... თავი მკერდზე დამადევი...

დილით კაკოს ადრე გაეღვიძა. ლოგინიდან ჩუმად ადგა. იფიქრა სანამ ლონდა გაიღვიძებდა საუზმე მოემზადებინა. ფანჯარა გააღო, დათოვლილ ეზოს გახედა. აკაციის პატარა ტოტი, რომელიც ფანჯარას ედებოდა და დილის ნიავის რხევით უცნაურ ხმაზე აკაკუნებდა, მოტეხა და ძირს გადააგდო, ფანჯარა დახურა და კარებზე ზარის ხმა გაისმა. გაუკვირდა, ასე ადრე არავის ელოდა. კარი დაუფიქრებლად, უფრო სწორად გაუაზრებლად გააღო... კარებში ნანა იდგა, ქმარს კოცნით მიესალმა, კარგ ხასიათზე იყო.

— ალბათ არ მელოდი, თანაც ასე ადრე. "ბავშვები" ქუთაისში წავიდნენ. ოთარიმ თავისიანების ნახვა მოისურვა. რიკოთის უღელტეხილზე თოვამ არ მოგვისწროსო, ჩქარობდნენ და ამიტომ ვერ შემოიარეს. აქეთობას აუცილებლად გამოგვივლიან.

— კარგად იყონ და როგორც ენებოთ ისე გააკეთონ...

— მოხდა რამე ასე ადრე რომ ამდგარხარ?

— არაფერი... უბრალოდ არ დამეძინა, ვიფიქრე გაზეთებს გადავიკითხავდი, მაგრამ სავარძელში ჩამძინებია, ჩვეულებრივ ხომ ასე მემართება ხოლმე.

— რაღაც-რაღაცეები გამომატანეს, მომეხმარე ჩანთებიდან ამოვალაგოთ. ორ კილოგრამამდე გასუფთავებული და გარეცხილი ხრამულაცაა. იქნებ მოხარშო კიდეც.

— წყალი ალუმინის ქვაბით გაზქურაზე დადგი. ადუღდეს, მარილს მე მივცემ... ახლავე შემოვალ, საძინებელში ცხვირსახოცი დამრჩა სარკესთან...

— ერთი წუთით არაფერი გიჭირს უცხვირსახოცოდ. რადგან შენ უნდა მოხარშო ხელს ნუღარ გამათევზიანებინებ. ჩანთიდან თვითონ ამოიღე, ცელოფნის "პარკითაა", მაგრამ თავისებური სუნი მაინც აქვს.

კაკოს ამჯერად არ გაუმართლდა, ლონდას გაღვიძება ვერ შეძლო, მაგრამ რას იზამდა, ბედს დამორჩილდა. სამზარეულოში მოფუსფუსე ნანასთან მივიდა და ჩანთიდან თევზიანი "პარკი" ამოიღო. წარმოდგენაც კი უჭირდა, თუ რა მოხდებოდა საძინებელში ნანა რომ შესულიყო და თავის ლოგინში მძინარე შიშველი ქალი ენახა. ცივ ოფლში იწურებოდა, როგორმე უნდა მოეხერხებინა, რომ ლონდა გაეღვიძებინა, ეთქვა რაც მოხდა და იქაურობას სასწრაფოდ, უჩუმრად გასცლოდა. მაგრამ ის ამას ვერ ახერხებდა, ნანა გვერდიდან არ იცილებდა. ხოლო თვითონ კი ალბათ ხელს გადაიბანდა და ბუნებრივია საძინებელში შევიდოდა, გაოგნებული კაკო თევზიან პარკს უაზროდ დასჩერებოდა და ნატრობდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო. ბოლოს გადაწყვიტა დალოდებოდა თუ რა მოხდებოდა, ან კი მეტი რა უნდა ექნა, როგორც

იტყვიან თავს ზემოთ ძალა არ იყო. როცა გამოსავალს ვეღარ ხედავს, ადამიანი ყველაფერს ეგუება, ასე გასინჯეთ თვითმკვლელობასაც კი, ვინაიდან მდგომარეობიდან ესეც ერთგვარი გამოსავალია.

ნანამ ხელები პირსახოცით გაიმშრალა და საძინებელში შევიდა. კაკოს სუნთქვა შეეკრა, გულისფანცქალით ელოდა, თუ რა მოხდებოდა. მაგრამ საოცრება — საძინებლიდან ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა.

— კაკო!

— რაა ნანა?!

— ერთი წუთით მოდი!

კაკოს გააცივა. საძინებელში უხმოდ შევიდა და... ლოგინები გასწორებული და გადაფარებული იყო. გაურკვევლობისაგან გამოშტერდა. იქ ნანას მეტი არავინ ჩანდა.

— როცა ლოგინების გასწორება მოგიწევს ბალიშები გადასაფარებელზე ზევიდან დადევი და ეს მოქარგული პატარა გადასაფარებლები გადააფარე. ახლა ასე დარჩეს, როგორც გაგისწორებია, მომავალში კი ასე გააკეთე, უფრო ლამაზად გამოიყურება.

— არასოდეს დავკვირვებივარ როგორ იყო გასწორებული. ასე უფრო მეიოლა. საერთოდ კი იცი რას გეტყვი? სახლში გაჩერდი და ლოგინებიც და ბალიშებიც თვითონ ასწორე და ალაგე, ვისაც ვენატრებით მოვა და გვნახავს, რაღა დროს ჩვენი აქეთ-იქით სიარულია. ამოიდგა ენა კაკომ, რომელიც ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა. რაღაც კი გაიაზრა, მაგრამ ახლა რაიმეს გადამოწმება გამორიცხული იყო. დაელოდა, რომ საძინებელ ოთახში ნანას გარეშე ყოფნის საშუალება მისცემოდა. ისევ სამზარეულოში დაბრუნდნენ და ჩვეულებრივი ფუსფუსი განაგრძეს. მართალია კაკო არაფერს იმჩნევდა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, რომ დაწოლამდე საძინებელი კარგად გადაემოწმებინა, ლოგინების გასწორების არ იყოს, ეჭვობდა რომ იქ ყველაფერი რიგზე არ იქნებოდა, რაღაც განსხვავებულად გაკეთებული კიდევ აღმოჩნდებოდა. მოხარშული თევზი "ხახალზე" ამოალაგა, ხელები გადაიბანა და სასტუმრო ოთახში სავარძელში ჩაჯდა, დროის გაყვანის მიზნით ჟურნალების უაზროდ თვალიერებას შეუდგა, მოუთმენლად ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რომ ყველაფრის დინჯად დათვალიერების საშუალება მიეცემოდა, მისთვის მოულოდნელად ნანამ პალტო მოიხურა და მაღაზიაში პურისა და შაქრის ამოსატანად წავიდა. თევზს თონის პური უხდება, ჩქარა დავბრუნდები და ერთად ვისაუზმოთო, უთხრა გასვლისას კაკოს...

ნანას კარებში გასვლა იყო და კაკო საძინებელში შევიდა, როგორც ვარაუდობდა ბალკონზე გასასვლელი კარი გასაღებით არ იყო ჩაკეტილი. საბნები გადაწია, ლეიბებზე ზეწრები აღარ ეფარა. ბალკონზე გაბმული სარეცხი იყო. ბალკონის რიკულზე იყო გამობმული და ისევე იყო მიტოვებული. თოკი სასწრაფოდ ამოწია და ისევ ისე გააბა, როგორც იყო. ყველაფერი კარგად მოათვალიერა, თვალშისაცემი ვერაფერი აღმოაჩინა, რითაც ერთგვარად შინაგანად კმაყოფილი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, სავარძელში მოკალათდა და ნანას მოლოდინში გაზეთების კითხვას მიჰყო ხელი. თუმცა გულში ფიქრი არ ასვენებდა: რა ეღონა, "შიშველი" ლეიბები რით გაემართლებინა. ლონდას "მოხერხებით" კი ნამდვილად გაოცებული იყო.

— ყოჩაღ ლონდა! ის, რაც ქალს შეუძლია მოიფიქროს და მოიმოქმედოს. საერთოდ კი ვინაა ქალი ამას კაცი ალბათ ვერასოდეს ჩასწვდება, მაგარი ვინმეა ღმერთმა გაუმარჯოს...

ნანა მართლაც ჩქარა დაბრუნდა. საუზმე სამზარეულოს მაგიდაზე გააწყო: მოხარშული ხრამული, მოუხდელი იმერული ყველი, მჟავე წითელ-წითელი პომიდორები, მწვანილი, ადესის ღვინო. ერთობ ეამათ და ეგემრიელათ.

— თითქმის მთელი ღამე ისე გავიდა, თვალი არ მომიხუჭავს: წასვლის სამზადისი, ხუთ საათზე უკვე მანქანაში ვიჯექით. მაპატიე! ცოტა ხანი ტახტზე მივწვები, ვინმეს შემოსვლამდე იქნებ თვალი მოვატყუო.

— ისე იქცევი ვითომ სხვის სახლში იყო. რუსთავში ერთი დღით ყოფნამ ასე როგორ დაგამორცხვა და გაგაუცხოვა. თქვა ნახევრად ხუმრობით კაკომ.

— კარგი, კარგი, რაც გინდა ის თქვი და იფიქრე, უკვე თვალები მეხუჭება, ვიძინებ...

ტელეფონმა დარეკა, კაკო "კორიდორში", სადაც აპარატი ედგათ სწრაფად გავიდა, ყურმილი აიღო... გაიხარა, ლონდა რეკავდა. რაღაც ერთი წუთი ისაუბრეს. შემდგომ კი ერთგვარი კმაყოფილი გამომეტყველებით ისევ თავის სავარძელს და ჟურნალ-გაზეთებს დაუბრუნდა, ნანას გაღვიძებას დაელოდა. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ სავარძელში ჩაძინებული კაკო ნანამ გააღვიძა.

— ასე გაცივდები, თუ გეძინება ტახტზე წამოწექი, საბანს დაგაფარებ...

— არა! არ მეძინება. გაზეთების კითხვაში ჩვეულებრივ ჩამთვლიმა... სადილზე ჩვენი მეზობლები გიორგი და ლილი მინდა დავპატიჟო, "ცოცხალზე" გიჟდებიან. ჰო! სულ დამავიწყდა მეთქვა, გუშინ ზეწრები გავატანე გასარეცხად, ლუნაჩარსკის ქუჩის სამრეცხაოში მათსავე შემგროვებელს, აქ ეზოში იყო შემოსული "ურიკით". ალბათ საღამოს მოგვიტანენ.

— რა "ურიკა", რა საზიდარი? გასარეცხი შენთვის არაფერი დამიტოვებია, ან იმათი გარეცხილი თეთრეული საერთოდ რად მინდა.

— იცი რა ნანა? შენ რომ წახვედი, იმავე დღეს მეზობლებმა გიორგისთან ვიქეიფეთ. როგორც ყოველთვის თამადა ვიყავი და ცოტა მეტი მომივიდა. სახლში რომ შემოვედი მახსოვს... გუშინ დილით რომ გავიღვიძე ლოგინზე გაუხდელად გარდიგარდმო ვიწექი, რატომღაც საბნები ამეღო და დივანზე იყო მიყრილი. თავი ავწიე თუ არა, მაშინვე კუჭის წვენი ამომაღებინა და ზეწარი დავსვარე. შენ მთელი კვირა არ მოგელოდი. რა მექნა, სასწრაფოდ შევახვიე და გადავწყვიტე რომელიმე სამრეცხაოში წამეღო, ასეც გავაკეთე. მაგრამ ეზოში რომ გავედი, ლუნაჩარსკის ქუჩაზე მდებარე სამრეცხაოს წარმომადგენელი ქალი იდგა ხელის საზიდრით და იმას გავატანე. სამი მანეთი გადავუხადე, მისამართი ჩაიწერა, თვითონ მოგვიტანენ, სამ მანეთში მოტანის ქირაც შედის.

— შენი ხნის კაცის ასე უგონოდ დათრობა შეიძლება? თანაც მაინცდამაინც მაშინ, როცა მარტო ხარ. კუჭის წვენი ფილტვებში რომ გადაგცდეს, თუ გგონია რომ გადარჩები, ხველებით გაიგუდები... მე იმათ გარეცხილ ზეწარზე არ დავწვები, შეგიძლია მათვე აჩუქო. გაეხარდებათ. თეთრეულის მეტი რა მაქვს... ვინ იცის მათთან როგორი თეთრეული არ მიაქვთ გასარეცხად. შეიძლება ისეთი ავადმყოფობა "აიკიდო," რომ მტრისას... ახლავე მიაკითხე და გააფრთხილე, რომ აქ არ მოიტანონ.

— ნამდვილად სასაცილო ხარ, ჯერ ის რომ მათთან სარეცხს თერმული დამუშავება უტარდება, ირეცხება და უთოვდება გაცილებით უკეთ, ვინემ ოჯახურ პირობებში. მეორეც ის რომ...

— გაჩუმდი! რაც არ უნდა მითხრა და ამტკიცო, მე მათ გარეცხილ სარეცხს სახლში არ შემოვიტან, თუ დროზე არ მიაკითხავ და აქ მოიტანენ, იცოდე უკმეხად მოვიქცევი: აუცილებლად უკან გავატან და თუ არ წაიღებენ, მათ თვალწინ, ეზოში, სანაგვე ყუთში ჩავყრი.

— კარგი, კარგი! ყველაფერს მოვაგვარებ. ოღონდაც შენ დაწყნარდი და ნუ ნერვიულობ...

— ახლავე წადი, თორემ მერე, შენ იქ წამსვლელი აღარ ხარ... სანამ შენ და გიორგი იპურმარილებთ და თქვენებურ ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს მოათავებთ, იმ "თერმულად დამუშავებულ " სარეცხს სახლში მოგვიტანენ.

ლონდას "პროგრამაში" კაკოს სამრეცხაოში მისვლა არ იყო გათვალისწინებული, თუმცა, — ფიქრობდა კაკო — არც ამით დაშავდება არაფერი. როგორც იქნა ჩაცმა დაიწყო, "დრო გაყავდა". ეტყობოდა, რომ ერჩია გარეცხილი ზეწრები შინ მოეტანათ. როდის-როდის ჩაცმა მოათავა და წასასვლელად კარები გამოაღო... ცელოფნის ჩანთით ხელში კიბეზე ლონდა ამოდიოდა.

— ოო! გამარჯობათ ქალბატონო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. თქვენთან მოვდიოდი და მოსვლა მოასწარით. ერთად გილოცავთ ახალ წელს და ჩემზე გამარჯვებას!

ხმაურზე ნანაც გამოვიდა. რომ დაინახა ახალგაზრდა ქალი ცელოფნის "პარკით" ხელში, მიხვდა ვინც უნდა ყოფილიყო. გაჩერდა და დაელოდა თუ კაკო რას იტყოდა და მოიმოქმედებდა.

— ბოდიშის მოხდით მინდა გაუწყოთ, რომ ჩემს მეუღლეს, — ნანას (ნანასკენ მოიხედა) ეგ ზეწრები აღარ სჭირდება, თუ არ იუკადრისებთ თქვენ გჩუქნით...

— ნება თქვენია, თუ ქალბატონს ასე სურს, რა გაეწყობა. უკან წავიღებ... მომსახურებისათვის სამ მანეთს ახლავე დაგიბრუნებთ. ლონდამ სამ მანეთიანი კაკოს მიაწოდა. გამოეთხოვა და წავიდა.

— ხომ მოისვენე! რა მოხდებოდა ზეწრები რომ დაგვეტოვებინა. მერე თუნდაც გადაგეგდო და ასეთ უხერხულებაში არ ჩაგეყენებინე. ვერ შეხედე?! როგორი სუფთა და ზრდილობიანი ქალი იყო, ბოლოს და ბოლოს რა ჭირი უნდა ჰქონოდა ასეთი მოუნელებელი.

— იცი რა კაკო? გულწრფელად ვნანობ, თუ გიყვარვარ დაეწიე, ჯერ რუსთაველზეც არ იქნება გასული. ბოდიში მოუხადე, ეგ ფული დაუბრუნე და ზეწრები გამოართვი... თუ დაგეთანხმოს სადილზე მოიპატიჟე, გავიცნობ... სარეცხს რომ ვაკლავ თავს, არ ჯობია კაპიკები გადავიხადო და გატკიცინებული თავისი ხელით მომიტანონ სახლში?!

— ღირსი კი არა ხარ ჩემგან თანადგომისა, მაგრამ...

კაკო სწრაფად გაეშურა იმ მიმართულებით საითაც ლონდა წავიდა. საქმის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა, ფრთებშეხსმული იყო. ნელა მიმავლ ლონდას ოპერის თეატრის სკვერთან დაეწია. იქ თავისუფალ მერხზე დასხდნენ და ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა. თავგადასავლების მოყვარულმა ლონდამ გაიხარა, სიამოვნებით

მიიღო ნანას “მიპატიჟება” და კაკოს დაჰპირდა, რომ ხუთ საათზე მათთან იქნებოდა. გამოთხოვებისას კაკოს მოეხვია და აკოცა. გახარებული იყო და ამის დამალვას არც ცდილობდა.

შინ მიბრუნებულმა კაკომ ნანას ის მოუყვა, რაც საჭიროდ მიიჩნია ეთქვა. მხოლოდ ერთი ხაზგასმით დაუმატა, — კარგია, რომ სადილზე გიორგიც ჩვენთან იქნება...

— როგორიც შესახედავადაა, თუ შინაგანადაც ისეთია, ნამდვილად დავიახლოვებ. რა ბედნიერებაა! არა კაკო?! მოვისვენებ “დიდი” სარეცხის პრობლემა რომ მომეხსნება, თუ დაგვეთანხმა ახალი წლის წინ ბინასაც მაგას დავასუფთავებინებ. თუმცა დღეს ამის თქმა ალბათ უხერხული იქნება... — ვნახოთ! გავიცნოთ ვინ არის და მერე ვილაპარაკოთ. ღმერთმა ქნას ჩვენ რომ გვინდა ისეთი აღმოჩნდეს.

ნანა ეცადა კარგი მაგიდა ჰქონოდა და ასეც გააკეთა. როცა კაკომ სამზარეულოში ღვინიანი დოქი შეიტანა და გამზადებულ კერძებს გადახედა. კმაყოფილმა ნანას უთხრა:

— ყოჩაღ ნანოჩკა! დიდებული ქალი ხარ. მერაბის და ალეკოსაც მოვიპატიჟებ, გაიხარებენ, კარგა ხანია ჩვენთან აღარ ყოფილან.

— თქვენ ინებეთ და პურმარილი იმდენი მაქვს გაკეთებული გნებავთ ოც კაცს გაქეიფებთ.

— ხუთ საათზე ყველა, ვინც მოპატიჟებული ჰყავდათ, უკვე მათთან იყო, გარდა ლონდა ფირალიშვილისა. ალეკომ, ეტყობა შიოდა, მასპინძლებს კატეგორიულად განუცხადა:

— ვიღას ველოდებით? მგონი ყველა აქ ვართ...

— ერთი მშვენიერი ქალბატონის გამოკლებით. და აი ისიც... იცნობდეთ, ჩვენი ოჯახის ახლობელი ლონდა ფირალიშვილი.

ყველასათვის მოულოდნელად მერაბის მეუღლე ქალბატონი ლილი ლონდას გადაეხვია, გადაკოცნა და იქ მყოფთ აღტაცებულმა წარუდგინა:

— ორჯონიკიძის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ქიმწმენდისა და სამრეცხაო ცეხის გამგე, საზოგადოებრივი აზრის კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ქიმიის მასწავლებელი, თავგადასავლების დიდი მოყვარული, მეტად ტკბილი და საამო მომღერალი, ჩემი მეგობარი ლონდა ბონდოს ასული ფირალიშვილი.

მაგიდას მიუსხდნენ, თამადობა გიორგის მიულოცეს და პურობას შეუდგნენ. ლამაზი სადღეგრძელოები შესვეს. მამა-პაპურად მოილხინეს. ლონდამ, ნანამ და ლილიმ მამაკაცები, რომ იტყვიან “წაქცევამდე” აცეკვეს, ნანა ისე მოიხიბლა ლონდათი, რომ კაკოს წასჩურჩულა:

— ლონდას არაფერი უთხრა ბინის დასუფთავებისა და სარეცხის შესახებ, ეგ ისეთი საქმიანი და საყვარელი ქალი ყოფილა, ვინმე ჩვენიანს გავურიგოთ და დავინათესავოთ.

მაგიდიდან გვიან ღამით დაიშალნენ. ნანამ ლონდას სთხოვა მათთან დარჩენილიყო. იუარა, — დედა და ცირა ალბათ ჩემთან სახლში იქნებიან და აუცილებლად უნდა მივიდე, ხვალ დილით ბორჯომში მიდიან. არდადეგებზე იქ დარჩებიან. უჩემოდ ვერ წავლენ, მატარებელი კი დილის რვა საათზე გადის.

ლონდა ნინოშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. კათოლიკური ეკლესიის გვერდით. მერაბი და ალეკო სოლოლაკში ცხოვრობდნენ, რის გამოც ერთმანეთთან დამგზავრება გამორიცხული იყო. ამიტომ ნანამ კაკოს უთხრა, რომ ლონდა მარტო არ გაეშვა, სახლში გაეცილებინა. თვითონ ლონდამ სთხოვა, რომ არ "შეწუხებულიყვნენ", — სულ მარტო არ დავდივარ?! ჩემს ქალაქში ვარ. სადმე გადაკარგულში ხომ არაო, მაგრამ რადგან არ "მოეშვნენ" დათანხმდა. ტროლეიბუსიდან პლეხანოვზე მარჯანიშვილის მოედანზე ჩამოვიდნენ და გზას ფეხით გაუყვნენ. ყველაფრით, განსაკუთრებით კი ამ "გაცილებით" დიდად კმაყოფილები იყვნენ. მკლავგაყრილები ნელა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ "მიკრულები" მიდიოდნენ.

— სულ ძალიან, ძალიან მინდა მომეფერო, მე კი გულში ჩაგეხუტო, მაგრამ ეს ბედნიერება დღეს ნამდვილად არ გვიწერია აკაკი ვლადიმეროვიჩ!

— ვნახოთ! წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ... დილით ისე სასოწარკვეთილი ვიყავი, რომ რაც მოხდა, ამას ნამდვილად ვერ მოვიფიქრებდი. საოცარია, როგორ მოახერხე ასე "უჩინმაჩინივით" გასვლა?.. ბევრ რამეს ვხვდები, მაგრამ მაინც მინდა შენგან მოვისმინო რა და როგორ მოხდა, ოპერის სკვერში ყველაფრის კითხვა ვერ მოვასწარი.

— კარებზე რომ ზარი დარეკეს ძილმღვიძრად ვიყავი, მაგრამ რაღაც ქვეშეცნეულად ვიგრძენი, რომ ვიღაც თქვენი ახლობელი უნდა ყოფილიყო. სასწრაფოდ ჩავიცვი, გელოდი საძინებელში შემოხვიდოდი, მაგრამ ასე არ გააკეთე და პირდაპირ კარისკენ წახვედი. მივხვდი, იფიქრე ვინმე უცხო იქნებოდა და უკან მალე გაისტუმრებდი, რაც შენ შეცდომად ჩავთვალე. ყველაფერი სწრაფად ავწონ-დავწონე, მთავარი იყო იქაურობას უჩუმრად გავცლოდი, დანარჩენს კი შენ თვითონ მოაგვარებდი. ზეწრები ავიღე, ლოგინები გავასწორე, ბალკონზე გამოვედი. სარეცხის თოკი და ზეწრები ერთმანეთზე გადავაბი. თავის ბოლო მოაჯირზე გამოვაბი და ეზოში ჩავეშვი. ზეწრები თოკიდან გადავხსენი, გავაცალკევე, ცელოფანის "პარკში" ჩავაწყვე, თოკი ჩამობმული დავტოვე. მისი მოხსნა დაბლიდან შეუძლებელი იყო და იქაურობას ფრთხილად გავეცალე. ძალიან ადრე იყო, მაგ დროს თითქმის ყველას სძინავს და მგონი არავის შევუმჩნევივარ. დანარჩენი შენთვის ყველაფერი ცნობილია... გულახდილად გეტყვი: — ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, ასეთ ფონზე ჩემთვის ბევრად უფრო ტკბილი და საამოა, ის თავისთავად მართლაც უტკბილესი წუთები, რომელიც ერთად გავატარეთ. ნებისმიერი ფათერაკი ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი წუთია, თავისთავად დიდებულია ჩემო კარგო! რომ თქვენი ოჯახის "ახლობელი" და "სასურველი" პიროვნება გავხდი, მაგრამ თუ ჩემი და შენი შეხვედრები მოულოდნელობებითა და რაღაც "ცოცხალი" ურთიერთობებით არ იქნება დატვირთული ალბათ მომწყინდება და ამ "თამაშიდან" გავალ. მდარე დამოკიდებულებები, როცა აღარაფერი გაშფოთებს და გაფიქრებს, ე.ი. დაწექი მშვიდად რომელ გვერდზეც მოგესურვება, იგორავე რამდენიც გინდა, დაიღლები?... დაისვენე. დაიძინე. გაიღვიძე როცა ინებებ და ა.შ. ასეთ მდორე, წყნარი "გუბის" ცხოვრებას ჩემი ბუნება ვერ ეგუება. ბრძოლით, განსაცდელით, გონების დაძაბვით, რომ მოიწევ და მოიპოვებ, ისაა ჩემთვის უტკბილესი და მოუწყინარი,

ამაღლებული და მშვენიერი. ჩემთვის მომხიბვლელი და არმოსაწყენი კაცი ისაა, ვისაც ფათერაკები უყვარს, ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში პოულობს სწორ გზას და აღწევს სასურველ შედეგს. აი ახლა ვფიქრობ, რა და როგორ გავაკეთო, რომ ჩემი დღევანდელი გულისწადილი შენთან განმარტოებისა ავისრულო და აშკარად ვგრძნობ, რომ ამას ვერ ვახერხებ, შემართება და ჭკუა არ მყოფნის, რომ საწადელს მივაღწიო, ე.ი. ვინ ვარ მე? უმწეო და საწყალი. მგონი გლახაკიც.

— ნამდვილად მაოცებ... შენნაირი ხასიათის არც მსმენია და არც მინახავს. რა დავარქვა არ ვიცი: სიგიჟე?არა. სიცელქე? არა. გონიერება?... კაცმა არ იცის რა. ერთი სიტყვით რომ გითხრა, ტკბილი, საამო და მეტად მიმზიდველი ხარ, როგორც საყვარელი, დიდად სასურველი, მეტად ორიგინალური "სხვა" ქალი, მაგრამ, გეთანხმები ძალიან არასასურველი როგორც ცოლი, მამაკაცთა უმეტესობისათვის მგონი საერთოდ მიუღებელი და აუტანელიც კი, ისეთი, როგორიც ქმარია შენთვის.

— სწორია, ერთადერთი ხარ, ვინც ზუსტად მეუბნები ვინცა ვარ და ვინც მინდა ვიყო. გულწრფელად გეტყვი: "შინაგანაწესისა და ხელშეკრულების" პუნქტების მკაცრი დაცვით, ვინმესთან ცხოვრება ჩემი საქმე არაა.

— რატომ "ხელშეკრულების", ხომ შეიძლება ერთმანეთს პატივისცემითა და ურთიერთანგარიშის გაწევით, რა თქმა უნდა, საკუთარი მისწრაფებებისა და ინტერესების შესატყვისი შემოქმედებითი შრომით იცხოვრო, შვილებთან და ქმართან ერთად იყო. ამ სიამოვნებისთვის, რასაც ოჯახური იდილია ჰქვია, ზოგიერთი შენი "ველური" ანარქიული პრინციპი დათმო.

— არა! ეს ჩემგან შეუძლებელია. ერთადერთი, რისთვისაც თავი შეიძლება შევიზღუდო, ეს შვილების გაჩენა და აღზრდაა. მე მათ იმდენს გავაჩენ და აღვზრდი, რამდენის აღზრდასაც შევძლებ და გავაჩენ მისგან, ვისთანაც ამის სურვილი მექნება. არავითარი ძალადობა და ვინმეზე შენი სურვილების თავზე მოხვევა. მთავარია იყო მომხიბვლელი, ზრდილი, ემოციური და წიგნიერი, კარგად ფლობდე სულ მცირე ხუთ ენას მაინც. უნდა ცხოვრობდე, უფრო სწორად იცხოვრო ისეთი ცხოვრების წესით, რომ მოსაწყენად ვერ მოიცალო. იცით რა აკაკი ვლადიმეროვიჩ? მინდა ზოგი რამ შეგეკითხოთ... პასუხს არ გთხოვთ. არის თუ არა შენთვის სასურველი, ტკბილი და მისაღები შენი "ოჯახური იდილიიდან" გამოქცევა და ჩემთან მოსვლა?... რომ კაცს, რომელსაც მჯერა, რომ ტყუილი, მით უმეტეს ცოლისათვის, არასოდეს უთქვამს, ისე გაუჭირდა "გუბის ცხოვრების" უზრუნველყოფილ პირობებში ყოფნა, იძულებულია ამ "კეთილდღეობიდან" გაქცევისათვის იცრუოს და, რაც მთავარია, ეს ნაცვლად იმისა, რომ აწუხებდეს, ახარებს კიდეც და თანახმაა ასე გააგრძელოს უსასრულოდ. რატომ?... რისთვის "იტანჯავ" ტყუილების გამოგონებით თავს უწესიერესი კაცი, თავმოყვარე ვაჟკაცი კაკო ფაღავა? მგონი გასაგებად ვთქვი ჩემი სათქმელი არა?!.. ჩემო კარგო!

— დედა გიწონებს ასეთი წესით ცხოვრებას? რამდენადაც შენგან უკვე ვიცი ის შენი მესაიდუმლე და მეგობარია.

— დედამ უმამოდ გამზარდა. ჩვენს სახლში "მბრძანებელი" მამაკაცი არასოდეს ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ დედას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა და არც

ახლა განიცდის მარტოობას. მეგობრებს არასოდეს მიუტოვებიათ ჩვენი ოჯახი... ჩვენი სახლი ყველა ჩვენი ახლობლისათვის უსაყვარლესი შეხვედრის და შეკრების ადგილია და იცი რატომ? იქ არავინ არავისზე არ მბრძანებლობს და არ "ჭორაობს". მათ შორის პირველს ყოვლთვის და დღესაც მხოლოდ პირადი ღირსებები განაპირობებს. მე ჩვენს წრეში არავის ვძულვარ, მით უმეტეს დედას, სიყვარული ადამიანისა გამორიცხულია, თუ მისი ცხოვრების წესი არ მოგწონს... აი მოვედით კიდეც... ნახვამდის! მაკოცე!.. თავს არ მოგაბეზრებ, მაგრამ არც დაღონების მიზეზს მოგცემ. ჯერჯერობით ჩემი ყურადღების ღირსი ნამდვილად ხარ. გპირდები, რომ ნანასთან ჩემი "გონიერი თამაშის" მოწმე იქნები და საკმაოდ გაერთობი კიდეც. რაც შეეხება ჩვენს ასაკს, ჩვენ უკვე თანატოლები გავხდით. მაგრად მომეხვიე... აი ასე... განუმეორებელი ხარ, წავედი, გმადლობ დღევანდელი შესანიშნავი დღისთვის "შეხვედრამდე".

შინ მიბრუნებული კაკო მეტისმეტად გახარებული და ემოციურად დატვირთული იყო. ნელთბილი წყალი გადაივლო და ნანას გვერდით მიუწვა. ნანა დიდი სექსუალურობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ საღამოთი ისეთი კმაყოფილი იყო, რომ კაკოსკენ მიიწია, თავი მკლავზე დაადო და თბილი ქალური ხმით უთხრა:

— ლონდა ძალიან მომეწონა, ნამდვილად არ ველოდი თუ ასეთი დიდებული ქალი იყო... როგორი განათლებული, კულტურული და საქმიანია. როგორ უკრავს და მღერის, ესტრადის ნამდვილი მსახიობია, მაგას ჩვენთან ყოველთვის დიდი სიამოვ-ნებით დავპატიჟებ. ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩავიწერე, ჩვენიც ჩავაწერინე.

— იცი რა ჩემო ლამაზო?! მე ლონდა მინდა — არ ვიცი, ჩემთვის ლონდაც ხარ და მზეთუნახავიც... შენისთანა არავინაა... გესმის... არავ...

— კარგი რა კაკო! რაღა დროს ჩვენი ასეთი... თუ ხათრი გაქვს გაჩერდი... რამ გადაგრია... კარგი რა... კარ...

ლონდათი აღგზნებული კაკო, ნანას ისე ლაზათიანად მოეფერა, რომ თავიდან მიუხედავად "დიდი უარისა" ისიც სიამოვნებისაგან გაითანგა. ორივენი საოცრად დაითაფლნენ, დაწყნარდნენ და განვლილი დღით დიდად კმაყოფილებს ტკბილად ჩაეძინათ.

დილით ნანა უჩვეულოდ მსუბუქად წამოდგა. კაკოს ისევ ეძინა. საუზმე მოამზადა და მეუღლის გაღვიძების მოლოდინში ფიქრებში ჩაიძირა.

— ღმერთო გაახარე ლონდა ფირალიშვილი გუშინდელი მშვენიერი საღამოსათვის. მე კაი, მაგრამ კაკომაც როგორ გაიხარა?! ასეთ მოფერებას და... ამ სიბერეში ნამდვილად არ ველოდი, ყველაფერი თითქოს მივიწყებული გვქონდა. აი, რას ნიშნავს კარგ ხალხთან ურთიერთობა. ლონდა ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენაა, შენაძენია. ეგ მე და კაკოს შვილივით ახლოს გვეყოლება. მაგრამ ასეთი კარგი, თანაც ასეთი ახალგაზრდა კაკოს რომ... მერე რა, თუ გინდ ასეც მოხდეს, ის მაინც მეცოდინება, რომ კაკო ვიღაც "ოხერ" ქალთან არ იქნება ნამყოფი. უჰ! ღმერთო კი მომკალი, ამას რა სისულელებს ვფიქრობ, რა ჯანდაბა მემართება. ხომ გადავირევი ის რომ გავიგო, რომ კაკო და ლონდა... არაა! ღმერთმა თავის გზაზე გაუმარჯოს, როცა საჭიროდ ჩავთვლი მხოლოდ მაშინ მოვიწვევ. მეტისმეტი გაშინაურება სულაც არ არის საჭირო. მგონი კაკომ გაიღვიძა... ჰო. ასეა, ჯობია მაგიდა გავაწყო. ისე კი ცოდვაა, საშინელებაა სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ქალი. ღმერთო ყველას უშველე და შეეწიე, ყველას და მათ შორის

ლონდასაც, მაგრამ არა ჩემს ხარჯზე, ჩემგან წართმეულის შედეგად, ისე როგორც შენგან დადგენილი წესია და რიგი.

* * *

ნაკლებ სავარაუდოა ვინმეს აინტერესებდეს თუ სად და როგორ ხვდებოდნენ ერთმანეთს ლონდა და კაკო. ის კი უნდა ითქვას, რომ მათი ურთიერთობა ნამდვილად იყო ინტიმური, დამალული ყოველთა თვალთაგან და რაც მთავარია სიცოცხლის ბოლო დღემდე ერთმანეთის ინტერესი, ერთმანეთისადმი ლტოლვა არ განელებიათ. ერთმანეთის პატივისცემა არ დაუკარგავთ, არ მოუტყუებიათ და არ მიუტოვებიათ, ტკბებოდნენ ერთმანეთის ბედნიერებით. მიპასუხეთ თუ ღმერთი გწამთ: სხვა რა არის სიყვარული, ასე რომ აშინებდა და არ ეწადა ლონდას ახალგაზრდობაში?

1985 წელი

მარტოდ-მარტო ახლობრლთა შორის
(ნამდვილი ამბავი)

წყაროსთან, კაკლის ხის ჩრდილში მსხდომ ქალებს, რომლებიც რანაირ ჭორებს აღარ უყვებოდნენ ერთმანეთს, ზედაუბნიდან მომავალმა ელიბო გლუნჩაძემ აუწყათ: თაფლო ძალო გარადაიცვალაო.

ვინ? თაფლო?! დეიდა თაფლო?! თაფლო ბიცოლა?! ალაპარაკდა დიდ-პატარა. მაინც ვინ იყო ეს თაფლო, რატომ იყო ესოდენ გულდასაწყვეტი და საწუხარი სოფლისათვის?

თაფლო ძალო! როგორც მას სოფელ ვარდისველის მოსახლეობის უმრავლესობა ეძახდა, მართლაც უკეთილშობილესი ქალბატონი გახლდათ. “კაფიების დიდოსტატამა” თანასოფლელმა არჩილა ბედუკიძემ შემთხვევით როდი მიუძღვნა “უკვდავი” სტრიქონები: “გაგიჭირდეს შვილოსაო, მიაკითხე თაფლოსაო”.

თაფლო პროფესიით აგრონომი იყო და პენსიაში გასვლამდე სოფელში სპეციალობით მუშაობდა. მისი ხელი ნამდვილად რომ ეტყობოდა ვარდისველის კოლმეურნეობის ნათესებსა და ბაღ-ვენახებს, ხოლო მის ეზოში, რომელიც ბაღნარად ჰქონდა გადაქცეული, ათასგვარი ყვავილი, თუ სამკურნალო მცენარე, ადრეგაზაფხულიდან გვიანშემოდგომამდე ყვაოდა. თვითნასწავლი “ფარმაკოლოგი” ზედმიწევნით კარგად ფლობდა სამკურნალო მცენარეებს და მათი მოპოვება-დამუშავების ტექნოლოგიებს. შვილებიც თავის კვალზე “შეაყენა”: შალვამ უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის, უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის

ხელმძღვანელობით ბიოლოგიის კათედრაზე ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. ლენა და მაია ექიმები გახდნენ, მშობლიურ მხარეს დაუბრუნდნენ, დაოჯახდნენ. მაია ოჯახით რაიონის ცენტრში ცხოვრობდა. ლენა თავისი სოფლის — ვარდისველის, სასოფლო ამბულატორიის გამგე იყო და ოჯახთან ერთად მშობლების კარის მეზობლად ცხოვრობდა.

თაფლო სამკურნალო მცენარეების გამოცნობას და დამუშავება-გამოყენებას ასწავლიდა ნებისმიერს, ვინც კი ამის სურვილს ამჟღავნებდა. საქვეყნოდ იყო განთქმული მისი ე.წ. "დამწვრობის მალამო", რომლის დამზადება საკმაოდ ძვირი უჯდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას დიდი რუდუნებით ამზადებდა და უსასყიდლოდ აძლევდა "პაციენტებს". ამ მალამოს მოსამზადებლად ხმარობდა თავისსავე გამოხდილ ნიგვზის, ან ქაცვის ზეთს, სანთელს და რომელიღაც ანტიბიოტიკს, რომელსაც არ ასახელებდა. მხოლოდ და მხოლოდ ეს იყო მისი საიდუმლო. თაფლოს "დამწვრის მალამო" მართლაც, რომ უებარი რამ იყო, ბევრჯერ საავადმყოფოდან უიმედოდ "გამოწერილი" ავადმყოფები რამდენიმე დღეში განუკურნავს. ერთი ასეთი შემთხვევის მხილველი მეც გავხდი: ვარდისველში მცხოვრები ვლადიმერ და ვარდო ნემსაძეების ოთხი წლის თამუნამ, ღუმელზე მდგარი ადუღებული წყლით სავსე ქვაბი გადმოაბრუნა და ყელიდან ფეხების ჩათვლით დაიმდუღრა, მარტო ზურგი და დუნდულები არ ჰქონდა დამწვარი. სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში. დადგინდა უმძიმესი მესამე ხარისხის დამწვრობა. ექიმებმა მცდელობა არ დააკლეს, მაგრამ მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა, გარდა იმისა, რომ ბავშვს საშინელი ტკივილები სტანჯავდა, რაღაც ორ დღეში დაეწყოდამწვარი ადგილების დაჩირქება, სდიოდა სითხე, თამუნა გამუდმებით ტიროდა. მესამე დღეს ექიმებმა მშობლებს უთხრეს, რომ ბავშვის მდგომარეობიდან გამოყვანა სათუო იყო. გამწარებულმა დედამ ექიმებს სთხოვა, რომ ბავშვი საავადმყოფოში დაეტოვებინათ და უფლება მიეცათ, რომ მათ სოფლელ ქალს მისთვის, თავისი მალამოთი ემკურნალა. რა თქმა უნდა დათანხმდნენ და თაფლო თამუნას მკურნალობას შეუდგა. მალამოებიანი საფენების დაფენისთანავე ბავშვს ტკივილები დაუცხრა. მშვიდად ჩაეძინა, ხოლო მეორე დღეს დაჩირქებული, პირგამხმარი ქსოვილი უმტკივნეულოდ აჰყვა საფენებს, წყლულები გაშრა და გაიწმინდა. ერთ თვეში თამუნა განიკურნა. ასეთი დიდებული და საჭირო პიროვნება იყო "თაფლო ძალო", "დეიდა თაფლო", რომელიც ოთხმოცდაოთხი წლის ასაკში გარდაიცვალა და ნაცნობ-ნათესავები ესოდენ შეაღონა.

თაფლო კვირა დღეს დაკრძალეს. ზღვა ხალხმა მიაცილა სამარემდე. მიუხედავად იმისა, რომ მის დაკარგვას ყველა განიცდიდა, სალაპარაკო მაინც ის იყო, რომ ბედნიერი ქალი ყოფილა, ოთხმოცდაოთხი წელიწადი იცოცხლა ჯანმრთელად. არც მარტო ყოფილა და არც არავის მოვლა დასჭირვებია, ბატონი მიშაა ცოდვა, მართალია შვილები, სიძეები, შვილიშვილები საკმაოდ ჰყავს და კარგადაც მოუვლიან, მაგრამ ეს ოთხმოცდაათ წელს მიტანებული კაცი მაინც მარტო დარჩა. მეუღლე დაკარგა, გვერდი

მოეშალა, მარტოსულია, ალბათ დიდხანს თვითონაც ვეღარ იცოცხლებს, თუმცა ასაკთან შედარებით დიდებულად გამოიყურება...

— ეჰ! ჩემო ელენიჩკა! ბრალი მისი ვინც მოკვდება, თორემ ცოცხალს რა უჭირს. მიშას შვილები ცივ სიოს არ მიაკარებენ. ჯერ-ჯერობით თავს თვითონაც კარგად მოუვლის და კარ-მიდამოსაც შეძლებს უპატრონოს. მართალია კარგი მეუღლე დაკარგა, მაგრამ გაუძლებს, არ მოკვდება, საფლავში არავინ არავის ჩაჰყოლია. აგერ ნახავ ას წელს თუ არ "დაამრგვალებს". ათი წელია რაც ქმარი დამეღუპა, მაგრამ ცოცხალი ვარ და კიდევ კარგა ხანსაც ვიცოცხლებ. ღმერთმა შვილები და შვილიშვილები მიმყოფოს კარგად.

— რას ამბობ მარუსა! ე.ი. მიშასთვის თაფლოს დაკარგვა არაფერს ნიშნავს? ქალებს, კაცებთან შედარებით უკეთ შეგვიძლია მარტოობაში თავის მიხედვა. მამაკაცებს კი ეს ნამდვილად უჭირთ, ან შენ რა, ძალიან დალხინებული ხარ? ღამით მარტო რომ ხარ გამოკეტილი ოთახში, სული რომ ამოგძვრეს გათენებამდე ვერავინ გაიგებს... ორი წელია რაც სანდრო გარდამეცვალა და მეც შენსავით მარტო ვარ. საშინელებაა, ამას სიცოცხლე აღარ ჰქვია. გინდ კარგი გითხრას, გინდ ავი, მხოლოდ გვერდით მეუღლე გყავდეს, მის სუნთქვას გრძნობდე, გელაპარაკებოდეს, უბრალოდ შეგეხოს — ხანდაზმულ ასაკში ეს დიდი ბედნიერებაა. ახალგაზრდულ წლებზე არაა საუბარი, თუ გლახაკი არ ხარ, ბევრი რამის დაწყება თავიდან შეგიძლია, მაგრამ სიბერეში?... ცოლი და ქმარი ჯობია ერთ დღეს დაიხოცნონ, მათთვისაც და მათი ახლობლებისთვისაც ასეა უკეთესი. აღარც არავინ გაწუხებს, არც აღარაფერს ელი, აღარავის სჭირდები, გივლიან, პატივსაც სათანადოდ გცემენ, მაგრამ გრძნობ, რომ ამით მოვალეობას იხდიან და შენც და ისინიც ერთად ელით თუ როდის გათავდება ეს ყველაფერი... რა გაეწყობა, ვერაფერს შეცვლი, ჯობია ამაზე საერთოდ არ იფიქრო. ასე იყო, ასე არის და ასეც იქნება.

ვინ რას ფიქრობდა და ამბობდა, ვინ კიდევ ფიქრობდა და არაფერს ამბობდა. სამგლოვიარო პროცესია კი, თვით თაფლოს მიერ საკუთარი ფეხით უამრავჯერ გავლილი გზით სასაფლაოსკენ მიდიოდა. მივიდნენ, დაკრძალეს, ერთხელ კიდევ ცრემლი დაღვარეს, გამოეთხოვნენ და ჭირისუფლების ნების თანახმად გამოსათხოვარ პურობაზე — ქელეხზე მიბრძანდნენ. შემდგომ კი იმით კმაყოფილნი, რომ ყველა ადათ-წესი დიდებულად აღასრულეს, მოხუცები მიშას და მის შვილებს გამოეთხოვნენ და ვალმოხდილნი შინისკენ გაეშურნენ. მეორე დღეს, საღამოს კი ყველა სხვებიც თავთავიანთ გზას გაუდგნენ, ყველაფერი მილაგდა და მიწყნარდა, დარჩა მიშა თავის მშვენიერ სახლსა და კარმიდამოში მარტოდმარტო ერთგულ მურიასთან და თაფლოს მიერ საგულდაგულოდ საჯიშედ გამოზრდილ წითელ მამალთან ერთად, რომლებიც აგებინებდნენ, რომ ჯერ კიდევ ნამდვილად ცოცხალი იყო, რადგან მათი ყეფა და ყივილი ესმოდა.

ორი წლის შემდეგ მიშას შვილებმა ოთხმოცდაათი წლისთავი გადაუხადეს. წესად გაიხადეს, რომ სააღდგომოდ თავიანთი ოჯახებით მიშასთან მიდიოდნენ. სასაფლაოზე გადიოდნენ. შაბათს მოსულები სამშაბათს შინ ბრუნდებოდნენ. მიშას კარის შემღები აღდგომების დადგომამდე მხოლოდ და მხოლოდ იქვე მცხოვრები ლენა და მისი ოჯახის წევრები იყვნენ. დილის ტრაპეზს თვითონ იმზადებდა და მიირთმევდა, სადილად და ვახშმად ლენასთან მიდიოდა, თავისი ბავშვების ხილვით ბედნიერი იყო, დაძინებით კი ყოველთვის შინ იძინებდა და ალიონს მარტოდ-მარტო ხვდებოდა. ლოგინში მწოლიარეს

უმეტესად ძილი უტყდებოდა, უცნაური ფიქრები და მოგონებები აეშლებოდა ხოლმე, დილით კი "უმიზეზოდ" უძილო, საწოლიდან დაღლილი დგებოდა. კარმიდამოს უვლიდა, ალამაზებდა. ეზოში მოფუსფუსეს ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს თაფლოც მის გვერდით შრომობდა, რითაც ერთგვარად მშვიდდებოდა და, როდესაც სახელდახელოდ ეზოში გამოტანილ სავარძელში დასასვენებლად ჯდებოდა, უშფოთველად თვლემდა, რომ გეკითხათ რა აკლდა, დაუფიქრებლად გეტყოდათ — არაფერი! ეს ასეც იყო. უვლიდნენ, კარგად ექცეოდნენ, ვერავის ვერაფერს უსაყვედურებდა, მაგრამ აკლდა ადამიანი, ვინც დღე და ღამე მასთან იქნებოდა, მოუსმენდა და რასაც ეტყოდა ისიც მოისმენდა, იცხოვრებდნენ ერთმანეთის ცხოვრებით და იქნებოდნენ ერთმანეთის იმედით. ეს აკლდა და უნდოდა, უფრო სწორად სჭირდებოდა, ჰქონოდა, მაგრამ ამის თქმის ერიდებოდა, რადგან ამ მხრივ რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იყო. ყველას თავისი საქმე ჰქონდა, მისთვის აღარავის ეცალა, ან კი როგორ იკადრებდა ვინმესთვის ეთქვა, რომ მასთან დღე და ღამე ყოფილიყო. ღამე რომ მაინც მარტო არ რჩებოდეს ბედნიერი კაცი იქნება, მაგრამ როგორ, ეს ნამდვილად შეუძლებელია. მაშინაც კი, როდესაც აღდგომებზე შვილებს და შვილიშვილებს მის სახლში სძინავთ, ის მაინც მარტოა, თავის ოთახში, რბილ საწოლში მწოლიარე, სიჩუმეში ჩაძირული. დამთრგუნველი და გამანადგურებელია მისთვის ეს მარტოობა, მაგრამ ის უარესია, როდესაც იცი, რომ ამ სატკივარს ვერაფერს უშველი. რძალი, სიძეები, შვილები, როდესაც გამომეტყველებაზე ოდნავ წყენას შეამჩნევენ, სიყვარულით და მზრუნველობით ეკითხებიან: — მამა! რა მოხდა? ხომ არაფერი გინდა? ხომ არაფერი გაწუხებს, გვითხარი, არ მოგვერიდო, ყველაფერს ვიღონებთ, მხოლოდ შენ გვეყოლე კარგად და ჯანსაღად. ამას ისინი ნამდვილად ასე ფიქრობენ და სიტყვებით სრულიად გულწრფელად გამოხატავდნენ და მიშას მრავლის-მთქმელ, ღიმილიან პასუხზე: ყველაფერი კარგადაა, ნამდვილად კარგად და თუ ჩემი კარგად ყოფნა გინდათ ამის უპირველესი წამალი თქვენი კარგად ყოფნაა, — მშვიდდებიან, ერთმანეთში საუბარს აგრძელებენ, შემდგომ კი ხანმოკლე "ვიზიტის" დამთავრებისთანავე კოცნით ეთხოვებიან, არიგებენ თავს როგორ გაუფრთხილდეს და იმით მართლაც ბედნიერნი, რომ "მამა კარგად ჰყავთ" თავთავიანთ გზაზე მიდიან. გასულ წელსაც აღდგომის შაბათს ჩვეულებრივ ეწვივნენ, გაიხარა მოხუცმა, ნამდვილად უბედნიერესი კაცი იყო. მოსულებმა ბევრი რამ გამზადებული მოიტანეს, ზოგიც იქვე გაამზადეს, საღამოს სამარხვო სუფრას შემოუსხდნენ, ისაუბრეს, იმხიარულეს, აღდგომის გათენების მოლოდინით სუფრიდან აიშალნენ და დასვენება გადაწყვიტეს. მიშამ ორივე სიძე და შალვა თავის ოთახში მოიხმო და აუღელვებლად უთხრა: შვილებო! არ იფიქროთ, რომ რომელიმე თქვენგანზე, ან საერთოდ ვინმეზე ნაწყენი ვიყო. პირიქით, ჩემთვის იმდენს აკეთებთ, რომ მეუხერხულება კიდეც თქვენი ესოდენი შეწუხება. მაგრამ, თუ ჩემი კარგად ყოფნა და კიდევ სიცოცხლე გინდათ, რაშიც ეჭვი არ მეპარება, მოხუცების პანსიონში, თავშესაფარში წასვლაზე უნდა დამეთანხმოთ, დამეთანხმოთ კი არა, უნდა

მომეხმაროთ კიდეც, რომ ეს რაც შეიძლება დროულად მოხდეს. ამდენს აღარ იწვალებთ, მეც უკეთესად ვიქნები. მარტო ყოფნა მიჭირს. ეს ისეთი სატკივარია, რომლის შემსუბუქება სხვაგვარად შეუძლებელია. წინააღმდეგობას ნუ გამიწევთ, დარჩენილი სიცოცხლის დღეები არ მინდა სულიერ ტკივილში გავატარო. რაც შეეხება აქაურობას, ეს ყველაფერი შენია შვილო! მოიხმარე და განკარგე ისე, როგორც გსურს და გინდა. ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი გადასაწყვეტია. ღმერთი იყოს თქვენი შემწე შვილებო!

მიშასგან ასეთ "განცხადებას" არ ელოდნენ.გაიკვირვეს, ქალებს უხმეს, რომელთა შეშფოთება და გაოცება მართლაც რომ ისტერიული იყო.

— რაა? მამაჩემი მოხუცთა თავშესაფარში? როგორ გეკადრებათ! ან დედის საფლავზე როგორ გავიდეთ. ან სირცხვილით გარეთ როგორ გამოვყოთ თავი. არ იტყვიან მამას არ მოუარეს, თავიდან მოიშორესო? მამა! რატომ გინდა რომ საქვეყნოდ თავი მოგვჭრა, გვითხარი რას ვერ ვაკეთებთ და ყველაფერი ისე იქნება როგორც ისურვებ. რას ჰგავს ასეთი ახირება, ამას ვერ შევეგუები, შენ რომ პანსიონში წახვიდე იმ დღესვე მოვკვდები, ეს გინდა? ლანამ სათქმელი ბოლომდე ვერ დაამთავრა. ქვითინი აუვარდა.

მიშა შეწუხდა. ასეთ "შეცხადებას" არ ელოდა, ვერ გაუგეს, მის ტკივილს ვერ მიხვდნენ. რა ექნა? ყველაფერს ისევ თვითონ შეურიგდა.

— მაპატიეთ შვილებო! ალბათ მართლა შევცდი. უბრალოდ მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემს გამო ამდენს არ წვალობდეთ. მართლა და რისთვის მინდა სიცოცხლე თქვენ თუ გულს გატკენთ. მე ძალინ კარგად ვარ, ისე კარგად რომ ბევრი რომ არაა ჩემს ასაკში. მოდით ყველაფერი დავივიწყოთ, ამ თემაზე ვითომ არაფერი თქმულა.

ასეც გააკეთეს, მაგრამ აღდგომის შემდგომ სამშაბათს, მიშას ყველანი სიყვარულით გამოეთხოვნენ და თავთავიანთ გზას გაუდგნენ. დიდებულ სახლსა და აყვავებულ კარმიდამოში დარჩნენ მიშას ერთგული მურია, ქათმები, ახლობლების კარგად ყოფნით კმაყოფილი და მათი ზრუნვით "განებივრებული", ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული "ბედნიერი" მოხუცი — მიშა ჩიკვაიძე, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს შესთხოვს უფალს, — უცოცხლოს ნაშიერი და ისე გარდაიცვალოს, რომ მოსავლელი არავისი გახდეს.

1986 წელი.

მაღალი, უხვი, მდაბალი...
მორჭმული, განგებიანი

დიდი კაცი იყო ჩვენი უფროსი მეგობარი გიორგი ზედგინიძე. თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ ის არის თავისი ქვეყნის ღირსეული პიროვნება და მოქალაქე, ეს ნამდვილად შეიძლება თქმულიყო გიორგიზე. ამას თვალნათლივ იგრძნობდი მის ქცევაში, საუბარში, საქმიანობაში, ვხედავდი მის ცხოვრების წესში.

გიორგი მეტად ორიგინალური შემოქმედი და წარმატებული მკვლევარი გახლდათ. შორს წაგვიყვანს ამ მრავალწახნაგოვან მოღვაწეობა და მომხიბვლელ ვაჟკაცზე საუბარი, ალბათ ღმერთი შემაძლებინებს იმ მონოგრაფიის გამოქვეყნებას, რომელსაც საკმაო ხანია ველოლიავები, ამ მომცრო საგაზეთო წერილში კი მინდა ზოგი რამ მოგახსენოთ მის მიერ თქმული და გარკვეულწილად ნამოქმედარი.

70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ე.წ. “მაჰმადიანი მესხების” გადასახლების ადგილებიდან საქართველოში “დაბრუნება-არდაბრუნების” საკითხი. გიორგი მათ ერთ ნაწილს (ლაპარაკია ე.წ. “გოზალიშვილის” ჯგუფზე), საკმაოდ კარგად იცნობდა და ახლო კონტაქტები ჰქონდა. იმხანად ქალაქ ვალეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ვმუშაობდი, ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს გიორგი და ჩვენი საერთო მეგობარი, სასაზღვრო ჯარებში სამსახურში მყოფი პოდპოლკოვნიკი გრიშა ლაზიაშვილი მესტუმრნენ. ერთმანეთის მოკითხვისა და სამსახურებრივ საქმეზე საუბრის შემდეგ გრიშამ შემოგვთავაზა სახელმწიფო საზღვრის წყალთბილის საგუშაგოზე წავსულიყავით, იქაურობა გვენახა და თურქეთის საზღვრისპირა სოფლებისთვის თვალი შეგვევლო.

საგუშაგოს უფროსმა, რუსმა ოფიცერმა, ჩინით მაიორმა, კარგად მიგვიღო და საზღვრის დათვალიერების შემდეგ “ჯარისკაცურ სადილზე” მიგვიწვია. საუბარში ერთგვარი წყენა გამოსთქვა, რომ ამ მხარედან სტალინის ახირებით უკანონოდ და უმიზეზოდ გასახლებული მოსახლეობა გვეძალება და სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ხშირი მცდელობაა. ახალციხის რკინიგზის სადგურზე სპეციალური ვაგონებითაც კი ჩამოვიდნან და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მათ უკან დასაბრუნებლადო. ხოლო პაუზის შემდეგ დაამატა: ბოროტი დიქტატორი იყო სტალინი. უამრავი ხალხი შეეწირა მის ახირებებს. რუსეთის რჩეული ინტელიგენცია თითქმის გაანადგურა. ამ საცოდავ ჩეჩნებსა და ჩერქეზებს რაღას ერჩოდა მშობლიური ადგილებიდან, რომ აყარა და შუა აზიის ტრამალებში გადაასახლა, მათ ხომ მაინც არაფერი ჰქონდათ საერთო თურქეთის საზღვართანო. დიდებული საქმე გააკეთა ნიკიტა სერგეევიჩმა, ეს ხალხი მშობლიურ ადგილებში რომ დააბრუნა (რა დიდებული საქმეებიც ნიკიტა ხრუშჩოვმა აკეთა, დღეს ნამდვილად იმკის რუსეთი). აქაც ალბათ დროულად მოგვარდება უკანონოდ გადასახლებული მოსახლეობის დაბრუნების საქმე და მოვისვენებთ, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ამდენი მცდელობა აღარ იქნებაო. მე და გრიშას არაფერი გვითქვამს, ასეთ რამეებს უკვე შეჩვეულები ვიყავით, გიორგიმ კი თავისი დინჯი ტონით მაიორს მიუგო: მართალი ხართ, სტალინმა მართლაც დიდი სიზუსტით განახორციელა ეს მართლაც და უპრეცენდენტო ოპერაცია. მთელი ის მოსახლეობა, რომელთა შესახებ თქვენ ბრძანეთ, ოცდაოთხ საათში გადაასახლა და მიჩენილ ადგილზე “დაასახლა”. მაგრამ დიდად გასაკვირი ისაა, რომ რუსები, სტალინს აუგად რომ იხსენიებთ, მან კი არ გაანადგურა, ნამდვილად განადიდა რუსეთი და ააღზევა რუსები. ყველა ოცნება რაც კი ოდესმე გქონიათ — აგისრულათ: ბალტიკას ფლობთ, შავ ზღვას აკონტროლებთ, ყირიმზე აღარავინ დაობს, “კასპია” ცენტრალურ რუსეთზე გავლით ოკეანეებს დაუკავშირა, ერთი სიტყვით უდიდეს საზღვაო სახელმწიფოდ გაქციათ, განაგებთ და

თქვენს ინტერესებს დაუმორჩილეთ კავშირში შემავალი ხალხების ბედ-იღბალი. რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს თქვენი ენა მშობლიურ ენად უქცია, რაც რომანოვებმა, საბედნიეროდ საუკუნეების მანძილზე ვერ გააკეთეს. ფინეთთან, გერმანიასთან, პოლონეთთან, ჩინეთთან, იაპონიასთან, რომელი ერთი ქვეყანა ჩამოვთვალო, საზღვრები მოაწესრიგა, გაძვალტყავებული ქვეყანა სუპერ სახელმწიფოდ გადაგიქციათ. წერა-კითხვის უცოდინარი, უმუშევარი, უსახლკარო, ინიციატივაწართმეული რუსი აღარ არსებობს. რა გინდათ, რა გსურთ, ყველაფერს ამას რატომ ვერ ხედავთ, მარტო ის რად ღირს, რომ დღეს მთელს მსოფლიოში, როგორც დიდ ერს განათლებულსა და კულტურულს ანგარიშს გიწევენ. რუსი "ბატრაკის" ხსენებაც კი აღარსადაა. თქვენ სტალინი საგინებლად კი არა, სალოცავ ხატად უნდა გყავდეთ. მჯერა, ამას ნამდვილად გააკეთებდით, ოდნავი მადლიერების გრძნობა რომ მაინც გაგაჩნდეთ და შოვინიზმისგან არ იყოთ დაბრმავებული. სტალინის სისუსტე სწორედ ისაა, რომ თქვენ შოვინიზმს ვერ უმკურნალა... მაკადრეთ რაც გნებავთ იმ მოსაზრების გამოთქმის შემდეგ, რომელიც უკვე მოგახსენეთ. გპირდებით, მე თქვენგან ბინძური გინებაც კი არ მეწყინება, არამც თუ რაიმე გონივრულის თქმა.

საგუშაგოს უფროსმა, რუსმა მიორმა, ვერაფერი უპასუხა, ასეთ საუბარს არ ელოდა. მიხვდა რომ ისეთ პიროვნებასთან, როგორიც მის წინაშე გიორგის სახით იდგა საკამათოდ მზად არ იყო და ამას ვერც ვერასოდეს შეძლებდა. უდაოდ გონიერება გამოიჩინა, — სიჩუმე არჩია, მოწიწებით და პატივისცემით გამოგვაცილა და დამშვიდობებისას გიორგის გულწრფელად დაჰპირდა, რომ აუცილებლად შინ, ბორჯომში მოინახულებდა.

შემდგომში პარტიის ახალციხის რაიკომში მომიწია მუშაობა. გიორგიმ სამუშაოზე მომაკითხა. "ახალი საქმე" მომილოცა და მითხრა, რომ კარგი იქნებოდა რომ თბილისში ერთად ჩავსულიყავითო და "მაჰმადიანი მესხების" საქართველოში დაბრუნების თაობაზე ჩვენი წინადადება რესპუბლიკის მთავრობისათვის გვემცნო, დავაპირე მეკითხა — რომელი თქვენი-თქო? ვინაიდან ასეთი ერთობლივი მოსაზრება ნამდვილად არ გვქონდა, მიმიხვდა და მითხრა: ჩვენსას იმიტომ ვამბობ, რომ დარწმუნებული ვარ მხარს დამიჭერ. აქედან გადასახლებული მოსახლეობის იმ ნაწილის საქართველოში დაბრუნების საკითხი, რომლებიც გამაჰმადიანდნენ, მაგრამ არ გათურქებულან, თავს თვითონაც ქართველს უწოდებენ და ასევე იხსენიებენ სხვებიც, გადასაწყვეტია. ამის ადრე თუ გვიან მოგვარება აუცილებლად მოგვიწევსო.

პიჯაკის ჯიბიდან გოზალიშვილის წერილი ამოიღო და ერთი ადგილი წამიკითხა: მოგვეშველეთ, გვიპატრონეთ, იმის გამო რომ საქართველოში ძალით ჩამოსვლაზე არ დავეთანხმეთ და ამის მცდელობას არც არასოდეს ვიკადრებთ, გვდევნიან, გვატერორებენ, რჩეულ ბიჭებს გვიხოცავენ, ძალიან გვიჭირს. მე უკვე ვბერდები და თანაც გავბეზრდი, რომ არავინ გვისმენს და საერთოდ ვერაფერს ვაღწევთო.

— ამ ხალხის მთავარი მოთხოვნაა ქართული სკოლები ჰქონდეთ. ვუთხრათ მთავრობას სანამ მათ ასეთი განწყობა არ დაუკარგავთ, ეს პრობლემა გადაწყვიტონ, რაც ქვეყანას სამომავლოდ ბევრ რამეში წაადგებაო. იმათ კი ვინც თავის თავს თურქს უწოდებს, უნდა ვუთხრათ: თურქების სამშობლო თურქეთია და საქართველო არაფერ შუაშიაო.

გარკვეული მიზეზების გამო გიორგისთან ერთად ქალაქ თბილისში "მთავრობასთან მოსალაპარაკებლად" ვერ ჩავედი, მან ეს უჩემოდ გააკეთა, მაგრამ უკან საკმაოდ უკმაყოფილო დაბრუნდა.

თითქოს მომისმინეს კიდეც მაგრამ ბოლოს მითხრეს: ხალხი თქვენგან ახალ წიგნებს ელოდება, ასეთი საქმეებით ნუ დაკავდებით, ეს ჩვენ მოგვანდეთ, საამისო ძალა შეგვწევს, რომ ყველაფერი ნორმალურად მოვაგვაროთო.

რა ექნა გიორგის გარდა იმისა, რომ დიდად სწუხდა ამ და სხვა სატკივართა გამო "მაჰმადიანი მესხების" საქმე რომლის გადაწყვეტა, მისი აზრით, მაშინ "უპრობლემოდ" შეიძლებოდა, დღემდე პრობლემაა. დღემდე მისი ამ გზით მოწესრიგება, ახალ ვითარებათა გამო შეუძლებელია, როგორც იტყვიან, — მატარებელმა უკვე ჩაიარა. თუმცა, პრობლემა მაინც უნდა გადაწყდეს. მთავარია, რომ იყოს ამის გულწრფელი სურვილი და საკითხისადმი გონივრული მიდგომა.

ქალაქი ახალციხე,
2002 წელი, 7 ნოემბერი

თანამემამულენი ელგუჯა კოპაძის შესახებ

იშვიათი ხიბლის ადამიანი

უზნეობის აღზევების ჩვენს ეპოქაში ყველასთან კარგი ვერ იქნები. ვერ იქნები კი არა — არც უნდა იყო. არ შეიძლება ერთნაირად უყვარდე უზნეო, ბოროტ და მაღალი ზნეობის, კეთილ ადამიანებსაც. ყველასთან "კაი კაცი" სინამდვილეში ქამელეონია, ფლიუგერია, ისეთი საცობია, ყველა ბოთლს რომ ერგება. მაღალი ზნეობის ადამიანთა უმრავლესობა ბოროტ და უზნეო ხალხს ეჯავრება, პატიოსან და ზნეობრივ ადამიანებს კი უყვართ.

და ეს კანონზომიერია. ეს ასეც უნდა იყოს.

თუმცა, არ არსებობს კანონი გამონაკლისის გარეშე. ზემოხსენებულ კანონზომიერებასაც აქვს გამონაკლისი.

ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც შეხვდებით პიროვნებას, რომლის გამორჩეული ხიბლი და პიროვნული ქარიზმა ყველას ერთნაირად იმორჩილებს. და ამას ისე ახერხებს, რომ იოტისოდენადაც არ ღალატობს ზნეობას, მაღალ ეთიკურ ნორმებზე დამყარებულ პრინციპებს. რა თქმა უნდა, უზნეო ადამიანებს ის არ უყვართ, მაგრამ მის შინაგან მომხიბვლელობას მაინც ინსტიქტურად აღიარებენ.

ბატონი ელგუჯა კოპაძე ამ იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებათა რიგს მიეკუთვნება.

ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორმა ნუგზარ ფოფხაძემ, როცა ჩემი ახალციხური წარმოშობის შესახებ შეიტყო, მკითხა: ელგუჯა კოპაძეს თუ იცნობო. ვუპასუხე, რომ ელგუჯას მამა და მამაჩემი ძველი მეგობრები იყვნენ, ელგუჯა და ჩემი ძმა სიყრმის მეგობრები არიან და მეც ელგუჯას უმცროს მეგობრად ვთვლი თავს-მეთქი.

ნუგზარ ფოფხაძემ კმაყოფილებით დამიქნია თავი და ვიგრძენი, რომ მისი სიმპატიები ჩემს მიმართ გაორმაგდა.

მოგვიანებით, როცა განათლების სისტემაში დავიწყე მუშაობა, განათლების სამინისტროშიც მკითხეს ელგუჯას შესახებ და ჩემი პასუხის შემდეგ აქაც ვიგრძენი ნდობის ვოტუმის საგრძნობი ზრდა.

რამდენიმე წლის შემდეგ იგივე განმეორდა კულტურის სამინისტროშიც...

ერთი სიტყვით, ბატონი ელგუჯას ნაცნობობა ჩემთვის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა.

თავისი ცხოვრების მანძილზე რა თანამდებობაზე არ მოუსინჯავს ძალები ბატონ ელგუჯას: პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული თანამდებობები; განათლება, კულტურა, პრესა, ბოლოს, პროზა და პოეზია... რამდენ ღირსეულ ადამიანს, რამდენ არაკაცს არ გადაყრია თავის გზაზე, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად გაურთმევია თავი ურთულესი სიტუაციებისთვის, ბეწვის ხიდზეც ისე უვლია, რომ მის ღირსებას არაფერი დაჰკლებია... დღეს ელგუჯა კოპაძე ამაყად იყურება წარსულისკენ, იქ მხოლოდ კეთილი საქმეები და ღირსეულად განვლილი გზაა.

მაინც რაში მდგომარეობს ელგუჯა კოპაძის ფენომენი, საიდან იღებს სათავეს მისი ქარიზმა?

ჩემი აზრით, ამას ორი რამ განაპირობებს: ბატონი ელგუჯას დიდი და მრავალმხრივი ინტელექტი და თანდაყოლილი კეთილშობილება. სწორედ მისმა ამ ორმა უნარმა თუ თვისებამ შეაძლებინა მას სახისა და ღირსების დაუკარგავად დაეძლია ყველა სიძნელე და რვა ათეული წლის სიმაღლიდან ამაყად გადაეხედა განვლილი გზისთვის.

დღევანდელ საქართველოში მრავალი წოდება, ორდენი და მედალია: მე კი ერთ ტიტულსაც დავაწესებდი — რაინდის ტიტულს. ეს ტიტული ძალზე ცოტა ადამიანს თუ შეხვდებოდა და ამ ცოტაში, პირველ რიგში, ელგუჯა კოპაძე იქნებოდა.

კაცის სიმაღლე მისი ფიზიკური სიმაღლით არ განიზომება (თუმცა, ბატონ ელგუჯას არც ამ მხრივ აქვს ბედთან სასაყვედურო). ყველა კაცად დაბადებული როდია კაცი. ბევრი კაცად იბადება, მაგრამ არაკაცად კვდება. კაცის სიმაღლეს მისი სულიერების დონე, მისი კეთილშობილება განსაზღვრავს.

ელგუჯა კოპაძე დიდი კაცია. იგი დიდია თავისი კაცობის, სულიერი სიმაღლისა და კეთილშობილების გამო.

ამ სიდიდეს (სიდიადეს) დანახვა და დაფასება სჭირდება. ამიტომ მინდა გულწრფელი მადლობა ვუთხრა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის კოლექტივს, რომელმაც ჯერ კიდევ 2000 წელს ღირსეულად აღნიშნა მისი დაბადებიდან 70 წელი.

ჯანის სიმრთელეს, თავისი მონაგარის კეთილი საქმეებით გახარებას, სამშობლოს გამთლიანებას და აყვავებას ვუსურვებ ბატონ ელგუჯას.

უჩა ბლუაშვილი
ახალციხის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი

ნათელი პიროვნება

ელგუჯა კოპაძე... რა ბევრის მთქმელია ეს სახელი და გვარი, რა სიყვარულით და პატივისცემით იხსენებს ყველა, ვინც მას იცნობს. კეთილი, სპეტაკი, ზნეობრივად მაღალი პიროვნება, თავისი ხალხის, ქვეყნის სიყვარულში დახარჯული. ასეთი ადამიანები იშვიათად მოდიან, ვისაც სიყვარული და ადამიანების თანადგომა გაუხდიათ ცხოვრების მიზნად. მისი სახელის ხსენება ყველა მის ნაცნობს სიამოვნებას ჰგვრის, იცხოვრო ასე, ძალზედ ძნელია.

შესანიშნავი პიროვნება, კარგი ოჯახის მამა და, რაც მთავარია, ღირსეული ქართველი. თავისი ქვეყნის წარსულზე შეყვარებული. არა მგონია, მესხეთში, ახალციხეში ჩამოსულიყოს ვინმე და მისი სახელი არ გაეგონოს. უბრალოება, თავდაჭერილობა, ურთიერთობისა და მეტყველების მისეული მანერა, თავანკარა ქართული ყველას ხიბლავს და პატივისცემას იწვევს მისადმი. ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის თბილისშიც და სხვაგანაც მისი ამბავი, ხშირად ახალციხესთან ასოცირდება მისი სახელი. იქ ცხოვრობს დიდებული კაცი ელგუჯა კოპაძე — უთქვამთ ჩემთვის და დიდი სიხარული მომძალებია, სიამაყის გრძნობა გამჩენია, თუმცა შესაძლოა ძალიან ახლოს არ ვყოფილვარ ამ პიროვნებასთან.

მახსენდება გასული საუკუნის 80-იანი წლები, როცა სტუდენტურ ექსპედიციებს მოვყვებოდით, უკვე ჩვევად გვქონდა გადაქცეული, ბატონ ელგუჯას მივაკითხავდით. იგი რომელ თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო განათლების, კულტურის თუ სხვა სფეროში, ჩვენთვის ყოველთვის ეცალა, თავს ევლებოდა ჩვენს ახალგაზრდობას, ცდილობდა ჩვენთან ყოფილიყო, ხშირად მეგზურობასაც გვიწევდა. მისი ღრმა ცოდნა, დარბაისლური საუბარი, მამაშვილური დამოკიდებულება აღაფრთოვანებდა ყველას. შეუმჩნევლად გვაკონტროლებდა ხოლმე რომ გაერკვია თუ რა სჭირდებოდათ ჩვენს

სტუდენტებს... რა მალე გავიდა წლები, მაგრამ დარჩა ის დიდი სიყვარული, რასაც ამ პიროვნებისადმი ვგრძნობდით. მესხეთს ასეთი ადამიანები სჭირდებოდა მაშინაც და ახლაც. ასეთი ადამიანები ქმნიან ჩვენი ხალხის დამახასიათებელ დადებით თვისებებს... ასეთი ადამიანები უხანგრძლივებენ ჩვენს ქვეყანას სიცოცხლეს და წარმოაჩენენ მის სახეს. თუმცა ზოგადია ეს პატარა წერილი, მაგრამ ჩვენთვის მთავარია პიროვნება და მისი ადგილი საზოგადოებაში. ასეთ მოკრძალებულ და ნათელ სახედ წარმოგვიდგება ელგუჯა კოპაძე, რომლის "ქართველობასაც მართლა არა აქვს საზღვარი".

სერგო მელიქიძე
ახალციხის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი

ღირსეულად განვლილი გზა

ჩვენი რაიონის თვალსაჩინო ინტელიგენტი, შესანიშნავი მოქალაქე, გამორჩეული პიროვნება, მწერალი და ჟურნალისტი ბატონი ელგუჯა კოპაძე თავისი პიროვნული თვისებებით იმდენ ნიშანდობლივ ელემენტს შეიცავს, იმდენ განსხვავებულ, ფერადოვან სახეს ჰქმნის, ძნელია შეაფასო და ამით კმაყოფილი დარჩე...

ჩვენ ერთად შვიდი წელი ვთანამშრომლობდით. ადამიანის ურთიერთობისათვის ეს არ არის დიდი მონაკვეთი, მაგრამ ურთიერთშემეცნებისათვის საკმაო დროა; როცა განვლილს შევეხმიანები, გონებაში უამრავი მოგონება ამომიტივტივდება — ამაღლებული, ნათელი, გამჭვირვალე, ცხოვრებისეული მაგალითებით დატვირთული... ბატონ ელგუჯასთან საუბრის დროს ყოველთვის გიჩნდებასურვილი კვლავ ყური მიუგდოთ დარბაისელ ინტელიგენტს, რომელიც ერთნაირად ესათუთება დიდსაც და პატარასაც, ამაღლებულსაც და დათრგუნვილსაც, ყველას — ვისთვისაც უცხო და მიუღებელია პარტიკულარიზმი, კარჩაკეტილობა, ნაციონალიზმის უარყოფითი ნიშნები... ვისთვისაც ყოველდღიურ მოთხოვნილებადაა ქცეული ადამიანის მიმართ დახმარება და სიყვარული.

ბატონ ელგუჯას დიდ ღირსებაზე ლაპარაკობს ისიც, რომ იგი მუდამ ცდილობს გარშემომყოფებს შეუმსუბუქოს ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეული სიმძიმეები და გაულამაზოს ცხოვრება... და თუ მაინც მავანმა და მავანმა არ იცის, ვინ არის ელგუჯა კოპაძე და მაინც უნდა გაიგოს ეს, მაშინ უნდა გადახედოს ბატონი ელგუჯას განვლილ გზას და მიხვდება, რომ მან უკვე ჭეშმარიტად შეასრულა ერთი ღირსეული მამულიშვილის საქმე... დღეს იგი ჩვენს შორის დგას ცოტა ნაბიჯშემძიმებული, მთელი თავისი ახოვნებით, საოცარი სიდინჯით, გაწონასწორებული ქმედებით... ზოგჯერ მოულოდნელად შემოგვივლის მუზეუმელებს, მოგვიკითხავს, იმედიანად განგვაწყობს, თავის დაწერილ ლექსებს წაგვიკითხავს, გაგვახალისებს, გაგვაოცებს კიდეც და მერე,

კვლავ შეხვედრის იმედით გაუყვება თავისი სოფლის გზას, სადაც მას მოუთმენლად ელოდება სათნო და ღირსეული მეუღლე — ქალბატონი ზორა...

ბატონო ელგუჯა, ვერ წარმოიდგენთ რა სიამოვნებას გვანიჭებს თქვენს გვერდით ყოფნა, თქვენთან საუბარი, თქვენ ხომ წარსულის ინფორმაციის წყარო ბრძანდებით — დიდი მემატიანე. ყველა, ვინც თქვენ გიცნობთ, გრძნობს და ხედავს ნათელ კვალს, რომელიც დატოვეთ ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდით.

გულწრფელად ვისურვებდი თქვენგან ახალ-ახალ შემოქმედებით სიურპრიზებს... უზარმაზარ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, სახელოვანო მამულიშვილო.

ციური ლაფაჩი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ა
დმინისტრაციული მენეჯერი

ელგუჯა...

ვისაც წამიერი შეხება ჰქონია ბატონ ელგუჯასთან იმავე წუთში ალბათ გაუფიქრებია, რომ ეს კაცი ღვთიდან მოვლენილი პიროვნებაა. როდესაც კულტურის განყოფილების გამგედ დანიშნეს სიხარულით ცას ვეწიეთ თუმცა პიროვნულად მას არ ვიცნობდით. მე კი მანამდე ვფიქრობდი ქუჩაში შეხვედრისას და მისალმებისას, რომ ერთი სიმღერისა არ იყოს ქუდი რომ მხურებოდა და მამაკაცი ვყოფილიყავი აუცილებლად ქუდმოხდილი მივესალმებოდი.

ბატონი ელგუჯა სულ სხვა პიროვნებაა, ყველათი ინტერესდებოდა, გაიცნობდა, საუბრობდა მათთან. ერთხელ ჩვენი ოჯახური ურთიერთობა რაღაცნაირად გაიბზარა. მან კი ისე მოაწყო თითქოს არაფერი იცოდა, დავყავდით თევზის საჭერად, სანადიროდ, მწყემსებთან კონცერტებზე, გვესაუბრებოდა ძალიან საინტერესოდ სიყვარულზე, კაცთმოყვარეობაზე, სიკეთეზე. ერთ-ერთი გასტროლების დროს ბათუმსა და სამტრედიაში გვახლდა, ეცნობოდა ჩვენს მაყურებლებს, რომლებიც ოჯახებშიც გვეპატიჟებოდნენ და ამით უფრო გვიახლოვდებოდნენ.

თბილისსა და საქართველოში პირველად 80-იან წლებში პიკასოს გამოფენა მოეწყო. იქ მოხვედრა არც ისე ადვილი იყო. მან ისე მოახერხა მთელი დასი და ჩემი ოჯახის წევრები თითქმის ძალით წაგვიყვანა. ის სიამოვნება დღესაც მოსდევთ ჩემს შვილებს.

იგი გვიყვარს თავისი სიკეთეთით, პატიოსნებითა და კაცურ კაცობით. სად იყო ფილმი დათა თუთაშხია, რომ მან გვირჩია წაგვეკითხა. ჭაბუა ამირეჯიბი მაშინ გავიცანით. ერთი ფრაზა არ მავიწყდება იმ წიგნიდან: "ქართველებს სხვა სიკეთესთან ერთად ერთი კარგი თვისება სუფრასთან გვაქვს — მაშინ მაინც ვადიდებთ და ვაქებთ ერთმანეთს."

ბატონო ელგუჯა! ძალიან მიყვარხართ. აკი ამ ზამთარშიც ერთი საათით მოვილხინეთ თქვენთან მე და ვახტანგიმ, იზოლდამ, ზაურიმ. ისე რა სჯობს თქვენთან ყოფნას, ის სუფრა ხომ მთელი ფილოსოფიაა.

ბატონ ელგუჯას ცალკე წიგნი სჭირდება, ყველა ადამიანმა რომ გამოთქვას თავისი გულის ნადები. მე კი ძალიან მოკლედ გეტყვით: იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ. ჭიქა რომ მეჭიროს ღვინით სავსე, ბოლომდე შევსვამდი.

ნათელა იაძე
ახალციხის კულტურის
განყოფილების ყოფილი გამგე

ბატონი ელგუჯა

არიან ადამიანები, რომელთანაც საუბარი ჩვენში სინათლისა და სიმშვიდის უჩვეულო განცდას ბადებს. ძნელია იმის თქმა რა ხდება მათი სულის სიღრმეში, რა ვნებათა ღელვა, რა ქარიშხალი გადახდენიათ თავს, მაგრამ საუბარი, რაც უშუალოდ მოქმედებს თანამოსაუბრეზე, შინაგანი სიმართლის უტყუარ შეგრძნებას აღძრავს. მათთან შეხვედრისას ისეთივე გრძნობა გვეუფლება, როგორც ხმაურიანი ქუჩიდან მყუდრო საკანში შესვლისას. აი, ასეთ პიროვნებად ვიცნობ ბატონ ელგუჯა კოპაძეს.

ბატონი ელგუჯა მესხეთში და არა მარტო მესხეთში ეამაყებათ იმ გრძნობითა და გონებით, რომელიც გამთბარია მამულიშვილური სიდინჯით. ბევრ ჩვენთაგანს, მის კოლეგებს, ვისაც მის გვერდით გვიშრომია და გვიღვაწია, გადაგვისინჯავს საკუთარი ზნეობრივი არსენალი მასთან საუბრის შემდეგ, ბევრი რამ შეგვიძენია და გვისწავლია ჩვენი ინტელექტის სრულყოფისათვის, პოზიტიურ აზრში გარკვევა-ჩაწვდომისათვის.

რაიონში ჩამოსული სტუმარი, პირველად რატომღაც ელგუჯა კოპაძეს კითხულობდა: ახლა სად არის? რომელ თანამდებობაზე მუშაობს? ჩვენ ეს არ გვიკვირდა. იმიტომ, რომ მან სტუმრის კაცურ-კაცურად დახვედრა იცის.

ელგუჯა კოპაძე ჩვენს ცნობიერებაში არის მრავალმხრივ განსწავლული, ერუდირებული, ძლიერი სულის, ჯანსაღი გონებისა და დახვეწილი გემოვნების პიროვნება.

ყველას გვეამაყებოდა მის გვერდით მუშაობა, მას ყოველთვის ენდობოდნენ და ის მრავალ ადამიანს ენდობოდა. იცოდა და იცის გაჭირვებული ადამიანისათვის დახმარება.

მახსოვს ერთხელ, ანა კალანდაძესთან ქონდა შეხვედრა რაიონის მესვეურებს და მხატვრულ კოლექტივებს. ბატონმა ელგუჯამ პოეტის რამდენიმე ლექსი წინასწარ, სანამ ღონისძიება დაიწყებოდა, ზეპირად თქვა და გოგო-ბიჭებმა იხმაურეს: “უკვე შედგა პოეზიის საღამო”.

მწამს, რომ ელგუჯა კოპაძის აღზრდილი მრავალი თაობა უდიდესი პატივისცემითაა განმსჭვალული მის მიმართ, ყველას უყვარს.

ბატონი ელგუჯა კოპაძე არის ნიმუში მისაბაძი ადამიანისა, მოქალაქისა, როგორც მაგალითი პრინციპული, გულისხმიერი, პატრიოტი მოყვასისა.

იდღეგრძელეთ დიდო მამულიშვილო — ბატონო ელგუჯა.

ირა კურტანიძე
ყოფილი კოლეგა

ღია წერილი
ბატონ ელგუჯა კოპაძეს

მე დროს უკან გამოვიხმობ და თქვენთან საუბარს დავიწყებ ერთი მოგონებით, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ძალიან ხშირად გაკრთება ხოლმე. თარიღს ზუსტად ვერ ვიხსენებ. მახსოვს, რომ იყო ოთხმოციანი წლების ერთ-ერთი მზით სავსე დღე, გასული საუკუნის. დიდებული საფარა და სტუმრები — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები, თვალსაჩინო ქართველი პოეტები და მწერლები... და თქვენ, ბატონო ელგუჯა. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა (დავალებული მქონდა სტატიის მომზადება რაიონული გაზეთისთვის). მას შემდეგ, რაც საფარის კომპლექსი დაათვალიერეს სტუმრებმა (მეგზურობას თქვენ უწევდით), მის შემოგარენში, სახელდახელოდ, სუფრა გაიშალა, რომელსაც თქვენ თამადობდით. მონუსხული გისმენდით (ვფიქრობ, არ ვიყავი გამონაკლისი) არა მარტო თავისი ქვეყნისა და მხარის ისტორიაში ღრმად განსწავლულ ადამიანს, არამედ მასზე უსაზღვროდ შეყვარებულს... სიტყვებით ვერ ავხსნი იმ გრძნობასა და განწყობას, რომელიც დამეუფლა. ეს იყო ქართული ლექსისა და სიმღერის შეჯიბრი, სადღეგრძელოში განთქმული ურთიერთ-პატივისცემისა და სიყვარულის ულამაზესი შეჯიბრი, რომლის უმთავრესი მიზეზთაგანი თქვენ ბრძანდებოდით... სახლში დაბრუნებული ოჯახის წევრებს აღფრთოვანებული ვუზიარებდი საოცარ შთაბეჭდილებას, რომელიც დღემდე არ განელებულა.

ვიცი, ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მყავს ,,ჩემი პოეტები", ,,ჩემი მხატვრები", ,,ჩემი მსახიობები", ,,ჩემი კომპოზიტორები" და... ,,ჩემი ადამიანები". იმ დღიდან მოყოლებული, მე თქვენი ,,მესაკუთრეც" გავხდი. და განა მარტო მე? თბილისში ჩასულს, საზოგადოებრივ ღონისძიებებზე, როდესაც შეიტყობდნენ, მესხეთში ვმოღვაწეობდი, — "აჰ, მესხეთიდან? თქვენ იცნობთ ელგუჯა კოპაძეს?" და მერე იწყებოდა თქვენს შესახებ აზრების გაცვლა, ყველა აღტაცებას გამოხატავდა თქვენი

პიროვნების მიმართ. ერთ-ერთმა ასეთი ეპითეტითაც კი შეგამკოთ — ელგუჯა კოპაძე მესხეთის ყველა სტუმრის მასპინძელიაო. მერწმუნეთ, ბევრი ვერ დაიქადნის ასეთ სახელს., ეს იშვიათთა ხვედრია და თქვენ ასეთი გამონაკლისთაგანი ბრძანდებით. მეც, თქვენი მისამართით, უამრავი ეპითეტი მინდა მოვიშველიო აღმატებულ ხარისხში — ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე კაცთმოყვარე, ყველაზე სულგრძელი და ა. შ. ყველაზე მომხიბვლელი... …

მესხეთში, 70-80-იან წლებში, კულტურული ცხოვრება ჩქეფდა: მესხეთის აღორძინებული თეატრის სპექტაკლები, კულტურის სახლის მრავალფეროვანი ღონისძიებები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები პოეტებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, საინტერესო დისკუსიები და უამრავი სხვა რამ, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია, მათი სიმრავლის გამო. თქვენ იყავით ყველგან და არა მხოლოდ იმის გამო, რომ მაღალი თანამდებობა გეკავათ — განათლების სფეროს ხელმძღვანელობდით, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდით. ხშირად შევსწრებივარ სრულიად განსხვავებული ინტერესებისა და პროფესიის ადამიანების თავშეყრას, მაგრამ იქ, სადაც თქვენ იყავით, არასოდეს, ამის გამო, არავინ გრძნობდა დისკომფორტს, რადგან თქვენ მათ აერთიანებდით. უცხო ადამიანიც კი, უმალ, შინაურად გრძნობდა თავს თქვენს გვერდით. ვიხსენებ ყველაფერ ამას და რაღაც თბილი სევდა მეუფლება. რა დრო გასულა! გუშინდელივით კი მახსოვს...

ბატონო ელგუჯა, ვისურვებ, რომ დიდხანს იცოცხლოთ, რათა ბევრი ასეთი დღე აჩუქოთ თქვენს გვერდით მყოფთ, რადგან, მჯერა, ეს დღეები მათთვის ისეთივე წარუშლელი იქნება, როგორიც ჩემთვის.

პატივისცემით — მარინა ზედელაშვილი

ელგუჯა კოპაძე — სამცხე-ჯავახეთის კოლორიტული პიროვნება

ბატონ ელგუჯას ორმოც წელზე მეტი ხანია ვიცნობ და არაერთი თბილი მოგონება მაკავშირებს მასთან და მის შესანიშნავ ოჯახთან. იგი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არამარტო ახალციხის, არამედ მთელი სამცხე-ჯავახეთის კოლორიტულ პიროვნებად ითვლება.

მას, როგორც განათლებით ფილოსოფოსს, ერთნაირად შეუძლია საინტერსოდ ისაუბროს საქართველოს ისტორიასა და მომავალზე. ეადვილება ადამიანთა შესაძლებლობების შეცნობა მინდობილი საქმისადმი დამოკიდებულებაში. ამდენად, იგი ადამიანთმცოდნეობის შესანიშნავ მაგალითადაც გამოდგება. მას ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ საქმედ და სფეროდ კულტურის დარგის გარდა მომავალი თაობის

განათლების სფეროში მოღვაწეობა მიაჩნდა და კიდევაც მოუწია ამ დარგში წარმატებული საქმიანობა წლების განმავლობაში.

ბატონი ელგუჯა ჩვენს მხარეში ქართველ და უცხოელ სტუმართა პირველი დამხვდური და საინტერესო მეგზური იყო. როგორც იგი ახლაც ხშირად იხსენებს, იმ დღეს დღედ არ ჩათვლიდა, როცა თუნდაც ერთ სტუმარს არ დახვდებოდა. უფრო მეტიც, სტუმართა დიდი ნაწილი აღტაცებული იყო როგორც ბატონი ელგუჯას გამორჩეული და განსაკუთრებული ყურადღებით, აგრეთვე ბუნების დიდი სიყვარულითა და განსაკუთრებით სამონადირეო ხელოვნებით, იმ კეთილი თვისებებით, რომლებსაც ასე უხვად წარმოაჩენენ ხოლმე სტუმრების მიღებისას, რაც მათზე წარუშლელ კვალს ტოვებდა.

ბატონი ელგუჯასათვის რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენდა ხელოვნებასა თუ სპორტზე, ლიტერატურაზე, კულტურასა და ძეგლთა დაცვაზე, ადამიანებთან ურთიერთობასა და სხვა საკითხებზე კომპეტენტური, დასაბუთებული და დამაჯერებელი საუბარი.

მან პოეზიაშიც მოსინჯა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობა და არც თუ ურიგოდ — არაერთი ლექსით გაახარა თავისი მკითხველები.

ბატონმა ელგუჯამ ამ ორიოდე წლის წინ თავის ოჯახში, სოფელ კლდეში, 80 წლისთავის საიუბილეოდ გამართულ ნათესავ-ახლობელთა მოკრძალებულ შეკრებაზე გვიმასპინძლა და ერთი მთავარი რამ ისურვა და გვისურვა: დიდი მადლობა ჩემი დაფასებისათვის, მაგრამ მე ყველაზე მეტად მაშინ ვიქნები ბედნიერი, როცა ჩემი მიწა-წყალი, ჩემი საყვარელი საქართველო იქნება გაერთიანებული, გამთლიანებული და ქართველებითვე გაძლიერებულიო.

ჭეშმარიტებაა ნაღდი მამულიშვილი სწორედ მამულის სიკეთეს ემსახურება და მისი უკეთესი მომავლის ნატვრაშია.

ღვთის წყალობა არ მოკლებოდეს თქვენს და ჩვენს საქართველოს ბატონო ელგუჯა. ახდენილიყოს ჩვენი საერთო ოცნება და გაბრწყინებულ საქართველოში, უფლის სადიდებელი სადღეგრძელო კიდევ ერთხელ გაჟღერებულიყოს თქვენს მიერ დაწურული მადლიანი მესხური ღვინით.

პატივისცემით შალვა ტაბატაძე

ერთობ გამორჩეული ერუდიტი

ამ რამდენიმე თვის წინ ჩვენი ნეტარხსენებული მეგობრის, ცნობილი რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის ნანა დემეტრაშვილის სანახავად გახლდით, ასევე ცნობილ ხელოვნებთან, ღირსები ორდენის კავალრებთან — ნათელა იაძესა და ვახტანგ კვესელაძესთან ერთად. ძალიან გავიხარეთ ერთმანეთის ხილვით სამწუხაროდ ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, როცა “ფოთოლცვენა” იწყება, ამიტომ უფრო მეტად მოვეფეროთ და

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ნანა დემეტრაშვილი ამ შესანიშნავი წიგნის გამოსვლას ვერ მოესწრებოდა!...

წიგნში "მოგონებანი გარდასულ დღეთა", რომელიც ნათელა იაძისა და ვახტანგ კვესელაძის მოღვაწეობაზე დაიწერა, თვალში მომხვდა 270-ე გვერდზე მოთავსებული ახალციხის გამორჩეული ერუდიტის — ელგუჯა კოპაძის ფოტო ჟურნალისტ მარინა ზედელაშვილთან და ჩემთან ერთად. ჩვენს ლამაზ მეგობარს ნანას, რომლის თვალებში უკვე აღარ ჩანდა სიცოცხლის ნიშან-წყალი, მოგვეჩვენა რომ უცებ გაუბრწყინდა თვალები და დაიწყო "მოგონებანი გარდასულ დღეთა"... სწორედ მესხეთის თეატრში გავიცანი ბატონი ელგუჯა კოპაძე, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, რომელსაც ეტყობოდა ღრმა განსწავლულობა და დიდი ერუდიცია. როგორც გვიან გავიგე, იგი განათლებით ყოფილა ფილოსოფოსი, ჩემი ნეტარხსენებული მეუღლის ფილოსოფიის ცნობილი პროფესორის არჩილ ბაქრაძის კოლეგა. ამიტომ სრულიადაც არ გამკვირვებია მისი ფილოსოფიური გამოსვლა მესხეთის თეატრში.

ნება მომეცით ჩემეული თვალთახედვით შევაფასო ბატონი ელგუჯა, გასული საუკუნის 80-იანი წლების გადმოსახედიდან.

სანამ ამ წერილის წერას შევუდგებოდი, ჩემს საოჯახო ალბომში მოვიძიე ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილნი არიან ახალციხის რაიონის მაშინდელი ხელისუფალნი: ბატონი მერაბ ქაჯაია, ბატონი დიმიტრი კოტეტიშვილი, ბატონი ედუარდ ხითარიშვილი, ბატონი შალვა ტაბატაძე, ქალბატონი ციური ლაფაჩი, საავადმყოფოს მთავარი ექიმი გურამ გოგიბერიძე და ბატონი ელგუჯა კოპაძე. ამ სურათმა ბევრი მოგონება აღმიძრა. განსაკუთრებით მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ელგუჯა კოპაძეს იმისათვის, რომ იგი საშუალებას მაძლევდა დროდადრო შევხვედროდი ჩემს შვილს საჯარისო ნაწილში, სადაც ის გადიოდა სამხედრო სამსახურს. მე გახლდით საკავშირო საზოგადოება "ცოდნის" წევრი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში მიწევდა ლექციების წაკითხვა თემაზე "ბასკებსა და კავკასიელთა ურთიერთმიმართების პრობლემებზე". ბატონი ელგუჯა თავადაც მესწრებოდა საჯარო ლექციაზე, იგი ძალიან საინტერესო კითხვებს მისვამდა ამ პრობლემის ირგვლივ. ჩვენი ოფიციალური თუ მეგობრული შეხვედრების დროს ხშირად ვსაუბრობდით და ჩვენს მოსაზრებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. მე მის შენიშვნებსა და მოსაზრებებს ვიზიარებდი და ანგარიშს ვუწევდი, მას ხომ ახალციხელები "ახალციხის მეცნიერებათა აკადემიას" უწოდებდნენ.

დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო ბატონ ელგუჯას ინტელექტზე, ერუდიციაზე, მაგრამ აქვე მინდა მის სხვა ადამიანურ თვისებებსაც შევეხო. ერთ-ერთ გასვლით ღონისძიებაზე მტკვრის ხეობაში მოგვიწყვეს პურობა თბილისელ სტუმრებს. ხეობაში გაიმართა არაჩვეულებრივი საველე სუფრა. სანამ სტუმრები ტკბებოდნენ საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის მშვენიერებით, ბატონ ელგუჯას ხელით დაუჭერია ცოცხალი თევზები და სახელდახელოდ გამართულ სამფეხაზე დადგმულ ქვაბში მოუხარშავს კიდეც. ეს ახოვანი, მომხიბვლელი რაინდი შესანიშნავი "მზარეულიც" აღმოჩნდა, რამაც ძალიან გვასიამოვნა სტუმარ-მასპინძელნი.

ძვირფასო ბატონო ელგუჯა მზეგრძელობა ნუ მოგაკლოთ უფალმა თქვენ და თქვენს ძვირფას ოჯახს, დიდხანს იცოცხლეთ ამ მშვენიერ კუთხეში, მესხეთი რომ ჰქვია და გადაეცით თქვენი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდებს, რომელსაც ძალიან

სჭირდება თქვენისთანა გამორჩეული ერუდიტები, მე კი დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ მომეცით საშუალება მომეგონებინა მესხეთში გატარებული გარდასული დღენი ჩემს მეგობართან ერთად.

გრეტა ჩანტლაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ბატონო ელგუჯა

ისე ძლიერ მინდა მოგეფეროთ, რომ სიტყვები ზამთრის ბეღურებივით მიხტი-მოხტიან ფურცლებზე. თითქოს თავს ვერ ვუყრი სათქმელს, ეს ალბათ იმიტომ რომ მინდა თქვენს პიროვნებაზე უსასრულოდ ბევრი ვთქვა და დავწერო ის, რაც წლების განმავლობაში თქვენთან ერთად ჩამომიყალიბდა. ჩვენო მეგობარო არ მეგულება ადამიანი, რომელსაც თქვენს პიროვნებაზე უარყოფითი აზრი ჰქონდეს. შემთხვევით არ ვამბობ "ჩვენო", რადგანაც თქვენ ყველასი ხართ, ყველა ახლობლის და ახალციხელის მეგობარი ხართ, მრჩეველი, თანამოძმის ლხინისა და ტკივილის გამზიარებელი. ქალაქი, რომელსაც თქვენისთანა პიროვნებები ამშვენებს უნდა ამაყობდეს. რატომ? მოგისმენიათ მისი საუბარი ისტორიაზე, ხელოვნებაზე, ცხოვრების ავ-კარგზე, ზოგადად ადამიანთა ურთიერთობებზე, ქვეყნის მოწყობის მოდელზე, ლიტერატურაზე და სხვა მრავალზე. რამდენჯერ მქონია ბედნიერება მომესმინა თუ როგორ დინჯად, აუჩქარებლად, დასაბუთებულად და ფილოსოფიური მიდგომით აყალიბებდით თქვენს მოსაზრებებს და მუდამ აღტაცებაში მოგყავდათ თქვენი ღრმა აზროვნებით და დასაბუთებული სათქმელით. რამდენჯერ მიფიქრია, ნეტავ შემეძლოს ჩუმად, ფარულად ჩავწერო თქვენი საუბარი და ყველა ახალგაზრდას განურჩევლად ეროვნებისა, განათლებისა და კულტურისა მოვასმენინო. რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი განათლებული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი.

და მაინც ვინ არის ელგუჯა კოპაძე? მისაბაძი პიროვნება, კარგი ქართველი, ბრწყინვალე მამა, თავისი ქვეყნისა და კუთხის კოლორიტი, უაღრესად განათლებული, კულტურული, თავმდაბალი, კეთილი, უღალატო და ჭეშმარიტი რაინდი. არ ვაჭარბებ.

გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, უამრავ ბედნიერ დღეს თქვენი ნაშიერის გამრავლებას, იმ ორი ვაჟიშვილის გიას და კახას ოჯახების ბედნიერებას, რომლებიც თქვენსავით ერთგულნი არიან როგორც ქვეყნისა, ისე ჩვენი ახალციხის და ახალციხელებისა.

პატივისცემით ლია სულუაშვილი

ფოტო დოკუმენტური მასალა

შოთაობა

მასწავლებელთა რესპუბლიკურ ყრილობაზე წარგზავნილი ახალციხის რაიონის დელეგაცია

მეგობრები: კ. თორდია, ე. კოპაძე, დ. ქართველიშვილი, ა. ბურჯანაძე

სტუმრად ელგუჯა კოპაძესთან: დავით ქართველიშვილი

და ანზორ ბურჯანაძე

ელგუჯა კოპაძე, თინათინ მერკვილაძე (საბჭოთა კავშირისა და სახალხო არტისტი, მომღერალი), თენგიზ პატიაშვილი (ასპინძის რაიკომის I მდივანი)

თენგიზ არჩვაძე და მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის მსახიობები ახალციხეში გასტროლებზე, 1973 წ.

ელგუჯა კოპაძე და გოგი გოგიბერიძე

ელგუჯა კოპაძე და მარიამ გვარამაძე-ოდიკაძისა

(დამსახურებული მასწავლებელი)

მიხეილ ჩირინაშვილი (კომპოზიტორი), ნანა დემეტრაშვილი (მესხეთის თეატრის დირექტორი) და ელგუჯა კოპაძე

ვახტანგ კვესელაძე, მიხეილ ჩირინაშვილი, შოთა ალთუნაშვილი

და ელგუჯა კოპაძე

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის 60 წლისთავი

მარინე ზედელაშვილი, გრეტა ჩანტლაძე და ელგუჯა კოპაძე

ელგუჯა კოპაძე ნათესავებთან

შინაარსი

ელგუჯა კოპაძე (ნატო ყრუაშვილი);

ნეტაი შენისთანაი ბევრი გაზარდოს დედამ;

სიყვარული გზად და ხიდად;

სჯობს სახელისა მოხვეჭა;

იგი სხვაა, სიძვა სხვაა;

გაუხსნელი სქმე;

ზოგჯერ თქმითაც დაშავდების;

დიდი ლხინია ჭირთა თქმა;

მათი ოცნების მამაკაცი;

არ შეგიყვარდე, თორემ ვეღარ მიხილავ;

მარტოდ-მარტო ახლობელთა შორის;

მაღალი, უხვი, მდაბალი..... მორჭმული, განგებიანი;

თანამემამულენი ელგუჯა კოპაძის შესახებ;

ფოტოდოკუმენტური მასალა;

სარჩევი.

ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 300

დაკაბადონდა სიმური თარხნიშვილის მიერ
კომპიუტერულ ცენტრში “ცოდნა”
ქ. ახალციხე, ნიკოლაძის ქ. №33

Елгуджа Копадзе

Н Е Р А С К Р Ы Т О Е Д Е Л О

(на грузинском языке)
Ахалцихе 2012

Elguja Kopadze

U N O P E N E D C A S E

(Georgian Language)
Akhaltsikhe 2012